

გიორგი ავალიშვილი

მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა,
ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა

ქართული საბჭოთაო „მეცნიერება“

თბილისი

1967

წინამდებარე გამოცემა წარმოადგენს ცნობილი ქართველი მოღვაწის, დიპლომატისა და მწერლის გიორგი ავალიშვილის სამოგზაურო დღიურის პირველ პუბლიკაციას. გ. ავალიშვილმა 1819 — 1820 წლებში იმოგზაურა თურქეთში, ეგვიპტეში და პალესტინაში. როგორც რუსეთის მოხელეს, მას მოგზაურობის დროს განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები შეექმნა. შეხვედრები და საუბრები ეგვიპტის ფაშა მამად ალისთან, სახელმწიფო მოღვაწეებთან და დიპლომატებთან მას დიდ შესაძლებლობას უქმნიდა ღრმად გასცნობოდა თურქეთის და ეგვიპტის სოციალურსა და ეკონომიურ ცხოვრებას და ამასთანავე რუსეთისა და ევროპის პოლიტიკურ ინტერესებს ახლო აღმოსავლეთში.

განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს გ. ავალიშვილი მამად ალის რეფორმებისა და მომავალი გეგმების მიმართ, თვალყურს ადევნებს ბერძენთა განმთავისუფლებელ მოძრაობას, ეცნობა მართლმადიდებლური ეკლესიის მოხელეთა და საერთოდ არათურქული მოსახლეობის მდგომარეობას თურქეთის იმპერიაში.

„მგზავრობაში“ დიდი ადგილი აქვს დათმობილი ეგვიპტის არაბთა და თურქთა ყოფის, ჩვეულებისა და ნაიცონალური თავისებურებების აღწერას.

მეტად მნიშვნელოვანია გ. ავალიშვილის ცნობები ეგვიპტისა თუ თურქეთში ძალით თუ ნებით გადახეწილ ქართველთა შესახებ.

„მგზავრობა“ ქვეყნდება ერთადერთი ატოგრაფული ნუსხის მიხედვით, რომელსაც ახლავს ავტორისავე ხელით შესრულებული რუკა, გეგმები და გრავიურებისა და ნახატების პირები.

ბ. ავალიშვილის „მგზავრობაჲ“

გ. ავალიშვილი XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIX საუკუნის პირველი ნახევრის საინტერესო მოღვაწეა. მონოგრაფია გ. ავალიშვილზე არ დაწერილა, თუმცა ბევრი გაკეთდა მისი შესწავლისათვის. გ. ავალიშვილმა პირველად აკად. მ. ბროსეს ყურადღება მიიპყრო. მ. ბროსემ აღწერა და გამოაქვეყნა ხელნაწერების ავალიშვილისეული კოლექცია¹. მანვე დაგვიტოვა გ. ავალიშვილის მიერ რუსულიდან თარგმნილ თხზულებათა სია.

გ. ავალიშვილთან დაკავშირებით საინტერესო საარქივო მასალას თავი მოუყარა და გამოაქვეყნა პროფ. ა. ცაგარელმა². ავალიშვილი როგორც პირველი ქართველი დრამატურგი დაახასიათა გ. ლეონიძემ წერილში „ქართული თეატრის ქრონიკები“³. ავალიშვილი—ეპიკოსი, დრამატურგი და ლირიკოსი შესწავლილი ჰყავს ტრ. რუხაძეს⁴. ქართული დრამატურგიის განვითარების საკითხებთან დაკავშირებით გ. ავალიშვილის ლიტერატურულ საქმიანობას იხილავს ე. კეკელიძე ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსში⁵.

დასახელებულ ნაშრომებში გ. ავალიშვილი შესწავლილია, უმთავრესად, როგორც მთარგმნელი, დრამატურგი და დიპლომატი. რაც შეეხება მის ორიგინალურ ნაშრომს „მგზავრობაჲ“, რომლის ტექსტსაც ვთავაზობთ მკითხველს წინამდებარე გამოცემაში, იგი საგანგებოდ შესწავილი არ ყოფილა.

„მგზავრობის“ ერთადერთ ავტოგრაფულ ნუსხას მიაკვლია და პირველი კნობები მის შესახებ გამოაქვეყნა პროფ. ა. ცაგარელმა. მანვე მისცა ამ ძეგლს მაღალი შეფასება: „Жаль что подобных путешествий в грузинской литературе очень мало! Такие труды, как „Путешествие“ кн. Авалова составили бы украшение любой литературы“⁶.

ჩვენ გამოკვლევა არ ისახავს მიზნად „მგზავრობის“ ამომწურავ შესწავლას. შევეცდებით მხოლოდ აღვძრათ მკითხველის ინტერესს ამ მრავალმხრივ საინტერესო ლიტერატურული ძეგლისადმი, რომელიც დღეს პირველად ქვეყნდება.

• • •

ავალიშვილების ძველი ფეოდალური გვარი უკვე XVI საუკუნიდან ჩანს ისტორიულ გუჯრებსა და ნარატიულ წყაროებში. 1515—1516 წლებში დაწერილ საბუთში—„მცხეთისა ეკლესიისა ძუელითგან საქონებელნი და სამწყსონი სამ-

¹ Element de la langue géorgienne par M. Brosset Jeune. Paris. გვ. XI.

² А. Цагарели, Сведения, в. II, გვ. XXI—XXVIII.

³ გ. ლეონიძე, ქართული თეატრის ქრონიკები. „დროშა“, 1925, № 25, გვ. 27—28.

⁴ ტრ. რუხაძე, ქართული ეპოსი გარდამავალი ხანის ლიტერატურაში, თბ., 1939, მისივე, ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, თბ., 1949; მისივე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან (XVI—XVIII სს.), 1960.

⁵ ე. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, 1952, გვ. 578—580.

⁶ А. Цагарели, დასახ. ნაშრომი, გვ. XXVIII.

ცხეს თავადნი და სოფელნი“—ავალიშვილებს უკავიათ ბუმბულისძეთა ადგილ-
მამულნი: „ბუმბულისძენი მათითა სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლე-
სითა ავალიშვილთა და სლესართა აქუს“¹. სამცხის თავადებად და ტაშისკარის
მფლობელებად ავალიშვილები დარჩენ ბოლო დრომდე, მაგრამ XVII საუკუნის
დამდეგიდან მათ ქართლშიც მოიპოვეს მამულები. 1636 წელს როსტომ მეფემ
ქაიხოსრო ავალიშვილს უბოძა მისივე ნაქონი სოფელი ბრეთი². XVII საუკუნეში
ავალიშვილთა ერთი შტო ქართლში დამკვიდრდა. ისინი ფლობდნენ ბრეთს,
არადეთს, სომანეთს და სხვ.³ ბრეთის ავალიშვილთა განშტოებას მამულეები კა-
ხეთშიც მიუღია და უკვე XVII საუკუნიდან იქ დამკვიდრებულა. კახელ ავალი-
შვილთა შთამომავალია გიორგი ავალიშვილი.

ავალიშვილთა გვარში ზეხდებით როგორც სამეფო მოხელეებს, ასევე სა-
სულიერო პირებსაც. ამ გვარმა მრავალი მწიგნობარი და გადაშენური მოგვცა⁴.

გიორგი ავალიშვილის მამა იოანე მეითარი ერეკლე II-ის დაახლოებული
პირი ყოფილა. იოანეს ჰყავდა შვიდი შვილი: მარიამ (მანია), ბარბარე, სოლო-
მონი, დავითი, ევლოდიოსი, გიორგი და ივანე⁵. ბავშვებს ღელა აღნე გარდა-
ეცვალათ და მათ აღზრდაზე ზრუნვა იკისრა გიორგის უფროსმა დამ მარიამმა,
გარსევან ჰავეკაძის მეუღლემ. მარიამი განათლებული, ჰკვიანი და გავლენიანი
ქალი იყო. მან კარგად იცოდა განათლების ფასიც, ამიტომ ყველა ღონე იხმარა,
რომ თავის ძმებისათვის შესაფერი განათლება მიეცა.

1784 წელს ერეკლე II-მ გარსევან ჰავეკაძე რუსეთში გააგზავნა საქარ-
თელის დესპანად. ამავე წელს პეტერბურგში ჩავიდა გიორგი ავალიშვილიც. 15
წლის ჰაბუკი გარსევანისგე მეთვალყურეობით შეუღდა სწავლას და მზადებას
დიპლომატიური კარიერისათვის. ცოტა ხანში გიორგი გარსევანის მიდევანდ
დაინიშნა.

მარიამ ავალიშვილს არც რუსეთში წასულ გიორგიზე შეუწყვეტია ზრუნ-
ვა. პეტერბურგში გაგზავნილ ერთ წერილში მარიამი ავედრებს მეფის ასულს.
(არ ჩანს რომელს) თავის ძმებს, რომლებიც ამ დროს იქ ცხოვრობდნენ⁶. 1785
წლის 25 მაისის წერილში კი გ. ავალიშვილი ატყობინებს თავის დას ბარბა-
რეს, თუ რა გეგმით მიმდინარეობს მისი მომზადება დიპლომატიური კარიერის-
ათვის: „ვიცი ჩემს ანბავს მოიხსენებ... ჩემი ნურა გუჯავრება რა, ოსტატს
ვაბარვიარ: რუსულს, ფრანციტულს, თამაშობას და ხაზუას ვსწავლობ. ღლე და
ღამე ოსტატთან ვარ და შაბათს სადილს უკან და კვირას ამათ ბრწყინეალებას
(გარსევან ჰავეკაძეს—ე. მ.) ვახლავარ“⁷.

იმის შემდეგ, რაც საქართველომ თავისი ბედი რუსეთს დაუკავშირა,
ქართველებისათვის აშკარა გახდა, რომ რუსული ენის ცოდნა სრულიად აუცი-
ლებელი იყო სამოხელეო და, მით უმეტეს, დიპლომატიური მოღვაწეობის ასპა-

¹ სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVI სს). ტექსტების პუბლიკაცია, გა-
მოკლევები და საძიებლები ქ. შარაშიძისა, 1961, გვ. 33.

² საქ. ცსსა, ფ. 1448, № 82.

³ Hd—14678, Hd—14483.

⁴ Hd—14687, Hd—10186, იოანე მეითარის (გ. ავალიშვილის მამის) სახლიკაცები ეტყობა
დიდად ნაშახურნი იყვნენ ერეკლეს ბატონიშვილობისა და მეფობის დროს. ერეკლეს მიერ 1738
წელს გაკეპული წყალობის წიგნიდან ვეგებლობთ, რომ ასლან მლახვარი ავალიშვილი ერეკლეს-
თან ერთად იბრძოდა ყანდაარს, ხოლო შემდეგ „ინდისტანს“ გაყოლია მას (იხ. საქ. ცსსა, ფ.
1448, № 1349. ამ დოკუმენტზე მივითითა განსვენებულმა გიორგი ლეონიძემ).

⁵ ხელნაწერი S—2684, მინაწერი 318—319 გვერდებზე. იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერი-
ლობა, კოლექცია S, ტ. IV, გვ. 144—145.

⁶ საქ. ცსსა, ფ. 1449, № 2913.

⁷ საქ. ცსსა, ფ. 1449, № 2914.

რეზზე. ეს კარგად ესმოდა გიორგი ავალიშვილსაც; იგი თვითონაც ჩინებულად დაეუფლა რუსულს და თავის ძმებსაც მოუწოდებდა რუსული ენის სწავლისაკენ. 1785 წელს მარიამ ჭავჭავაძესთან მიწერილ წერილში ის წერდა: „...იოანეს (გიორგის ძმა—მ.) რუსულის სწავლა მოგეწერათ. დიახ დიდად მიამა დედა-შვილობამ და ერთი რუსული სტამბის ანბანი გამომიგზავნია. თუ კარგად ისწავლის, სხუასაც გამოუგზავნი“¹.

თუ რამდენად დაეუფლა გიორგი ავალიშვილი ფრანგულს, ძნელი სათქმელია. საფიქრებელია, რომ სასაუბრო ენა მან სუსტად იცოდა, ვინაიდან მოგზაურობის დროს გიორგი ფრანგებთან თურქულად საუბრობდა. ამას გარდა, ფრანგულ რომანებს ის თარგმნიდა არა ფრანგულიდან უშუალოდ, არამედ რუსულიდან. თურქული და სომხური ენები კი გიორგიმ ჩინებულად იცოდა. რუსული, თურქული და სომხური ენების ცოდნამ შეუწყო ხელი მის წინსვლას დიპლომატიურ ასპარეზზე. რუსული ენის კარგად დაუფლებამ ამავე დროს განსაზღვრა მისი ლიტერატურული ინტერესები და საქმიანობის ხასიათი.

გამოადგა გიორგი ავალიშვილს მოგზაურობის დროს ხაზვისა და „თამაშის“ ცოდნაც. გზა და გზა ის აკეთებდა ჩანახატებს, გამოხაზა რუკა და გეგმები, როგორც საილუსტრაციო მასალა თავისი მომავალი დღიურებისათვის. კარგად იცოდა გიორგიმ ისიც, თუ როგორ უნდა დაეკირათ თავი დიპლომატიურ წრეებში, რუსეთისა თუ ევროპის დიპლომატიური წარმომადგენლების მიერ გამართულ ბალებზე და ოფიციალურ მიღებებზე.

ქართველი მეფეები დიდად აფასებდნენ გ. ავალიშვილის დიპლომატიურ საქმიანობას. ამიტომაც, რომ იგი გარსეუან ჭავჭავაძესთან ერთად საქართველოს უცვლელი წარმომადგენელი იყო რუსეთში 1784—1802 წლებში². ეს წლები კი მეტად მძიმე და მღელვარე აღმოჩნდა საქართველოსათვის და განსაკუთრებით მისი ელჩებისათვის.

იმის შემდეგ, რაც ერეკლე მეორემ აიღო კურსი რუსეთზე, პოლიტიკური მოვლენები დიდი სისწრაფით ვითარდებოდნენ. მოწინავე, რეალისტურად მოაზროვნე ქართული საზოგადოებისათვის, რომელსაც სათავეში თვით ერეკლე ედგა, აშკარა იყო, რომ რუსეთის მფარველობა, მასთან დაახლოება ერთადერთი სწორი გზა იყო საქართველოს ფიზიკური არსებობის შესანარჩუნებლად. მეორე მხრით, ახლო აღმოსავლეთში ინგლის-საფრანგეთისა და რუსეთის მეტოქეობა და თურქეთის „პრობლემა“ უკარნახებდა რუსეთს ამიერკავკასიაში ფეხის მტკიცედ მოკიდებას. თურქეთის დანაწილება, მისი გაძევება შავი ზღვის სანაპიროდან და ამიერკავკასიაშიც მისი პრეტენზიებისათვის საფუძვლის მოსპობა რუსეთისათვის ეკატერინე მეორის დროიდან პირველი რიგის პოლიტიკური ამოცანა გახდა. ეს ამოცანა კი მკიდროდ იყო დაკავშირებული ამიერკავკასიის დაპყრობასთან. ამიტომაც, რომ ერეკლეს სიკვდილის უმაღლეს რუსეთმა დაიწყო სამფარველო ტრაქტატის გადასინჯვა. რუსეთის ამ გეგმების განხორციელებას დიდად უწყობდა ხელს ის შინაგანი არეულობა, რომელიც შეიქმნა საქართველოში ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ მისი მრავალრიცხოვანი მემკვიდრეების მიზეზიით.

1799 წელს პავლე იმპერატორმა განაახლა სამფარველო ხელშეკრულება გიორგი XII-სთან და თან შეუდგა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების გეგმის

¹ საქ. ცსსა, ფ. 1449, № 2908.

² 1791 წელს ერეკლე მეორემ გიორგი ავალიშვილი გააგზავნა აგრეთვე „სპარსეთის ნაწილსა და ადერბეიჯანისა რომელთაზე ქალაქთა“ დიპლომატიური მოლაპარაკებისათვის.

განხორციელებისათვის მზადებას. თავის მხრით შერყეული ტახტის გასამტკიცებლად გიორგი XII დასაყრდენს რუსეთში ეძებდა და თვითონ სახავდა გზებს რუსეთის გავლენისა და უფლებების გასაღივებლად საქართველოში.

„1800 წლის 24 ივნისს პეტერბურგში მყოფი ქართველი ელჩების მიერ წარდგენილი ნოტით ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII ინარჩუნებდა მხოლოდ შეზღუდულ ავტონომიურ მმართველობას. ქართლ-კახეთის მეფე ახლა რუსეთის სახელმწიფოს მორჩილი ხდებოდა უკვე არა მარტო საგარეო-პოლიტიკურ, არამედ საშინაო მმართველობის საკითხებშიც“¹.

1801 წლის 18 იანვარს პეტერბურგსა და მოსკოვში გამოქვეყნდა პავლე პირველის მანიფესტი, რომლის ძალითაც ქართლ-კახეთი შეუერთდა რუსეთის იმპერიას. მაგრამ მანიფესტი ჯერ კიდევ არ იყო შესული ძალაში, რომ მოკლეს იმპერატორი. მანიფესტის გამოცხადებასთან დაკავშირებით დავით ბატონი-შვილმა გააგზავნა პეტერბურგში დეპუტაცია². მან გარსევან ჰეკავაძეს, გიორგი ავალიშვილსა და ელიზბარ ფალავანდიშვილს გადასცა 1801 წლის 18 იანვრის თარიღით შედგენილი რწმუნებისა და ნდობის ქაღალდი, რათა მათ დაედასტურებინათ რუსეთის იმპერატორისათვის დავით ბატონიშვილის სურვილი და თანხმობა ქართლ-კახეთის რუსეთის იმპერიისათვის სრული დაქვემდებარების შესახებ, მეფობისა და შეზღუდული ავტონომიის შენარჩუნებით³. მაგრამ პეტერბურგში ჩასულ დეპუტაციის წევრებს იმპერატორი გარდაცვლილი დახვდათ. მათ ახალ და გართულებულ ვითარებაში უნდა ემოქმედათ. ამასობაში აღექვანდრე პირველმა ხელშეორედ განიხილა ქართლ-კახეთის რუსეთთან შემოერთების საკითხი, უარყო რუსეთის იმპერიისათვის მიუღებელი ავტონომიური მმართველობის სისტემა, საქართველო რუსეთის გუბერნიად გამოაცხადა აქ რუსული მმართველობის შემოღებით, რაც გულისხმობდა საქართველოს სახელმწიფოებრივობის გაუქმებას და მეფობის მოსპობას.

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების პოლიტიკური აქტის გაფორმებასთან დაკავშირებით საიმპერატორო კარმა ძვირფასი საჩუქრებით, ორდენებითა და წოდებებით დააჯილდოვა როგორც დავით ბატონიშვილის გაგზავნილი დეპუტაცია, ასევე პეტერბურგში გაწვეული ბატონიშვილები თავისი მხლებლებით. მაგრამ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებას ასე ადვილად ვერ შეეგუებოდა ვერც სამეფო ოჯახი და ვერც ქართული საზოგადოება. ბუნებრივია, რომ ამ საქმეში ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ საქართველოს დეპუტაციის წევრებს, რომელთათვისაც ამგვარი დასასრული ისევე მოულოდნელი და არასასურველი იყო, როგორც სხვებისთვის. ამისდა მიუხედავად გარსევან ჰეკავაძეს, გიორგი ავალიშვილსა და ელიზბარ ფალავანდიშვილს ბატონიშვილთა წრეში ამრეზითა და ეჭვით დაუწყეს ყურება. დიდ ნდობას მათ არც მეფის მთავრობა უცხადებდა, ვინაიდან აშკარა იყო, რომ მანიფესტი ელჩების მოწონებას ვერაფრით ვერ დაიმსახურებდა. ელჩები, რომლებიც 1784 წლიდან რუსეთთან ურთიერთობის ერეკლეს კურსს ახორციელებდნენ, ასე ადვილად ვერ შეეგუებოდნენ ამ დიდ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მარცხს—ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებას. ორმხრივმა უნდობლობამ გამოიწვია ის ყალბი მდგომარეობა, რომელშიც აღმოჩნდნენ ქართული დეპუტაციის წევრები როგორც რუსეთში, ასევე სამშობლოში. განსაკუთრებით მწვავე საყვედურები დაიმსახურეს ქართველმა წარმომადგენლებმა მეფობას ჩამოცილებული ბატონიშვილისაგან.

¹ ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, ბ. რატინი, საქართველოს ისტორია, 1953, გვ. 395—86.

² АВПР, ф. Сношение России с Грузией, оп. 110, № 18, ფურც. 306—8.

³ იქვე, გვ. 310.

სინამდვილეში კი ქართლ-კახეთის რუსეთის გუბერნიად გამოცხადების პირველ წლებშივე გარსევან ჰავეკავაძე და გიორგი ავალიშვილი, როგორც ჩანს, ხალხს რაზმადნენ და გარკვეულ ნაბიჯებს დგამდნენ, რათა წინაღობა მოეპოვებინათ ამ რეჟიმის საბოლოო განმტკიცებას საქართველოში. ეს საცნებო ბუნებრივი რეაქცია იყო შექმნილ ვითარებაში.

გარსევან ჰავეკავაძე და გიორგი ავალიშვილი ბოლომდე დარჩნენ ერეკლე მეორის საგარეო და საშინაო პოლიტიკის დამცველად. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ გარსევან ჰავეკავაძე მეთაურობდა ფეოდალური საზოგადოების იმ პროგრესიულ დასს, რომელიც საქართველოს ავტონომიას მოითხოვდა. გარსევან ჰავეკავაძის აზრით, „განახლებულ-გაუმჯობესებული ქართული თვითმმართველობა, რუსეთის ბატონობის პირობებში, საქართველოს გაერთიანება-გაძლიერებას ხელს შეუწყობდა და დამოუკიდებლობისათვის მოამზადებდა. მათ სურდათ ცარიზმის პოლიტიკის იმგვარად შეცვლა, რომ იგი მისაღები ყოფილიყო ქართველი ხალხისათვის. ისინი მეფის რუსეთის ძალადობას ქვეყნის შიგნიდან ებრძოდნენ და გარეშე მტრულ ძალებს არ უკავშირდებოდნენ. პროგრესისტებმა იცოდნენ, რომ ირანის ან ოსმალეთის „დახმარება“ მაშინ ქართველ ხალხს გაცილებით უფრო მძიმე მონობის უღელს დაადგამდა... ეს თვალსაზრისი შექმნილი ვითარების ღრმა გააზრების ნაყოფს წარმოადგენდა და ქართველი ხალხის უკეთეს მომავალს ემსახურებოდა“¹.

იმ ურთიერთობის დასასაზიარებლად, რომელიც შეიქმნა ბატონიშვილებსა და საქართველოს ყოფილ წარმომადგენლებს შორის, გამოდგება დავით ბატონიშვილის „ჩვენება“, რომელიც მას მიუცია რუსი მოხელეებისათვის გარსევან ჰავეკავაძეზე: „Он, находясь в России, писал письма к народу, к нему—царевичу Давиду и царевичу Вахтангу, наклоняя их противостоять воле Е. И. В. Одно из сих писем отдано Лазареву, а два—Ковалевскому. Хотя, впрочем, по приезде его в Грузию и хотел он возмутить кахетинских князей противу россиян, но Ковалевский предупредил сие, забрав их всех под арест. Дабы же впредь не было волнения, то полагает он нужным вызвать его в Россию“².

დავით ბატონიშვილს ლაზარევისა და კოვალევსკისთვის გადაუცია გ. ავალიშვილისა და გარსევან ჰავეკავაძის წერილები. ეს წერილები გამოძიების საგანი გამხდარა. გამოძიების პროცესში გიორგი ავალიშვილსა და გარსევან ჰავეკავაძეს ახსნა-განმარტება მოსთხოვეს. გიორგი ავალიშვილმა თავის მართლების მიზნით ერეკლე განმარტებითი ბარათი გაუგზავნა პ. ციციანოვს, სადაც ის ცდილობდა შექმნილი ვითარება დავით ბატონიშვილის მისდამი სიძულვილით აეხსნა.

წერილი დაწერილია 1803 წლის 15 მაისს: „Сего месяца 15 числа имел я честь получить письмо в. с., на которое спешу принести чувствительную благодарность, что вы подали мне случай к оправданию себя против постыдной клеветы на честь мою, в то время, как я, имея сердце, исполненное благодарностью к Е. И. В., Всемилостивейшему нашему Государю, не имел в мыслях писать что либо противное Российскому правительству, счастье Грузии составляющему.

Итак, приступаю я по приказанию в. с. к изъяснению письма моего к царевичу Давиду, подзревающему нас в том потому, что он считал

¹ საქართველოს ისტორიის დასახ. გამოცემა, გვ. 399—400.

² Акты, II, გვ. 174—175.

меня и зятя моего Гарсевана Чавчавадзе в том виновным, что января 14-го по повелению блаженной памяти в Бозе почившего Павла I, гр. Федором Васильевичем подписанное и нами здесь обнародованное, не исполнилось¹.

ამას მოსდევს წერილის იმ ადგილების განმარტება, რომლებიც მოხელეთა ექვს იწვევდა. უნდა შევნიშნოთ, რომ მოტანილი ადგილები მართლაც ექვის აღმძვრელია. ასეთსავე შთაბეჭდილებას სტოვებს გარსევან ჰავეკვაძის წერილიც. თითქოს აქაც შეფარვით რაღაც პოლიტიკური მნიშვნელობის მოულოებზეა საუბარი².

რით დამთავრდა ეს გამოძიება გიორგის მიმართ, არ ჩანს³. 1803 წელს დავით ბატონიშვილი იძულებით გაგზავნეს რუსეთში. გარსევანსა და გიორგი ავალიშვილსაც რუსეთი მიუჩინეს მუდმივ საცხოვრებლად.

ამრიგად, გარსევან ჰავეკვაძესა და გიორგი ავალიშვილზე შექმნილი საქმე მოწმობს, რომ რუსული მმართველობა მათ ბოლომდე არ ენდობოდა და მიზანშეწონილად მიიჩნდა მათი საქართველოდან მოცილება. დავით ბატონიშვილი კი საქართველოს ელჩებს აბრალებდა პაველ I მანიფესტის შეუსრულებლობას და ამიტომ ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ მმართველ წრეებში მათდამი უნდობლობა აღედგა.

ქართველი ელჩებისადმი ბრალდება-საყვედურები ისმის სხვა ბატონიშვილების თხზულებებშიც⁴.

ბატონიშვილებთან ურთიერთობის გაფუჭებამ გიორგი ავალიშვილის პირად ცხოვრებასაც დაასვა დაღი. გ. ავალიშვილის ზემოთმოყვანილი წერილიდან ვგებულობთ, რომ კომფლიქტამდე დავით ბატონიშვილის დაგაიანე დაწინდული ყოფილა გიორგი ავალიშვილზე: „...тогда сестра его (დავითის—ე. მ.) светлейшая царица Гаяна была за меня сговорена“⁵. ეს ქორწილი არ შემდგარა. ამის შემდეგ გიორგი ავალიშვილი დიდხანს ვერ მოეცა ოჯახს.

პეტერბურგში საცხოვრებლად გადასული გიორგი, განთავისუფლებული დიპლომატიური საქმიანობისაგან და სამშობლოს მოცილებული, დაწვაფა ლიტერატურულ მუშაობას. ის ჯერ ტრიალებდა პეტერბურგის, ხოლო შემდეგ მოსკოვის ქართველ ემიგრანტთა წრეში. აქ მან სახელი მოიხვეჭა როგორც რუსული ენის, ლიტერატურისა და აგრეთვე ევროპის ლიტერატურის მკოდნემ და რუსულიდან მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ლიტერატურის მთარგმნელმა. იოანე ბატონიშვილიც კი, რომელიც მეტად სკეპტიკურად იყო განწყობილი გიორგის პიროვნებისადმი, იძულებული იყო „კალმასობაში“ გიორგი ავალიშვილი მის თანამედროვე მთარგმნელთა პირველ რიგებში დაესახელებინა: „ახალი მთარგმნელნი ქართველნი: მეფის ძე დავით, მირიან, ავალიშვილი, ალექსანდრე ჰავეკვაძე, გოდერძი ფირალოვი...“⁶ და სხვ.

1803 წლიდან 1818 წლამდე გიორგი ავალიშვილი მოსკოვსა და პეტერბურგში ცხოვრობს. დროის ამ მონაკვეთში მისი საქმიანობის შესახებ ცოტა რამ ვიცით.

¹ АКТЫ, II, გვ. 174. ² АКТЫ, II, გვ. 175.

³ რაც შეეხება გარსევან ჰავეკვაძეს, იგი ციციანოვა სრულიად გაამართლა, თუმცა არც შემდეგში ენდობოდა მას. 1802 წლიდან გარსევან რუსული მმართველობის მუდმივი ფარული ზედამხედველობის ქვეშ იყო. 1805 წელს კი ის იძულებით გააყოლეს ალ. ჰავეკვაძეს ტაშოვში. (ზ. ციციშვილი, გ. ჰავეკვაძის დაპლომატიური მოღვაწეობა: „მაცნე“, 1964. № 4, გვ. 169—171).

⁴ დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, გამოსცა თამარ ლომოურმა, 1941, გვ. 2; ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი ისტორია, იგივე გამოსც. გვ. 77; იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, II, 1948, გვ. 246.

⁵ АКТЫ, II, გვ. 174.

⁶ იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, II, გვ. 213.

1806 წელს ის კავკაზის თხოვნით მოსკოვში ეგერმისტერად დაუნიშნა, მაგრამ იქ დიდხანს არ დაყოვნებულა¹. პეტრე ლარაძის მიერ გიორგისადმი მიწერილი იამბიკოს ზედწერილიდან ვგებულობთ, რომ პეტერბურგში გიორგი ბინდრობდა „ლეტნი სადის“ მახლობლად მეუუევის სახლში². ერთ-ერთმა დოკუმენტმა კი შემოგვინახა ცნობა, რომ 1813 წელს გიორგი ავალიშვილი სამეგრელოს მთავრინა ნინოსთან იყო თარჯიმან და პრისტავად, მაგრამ მათ შორის, ეტყობა, დიდი სიტკბოება არ სუფევდა, ვინაიდან ნინო მთავრინა გიორგიზე საჩივრებს წერდა: „Милостивый государь Николай Петрович! не имея я на российском языке переводчика, хотя и избран мной к сей должности грузинский князь статский советник Георгий Авалов... но как оный всегда болен, исполнить сию должность не может, да притом непочтенный ко мне и не вежлив в обхождении со свитой моей, заблагорасудила я освободить князя Авалова от сей у меня должности, которого и в доме моем я держать далее не могу“³.

საჩივრის პასუხად გიორგი ავალიშვილი გაათავისუფლეს თანამდებობიდან: „На заявление мингрельской владетельницы Нины имеется ответная резолюция об освобождении князя Георгия Авалова от должности пристава при мингрельской владетельнице и о прекращении выдачи ему порционных денег“⁴.

ამას მოსდევს მთავრინა ნინოს მეორე განცხადება, სადაც ის თხოულობს ავალიშვილის კვლავ მასთან დატოვებას.

1818 წელს გიორგი ჩამოვიდა თბილისში, სადაც მან აღძრა შუამდგომლობა ერმოლოვის წინაშე, რათა მისთვის ეგვიპტეში გამგზავრების ნება დაერთოთ „სახესა ქუშუე რომლისამე შემკვდრობითისა სარგებლობისა (გარნანამდვლ მოხილულად წმიდათა ადგილთა პალესტინისათა)“.

1819 წლის 22 თებერვალს მას მოუვიდა ნესელროდეს ხელმოწერილი უცხოეთის პასპორტი და „დღესტიკიტელნი სტატსკი სოვეტნიკის“ წოდებაში დამტკიცება.

1819 და 1820 წლები გიორგი ავალიშვილმა გაატარა მოგზაურობაში, საიდანაც ის თბილისშივე დაბრუნდა. თბილისიდან ის კვლავ პეტერბურგში გამგზავრა.

მოგზაურობიდან დაბრუნებასთან დაკავშირებით 1821 წლის 7 ოქტომბერს ის წერდა გრაფ ნესელროდეს: „...Возвратился я из заграницы, не окончив и собственного своего дела, для которого единственно там и находился. По приезде моем сюда доставил как вашему сиятельству, так равно и другим особам, вверенные мне бумаги и словесные препоручения, изъясляющие преданность свою и усердие к Российской Империи. Сии исполнив долг верноподданнической обязанности, всепокорнейше прошу в с. - ва оказать... снисхождение и приказать мне, могу ли я просить где следует о увольнении меня паки за границу или в Грузию, в дом свой“⁵.

ამრიგად, რუსეთის იმპერიისათვის გაწეული სამსახურის სანაცვლოდ გიორგი ავალიშვილს უნდოდა გამოეთხოვა ან კვლავ საზღვარგარეთ გამგზავრების, ანდა საქართველოში დაბრუნების ნებართვა. საზღვარგარეთ გამგზავრებაზე გიორგის უარი ეთქვა იმ მიზეზით, რომ მგზავრობა შეიძლება სასიფათო ყოფილიყო მისთვის. საკითხის აღძვრა საქართველოში დაბრუნების შესახებ კი ნესელროდემ შესაძლებლად მიიჩნია⁶. მიუხედავად ამისა ეს ნებართვა გიორგიმ

¹ ზ. ცქიტიშვილის დასახ. წერილი, გვ. 171.

² იხ. პეტრე ლარაძის „მრავალფერეველილოვანი“ (S—387, 152v—153r).

³ АВПР, Главный архив, IV—1, 1813, საქმე № 3, ფ. 1.

⁴ იქვე, ფ. 2. ნინა მთავრინას—გიორგი XII-ის ქალიშვილსა და გრიგოლ დიდიანის ქვრიუს—გ. ავალიშვილი „მგზავრობაში“ ასენებს.

⁵ АВПР, Главный архив, IV—1, 1820—21, საქმე № 9, ფ. 1. ⁶ იქვე, ფ. 3.

მანც ევრ მიილო. 1822 წელს გიორგი კვლავ ცდილობს საქართველოში დაბრუნებას. მან ეგვიპტეში მოპოვებული ანტიკვარული მნიშვნელობის ხელნაწერები და ნივთები უთავაზა რუსეთის იმპერატორს იმ იმედით, რომ იმპერატორის წყალობას დაიმსახურებდა. გიორგის ძღვენის შესახებ ა. გოლიცინი აცნობებს გრაფ ნესელროდეს¹. თავის მხრივ გიორგი ავალიშვილიც სწერს ნესელროდეს: „Небезизвестно вашему сиятельству, что я, приехавши из Греции, представил князю Голицыну некоторые вещи для поднесения Государю Императору... о чем, как мне было сказано, было сообщено вашему сиятельству.“

Я бы не осмелился утруждать ваше сиятельство сей всепокорнейшей просьбой, ежели бы не был доведен до сего старостью и болезнью, соединенного с крайностью моего положения, которая вынуждает меня отправиться в Грузию для поправления своего здоровья, почему всеижайше прошу, благодетельный граф, ежели паче чаяния потребуется вашего сиятельства какого либо обо мне напоминания, в таком случае не оставьте человеколюбивым вашим содействием...²

მოგზაურობის დროს გ. ავალიშვილი უსახსრო და სწული კაცის შთაბეჭდილებას არაფრით არ სტოვებდა. მაგრამ თუ მართალია ყველაფერი, რასაც ის სწერდა გრაფ ნესელროდეს, ეგვიპტიდან დაბრუნების შემდეგ ის უკიდურეს გაკვირებაში ჩაყარდინდა და დასწულეულბულა კიდევ. გიორგის თხოვნა არც ამჯერად დაკმაყოფილეს და მას საქართველოში დაბრუნების ნება კვლავ არ მისცეს. ამავე 1822 წელს გიორგიმ შეირთო ცოლად დიმიტრი ბაგრატიონის ასული ელისაბედი და მუდმივ საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა. ამ დროიდან გიორგი იწყებს სამსახურის ძებნას და თავისი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვას.

1825 წელს გიორგი ავალიშვილმა უკვე მოსკოვიდან გაგზავნა თხოვნა იმპერატორისა და გრაფ ნესელროდეს სახელზე: „Будучи прислан в качестве полномочного посланника, вместе с другими чиновниками от царя Георгия к высочайшему российскому двору о присоединении на вечное подданство Российской державе Грузинского царства, я имел счастье, как и другие товарищи мои, быть удостоен монаршего внимания... был награжден чином статского советника и потом пенсионом в 2500 р. в год. По возвращении же моем из чужих краев, женившись в Москве на родной племяннице бывшего в Грузии главнокомандующего князя Цицианова и имея тут с семейством моим постоянное жительство и притом ревностное желание служить Государю и отечеству, осмеливаюсь просить об определении меня по недостаточному состоянию в здешний Иностраных дел архив с приличным по чину моему месту и жалованием и содержанием притом получаемого мной пожизненного пенсионера“³.

გიორგი ავალიშვილის ამ თხოვნაზეც იმპერატორმა უარი წააწერა⁴. 1822 წლიდან გარდაცვალებამდე გიორგი ავალიშვილი მოსკოვში ცხოვრობდა. ეკონომიური სიდუხჭირის მიუხედავად, გიორგის სახლი მუდამ ღია იყო მოსკოვის ემიგრანტ ქართველებისა და საქართველოდან ჩასული სტუმრებისათვის. მისი

¹ АВПР, „Главный архив“, II—II, 1822, ფ. 1.

² იქვე, ფ. 2.

³ АВПР, „Главный архив“, IV—I, საქმე № 4, ფ. 2 და 5.

⁴ იქვე, ფ. 9.

სახლი გადაიქცა ლიტერატურულ სალონად, სადაც თავს იყრიდნენ ქართველი ბატონიშვილები და რუსეთში ემიგრირებული, ოდესღაც წარჩინებული ქართველი თავადები. საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებას მოწყვეტილი და ნიადაგამოცლილი ქართველი ემიგრანტები დაეწაფნენ რუსული და ევროპული კულტურის, ლიტერატურისა და ფილოსოფიის შესწავლასა და თარგმნას. როგორც ჩანს, ემიგრაციაში ერთ ბედ ქვეშ მყოფმა ბატონიშვილებმა და ავალიშვილმაც გამოიჩინეს საერთო ენა. ალბათ, მიხედნენ ბატონიშვილები, რომ საქართველოს ბედს ჰქვეყნებდნენ და ავალიშვილები არ სწყვეტდნენ.

1831 წელს მოსკოვში ჩასული გრიგოლ ორბელიანი რამდენჯერმე ეწვია გიორგი ავალიშვილს და ლიტერატურასა და პოლიტიკაზე საუბარში მასთან რამდენიმე სასიამოვნო საღამო გაატარა: „მიველ ავალოვთან და დავრჩი მუნ ეს ღამე. ლაპარაკი გვექნდა მეფე ირაკლიზე, ქართლის ცხოვრებაზე, ქართულს ლექსებზე, რომელიცა აქვსთ მრავალი და კარგი ნათქვამები დიმიტრი ბაგრატიონის მიერ“¹.

გ. ავალიშვილის ოჯახში გაიცნო გრიგოლ ორბელიანი პოეტი დენის დავიდოვი².

მთელი სიცოცხლის მანძილზე გიორგი ავალიშვილი ინტენსიურ ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდა. თარგმნიდა რუსულიდან სხვადასხვა ჟანრისა და ლიტერატურული მიმართულების თხზულებებს, წერდა ლექსებსა და ღრამებს, ადგენდა ლიტერატურულ ანთოლოგიებს და, ბოლოს, დიდი ცოდნითა და სიყვარულით აგროვებდა ხელნაწერებსა და იშვიათ წიგნებს.

წიგნებისა და ხელნაწერების კოლექციონირება რუსეთში XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ძალიან გავრცელდა³. ამ გატაცებამ, რომელსაც, ალბათ, რუსეთში ფართოდ ფეხმოკიდებული განმანათლებლური მისწრაფებებიც უწყობდა ხელს, ჩამოაყალიბა ბიბლიოფილთა გარკვეული ტიპი, რომელიც აგროვებდა წიგნებსა და ხელნაწერებს მათი იშვიათობისა და ანტიკვარულობის თვალსაზრისით.

რუსეთის გავლენით, თუ მისგან დამოუკიდებლად, კოლექციონერობა და ბიბლიოფილობა ქართველ განათლებულ და მოწინავე ადამიანებსაც იტაცებდა. ბიბლიოფილობამ განსაკუთრებით მოიკიდა ფეხი ემიგრანტ ქართველებს შორის, რომლებიც, საქართველოს მოწყვეტილი, ქართული ხელნაწერებისა და წიგნების კოლექციონირებით ერთგვარად ქართული კულტურული გარემოცვის ილუზიას იქმნიდნენ. გიორგი ავალიშვილი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო ამ დროის ქართველი ბიბლიოფილებისა. მისი ხელნაწერები და წიგნები კარგად იყო ცნობილი ქართველ მეცნიერთა და მწიგნობართა წრეში. ხელნაწერებს გიორგი ავალიშვილი ეძებდა და აგროვებდა ყველგან: საქართველოში, რუსეთში, შორეული მოგზაურობის დროს. ავალიშვილის ხელნაწერთა კოლექციაში ყველაზე ძვირფასი იყო ის ხელნაწერები და წიგნები, რომლებიც გიორგიმ იერუსალიმიდან ჩამოიტანა:⁴ ცხრა ქართული ხელნაწერი, ერთი სირიული,

¹ გრ. ორბელიანი, მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურგამდის: გრიგოლ ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული, 1959, გვ. 188. გრ. ორბელიანს არც შემდეგ შეუწყვეტია მიწერ-მოწერა გ. ავალიშვილთან (იხ. გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი პირველი, 1832—1850. აკაკი გაწერელიას რედაქციით და შენიშვნებით, კოტეჯორა-დედაძის წინასიტყვაობით, 1936, გვ. 3).

² გრ. ორბელიანი, მგზავრობა, გვ. 187; გ. ლეონიძე, ლერმონტოვი საქართველოში: „ლიტ. საქართველო“, 1964, № 49.

³ Н. В. Здобилов, История русской библиографии до начала XX века, М., 1951, გვ. 88.

⁴ ვრცლად ამის შესახებ იხ. ე. მეტრეველი, გ. ავალიშვილი ბიბლიოფილი და კოლექციონერი: საიუბილეო კრებული კ. კეკელიძის 80 წლის თავზე, 1959, გვ. 247—261.

ერთი ეთიოპური, ერთი სომხური და სამი ქართული და ერთი რუსული ნაბეჭდი წიგნი.

საინტერესოა ამ ხელნაწერების მოპოვების ისტორია. იერუსალიმში ჩასულ გიორგი ავალიშვილს პეტრას მიტროპოლიის მიტროპოლიტმა მისაელმა აჩუქა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ქართულ ხელნაწერთა მთელი კოლექცია, 200-ზე მეტი ხელნაწერია: „მომიძღუნა ყოველი წიგნი ქართულნი, ეკლესიასა ამას ძუსლადეუ დაკრძალულნი, ჩემთვის საკეთრად ანუ ეკლესიათათვის საქართულმოსათა, ვინაჲთგან, ადრითუშ განშორებათა გამო აქაჲთ ქართულმოსათა, უსარგებლოდ ყოველთა იცვებიან იგინი და წყმდებიანცა ჩრჩილთა და დროთა მიერ“¹.

ამ ძვირფასი საჩუქრის მთლიანად საქართველოში წამოღება გიორგი ავალიშვილმა ვერ მოახერხა, ამიტომ ჩაათვალეირა მთელი კოლექცია და წამოსაღება შეარჩია 11 ხელნაწერი და 4 ნაბეჭდი წიგნი². თამამად შეიძლება ითქვას, რომ გ. ავალიშვილის მიერ გადარჩეული და ჩამოტანილი ხელნაწერები იერუსალიმური კოლექციის საუკეთესო და უძველესი ნუსხებია. ხელნაწერების ასეთი ოსტატური შერჩევა შეეძლო ქართული კულტურის საკითხებში ფართოდ გაცნობიერებულ პირს, რომელსაც ხელნაწერებზე მუშაობის გამოცდილება და ცოდნაც ექნებოდა. ამჟამად ეს ხელნაწერები დაცულია სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აზიის ზალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში.

არაქართული ხელნაწერებიდან გიორგი ავალიშვილმა ჯვრის მონასტრიდან წამოიღო ერთი სირიული და ერთი სომხური ხელნაწერი. სირიული ხელნაწერი ამჟამად დაცულია ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის საჯარო ბიბლიოთეკაში. ამ ხელნაწერს, ისევე როგორც ქართულ ხელნაწერებს, წარწერილი აქვს გიორგისვე ხელით: „ჩუჲ, აპრილის დ მივიღე წიგნი ესე ასსირიულსა ენასა ზედა ნაწერი, რომლისაცა სახელი ვერ ვჰსცან, იერუსალიმის ჯვრის ამალღების მონასტრიდამ ბრძანებითა წმიდისა პეტრას მიტროპოლიის მისაელისა და სრულიად კრებულის მისისა ნებართვითა თავადმან გიორგი ავალოვმან“³.

გიორგის მიერ ჩამოტანილი სომხური ხელნაწერის კვალს ვერ მივაკვლიეთ. სირიული და ეთიოპური ხელნაწერები, როგორც ზემოთ ითქვა, გიორგიმ შესწირა საიმპერატორო საგანძურთა საცავს. ქართული ხელნაწერები კი მან თავისთან დაიტოვა და ერთხანს მათ ვერ ელეოდა. მაგრამ იმის შემდეგ, რაც საქართველოში დაბრუნებაზე იმედი გარდაიწყვიტა და ვერც სამსახურში მოეწყო, განიზრახა მათი გაყიდვა.

იერუსალიმურმა ხელნაწერებმა ჩამოტანის უმაღლვე მიიპყრო ქართული კულტურის ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ პირთა ყურადღება⁴. 1830-იანი წლებისათვის ამ კოლექციის სია-აღწერილობა მოსკოვიდან პეტერბურგში გაუგზავნეს აკად. ფრენს⁵. ფრენმა კი გადასცა მარი ბროსეს, რომელმაც ეს სია

¹ ნ. ჩუბინაშვილის იერუსალიმში მოგზაურობის დროს ჯვრის მონასტერში იყო 200 ხელნაწერი. ამაზე მეტი იქნებოდა გ. ავალიშვილის იქ ყოფნის დროს.

² „მგზავრობა“ გვ. 213.

³ ეთიოპური ხელნაწერი მისაელ მიტროპოლიტმა ცალკე აჩუქა გ. ავალიშვილს. იხ. „მ გ ზ ა ე რ ო ბ ა ა“, გვ. 211.

⁴ ხელნაწერის აღწერილობა იხ.: Н. В. Пигулевская, Каталог сирійских рукописей Ленинграда: Палестинский сборник, вып. 6 (69) გვ. 113—116.

⁵ ე. მეტრეველი, დსახ. ნაშრომი, გვ. 255.

⁶ Р. Орбелин, Грузинские рукописи Института Востоковедения АН СССР, вып. 1, გვ. 160.

გამოაქვეყნა, როგორც ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის საინტერესო მასალა¹.

ხელნაწერების გაყიდვის მიზნით გ. ავალიშვილმა ისინი პეტერბურგში გადაგზავნა. 1841 წელს ხელნაწერები შეიძინა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიამ². გაყიდულ ხელნაწერთა შორის, გარდა იერუსალიმიდან ჩამოტანილია, იყო აგრეთვე რამდენიმე სხვა ხელნაწერი გ. ავალიშვილის ბიბლიოთეკიდან. მათ შორის ვახტანგ VI-ის ავტოგრაფული ხელნაწერები. ხელნაწერების ავალიშვილისეული კოლექცია დღესაც უძვირფასესი ნაწილია აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ქართულ ხელნაწერთა ფონდისა.

გ. ავალიშვილი რომ მეტად ძვირფასი, უნიკალური ხელნაწერების შემგროვებელი და მფლობელი იყო, ამას ადასტურებს კიდევ სამი ხელნაწერი მისი ბიბლიოთეკიდან. ერთია—საბა ორბელიანის ავტოგრაფული ლექსიკონი (ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერი № 300), რომელზედაც წარწერილია: „ეს წიგნი ამოღებულია ხელნაწერ წიგნებიდან გ. ავალიშვილისა“. მეორეა—ოსებ სააკაძის „დიდმოურავიანის“ ავტოგრაფი (S—16), რომელიც ავალიშვილს ასტრახანში შეუძენია. ხელნაწერზე წარწერილია: „კნიაზ იაგორა ავალიშვილისაგან ნაყიდი ხუთ აბაზად და შესაკრავად მისცა სამი აბაზი“ (10 გვ.). გ. ავალიშვილის საკუთრება ყოფილა აგრეთვე მამუკა ბარათაშვილის ავტოგრაფი („ჯიმშედანი“, S—1731), ალბათ, რუსეთში მოპოვებული.

მოსკოვში ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე გიორგი ავალიშვილს არ შეუწყვეტია კავშირი პეტერბურგის ქართული კოლონიის წევრებთან. მუდმივ თანამშრომლობდა გიორგი მარი ბროსესთანაც.

აკად. მ. ბროსეს ქართველოლოგიურ შტუდიებში „ვეფხისტყაოსანს“ დიდი ადგილი ეკავა. პეტერბურგში ჩასვლისთანავე ის შეუღდა „ვეფხისტყაოსანს“ გამოცემისათვის სამზადისს. ამისთვის ის დაუკავშირდა დ. ჩუბინაშვილსა და ზ. ფალავანდიშვილს. გამოცემლებმა წინასწარ დაბეჭდეს და დაგზავნეს გამოცემის პროგრამა, სადაც ჩამოაყალიბეს გამოცემის მიზანი: „მიზეზნი ესე აღგვძურენ ჩუენ, რათა ახლად აღვბეჭდოთ „ვეფხისტყაოსანი“, რომლისა საფუძვლად გვექნება მეფის ვახტანგის დაბეჭდილნი, გარნა მეორედ გამართული ძველთა ხელნაწერთა თანა, რაოდენთაც შევიძლებთ პოვნასა საქართველოსა ანუ რუსეთსა შინა და მით მივხალხებთ ნამდვილს“³.

პროგრამას გამოეხმაურა გიორგი ავალიშვილიც. მან კომისიის წევრის ზაქარია ფალავანდიშვილის სახელზე გაავზავნა მის მიერ ჩასწორებული ვახტანგისეული რედაქციის „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი და წერილი, სადაც ჩამოაყალიბა თავისი თვალსაზრისი „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემაზე⁴.

¹ Element de la langue géorgienne par M. Brosset Jeune. Paris, 1837, გვ. IX.

² რუსეთში მცხოვრებ ქართველთა ერთი ნაწილი ცუდად შეხვდა იერუსალიმიდან ჩამოტანილი ხელნაწერების გაყიდვის ფაქტს. მოსკოვში ყოფნის დროს ტარასი არქიმანდრიტს ხელთაჰქონია გიორგისეული ხელნაწერები, შეუსწავლია ისინი, შეუდგენია მათი სია და გადმოუწერია ანდერძები. ერთ-ერთი ანდერძის ბოლოს კი მიუწერია: „ეს ანდერძები რომ აღესწერე, მაშინ ეკითხე გიორგი ავალიშვილს: ამდენ წყევსა და შეჩვენება რომ სწერია, როგორ გაბედე ამ წიგნების მონასტრიდამ გამოტანა მეოქვი? მან მომიგო: მე რა ვქნა, ვინც მომცა, იმაზედ მივიღეს წყევლა“.

ქართველმა თავადისშვილმა ქართველთა მონასტრიდამ ქართული წიგნები გამოიტანა და მოსკოვს ფრანკლენს მიჰყიდა უსენილდომ. ა. ტარასი* (თ. უ რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, გვ. 201, სქოლიო 2. მხ. აგრეთვე: ა. ცაგარის კრებული—ხელნაწერი A—1767, № 21).

³ მხ. ე. მეტრეველის დასახ. წერილი, გვ. 249.

⁴ იქვე, გვ. 249—250.

სიციცხლის ბოლო წლებამდე გიორგი ავალიშვილი ჩაბმული იყო იმ დიდ სამეცნიერო და ლიტერატურულ საქმიანობაში, რომელიც გაჩაღებული იყო პეტერბურგისა და მოსკოვის ქართველ ემიგრანტთა შორის. ამ საქმიანობას შთააგონებდა სამშობლოს მოწყვეტილი ქართველების დიდი სურვილი საქმით გამოსდგომოდნენ თავის ხალხს: გაემდიდრებინათ ქართული ლიტერატურა ახალი თარგმანებით და ეზიარებინათ ქართველი ხალხი ევროპასა და რუსეთში გავრცელებულ ახალ საზოგადოებრივ და ლიტერატურულ მიმდინარეობებს. მეორე მხრით, გამოეცინებინათ და ხელმისაწვდომი გაეხადათ მეცნიერული წრებისათვის ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, შეეკრიბათ ქართველ ემიგრანტთა ოჯახებში დაცული ქართული ხელნაწერები, შეექმნათ ნიადაგი მათი სისტემატიზაციისა და შესწავლისათვის, რათა ამ გზით რუსეთისა და ევროპის სამეცნიერო და ლიტერატურულ წრეებს შესაძლებლობა ჰქონოდათ გაცნობოდნენ ქართველ ხალხს, მის ისტორიულ წარსულსა და კულტურას.

ქართველ მოღვაწეთა ამ პლეიადში გიორგი ავალიშვილს თავისი საპატიო ადგილი ეკავა, მაგრამ პირველ რიგში ის მაინც ცნობილი იყო როგორც მთარგმნელი.



XVIII ს. მეორე ნახევარში, განსაკუთრებით კი XIX საუკუნის დამდეგიდან, ინტერესი რუსული და ევროპული კულტურისადმი ქართველთა შორის საგრძნობლად გაიზარდა. ამასთან დაკავშირებით გაიზარდა მოთხოვნილება თარგმნილ ლიტერატურაზე. გამრავლდა მთარგმნელების რიცხვი. ამ პერიოდის მრავალრიცხოვან მთარგმნელთა შორის გ. ავალიშვილი ყველაზე პროდუქტიული და, თარგმნილი ლიტერატურის რეპერტუარის თვალსაზრისით, ყველაზე მრავალხრივი მთარგმნელი იყო. სამისოდ მას განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობებიც შეექმნა ცხოვრების მანძილზე: რუსული ენის ჩინებული ცოდნა და რუს და ქართველ მწერლებთან და კულტურის მოღვაწეებთან ხანგრძლივი ურთიერთობა პეტერბურგსა და მოსკოვში.

თარგმნიდა გიორგი ყველგან: მოსკოვში, პეტერბურგში, თბილისში, გორგიექის ციხეში, მოგზაურობის დროს.

სამწუხაროდ გ. ავალიშვილის ორიგინალური და მთარგმნელობითი შემოქმედება სათანადოდ შესწავლილი არ არის. ჩვენ ამ საკითხს ვეხებით გაცივრით, იმისთვის რომ ზოგადი წარმოდგენა შევექმნათ მკითხველს „მგზავრობის“ ავტორის ლიტერატურული მოღვაწეობის ხასიათზე, ლიტერატურულ ინტერესებსა და გემოვნებაზე.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარი და XIX საუკუნის დამდეგი ევროპაში. სოციალურ-პოლიტიკური რევოლუციებისა და საზოგადოებრივ-ფილოსოფიურ აზროვნებაში დიდი ძვრების ეპოქაა. ამ დროისათვის ევროპული და რუსული განმანათლებლობა უკვე დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის ფაქტი იყო, რომელმაც შეარყია საუკუნეების მანძილზე შემუშავებული წარმოდგენები სახელმწიფოზე, მონარქიაზე, რელიგიაზე, ადამიანთა საზოგადოებაზე, მორალზე, მართლსაწულეობაზე და გზა გაუკავა ახალ ძალებს, რომლებიც ცხოვრების ყველა სფეროში გარდაქმნებს მოითხოვდნენ.

ამ ორი ეპოქის მიჯნაზე ევროპაში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ძველი და ახალი ლიტერატურული მიმდინარეობები და სტილები: კლასიციზმი თავისი რაციონალურ-ნორმატიული სახით და სანტიმენტალიზმი—სამყაროს ცენტრში ცერმობიერი ადამიანით. ამის გვერდით და პარალელურად, სანტიმენტალიზმის წიაღშივე, უკვე გზას იკაფავდა რომანტიზმი ახალი ესთეტიკურ-

ლიტერატურული მოთხოვნები, რომელიც ხელოვნების ყველა სფეროში შეიქმრა და ხელოვნებისა და ლიტერატურის უდიდესი აღმავლობა გამოიწვია.

ანალოგიური ვითარება იყო რუსეთში: „Сочетание, борьба, переплетение и столкновение традиций классицизма с растущими элементами сентиментализма и предромантизма составляют характерную особенность литературы 1770—80-х годов“¹. XIX საუკუნის ოციანი წლებიდან კი სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდა რუსი რომანტიკოსებისა და რეალისტების ბრწყინვალე პლეადა.

გონებრივი დუღილისა და სხვადასხვა, რიგ შემთხვევაში ერთმანეთის გაგამორიცხავ ლიტერატურულ მიმდინარეობათა და სტილების თანაარსებობისა და ბრძოლის პერიოდში მოუხდა რუსეთში ცხოვრება და მოღვაწეობა გ. ავალიშვილს. ევროპულსა და რუსულ ლიტერატურას კარგად გაცნობილი, გ. ავალიშვილი თავის დროის ლიტერატურულ და ფილოსოფიურ-ესთეტიკურ მოთხოვნილებათა კურსში იყო, მაგრამ ჰქონდა თუ არა მას გააზრებული თავის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ესთეტიკური კონცეფცია, ამის თქმა ძნელია, ვინაიდან დღეისათვის საკმარისად არ არის შესწავლილი გ. ავალიშვილის ორიგინალური თუ ნათარგმნი ლიტერატურული პროდუქცია. ზოგადი გაცნობით მიღებული შთაბეჭდილება კი ასეთია, რომ სათარგმნი მასალას შერჩევის დროს გიორგი არ ხელმძღვანელობდა რაიმე ესთეტიკურ-ლიტერატურულ პრინციპით და უფრო სტიქიურად მისდევდა რუსეთში გავრცელებულ ლიტერატურულ მოდას. ორიგინალურ თხზულებებში კი, ლიტერატურული ჟანრისა თუ ლიტერატურული ფორმის შერჩევის დროს, ის ამყვანებდა მიდრეკილებას ხან კლასიციზტური, ხან კი სანტიმენტალური სტილისაკენ (იხ. ეპისტოლარული ჟანრის „ამჟოება“, S—1520).

გ. ავალიშვილს, ისევე როგორც სამშობლოს მოწყვეტილ სხვა ქართველ ემიგრანტებს, თავის უპირველეს ვალდებულებად მიიჩნდა თარგმანებით ეზიარებინა ქართველი ხალხი რუსეთისა და ევროპის მეცნიერულ და ლიტერატურულ მიღწევებისათვის, რათა ამ გზით აემაღლებინა ქართველი მკითხველის ზნეობისა და ცოდნის დონე. განსაკუთრებით ეტანებოდა გიორგი მორალისტური და საყოფაცხოვრებო ხასიათის ნაწარმოებებს, რომანებს. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ევროპასა და რუსეთში ფეხს იკიდებს და ვრცელდება რომანი, კლასიციზტური ლიტერატურისათვის სრულიად უცხო ჟანრი². შეიძლება ითქვას, რომ ქართველი მკითხველი XVIII საუკუნის ფრანგულ და რუსულ რომანებს პირველად გ. ავალიშვილის თარგმანებით ეცნობა.

ცნობილი ფრანგი მეიჯავისა და მორალისტის ფლორიანის რომანის „ნუმა პომფილიის“ თარგმანის წინასიტყვაობაში 1795 წელს გიორგი წერდა: „ვინაჲთგან სიყვარული და შეკრულება თვისისა მამულისად აღვიძებს კეთილად მგრძნობელთა ერთა, რათამცა ნაყოფთა თუსთა გამოღებთაჲ ჰმსახურონ მამულსა და უმეტესად თავსაცა თუსცა, ამისთჳს მე, ახალ ნურგ-ნაყოფთაჲმენამან სწავლათა შინა, ვიწყე შურის-გებაჲ სხვათა ენათად, რომელ ვხედედი მრავალთა ისტორიათა დაწერილთა თჳს შორის ტყობილთა და ეგრეთეჲ მკითხველთაცა, არა თენიერ ტყობის დამტყვებელთა, რომელნიცა ერჩნდნენ მათ. გარდმოვიღე წერის-თჳს შორის ათორმეტისა კარისა მპყრობელი, რომელთაცა შინა ცხად არიან:

¹ История русской литературы, т. IV, ч. II, изд. АН СССР, 1947, гл. 35.

² А. И. Кузьмин, К истории переводного плутовского романа в России XVIII в.: „Роль и значение литературы XVIII века в истории русской культуры“; XVIII в.; сборник 7, 1966, гл. 194.

სიყვარულნი ღმრთისადმი, კაცთმოყვარებანი, დიდსულობანი, ბედნიერებანი, უბედურობანი, დიდნი ბრძოლანი და აშოკობანი, და სხვანიცა ესეგვარნი მრავალნი. ვიცი, ვითარმედ, ზემოხსენებულთა ამთ ვითარებათა ცნობათათჳს მსურველნი მოცალეობისა უამსა კეთილსათნოებითა ჳერ-იჩინებთ წარკვითხვასა ამისსა, და უფროს ამისთჳს ოდენ, რომელ ჳართულსა ენასა ზედა ესე პირველი არს და არა არს სხვა თჳნიერ ამისა¹.

გ. ავალიშვილის თარგმანებმა დიდი რაოდენობით მოაღწია ჩვენამდე. 28 დასახელების შემკველი გიორგის თარგმანთა ერთი სია აღმოჩნდა აკად. მ. ბროსეს არქივში². მას თუ შევაესებთ უკანასკნელი წლების თარგმანებითაც, საკმარისი სისრულით წარმოგვიდგება გ. ავალიშვილის თარგმანთა მრავალფეროვანი რეპერტუარი. აჳ არის ფრანგი პოპულარული რომანისტების—ფლორიანის (ბროსეს სიის მიხედვით №№ 2 და 5), ჟანლისის (№ 12) და დიუკრე დიუმენილის (№ 14) რომანები, სუმაროკოვის კომედიები, ხერასკოვის რომანები, ერაზმ როტერდამელის, თეოდორე ემინის, ფენელონის, დერაჳიანის, ლომონოსოვის, ვოლტერის³, მილტონის, შპისის, ზარატონ აფროდიტელის და სხვათა თხზულებები⁴.

სიცოცხლის ბოლო წლებში⁵ გიორგი ავალიშვილი დაეწაფა სასულიერო ზასიათის სულისმარგებელ წიგნებს. 1846 წელს მან თარგმნა თეოდორე ემინის „გზაჳ ცხოვნებისადმი“, რომლის ანდერძში ის წერს: „ყოველნი მართლმადიდებელნი ჳრისტიანენო! გარდმომები როსიის ენით ჳართვეულსა ზედა სასულიეროსა წიგნისა ამის, არა თუ მპხოლოდ სულისათჳს ფრიად სასარგებლოჳსა, არამედ ჳორცილსათჳს, დროსა ათორმეტ წელობითისა ჩემისა სნეულებისასა, რომელცა ვიყავ თუითჳემის ყოველთა სნეულებათაგან ჳყარობიდა და მასთანაჳ სიძჳსლითა წელთათა დამჳკცოვნებულ, თუალთა ხედვისა მოკლებულ და უფროს ყოვლისა ცოდვათა მიერ დამძიმებულ, უმდაბლესად ვითხოვ წარმკითხველთა მიერ გარდაწერასა ამისსა განჩივეულითა ასოებითა...“ (ხელნაწ. S—408, გვ. 155).

1838 წელს გიორგიმ დაწერა სინანულის წიგნი „ჳმა ცოდვილისა“ იამბიკოდ თჳმული, რომელიც წარმოადგენს ცოდვათა მონანიებას და შენდობის ვედრებას თავისა და თავის მეუღლისათვის.

გ. ავალიშვილი ავტორია ემიგრანტული სულისკვეთებით დაწერილი ლირიკული ლექსებისაჳ. იგი მიჩნეულია ამავე დროს ჳართული დრამატული ლი-

¹ ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი H—456, 5r—v.

² მოგვაყვს სია სრულად: 1. Постоянная любовь Евдона и Берфы, 2. Нума Помпильи, 3. Сетующий Алоизо, 4. Ленб-кучер, 5. Гонзав Кордуанский, 6. Верный Колоандр, 7. Кадм и Гармониа, 8. Полидор, сын Кадма и Гармонии, 9. Доддо, 10. Письма перуанские, 11. Виктор, 12. Осада Ларошель, 13. Султанша Соломонида, 14. Лолота и Фанфан, 15. Терезина добродетельная снциянка, 16. Дворянская грамота, 17. Евдокия, дочь Велизара, 18. Старик везде и нигде, 19. Рудольф фон Вестенбург, 20. Задиг, 21. Керей и Каллироя, 22. Человек в сорок талеро, 23. Бедный Егор, 24. Потерянный и возвращенный Рай, 25. Страдание Иисуса Христа, 26. Акафист, житие и страдание Варвары, 27. Христианин, воин Христов, 28. Десндерия. (აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერთა ფონდი, მ. ბროსეს არქივი, № 264). ნაწილა აჳ დასახელებული თარგმნებისა ჳერჯერობით მიკვლული არ არის.

³ გიორგი ავალიშვილი თარგმნიდა ვოლტერს, თუმცა ვოლტერიაელი ის არასდროს არ ყოფილა.

⁴ გ. ავალიშვილის თარგმანებზე იხ. ტრ. რუხაძე, ჳართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVIII სს. თბ., 1860.

⁵ გარდაიყუალა გ. ავალიშვილი 1850 წ., დასაფლავებულია ვესსიკატსკოეში (ტრ. რუხაძე, ჳართული ეპოსი..., გვ. 168).

ტერატურის ფუძემდებლად¹. მას მიეწერება ორიგინალური დრამა „მეფე თეიმურაზ“, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია².

ავალიშვილის თარგმანებს, ჩანს, დიდი მოწონება ჰქონდათ, როგორც ემიგრანტ, ასევე ადგილობრივ ქართველ მკითხველთა შორის. ამას მოწმობს ხელნაწერებში კანტიკუნტად შემორჩენილი ცნობები.

გიორგი ავალიშვილმა თავისი ცნობილი კრებული, სადაც მისი რამდენიმე თარგმანია შეტანილი, უთავაზა დავით ორბელიანს შემდეგი წარწერით: „ბრწყინვალეო თავადო დავით იოანესო ორბელიანო! მსმენმან ბრწყინვალეობისა მიერ თქვენისა თარგმნილთა ჩემთა კითხვის სურვილისა, ვაწინაშე მსახურაჲლად ნამუშავევი ესე ჩემი, რომელსაცა შინა იცუბიან წიგნი: მოჭუტისა ყოველგან და არსად, რუდოლფ ფონ ვესტენბურლისა, კერეისა და კალირიოასის, ზადილისა, ელლელია კლეონას მიმართ, მცირედნი სხვანი და მათთანა ჩემ მიერ თქმულნი გამოცანანი...“ (H—1196).

პეტრბურგსა და მოსკოვში მცხოვრები ბატონიშვილებიც თვალყურს ადევნებენ გიორგი ავალიშვილის მთარგმნელობით საქმიანობას, ზოგჯერ უკვეთავენ კიდევ ამა თუ იმ თხზულების თარგმნას: ასე მაგ. „უბნობანი გამომცდელისა და მორწმუნისა შორის მართლმადიდებლისა ქრისტიანისათვის“ იოანე ბაგრატიონმა ათარგმნინა გიორგის (H—2354, 2v). ბაგრატ ბატონიშვილმა კი გიორგის თარგმნილი „აღსარება სარწმუნოებისა სომეხთა ეკლესიისა“ თავისთვის გადაწახსა (H—2103, 50v).

გ. ავალიშვილის შემოქმედებაში ყველაზე თვალსაჩინო ადგილი უკავია მის „მგზავრობას“. სამოგზაურო მემუარებს, სადაც ავტორს შეეძლო თავისი დაკვირვებების, განცდებისა და ფიქრების გადმოცემა, დიდად დაეწაფნენ ახალი დროის ევროპელი და რუსი მწერლები. გ. ავალიშვილმაც შესანიშნავად გამოიყენა ეს ლიტერატურული ფორმა და თავის დღიურებში გამოაქვინა მოგზაურისათვის საკვლევებლო ფართო განათლება, ინტერესი და ცოდნა როგორც წარსული, ასევე თანამედროვე ცხოვრების ყველა საყურადღებო მხარისადმი. გ. ავალიშვილი ერთნაირი გულისყურით ეცნობა მის მიერ დავლიო ქვეყნების ეკონომიურსა და პოლიტიკურ ცხოვრებას, სოციალურ ყოფას, კულტურას და ყველგან აქვლავნებს ნანახისა და გაგონილისადმი თავის დამოკიდებულებას. ამიტომაც, რომ „მგზავრობას“ დღესაც დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც საქართველოს, ასევე თურქეთისა და ეგვიპტის სოციალ-პოლიტიკური ისტორიისა, ეკონომიკისა თუ ყოფის შესწავლისათვის. ამავე დროს „მგზავრობა“ მდიდარ მასალას შეიცავს გიორგი ავალიშვილის მსოფლმხედველობისა და პოლიტიკური მრწამსის შესასწავლადაც.

II

რამ გადააწყვეტინა გიორგი ავალიშვილს რთული და შორეული მგზავრობა? მოგზაურობის მიზნის დადგენა დაგვეხმარება ამ საინტერესო ძეგლის უკეთ გაგებასა და შეფასებაში.

„დღიურების“ წინასიტყვაობაში მოგზაურობის მიზნად გიორგი ავალიშვილი ასახელებს უცხო ქვეყნების, განსაკუთრებით კი იერუსალიმის ნახვის სურვილს, რომელიც მას ბავშვობიდან ჰქონია: „სიყრმით ჩემითგან ფრიად მბრძდნიან მე სურვილნი ხილუად უცხოთა ქუწყანათა და ერთა, ხოლო უფროს

¹ გ. ლეონიძე, ქართული თეატრის ქრონიკები, „დროშა“, 1925, № 25, გვ. 27—28.

² კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1958, გვ. 694; ტ. რ. რუხაძე, ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, 1949, გვ. 237—39.

ყოველთა მისი, საღიოთა ჯორციელებიან სიტყუამან ღმრთისამან და ქეშმა-
რიტმან ღმერთმან მოგვეფინა ჩუჲნ ნათელი ღმრთავებისა თვისისა¹.

ეს იყო ჩვენი მოგზაურის შინაგანი მისწრაფება, ოფიციალური მიზეზი კი, მისივე თქმით, სხვა იყო: „1818 წელსა, თხოვისამებერ ჩემისა საქართუშლოს უბირუშლისისა მთავრისა, ფრკვიოსანთა ლენერლისა... აღექსი პეტროვიჩისა იერმოლოვისადმი მიღებად ნებისა წარსლჯსათჲს ჩემისა ეგვიპტედ სახესა ქუშუშე რომლისამე მემკვდრეობითისა სარგებლობისასა (გარანა ნამდვლ მოხილუად წმიდათა ადგილთა პალესტინისათა), ვიქმენ მის მიერ წარდგენილ უმაღლესსა კარსა ზედა... იმპერატორისა აღექსანდრე პირუშლისისა².

აქაც მოგზაურობის ნამდვილ მიზეზად გიორგი ასახელებს „წმიდა ადგილთა“ მონილვის სურვილს, ხოლო ოფიციალურ მიზეზად კი ეგვიპტეში სამემკვიდრეო საქმეების მოგვარებას.

მოგზაურობის ოფიციალური მოტივი მეორედება გრაფ ნესელროდესა და გოლიცინთან გაგზავნილ „თხოვნებში“: „Возвратился я из заграницы, неокончив и собственного своего дела, для которого единственно там находился, по приезде моем сюда доставил как вашему сиятельству, так равно и другим особам вверенные мне бумаги и словесные препоручения...“

ამ „თხოვნაში“ გიორგი ავალიშვილი მოგზაურობის ერთადერთ მიზეზად პირადი საქმეების მოგვარებას ასახელებს, თან აღნიშნავს, რომ მათი ბოლომდე მიყვანა მან ვერ მოახერხა. აპრიგად, არავითარი დავალება საგარეო სამინისტროსაგან გიორგის არ ჰქონია. ქალაქდები და ზეპირი ცნობები კი, რომელიც გიორგიმ გადასცა საგარეო საქმეთა კოლეგიას, მოგზაურობის დროს რუს ელჩებთან შეხვედრისა და ურთიერთობის შეშვეობით მიღებული მასალაა და არა რაიმე სპეციალური დიპლომატიური დავალების შესრულების შედეგი. ასე წარმოადგენს ამ ოფიციალურ დოკუმენტში გიორგი ავალიშვილი თავის გამგზავრების მიზეზსა და შედეგს. და ეს, როგორც ჩანს, მართლაც ასე იყო, ვინაიდან გიორგი ამ დროისათვის სრულყოფილ ჩამოშორებულ იყო დიპლომატიურ საქმიანობას. მაგრამ სახელმწიფო ნამდვილი მრჩეველის წოდება, რომელსაც ის ატარებდა, მას გზას უხსნიდა საზღვარგარეთის დიპლომატიური წრეებისაკენ და შესაძლებლობას აძლევდა ბევრი რამ ისეთი გაეგო, რაც ჩვეულებრივი მოგზაურისათვის შეუძლებელი იქნებოდა. ამავე მიზეზის გამო ეგვიპტესა და თურქეთში აკრედიტებული ევროპის კონსულები და თვით ეგვიპტის ფაშა მაჰმად ალიც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ავალიშვილი იყო ჩასული საიდუმლო დავალებებით, რასაც ის მოხერხებულად მალავდა. ეს კი განსაკუთრებულ ინტერესს აღვიძებდა მისდამი როგორც დიპლომატიურ, ასევე მმართველ წრეებში. გ. ავალიშვილმა რამდენჯერმე სცადა გაეჩარწყლებინა ეს ყალბი წარმოდგენა მასზე, მაგრამ ამაოდ. რუსეთის სახელმწიფო ნამდვილი მრჩეველის უმიზნო მოგზაურობა თურქეთში და განსაკუთრებით კი ეგვიპტეში, რომლისაკენაც ამ დროს მიპყრობილი იყო რუსეთისა და ევროპის ქვეყნების ყურადღება, ძნელი დასაყვარებელი იყო. გიორგი ავალიშვილი კი, როგორც ირკვევა, მართლაც სამემკვიდრეო საქმეების მოსაგვარებლად იყო წასული ეგვიპტეში³. თუმცა მოგზაურობი-

¹ „მგზავრობაი“. გვ. 3.

² იქვე, გვ. 4.

³ გ. ავალიშვილი ჭიაროში რომ პირადი საქმეების მოსაგვარებლად იყო ჩასული, ამის შესახებ გაკრით „მგზავრობაშიც“ არის ნათქვამი. ჭიაროში ჩასულ გიორგი ავალიშვილს მაჰმად ფაშამ სადღამოდ თავისი საზღვრული რეზიდენცია შესთავაზა, რაზედაც გიორგიმ ზრდი-

დან რაინე სარგებლობის გამოტანის არც სხვა შემთხვევას უშვებდა ის ხელიდან¹. თავის დღიურებში მან სცადა ეს მეტად პროზაული და უტილიტარული მიზანი გაეკეთილშობილებინა, მიიღო ლეთისმოსავის პოზა და თავის ცხოვრების დიდ ოცნებად „წმიდა ადგილთა“ მოლოცვა გამოაცხადა. მის თანამემამულეთა წრეში კი, პეტერბურგის ქართველ კოლონისტებს შორის კარგად იყო ცნობილი გიორგი ავალიშვილის მოგზაურობის ნამდვილი მიზეზი, რაც „კალმასობაში“ იოანე ბატონიშვილმა გიორგისავე ათქმევინა. იონა ხელაშვილის შეკითხვაზე, თუ რისთვის წავიდა გიორგი ეგვიპტეს, გიორგი პასუხობს: „მე მყუანდა მუნ ბეგი, რომელი ჩემი ყმა იყო. ის მომკვდარიყო და არავენ დარჩა მემკვიდრე, და იმის ქონების ასალეზად წავედი“².

„კალმასობიდანვე“ ეგვიპტელობით, თუ რა წარმატებას მიაღწია გიორგიმ მემკვიდრეობის ძიებაში: იონას შეკითხვაზე—მიიღო თუ არა რაიმე, გიორგი პასუხობს: „არა მომცა რა მუნებურმან ფაშამ... მიზეზი მითხრა ესე, რომ ოდესცა ის კაცი მუსურმანი შეიქმნა, აქ დასახლდა, ბეგობის ხარისხი იშოვა, და ხონთქრის ქვეშევრდომი იყო, მაშინ დაუტევა შენი ყმობა“³.

ეს მართლაც ერთადერთი შესაძლებელი პასუხი იყო გიორგის სამემკვიდრეო პრეტენზიებზე.

ზოგიერთი ფაქტი „მგზავრობიდან“ და გიორგის „თხოვნა“ გრაფ ნესელროდესადმი გვაფიქრებინებს, რომ „კალმასობის“ ცნობები გ. ავალიშვილის ეგვიპტეში გამგზავრების მიზეზის შესახებ მართალი უნდა იყოს.

ამაზე ჩვენ მოგვიხდება უფრო დაწვრილებით შეჩერება, ვინაიდან ეს საკითხი უკავშირდება ეგვიპტის ქართველი ბეგებისა (მამლუკთა) და „ნაქართველართა“ (გამამკვიდრიანებულ ქართველთა—გ. ავალიშვილის ტერმინია) საინტერესო ისტორიას.

ორიოდე წლის წინათ აკად. გ. ლეონიძემ, რომელიც დიდად დაინტერესებული იყო „მგზავრობის“ გამოკვლევებით და თვალყურს ადევნებდა ჩვენს მუშაობას, მიგვითითა რამდენიმე საარქივო დოკუმენტზე, რომლებიც ამ საკითხის გარკვევაში გვეხმარებიან⁴. ეს არის ორი წერილი, გამოგზავნილი ეგვიპტიდან ერეკლე მეორესთან. ორივე დაწერილია 1786 წლის 10 აპრილს, ჩამოუტანია ისინი მანუჩარ კაკაჭიშვილს.

პირველ წერილს იწერება სულეიმან ალა ანაფი ერეკლეს წერილის საპასუხოდ. გულმხურვალე მოკითხვის შემდეგ სულეიმან ალაანაფი სთხოვს ერეკლე მეორეს დაეხმაროს მის ძმას კნუტასშვილ ივანეს, რომელიც ავალიანთ მეითრის შვილის სოლომონის (გიორგი ავალიშვილის ძმის) ყმა არის, რომ სოლომონის მას „დიად უსამართლოდ იმსახურებს“ და მას „გაძლებს ილაჯი აღარ

ლობანი უარი შეუთვალა. ხოლო პირველი ვეზირის შეკითხვაზე, თუ როდის ინებებს გიორგი ფაშის ნახუს, გიორგიმ უპასუხა: „ესეითარი მიღება ჩემი ფაშისა მიერ არ ითხოვების სრულეობით ჩემბარ კერძო მესა კაცისა საკუთარსა საქმესა ზედა თჯსსა მოსლუელი-სა თჯს“ (გვ. 123).

¹ გ. ავალიშვილი ქაიროში პატარ-პატარა ფინანსიურ ოპერაციებსაც არ გაუბრბოდა. მან საგანგებოდ მოაყვანინა დამიეტიდან ქაიროში გურჯ უსუფად წოდებული ფულუაშვილი ოსეფა, რომელიც მისი სახასო გლეხების მოვალე ყოფილა; გარდა ამისა გიორგის მორადადაც ჰქონია მასთან საკუთარი ანგარიშები: „მაქუნდაცა მასთან საკუთარი საქმეჲ“ (გვ. 147).

² იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. II, 1948, გვ. 243—244.

³ „კალმასობა“, გვ. 244.

⁴ დოკუმენტების დედნები დატულია რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივში. ამ დოკუმენტების ფოტოკოპიები ჩამოიტანა და საქ. ცნს არქივს გადასცა პროფ. ა. ოთხლიანმა. ჩვენ ვსარგებლობთ ფოტოკოპიებით.

აქვს¹; თან დასძენს: „ამ წყალობას ვითხოვთ, რომ მაგ ქვეყნიდამა არ დაჰკარგონ. ჩვენის ხათრისთვისა თუ ამ მოწყალებას მიიღებთ და მაგათის ყმობილად გამოიყვანთ და თქვენს სახასო ყმათ დასწერთ თავის მამულ-დედულითა, რომ საქრისტიანოდამ არ დაიკარგოს, ჩვენც ღმრთისა და თქვენს დოვლათითა მაგის მაგიერს სამსახურს შევიძლებთ, რომ გადავიხადოთ. მართალი არს, ახლო კი არ ვახლივართ, რომ ჩვენი სამსახური თქვენმა კეთილმა თვალიმა ნახოს, მაგრამა ამ ქვეყანაშია და თქვენის წიგნითა და ან თქვენის ბძანებითა მოსულან. ჩემს მეტი საქმის გამრიგე, ყურის მიმგდები არავინ გხლებიათ. ან ამ მისირილად ამთონი ტყვე მოდის, სულ წიგნის ამრთმევი და ხარჯის მიმცემი და გამგზავნელი ჩვენა ვართ, რომ ერთს ტყვეს აქედამ არ გამოუშვებენ, თუნდ... და მოგახსენდებათ ჩვენი სამსახური, თორემ... ერთგული ყმა მანუჩარიც გვახლებათ და პირით... მოგახსენებს ჩვენს ერთგულობას“².

მეორე წერილს იწერება სახელოვანი მამულეთა ბელადი ქართველი იბრეიმ ბეგი. მოგვყავს ეს წერილი სრულად:

„ქართლისა და კახეთის მეფეს ერეკლეს!

თქვენის სიკეთის და კარგათ ყოფნის დიდათ მდომე და მონატრე მისირის შიხ ბელადი იბრეიმ ბეგი... თქვენის ამალეებულის თავის საკადრის მოკითხვას მოგახსენებთ. მერმე თქვენი წიგნი მოგვივიდა მანუჩარ კაჰკაჰისშვილის ხელთა. დიდათ მადლობელი ვახლივართ, რომ თქვენს წიგნსა და ამბავს არ გვაკლებთ. მერმე ამას მოგახსენებთ და ჩვენი სავედრებელი ეს არის თქვენს წინაშე, რომ ჩვენს მამისდასშვილს სულეიმან ალას შუა მღველნი ვართ თქვენთანა, რომ ამის ძმა კნუტისშვილი ივანე ავალიანთ მეითარი ივანეს შვილის სოლომონის ყმა ვახლავსთ. გვესმე, რომ ძალასა და უსამართლოს ატანს. ამ სოლომონის ყმობიდან გამოიყვანოთ თავის მამულ-დედულითა და თქვენი სახასო ყმათ ვახლოთ, დიდად მადლობელი ვახლდები. ამის მაგიერი სამსახური ჩვენც უმეტესათ გვიბძანოთ. ვიცით თქვენის კეთილმოწყალებისაგან, რომ ჩვენს შუამდგომლობას და წერილს მიიღებთ“³...

ამრიგად, ეგვიპტის ორი გავლენიანი პირი—მისირის შიხ ბელადი⁴ იბრეიმ ბეგი და სულეიმან ალა ანაფი სთხოვენ ერეკლეს, რომ მან დაიხსნას სულეიმან ალა ანაფის ძმა იოანე კნუტისშვილი სოლომონ ავალიშვილის ყმობისაგან. მარტყოფელი კნუტისშვილები ავალიანთა ყმები ყოფილან. იბრეიმ ბეგის ნათესავი სულეიმან ალა ანაფი კნუტისშვილი, ეტყობა ტყვედ ჩავარდნილი, ეგვიპტეში გაუღვივიათ, სადაც ის გავლენიანი მამულევი გამხდარა. თავის უფლებებსა და გავლენას იბრეიმ ბეგი და სულეიმან ანაფი ეგვიპტეში გადახვეწილ ქართველთა დასახმარებლადაც იყენებდნენ.

XVIII საუკუნის ეგვიპტის ისტორიაში იბრეიმ ბეგი თვალსაჩინო პიროვნება იყო. უკანასკნელი დროის გამოკვლევებით ცნობილი ვახდა, რომ ის ყოფილა კახელი მარტყოფელი აბრამა შინჯიკაშვილი⁵. იოანე ბატონიშვილი თავის „კალმასობაში“ საგანგებოდ ჩერდება ეგვიპტის მამულეებზე და კერძოდ იბრეიმ ბეგის პიროვნებაზე. მისი სიტყვებით, მამულეთა შორის „უპირველესი ბეგი იყო უკანასკნელთა დროებათა შინა მარტყოფელი კახელი შინჯიკაშვილი აბრამა, იბრეიმ

¹ საქ. ცსსა, ფ. 1449, № 2889. „მგზავრობა“-ს მიხედვით არც გ. ავალიშვილს აკლდა თავდური გულგზავლობა და სისასტიკე თავის წსახურებთან დამოკიდებულებაში.

² წერილი ა-მეტია. ზოგი ადგილი ფოტოპირში არ იკითხება.

³ საქ. ცსსა, ფ. 1449, № 2890.

⁴ შიხ ელ-ბელადი.

⁵ გ. ბე-მამიკიანი, ქართველი მამულევი ეგვიპტის სუვერენიტეტის აღდგენისათვის ბრძოლაში: „მნათობი“, 1957, № 9, გვ. 128, სქ. 4.

ბეგად წოდებული, და ერჩინენ მისირელი და სხვანი ადგილნი. და აგრეთვე ისხდნენ კუხალად კახეთილად და იმერეთილად და აკარგულნი ტყეები ბეგებად და ქეშიბებად, რომელსა შინა განწესდა მსჯულად: თუ არა ტყვე ქართველთაგანი, სხვა ვერა მიიღებდა ბეგობას¹.

იქვე სქოლიოში იოანე წერს იბრემ ბეგის ურთიერთობაზე ერეკლესა და გიორგი XII-სთან: „იბრემ ბეგ დიდი ერთგული და მოსიყვარული იყო თვსთა საქართველოს მეფეთა—ირაკლისა და გიორგისა, რომელიცა ყოველთვის ძღვნიდა მუნებურთა არმაღანთა და ეგრეთვე ამდიდრებდა მუნ მიმოსლულთა ქართველთა. ეგრეთვე სხვანი ბეგები ეწეოდნენ ყოველთა მუნ მისრულთა ქართველთა“².

აგრეთვე, მამლუქთა შინ ბელადი, ეგვიპტის განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაური, სახელმოხეველი იბრემ ბეგი, ისევე როგორც სულეიმან ალა ანაფი კნუტისშვილი, მარტყოფელი გლეხი ყოფილა, ნათესავი სულეიმან ალასი, საფიქრებელია აგრეთვე, ტყვედ ჩაყარნილი და მისირს გაყიდული. მარტყოფი კი ავალიშვილების მამული იყო. ამიტომ საესებით დასაშვებია, რომ სულეიმან ალას ნათესავი მარტყოფელი შინჯიკაშვილი აბრამაც ავალიშვილების ყმა ყოფილიყო.

იბრემ ბეგს „წილად ზედა შესულიყო დიდ ფიგურად ეგვიპტეში მამლუკების ბატონობის უკანასკნელი ათეული წლების ისტორიაში“³.

სულთან სულეიმანის მიერ ქაიროს დაპყრობის დროიდან (1517 წ.) ეგვიპტის სახელმწიფო სუვერენიტეტის აღდგენისათვის სხვადასხვა სახისა თუ მასშტაბის ბრძოლა არ შეწყვეტილა, ჩვეულებრივ ეს ბრძოლები ძალთა უთანასწორობის გამო თურქეთის ფაშის გამარჯვებით მთავრდებოდა⁴.

პირველ დიდ წარმატებას ამ მიმართულებით მიიღწია და ქვეყანას ხანმოკლე დამოუკიდებლობა (1769—1772 წწ.) მოუპოვა „თამამა რეფორმატორმა ალი ბეი ელ-ქებირმა, ბელადმა ქვეყნის იმ მმართველი ფეოდალური მამლუკების ზედაფენისა, რომელიც თუ მთლიანად არა, ძირითადად მაინც ქართული იყო“⁵.

ალი ბეისთან მებრძოლ ქართველთა შორის იყო იბრემ ბეგიც, მარტყოფელი კახელი, რომელსაც ალი-ბეის გარდაცვალების შემდეგ არ შეუწყვეტია ფიქრი ეგვიპტის განთავისუფლებაზე.

ქაიროს თავკაცი იბრემ ბეგი, ისევე როგორც ალი ბეი, თურქეთის ფაშის წინააღმდეგ ბრძოლაში დასაყრდენს რუსეთში ეძებდა.

ერეკლე მეორის მკიდრო ურთიერთობა იბრემ ბეგთან, რა თქმა უნდა, მარტო არმაღანების მიღებისა და ეგვიპტეში გაყიდულ ქართველების ბედის შესწავლების სურვილით არ იყო ნაკარნახევი. ქართველ მამლუკებთან კონტაქტი პოლიტიკურსა და დიპლომატიურ მიზნებსაც ემსახურებოდა. ამ გზით ერეკლეს შეეძლო კარგი სამსახური გაეწია რუსეთის დაზვერვისათვის ეგვიპტესა და აბაშეთში. რაც, როგორც ჩანს, ხორციელდებოდა კიდევ რუსეთის შტაბში მყოფ ქართველების მიერ. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოდ გვეჩვენება რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივში დაცული წერილი ქართულ ენაზე, რომლის აღრესატი არ არის ცნობილი⁶.

¹ იო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, კალმასობა, ხელნაწერი H—2170, 65რ.

² „კალმასობა“, იქვე.

³ გ. ბ ე ი - მ ა მ ი კ ო ნ ი ა ნ ი ს დასახ. ნაშრომი, გვ. 128; დ. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე, ხონთქრის ფორქეთის წინააღმდეგ სახალხო განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან: „მნათობი“, 15:58, № 8, გვ. 151.

⁴ გ. ბ ე ი - მ ა მ ი კ ო ნ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 125.

⁵ ი ქ ვ ე, გვ. 126.

⁶ საქ. ცსსა, ფ. 1449, № 2888 (ფოტოპირი).

ამ წერილის მიხედვით პორუჩიკი მაქსიმ კაკაკიშვილი კისრულობს გა-
მგზავრებას ეგვიპტეში (სადაც ის ადრეც რამდენჯერმე ყოფილა), იქიდან
აბაშეთში რუსეთის საიდუმლო დავალების შესასრულებლად (აბაშეთის
მეფის ნახვა და იქიდან აბაშეთის ელჩის წამოყვანა ისე, რომ ამის შესახებ
არაფერი გაიგოს თურქეთის დაზვერვამ). დასახული გეგმის განხორციელებას
მაქსიმ კაკაკიშვილი ფიქრობს ქართველ მამულეთა და კერძოდ იბრემ ბეგის
დანხარებით.

წერილიდან აშკარაა ისიც, რომ რუსეთის საიდუმლო დაზვერვის დავალე-
ბას პორუჩიკი ღებულობს წერილის ადრესატისაგან, რომელთანაც მიწერ-
მოწერა ქართულად წარმოებს. მოყვანილი ფაქტებისა და მიმართვის ფორმის
მიხედვით წერილის ადრესატი ერეკლე მეორე უნდა იყოს, ხოლო წერილის
თარიღი 1785 წელი¹. საფიქრებელია, რომ მაქსიმ კაკაკიშვილი იგივე მინჯიარ
კაკაკიშვილია, რომელმაც ერეკლეს ჩამოუტანა ეგვიპტიდან იბრემ ბეგისა და
სულეიმან ალა ანაფის წერილები. ამრიგად რუსეთის დაზვერვის დავალებებს
ეგვიპტესა და აბაშეთში პორუჩიკი კაკაკიშვილი ღებულობს ერეკლე მეორის
საშუალებით.

ქართველ მამულეთა თავკაცების მოღვაწეობა, ეტყობა. კარგად იყო ცნობი-
ლი გ. ავალიშვილისთვისაც. ძნელია იმის თქმა, თუ ვისგან მოელოდა გიორგი
ავალიშვილი მემკვიდრეობას—იბრემ ბეგისაგან, რომელიც მაჰმად ალისაგან
ღვენილი 1816 წელს გარდაიცვალა დონგოლაში², თუ სულეიმან ალა ანა-
ფისაგან, რომლის შესახებაც არაფერი ვიცით. მგზავრობის ერთი ცნობა
კი გვაფიქრებინებს, რომ გვალენიანი და შეძლებული ყმა-ყოფილი გლეხები,
რომელთა მემკვიდრეობაზე გიორგის შეიძლება თვალი სჭეროდა, ეგვიპტეში
სხვებიც იყვნენ, მაგრამ მათი ქონება და მამულები, ისევე როგორც დახოცილ
თუ ცოცხლად გადარჩენილ მამულეებისა, მაჰმად ალის მფლობელობაში იყო
გადასული. ასე მაგ. ჭიროდან იერუსალიმისაკენ მიმავალმა გიორგიმ ეგვიპტის
სახლდარზე გაიარა სოფელი ჰგურელი, რომელიც ადრე ნორიოელ ტაბლია-
შვილს ეკუთვნოდა, შემდეგ კი მაჰმად ალიმ დაისაკუთრა: „აქედამ წარმოსლ-
ვეულთა ვიარეთ ექსეკამ-ნახევარი და დავსდევით ნორიოელისა ტაბლიაშვილის
ჰუსეინ ალას სალიისად ყოფილსა სოფელსა ჰგურელსა და აწ მაჰმად ალი ფა-
შისასა“ (გვ. 177—178)³. ტაბლიაშვილები კი ავალიშვილების ყმებდ ითვლე-
ბოდნენ. ამგვარი ნაქართველარები ეგვიპტეში ალბათ სხვებიც იყვნენ.

მემკვიდრეობის მიღება რომ გიორგის მოგზაურობის ერთ-ერთი მთავარი
მიზანი იყო, ამაზე აშკარად მეტყველებს გიორგის თანამგზავრთა (ყმათა და
მსახურთა) შემადგენლობაც.

გიორგი ავალიშვილმა მოგზაურობაში თან წაიყვანა შვიდი მსახური. ამ
შვიდი კაციდან სამს აღმოაჩნდა ნათესავეები ეგვიპტეში. ესენი არიან: გლახა
კნოტისშვილი, სვიმონ ტაბლიაშვილი და იესე შოშიაშვილი. სამივე მსახური
გიორგიმ, რა თქმა უნდა, საგანგებოდ შეარჩია. ამ სამში, პირველ რიგში, ყურად-
ღებას იპყრობს გლახა კნოტისშვილი, რომელსაც აღმოაჩნდა გამაჰმადიანებული
ბიძა ანდრია კნოტისშვილი, იგივე მიჰმად ალა მუსტოფა ჭაია რაზა, რომელიც
ქაიროში ეწვია გიორგის. გიორგი ავალიშვილი მას თავისი ყმა-ყოფილ მარტ-
ყოფელ ანდრია უწოდებს. ანდრია კნოტისშვილი ეტყობა დიდი ხნის წამოსუ-
ლი იყო საქართველოდან, მაგრამ თავისი დედულ-მამული მას კარგად ახსოვდა:
„იტყვს თავსა თუსსა მარტყოფის სოფლით კნოტისშვილად, ნიშნობით მამულ-

¹ წერილი დაწერილი უნდა იყოს 1786 წლამდე, როდესაც ჭაირო ოსმალეთის დამსჯელმა
ექსპედიციამ დაიკავა.

² Encyclopedia Britanica. IX გამოც. ტ. VII, გვ. 764.

სა, სახლსა და ადგილსა წინაპართა თვსთა, თანასწორ ვითარ სხუათაცა მუნებურთა მემკვიდრეთასა, და კულალ მთისა, წყლისა და ბარისათჳს მიჯნებითურთ გარჩევით¹.

სათქმურებელია, რომ ანდრია კნოტისშვილი სულემან ალა ანათის (კნოტისშვილის) ნათესავი იყო. იმ სულემანისა, რომელიც ერეკლეს ავედრებდა მარტყოფში დარჩენილ თავის ძმას, ავლიანთ ყმას ივანე კნოტისშვილს. ამრიგად, ჭაიროში, გიორგის იქ ჩასვლის დროისათვისაც, ჩანს, ყოფილან კნოტისშვილები და მათი არსებობის შესახებ გიორგიმ კარგად იცოდა, რაკი ეგვიპტეში მსახურად გახანა კნოტისშვილი წაიყვანა. მაგრამ ანდრია კნოტისშვილს სამემკვიდრეო არაფერი აღმოაჩნდა, გარნა ნაზი გრძნობებისა თავისი დაკარგული სამშობლოს მიმართ.

გ. ავალიშვილის მეორე მსახურის სვიმონ ტაბლიაშვილის ბიძა, მაჰმად ალი ფაშას ბაირახტარბაში ჰუსეინ ალა კი, რომელმაც აგრეთვე ინახულა გიორგი ჭაიროში. შეძლებული ყოფილა. მაგრამ მემკვიდრეობის მიღების თვალსაზრისით გიორგისთვის არც აქ იყო არაფერი სახარბიელო. ასეა თუ ისე, თავის სამოგზაურო დღიურებში გიორგი აღარაფერს ამბობს თავის თავდაპირველ გეგმებზე—მემკვიდრეობის მიღებაზე.

მაგრამ მემკვიდრეობის მიღება არ იყო მინც გიორგი ავალიშვილისთვის მოგზაურობის ერთადერთი მიზანი. უცხო ქვეყნების ნახვის სურვილი და მოგზაურობის სიყვარული ეტყობა ჩვენს ავტორს თან სდევდა მთელი სიცოცხლის მანძილზე. ამას მოწმობს თუნდაც ის, რომ ეგვიპტიდან დაბრუნების უმაღლე გიორგიმ აღძრა შუამდგომლობა საგარეო საქმეთა სამინისტროს წინაშე მისი კვლავ საზღვარგარეთ გამგზავრების შესახებ. სამოგზაურო დღიურის მიხედვითაც გიორგი ავალიშვილი წარმოგვიდგება როგორც ფართო განათლების და ინტერესის მქონე გამოცდილი მოგზაური.

რა თქმა უნდა, გ. ავალიშვილს სადღაც იმის იმედიც ჰქონდა, რომ მოგზაურობის დროს ის დიპლომატიურ ასპარეზზეც გარკვეულ წარმატებას მიაღწევდა, რითაც ის გაუწევდა გარკვეულ სამსახურს რუსეთს და ამ გზით გაიუმჯობესებდა თავის საზოგადოებრივ, სამსახურებრივ და ეკონომიურ მდგომარეობას.

* * *

გიორგი ავალიშვილის სამოგზაურო წიგნი დაწერილია დღიურის სახით. დღიურს ავტორი იწყებს 1819 წლის 6 იელისით, იმ დღით, როდესაც ის გამოემშვიდობა ნაცნობ-მეგობრებს და დასტოვა თბილისი; მთავრდება დღიური თბილისში დაბრუნებით 1820 წლის 17 იელისს.

წიგნი იყოფა ორ ნაწილად:

I ნაწილი—მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე.

II ნაწილი—მგზავრობა იერუსალიმიდან თბილისამდე.

მოგზაურობისათვის გიორგი ავალიშვილმა საინტერესო მარშრუტი აირჩია: თბილისიდან ავალიშვილი გაემგზავრა სოხუმ-კალაში, საიდანაც, ყირიმის გავლით, კონსტანტინეპოლისაკენ აილა კურსი. კონსტანტინეპოლიდან ავალიშვილი მიემართება თეჭილი ტაშში (ტუქირდაგ). განვლო მარმარილოს ზღვა, დარდანელის სრუტე და გაიხრდა სრუტის სანაპირო ქალაქ ჩანახ-კალაში. შემდეგ გავიდა ეგეოსის ზღვაში, დაათვალიერა ამ ზღვის უმთავრესი კუნძულები: ბოზჩაადა, სამსოი, როდოსი, კოზნიში და ხმელთაშუა ზღვით აილა კურსი

¹ „მგზავრობაჲ“ გვ. 128.

ალექსანდრიისაკენ. ალექსანდრიიდან გიორგი გაემგზავრა სანაპირო ქალაქ რო-
შეტში, ხოლო აქედან ქაიროში, სადაც ის დიდხანს დაყოვნდა. შემდეგ გადა-
ლახა ეგვიპტის უდაბნო, და დაჯის, რამლისა და ემაოსის გავლით ჩავიდა
იერუსალიმში.

უკან დაბრუნებისას გიორგი ავალიშვილმა სხვა მარშრუტი აირჩია. იერუ-
სალიმიდან ის მიემგზავრება იაფაში, ხოლო იაფიდან ზღვით კუნძულ კვიპროსზე,
აქედან კი ანატოლიის სამხრეთ ნაპირისაკენ. გაიარა მერსინია და თარსუ. გა-
დაქრა ანატოლია სამხრეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ (მერსინიიდან ყარ-
სამდე), კესარიისა და სივასის გავლით ჩავიდა არზრუმში. არზრუმიდან ყარსში
და ბოლოს გუმრში, საიდანაც შევიდა საქართველოში.

ამრიგად, გიორგი ავალიშვილმა რამდენიმე მიმართულებით დასერა თურ-
ქეთი. მოიარა ეგეოსისა და ხმელთაშუა ზღვის მნიშვნელოვანი კუნძულები, გა-
ეცნო ეგვიპტის ღირსშესანიშნავ ქალაქებს, იმოგზაურა ნილოსზე და უდაბნოში
და ბოლოს იერუსალიმის წმინდა ადგილებიც მოინახულა.

ასეთი მარშრუტით მოგზაურობა XIX საუკუნის დამდეგს არ იყო მარტივი.
მით უმეტეს, რომ მოგზაურობდა გიორგი ავალიშვილი მსახურებით და დიდმა-
ლი ბარჯით. უკან დაბრუნებისას მისი ტვირთი ოთხ ურემზე ძლივს ეტეოდა.

სამოგზაურო დღიურში შეტანილია სამოგზაურო შთაბეჭდილებების თეი-
თეული დღე. ყოველი ახალი დღე ტექსტში გამოყოფილია. ასევე გამოყოფილია
სათაურებით ერთი დღის ფარგლებში მომხდარი მნიშვნელოვანი ამბები. დასა-
თაურება ძალზე დეტალურია.

მოგზაურობის შესავალშივე გიორგი ავალიშვილი აფრთხილებს მკითხველს,
რომ ის შეგნებულად უყლის გვერდს საქართველოს ფარგლებში მოგზაურობის
აღწერას, ვინაიდან ქართველი მკითხველი მასზე უფრო იცნობს თავის ქვეყანას.
ამისდა მიუხედივად მოგზაურობა თბილისიდან რედუთ-კალამდე მაინც მრავალ-
მხრივ საყურადღებო ცნობებს შეიცავს. გიორგი ავალიშვილი დაწვრილებით
აღწერს გზას თბილისიდან ქუთაისამდე. ვრცლად ჩერდება გორის და ქუთაისის
აღწერაზე. მათ მდებარეობაზე, ისტორიულ ძეგლებზე, ქალაქების გარეგნულ
სახეზე, ვაჭრობაზე და სხვა. საინტერესოდ და ცოცხლად აღწერილი შეხვედ-
რები ადგილობრივ თავადებთან, სასულიერო პირებთან და გლეხებთან. განსა-
კუთრებით საინტერესოა გ. ავალიშვილის მოგზაურობა იმერეთში, ვინაიდან
გიორგის ქუთაისში ჩასვლამდე რამდენიმე დღით ადრე იმერეთში იფეთქა აჯან-
ყებამ.

1818 წლიდან, რუსული რეჟიმის შემდგომი განმტკიცების მიზნით, რუსე-
თის მთავრობამ სცადა რუსული საეკლესიო რეჟიმის დანერგვა დასავლეთ სა-
ქართველოში, რაც ვულისხმობდა საეკლესიო მამულების სახაზინო მართვა-გამ-
გებლობაში გადაცემას, ხოლო ეკლესიის მსახურთათვის ჯამაგირების დანიშნე-
ნას¹. ეს ღონისძიება აღმოსავლეთ საქართველოში უფრო ადრე, 1811 წელს,
გატარდა. იმერეთში ამ რეფორმის გასატარებლად გაემგზავრა საქართველოს
ეგზარქოსი თეოფილაქტე თავის მოხელეებით. „1819 წლის ივნისში იმერეთში
უკვე დაიწყო საეკლესიო ქონების აღწერა, რამაც ვაკის ოლქში მღვლევალება გა-
მოიწვია. ქონების აღწერი მოხელეები სოფლებიდან გამოაძევეს. ასე იყო გუ-
რია-სამეგრელოშიც. იმერეთში იფეთქა აჯანყებამ, რომელსაც სათავეში რუსე-
თის უპაყოფილო თავადაზნაურობა ჩაუდგა. აჯანყებამ ფართო სახალხო მოძ-
რაობის ხასიათი მიიღო“².

¹ მ. დუმბაძე. დასავლეთ საქართველო XIX სს. პირველ ნახევარში, თბილისი, 1957, გვ.
231—232.

² იქვე, გვ. 233.

სურამში გაიგო გიორგი ავალიშვილმა იმერეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. აქ შეხვდა ის ქუთაისიდან უკან მომავალ თეოფილაქტეს და მის მხლებლებს: „ვიხილუშთ იმერეთით მომავალნი ეგზარხ-მიტროპოლიტი საქართუშლოასა თეოფილაქტე, არხიმანდრიტი ათანასე პეტრიევი, უფალნი კოლეესკისი სოვეტნიკი ვასილი მათვეიევიჩი ჩილაევი, ნადვორნის სოვეტნიკი თავადი მიხაილ ოსიფოვიჩი ფალაევანდოვი, მაიორი თავადი გრიგორ ზურაბიჩი წერეთელი და სხვანიცა ამათანა. პირუშლი აღვიდა სურამისა ციხესა შინა და შემდგომნი ყოველნივე მოვიწვევე ჩემთანა ბალსა, სადაცა ვისადილეთ ერთად. მრაველითა სხვთა და სხვთა წინადადებითა მირჩევდნენ ვიეთნიმე ამათგანნი ამჟამად იმერეთისადმი წარუსლუშლობისათჳს, ვინაათგან საზოგადოება იმერთა, თქემულთა ძლით მათთა, აღძრულ იყუნენ, ანუ ლამოდნენ, პირისპირ მმართველობისა“¹.

აჯანყების მოულოდნელი ხასიათისა და მასშტაბით შეშინებულნი და აჯანყებულებისაგან სუსხნაკრავნი ეგზარქოსი და მისი მოხელეები გამალებით სტოვებდნენ იმერეთს და გამოზობოდნენ ქართლში.

აჯანყებულებთან შეტაკების მრავალი ეპიზოდი უამბო ვასილ ჩილაევმა გიორგი ავალიშვილს: „ღროა ვახშამსა ზედა განგვატარებინა აღნიშნულმან ვასილი მათვეიჩ ჩილაევმან მხიარულებითა და სიცილითა, ანგარიშსა ზედა თჳსისა გულოგენებისასა მმეტყველმან, რომელ ჭერეთცა არ იყო ესე მოსლულ მეყსიერებასა და სწორმხედველობასა შინა იმერეთს შეშინების ძლით“².

იმერეთში შექმნილი რთული და სახიფათო სიტუაციის მიუხედავად გიორგი ავალიშვილი და პეტრე ლარაძე, რომელიც აცილებდა თავის გულითად მეგობარს, მოემზადნენ იმერეთში გადასასვლელად: „მოვიმარჯუშთ გულ-იარაღნი მიხედვისამებრ რეცა აღშფოთებულთა იმერეთასა, მით რამეთუ გზასა ზედა უკეთუ დაგვჭუდების მტერი, არ მივცნეთ თავნი თჳსნი იეფად, ანუ ლდართა კაცთა მიერ ვიყუნეთ უენოთ დაცულ“³.

ქუთაისში მშვიდობით ჩასული გ. ავალიშვილი ეწვია იმერეთის მმართველს გენერალ-მაიორ კურტანოვსკის, რომელმაც უქმყოფილება გამოთქვა ეგზარქოს თეოფილაქტეს მიმართ. იმერეთში შექმნილ ვითარებას ის ეგზარქოსის უტაქტო და აჩქარებულ ქცევას აბრალებდა: „მომითხრა ამან ქცევა ეგზარხ-მიტროპოლიტისა თეოფილაქტესი, წინააღმდეგად ვითარცა აქაურთა სამლუდელოთა და ერთა, ესრეთუშ სახეესაცა თჳსისა“⁴.

კურტანოვსკისგანვე გამოითხოვა გიორგი ავალიშვილმა უფლება დოსითეოს ქუთათელისა და ეფთვიმე გენათელის ნახვისა. გენათელი და ქუთათელი მიტროპოლიტები კი ითვლებოდნენ იმერეთის შეიარაღებული სახალხო აჯანყების სულის ჩამდგმელებად.

„მგზავრობის“ მიხედვით, გ. ავალიშვილი დაჭერებული რუსოფილის შთაბეჭდილებას სტოვებს, რომელიც დიდად უფრთხილდება რუსეთის მოხელის მუნდირს, ამიტომ ის დიპლომატიურად, ტაქტით იქცევა ქუთაისში, ხოლო სამოგზაურო დღიურებში კი ცდილობს არ გამოამჟღავნოს თავისი დამოკიდებულება აჯანყებულებისადმი. ქუთათელ მიტროპოლიტთან გიორგი მივიდა კურნა-

¹ „მგზავრობა“, გვ. 13—14.

² იქვე, გვ. 14.

³ იქვე.

⁴ იქვე, გვ. 15. სხვათა შორის გენერალი ერმოლოვიც აჯანყების ერთ-ერთ მიზეზად ეგზარქოს თეოფილაქტე რუსანოვის აჩქარებულსა და უტაქტო ქცევას თვოლდა, იხ. Махарадзе Н. В., Востанье в Имеретии 1819—20 гг. „მასალები საქართველოს ისტორიისათჳს“. ნაკვ. III, 1942, გვ. 17.

ტოვსკის ნებართვით, კურტანოვსკისვე მოენე კაცით, რათა მმართველის ეკვები არ აღეძრა: „დროსა ამას იმერნი იყუნენ ვითამცა რაოდენმე აღშფოთებულ საუბედუროდ თვსად, და ესრეთ, უკეთუ უნებლიედ მთავრობისა მივიდოდი ხილულად ვისამე აქუართასა, მაშინ უთუოდ მოვაწუშედი თვს ზედა ქუშგანმხედულშლობასა მმართველობისასა“¹. ამისდა მიუხედავად გიორგი დიდი პარტიციპაციით და სიმპათიით ახსიათებს დოსითეოსს ქუთათელს და გადმოგვცემს მასთან საუბრის შინაარსს: „მღულელთმთავარმან ამან იწყუ მერტყულუბად ანგარიშსა ზედა მიტროპოლიტისა თეოფილაქტესა, რომელი მოჰქცევით ამას და სხუთათა-ცა: თჳნიერ მცირედისაჲა ბრალისა, ყოვლითურთ წინააღმდეგად სიმართლისა და ხრისტეს მიერ ძმათა შორის ქცევისა“².

დოსითეოსის შემდეგ გიორგი ეწვია ნიკოლოზ გაბაშვილს, და ბოლოს, ზურაბ წერეთელს, რომელიც იმერეთში რუსული პოლიტიკის ყველაზე თანმიმდევრული გამტარებელი იყო და რომელმაც არა ერთი მადლობა დაიმსახურა ამის გამო რუსეთის მთავრობისაგან. ზურაბ წერეთელთან გიორგის დახვდა ქართლიდან უკან დაბრუნებული მისი ვაჟიშვილი გრიგოლი. ცხადია, აქაც საუბარი იმერეთში შექმნილი ვითარების ირგვლივ უნდა გაშლილიყო. მაგრამ ამას ავალიშვილი თავის დღიურებში დუმითი უფლის გვერდს.

გიორგი ავალიშვილი ეწვია ეფთვიმე გენათელსაც მწვანეყვავილაზე, რომელიც, მსგავსად ქუთათელ მიტროპოლიტისა, „მოჰყუა... თუ ვითარ მოჰყრობიყო ამათ საქართულოჲსა ეკზარხოსი თეოფილაქტე დროსა თვისისა ქუთათისს ყოფნისასა და სრულითა გულშემუსრულეებითა და ცრემლთა თხევითა ჩივოდა ქცევისა ზედა მისსა“³.

გ. ავალიშვილის ამ ცნობებზე ჩვენ იმიტომ ვაჩერებთ მკითხველის ყურადღებას, რომ მემუარული მასალები იმერეთის აჯანყების შესახებ, რომელმაც ორი წლის მანძილზე მთელი დასავლეთ საქართველო მოიცავა, ძალიან მცირეა⁴. ამ თვალსაზრისით გ. ავალიშვილის „მგზავრობა“, ტექსტის გამოუქვეყნებლობის გამო, სპეციალისტებს შეუსწავლელი და გამოუყენებელი რჩებოდათ.

მიუხედავად საგანგებო ვითარებისა, რომელიც დახვდა გიორგი ავალიშვილს იმერეთში, ის მაინც არ ღალატობს თავის სამოგზაური გეგმას და ათვალიერებს და აღწერს მისი თვალსაზრისით ღირსშესანიშნავ ადგილებსა და მოვლენებს.

ვრცლად და დაწვრილებით აღწერს ავალიშვილი გელათსა და მოწამეთას. გელათის კომპლექსის აღწერას თავის სიზუსტის გამო დღესაც არ დაუკარგავს მეცნიერული ღირებულება.

პოლოვნიკ პუზირიევის ხელშეწყობით გ. ავალიშვილი იმერეთიდან გაემგზავრა სამეგრელოში და შემდეგ აფხაზეთში. სამეგრელოსა და აფხაზეთში ყოფნისას გიორგი ავალიშვილი თვალყურს ადევნებს იმერეთის აჯანყების განვითარებას. მან უკვე იცის, რომ აჯანყების ტალღა მოედო გურია-სამეგრელოს და არც აფხაზეთი დგას განზე. ამიტომ აფხაზეთის მთავართან საუბარში, რომელსაც ის სოხუმ-კალაში შეხვდა, გიორგი ავალიშვილი მას რუსეთის მეფის ერთ-

¹ „მგზავრობა“, გვ. 15.

² იქვე, გვ. 16.

³ იქვე, გვ. 17.

⁴ ნ. მახარაძის დასახ. შრომა, გვ. 17. იმერეთის აჯანყების შესახებ ასევე საინტერესო მასალას შეიცავს დღემდე გამოუქვეყნებელი და ნაკლებად ცნობილი ზაგრაძე ბიოგრაფიის „აღწერა იმერეთის“, რომელიც დატულია აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერთა ფონდში (II—52).

გულებისაკენ მოუწოდებს¹. აქვე გ. ავალიშვილი იუმორისტული შტრიხებით ხატავს ფეხაზეთის მთავრის—გიორგი შერვაშიძის პორტრეტს, ალბათ ტენდენციურად დანახულს, მაგრამ, როგორც ჩანს, სინამდვილისაგან არც თუ დიდად დაშორებულს².

რედუთ-კალიდან გიორგი ავალიშვილი ყირიმისკენ გაემგზავრა ზღვით. სამოგზაურო დღიურში გიორგი ავალიშვილი დაწვრილებით აღწერს სევასტოპოლს, სიმფეროპოლს და ბახჩისარაის თავისი სამხედრო გამაგრებებით, არქიტექტურული ნაგებობებით თუ მოსახლეობით. ბაღჩისარაის ყირიმის ხანის სახსლის აღწერისას კი ის საგანგებოდ ჩერდება ყირიმის ხანისა და მარიამის სიყვარულის ამბავზე.

ყირიმიდან გიორგი ავალიშვილი მიემგზავრება კონსტანტინოპოლში, სადაც ის 40 დღეს დაყოვნდება.

კონსტანტინეპოლი გიორგიმ დაათვალიერა დიდი გულმოდგინებით. მოგზაურობის ეს ნაწილი მდიდარია საილუსტრაციო მასალითაც: რუკითა და ლირშესანიშნავ ადგილთა ნახატებით, რომლებიც ავტორის მიერ უნდა იყოს შესრულებული ან გადმოხატული იმ წიგნებიდან, რომლითაც უსარგებლია მას კონსტანტინეპოლის აღწერისას.

თავის სამოგზაურო პროგრამას გიორგი შემდეგნაირად აყალიბებს: „ზოლუაჲ უცხოთა ქუქყანათა, გასინჯუაჲ შენობათა, შენიშვნაჲ მმართველობათა, ცნობაჲ ერთა ნიშატითურთ მათით და ამით თანა ძულ-აბალ ღირსსაქსოვართა ძეგლთა, აბელისკოთა და ესევეთართა განჩხრეკაჲ“³.

მართლაც, გიორგი ავალიშვილის ყურადღება ყველაფერს წვდება. ის ერთნაირი ინტერესით ათვალიერებს და აკვირდება წერილმანსაც და მსხვილმანსაც: მოსახლეობის ყოფას, საცხოვრებელ ბინებს, ქალაქის ჰიგიენურ პირობებს, მცხოვრებთა საქმიანობასა და დროსტარებას, ქალაქის ეროვნულ შემადგენლობას, თავისებურებასა და სამოსელს. აღებ-მიცემობას, ქალაქის სამხედრო გარნიზონებს, უცხოელ ვაჭრებს, მოხელეთა თვითნებობას და მექრთამეობას, მართლმსაჯულებას. ეცნობა ევროპელ და რუს კონსულებს; ესაუბრება კონსტანტინეპოლისა და იერუსალიმის პატრიარქებს.

დაწვრილებით აღწერს გიორგი სულთან მაჰმუდის ქუჩაში გამოსვლის ცერემონიალს. კონსტანტინეპოლშივე გახდა ის მოწმე სულთანის ყოფილი ფაეორიტის დუზ-ოდლისა და მისი ძმების თავის მოკვებითსა.

კონსტანტინეპოლი გ. ავალიშვილისათვის არის დიდებული წარსულის მქონე ელინთა დედაქალაქი, თურქთაგან დათრგუნვილი, რომელიც დღე-დღეზე მოელოდა განთავისუფლებას, და განმათავისუფლებელი, გ. ავალიშვილის აზრით, უნდა ყოფილიყო რუსეთის ძღვეამოსილი მხედრობა. ამიტომაც რომ, კონსტანტინეპოლის შესხმაში, რომელიც დაწერილია მაღალფარდოვანი, რიტორული სტილით, დიდი ადგილი უკავია რუსეთის საომარ წარმატებებს თურქეთთან ბრძოლაში.



გ. ავალიშვილი კარგად ერკვევა მის თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობაში. მან კარგად იცის ისიც, რომ თურქეთის იმპერიის ყველაზე საშიში მტერი რუსეთია და რომ რუსეთზე ამყარებენ იმედს ადგილობრივი ბერძნები, რომლებიც გამალებით ეშხადებიან საბერძნეთის აღდგენისათვის.

¹ „მგზაურობა“. გვ. 30.

² იქვე.

³ იქვე, 66—67.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის ბერძენთა სამზადისის შესახებ გ. ავალიშვილი სიმფეროპოლში ესაუბრება ყირიმელ ბერძენს კირიაკოსს. კირიაკოსის ვარაუდით, თუ წინასწარი ანგარიშით, ბერძენების ბრძოლა უნდა დაწყებულიყო 1821 წელს და გაგრძელდებოდა 1828 წლამდე, თუ „ღმრთოედაცუელისა დიდისა როსიის იმპერიისა ძლევამოსილი საჭურველი მიიღებს მას შინა მონაწილეობას“¹.

ბერძენთა განწყობილებებს გიორგი ავალიშვილი შემდეგაც ადევნებს თვალყურს. ყველგან, სადაც კი ხვდებოდა იგი ბერძენებს, საუბარი ისევ და ისევ ახლო მომავალში მათი განთავისუფლების ირგვლივ ტრიალებდა. გიორგი ავალიშვილის სიმპათიები მთლიანად ბერძენების მხარეზე იყო. ის ყველა მოვლენის კურსში იყო და, ჩანს, თვითონაც ჩაბმული იყო ამ საქმიანობაში, ვინაიდან გიორგიმ თავს იღვა ბერძენთა საიდუმლო გეტერიისა და ბერძენთა განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიურ წევრთა წერილების გადაცემა რუსეთის გავლენიანი პირებისათვის, რომლებიც უშუალოდ იყვნენ დაკავშირებული ამ მოძრაობასთან. ასე მაგალითად, კვიპროსის მღვდელმთავარმა კირიანემ გიორგის გადასცა სამი საიდუმლო პაკეტი რუსეთში გადასაცემად: „ნოვ... გო და სანკ... პეტრ... მიტ... მიხ...—თავ... ალე... ნიკ... ვალ...—და გრა... ივა... ანტ... კაპო“².

ამ პაკეტთა აღრესატების ამოცნობა არ არის რთული. ესენი არიან: ნოვ-გოროდისა და სანკტ-პეტერბურგის მიტროპოლიტი მიხეილი, თავადი ალექსანდრე გოლიცინი და გრაფი ივანე ანტონის ძე კაპოდისტრია.

გრაფი ივანე კაპოდისტრია ცნობილი ბერძენი და რუსი პოლიტიკური მოღვაწე იყო, რომელსაც დიდი თანამდებობა ეკავა ჯერ იონიის რესპუბლიკაში, ხოლო 1809 წლიდან კი რუსეთში. 1816 წლიდან კაპოდისტრია რუსეთის საგარეო მინისტრის ნესელიანდის უახლოესი თანამშრომელია და რუსეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი წარმმართველი. 1814 წელს მან ჩამოაყალიბა ბერძენთა საიდუმლო გეტერია ფილკე, თუმცა გეტერიის თავმჯდომარეობაზე უარი თქვა. კაპოდისტრია ფარულად ხელს უწყობდა ბერძენთა განმათავისუფლებელ მოძრაობის მესვეურს ალექსანდრე იფსილანტს და ახორციელებდა რუსეთის პოლიტიკას ბერძნულ საკითხში.

ბერძენთა განმათავისუფლებელ მოძრაობასთან უშუალოდ იყო დაკავშირებული ა. გოლიცინი, ვინაიდან ის რუსეთის განათლების მინისტრი იყო და ამასთანავე განაგებდა უცხოელთა სარწმუნოების საკითხებსაც.

ბერძენთა განმათავისუფლებელი მოძრაობის თანამგრძობი თუ მონაწილე ყოფილა აგრეთვე ნოვგოროდისა და სანკტ-პეტერბურგის მიტროპოლიტი მიხეილი, ვინაიდან იმავე მიხეილთან გიორგის საიდუმლო პაკეტი გაატანა თარსუს მიტროპოლიტმაც: „11-სა მოვიდა ხილუად ჩემად მიტროპოლიტი ანთიმოს, რომელმანცა მომცა ერთი პაკეთი საიდუმლოდ სახელსა ზედა ნოვ... და სა... პე... მიტ... მიხ... სასა“³.

შესაძლებელია ამ წერილებსაც გულისხმობდა გ. ავალიშვილი, როდესაც მოგზაურობიდან დაბრუნებული სწერდა ნესელიანდს: „По приезде моем сюда доставил как вашему сиятельству, так равнс и другим особам, вверенные мне бумаги и препоручения...“

კუნძულებზე მცხოვრები ბერძენები აქტიურად იყვნენ ჩაბმული ბერძენთა განმათავისუფლებელ მოძრაობაში და დიდ იმედებს ამყარებდნენ რუსეთზე. კუნ-

¹ „მგზავრობა“, გვ. 44.

² იქვე, გვ. 275.

³ იქვე, გვ. 294.

ძულ ხიოსის ხიო ქალაქში რუსეთის ვიცე-კონსულ მილონასთან გიორგიმ გაიცნო ბერძენი ნიკოლაჲ აპოსტოლი ფსარა ქალაქელი, „განდიდებით ცნობილი, პატივცემული და სანდო-საყუარელი ეგვიპტის ფაშისა მამად ალისა. მან ნიკოლაჲ აპოსტოლიმ—განაგრძობს გიორგი—მაცნობა პაზრნი და სურვილნი ვითარცა ხიოს და ფსარა ქალაქელთა, ესრეთ სხუათაცა მრავალ ქალაქელთა ზრისტეანეთანი სასარგებლოდ შესახნი როსიისა იმპერიისადმი, თანასწორ ვითარ მიდრეკილებადცა მისდამივე ზემოთქმულისა ფაშისა“¹. საუბრის შემდეგ ნიკოლაიმ გადასცა პაქეტი ალექსანდრიაში ბერძენ კირიაკო ტასიკისათვის გადასაცემად, რომელსაც გიორგი შეხვდა ალექსანდრიაში გენერალ-კონსულ გიორგი სივინთან. ხსენებული ბერძენი, რომელსაც გიორგი დიდ ზოტბას ასხამს, „როსიის ვაჟად ყოფილა დაწერილი“². აშკარაა, რომ ამ შემთხვევაშიც რუსეთის კონსულებთან დაკავშირებული ორივე ბერძენი ბერძენთა განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური მონაწილენი იყვნენ, რომელნიც რუსეთთან კონტაქტს კონსულების საშუალებით ახორციელებდნენ.

გიორგი ავალიშვილს საგანგებოდ აინტერესებდა არათურქული მოსახლეობისა და ქრისტიანული ეკლესიის მდგომარეობა თურქეთის იმპერიაში. ეს ინტერესი, რა თქმა უნდა, ნაკარნახევი იყო საერთაშორისო პოლიტიკური სიტუაციითაც. გიორგი ეკლესიის არა ერთსა და ორ მსახურს ესაუბრა ამ საკითხზე და მოპოვებული ცნობები „მგზავრობაში“ შეიტანა.

საერთოდ, არათურქული მოსახლეობა და განსაკუთრებით კი ქრისტიანული ეკლესიის მსახურნი დიდად შევიწროებულნი იყვნენ მთელი იმპერიის ფარგლებში. ამიტომ ბერძენული ეკლესიის მსახურნი იძულებულნი იყვნენ შეგუებოდნენ შექმნილ ვითარებას და „კუნძულათა წილ კაუხი და ანაფორათა წილ ბინიში ეხმარათ“³, რომ თათართა თვითნებობისაგან ამ გზით მიინც დაეცვათ თავი.

უფრო მძიმე მდგომარეობაში იყვნენ არზრუმელი სომხები: „ზრისტეანენი აქაურნი, წერს ავალიშვილი, არიან საზოგადოდ გამოუწერელსა შეიწროებასა შინა ურწმუნოთა მიერ და უფროს ბერძენ-სომეხნი, რომელნიც მიაძვავესებენ ცხოვრებათა თვსთა დილეგთა შინა პურობილთა გარდამკვდომელთასა“⁴.

ალბათ ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ არზრუმელმა სომხებმა გ. ავალიშვილს რამდენიმე დეპუტაცია გაუგზავნეს თხოვნით, რომ მას რუსეთის მთავრობისათვის გადაეცა მათი სურვილი „მყოფობისა მათისა საფარველსა ქუშუშე დიდისა როსიის იმპერიისასა“⁵.



გ. ავალიშვილის სამოგზაურო შთაბეჭდილებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია მისი მოგზაურობა ეგვიპტეში. ჭარბველ მოგზაურთა შორის ამ მხრივ გიორგის არ ჰყავდა წინამორბედი. მართალია, მასზე ადრე ეგვიპტეში გავლით იონა გედევანიშვილი იყო, მაგრამ იონას ეგვიპტის სიძველეთა თუ თანამედროვე ცხოვრების შესწავლა და აღწერა მიზნად არ დაუსახავს, ამიტომაც მისი შთაბეჭდილებები ძალზე სქემატური და ცალმხრივია.

¹ „მგზავრობა“, გვ. 93.
² იქვე, გვ. 106.
³ იქვე, გვ. 82.
⁴ იქვე, გვ. 333.
⁵ იქვე, გვ. 331.

გიორგი ავალიშვილის, როგორც მოგზაურის ინტერესთა სფერო მეტად ფართოა. ამ დიდტანიან დღიურში აღწერილი მასალის კლასიფიკაცია რომ მოვახდინოთ, მასალა რამდენიმე საკითხის ირგვლივ დალაგდება. ზოგ მათგანს ავალიშვილისთვის წმინდა შემეცნებითი მნიშვნელობა ჰქონდა, ზოგს კი უფრო პოლიტიკურ-დიპლომატიური.

ყოველი ახალი პუნქტი, რომელსაც ეცნობა გიორგი ავალიშვილი მოგზაურობის დროს, დაკვირვებისა და შესწავლის საგანია. ის იწყებს ქალაქისა თუ დაბის გარეგნული მხარის აღწერით. მოჰყავს ცნობები მოსახლეობის რაოდენობრივ და ეროვნულ შემადგენლობაზე, მათ სარწმუნოებაზე და სამლოცველოებზე¹. საგანგებოდ ჩერდება ქალაქის აშენებასთან თუ ისტორიასთან დაკავშირებულ გადმოცემებზე და წერილობით ცნობებზე. უწყურადღებოდ არ სტოვებს ქვეყნისა თუ კუთხის მმართველობის სისტემას², ეკონომიკას, ვაჭრობის ორგანიზაციას³, საქონლის ასორტიმენტს, მანუფაქტურულ წარმოებას, წარმოებაში მუშაობის პირობებს, მუშის ხელფასს და სხვა.

გ. ავალიშვილი დიდი ინტერესით სწავლობს ქვეყნის ეთნოგრაფიულ თავისებურებას, არაბთა, თურქთა და ბერძენთა ხასიათის ეროვნულ სპეციფიკას. და მის გამოვლენას ცხოვრებაში. ამავე დროს ჩვენი მოგზაური შესანიშნავად გრძნობს თანამედროვე ცხოვრების მაჭისცემას. ხედავს ცხოვრების განვითარების ახალ გზებს. ის ყარე პოლიტიკური და დიპლომატიური ალლის მქონე ადამიანია, რომელმაც მრავალმხრივ გამოიყენა თავისი მდგომარეობა მოგზაურობის დროს და ეგვიპტისა და თურქეთის ცხოვრების ისეთ მხარეებს ჩახედა, რომლებიც ჩვეულებრივი მოგზაურისთვის არ იყო ადვილად დასაწახი და მისაწვდომი. ამიტომ მეტად საინტერესოა „მოგზაურობის“ ის ადგილები, სადაც აისახა გიორგის ცოცხალი და უშუალო ურთიერთობა ფაშებთან, კონსულებთან თუ მაღალ სამღვდლოებასთან. ასევე საინტერესოა მისი დამოკიდებულება თანამედროვე ცხოვრების ისეთ მწვავე პრობლემებთან, როგორც იყო ბერძენები.

¹ გ. ავალიშვილის ცნობები ყოველთვის ციფრებითაა გამაგრებული და რიგ შემთხვევაში ეგრძობა წერილობით წყაროებს. ასე მაგ.: ჰაიროს ერცელი აღწერისათვის გიორგი ავალიშვილმა გამოიყენა ჰაიროვი გაკათოლიკებული სომხის ფრანცესკო ვალმასის მიერ მოწოდებული წერილობითი ცნობები: „კაცი ესე არს თუთ უმდიდრესი ვაჰარი აჟაური, ჰოსიანობით გაკათოლიკებული და ჩინებულად მცხოვრები. ესე არს ზედამხედველი ყოველთა შენობათა კაირისთა, მექონი დაუთრისა დიდისა ქალაქისა ამის მცხოვრებთა: მკვდრთა, ხიზანთა, სამუშაოდ მოსლულთა და უსოკუსწყელთა, რომელმანცა აღმოთქუა მოცმად ჩემდა მათუჲს ცნობისა“ (გვ. 140). ფრანცესკო ვალმასის დაუთრებიდან ამოკრია გიორგიმ ცნობები ჰაიროს მოსახლეობის შემადგენლობაზე, რაოდენობაზე და სხვა.

² ქალაქ რომეტის მმართველობის შესახებ გ. ავალიშვილი წერს: „მმართველობისა სახლად აქუთი კავახონა, რომელსაცა შინა სხენან მრავალინი მოწესენი, საქუყნოსისა სარგებლობისათჲს დადგინებულნი. აქ ერთნი იყრიბიან ნამდვლ თანამდებობითა თჲსითა, მეორენი—ნარდსა და კლარაკსა ზედა მღერითა, სხუანი ვართან ლოცუას თჲსა, რომელნიმე სეჲენ კავასა და ჩიხუხსა, ვინენიმე სხედან სადილად და შევეცუვიან საყრავთა ჯმათა ზედა, მათ შორის, ოღესცა მოჩვენარნი და მათ მიერ მოხონელი მართლმსაქულებისა სდგანან გულ-ქელკრებით შინაგან და გარე სახლისა ამის მწუხარებითა არა მცირელითა“ (გვ. 117).

³ გ. ავალიშვილის ცნობით, ეგვიპტეში ვაჭრობის მონაპოვია მაჰმად ფაშის ხელში იყო: „აღბ-შიცემად არს ყოველთა ნივთთა დია ჭაროვანი და იფვი, ვარნა რაჲ გამსყიდულთა მათ, ვინა ყოველი ნივთი განსაკუბრებელი ეკუთვნის ფაშასა მაჰმად ალის. ამბარნი კეთიერთა ფრიად დიდრონი, შინაგან ფიცრისა კედლებითა დაყოფილნი, სხუდასხუთა ჯვარბალთა ანუ მარცულთა, ხილთა, ფინჯთა, სამარხთა, ბამბათა, ქსოვილთა, ბზეთა, თივათა და ყოველთა ესევეთართაგან სავსენი, არიან საკუთრად ქსენებულისა ფაშისა“ (გვ. 117).

განმათავისუფლებელი მოძრაობა ანდა ეგვიპტის ფაშის ახალი პოლიტიკური კურსი და მისი სამეურნეო, სოციალური თუ სამხედრო რეფორმები¹.

მოგზაურობის ავტორისათვის დამახასიათებელი პოლიტიკური შინაარსის წიაღსელები საფუძველი გახდა ზოგი მოსაზრებისა, რომელიც გამოთქვა პროფ. გ. ჭავჭავიძემა გ. ავალიშვილისადმი მიძღვნილ ერთ თავის გამოუქვეყნებელ ნაშრომში.

პროფ. გ. ჭავჭავიძეილი გარდამავალი ხანის მწერლობის საინტერესო და ღრმა მკვლევარი იყო. ის კარგად იცნობდა რუსეთ-საქართველოს შერთებასთან დაკავშირებულ საარქივო მასალას, ამ ხანის რთულ პოლიტიკურ ვითარებასა და საზოგადოებრივი აზრის განვითარების მრავალწახნაგოვან სურათს. ამიტომ საესეებით ბუნებრივია ის ყურადღება, რომელიც გ. ჭავჭავიძეილმა გამოიჩინა ამ ეპოქის ისეთი ტიპიური და თვალსაჩინო მოღვაწისადმი, როგორც იყო გ. ავალიშვილი.

პროფ. გ. ჭავჭავიძეილის ნაშრომი შეიცავს მანქანაზე გადაბეჭდილ 111 გვერდს. აქედან 12 გვერდი უკავია გ. ავალიშვილის მოგზაურობის ფარული მიზნის გარკვევას, ხოლო დანარჩენი კი „მგზავრობის“ შინაარსის დეტალურ გადმოცემას იმ თვალსაზრისით, რომელსაც ავტორი მიაწერს გ. ავალიშვილს².

გ. ჭავჭავიძეილის კონკრეტია შემდეგში მდგომარეობს: გ. ავალიშვილი საქართველოს რუსეთთან დაცემირების ერთ-ერთი აქტიური მებრძოლა. 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით, რომელსაც ხელს აწერდა ალექსანდრე I, საქართველო რუსეთის პროვინციად გამოცხადდა. ქართველი რწმუნებულები-სათვის, რომელთაც შეზღუდულ ავტონომიურ რესპუბლიკაზე ჰქონდათ აღებული კურსი, ეს მოულოდნელი ლახვარი იყო. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხის ამგვარმა გადაწყვეტამ მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა რუსეთში გაგზავნილი ქართველი წარმომადგენლები, მათ შორის გ. ავალიშვილიც, რომლებზედაც ქართველები დიდ იმედებს ამყარებდნენ. მათ ეს იმედები ვერ გაამართლეს, ვინაიდან თვითონ აღმოჩნდნენ მოტყუებულნი. ამ დროიდან შეცვალა გ. ავალიშვილმა რუსეთზე აღებული პოლიტიკური კურსი. უკვე 1802 წელს ის რუსეთისაგან იერუსალიმში გამგზავრების ნებართვის ითხოვდა, რათა თურქეთში ჩასვლის შესაძლებლობა ჰქონდეს. თურქეთი რუსეთის დიდი მოქიშპე იყო. ის ვერ ურიგდებოდა კავკასიაში რუსეთის დამკვიდრებას და თავისი ძველი მდგომარეობის აღდგენის იმედს არ კარგავდა. პროფ. გ. ჭავჭავიძეილის აზრით, გ. ავალიშვილი რუსეთ-თურქეთის პოლიტიკურ ინტერესთა დაპირისპირების გამოყენებას ვარაუდობდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად. ამ პოზიციებიდან იხილაეს გ. ჭავჭავიძეილი „მგზავრობას“ და, ვინაიდან თხზულებაში პირდაპირი მითითებები გ. ავალიშვილის ამგვარ პოლი-

¹ გიორგი ავალიშვილი შემდგენიარად ახასიათებს მამად ალი ფაშის რეფორმების შედეგად აღორძინებულ ახალ ეგვიპტეს: „ძალი სიყუარა ჩემთა იცუავს თუხ შორის ყუაილორენებითისა მდგომობისადმი კაირისა მოყუნად ცდისა: ახლად გაკეთებულთა ფაბრიკათა, მანიფაქტურათა, ზაოლოთა და ნილო მდინარეთთა გაღებულსა არხსა, საშულაქტყანისა ზღუსა თანა შერთებულსა ქუარად გემთა, თანსწორი ერთარ დატუასაცა მის ძლით მრავალთა ათასთა სულთა ქონებითურთ მათით, მიხედვსამებრ ნილოსის ზიარებისა ქსენებულისა ზღუსა თანა მახლობელად რომეგისა, სადაცა ექუსმდებარებთან ნაენი განსაცდელსა; მოსპობასა მძლავრებისასა, მკლებულობასა, ქურდობასა და მკუსმლობასა განუნთლებულთა ერთა შორის, მიცემასა სყულისასა, რომლისადა ქუსმე მწესლანი ერთი დატყებთან შექმნოთებულთა ცხოვრებთადა ეგებთანცა მადლობითა და საყუარულითა მიზნისადმი ესევეითართა კეთილდღეობათთუხ თესსან“ (გვ. 126—27). თუმცა ეს აღფრთოვანებული ზოგადი დახასიათება ბშირად არ ეთანხმება „მგზავრობაში“ აღწერილ ცალკულ ფაქტებს ეგვიპტის ცხოვრებიდან.

² გ. ჭავჭავიძეილის პირადი არქივი (დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში). № 144.

ტიკურ კურსზე არ არის, ამიტომ მკვლევარი ცდილობს სტრიქონებს შუა ამო-
იკითხოს ავტორის ფარული აზრები, რომლის გამჟღავნებასაც შექმნილი პო-
ლიტიკური სიტუაციის გამო ის თითქოს ვერ ბედავს.

გ. ჯავახიშვილის აზრით, რუსეთის მთავრობამ ექვი შეიტანა გ. ავალიშვი-
ლის ერთგულებაში და ამიტომ მოგზაურობაში მას მეთვალყურეთ ცნობილი
აგენტ არტემ არარატელი გააყოლა. არტემ არარატელი მართლაც ხშირად
იყო გ. ავალიშვილის თანამგზავრი, მაგრამ ეს მაინც არასაკმარისი საბუთია
იმისათვის, რომ გ. ავალიშვილის მოგზაურობა განვიხილოთ როგორც თურქეთ-
თან პოლიტიკური მიზნით კონტაქტის დამყარების საშუალება. პირიქით, გ.
ავალიშვილის ანტითურქული განწყობილება, როგორც ეს ზემოთაც დავინახეთ,
იგრძნობა მთელი მოგზაურობის მანძილზე საქმიანად და სიტყვიერად.

გ. ჯავახიშვილი ვერ იცავს ზომიერებას მის მიერ მოწოდებული თვალსაზ-
რისთვის მასლის შერჩევითა და ინტერპრეტაციის დროს. ის ყველგან და
ყველაფერში ეძებს ავტორის დაფარულ აზრებს, შეთქმულებებს, ჯაშუშობას. ამ
თვალსაზრისით რომ მივედგეთ გ. ავალიშვილის მემუარებს, მაშინ ის დასაი-
ღუმლოებული დიპლომატიური მოგზაურობის დაშიფრულ აღწერად უნდა წარ-
მოვიდგინოთ. ეს, რა თქმა უნდა, ასე არ არის. მეორე მხრით, გამოცდილი დიპ-
ლომატის მოგზაურობა ისეთ ქვეყნებში, რომელთანაც რუსეთს ხან აშკარა და
ხან ფარული ბრძოლა ჰქონდა, შეუძლებელია დიპლომატიური მიზნებისთვისაც
არ ყოფილიყო გამოყენებული. მოგზაურობიდან დაბრუნებული ავალიშვილი
ხომ წერდა კიდევ გრფ. ნესელროდეს: „По приезде моем сюда доставил как
вашему сиятельству, так равно и другим особам вверенные бумаги и усердие
Всероссийской Империи“.

გ. ავალიშვილმა სამოგზაურო პასპორტთან ერთად ნამდვილი სახელმწიფო
მრჩევლის წოდებაში დამტკიცების ცნობაც მიღო. რუსეთის იმპერიის მაღალი
რანგის ჩინოსნობა უთუოდ განსაზღვრავდა მოგზაურობის დროს მისდამი და-
მოკიდებულებას და, რა თქმა უნდა, მეტად შეუშლიდა ხელს იმ გეგმების გან-
ხორციელებას, რომელსაც გ. ჯავახიშვილი გ. ავალიშვილს მიაწერდა. გ. ავალი-
შვილი მოგზაურობის დროს სწორედ როგორც რუსი მოხელე დიდი პატივით
სარგებლობდა. თავის თავზე ის ამბობდა: „მე ვარ ქართველი, გარნა ყმა როსიის
ერთმთავრისა“; მას კი ხან „მოსკოვის იმპერატორის გენერალს“, ხან კი „რო-
სიის თავადს“ უწოდებდნენ. გ. ავალიშვილი ამაყად ატარებდა ბაკებსა და რუ-
სულ მუნდირს, რომელსაც საგანგებო, სადღესასწაულო ვითარებაში იცვამდა.
იერუსალიმის მიტროპოლიტმა მისაელმა გ. ავალიშვილს მოციქული მიუგზავნა
და თხოვა, რათა მასთან ერთად სრული ფორმით წასულიყო აღდგომის ტა-
ძარში წირვაზე, ვინაიდან დიდი სურვილი ჰქონდათ აღგილობრივ ბერძნებს და
თვით უწმინდესი სინოდის წევრებსაც რუსულ მუნდირში გამოწყობილი გ. ავა-
ლიშვილის ხილვისა (გვ. 202). ასეთივე თხოვნით მიმართეს ავალიშვილს კვიპ-
როსის ჰალაკზე (გვ. 263).

რუსეთის ჩინოსანის პატივს გ. ავალიშვილი თავგამეტებით იცავს. ასე
მაგ., იერუსალიმიდან რამლას გზაზე გ. ავალიშვილს, მისი გაძარცვის მიზნით,
შფოთი აუტუტებს აღგილობრივმა მწყემსებმა. რამლას ჩასული ავალიშვილი აგ-
ზანის თავის მსახურს იქაურ მუსლიმთან და თხოულობს მწყემსების დასჯას,
ვინაიდან მათ შეურაცყოფა მიაყენეს დიდი რუსეთის ქვეშევრდომებს (გვ. 257).

გ. ავალიშვილს, როგორც რუსეთის მოხელეს, დიდი ღირსებით ევირა თავი. იფაში რუსეთის აგენტმა ფრანცესკო დამიანემ ავალიშვილის პატივსაცემად გამართა სადილი. ამ სადილზე დაილია ალექსანდრე I-ის, მისი სახლობის და თავად ალ. გოლიცინის სადღეგრძელოები. დიდ ანგარიშს უწევდნენ გ. ავალიშვილს სხვადასხვა ქვეყნის კონსულები. მისი მაღალი სამოხელეო წოდება ბევრ მათგანს აფიქრებინებდა, რომ ავალიშვილი რაღაც საიდუმლო მისით იყო წამოსული სამოხელეო მიზნით.

ქაიროში რუსეთის კონსულთან გამართულ ზეიმზე ესწრებოდნენ „ყოველნი კონსულნი ევროპისანი“: „აქ დაეპყავ ვიდრე სამს უამდმდე, გართულმან საუბართა შინა ანგლიისა და შვეთისა კონსულთა სოლტისა და ბოხტისა თანა—წერს ავალიშვილი,—გარნა უკანასკნელი ესე, მგონები, ვითარ-იგი სხუანიცა მსგავსნი მისნი, მით რამეთუ ვარ მე უთუოდ მექონ ვითარისამე საკვლმწიფოჲსა საიდუმლოდ რწმუნებულისა საქმისა, განგრობასა შინა ჩემთანა უზნობათა თვსთასა მრავალგუარათა სასარგებლოთა საგანთა ზედა, რომელთაცა მიღებად (სიტყუათამებრ მისთა) ტელწიფების დიდსა როსიისა იმპერიასა, ცდილობდა ცნობად ჩემგან მიზეზსა ჩემისა აქ მოსლუსა, და რაოდენცა ვარწმუნებდი მას ნებისთსა მწირობასა შინა ჩემსა, ეგოდენ და უფროსცა ვხედვდი მას ჰაზრსა შინა თვსსა დამტიციებულად და თქემულთა ჩემთა არ შემწყნარებულად“ (გვ. 130—31).

ალბათ ამ ექვებით აიხსნება ის საგანგებო ყურადღება, რომელსაც იჩენდნენ ევროპის ვიცე-კონსულები და კონსულები ავალიშვილისადმი: „წარველ დილით კონსულითურთ ჩუშნით ხილუად ზემოხსენებულთა კონსულთა: ავსტრიისა, ფრანციისა, ანგლიისა და შვეთელისა მიმართ, რომელთაცა სთნდათ მისლუჲ ჩემი მათდა და რომელთაცა მთხოვეს განგრობად მათდამი მცნობობისა და სიყვარულისა“ (გვ. 110). უფრო ხშირად კონსულები თვითონ აკითხავდნენ ავალიშვილს. ქაიროში ჩასვლის მეორე დღესვე, წერს ავალიშვილი, „იწყეს მოსლუად ჩემდა ევროპიისა ღენერალ-კონსულთა, ვიცე-კონსულთა და აგენტთა, ესრეთუჲ სხუათაცა წოდებისა აქაურთა კაცთა“ (გვ. 122). ასევე ალექსანდრიაში: „შემდგომად წირვისა მოვედით რა შინ, მოვიდა ჩემს ხილუად ავსტრიის ვიცე-კონსული ფრანცესკო შამპიონი, რომელმანცა, სხუათა ალერსთა შორის, მთხოვა სადილად მისდა მისლუჲ. მას უკან შემოვიდა ანგლიის კონსული ტორბო, და მერმე ფრანციის ღენერალ-კონსული ალექსანდრე პილაგოანი, ხოლო შემდგომად მათსა შუქთის კონსული“ (გვ. 108).

გ. ავალიშვილისა და ადგილობრივ დიპლომატიურ მოხელეთა ურთიერთობა მოწმობს იმ დიდ ინტერესს, რომელსაც იჩენდნენ ამ დროს ევროპის ქვეყნები რუსეთისადმი, რომლის საერთაშორისო მნიშვნელობა, განსაკუთრებით კი პოლიტიკური გავლენა ახლო აღმოსავლეთში, დღითიდღე იზრდებოდა.

მეტად საინტერესოდ გამოიყურება „მგზავრობის“ მიხედვით ის ურთიერთობა, რომელიც დამყარდა გ. ავალიშვილსა და ეგვიპტის ფაშა მაჰმად ალის შორის. გ. ავალიშვილის შეხვედრებს მაჰმად ალი ფაშასთან განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პროფ. გ. ჭავჭავაძე ილიცი თავისი თვალსაზრისის დასაცავად.

გ. ავალიშვილის ალექსანდრიაში ყოფნის დროს რუსეთის კონსულმა მიიღო მაჰმად ალი ფაშის წერილი; წერილით ფაშა აცნობებდა კონსულს, რომ ქაიროში გ. ავალიშვილის საცხოვრებლად მომზადებულია ფაშის საზაფხულო სასახლე შუბრა და სთხოვდა, რომ ქაიროში ჩასული ავალიშვილი პირდაპირ სასახლისაკენ გამგზავრებულიყო. ამაზე ავალიშვილმა კონსულსვე პირით ფაშას

უარი შეუთვალა¹. ქაიროში ჩასვლის მეორე დღესვე ავალიშვილთან მივიდა მაჰმად ალის ყველაზე მახლობელი პირველი ვეზირი, „საყვარელი ისმირელი ბოლოს უსუფ“, რომელმაც მოულოცა ფაშის სახელით ქაიროში მშვიდობით ჩასვლა და მოახსენა ფაშის სინანული იმის გამო, რომ ავალიშვილმა არ მოინდომა შებრაში გაჩერება. მდლობასთან ერთად გ. ავალიშვილმა გამოთქვა სურვილი ფაშის ნახვისა და აქვე შენიშნა: „ესეითარი მიღებამ ჩემი ფაშისა მიერ არ ითხოვების სრულებით ჩემებრ კერძოისა კაცისა საკუთარსა საქმესა ზედა თქსსა მოსლულისათჳს“. მაშასადამე გ. ავალიშვილი მაჰმად ალისთან შეხვედრას თხოვობდა არა როგორც ოფიციალური, არამედ კერძო პირი, რომელიც თავის საქმისთვის არის ჩასული ეგვიპტეს. ეს კერძო საქმე კი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გარდაცვლილი ბეგის მემკვიდრეობის მიღება იყო.

მაჰმად ფაშისთვის კი გ. ავალიშვილი რუსეთის დიდი მოხელეა და ამდენად პერსონა. საინტერესოა, თუ როგორ ხსნის ბოლოს უსუფი ფაშის საგანგებო ყურადღებას გ. ავალიშვილისადმი: „ბეგზადა! არა ჯერ-არს ყოველსა შინა უარის-ყოფად თქუშნაგან ფაშა აფენდისა ჩემისა, ამად რომელ სურჯს მას ჩუშნებად, თუ ვითარ პატიე-ჰსცემს იგი მოკარისხეთა როსისის დოვლათისათა, უფროს ყოველთა მოწესეთა ზედა სხუა საჯელმწიფოთათა“ (გვ. 123).

მაჰმად ალი ფაშისა და გიორგი ავალიშვილის პირველი შეხვედრა მოხდა უკვე დღეს—პარასკევს—საზეიმო ვითარებაში; პირველ შეხვედრისთანავე ფაშა დაინტერესდა ავალიშვილის ეროვნებით და ჰკითხა: „ბეგზადა! მიხარის ფრიად ხილუჲ მოსკოვის იმპერატორის ლენერალისა, გარნა ეგონებ თქუშნ არა ხართ მოსკოველი, რომლისათჳსცა მსურვის ცნობად და გთხოვ მაუწყეთ მე“. ამაზე გ. ავალიშვილმა უპასუხა, რომ „ის არის ქართველი, გარნა ყმაჲ როსისის ერთ-მთავრისა“ (გვ. 124). ავალიშვილის მოსკოველობაში ეგვიპტელებს ჯერ კიდევ ალექსანდრიაში შეეპარათ ეჭვი, როდესაც გ. ავალიშვილის ჭირითი ნახეს ალექსანდრიის მოედანზე.

ხანგრძლივი და საინტერესო საუბარი გაიმართა ეგვიპტის ფაშისა და ავალიშვილს შორის მეორე შეხვედრისას. ფაშას შეკითხვაზე, თუ როგორ მოეწონა ავალიშვილს ეგვიპტის სიძველეები, გ. ავალიშვილმა უპასუხა, რომ მას დრო არა აქვს „გულისკმის-ყოფისა... ძუშლთა მათ ღირსსაჰსოვართა ყოვლითურთ უსარგებლოთა“², ვინაიდან ის გაკვირვებულია იმ „ახალთა შემოღებულთასა, რომელნიცა მოართმევენ მამულსა სარგებლობასა და მიზეზსა მათისა შემოღებისასა—უყუდავსა სახელსა, რომელთაცა მსგავსი აღრით უკუშ დროათჳს არ უხილვესთ არცა კაირისა მცხოვრებთა და არცა ეგვიპტელთა, და კუალად რომელთათჳსცა უზნობენ უშორისათცა ქუშყანათა შორის უფროს დიადითა განდებებითა, ვიდრეღა რა ძუშლთა მათ საჰსოვართათჳს“ (გვ. 126). ამის შემდეგ გ. ავალიშვილმა დიდი აღტაცება გამოთქვა იმ ეკონომიური, სოციალური და სამხედრო ხასიათის რეფორმების გამო, რომლებიც ეგვიპტის ფაშამ განახორციელა თავისი მოღვაწეობის მანძილზე. რა იყო აქ გულწრფელად თქმული და რა იყო ქათინაური, ძნელი სათქმელია. ერთი კია, რომ გ. ავალიშვილი ქაიროში ყოფნის დროს მართლაც დიდი ინტერესით გაეცნო ფაშის მიერ მოწყობილ მანუფაქტურულ წარმოებას, ეგვიპტის საირიგაციო და სამეურნეო სისტემასა და ქაიროს კეთილმოწყობას.

¹ „მზავრობაჲ“, გვ. 109.

² ეს, რა თქმა უნდა. დიპლომატიური სელა იყო გიორგი ავალიშვილის მხრით, ვინაიდან ეგვიპტის „უსარგებლო ღირსსაჰსოვართა“ ნახვაზე, მოპოვებასა და შექმნაზე მან ბევრი დრო და თანხა დახარჯა. მან მოგზაურობის მეტად რთულ პირობებში მის მიერ შექმნილი საჩოფაგის საქართველოში წამოღება კი მოახერხა.

ავალიშვილის სიტყვებმა მიზანს მიაღწია. ჩანს, გიორგიმ ფაშის ნდობა დაიმსახურა.

მესამედ ფაშამ ავალიშვილი თავის საზაფხულო რეზიდენციაში მიიწვია. საუბარი ამჯერად მიმდინარეობდა ორთა შორის. ფაშამ გ. ავალიშვილის მისვლასთან დაკავშირებით დაითხოვა მასთან მყოფი თათარი, უბრძანა ბოლოს უსუფს კართა დაწვევა და შეიყვანა გიორგი „შუშინაგანესსა ოთახსა შინა“. სრული განხილოების შემდეგ, ავალიშვილმა სთხოვა ფაშას ეთქვა მისთვის მიზეზი „ესთა მოულოდებელისა კეთილდაწესებისათვის მისდაში“, რაზედაც ფაშამ უპასუხა: „ბეგზადა, მეგობარო ჩემო, ვითარ დავერწმუნო მე, რომელ თქუშნ ხართ უქუშ მოსლუულ აქა, გამომღველი ესოდენისა გზისა კმელთა და ზღუათა ზედა, საკუთრად ყუთუსშარაფისა (იერუსალიმისა—ე. მ.) ხილუად, ანუ არ გნებაესთ თქუშნ ნდობა ჩემდა, რომელსაცა მიყუარ და პატიეს-გცემ სიწარფობითა გულისათა და რომელსაცა მწადს განცხადებად თქუშნდა ყოელისავე პაზრისა ჩემისა შემდგომისათუს დროესა და რომლისასაცა გეტყვ, ბეგზადა, უწყისი ლებრთმან, რომელი თუთ უსარწმუნოესთაცა ჩემთა უფარავ მას, რაასაცა აწისმენთ ჩემ მიერ“ (გვ. 133).

თუ რას ეხებოდა ფაშის საუბარი, ამაზე ავალიშვილი სდუმს და კმაყოფილდება საიდუმლოებით მოცული ზოგადი ფრაზით: „აქ მოაყუა მფლობელი ესე ესე ვითართა საგანთა ზედა უბნობასა, რომელთათუსცა მყეენებს მე აწინდელი დროა მოქსენებად აქა, და ესრეთ, დაშეთეს იგი მერმეცა დრომდე საიდუმლოებასა შინა“ (გვ. 134).

ამრიგად, მაჰმად ფაშამ გაანდო გიორგი ავალიშვილს მომავალი პოლიტიკური გეგმები და არა პირიქით, როგორც ამას ვარაუდობდა გ. ჭავჭავაძე. ვფიქრობთ, რომ ეგვიპტის ფაშა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის გიორგის დასაყრდენად ვერ გამოდგებოდა. ის არც თურქეთთან შუამავლობას იკისრებდა, ვინაიდან თვითონ ფაშა ცდილობდა ამ დროისათვის თურქეთის ვასალობისაგან თავის დაღწევას და, ამგვარად, უპირისპირდებოდა კიდევ მას. ფაშისთვის კი რუსეთის მაღალ მოხელესთან საუბარი შეიძლება არ იყო გარკვეულ დიპლომატიურ მიზნებს მოკლებული. ეგვიპტის ფაშალიქში შექმნილი პოლიტიკური ვითარება ამ ვარაუდისთვის საკმაო საფუძველს გვაძლევს.

1805 წლიდან ეგვიპტის ისტორიაში ახალი ხანა დაიწყო. ამ წელს პორტამ ეგვიპტის ფაშად დანიშნა ეგვიპტეში ფრანგების წინააღმდეგ საბრძოლველად გაგზავნილი ალბანური კორპუსის მხედართმთავარი მაჰმად ალი. მაჰმად ალი თვალსაჩინო პიროვნებაა ეგვიპტის ახალ ისტორიაში. მის სახელთან არის დაკავშირებული დიდი რეფორმები და ძვრები ეგვიპტის ცხოვრებაში. მაჰმად ალის სამეურნეო და სოციალური ხასიათის რეფორმებმა თავის შედეგი გამოიღო. ეგვიპტე სწრაფად იმართებოდა წელში და ძლიერდებოდა. ქვეყნის ეკონომიურ წინსვლასთან ერთად იზრდებოდა მისი პოლიტიკური და საერთაშორისო წონა. მალე ეგვიპტის ფაშის გავლენა გავრცელდა მთელ არაბეთზე. ფაშა აკონტროლებდა წითელი ზღვის სავაჭრო და სტრატეგიულ გზებს. 1820 წლისათვის კი (გ. ავალიშვილის ეგვიპტეში მოგზაურობის დროისათვის), თავის სიძლიერეში დარწმუნებული ეგვიპტის ფაშა სულთანის ვასალობისაგან განთავისუფლებისათვის ემზადებოდა და გეგმებს აწუობდა არაბთა დამოუკიდებელი იმპერიის შესაქმნელად: „В середине 20-х годов Мухамед Али располагал значительной регулярной армией, namного превосходящей вооруженные силы султана и мечтал уже об образовании самостоятельной арабской империи“¹.

¹ Новая история стран зарубежного Востока, т. I, под редакцией И. М. Рейснера и Б. К. Рубцова, М., 1952, გვ. 309. ლიტერატურა მაჰმად ალი ფაშაზე მეტად დღისა მისი რეფორმების შესახებ ვრცლად იხილე წიგნში: Рашид аль-Барави и Мухаммед Хамза Улейш, Экономическое развитие Египта в новое время, М., 1954. თარგმანი არაბულიდან.

მაჰმად ფაშის სეპარატიულმა ტენდენციებმა მალე აშკარად იჩინა თავი. 1825—26 წლებში მაჰმად ალიმ სამხედრო დახმარება აღმოუჩინა სულთანს ბერძენთა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩაქრობაში. ხოლო შემდეგ თვითონ შეუწყვიტა მას ხარკის გადახდა, დაიპყრა სირია და ბოლოს ომიც კი გამოუცხადა თურქეთს. ბრძოლაში გარემე ქვეყნები რომ არ ჩარეულიყვნენ, ამ ომში გამარჯვებული ეგვიპტე გამოვიდოდა.

საფიქრებელია, რომ მაჰმად ალი ფაშისა და გ. ავალიშვილის საუბარი არაბთა დამოუკიდებელი იმპერიის შექმნის მომავალ გეგმებს ეხებოდა. მაგრამ რად აირჩია მაჰმად ალიმ ამ საიდულო გეგმების გასანდობად გ. ავალიშვილი? იქნებ იმიტომ, რომ თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში მას რუსეთი ესახებოდა მოკავშირედ? ეს ვარაუდი არ იქნებოდა რეზონს მოკლებული, ვინაიდან რუსეთის კურსი „აღმოსავლურ საკითხთან“ დაკავშირებით თურქეთის დასუსტებისა და მისი იმპერიის გაღანაწილებისაკენ იყო მიმართული. გ. ავალიშვილს — რუსეთის მოხელეს, ამ მხრივ შეეძლო გარკვეული სამსახური გაეწია მაჰმად ალისათვის. შესაძლებელია მოგზაურობიდან დაბრუნებულმა გიორგიმ, სხვა ცნობებთან ერთად, მაჰმად ალის დანაბარები ცნობებიც გადასცა გრაფ ნესლროდს („словесные препоручения“).

მაჰმად ალის მომავალი სამხედრო-პოლიტიკური გეგმები რომ ცნობილი იყო გ. ავალიშვილისათვის, ამას „მგზავრობის“ ერთი ადგილიც გვიდასტურებს. ავალიშვილმა ცალკე თავი უძღვნა მაჰმად ალის ბიოგრაფიისა და მოღვაწეობის გადმოცემას. ეს თავი შემდეგი სიტყვებით თავდება: „მოკლედ ვსთქვათ, ფაშაჰ ესე არს აჟა გუარსა შინა თჳსთა მეორეჲ ნაპოლონ, რომელიცა მცირემცირედ აძლევს ცნობასა ღირსებათათჳს თჳსთა მბრძანებელთა, თუმცა ერ ჩის. ჟერეთთა, გარნა არა ეგრეთ, ვითარცა სხუანი იგი მისისა წოდებისანი“ (გვ. 176).

გიორგი ავალიშვილი ხედავს, რომ მიუხედავად ვასალური დამოკიდებულებისა, მაჰმად ალი ფაშა ქვეყნის მართვის საქმეში დიდ დამოუკიდებლობას იჩენს, რომ ის ნელ-ნელა აგრძობინებს სულთანს თავის ძალას, თუმცა იურიდიულად მას ჯერ კიდევ ემორჩილება. მაგრამ ეს მორჩილება დროებითია და მალე ამისგანაც იხსნის თავს.

გიორგი ავალიშვილი გარსევან ჰაევავაძესთან ერთად საზოგადოების იმ დასს ეკუთვნოდა, რომელიც რუსეთისადმი დაქვემდებარების პირობებში საჭარტველოს ავტონომიას მოითხოვდა. შეიძლება ამით უნდა აიხსნას ავალიშვილის განსაკუთრებული ინტერესი ეგვიპტისა და მისი სახელოვანი ფაშის მიმართ, რომლის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა იქით იყო მიმართული, რომ რეფორმებით და ქვეყნის ეკონომიური მომაგრებით მოემზადებინა ეგვიპტე დამოუკიდებელი არსებობისათვის და ამ გზით თურქეთისაგან განთავისუფლების გზა დაესახა. შესაძლებელია ასევე ესახებოდა გიორგი ავალიშვილსაც საჭარტველოს უკეთეს მომავალზე ზრუნვა. ალბათ ამანვე განსაზღვრა ავალიშვილის ინტერესი ბერძენთა განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი, კვიპროსის თვითმმართველობისა, სწავლა-განათლების სისტემისა თუ სხვა სახელმწიფოებრივი ღონისძიებებისადმი¹, რომლებიც ხელს უწყობდნენ ხალხის განათლების ღონის ამალღებას და მის ეკონომიურ მოღონიერებას.

ურთიერთობა, რომელიც დამყარდა მაჰმად ალისა და გ. ავალიშვილს შორის, შეუმჩნეველი არ დარჩენილა დიპლომატიურ წრეებში. მაჰმად ალიმ თა-

¹ ავალიშვილი საგანგებოდა ჩერდება კუნძულ კვიპროსზე სამკერნალო სახლის, შემნახველი სალაროს და ფოსტის მუშაობაზე.

ვისი განსაკუთრებული კეთილგანწყობა გიორგისადმი მრავალგზის გამოამკლავ-
ნა. ბოლოს გიორგის თხოვნით გაანთავისუფლა და სამშობლოში დაბრუნების
ნება მისცა რუსეთის ყოფილ ქვეშევრდომს, გათათრებულ ბაზლიძეს, რომე-
ლიც ფაშის ციხის ჯარისკაცად ირიცხებოდა. ამგვარი აქტი იმ დროისათვის
უჩვეულო იყო, ამიტომაც, რომ კონსტანტინეპოლიდან ქაიროში ჩამოსულმა-
დ. ვ. დაშკოვმა მოისურვა ბაზლიძის ნახვა, რის შემდეგ მოახსენა გიორგის:
„თავად! თუმცა ორთა იმპერიათა შორის—როსიისა და ოთამანის პორტი-
სათა—დამტკიცებულსა მშვიდობისათჳს წერილსა შინა არს მოქსენებულ, რომელ-
მეცვითარი როსიისი ქუტუშემვრდომი, გათათრებულსა სამფლობელოსა შინა ოთა-
მანის პორტისასა არაა უკუშ მოუქცევის პირველი მფლობელსა მისსა, ეგსახედ
ოთამანის პორტისაცა ყმაჲ, როსიასა შინა ნებსით დაჰშობილი, და ესრეთ,
ორთავე საერთმთავროთა ამათ მიუღებვისთ სამართალი საგანსა ამას ზედა
თქემად რაჲსამე ურთიერთისადმი, გარნა თქუშნ მიერ განჯსნილისა გზისა ძლით
ვხედავ დღეს, ვითარმედ თქუშნებრსა ქცევასა ძალუძს უთუოდ სხუათაცა მრავალ-
თა სასარგებლოთა საქმეთა შინა აღვილ წარმართებად, რომლისათჳსცა
ნამდვლ წარუდგენ სრულშემძლებელსა ომირსა ჩუშნსა უფალსა ბარონ სტრო-
გონოვსა და დროზედ, ვითარცა ესასოებ, მიიღებთ მისგან მადლობასაცა“ (გვ.
154—55).

თავისი ქვეყნის აღორძინებით დაინტერესებული მაჰმად ალი დიდი პატი-
ვისცემითა და ყურადღებით ეკიდებოდა ეგვიპტეში ჩასულ ევროპელ და რუს
მეცნიერებს, დიპლომატებს და მოგზაურებს. ის თვითონაც იწვევდა მეცნიერებს
ეგვიპტის ბუნებრივი რესურსების შესასწავლად და ყოველმხრივ ხელს უწყობდა
მათ მუშაობას. ქაიროში ჩასული არა ერთი მეცნიერი და მოგზაური ყოფილა
მაჰმად ალის სტუმარი¹, ამიტომ ამ დროის სამოგზაურო წიგნებში ხშირად შე-
ხვდებით მაჰმად ალის პიროვნებისა და საქმიანობის დახასიათებას. ამ მხრივ,
ძალიან მდიდარია ცნობილი რუსი მეცნიერებისა და მოგზაურების ა. ნოროვი-
სა და .ე. პ. კოვალევსკის სამოგზაურო წიგნები. ა. ნოროვმა ეგვიპტეში იმოგ-
ზაურა 1834—35 წლებში². ის რამდენჯერმე შეხვდა მაჰმად ალის და ესაუბრა
რეფორმებზე, რომლებიც მაჰმად ალიმ გაატარა მრეწველობისა და მეურნეობის
დარგში: „Ми провели более часа в любопытной беседа о его нововве-
дениях и я остался вполне довольным его необыкновенно ласковым при-
емом“³.

უფრო ახლო და საქმიანი ურთიერთობა დაამყარა მაჰმად ალისთან ე. კო-
ვალევსკიმ, რომელიც მაჰმად ალის მიწვევით 1847 წელს ჩაეღდა ეგვიპტეში
ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკის გეოლოგიური შესწავლისათვის⁴. კოვალევსკიც
საგანგებოდ აღნიშნავს იმ დიდ ყურადღებას, რომელსაც იჩინდა მაჰმად ალი
ეგვიპტეში ჩასული რუსი დიპლომატებისა და მეცნიერ-მოგზაურთა მიმართ.
ე. კოვალევსკიმაც ცალკე თავი უძღვნა მაჰმად ფაშის დახასიათებასა და მო-
ღვაწეობას, მაგრამ ის პერიოდი, რომელსაც კოვალევსკი აღწერს, მაჰმად ალის
დიდების ჩასვენების წლებია, გ. ავალიშვილი კი მაჰმად ალის შეხვდა იმ დროს,
როდესაც იგი თავისი ძლიერების მწვერვალზე იდგა, თამამად მიაბიჯებდა დიდი

¹ Б. М. Данциг, Русские путешественники на Ближнем Востоке, М., 1965.

² А. Норров, Путешествие по Египту и Нубии в 1834—35 г. 1853 წლის გამოცემა.

³ Е. П. Ковалевский, Путешествие во внутреннюю Африку, 1872 წლის გა-
მოცემა.

გვეგების განსახორციელებლად და თავისი შორსმჭვრეტელობითა და სახელმწიფოებრივი ჰკუთ იზიდავდა განცვიფრებული ევროპის ყურადღებას¹.

გ. ავალიშვილის მოგზაურობის ის ნაწილი, რომელიც მაჰმად ალის მოღვაწეობისა და მისი პიროვნების დახასიათებისაღმია მიძღვნილი, უთუოდ ინტერესს გამოიწვევს ეგვიპტის ახალი ისტორიის შემსწავლელთა შორის. მაჰმად ალიზე დაწერილ მრავალრიცხოვან მოგონებებს დაემატება ქართველი მოგზაურის მემუარებიც.

* * *

გ. ავალიშვილს მარტო თანამედროვე ეგვიპტე როდი იზიდავდა. ის დიდი ინტერესით ეცნობოდა გარდასულ დროთა ეგვიპტის ისტორიას, მისი შესანიშნავი ხელოვნების ძეგლებისა თუ მონუმენტური ნაგებობების სახით. აქაც გიორგი თავისი დროის კულტურულ მოთხოვნილებათა დონეზე აღმოჩნდა.

1798 წლის მაისში ნაპოლეონი 328 ხომალდით მიადგა ეგვიპტის ნაპირს. დიდძალი მხედრობის გარდა, ამავე ხომალდებით ეგვიპტეში ჩავიდნენ ფრანგი მეცნიერები. მართალია ნაპოლეონის ექსპედიციამ საშხედრო მარცხი განიცადა, მაგრამ სამაგიეროდ მეცნიერებას უდიდესი განძი შესძინა. ექსპედიციის დამსახურება იყო თანამედროვე ეგვიპტის პოლიტიკური, ხოლო უძველესი ეგვიპტური ცივილიზაციის მეცნიერული აღმოჩენა.

ამ დროიდან საიდუმლოებით მოკული უძველესი კულტურის შეცნობის სურვილმა მოიცვა მთელი ევროპის მეცნიერები და მოწინავე ადამიანები.

XIX საუკუნის დამდეგიდან ეგვიპტისაკენ მისწრაფოდა სიძველეთა შესწავლისა თუ შობოვების სურვილით გატაცებული მრავალი მეცნიერი, მოგზაური, სიძველეთა მოტრფიალე დილეტანტი, მწერალი, ანტიკვარი თუ სახელის მძიძებელი ავანტიურისტი. ეძებდნენ პირამიდებს, აკლამებს, სარკოფაგებს, ხელოვნების ნიმუშებს და ყველაზე მეტად კი იეროგლიფურ წარწერებს, რომლებსაც უნდა გაეხსნათ 5000 წლის ისტორიის მქონე უცნობი ცივილიზაციის საიდუმლოება.

ახლად აღმოჩენილი ეგვიპტური ცივილიზაციისადმი ინტერესი რუსეთშიც დიდი იყო. უკვე 1826 წელს ერმიტაჟმა მიიღო ეგვიპტურ სიძველეთა პირველი კოლექცია. ეგვიპტისა და ძველი აღმოსავლეთის ისტორია, ეტყობა, ქართველებსაც აინტერესებდათ და იზიდავდა XVIII საუკ. მეორე ნახევრიდან. ამ ინტერესის საპასუხოდ უნდა იყოს თარგმნილი გაიოზ რექტორის მიერ „ძველი ისტორია ეგვიპტელთა, კართაგენელთა, ასსირიელთა, ბაბილონელთა, მიდელთა, სპარსთა, მაკედონელთა, ბერძენთა, ქმნილი უფლისა როლენნასი“ (S—204), რომელშიც, სხვათა შორის, ეგვიპტის პირამიდების სურათებიც არის ჩართული.

გ. ავალიშვილისთვისაც, ჩანს, კარგად იყო ცნობილი როგორც ახალი ეგვიპტის, ისე ძველი ეგვიპტის მნიშვნელობა და მისდამი გაღვიძებული დიდი ინტერესი. ამიტომ ის საეხებით მომზადებული ჩავიდა ამ მხრივ ეგვიპტეში. გეგმიანად და ცოლნით ათვალიერებს ყველაფერს, რაც ცნობილი და საყურადღე-

¹ მაჰმად ალის პიროვნებასა და საქმიანობაზე მის თანამედროვეთა შორის სხვადასხვა აზრი იყო გავრცელებული. ე. კოპლევსკი წერს: „С любопытством всматривался я в лицо человека, который долго зашпмал собой внимание Европы. Его выставили то гением, то злодеем, но каков бы он ни был, история жизни его во всяком случае чудная и таинственная“ (გვ. 30). მაჰმად ალიმაც კარგად იცოდა, რომ მისი მმართველობის დროს ეგვიპტე საერთაშორისო პოლიტიკაში დიდ როლს თამაშობდა. ის თავის თავზე შემდეგს ამბობდა: „Нас трое сверстников: Луи Филипп, король французов, Метерних и я; если свернется один из нас, то другие немедленно последуют за ним“ (А. Норов, გვ. 30).

ბო იყო იმ დროისათვის. ავალიშვილმა მოიარა ქაიროს მიდამოები, დაათვალიერა და აღწერა სახელოზებეკილი პირამიდები და სფინქსი. მხედველობიდან არ გამორჩენია მას ალექსანდრიის ცნობილი ობელისკები იეროგლიფებით და არც აუზი, რომლის დაზიანებულ სახურავზე მოჩანდა იეროგლიფური წარწერის ნაშთები.

სიძველეთა აღწერის დროს გ. ავალიშვილი ცდილობს იყოს უკიდურესად ზუსტი და აკადემიური თავის შესაძლებლობის ფარგლებში. ნიმუშად შეიძლება მოიყვანოთ მისი მსჯელობა კლეოპატრასა და პომპეუსის ცნობილი სვეტების შესახებ, რომლებიც მან ალექსანდრიაში ნახა: „ღროა ალგებისა მისისა (იგულისხმება პომპეუსის სვეტი—ე. მ.), თანაჰსწორ ვითარ კლეოპატრას ნემსთაცა, არ საცნაურ არს სრულიად, ხოლო წოდებანიცა მათ კლეოპატრასნი და ამას პომპეუსა ანუ სვეტისა არიან უთუოდ შემდგომ მიცემულნი სახელნი, ვინაჲთგან უწყვიან უეჟს მეცნიერთა, რომელ სუტნი ესე არიან უწინარეს გუამთა ამათ არსებობათასა კმნილ“ (გვ. 109). სხვა ანალოგიურ შემთხვევაში გიორგი ცნობების ლიტერატურულ წყაროებზეც მიუთითებს.

ქაიროში გიორგიმ შეიძინა სარკოფაგი მუმიებით, რომლის ფერადი ნახაზები მან შემდეგ რუსეთში გამოახატენა და შეიტანა თავის „მგზავრობაში“¹. სარკოფაგი გიორგის მოუტანა ერთმა კობტმა, სახელით შიჰ აჰმადმა, და იმ დროს, როდესაც მსოფლიო მეცნიერებმა თავს იტყებდნენ იეროგლიფების ამოხსნაზე, შამპოლიონის ფუძემდებელი შრომები კი ჯერ გამოქვეყნებული არ იყო, მან საოცარი სიადვილით „ამოუკითხა“ გიორგის სარკოფაგის იეროგლიფური წარწერა, რომლის უცნაური შინაარსი გიორგის მთლიანად მოჰყავს „მგზავრობაში“ და თან დასძენს: „თუ ამას დაეჭერაბაო“. ამისდა მიუხედავად, ავალიშვილი მაინც შეეცადა გაეგო შიჰ აჰმადისაგან იეროგლიფთა „მისთვის ცნობილი“ საიდუმლოება და შესთავაზა: „უკეთუ გამომიწერ შენ ძალსა იეროგლიფთა ამათთასა, უადღვსს და უუსრულეს საცნობელად ისტორიისა მისისა, მაშინ მოგცემ შენ გერომისათუს შენისა ათსა თუმანსა ვეცხლად“ (გვ. 171), მაგრამ „იეროგლიფთა გამსინჯავი“ კობტი ასე ადვილად არ შეეღია თავისი „კოდნის ძალას“ და უპასუხა: „არცალათუ ათასისათუს ქესისა აღვისრულებ თხოვილსა თქუმსა“.

¹ სარკოფაგი გაუხსნიათ და გამოუხაზათ არა მარტო მთავარი მუშია, არამედ სარკოფაგის ყველა დანარჩენი ნაწილები: პატარა მუმიები და ნივთები. თითოეული ელემენტის ნახაზე მითითებულია ზუსტი ზომები და მიწერილია რუსულად ან ქართულად რაობა. რუსული წარწერების ქართული თარგმანები შესრულებულია გ. ავალიშვილის ხელით. საინტერესოდ არის გაკეთებული მთავარი მუმიის სურათი. მუმიის სახეზე გადაფარებული ოქროქსოვილი ცალკეა დახატული და დამაგრებულია ერთი მხრით თეთან ისე, რომ მისი გადაწვის შემთხვევაში გამოჩნდება მუმიის გაშუებული სახე. სამწუხაროდ გამოცემაში ამის განხორციელება ვერ მოხერხდა. აქ ოქროქსოვილი მუმიის თეთან, გვერდით არის მოთავსებული, ისე რომ ერთდროულად ჩანს როგორც ოქროქსოვილი, ასევე მუმიის თავი.

მოკვყავს ნახატების რუსული აღწერილობა, დაწერილი სურათების მეორე თავისუფალ მხარეს:

Описание второго (гамроცემაში სურ. 10). რისუნკა:

№ 4. Два гроба с вырезанными на поверхности идолами в натуральном виде.

№ 5. Два выкидыша (Embryones) в натуральном виде.

№ 6. Урна из белого камня с кришкой с изображением собачей головы.

Описание третьего рисунка (სურ. 11).

№ 7. Яйцо идиаса в натуральном виде.

№ 8. Изображение теленка.

№ 9. Изображение кошки.

№ 10. Кость в натуральном виде.

№ 11. Мумия семилетнего дитяти.

თუ რა გზით მოიპოვა ავალიშვილმა სარკოფაგი, ამის შესახებ „მგზავრობაში“ არაფერია თქმული. ზოგ რაიმეს ეგებულობთ „კალმასობიდან“. იონახელაშვილისა და გიორგი ავალიშვილის ზემოთმოყვანილი დიალოგიდან ირკვევა, რომ გიორგის სარკოფაგში გადაუხდია 1200 ოქრო იმ იმედით, რომ მას „ღია ძვირად გაყიდდა“. ამავე დიალოგის მიხედვით გიორგის დიდად ვასკირებია სარკოფაგის წამოღება. მან ფარულად სცადა მისი გამოპარება; ეშმაკობა გაუვსა და ართმევდნენ, მაგრამ აქაც უპოვნია გიორგის გამოსავალი: „მე ბებიაჩემის სახელით გამოვიტანე, რომ თავის სასაფლაოში მიმაქვსო“¹.

ეს ცინიზმი მართლა გიორგისგან მომდინარეობდა, თუ იოანე ბატონიშვილის იუმორია, ძნელი სათქმელია. არც ის ვიცით, გაყიდა თუ არა გიორგიმ ეს შენაძენი, და თუ გაყიდა, სად არის იგი ამჟამად. იმ საჩუქრებში კი, რომლებიც გიორგიმ იმპერატორს უთავაზა მის საგანძურთა საცავისათვის, სარკოფაგი დასახლებული არ არის.

გ. ავალიშვილი მისწრაფის ნახოს ყველაფერი, რაც ეგვიპტის საოკრებად იყო მიჩნეული: პირამიდები, სფინქსები, იეროგლიფებიანი ობელისკები. პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, პირამიდები, რომლებსაც ის დაწვრილებით აღწერს წერილობითი თუ ზეპირი წყაროების გამოყენებით. მაგრამ უფრო საინტერესოა ის უშუალო შთაბეჭდილება, რომელიც მან მიიღო ამ გრანდიოზული სანახაობის პირველნახვისთანავე: „არ შესაძლო არს აღწერად ამჟამად წარმოდგომილისა ჰაზრისა მსგავსთა საკნოვართა ძლით წარმოებულისა, რომელსაცა ზედა ხორშაკი ჰაერი აქაური მოაწვეს საკუთარსა ელუარებასა, შემაგრძნეულბეგსა სახედუშლთასა. ესენი სწყლვენ თულთა მგზავრისათა, შეაძრწუნებენ მას, გარნა ვერ აწარმოებენ მის შორის აღტაცებასა. შეუძლებელ არს განუცფერებლობად ხილუასათანა ჰელთა მიერ კაცთა აღგებულთა უზარმაზართა ამათასა, არამედ ძნელ არს ცხად-ყოფად, თუ რაჲს მიეწერების განცფერება ესე—სიდიადესა წარმოებულთა ამათასა ანუ მხოლოდ უზარმაზარობასა მათსა“ (გვ. 156). მოგზაურის აზრით, ეს სანახაობა არ იწვევს ესთეტიკურ სიამოვნებას. უზარმაზარი პირამიდები მხოლოდ ანცვიფრებენ მნახველს, და ძნელია იმის თქმა, თუ რა არის ამ განცვიფრების მიზეზი—პირამიდების გრანდიოზული მამტაბები. თუ სანახაობის სიდიადე.

რაც უფრო ღრმად ეცნობოდა გ. ავალიშვილი ეგვიპტის აწყყოსა და წარსულს, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ მისმა სათაყვანებელმა ნაპოლეონმა ეგვიპტეს დიდი ზიანი მიაყენა. მან თავისი თვალით იხილა ნაპოლეონის „სტუმრობის“ საველლო შედეგები: დანგრეული ჭლაქები, დაბები, ციხეები, სიძველეთაგან გაძარცვული ქვეყანა. მისი სიტყვით, ეამთა სვლას არ მიუყენებია ქვეყნისათვის იმდენი ვნება, რამდენიც ნაპოლეონის ლაშქრობამ².

გ. ავალიშვილის დიდი სიყვარული ისტორიული სიძველეების, ანტიკური ხელოვნების ნიმუშებისა და ხელნაწერებისადმი მალე გახდა ცნობილი იმ წრეში, სადაც ის ტრიალებდა. ამიტომ მას ზშირად საგანგებოდ იწვევდნენ ამა თუ იმ ძველი ნივთისა თუ ნაგებობის სანახავად და მისი „ავტორიტეტული“ სიტყვის მოსასმენად. იერუსალიმში ყოფნის დროს გ. ავალიშვილი ეწვია ლათინთა მონასტერს, რომელიც ადრე ქართველების აშენებული იყო იოანე ღვთისმეტ-

¹ „კალმასობა“, II, გვ. 254.

² ნაპოლეონის პირთევისადმი თაყვანისცემას გიორგი აშკარად აძლავნებს პატრიოსებთან საუბარში. იხ. „მგზავრობა“, გვ. 18.

³ „განჯახილუშთ ციხე უფროს ენებული ნაპოლეონის წუშეთა, ვიდრედა სიძულეეთა თხისთა“ (გვ. 180); „ქალაქა (დაზას—უ. მ.) ამას ქმისის ნიშანი ბუნაპარტე ნაპოლეონის სტუმრობისა“ (გვ. 181).

ყველის სახელზე. წირვის მოსმენის შემდეგ გიორგი ჩაიყვანეს მონასტრის აფთიაქში. და აჩვენეს მუშია. გიორგიმ საქმის ცოდნით გასინჯა მუშია, რითაც პატრონების ვაკვირება გამოიწვია: „მიმღებმან თანგობისა—წერს გიორგი,— აღმოვიღე ჭიბით ტელსახოცი და წამსემელმან პირსა ზედა მუშიისასა, გამოვანინე მასკი ანუ პირსახურავი ნარმისა, წმიდითა ოქროთა მოპიტალაკებული. მხილულსთჳ ამისა სალვატორ ანტონისა (მონასტრის წინამძღარი—ე. მ.) და კრებულსა მისსა დაეცათ განკჯრებდა, მმეტყულთა ურთიერთისა შორის რაასა-ცადა ..რტალოურად. უკანასკნელ მრტუა სალვატორ ანტონია: პრენჩიპე! ჰაზრი ჩუშნი დაშვრომებისათჳს თქუშნისა კშთამოყუანად აფთჳკას ამას შინა იყო მუშიაჲ ესე თქუშნ მიერ ხილველი, რომლისასაცა ვაზნობდით იშჳთს ნივთად ჩუშნებასა თქუშნდა, გარნა ეხედავთ აწ, რამეთუ არა თქუშნთჳს, არამედ თჳთ ჩუშნთჳს გამოჩნდა იგი უფროს, ვიდრეღა იშჳთად, ვინაჲთგან თქუშნ მიერ ეცნობთ დღჳს ძკრფასობასა მისსა, რომელიცა წარმდინარეობათა შინა 52-თა წელთასა გვაქჳს და რომლისაცა ღირსებაჲ არ ეუწყოდით ჩუშნ“ (გვ. 240).

ბერუსალიმში გ. ავალიშვილს დაუთვალიერებია ებრაელთა სინაგოგა და აბაშთა მონასტერი. პირველი მან ნახა ბიბლიის ხელნაწერი ძველ ებრაულ ენაზე, ხოლო მეორეში—ოთხთავი აბაშთა ენაზე.

გიორგი ავალიშვილთან სახლშიც მოჰქონდათ სიძველენი და წმიდა ნაწილები—ზოგი საჩვენებლად, ზოგი კი საჩუქრად. იერუსალიმის მიტროპოლიტმა მისაელმა მას სხვადასხვა დროს უთავაზა: სპირიდონ საკვირველმოქმედის ნეკნის ძვალი, წმიდა საფლავისა და გოლგოთას ქვანი უწმიდესი სინოდის ბეჭდით დაბეჭდილნი და ბერძნულად წარწერილი, ცხოველმყოფელი ძელის ნაწილი.

ჩანს, ამგვარ საჩუქრებზე პალესტინის სულიერნი მამანი მეტად უხვნი იყვნენ; არც გ. ავალიშვილი იჩენდა სიძუნწეს და ამ სიწმიდეებს სიამოვნებით უნაწილებდა თავის მხლებლებს. წმიდა საფლავისა და გოლგოთას ნაწილები კი გ. ავალიშვილმა მოგზაურობიდან ჩამოტანილ სხვა ნივთებთან ერთად ვადასცა რუსეთის მთავრობას განძეულობათა საცავში შესანახავად. ამის თობაზე გოლიცინი ატყობინებდა გარფ ნესელროდეს: „Некто князь Авалов Георгий, возвратясь из путешествия по Египту и Палестине, препроводил ко мне при письме части от Гроба Господня и от св. горы Голгофы, полученные им посредством патриарха, за свидетельством святейшего иерусалимского Синода... Князь Авалов жертвует сими вещами для помещения их в хранилище редкостей“¹.

გ. ავალიშვილმა სხვა რიგის საჩუქრებიც მიიღო. ანტონ პერეტიემ აჩუქა მას „ანტიკი ე. ი. თერსა ეშმისა ქუჳსა ზედა მოკრილი სახეჲ მაკედონელთა მეფისა“ ფილიპესსა“ — ანტიკური გემა ფილიპე მაკედონელის გამოსახულებით; ხარკოველმა მეშჩანინმა კი ძველი მონეტები².

ანტიკური ხელოვნების იმეუშებს გ. ავალიშვილი გულმოდგინედ ეძებდა. დამახასიათებელი ეპიზოდია: კესარიაში გ. ავალიშვილს აცნობეს, რომ ერთ-ერთი სომხის ოჯახში მარმარილოს ბიუსტია გასაყიდი. გ. ავალიშვილმა დაუყოვნებლივ მიაკითხა ბიუსტის პატრონებს, მაგრამ ქანდაკება იქამდე დაზიანებული აღმოჩნდა, რომ მისი შექენა არ ღირდა.

გ. ავალიშვილმა საჩუქრების სახით მოაგროვა მისთვის საინტერესო წიგნები და რუკები: „აღწერა იერუსალიმისა და გარემოს მისა წმიდათა ადგილთა, ბერძულსა ენასა ზედა დაბეჭდილი ხატებითურთ“ (გვ. 229); „წიგნი სლავიანი-

¹ АВПР, Главный архив, II—11, 1822, საქმე № 2, ფ. 1.

² „მგზავრობა“, გვ. 147.

სა ენასა ზედა ვენას დაბეჭდილი, რომელიცა იპყრობს თჳს შორის აღწერასა იერუსალიმისა და გარე მისა წმიდათა ადგილთასა“, „ისტორიანი იერუსალიმისა და კიკოს მონასტრისა ბერძულად დაბეჭდილნი“. „იკირიის ქალაქის ისტორია“ ბერძნულად დაბეჭდილი.

მიტროფანე დროუგუმანს გ. ავალიშვილისათვის გადაუცია: „ტილოსა ზედა ფერადითა წამლებით დახატული სახეა წმიდისა ამის ქალაქისა, ბერძულად ზეწარწერილი ყოველთა ღირსსასჯოსოვართა ზედა თჳს-თჳსთა სახელითა“ (გვ. 238).

ამ წიგნებისა და რუკების ერთი ნაწილი გ. ავალიშვილმა გამოიყენა თავისი მემუარების გაფორმებისათვის.

* * *

დიდი გულისყურით ათვალიერებს გიორგი ავალიშვილი ქართულ ეკლესია-მონასტრებსა და სიძველეებს საქართველოში და საქართველოს გარეთ. ვრცლად და დაწერილებით აღწერს გიორგი იტრიის მონასტერს, მოწამეთას, გელათის კომპლექსს და იქ დაცულ განძეულობას, თუმცა მისი მოწოდებული ცნობები ყოველთვის ზუსტი არ არის¹.

კუნძულ ბოსჩადაზე (ტენედოს) გიორგის უნახავს ლეთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი, რომლის აშენებასაც ადგილობრივი მცხოვრებნი მიანწრდნენ ექსორიზმში მყოფ ქართველ ბატონს. „მე ესრეთ ვგონებ,—დასძენს ავალიშვილი,—ვითარმედ ექსორია-ქმნილი ესე მუჟუგა იყო საქართულლოსა კათალიკოსი დომენტი, ძმაჲ უკეთილმსახურებისა ღმრთისა მიმართ განსულწნებულისა საქართულოს 95-ე მეფისა ვახტანგისა“ (გვ. 89).

ეს ცნობა, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ქართულ წერილობით წყაროებს არ დაუცავს. ასევე საინტერესოა გიორგის ცნობა კიზილქილისის ეკლესიის (ყარსის მახლობლად) ქართული წარწერის შესახებ: „კიზილქილისია—წითელი ანუ შუშნიერი ეკლესია. ესე მდგომარეობს სრულსა ყვაეილოვნებასა შინა თჳსისა სიახლ-სიმტკიცისასა მარცხენით ყერძო გზისა, მაღალ-მწვანეილოვნასა შიშველსა გორასა ზედა, რომელსაცა ბჳისა თავსა არს ქუაჲ წერილიანი ქართულითა მთავრულითა ასოებითა და სომხურითაცა, გარნა ჴელთა მიერ დროსა, ყოვლისა განმაქარებელისა, და მასთანა ჴელთავანცა უკეთილ-სახურთათა არიან წერილნი ესე გაცულებულ და არ შესაძლო წარკითხულად მათსა. იტყჳან არზრუმ-კარსელნი სომეხნი, მცნობნი წინაპართა მიერ თჳსთა, თამარ მეფისაგან აღშენებასა ამ ეკლესიისასა (გვ. 336, სქ. 1)².

გ. ავალიშვილი ცდილობს დაძებნოს და მოინახულოს პალესტინის ქართული მონასტრებიც. ამის განხორციელება რთული იყო, ვინაიდან XIX საუკ. დამდეგისათვის ქართველთა მოღვაწეობის კვალი იერუსალიმში სრულიად წაშლილი იყო. იერუსალიმში გიორგიმ ნახა ერთადერთი ქართველი—ღიაკვანი იოსტოსი, აღდგომის ეკლესიის მწირველი.

ტიმოთე გაბაშვილმა იერუსალიმში მოგზაურობის დროს 13 ქართული მონასტერი დაათვალიერა და იქ დაცული ზღნაწერებისა და სულთა მატიანე-

¹ გელათის აშენების თარიღად გიორგი 1200 წელს ღებს („მგზავრობაჲ“, გვ. 19). ზოგი უზუსტობა გასწორდა გამოკლევაში, ზოგი საძიებლებში, ნაწილი კი შენიშვნის გარეშე დატოვებო.

² ძნელი გასარკვევია, თუ რომელ ეკლესიას გულისხმობს გ. ავალიშვილი. კიზილქილისის სახელით რამდენიმე ეკლესია და ტაძარი არის ცნობილი: Inscriptions géographiques et autres recueillies par le Père Nersès Sargisian, et expliquées par M. J. Brosset: „Mémoires de l'Académie Imperiale des sciences de St. Pétersbourg, VII-e série, t. VIII, № 10, გვ. 5.

ების შემწევობით შეეცადა ამ მონასტრების ისტორიის აღდგენას. 13 მონასტრი-დან გ. ავალიშვილმა მხოლოდ ოთხს მიაგნო, ესენია:

1. იაკობის მონასტერი, „აღშენებული მეფეთა მიერ საქართველომასათა და აწ ჰაოსიანთა მიერ, საუბედუროდ ქართულთა, ჰყრობილი“ (გვ. 204).

2. ჭვრის მონასტერი იერუსალიმის მახლობლად.

3. „პირველ სახელსა ზედა წმიდისა იოანე ღმრთისმეტყველისასა აღშენებული საქართველოს მეფეთა ანუ მთავართა მიერ, გარნა შემდგომ ლათინთაგან შეცულოლი სახელსა ზედა ქალწულ-მოწამეასსა ეკატერინესსა“ (გვ. 239—40).

4. აბრაჰამის სახელობის ეკლესია.

ყველაზე სრულად გ. ავალიშვილი ამ უკანასკნელ ეკლესიას აღწერს. ის გაეცნო ამ მცირე, მაგრამ კობტა ტიპის შიგნითა შემკულობასა და წარწერებს.

გიორგი ავალიშვილს განზრახული ჰქონია ჭვრის მონასტრის კედლის მხატვრობის აღწერა და წარწერების გადმოღება. მაგრამ ფრესკების გადასული წარწერების წაითხვა მას ვერ მოუხერხებია, რის გამოც არასწორად გადმოცემს ფრესკის შინაარსს (გვ. 214). ასევე ვერ მოუხერხებია გიორგი ავალიშვილს იატაკის წარწერის ამოკითხვა, მიუხედავად მრავალი ცდისა: „ვიგულს-მოდგინე წარკითხუად უსათვალოდ, სათვალოთ, განმადიდებელის მინით და სანთელთა სინათლესაცა ზედა, ვერ ძალ-ვიდეე მცირედცა მიხვდომად წერილისა მის ძალთა“ (გვ. 214).

გიორგიმ ცოტა რამ იცის ქართველთა მოღვაწეობის შესახებ იერუსალიმში. ამ საკითხით ის საგანგებოდ დაინტერესებული, ჩანს, არ ყოფილა, მაგრამ ქართველებს რომ გოლგოთაზე ეკუთვნოდათ ჭვარისა და საპყრობილეს ადგილი, ეს გიორგისთვის ცნობილია: „ადგილი წმიდისა გოლგოთისა, რომელსაცა ზედა ყოფილა დადგინებულ ჭუარს და ადგილი ანუ საპყრობილეა, სადაც დაუკრძალათ უფალი იესუსი მას დროდმდე, ვიდრემდის მოსთხრიდინა ორმოსა დასამაგრებლად ჭუარისა, ყოფილა ქართულთი, გარნა დღეს ჰყოლობენ მათ ბერძენნი“ (გვ. 252). ეს ცნობა შეიძლება მომდინარეობდეს ქართული წერილობითი წყაროებიდან¹ ან ზეპირი გადმოცემიდან, რომელიც გიორგის ყოფნის დროს ჭვრე კიდეც ცოცხლობდა.

გ. ავალიშვილს არ ჰქონია მიზნად იერუსალიმის ყველა ქართული მონასტრის დაძებნა და ქართულ სიძველეთა შესწავლა. ამისდა მიუხედავად მან ზოგი რამ ისეთი ნახა, რაც შეუფხვეელი დარჩა როგორც სწავლულ მოგზაურს ტიმოთე გაბაშვილს, ასევე შემდეგი დროის მეცნიერ-მოგზაურებს ალ. ცაგარლის ჩათვლით. აქ პირველ რიგში აბრაჰამის ეკლესიის კარიბჭის წარწერა უნდა დავასახელოთ, რომლის ტექსტი გიორგის სრულად მოჰყავს: „მე, მონამან ღმრთისა და მსახურმან ბატონისა ჩემისა თავადისა იოანე აბაშიძისამან გიორგი ჩიკოძემან, წარმოვლენილმან ქართლით მის მიერ საფასეთა მისითა, განსაახლებულად წმიდისა ამის მამათმთავრისა აბრაჰამის ტაძრისა ხარჯსა ზედა მისსა, აღვასრულე ბრძანებული თავადის მის ბატონისა ჩემისა, განმახლებულმან სამწირვე-

¹ ტიმოთე გაბაშვილი გოლგოთაზე ქართველთა უფლებების შესახებ წერდა: „გოლგოთა, სადა ჭვარს აცეს უფალი,—ეს ადგილი ბაგრატ მეფეს, აღუქანდრეს ძმისწულს, უშოვნია დიდის საფასით არაბთაგან და მას უკან რა გაოჯრდა, ლეონ ქართველთა და კახთ მეფეს ქრისტეს საფლავი და გოლგოთა და წმიდანი ადგილი და მონასტერი საფასით დაუხსნია და მარმარით აღუშენებია. მას აქეთ წელნი სკმ“. („მ ი მ ს ლ ვ ა“, 1956 წლის გამოცემა, გვ. 80—81). ქართველთა უფლებები გოლგოთაზე ზუსტად არის განსაზღვრული „გოლგოთის სინაქსისი“ XV საუკუნის შინაწერში: ე. მეტრეველი, იერუსალიმის ერთი ხელნაწერი: „აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს საბ. მუზეუმის მოამბე“, XV—B, 1948, გვ. 41.

ლომსა ამის საუკუნოდ სატყენებლად სულისა მისისა, სახლეულთა და ერთ-სისხლთა მისთა, ხოლო საოჭადცა ჩემ ცოდვილისათჳს სულისა. გვედრებით ყოველთა მართმადიდებელთა ხრისტეანეთა, აღმოკითხულთა წერილისა ამის, ლოცუთა შორის თქუწთა დაუეწყებლობასა თავადისა იოანე აბაშიძისა და ყმისა მისისა აზნაურისა გიორგი ჩიკოაძესა, ჩუფთ-სა წელსა, სეკდენბერსა ია-სა ღლესა“ (გვ. 211).

წარწერიდან ირკვევა, რომ მონასტერი 1599 წელს იოანე აბაშიძის ბრძანებით განაახლა ქართლიდან იერუსალიმში ჩასულმა გიორგი ჩიკოაძემ.

ეს წარწერა არ უნახავს არც ტიმოთეს და არც ა. ცაგარელს¹. ალ. ცაგარელმა გადმოიღო ამავე მონასტრის მეორე, უფრო გვიანდელი წარწერა (1700 წლის). 1599 წელს აბრაჰამის მონასტრის პირველი შეკეთების შესახებ ცნობა კი მხოლოდ გიორგი ავალიშვილის „მგზავრობას“ დაუცავს.

ასევე ვერ ნახეს ტიმოთე გაბაშვილმა და ალ. ცაგარელმა ჯვრის მონასტერში ნიკიფორე ჩოლოყაშვილის შეწირული წარწერიანი ღვთისმშობლის ხატი და ჯვარი: „აჲ... ასულწინა ხატი ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისა იქრომთა შემოკობილი და მას ზედა დამოკიდებით მოდილი ჯუარი ოქროსავე ძელტეშმარიტიანი, ძვრფასითა ქუშბითა მოქედელი. ორნივე ესე ხატ-ჯუარი არიან შეწირულ არხიმანდრიტისა ნიკიფორე აბაშიძისა მიერ და ქართველ მხედრულისა ასოებითა გარეშემოწერილინი“².



გ. ავალიშვილის მოგზაურობის ერთ-ერთი მიზეზი თურქეთსა და ეგვიპტეში გადახვეწილი ქართველების ანუ ნაქართველართა (როგორც მათ გიორგი უწოდებს) ნახვის სურვილი იყო.

ყაშთა სიავის გამო XVIII საუკუნის საქართველო ტყვეებით მოვაჭრეთათვის ერთ-ერთ ყველაზე მომგებიან წყაროდ იქცა. ქართველი ტყვეები განსაკუთრებით დიდი რაოდენობითა და მაღალ ფასებში იყიდებოდნენ ეგვიპტეში, ვინაიდან ამ გზით ხდებოდა შევსება მამულეთა რიგებისა. ქართველი ტყვეების გაყიდვა არ შეწყვეტილა არც XIX საუკუნის დამდეგს³, ამიტომაც, რომ თურქეთსა და ეგვიპტეში გიორგი შეხვდა საქართველოდან გადახვეწილი ქართველების როგორც მეორე და მესამე თაობას, ასევე გიორგის ჩასვლამდე სულ რამდენიმე წლით ადრე ჩასულებსა თუ ჩაყვანილებს.

ყოველ ახალ ადგილას, ქალაქსა თუ დაბაში გიორგი პირველ რიგში კრებს ცნობებს იქ მცხოვრები ქართველების შესახებ. მრავალ ნაქართველარს შეხვდა გიორგი თურქეთსა და ეგვიპტეში. მრავალი თავგადასავალი მოისმინა მათგან, თუ მათ შესახებ და შეიტანა „მგზავრობაში“.

სხვადასხვაგვარად აეწყოთ უცხოეთში გადახვეწილ ქართველებს ბედი. ზოგი გაყიდეს და ძალად გაათათრეს, მაგრამ ქართველის სახე და სიყვარული სამშობლოსადმი მაინც ვერ წაართვეს. ზოგი გაათათრების შემდეგ იმზომამდე გადაგვარდა, რომ თავის ქართველობას მალავდა და ფანატიკოს მუსულმანად

¹ А. Цагарели, Сведения, вып. II, гв. XXV.

² „მგზავრობა“, გვ. 214. იხ. აგრეთვე ა. ცაგარელი, Сведения, вып. 2, гв. XXV. გიორგი ავალიშვილი ნიკიფორე ჩოლოყაშვილის მაგვირად შეცდომით წერს აბაშიძეს. ნიკიფორეს ჯვარი 1940 წელს ჯვარის მონასტერში ნახეს აკად. ი. აბაშიძემ, ა. შანიძემ და გ. წერეთელმა (იხ. ი. აბაშიძე, პალესტინის დღიური, 1961, გვ. 45).

³ გ. ავალიშვილის სამგზავრო გემითაც მიჰყავდათ ტყვეები ვასასყიდათ კონსტანტინეპოლიდან აღქსანდრიაში, მიუხედავად იმისა, რომ თურქული კანონებით ეს სასტიკად იყო აკრძალული და ტყვის გამყიდველი სიკვდილით ისჯებოდა.

ქვეული თვითონაც შეუდგა იქ ჩასული ქართველების გაათარებას. ზოგი უსახსროდ და უმიზნოდ დახეტილობდა და ყოველდღიურ სარჩოს ეძებდა. ზოგი გიორგი იმერელივით ცნობიდან გადასცდა (გვ. 95). ზოგი კი რაღაც სასწაულით გადაურჩა გაყიდვას და სამშობლოში დაბრუნდა. ასეთი ბედი ეწია ქართლიდან ლეკების მიერ გატაცებულ გიორგი ფალავანდისშვილს, რომლის თავგადასავალი გიორგიმ ქაიროში მოისმინა ნეკტარიოს არხიმანდრიტისაგან: „თავად ესე იყო აქ მოყვანილ ლეკთა მიერ განსყიდულად, ფრიად ნაგვემ-წყულუვილი, რომლისაცა საუბელდუროდ არ შეხელდათ ლეკთა მათ მსყიდველი მისი, ვინა იყო თავად იგი მათ მიერ დახიჩავებულ სახსა ზედა და კბილჩაყრინებულ, რომლისათვისცა უმწარესთა ითმენდა მათგან ტანჯუათა. ოდესცა სცნო ჰექიმბაშმან ამან ლავრიინო, წარვიდა მათდა, გამოიყიდა იგი ჯელთაგან მათ ბარბაროსთასა, განუკურნა წყლულნი, აბანა აბანოსა, შემოსა ახლითა სამოსლითა, განასუშნა სახლსა შინა თვისა თვისანა, ვითარცა საყუარელი შკლი. შემდგომ რაოდენთამე თთუშთა, მსურველსა მას მამულსა შინა თვისა წარსლულად, მისცნა გზისა სახარჯოჲ, საჩუქარნი, ყოველნივე საქირონი ნივთნი და წარავლინა ქართლს სახლისადმი მისისა, რომელსაცა, სიტყუათამებრ მისთა, ჰყუა მუნ ცოლი, შკლი და ძმა“ (გვ. 144).

ამ შემადრწუნებელ ისტორიას გიორგი ავალიშვილი ამთავრებს ქართველებისადმი მოწოდებით: „თუმცა დასრულდა იქ უბნობაჲ ჩუშნი საგანსა ამას ზედა, გარნა ანტონიაკი ლავრიინო მიმღებლობდა მისთვის უცხოველესსა მონაწილეობასა, რომლისადმიცა აღვიარე თავი თვისი თანამდებელ მიმცნებისათვის უსაყუარელესთა მემამულეთა ჩემთად შემთხუშვისა ამის და თხოვადცა, რომელ, ოდესცა გვეცეს დროჲ ქმნად კეთილისა, ვჰყოთ იგი შეძლებისამებრ თუთუულთასა და უფროს ნათესავთა ზედა უმაგალითოჲსა ამის ბერძნისა ანტონიაკი ლავრიინოსთასა“ (გვ. 145).

ნაქართველართა დიდი უმრავლესობა სულთნისა და ეგვიპტის ფაშის სამხედრო სამსახურში ითვლებოდა. ქაიროში გ. ავალიშვილს ესტუმრა „ჰაბუკი ვინმე კაცი კეთილშუშნიერი“, სახელად უსეინ ალა. ის ნაქართველარი აღმოჩნდა, წამოსული ქართლით ჭვარის მამა და არქიმანდრიტ ათანასესთან ერთად და ქაიროში თავის ნებით გაათარებული (გვ. 125). მაჰმად ალი ფაშის ბაი-რახტარბაში უსეინ ალა გ. ავალიშვილის მხლებლის სვიმონ ტაბლიაშვილის ბიძა გამოდგა. უსეინმა ყოველი ღონე იხმარა, რომ თავისი ძმისწული გაეთათრებინა და ქაიროში თავისი ქონების მემკვიდრედ დაეტოვებინა. ამ საქმეში გ. ავალიშვილის ენერგიულმა ჩარევამ და მუქარამ იხსნა სვიმონ ტაბლიაშვილი გაათარებისაგან. გიორგის კარგად ესმოდა, რომ გაათარება ეროვნულ გადაგვარებას ნიშნავდა. ამიტომაც, რომ გაათარებულ ქართველს ის ნაქართველარს უწოდებდა.

ქაიროშივე გ. ავალიშვილი მოინახულა მისმა ყმად-ყოფილმა ანდრია კნოტისშვილმა, რომლის მაჰმადიანური სახელი იყო მაჰმად ალა მუსტაფა ქაია რაზა (გვ. 128). ამან თავის მხრივ გიორგისთან მიიყვანა თავისი ქოლამანი ჰუსეინი, რომელიც თავს გურულ ჰყონიად აცხადებდა. ჰუსეინი მეზობლებს გაეყიდათ და ამ გზით მოხვედრილიყო ეგვიპტეში (გვ. 140). მეტად გულამაჩუყებლად არის აღწერილი ანდრია კნოტისშვილის და გიორგი ავალიშვილის შეხვედრა: „მომწულა მოტუცებული ესე, მომთხოვი ბოდიშისა ესევეითარისათვის კადნიერებისა, მომეხზვა, მაკოცა მჭარსა, მკერდსა, ჯელთა და ვიღრე მუტლთაცა. მიკურდა მოტუცისა ამის ესეგუარი ქვევია და უფროს მზიარულებისა ძლით ტირილი მისი, რეცა რაჲსამე საგოდებოჲსა მხედვსა. შემდგომ, წარტდომასა თანა მიმოგურობითთა გრძნობათასა, იწყო ლაპარაკი ქართულად უცხოთა

ლექსებითა, ვითარცა მეცნიერმან ენასა ამას ზედა წერილთა. ხოლო რააცა შე-
ნების ენათა არაბულსა, სომხურსა და თათრულსა, უწყოდა სრულებით“
(გვ. 128).

ქაიროში მცხოვრებ ნაქართველართა უმრავლესობა დიდ სილატაკეში ატა-
რებდა თავის მწირობას. ნაწილს შეძლებული ნაქართველარები ენმარებოდნენ,
ზოგი კი შიმშილით იხოცებოდა. ასე მაგალითად, გ. ავალიშვილმა ქაიროში
ნახა ერთი თეთრწვეროსანი კახელი, პატარძლეული პეტრე ენაგელი, რომელიც
ავტორის ცნობით „განუწმნებულისა მეფე ირაკლისა იასაულად ყოფილი, დამ-
ტვებელი მამულისა თვისისა, ნებისთ მოსლუელი აქა და ნებისთვე გათათრებუ-
ლი, რომელმანცა უორგულა ცოლსა, შვლთა და უქანსკენლ სარწმუნოებასა-
ცა თვისსა; ხოლო ფრიადსა სიგლახაკესა შინა მყოფი, იზრდების მოწყალებითა
ამ უსეინ ალასითა“ (გვ. 140—141).

უფრო მძიმე ბედი ეწია ქართველ დათიკას, რომელიც ერეკლე მეფის ძის
იულონის დალაქი ყოფილა, ეგვიპტეში კი სნეულს შიმშილით ამოხდა სული.
ადგილობრივთა გადმოცემით მისი გვაში მიწაშიც არ შეიწყნარა (გვ. 150).

მაგრამ ეგვიპტეში მცხოვრებ ნაქართველართა უმრავლესობა მაინც
ლექთაგან მოტაცებული და ოსმალეთში გაყიდული ტყვეები იყვნენ; მათ ეგვიპ-
ტეში მეორე სამშობლო მოიპოვეს.

ამ მხრივ მეტად საგულისხმოა დიალოგი, რომელიც გაიმართა გ. ავალი-
შვილსა და ნაქართველარ ღერვიშ სელიმ ბაბას შორის. სელიმ ბაბა იყო ღერ-
ვიშთ უხუცესი. ის გ. ავალიშვილმა ნახა ქაიროს მახლობლად მდებარე ერთ-
ერთ სამლოცველოში (სულთან კაიგოსეს თაქიესის ჯამში). ღერვიშთ უხუცესი
არაფრით არ ამქლავებდა თავის ქართველობას. გ. ავალიშვილსაც მეტად გა-
უჭირდა მისი გამოტყუება, ვინაიდან მისივე სიტყვით: „ვიეთინიშ შემსტუალისა
ძლით თვისისა სჭულისა მათისადმი თაქილობენ უკუშ განცხადებლ თავთა თვს-
თა, დაღათუ ოდესმე ყოფილან იგინი ხრისტიანედ“ (გვ. 166). ამიტომ გ. ავა-
ლიშვილის შეკითხვაზე, თუ საღაურია ღერვიში, მან შემდეგი პასუხი მიიღო:
„ბეგზადა! მე ვარ კონსტანტინოპოლელი. დღით ცხოვრებისა ჩემისათ ჯამსა ამას
შინა სრბის აწ 38 წელი. ვიყავ აღზრდილ სასახლესა შინა სულთან სელიმისსა.
და შემდგომად შემდგარმან ღერვიშად, გამოვირჩივე ჯამი ესე დასრულებლად ამას
შინა სიცოცხლისა ჩემისა“. მაგრამ გ. ავალიშვილს გამოძიება და დაკითხვა
ამაზე არ შეუწყვეტია: „სელიმ ბაბა, არა მხოლოდ კონსტანტინოპოლელინი, არა-
მედ სხუთა ნათესაუთაგანნიცა ტყულდ მოყუანილინი, სიკაბუტეთა და უშენიერ-
სახეობათა ძლით თვსთა ყოფილან და იქმნებინაცა მიღებულ ზრდად სასახლესა
შინა სულთანთასა“¹. უთხარა მან ღერვიშს და თან დასძინა, რომ ღერვიშს სახით
ქართველსა ჰგავს. ამის შემდეგ ღერვიში იძულებული იყო ზოგიერთი რამ
თავისი ვინაობის შესახებ გაემქლავებინა: „ბეგზადა! შენიშენაჲ თქვენი არს
ერთს კერძოთ მართალ, ვინაჲთგან ღედაჲ ჩემი იტყოდის თავისათჲს თვისისა
ქართველად. გარნა ვინ უწყის მართალი? კერძოჲთა მით მოყვანილინი უბედურ-
ნი უმეტესნი ნაწილნი ისყიდებიან კონსტანტინოპოლსა სახელთა ქულშე ქართ-
ველთასა, მიუხედავად მისა, ვითარმედ არიან იგინი ნათესაეობით სრულიად
სხუა, რომელთათჲსცა მიმღებლობენ განმსყიდულსნი მათნი მრავლით უმეტესსა
ფასსა, ვიდრე ვითარსაცა მიიღებდნენყე იგინი, ოდესცა გამოაცხადებდნენ სწო-
რედ საღითობასა მათსა“ (გვ. 166).

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ სელიმ ბაბას ღედა თავს კონსტანტინე-
პოლში გაყიდულ ქართველ ტყვედ აცხადებდა, მისი შვილი, სულთნის კარზე,

¹ „ბეგზავრობაჲ“, გვ. 166.

გაზრდილი და რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ეგვიპტეში მცხოვრები, ამას ეპეის ქვეშ აყენებდა, ვინაიდან მისთვის ქართველობას მნიშვნელობა არ ჰქონდა. ხოლო მისი დერვიშობისთვის კი ამას შეიძლება ჩრდილიც კი მიეყენებინა.

სელიმ ბაბას „აღსარებაში“ მეორე მხარეც არის საეკლესიო, კერძოდ ის, რომ კონსტანტინეპოლის ბაზარზე ხშირად სხვადასხვა ეროვნების ტყვეები ქართველებად იყიდებოდნენ, ვინაიდან ეს „საქონელი“ ბაზარზე კარგად ფასობდა.

გიორგი ავალიშვილი გუმანით აგნებდა ნაქართველარებს იმ შემთხვევაშიც, როცა ისინი ბეჯითად მალავდნენ თავის ქართველობას. ასე მაგ. კვიპროსის მოასილო თავის თანამემამულეთა შორის ქართველად იყო ცნობილი, თუმცა თვითონ ამის შესახებ დღემდე: „მოასილო ესე არს წელთა შინა სიკაბუკისათა; უწყის ენანი ფრანკთუული, იტალიური, ბერძული, არაბული, თათრული და ნუჟკუს ქართულიცა, ვინაითგან აღიარებენ მას ყოველნივე აქაურნი გურჯად, ესე იგი ქართულად; სახით უშენიერ, ქცევა-უბნობასა შინა ზრდილობიან და ზოგად ერთა მიერ შეყუარებულ“ (გვ. 271).

ეგვიპტის ქალაქ ფელაზხში გიორგიმ გაიცნო ბამბის ქარხნის ზედამხედველი ჰასან ქეშიბი, რომლის შესახებაც გიორგი შენიშნავს: „არს თუმცა ნაქართველარი,.... გარნა იტყვს ესე თავსა თვსსა მამით ჩერქეზად და დედით როსიულად“ (გვ. 177).

ასევე მალავდა თავის ქართველობას ჰაჯი ჰასან თავული: „ჰაჯი ჰასან თავულმან გამომიცხადა თავი თვისი მკვდრ მოქალაქედ კაირისა, არამედ მებალესა და მსახურთადა თავულისათა ეთქუათ კაცთათვს ჩემთა ნაქართველარობაჲ მისი და ცოდნაჲცა მისგან ქართულისა ენისა“ (გვ. 178).

აღსანიშნავია, რომ სულ 20-ოდე წლის მანძილზე ქართველთა მდგომარეობა ეგვიპტეში რადიკალურად შეიცვალა. თუ მამლუკთა აღზევების ხანაში ქართველობა დიდად ფასობდა, იმის გამო, რომ მამლუკთა რიგები ძირითადად ქართველებით კომპლექტდებოდა, მაჰმად ალის მიერ მამლუკთა გაწყვეტისა და გაქეცების შემდეგ ქართველების მნიშვნელობა და ფასი ეგვიპტეში დაეცა. ამ დროიდან ეგვიპტის ქართველები უკეთეს შემთხვევაში მალავდნენ თავის ეროვნებას. მაგრამ ყველა ნაქართველარი გადაგვარებული როდი იყო. აზნაური კოინიძე, სპასპეტ დავით ორბელიანის ყმა, ქაიროში თავისი ნებით გადახვეწილი და გამაჰმადიანებული, სიბერის ეჟამს გამწარებული ექმედა გზებსა და სახსრებს თავისი ოჯახითურთ საქართველოში დაბრუნებისათვის. გ. ავალიშვილი თავის მხრივ ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ნაქართველარები სამშობლოში დაებრუნებინა.

ჩვენ აქ მოვიყვანეთ მასალის მხოლოდ ნაწილი, მაგრამ ვფიქრობ ესაც საკმარისად მოწოდებს, რომ გ. ავალიშვილის „მგზავრობა“ თურქეთსა და ეგვიპტეში გადახვეწილ ქართველთა ცხოვრების საინტერესო ფუტეულს გვიშლის.

ბოლოს გვინდა მოკლედ შევხვთ „მგზავრობის“ ლიტერატურულსა და მხატვრულ მხარეს.

„მგზავრობა“ დაწერილია დღიურის სახით. ავტორი მნიშვნელოვანი ამბების გვერდით აღწერს ყოველგვარ წვრილმანსაც, რასაც კი ადგილი ჰქონდა. დღის მანძილზე. დღიურის ფორმამ განსაზღვრა ამ თხზულების კომპოზიცია. ნაწარმოებს არა აქვს რაიმე გარკვეული გეგმა. მნიშვნელობისა და ხასიათის მიხედვით მასალის კლასიფიკაცია მინდობილი აქვს მკითხველს. ამისდა მიუხედა-

ვად დღიურებში აშკარად მოჩანს ავტორის ინტერესები, მისი თვალსაზრისი და დამოკიდებულება ასაწერი მასალისადმი. ავტორი არ არის უპიროვნო ფაქტოლოგი. ამიტომ, რომ ამ ძეგლის მნიშვნელობა მარტო ლიტერატურული და ისტორიული ხასიათის ფაქტებით არ განისაზღვრება, იგი გ. ავალიშვილისა და მისი დროისა და მდგომარეობის ადამიანთა სულისკვეთებისა და პოლიტიკური მისწრაფებების შესწავლისათვის შესანიშნავი წყაროცაა.

„მგზავრობა“ დაწერილია უმეტესად ანტონ I-ის სკოლის რთული და ხელოვნური ენით. ნაწარმოების ლექსიკა მეტად მრავალფეროვანია. აქ ერთად არის არეული ძველი და ახალი ლექსიკური მასალა, რუსისციზმები და თურქიზმები.

გიორგი ავალიშვილის ენასა და სტილს დაღი დაასვა იმანაც, რომ გიორგიმ თავისი ცხოვრების უდიდესი ნაწილი გაატარა რუსეთში, რუსული ლიტერატურის კითხვასა და თარგმნაში. ამან გამოიწვია სინტაქსური და ლექსიკური კალკები, რუსულის ყაიდაზე გაკეთებული კომპოზიციები და მიმღეობითი კონსტრუქციები. ვარდა ამისა, როგორც ჩანს გიორგი ავალიშვილს მალაფარდოვანი, ხელოვნური და დელარქონილი სტილი „მწიგნობრულ“ ენად მიიჩნდა (აქ ის ანტონ პირველის „შტილების“ თეორიის თანმიმდევრულ გამტარებლადაც გვევლინება). ამიტომ ყველაზე პასუხსაგებ ადგილებში, ლირიკულ თუ ფილოსოფიურ წიადსვლებში „მგზავრობის“ ენა იმზომამდე ხელოვნურია და დამიმეხული, რომ ზოგჯერ ცალკეული : გრძელი პერიოდი თავსამტერვე გამოცანად გამოიყურება. ამავე დროს დიალოგებში, ეპიკური თხრობისა თუ იუმორისტულ-ფრივოლური სცენების გადმოცემის დროს, ისევე, როგორც პირად წერილებში, გიორგი მიმართავს მისი დროისათვის დამახასიათებელ სასაუბრო ენას—სადასა და მოქნილს.

ქალაქების აღწერა „მგზავრობაში“, ჩვეულებრივ, მშრალი, საქმიანი, დეტალურია. მაგრამ ზოგჯერ, როდესაც ავტორს განზრახული აქვს აღწერისას მიაღწიოს დიდ ემოციურ ეფექტს, ის „შესხმის“ ფორმაზე გადადის. ამას ავალიშვილი მიმართავს განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების—იერუსალიმისა და კონსტანტინეპოლის—აღწერის დროს. კონსტანტინეპოლის „შესხმა“, რომელიც წინ უძღვის კონსტანტინეპოლის ვრცელ აღწერას, შემდეგი სიტყვებით იწყება: „თჳს ვიზანტიისა ანუ კონსტანტინოპოლისადმი ჩემ მიერ აღწერის“.

შესხმა დაწერილია მალაფარდოვანი სტილით და გადატვირთულია ამ ლიტერატურული ფორმისათვის დამახასიათებელი ტრაფარეტული ეპითეტებით, შედარებებით და ციტატებით საღმრთო წერილიდან.

იერუსალიმის შესხმის დასაწყისია: „დღეს მკადრები ვალობად შენთჳს, წმიდაო ქალაქო ღმრთისაო“ (გვ. 189). შესხმას მოსდევს იერუსალიმის ისტორია ბიბლიური ხანიდან გ. ავალიშვილის დრომდე.

სწავთა შორის, ათონისა და იერუსალიმის აღწერაში ტ. გაბაშვილსაც ჩართული აქვს შესხმები. პირველი „იროიკოს“ სახით, ხოლო მეორე—„კათილორიის ათ ხმაზე დაწერილი“. ჩანს, ეს თავისებური სტილისტური ხერხი იყო, რომლის ფესვები ქართული რიტორული მწერლობის ტრადიციასა და საძებარი.

„მგზავრობის“ მონოტონურ თხრობას გ. ავალიშვილი გზადაგზა აცოცხლებს ბუნების მხატვრული აღწერით, უფრო ხშირად კი ზღვაზე მოგზაურობის გადმოცემით. გ. ავალიშვილი, უმთავრესად, ზღვით მგზავრობდა. მან რამდენჯერმე გადაიტანა დიდი დელევა ზღვაზე და დაღუპვის საფრთხის წინაშეც იდგა. დიდი ექსპრესიით აღწერს ავტორი აბობოქრებული ზღვის ტალღებზე ნაფოტივით

ათამაშებულ ნავში მქდომარე ადამიანთა უსასო მდგომარეობასა და განცდებს.

მაგრამ გ. ავალიშვილი როგორც მწერალი ყველაზე უკეთ მოჩანს რამდენიმე იომორისტულ ეპიზოდში, რომლებიც მხატვრული თვალსაზრისით უთუოდ ყველაზე ძლიერი ადგილებია „მგზავრობაში“, რამდენადაც შეიძლება „მგზავრობის“ მხატვრულობაზე ლაპარაკი.

კომპოზიციურად საცვებით დასრულებული იუმორისტული ნოველის სახეს ატარებს ამბავი, რომელიც გ. ავალიშვილმა მოისმინა გორში პატრი ინოფრესანგან და შეიტანა თავის „მგზავრობაში“. ამ ისტორიაში დიდი ოსტატობით არის აღწერილი პატრი ინოფრეს კურიოზული თავგადასავალი, რომელიც მას გადახდა მოვილევის მონასტერში, იმის გამო, რომ მას ღროზე არ აჩვენეს საჭირო დაწესებულება და იგი იძულებული იყო ღამე ფარულად მიეტოვებინა თავისი სენაკი და შედგომოდა ამ დაწესებულების ძებნას მონასტრის ჩაბნელებულ ლაბირინტებში. ნოველის სიუჟეტი მშვენივრად არის შეკრული. ყველაფერი თავის ადგილზეა. არც ერთი ზედმეტი სიტყვა, არც ერთი ზედმეტი შტრიხი. სიტყვიერი მასალის მინიმალური გამოყენებით ავტორი აღწევს სიუჟეტის დინამიურ განვითარებას კომიკური ელემენტის წინ წამოწევით. საგულისხმო ისაა, რომ გ. ავალიშვილის საერთოდ მძიმე და ხელოვნური ენა აქ ისეთ მოწილობასა, სიმსუბუქეს და გამომხატველობით ძალას იძენს, რომ ძნელი წარმოსადგენიც კი არის, რომ შესხმებისა და ამ ნოველის ავტორი ერთი პიროვნება არის. სათავგადასავლო მოთხრობის სახეს ატარებს გიორგი იმერლის ისტორია (გვ. 95).

არანაკლები ოსტატობითაა გაკეთებული „მგზავრობაში“ გ. ავალიშვილის უნებლიე ექიმობის ეპიზოდი. ექსარიაში დაირჩა ხმა, რომ ქალაქში სახელოვანი ექიმი გ. ავალიშვილი ჩავიდა. გ. ავალიშვილის ცდა დაემტკიცებინა ამ ხმების უსაფუძვლობა, უშედეგო აღმოჩნდა. ავალიშვილი მკრეხებით თავის სახლში მიიყვანა გათათრებულმა სომეხმა ოსეფა ქაი-ოლი კარაპეტამ და ისეთ მდგომარეობაში ჩააყენა, რომ უკანასკნელი იძულებული იყო თავი ექიმად გამოეცხადებინა და ხელი მიეყო კარაპეტას გასინჯვისათვის. თავისდა უნებურად გ. ავალიშვილმა დიდი ხელოვნებით გაითამაშა სახელოვანი მკურნალის როლი, მაგრამ ამ ინსცენირებაში მან ძალიან შორს შეტოპა. ავადმყოფი და მისი გულშემატკივარი არ დაკმაყოფილდნენ გ. ავალიშვილის მიერ დასმული დიაგნოზით და მას მკურნალობაც მოსთხოვეს. არც აქ დაიბნა ექიმი. გ. ავალიშვილის მკურნალობის ძალაში დაჭერებულმა კარაპეტამ მოსთხოვა ექიმს თავისი ახალგაზრდა ცოლის მკურნალობაც. მიუხედავად გაწეული წინააღმდეგობისა, კარაპეტას ცოლი მოჰგვარეს ავალიშვილს, რომელიც მსწრაფლ მოიხიბლა ქალის სილამაზით. ექიმი დიდის ხალისით შეუდგა მისი ჯანმრთელობის შემოწმებას. ეს ეპიზოდი გაკეთებულია როგორც კარგად მოფიქრებული კომედიური სცენა, სადაც გათვალისწინებულია მოქმედ პირთა ყოველი მოძრაობა და კომედიური ეფექტებისათვის საჭირო ყველა დეტალი. ავტორი თავის თავს უყურებს იუმორისტის თვლით და შესანიშნავად ხლართავს გამიჯნურებული მკურნალის განცდებს მის გარშემო შექმნილ კურიოზულ სიტუაციებში. ერთი სიტყვით, გ. ავალიშვილს ისე მოეწონა მკურნალის მდგომარეობა, რომ მეორედ უკვე თავის ნებით მივიდა კარაპეტას ჯანმრთელობის შესამოწმებლად. მეორე ვიზიტის დროს ექიმმა დიდი დრო მოანდომა კარაპეტას ლამაზი ცოლის სწეულების დადგენას. ამჯერად გ. ავალიშვილმა, ვითარცა ექიმმა, მეტი გამბედაობა და სითამამე გამოიჩინა.

მსგავსი იუმორისტული სცენები და სათავგადასავლო ეპიზოდები „მგზავრობაში“ სხვაც დაიძებნება, მაგრამ მათი ანალიზი შორს წაგვიყვანდა. ერთი აშკარაა, რომ ლიტერატურულად კარგად დამუშავებულ იუმორისტულ ეპიზოდებს დიალოგებში გამოცდილი დრამატურგის ხელიც ატყვია. ეს შემთხვევითი როდია: გ. ავალიშვილი ცნობილია როგორც დრამატულ თხზულებათა გამოცდილი მთარგმნელი¹. საყოფაცხოვრებო და სათავგადასავლო მოტივები დიდად იყო გავრცელებული გიორგის თანამედროვე ფრანგულ და რუსულ სათავგადასავლო, მსუბუქ რომანებშიც, რომლებსაც ჩვენი ავტორი აგრეთვე კარგად იცნობდა.

ამით ვამთავრებთ ამ ვრცელი მემუარების მოკლე მიმოხილვას. ვფიქრობთ, რომ გ. ავალიშვილის დღემდე გამოუქვეყნებელი „მგზავრობა“ ახალსა და საინტერესო მასალას მიაწვდის როგორც ისტორიკოსებს, ასევე ქართული ლიტერატურისა და კულტურის ისტორიის მკვლევარებს.

¹ Л. С. Ш е п е л е в а, Георгий Авалишвили—переводчик Сумарокова: „Из истории русских литературных отношений XVIII—XIX веков“. М. Л., 1953, гл. 352—359.

ტექსტისათვის

გიორგი ავალიშვილის „მგზავრობამ“ ჩვენამდე ერთადერთი ავტოგრაფული ნუსხით მოაღწია. იგი დაცულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (S—450). ხელნაწერი დიდი ფორმატისაა (30×24); შეიცავს 201 ფურცელს, დაწერილია თეთრ სქელ სახატავ ქაღალდზე წვრილი, მრგვალი კალიგრაფიული მხედრულით (სურ. 15). ტექსტის ორთოგრაფია ადგილ-ადგილ ავტორის მიერვეა ნასწორები.

დღიურის სახით გამართული „მგზავრობა“ იწერებოდა მოგზაურობის დროს, საბოლოოდ კი დასრულდა და მხატვრულად გაფორმდა მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ პეტერბურგს ან მოსკოვში.

დღიურის ყოველი დღე „მგზავრობაში“ გამოყოფილია რიცხვით. ამას გარდა დღის მანძილზე მომხდარი ყოველი ახალი ამბავი კიდევებზეა გატანილი მითითებების სახით. ეს სათაურ-მითითებები ყოველთვის არ შეეფარდება ახალი აზნაულის დაწყებას ტექსტში, რის გამო ქვესათაურების სახით მათი შეტანა ტექსტში ტექნიკურად შეუძლებელი იყო. ამიტომ ვარჩიეთ ეს მითითებები გაბმულ ტექსტში ჩაგვეერთო ე. წ. ფანჯარებში. მითითებათა სიმრავლემ და სიმჭიდროვემ მოითხოვა ზოგი მათგანის ამოღება და რამდენსამე შემთხვევაში, ორ-ორი მითითების ერთ ფანჯარაში მოთავსება.

გვერდის კიდებებზე მსხვილი დახრილი შრიფტით მითითებულია ავტოგრაფის ფურცლები.

ტექსტის სქოლიოებში არაბული ციფრებით ჩატანილია ავტორისეული შენიშვნები, სიტყვათა განმარტებები ან მითითებები ციტატების წყაროზე. ციტატები „საღმრთო წერილიდან“ „მგზავრობაში“ ყოველთვის არ არის ზუსტად მოყვანილი. ჩანს, ავტორს რიგ შემთხვევაში ისინი ზეპირად მოჰყავდა. ზოგან ციტატას აკლდა მითითება წყაროზე. სქოლიოში ვარსკვლავებით აღნიშნულია სარედაქციო ხასიათის შენიშვნები და შემჩნეული ლაფსუს-კალამი.

„მგზავრობის“ საილუსტრაციო მასალის ერთი ნაწილი ავტორს გადმოუღია ნაბეჭდი წიგნიდან. ასე მაგ., იერუსალიმის აღდგომის გეგმა გ. ავალიშვილს გადმოუხატავს 1771 წელს იერუსალიმის არქიმანდრიტის სვიმონის მიერ დაბეჭდილი წიგნიდან: „წიგნი სლავიანის ენასა ზედა ეენას დაბეჭდილი, რომელიც იპყრობს თუს შორის აღწერასა იერუსალიმისა და გარემოსა წმიდათა ადგილთა“¹. ეს წიგნი გ. ავალიშვილს აჩუქეს მოგზაურობის დროს.

¹ ამ წიგნის რუსული თარგმანის „შესწავებას“ დაუცავს ცნობები სლავური გამოცემის შესახებ: „აღწერა ქალაქისა ღუთისა იერუსალიმისა, რომელიცა აქა წინა-დაედების ყურადღებასა ქრისტეს მოყუარისა მკითხველისასა, უწინარეს (ჩლოა წელსა) იყო დაბეჭდილი სლავიანურსა ენასა ზედა იერუსალიმის არქიმანდრიტის სიმეონის მიერ, ხოლო აწ გადმოთარგმნილ არს რუსულსა ზედა და გამოცემულ ქუშვანაზედ გულსმოდგინებითა და წარსაგებელითა ყოველად სამღვდელის თაბორის არხიებისკაოსის იეროთეოსისათა, რომელმანცა ნახა რუსეთი ჩუღდ წელსა (ხელნ. S—198 გვ. 1).“

ამ სლავური წიგნის რუსული თარგმანი, დაბეჭდილი 1836 წელს მოსკოვის უნივერსიტეტის სტამბაში, ქართულად თარგმნა იმავე წელს იერონიმე ალექსიძის მიერ. თარგმანს ბოლოში ერთვის იერუსალიმის აღდგომის ეკლესიის გეგმა, გადმოღებული მთარგმნელის მიერ ნაბეჭდი წიგნიდან: „პლანი ტაძრისა ქრისტეს აღდგომისა იერუსალიმსა შინა, ჩუშნებითა, თუ რაჲ ეკუთვნისთ თვითო-ეულსა აღმსარებელთაგანსა, გადმოივლე დაბეჭდილთაგან უბრალოს ფრთის კალმით და მელნით ჩუღვ წელსა, სეკედმბრის ო დღესა, იერონიმე ალექსევი“¹.

ზუსტად იგივე გეგმა გადმოუხატავს გიორგი ავალიშვილსაც ოღონდ სლავურად დაბეჭდილი წიგნიდან. გეგმის სახელწოდებაა: „ქეშმარიტი დათხზუა ანუ დახაზუაჲ უღიდესისა და საღმრთოხა ტაძრისა უფლისა ჩვენისა იესო ხრისტესა, წმიდისა და საღმრთოხა მთის გოლგოთისა, ავრაამის სალოცველისა, მსხუშრპალმესაწირველის ადგილისა და კეთილმსხაურისა საპატრიარხოხსა სადგომისა მართლმადიდებელთა ხრისტიანეთა და რომელთამე სხუათა, გამოცემული იეროდიაკონისა და საზოგადოხა მხატვრისა ზაფარის მიერ“ (სურ. 14).

ეს ორი გეგმა ერთმანეთისაგან განსხვავდება მხოლოდ დასახელებული პუნქტების რაოდენობით. გ. ავალიშვილთან 90 დასახელება, ი. ალექსევეთან კი — 47. განსხვავდება ერთმანეთისაგან ეს ორი გეგმა შესრულების ხარისხითაც. გ. ავალიშვილის გეგმა, ისევე როგორც „მგზავრობაში“ ჩართული სხვა ნახატები და გეგმები, გამოირჩევა მაღალი პროფესიული ოსტატობით. ასევე ფაქიზად და გემოვნებითაა შესრულებული იერუსალიმის ფერადი გეგმა-ნახატი (სურ. 12).

გიორგი ავალიშვილი პეტერბურგში ყოფნისას საგანგებოდ სწავლობდა ხაზვას, ამიტომ ვფიქრობთ, რომ საილუსტრაციო მასალის უმრავლესობა გიორგისვე უნდა ეკუთვნოდეს (წარწერები სურათებზე ყველგან მისი ხელითაა შესრულებული). ექვს იწვევს მხოლოდ სარკოფაგის ნახაზები, სადაც ზომები და რუსული წარწერები სხვა ხელითაა შესრულებული, ქართული წარწერები კი — გორგისეულია. საფიქრებელია, რომ მუმიები გიორგიმ რუსეთში გამოახაზვინარუს მხატვარს. საყურადღებოა ამავე თვალსაზრისით სურ. № 13, რომლის კიდზე გიორგის ხელით მიწერილია: „ვორობიოვის მიერ“. ვინ არის ვორობიოვი? ორიგინალის ავტორი, თუ გრავიურის პირის გადმომღები, ძნელი სათქმელია. ეგების, ვორობიოვი იგივე მხატვარია, რომელმაც მუმიების ნახატები შეასრულა? ერთი აშკარაა, რომ სურათების პირები ერთი მხატვრის ნახელავია, ვინაიდან ნახატების წერის მანერა ყველგან ერთნაირია. თუ სურ. 13 ვორობიოვის ნახატია, მასვე უნდა ეკუთვნოდეს მაშინ სხვა დანარჩენებიც. რაც შეეხება რუკასა და გოლგოთისა და იერუსალიმის გეგმა-ნახატებს, ისინი გიორგის ხელოვნების ნაყოფია.

„მგზავრობის“ ენობრივ დახასიათებაზე ჩვენ აქ აღარ შეეჩერდებით, ვინაიდან მის შესწავლას მიეძღვნა ლია კიკნაძის სპეციალური წერილი². აღვნიშნავთ მხოლოდ მართლწერისა თუ ენობრივი ხასიათის იმ ცვლილებებს, რომელთა შეტანაც გამოცემაში საჭიროდ მივიჩნიეთ.

გ. ავალიშვილი ანტონი I-ის სკოლის მწერალია, დამცველი (თუმცა არა თანმიმდევრული) მისი ორთოგრაფიულ-ენობრივისა და სტილისტური ნორმებისა³.

¹ ხელნაწერი S—198, გვ. 43.

² ლია კიკნაძე, გ. ავალიშვილის ენა („იერუსალიმში მოგზაურობის“ მიხედვით: „ფილოლოგიური ძიებანი“, I, 1964, გვ. 137—180.

³ აკაკი შანიძე, ანტონი I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე „ძველი ქართული ენის კათედრის შრომები“, 2; 1964, გვ. 78.

გ. ავალიშვილი ხმარობს ანტონის მიერ შემოღებულ ხმოვანს, რომელიც თანხმოდანგამყარის ფუნქციას ასრულებს¹. ეს ნიშანი გამოცემაში დავტოვეთ მხოლოდ თურქულ-სომხურ სიტყვებში.

ძ ასო ანტონისეულ წიგნებში იხმარება უცხო ენებიდან შემოსულ საკუთარსა და საზოგადო სახელებში². ძ-ის ხმარების ამავე წესს იცავს გ. ავალიშვილი „მგზავრობაში“. გამოცემაში ასო ძ ყველგან შეცვლილია ფ-ით.

„ანტონის ორთოგრაფიული მოღვაწეობიდან ყველაზე უფრო საყურადღებოა გარჩევითი ანუ დიაკრიტიკული ნიშნების შემოღება“³. „მგზავრობაში“ იხმარება ანტონის მიერ შემოღებული ყველა დიაკრიტიკული ნიშანი: სიბრჭგუის ნიშანი, კლებული და მახვილი.

ძველ ქართულში საკუთარი სახელები სახელობითსა და მოთხრობით ბრუნვაში ერთი და იგივე ფორმით გადმოიციემოდა. იმისათვის, რომ ობიექტის სახელობითისაგან გარჩეულიყო სუბიექტი, რომელიც გარდამავალ ზმნასთან მოთხრობით ბრუნვას მოითხოვდა, ანტონიმ შემოიღო კლებული—რგოლაკი (ო). რომელიც დაესმის სიტყვას ბოლოში მოთხრობითი ბრუნვის აღსანიშნავად⁴. გ. ავალიშვილი ხშირად იცავს კლებულის ხმარების ამ წესს⁵. მაგ.: „იოანე ასწავა მოწაფეთა თუსთა“ (გვ. 225). „იესო აღუხილვნა თულნი ბრამასა“ (გვ. 224), მაგრამ ამავე დროს აფართოებს კლებულის ხმარების სფეროს, გარდა საკუთარი სახელებისა კლებულს ხმარობს საზოგადო სახელებთანაც გაფორმებული მოთხრობითი ბრუნვის შემთხვევაში. „ფაშამ მიმყვანმა თუსთა ლათინთა სამლუდელოთა...“ (გვ. 217). „ჩუენ შორის განღვიძებულმან მადამ, ანუ აპეტიტმან, გვაიძულა მისლუად ბინასა ზედა“ (გვ. 93).

მახვილს (') ანტონი ხმარობდა რამდენიმე მნიშვნელობით: ა) პირდაპირი ობიექტის გამოსაყოფად წინადადებაში⁶. მახვილის ამგვარი ხმარების შემთხვევები „მგზავრობაშიც“ ხშირია: „განვიგარქეთ გზაჲ“ (გვ. 24). „შეაუტურვა ფრეგატრ უმორესსა ადგილსა“ (გვ. 33).

ბ) ანტონთან და ავალიშვილთან მახვილი იხმარება აგრეთვე წართქმითი და უკუთქმითი ბრძანებითის ფორმებთან:

„გამოვედ' გარე...“ (გვ. 10); ბრ მივეცნეთ⁷ თავნი თუსნი იეფად“ (გვ. 14).

გ) „არა“ ნაწილაკზე თხრობითი და კავშირებითი კილოს ფორმასთან: „პირულთა ნაყოფთა... არ' ჰქონან სრულიად მწიფენი თესლნი“ (გვ. 40).

მახვილისა და კლებულის ნიშნები გამოცემაში არ აგვისახავს. არ ვიცავთ აგრეთვე სიბრჭგუის ნიშნის ხმარებას უმარცვლო უ-ნის აღსანიშნავად.

სასენი ნიშნების ძველი სისტემა გამოცემაში შეცვლილია ახლით. არ შევიტანეთ გამოცემაში მოხრილი და გარემორთხმული⁸, რომელთაც გ. ავალიშვილი ანტონის წესების კვალობაზე ხმარობს. არ ვიცავთ აგრეთვე დიდი ასოების ხმარების ავტორისეულ წესს. გ. ავალიშვილი მხედრული დიდი ასოთი იწყებს ყოველ ახალ წინადადებას, საკუთარ სახელებს, საპატიო წოდებებსა თუ თანამდებობის აღმნიშვნელ ტერმინებს⁹.

1 იქვე, გვ. 9—13.

2 იქვე, გვ. 18.

3 იქვე, გვ. 20.

4 ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 22.

5 ლ ი ა კ ი კ ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 142.

6 ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 142.

7 ა. შ ა ნ ი ძ ე, იქვე, გვ. 27—28.

8 ვახტანგის სტამბის წიგნებში დადასტურებულია ანალოგიურ შემთხვევებში მთავრული ასოების ხმარება (ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 30).

„მგზავრობის“ ავტორი სარგებლობს ხუთი ძველი ქართული ასოთი: ა, მ, ვ, კ, შ, მაგრამ ყოველთვის ვერ იცავს მათი ხმარების ნორმებს¹. ამ მხრივ გა-
ბოცებამა ზუსტად ასახავს ავტოგრაფს, გარდა ერთი შემთხვევისა, როდესაც სი-
ტყვის დასაწყისში (უმთავრესად ე-ს წინ) გ. ავალიშვილი ჰ-ს მაგიერ ხმარობს
ჰ-ს: ჰექიმი, მისტერ ჰეიდი და სხვ. ეს მოვლენა XVIII საუკუნის დამლევისა და
XIX საუკ. I ნახევრის ხელნაწერებში ხშირად დასტურდება. „მგზავრობის“
გამოცემაში ჰ შევცვალეთ ჰ-თი (ჰექიმი, ჰეიდი და სხვა).

ფორმათა დიდი ნაირსახეობაა „მგზავრობაში“ მორფოლოგიური თვალსაზ-
რისითაც². ავტორი აშკარად იჩენს მიდრეკილებას არქაული ნორმებისაკენ, თუმ-
ცა მათ დაცვას ვერ ახერხებს და ხშირად სრულიად გაუმართლებელ ფორმებს
ხმარობს. ძველი და ახალი ქართული ნორმები (ხან მართებული და ხან უმარ-
თებულო) მთელი ტექსტის მანძილზე ენაცვლება ერთმანეთს და ქმნის ენობრი-
ვად მეტად ჰრელ სურათს. მაგრამ, ვინაიდან ამგვარი სურათი ტიპიურია გ. ავა-
ლიშვილის დროის მწიგნობართა ნაწერებისათვის და ქართული ენის ისტორიის
გარკვეულ ეტაპს ასახავს, ამიტომ ჩვენ თავი შევიკავეთ ტექსტის გამართვა-სწო-
რებისაგან, მით უმეტეს, რომ „მგზავრობის“ გამოცემას ერთადერთი ავტოგრა-
ფული ხელნაწერი უდევს საფუძვლად.

გამომცემლისათვის ყველაზე ძნელი „დასაძლევია“ „მგზავრობის“ სინტაქ-
სი გამოდგა. რთული, ხელოვნური, რუსული ქარგის მიხედვით შედგენილი წინა-
დადებები აბუნდოვანებს აზრს და ართულებს სასვენი ნიშნების დასმას. ქარ-
თული ენის ბუნებისათვის უჩვეულო წინადადებებში რიგ შემთხვევაში გვიხდებ-
ოდა ინტონაციური სასვენი ნიშნების დასმა, რათა გაგვეადვილებინა აზრის
გაგება.

„მგზავრობის“ ტექსტში ილუსტრაციების დასახელების რიგი მისდევს
ხელნაწერისას. ტექნიკური მიზეზების გამო ამ რიგის დაცვა სურათების ბეჭდ-
ვის დროს ვერ მოხერხდა.

წიგნის სათაური და „მგზავრობის“ ნაწილების შმუცტიტულები გაკეთებუ-
ლია ავტოგრაფის მიხედვით. საძიებლებსა და სამარშრუტო რუკაში გეოგრაფი-
ული პუნქტები და პიროვნებათა დასახელება შეგვაქვს იმ ფორმით, როგორი-
თაც გვხვდება ისინი ტექსტში.

პირთა, გეოგრაფიული საძიებლებისა და ლექსიკონის შედგენასა და სამარ-
შრუტო პუნქტების დადგენაში მეხმარებოდა ცისანა აბულაძე. რუკა დახაზა კარ-
ტოგრაფმა ც. ვაშაქიძემ.

კორექტურების მძიმე ტვირთი ჩემთან ერთად გაიზიარა გ. ნინუამ. დიდი
დახმარება გამიწია საძიებელზე მუშაობისას აგრეთვე ლ. ახოზაძემ. ყველა დასა-
ხილებულ პირს უღრმეს მადლობას მოვახსენებ.

¹ ლია კიკნაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 139—140.

² დაწერილებით ამის შესახებ იხილეთ ლ. კიკნაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 142—171.

შეგვიპატივდეთ

რედაქციის წევრნი -

მ. ი.

წინასიტყვაობა

სიყრმიტ ჩემითგან ფრიალ მბრძდიან მე სურვილინ ხილუად უცხოთა ქუესყანათა და ერთა, ხოლო უფროს ყოველთა მისი, საღითცა ჯორციელქმნილ- მან სიტყუამან ღმრთისამან და ქეშმარიტმან ღმერთმან მოგვეფინა ჩუშნ ნა- თელი ღმრთაებისა თვისისა ფსკერსა შინა უღმრთობებითისა წყუღიადისასა მყოფთა, არამედ ყოველი გულს-მოდგინებაჲ ჩემი მიწუღომად ჰაზრისა ამის 5 დაშთა წარუმართებულად 1784-ს წელადმდე, რომელსაცა შინა განგებამან ყო- ლად უმაღლესისა მომაწივა პირუტულ სრულისა ცისა ქუშუშე მართლმადიდებ- ლობ სა სარწმუნოებისა ძეგლად დამყარებულსა დიდსა როსისისა იმპე- რიისა საყდროსანსა ქალაქსა სანკტებერბურლსა, 1791-სა წელსა--სპარსე- თის ნაწილსა აღებრებლჯანისა რომელთამე ქალაქთა და, უკანასკნელ, 1819-სა 10 წელსა, მწუშნებელმან ჩემდა კონსტანტინოპოლისა თანა ქალაქთა რომელთამე თეთრისა ზღვსათა, აფრიკისა, უქმეკუმიან არაბიისა და შემდგომად პალესტინი- სს, თაყუანის-ცემად წმიდისა საფლავისა, თანასწორ ვითარ სხუათაცა საქსოვა- რთა ჴორის და გარეშე წმიდისა ღმრთის ქალაქისა იერუსალიმისა ადგილთა, რომელთათვისცა ვიეთთამე ნათესავეთა და მოყუასთა ჩემთა დამოუტყსნელითა 15 ჩემდამო თხოვითა თვისითა აღწერად ყოვლდღობითსა მგზავრობასა შინა ჩემსა შემთხუტუელთა და შენიშნულთა საგანთა, მათანამდებეს ჯელ-ყოფად ამისა, ვინაჲთგან ერთქუტყსნელთა ჩემთა, ზემოთქვეულთა კერძოთა ოთამანის პორტის სამფლობელოასა მხილულთა მიერ, დღედმდეცა არ ხილულსბიან ვითარნიმე აღწერილებანი ადგილთა მათ და მათ შინა მცხოვრებთა. ხოლო მე, დამორ- 20 ჩილებულმან აღსრულებად საწადისისა მათისა, რაბამცა იყოს იგი, დავუდევ თავეს სამძლურად აღწერაჲ მათი, საჩინოდ რიგსა შინა თვისსა. უკეთუ აწარ- მოებს განსამძღვრებაჲ ესე ჩემი რაოდენმე მოზიდუასა მკითხულთა ყურად- მღებულობისასა, თუთ იგი მექმნების ჯილდოდ შერომისა ამისთვს; ხოლო უკეთუ არა, მაშინ მცირისაცაა ჯერ-არს ჩემ მიერ მოლოდებად მადლობისა 25 ჰაზრისათვს სხუათა შესაქცევად მილებულისა.

გარნა ყოველსა ამასთანა დავუტევე თქნიერ შენიშვნისა ქართლისა ადგილთა მდებარეობაჲ და თანდ მას ზედა მკვდრთაცა ვითარებაჲ, მიზეზისა ძლით თუთ მთხოველთა მიერუტ უმჯობეს ჩემსა ცნობისათა; მწყუებმან ოდენ აღნიშნულად ყოველთა მათ სხუათა, რომელნიცა, მიხედვსამებრ ჩემისა, ითხოვ- 30 დნენყე უსაკუთრესსა განხილუასა გამომეძიებელისა მწირისა მიერ; არა ჰაზ- რითა ამით, რათამცა წარმკითხულთა ამისთა მიაქციონ სასმენელნი თვისნი მისდამი, მით რამეთუ ვიფრდიდემ მე დროსა დაწესებად თავისა რიცხუთა შინა ცხოვლითა კალმითა გამომხატულთასა, არამედ კმა-ყოფად მრწმუნებელ- თა ამისა ჩემდა, დამცნელად უქმობისა, განმდევნელად წუხვსა, განსჯისა- 35 მებრ, სატრფო-საყუარელთა მამულისა, მოყუასთა და ნათესავეთა ჩემთა და- შორეებისა გამო წარმობელებისა და განტარებად ჟამისა, ესევეითარითა დღითი- დღედ მცირ-მცირედ შერომითა ჯმელთა და ზღუათა შორის, სადაცა, გარდა

ღმრთისა, არაგინ მივის ნუგეშინის-მცემელად, მფარულად და წარმმართველად გზისა ჩემისა.

და ესრეთ, მამასადამე, არ ვსაჭიროებ დარწმუნებად მკითხულთა ჩემთა, ოდეს უამისოდცა იქმნებინა კეთილგონიერნი კითხვას მოყუარენი რწმუნებულ, რომელ გამოუტდეღმან¹ ჭეროვნად შენიშვნათა შორის ნივთთა და გამოხატვათათჳს მათთა იკადროსმცა წაყრად თვისისა აღვრსხმულებისა შეთანასწორებისათჳს თავისა სხუათა განათლებულთადმი.

სტუმბრ, უკეთუ შემემთხუესვის ვითარიმე წინააღმდეგი მოლოდებისა ჩემისა და შემრაცხს ვინმე ნამდვლ მცდელ-მედიებულად თანასწორთა ღირსებათა მათთა მიწუდომისა, რა მგამა! ვინაჲთგან მხილულნი კნინისა ნაშვრომისა ამის, უაღრესთა შორის სხუათასა, უადვლესად დაანებებენ უპირატესობასა და უზორუმცა ქებისა მსხუმრპლსა მჭირდულთა ჩემთა და ამისთჳს მცა ვათნებ თავსა ამით, მით რამეთუ უკანონოდ და თჳნიერ ყოვლისა მშუმმეთქუშობისა უბნობითა აღვსილი ვიგნი ესე ექმნების უყუმდრსიტყუათოს მიზეზად მათდა მირთმევეულსა დიდებასა, რომელთაცა უსაჩინ-უსათნოესითა ფრთითა გამოუსახავსთ ქუსყანათა და ერთა მათთჳს, რომელთათჳსცა დროსა ჩემისა ერთწლობითისა მწირობისა შევეუკრიბე მათ² ნაყოფი ღვწისა ჩემისა და შევსწირე

1818-სა წელსა, თხოვისამებრ ჩემისა საქართულოს უპირულესისა მთავრისა, ფრევიოსანთა ლენერლისა და მრავალთა ორდენტა კავალერისა ალექსეი პეტროვიჩისა იერმოლოვისადმი მიღებად ნებისა წარსლჯასათჳს ჩემისა ეგვიპტელ სახესა ქუსშე რომლისამე მემკვდრეობითისა სარგებლობისასა (გარნა ნამდვლ მოხილუად წმიდათა ადგილთა პალესტინისთა), ვიქმენ მის მიერ წარდგენილ უმაღლესსა კარსა ზედა ყოვლად უმოწყალებისა ჳელმწიფობისა ჩუწლისა იმპერატორისა ალექსანდრე პირუსლისასა, საღითცა ჳელმდგომად რაოდენთამე დროთა მივიღე საჯელმწიფოჲსა კოლეგიისაგან უცხო-ქუსყენლთა საქმეთასა 1819-სა წელსა, ფებერვლისა 22-სა დღესა როსსიისა და იტალიურსა ენათა ზედა დაბეჭდილი და ჳელმოწერილი მისულ კოლეგიისა მინისტრის თანამდებობის მმართველისა კარლ ვასილიევიჩისა გრაფ ნესსელოოდეს მიერ პაშპორთი, დამნიშუნელი ჩემი დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკობით, მყოფმან სოფელსა წინანდალსა, დისწულისა ჩემისა თავადისა ალექსანდრე და დისა ჩემისა მთავრინა მარია ივანოვნა ჳავკავაძეთასა, ჳელითა საქართულოს გუბერნატორისა უფლისა ლენერალ-მაიორისა და კავალერისა რამან ივანოვიჩისა ხოვენისათა. და ესრეთ, არმქონეა მცირისცა დაბარკოლებისა, რაოდენთამე დლეთა შემდგომად მიმღები კურთხევისა თუმცა დისა ჩემისა, გარნა მშობლისაგანცა დედისა ჩემისა. სიჩოთულ ჩემით ჩემზედა უფროს პირმნახულმზრუნველისა ჳსენებულისა მთავრინა მარია ივანოვნას მიერ, გავემშვდობე მას, ნათესავთა ჩემთა და წარმოველ თბილისს, სადაცა, განმზადებასა შინა წინამდებარეჲსა გზისადმი, ვმოვლე ქალაქისა ამის ტაძარნი ღმრთისანი, თაყუანისცემად წმიდათა და სასწავულმმოქმედთა ზატთა. ხოლო მოსლველმან შინა განვატარე დამეჲ ესე აქაულ, ესე იგი ზუთი რიცხვ ივლისისა, მოუგონებელსა მწუხარებასა შინა დაშორებისათჳს მამულისა და მოყუას-ნათესავთა ჩემთა.

¹ მწერალი თავჳს ზედა თჳსსა უბნობს.

² მემამულეთა ჩემთა.

შენ გშუშნის გალობა, ღმერთო, სიონს, და შენ
მიტევეს ღოცვა იერუსალიმს.
ფსალ. 64, მუტლი 1.

თავი პირუშლი

იელისა ნ-სა რიცხუსა

თუხ მისლუხა ჩემისა დილით მიველ ჭუარის აღმაღლებისა ეკკლესიასა. აჲ, ¹
ჭუარის აღმაღლების შემდგომად შემთხუშვისა წმიდათა ხატთა, დამკობილ-
მან კეთილკრძალულებითა საფლავსა ზედა უსასურ-
ველესისა ჩემთჳს დედისა ჩემისასა დაღალ-ვჳჳყავ სი-
ვალდით სულისა ჩემისად მჭურვალეთა ცრემლთა შორის: „ჰ, ნათელო ჩემისა
არსებობისაო! მოხედენ სავანეთა გამო მართალთათა ლმობიერითა თუალითა
უბედურსა ძესა შენსა, არასადა მეჭონსა შესაყრდნობელისასა! მიმიპყარ მე,
უკეთუ არა საუკუნოდ, ერთსაცა წამსა წიაღსა შენსა! მე, რომელიცა ნუუკუშ
უკანასკნელ გზის ამბორის-მყოფელი ძეებრითა გრძნობითა, მოწინებითა და
ოჭრუთა უძრფასესისა და საღმრთოჲსა მტუშრისა შენსა, გაძლევ თანანადებ- ¹⁰
სა თჳსსა, ვინაჲდგან აწ ესერა დამტევებელი შენი, უტევებ ქალაქსაცა ამას,
შობით ჩემით დღედმდე მზრდელსა ჩემსა და მივალ უშორესთა კერძოთა შინა
ქუშყანისათა. გარნა ვაჲ ჩემდა! ვითარ გიტევებ შენ, სულო, სათნოვო უმაღ-
ლისისა: არსებისაო! აჩრდილო უსატრფოესო! აკურთხე სულუანი ჩემნი დედო-
ბრივითა მით მოწლუობითა შენითა, რომელთაცა მაქუნდა ბედნიერებაჲ მი- ¹⁵
ღებად რაოდენგზისმე პირისპირ შენგან სიყრამესა შინა ჩემსა, ჳერეთცა შე-
ერთებადმდე შენსა გუნდთა თანა წმიდათა ანგელოსთასა, და მიოწვეცა ყოვ-
ლად მოწყალესა ღმრთისა მიერ მშუდობიანისათჳს მგზავრობისა ჩემისა
და თანად განცდადცა კუალად ჩემ მიერ ჩემთჳს უსახარბიელოესისა შენსა
შემცუშლისა სამარხოჲსა ამის. ²⁰

თუხ წარმოხლუხა ჩემისა აჲაჲთ მოქცეველი სახლისადმი ჩემისა, წარმოველ მყი-
თბილისით მღუდელ-საერთოთა ერთა მიერ, საწელდებით: არხიმან-
დრიტისა ელევთერისა, პროთოიერეისა იოსებ წინამძღუაროვისა, უფალითა ²⁵
სტეტსკის სოვეტნიკისა თავადისა ელიაზარ ფალავანდოვისა, პოლკოვნიკთა
თავადთა ალექსანდრე ჳეკუვაძეჲსა და იოსებ ბებუთოვისა, კოლეჳსკის სოვეტ-
ნიკისა თავადისა გიორგი თუმანოვისა, ნადვორნის სოვეტნიკისა თავადისა ²
ნიკოლაოს ფალავანდოვისა, მაიორისა თავადისა სოლომონ თარხანოვისა, კო-
ლეჳსკისა ასესორთა თავადთა დიმიტრი ვახვაზოვისა და ჳაჳარია გურამოვისა.
თავადისა სამარაგდო ორბელიანისა, უფლისა გუმბერნსკის სეკრეტრის კეთილ- ³⁰
შობილისა პეტრე ლარაძეჲსა და ვიეთთამე სომეხთა მოჳალაჳეთჳს მიერ.

¹ მეტოხი წმიდისა იერუსალიმისა.

ოდესცა გავმოვლეთ ხილი ვერისა, შევედით აღმოსავლეთ-ჩრდილოდ კერძოდ მდებარესა ბალსა უფლისა პოლკოვნიკისა თავადისა დარჩია ბებუთოვისასა, სადაცა იყო სადილი განმზადებულ თავადისა ალექსანდრე ჭავჭავაძესა ხარჯთა და ვისადილეთ მუსიკ-მომღერლებითა. შემდგომ ამისა, თუმცა აქავე

25 გავემშვიდობე ტსენებულთა გუამთა, გარნა კუალადცა გამომყენენყე, ვიდრე ეამისა საეალად, სადითცა უკუნ იქცენენ ყოველნივე თბილისისად, გარდა პეტრე ლარაძესა, რომლისათვისცა ითქმის ესრეთუშ შემდგომთაცა შინა.

თანა მუუნენ საკუთარნი ყმანი ჩემნი მსახურებად: სიღნაღის უეზდის სოფლისა ჩუმლაკით—მვედლის შული გრიგორ რუაძე, ხოლო თელავის უეზდისა სოფლის მარტყოფით—გლახა კნოტისშული და სომეხი პეტრე ბაქელაშვილი. ერთად პეტრე ლარაძეთურთ გამომღველთა მცხეთას, თაყუანის-ვეცა შორით წმინდასა ამას ტაძარსა ღმრთისასა და სულტსა მირონმაწარმოებულსა, ხოლო გამგრძენი გზისა ჩუშნისა მოვიწივენით მწუხრსა ღმრთისკარისა პორტასა; გამოვჰვედით მცირესა მდინარესა ნარეკუავსა ანუ ფონთხელასა და დავი-

25 ლამეთ მახლობელ წყალისა ამის ჰალასა შინა.

7-სა, აღმდგართა დილით და წარმოსლულთა, გავმოვლეთ დაბა მუწნარი. ნაპირსა ამის შენობისასა მდგომარესა გლუხისა სახლსა შინა ვიყიდვეთ ქათმები; მოვედით ჰალასა ქსან მდინარესასა, ცხენი მივეშუთ ძოვნად და ჩუშნცა, შემდგომ სადილის განმზადებისა, დავსხედით ჰამად. მერმე, მოვაყუანინეთ რა

20 ცხენი წარსლულად, ვიხალუშ ცხენი ჩემი უთაფხუნოდ, რომლისაცა პოვნად ამაოდ მეძიებულსა უქანასკნელ შევეუდგით გუასა, და მიმწუხრ მოსლულთა ტირიფონისა პორტასა, შევიცადეთ განთიადმდე.

8-სა. აღმოსლულასა თანა მზეხასაა გავსხედით ცხენთა და წარმოვედით. მოსლული გორს ჰალაქსა უეზდისასა, მიღებულ ვიქმენ პატრი ონოფრეს მიერ სახლსა შინა

25 კათოლიკეთა ეკლესიისასა. აქ დავგებულა ღრმად მოჭუტეებული პატრი მავრიოს, თეთრითა თმა-წუშრითა განშუშებული. ესე თუმცა იტყვს თავსა თვისსა უფროს ასისა წლისად, რომელსა ეწამების სახეცა მისი, გარნა ქცევაჲ, სლუაჲ, საუბარი და ჳმაჲ მისნი ყოვლითურთ წინაეწყუშბიანყე თქემულსა მისსა. შე-

30 ულასავე ჩუშნსა ტსენებულსა სახლსა, პატრმან ონოფრე აღგვიყუანა ზემო ძვიდესა და თუთ, ჳშთასლულმან ქუსლდე, აჩუშნა აკაცთა ჩემთა ძირისა ოთარნი სადგომად მათსა და დასაწყობად ბარგთა ჩემთა. ხოლო მოქცეულმან ჩუენდა, გუახილუა შენებულემაჲ სახლისა ამის, ვიდრე უქანასკნელადმდე, გარნა პირუშლ ყოველთა—ადგილი საჭიროჲ, იღუმალ მოღიმარემან. მე, შემნიშ-

35 უნელი ამისი, მომიცუა განკვრებმან ესევითარისა ქცევისათვის მისისა და მწადდა რა კითხულად მიზნისათვის მისა, თუნიერ ყოვლისა რიდისა, ვინა სიყრმიითუშ გვაქენდა ურთიერთისადმი მეგობრობაჲ, დამასწრო თუთუშ, მის-

3 თვის მებტყუშლმან ჩემდა ესრეთ: „ველმწიფეო ჩემო თავადო გიორგი! მიიღეთ მოთმინებაჲ და მიტვეთ მე ჟამადმდე უგმობლად მისთვის, მით რამეთუ უწინა-

40 რეს ყოველსა განჩენეთ თქუშნ ადგილი საჭირო; მქოველობასა თქუშნსა კმაველუფ მყისა“. მერმე შეგვიძლუა ჩუშნთვის ძილად განმზადებულსა ოთარსა. აქედამ შთავგიყუანა ძირსა ჩვენებად ჩუშნდა ეკლესიისა მათისა ჳრეთცა შეუსრულებელისა, ხოლო აქაჲთ აღმოგვიძღვა საწოლსა თვისსა, სადაცა ჳერ-გვიჩნდა მიღებად სადილისა ერთად მისთანა.

45 განვისულსნეთ რა მცირედ, იწყო პატრმან ონოფრე, მომწსენებულმან აღთქმულისა თვისსა, უბნობად ჩუშნდა შემდგომითა სახითა:

„გელწიფენო ჩემო, თავადო გიორგი და პეტრე ლარაძე! თქვენ უთუ-
 ორ მიზრახეთ მე პირველ სხუათა ჩვენებისათჳს თქვენდა საჭიროასა ადგი-
 ლისა, გარნა მაქუს მიზეზი ესრეთ მოქცევად ყოველთა თანა, ვინაჲცა იყოს
 იგი, შემდგომად ჩემდა შემთხუშულისა წარმოებისა ამის.

ოდესცა სამლუდლოდ განმზადდებულმან და თბილისით 5
 თჳს პატრი ონოფრეს მისლულმან ასტრახანსა შინა განვატარე რაოდენიმე
 მიერ მოთხრობილთა შე- წელი მუნებურსა ეკლესიასა მცხოვრებისა პატრისა თა-
 მთხუშვათა მისდამივე ნა, წარველ შემდგომად მოლიღესა დნებრისასა, ლესა
 საკოროლოესა მონასტერსა. მუნ ვიყავ მიღებულ მიტროპოლიტისა სტანის-
 ლაე სესტრანცევიჩისა მიერ ფრიაღითა სიმდაბლითა და კეთილდაწესებითა 10
 პალატსა შინა მისსა. თუთ მისლჳსა ჩემისა დღესა მისდა არ განმიშორა
 თჳსგან სადილად და არცა ვაზშმად. ხოლო მოახლოებასა მისისა ძილად დაწო-
 ლის ჟამისასა უბრძანა ერთსა მასთანა მყოფსა მწირსა პატრსა წარყუანაჲ ჩემი
 მის მიერ ჩემთჳს დანიშნულსა კელლიასა. ამან, აღმასრულებელმან ნებისა
 მისისა, განმარონინა გრძელისა ტალანისა შორის კამარონისა, ორკერძოდუშ 15
 მრავალ კელლიათა კაროენისა კიდებულთა ფონართა მიერ განათლებულისა,
 შემიყუანა ერთსა ოთალსა და მომსურველმან ჩემდა ღამემშვიდობით განტა-
 რებისა, დამიტევა მარტოდ. აქ განიღვიძა ბუნებაჲმან ჩემმან და მიიძულა
 გარე განსლუად ესრეთსა დროსა, ოდესცა თქვემულისა ტალანისა შორის ფო-
 ნართა შინა იყუნენყე ცეცხლნი დაშრეტილ და სიბნელისა ძლით მისისა 20
 ყოვლითურთ შეუძლებელ პოვნად საჭიროესა ადგილისა ვიდრე მაშინცა, და-
 ლათუ მცოდნიყოთა იგი.

და ესრეთ რაჲ მექმნა!? ვისა ვკითხვდი მისთჳს, ოდესცა არაივისი მუნ
 მცხოვრებულთა მოძებთაგანისა მაქუნდა ცნობაჲ და მასთანაჲცა ვგულვებდი
 მათ ყოველთავე უკეთუ არა დაძინებულად, მაშასადამე დაწოლილად. საწოლ- 25
 სა ჩემსა ენთუნენ კულად კანდელი სანთლითურთ, გარნა ჟამსა ამას უქმად
 შემრაცხულსი მათი, გამოველ კელლიით ჩემით, მცირედ განმღები კარისა
 და დამტეგები მისი სახითა მითუშ, რათა შემდგომად უქუქცევული, უცდო-
 მელად შევსლუღუღვიყავ მას შინა კარისა შორის სახილუშლისა სინათლესა
 ძლით. და წარველ ცეცებითა კელთათა კედელსა ზედა პოვნად რომლისამე 30
 დაუქშველისა კარისა. სლუჲჲ ესე ჩემი იყო მიღებულ ფრიაღისა სიფრთხილი-
 თა, ვინაჲთგან ვიშიშვოდო მოძმეთა მიერ, უკეთუ შემიტყობდნენ დროსა ამას
 სიბნელესა შინა მოარულსა. ესეერთიართა სახედაჲ მეძიებულმან ვპოვნე მრა- 4
 ვალთა კარკვეულთა შორის ერთი განხვეული კარი. შესლუღულსა მას შინა,
 ანასდალ განმქსნელსა ხონჯრისა და მიმხურველსა კარისასა არა სრულიად, 35
 მესმა შორით მომავალი ფერჯთა ჳმანი; წამისა შემდგომად განძლიერდა უუ-
 როს ჳმაჲ ესე და მასთანაჲცა იხილუშბოდის სინათლეჲ სანთლისა, მომავლისა
 მის ჳელსა შინა პყრობილისა ძლით. ამან დაახლოა სლუჲჲ თჳსი ადგილისა
 მისდამი, სადაცა ვიყავ მე ხონჯარჳსნილი. და რალა! მოვიდა ჩემდამდე. კაცი
 ესე ყოფილიყო მეკუქნავე დანიშნულისა მიტროპოლიტისა და ადგილი ჩემ მი- 40
 ერ პოვნითა—საკუქნავე.

ვითარ შესაძლებელ არს გამოხატულად მდგომებისა მის, ვითარსაცა შინა
 ვიყავ მე ჟამსა ამას! ერთ კერძო გვემული და ხანგრძლივ ტანჯვეული ბუნები-
 თისა დამძიმებისა გამო და მეორით—ოდესცა მიხილჳდა მოსლვეული იგი მას
 შინა, სადაცა მდებარენი ნივთნი ეკუთვნოდნენ ჩემსა შემწყწარებელსა მწყემსთ- 45
 მთაჲარსა, რაჲსა იტყოდნენ და ვითარსა პაზრსა მიიღებდნენ ჩემთჳს, ოდესცა

გამოუჩინებელი მეუღლენავესა ამას; ხოლო უკეთუ დაჰკეტდა კარსა მას, უმი-
სოდ დაიწყოებულა და მისთვის მოქცევულსა, მაშინ დაიწყებულა მუნ, ნუ-
სუმი წინააღმდეგად ნებისა ჩემისა აღმოეჩინებოდი უკაცობრივოდ. გარანა მძლე-
ველმან მწარტელისა საღმობისა ჩემისა, ვიპყარ ერთისა ტელითა ხონჯარი და
8 მეორეთა შინაგანი სატელური კარისა მის მოქლონისა ძლიერად.

ხოლო ოდესცა მოჰქიდა მან ესრეთჲს ტელი გარე კარისა მის კლკტესა
მოქლონსა და ეგულეებოდა დაკეტად, არ ვანებები კარსა მას დაჰჰვეად,
ფარვით შინაგან მდგომარეჲ. ამის გამო განცუფრებულმან მან მოილო სანთელი
უმახლობელეს კარისად და სინათლესა თანა მისსა სინჯვიდა მას და გარემო-
10 სა მისსა. დროჲ ესე მოვიგმარე სასარგებლოდ ჩემდა და მცირედ განჰვეულსა
კარისა შორის ნელიად შემბერველმან დაუფრითე ნათელი სანთელსა. საბრა-
ლოჲ იგი, მსმენი მის მიერ მოულოდებელისა წყნარად შებერვის სმისა და
მგონი საკუქნავესა მას შინა ვითარისამე უხილავესა სულისა, შეშინდა ესრეთ,
15 მით რამეთუ განმგდები ჴელთაგან გასაღებისა, განივტო თუთიქემის უგონე-
ბოდ კელისისადმი თვისსა.

მაშინ მე, გამოსლულნი მუნით თვნიერ მცირისაცაა შიშისა, შეველ სა-
წოლსა ჩემსა, რომლისა კარისა ძლითცა ვსჭვრეტდი კუალად მოქცევასა მის
კაცსასა. აჰა, მოვიდა იგი, მპყრობი ერთსა ტელსა შინა სანთლისა ნთებუ-
ლისა, ხოლო მეორესა შინა — დიდისა ტორისა. შეალო კარი, მოიმაჩრუა
20 ტორი და შესზავნა წყნარ-ძარწოლილისა გმითა:

— „განმპრობო სანთლისა ჩემისა! გამოვედ გარე აწუშ ნებსით თვით,
უკეთუ არ გნებავს ავად მოპყრობაჲ ტორითა ამით“. არამედ ვერმსმენი პასუ-
ხისა, შეჰტდების გაგულისებული შინაგან მისა და ვერავისიმე მპოვნელი, იქმნე-
ბის მოცულ განლიგებისა მიერ. შემდგომ, განმსინჯულნი ყოვლისა მას შინა
25 დაცეულსა ნივთისა და უნაკლოდ მხედულნი, მოსძებნის შიშისა შორის და-
კარგულსა გასაღებსა; ხოლო მლანძღველი მისისა შემთხულეც მიზნისა,
იხილავს მას, აღიღებს, დაჰკეტს კარსა და უკუნ იქცევის ელდაცემული ესე-
ვითარისა მის მიერ მიუხვდომელისა წარმოებისაგან.

მე, დაშთომილი პირველისავე ღელვილსა დამგმოებასა შინა, არამეცნი სად
30 მიმართსა, გამოვჰვედ კელით ჩემით და წარველ პირუტლისა მის პირის-
პირ კერძოსად ტელცეპებითავე კედელსა ზედა; შევემთხვე მრავალთა კართა,
გარანა დაჰვეულთა. უკანასკნელ შევხუდი ერთსა ღიასა, საუბედუროდ ჩემად,
და ვითარცა მსწრაფლ შეველ მას შინა, ესრეთ და უმსწრაფლესაცა ვიქმენ
შეპყრობილ წილსა შინა მოუგონებელისა მვეცისასა, რომელმანცა, აღმღებმან
35 ჩემმან მკლავთა ზედა თვსთა, დამაკულთა იატაკსა ზედა ესთა ძლიერად, რო-
მელ მის გამო დაეყოველ საშინლად. გმასა ამას, ანუ მოკლედ ვსთქუათ, და-
ყოვლებასა ზედა მოკრბნენ მუნ ანასდად ფონრებითა თუთიქემის ყოველნი
ძმანი მის მონასტრისანი და მათ შორის იერარხიცა სტანისლავ სესტრანცე-
ვიჩი. ამთ მპოვნეს მე გულშემოყრილად მდებარედ მკლავთა ქუშუშე დათსა
40 ფრიად დიდისა, ჯაჭვთ ბმულისა და პირკრეულისა.

სახილულისა ამის მიერ შეძრწუნებულთა უწყეს ტუქსუაჲ ბრანგვსა მას
და სწადლოდ განრინებაჲ ჩემი ბრჰალთაგან მისთა, გარანა მძენვარეჲ მვეცი
ესე აღუთქემიდის უარესსა ზუსდრსა პირველსა მისდა მიახლობად მკადრესა.
არ დაშთათ ღონეჲ ქნისათვს ჩემისა უტმარებელად, არამედ ყოველივე იგი
45 იყო უქმ. ვიდრე არ მოუწოდეს კაცსა მას, რომელსაცა რწმუნებოყო ხედუად
მის ზედა. ამან, მოსლველმან დაუყოვნებლივ, აღაყენა მყისუშ საზარელი მვე-

ცი ესე ჩემ ზედა მწოლარეა და მე, განთავისუფლებული, მიმცა ჳელთა შინა მოძმეთა ჩემთასა, რომელთაცა წარმიღეს საწოლსა ჩემსა და დამღუშს ცხედარსა, მოიღნეს სხუადასხუანი სასუნნებელნი და მით ძლით ცდილობდნან ჩემსა გრანობად მოყუანებასა. მოიჭმეს მათ შორის მკურნალი, უბრძანეს განსიგჯუა ჩემი და უკეთუ მაჭუს რაიმეა მოტეხილ, დაშავებულ და ანუ ტყენილ, მოვლავ და გულსმოღვივნედ წამლობავ.

დაწყებასა თანა მკურნალისა ამის მიერ სინჯვა ჩემისა, მოვიდოდი მე მცირ-მცირედ გონებასა და ვითარცა სრულიად მოვეგე რა მას, ვიხილულ თავი თვისი მრავალთა სამლუდლოთა შორის, რომელნიცა მქლოველობდნენ ცნობად მიზეზისათვის მისლვა ჩემისა მჭეცისა მისდამი. მკურნალმან ამან დაარწმუნნა ყოველნი იგი უვნებელობასა წინა ჩემსა და თვთ მეცა დავამტკიცე ესე მოთხოვითა ბოდიშისათა, ვითარცა მწყემსმთავრისად, თანასწორ კრებულისა მიმართცა.

მიტროპოლიტი იგი სჯდა ახლოს სარეცელისა ჩემისა, სათნოძქენელი ჩუშნებად ჩემდა მონაწილეობისა თვისისა სიმრთელეისათვის ჩემისა. შემდგომ იწყო ბრალეზად თვისისა თვისისა შემთხუშვისა მისთვის ჩემისა, ვინათგან მსურველსა ყოველსა შინა განსტნებად ჩემსა მონასტერსა მას, დავიწყებულ ბრძანებდად სხვა ვისამეხადმი ჩუშნებავ ჩემდა საჭიროსა ადგილისა, რომლისათვისცა, მბრძანები ჩემდა ბოდიშისა, წარვიდა თვთ ჩემგან და განიყუანნაცა ყოველნივე, გარდა ერთისა, განგებ ჩემთანა დატევებულისა მჩუშნებულად უსასურუშლესის ამის ჩემთვის ადგილისა. ამისთვის მეცა ესრეთუეულ, მოწყალენო ჳელმწიფენო და საყუარელნო მეგობარნო ჩემნო (განაგრძო კვლად პატრმან ონოფრე) თავადო გიორგი და პეტრე ლარაძევე, დავსდევ ჩემ შორის წესად: უკეთუ მეწუშვის ვინმე უცხოა სახლისა ჩემისა ჩვენებად მისდა პირველულ საგმარისა მის ადგილსა, მით რამეთუ იყოს თავისუფალ მწუხარებისა მიერ ჩემისა მსგავსისა, რომლისათვის გაჩუშნეთ იგი თქუშნცა აღმსობითულ.“

აქ დაასრულა პატივისანმან პატრმან ონოფრე შემთხუშული მისდა და უბრძანა დახურვად სტოლისა, ვითარცა შეჩოვიდა უფალი კოლლევსკის სოვეტნიკი თავადი იგნატი თმანოვი და დავსხედითცა სადილად.

შემდგომად სადილისა, წარვიდა რა ჩვენგან თავადი თუშოვი, წარვედით ჩუშნცა ხილულ მისისა უფანთლებულესობისა საქართუშლოს მეფის გიორგის მეათსანმეტისა ძისა იოანეს მეუღლავსა ქეთევანისა, რომელსაცა აქუნდა ცხოვრებაჲ ქალაქსა ამას შინა და რომელმანცა მივივილო სათვსოთა სიმდაბლითა და აღვირსითა.

აქედამ წარვედით მოხილულ ქალაქსა ამის ადგილმდებარეობისა და ბაზარ-შენებულებათა ამისთა. გორი ესე იპყრობს რაოდენმე ალაგ-მდგმოებითა თვისითა შუშნიერებასა ბუნებისა მიერ მინიკებულსა. შენობავ აქაური არს უფროს ღირსი თანაწარზღომისა, ვიდრელა ჳსენებისა. დასავლეთით აქუს მაღალი გორავ ჳედ ციხეშენებით, ჩრდილოით. მოუდის ლიავჳ და ერთვის მტკუარსა სამჭრით ამისა მომდინარესა. ეკლესიანი არიან აქა ქართულთა, კათოლიკეთა და სომეხთა სამნი; ხოლო სამნივე ესე ნათესავნი განვირცნებიან 1500-ს კომლადმდე; დუქანნი მრავალ და აღებ-მიცემაჲ კმად კარგი.

დროსა მწუხრისასა მოვიტეცით სახლისადმი ჩუშნისა და მცირედ

დროსა ერთად განმტარებულნი, განვეშორენით ურთიერთსა და შევედით თუხ-თუსთა საწოლთა შინა.

9-სა განთიადსა თანა შეველ მე პეტრე ლარაქეთურთ პატრისა ონოფრესად გამშვიდობებულ მისთანა, გარნა ამან, მთხოვნელმან ჩუშნდა მცირეს ხანს შეცდისა, უბრძანა მსახურსა თუსსა მოლებად ჩაისა და კავისა. კუალად, განამარჩობლემან თხოვისა თუსისა დაშთომად სადილად მასთანა, ხოლო

თუხ წარმოსლუხა ჩემისა გორით

ჩუშნ, მიღებითა პირუშლოთათა კმა-ქმნილნი, ვეუარენით მადლობითა უქანასკნელსა მას შინა და დროსა მზის აღმოსლუკსასა დაეუტევეთ იგი გორითურთ და წარმო-

10 ვიტრენითცა დასაცლეთისადმი; გამოვლეთ დაბა რუისი და სიახლოესა ბრეთ

7. სოფლისასა შევემთხვევენით წინამძღუარსა რუისისასა მამასა ნიციფორესა, მომავალსა ბრეთით რაოდენითავე მლუღელებითა და გლენებითა. გარდაუქდომელად ცხენით მოვიალერისეთ ურთიერთი და შევეუდევით თუხ-თუსსა გზასა.

15 თუხ მოხლუხა ჩემისა ლოფელსა ბრეთსა

მოვედით ჩუშნ სოფელსა ბრეთსა, ნათესაეთა ჩემთა თავადთა ავალოეთა სამყოფსა. ვიხილუშთ ვიეთნიმე თავადთა ამათგანნი და შორის მათსა თავადი ანტონი

ავალოვი, ხლებული ღმრთისადმი განსუენებულისა საქართუშლოს მეფისა ირაკლი მეორესა და ზრდილიცა ამის მიერ. ამან მხილუშლმან ჩემმან და ფრიად შუშბულმან უეცრად შემთხუშვისათუხ ჩუშნისა (ვინაჲთგან განველო

20 24-სა წელსა ჩუშნ ურთიერთისა უხილუშლობის ეამით), გეტხოვა გულმოდგინებით დღესა ამას განსუენებად მისსა, გარნა მიმლები ჩვენგან მას ზედა ვარძმობისა, აღცდა თუტცა ცხენსა და წარმოვიდა ჩუშნთანა.

თუხ მოხლუხა ჩემისა სოფელსა დარბსა

ვიარეთ უმცირეს ეამისა და მოვედით წმიდისა საფლავისა სოფელსა დირბსა ჯუარის ამაღლების მონასტრის არხიმანდრიტისა მათეოსისად. აჲ დაგვხუდა

25 წინამოადგილუჲ ამისი არხიმანდრიტი ვენელიკტე, რომელსაცა ევლუკებოდა ერთად ჩემთანა მგზავრობაჲ კონსტანტინოპოლადმდე და ვინაჲთგან ჯერ-გვიჩნდა აჲ განტარებად ლამისა, ამად შემქსნელმან იარაღისა, ვიხილუშ მოულოდებელად კრმალსა ზედა ჩემსა ნაცუალად მათრადისა ჩემისა მათრადი პატრი ონოფრესა.

10-სა, არხიმანდრიტმან მათეოს, განვლილსა ლამესა უცხოად მმასპინძლებელმან ჩუშნმან, მსმენმან ჩემისა იერუსალიმისადმი მიმართუსა, მთხოვა სათანადოჲთა თავაზითა ორი ნიეთი იერუსალიმსა შინა საშოვარი, ესე იგი ბალსამი იერუსალიმისა და ზოკუმ-იალი¹, ესრეთ უწოდებენ მათ; ხოლო მე,

35 აღმთქემელი ამათი, ვავეთხოვე და წარველ ერთად თავადისა ანტონ ავალოეთა და პეტრე ლარაქეთურთ ნაბახტიევისა სოფლისადმი. მოგზაურნი ვიუუშნით პურობილ განახლებითა

თუხ დირბით წარმოსლუხა ჩემისა

ურთიერთისადმი ადრითუშ ჩუშნ შორის გრძნობილისა ნაცუალგებითსა სიუუარულისათა და ვარწმუნებდითცა ერთი მეორესა საუ-

40 კუნოდ დაცუსათუხ მისისა.

¹ ზოკუმ-იალი: ზოკუმ—ბალახის ნაყოფია, რომელიცა ისხავს თხილისა ოდენსა ნაყოფსა და ამის გამო ჰხდინ იალსა, ესე იგი ზეთსა იერიხოსა შინა.

თუხ გამშვდობების ჩე- ოდესცა დავასშუალებ გზა ნაბახტივეისად, გავითა-
მისა თავადისა ანტონ ყუანენით ღმრთისმოყუარებასა თავადისა ამის ანტონ
ავალოვისა თანა თანა ორკერძოდელჳ სანიშნოდ მწუხარენი;

მგრძენნი გზისა, ეეწვევით ნაბახტივეისა პატრონსა, გარდამდგარსა უფალსა .6
პორუდჩისკა თავადსა ბესარიონ თარხანოვსა, რომელმანცა გვიმასპინძლა

თუხ მოსლუხა ჩემისა მდიდრითა ვახშმითა და ეცადაცა ფრიად განსუწნებასა
სოფელსა ნაბახტივეისა ჩუშნსა, არამედ ყოველი შვრომაჲ ამისი იყო ამაო, სიმ-
რაველისა ძლით გრწყილთა, მაშასადამე განსუწნებაცა
ჩუშნი — შორს ლტოლვილ ჩუშნგან. 10

თუხ წარმოსლუხა ჩემისა 11-სა დილით გავესალმენით თავადსა ბესარიონ თარხა-
ნაბახტივეით ნოვსა. ვიარეთ მზისა დაჰქლომადმდე და მოვედით სო-
ფელსა სურამს, სახლსა აქაურისა დეკანოზისა იოსებ ნე- 8

ბიარიძესსა. მმა-მლუდელმან დეკანოზისა ამის გიორგი გვითავაზა ჩუშნ განსა-
თუხ მოსლუხა ჩემისა სურამს 15
სურამს იყო ფრიადი სიცხეჲ, ამისთუხ შევედით ბაღსა შინა შე-
სუწნებლად სახლი, კოშკი და მტილი; ხოლო ვინაათვან

ბინდისა დროსა მოვიდა მინდვრით იოსებ დეკანოზი, რომელმანცა გვა-
ჩუშნა უმეტესი სახეჲ სტუმართმოყუარებისა და შემდგომად ამისა შემოვიდა 20
ჩუშნდა სხუჲა მლუდელი გიორგი იტრიისა ღმრთისმშობლის ეკკლესიისა.
ამან დაჰყო მცირესა ხანსა ჩუშნთანა და დროსა მისისა წარსლუჯასა ვთხოვე
ხუალისად წირვაჲ და პარაკლისი მშვდობისათუხ ჩემისა თქემულსა ეკკლესიასა
შინა და აღუთქვცა მუნ მისლუჲ სმენად მათსა.

დღეჲ ესე იყო პარაკვევი და ვახშამიცა ჩუშნი შემდგარ ძუსლ-ახალ თევზ-
თა მიერ სამარხოებიტურთ. 25

თუხ მოსლუხა ჩემისა მო- 12-სა წარველ ფრკვი პეტრე ლარაძეთურთ ზემოქსე-
ნანსტერსა იტრიისა ღმრთის- ნებულისა ეკკლესიისადმი მოსმენად წირვისა. ესე შო-
მშობლისასა რავს სურამსა ვიდრე ნახევარ ჟამისა სავალით ჩრდილო-
დასავლეთით კერძო; მაღალსა ადგილსა ანუ გორასა

ზედა მდგომარეჲ, ნაშენი თეთრისა თლილისა ქვთა ძუსლისა არხიტექტორო- 30
ბითა საფასეთა თავადთა ჩხვიძეთათა; გარნა უმეტესი ნაწილი ამისი არს დაქ-
ცევულ და დანაშთომიცა მიდრეკილ მისდამივე. თუთუელი ქუაჲ შენობისა
ამის, ჰელოვნებული სხუადასხუაჲთა ნაკუშთებითა, აწცა ბაასობს ნამყოჲსა
შუსწნებისათუხ თუხისა. აჲ მოვისმინეთ საღმრთოჲ ლიტურგიაჲ, ვახდევინე პარაკ-
ლისი, ვემხუვევით წმიდასა ხატსა იტრიის ღმრთისმშობლისასა, კმად დიდსა, 35
წმინდითა ოქროათა შემეკობილსა, რვა-ათითა წმიდითა ნაწილებითა განსუშ-
ნებულსა და ცხოველმყოფელითა ძელითა, ოდესმე მდიდარ-ყოფილსა, რომ-
ლისაცა ალაგი არს მას ზედა დღეს ცალიერი. წმიდასა ამას ხატსა ზედა წე-
რილი იჩუშნების, მით რამეთუ არს ესე მოკედილ ოქროთა და მორთვეულ
ნაწილებითა თავადისა ბეჟან გორგ ასლან ჩხვიძესა მიერ. 40

თუხ იმერეთთ უკმოქცე- აქედამ უკმოქცევულთა სურამადდე, განვისუწნეთ რა
ვულთა საქართულოხს ეკ- მცირელი ხანი, ვიხილუშთ იმერეთით მომავალნი ეგზარხ-
ზარხ-მიტროპოლიტ თეო- მიტროპოლიტი საქართულოხსა თეოფილაქტე, არხი-
ფილაქტესა და თანა- მანდრიტი ათანასე პეტრევი, უფალნი: კოლექსის 45
მყოლთა მისთა სოვეტნიკი ვასილი მათვეივიჩი ჩილავეი, ნადვორნის
სოვეტნიკი თავადი მიხაილ ოსიფოვიჩი ფალავანდოვი, მაიორი თავადი გრი-

გორ ზურაბიჩი წერეთელი და სხუანიცა ამითანა. პირუშლი აღვიდა სურამისა ციხესა შინა და შემდგომნი ყოველნივე მოვიწვევ ჩემთანა ბალსა, სადაცა ვისადილეთ ერთად. მრავლითა სხვთა და სხვთა წინადადებითა მირჩევდნენ ვიეთნიმე ამთავანი ამკამად იმერეთისადმი წარუსლულშობისათჳს, ვინაჲთგან საზოგადოებაჲ იმერთა, თქმულთა ძლით მითთა, აღძრველ იყუნენ ანუ ლაშქრდნენ პირისპირ მმართველობისა. აქ ველოდდი მე არხი-

9. მანდრიტსა ვენედიკტესა ჩემ მიერ დირბსა სოფელსა დატყვებულსა და აღმოტყვევლსა მოსლულად ჩემდა 14-სა რიცხუსა. ამისთჳს დამლაშებულმან აქავე, არცა სტუმარნი ესე ჩემნი, მცნობნი ეკზარხ-მიტროპოლიტისა თეო-

10 ფილაქტეს წარსლვსა, უტყვე წარსლულად. დროჲ ვახშამსა ზედა განგვატარებინა აღნიშნულმან ვასილი მათევიჩ ჩილაევმან მმართველითა და სიცილითა, ანგარიშსა ზედა თჳსისა გულოვნებისასა მმეტყულმან, რომელ ჭერეთცა არ იყო ესე მოსლულ მექსიერებასა და სწორმხედველობასა შინა იმერეთს შეშინების ძლით.

15 13-სა დილით შეუდგნენ წუშელნი ჩემნი კულასა გუშინვე წარსლულისა მწყემსმთავარისა თჳსისასა; ხოლო ჟამსა შუადღესასა კშთამოიარა მუნიტულს, ესე იგი იმერეთით, დეკანოზმან მცხეთისა იოანე, რიცხუთავანმან ეკზარხის კერძობისა.

14-სა მოვიდა იმერეთითუშ უფალი ტიტულიარნი სოვეტნიკი თავადი 20 ფარსადან თეიმურაზოვიჩი ციციანოვი, მისუშ მღვდელმთავრისა დასისაგანი და ვითარცა სცნო აქ ყოფნა ჩუშნი, განისუშნა რაოდენმე ჩუშნთანა. მოგვიტხრნა მორბელობანი თჳსნი სიცილითა და ზუმრობითა, სრულიად სიმართლესა წინააღმდეგნი. სიტყუათამებრ თავადისა ამისთა, თუმცა კქონიაცე თანასწორი შემთხუცვაჲ ერთად ამისთანა ყოფილთა იმერეთსა, ყოველთა 25 მათ, პირუშლ ამისა მუნით აქ კშთამოვლილთა, გარნა ესეჲ წარმოადგენდა თავსა თჳსსა სახელთა და უბნობათა ძლით თჳსთა ძლევაშოსილად ხოლო სხუათა მათ ერთობით დამარცხებულად, რომელთადმიცა წარვიდა შემდგომად სადილისა

15-სა წარმოველ მეცა სურამით. გარდემოვლეთ მთანი 30 თჳს წარმოლვსა ჩემისა სურამით და პირველსა მწუხრისა ბინდსა თანა დავიღამეთ ახლოს პორტისა, რომლისაცა სახელი ვერავის მიერ ვცან.

16-სა აღმოვცდა რა მზეჲ, აღმდგართა ერთად საყუარელ მეგობრი- 35 სსა ჩემისა პეტრე ლარაქეთურთ და შემვედართა თავთა თჳსთა ღმრთისადმი, მოვიმარჯულთ გულ-იარაღნი, მიხედვსამებრ რეცა აღშფოთებულთა იმერთასა, მით რამეთუ გზასა ზედა უკეთუ დაგვხუდების მტერი, არ მივცნეთ თავნი თჳსნი იეფად ანუ ლადართა კაცთა მიერ ვიყუნეთ უწონოდ დაცულს.

შემსხდარნი ცხენთა და მავალნი ყოვლითურთ მშჳდობით, ვვიდოდით ადგილითი-ადგილად ას-ასობით მი- 40 თჳს ყვირილჲ მდინარეჲ და ზესთაფონისა წისა მუშაკთა გლხთა შორის, რომელნიცა, მცემელნი ჩუშნდა მშჳდობისა, მიმღებლობდიანყე მასუშ ჩუშნ კერძოდცა. გამოვკჭდით ნავითა მდინარესა ყვირილას, ადგილსა ზესთაფონად წოდებულსა. ცხენნი გამოვაყუანინეთ ცურჯთა, მოვისადილეთ მწუანესა, კიდურსა ზედა მდინარესა ამისსა და შემდგომ წარმოტრავულნი, მოვიწვიენით 45 პორტასა, კულადცა სახელისა მისისა ვერმცნობნი და დავიღამეთ ახლოს ამისა.

ათხ მდინარეასა წყალწი- 17-სა წარმოსლულნი პოჩიტია ამით, მოვედით რა 10
 თელაჲსა და ამას შინა წყალწითელა მდინარესა, ვიხილუშთ ერთი გლეხი მო-
 მნადირობელისა გლეხისა ჟუცი, მკციანითა გაბრწყინუშბული, დაღრეკით მსლუშ-
 ლი წყალსა აჲას შინა და, რაოდენცა იჩუშნებოდის ქცევაჲ ამისი, რეცა მე-
 ძიებულად რაჲსაჲე. ოდესცა დავეუახლოვდით ამას, წეენიშნეთ პელთა შინა 5
 ამისთა პყრობილი მშვლდი, წულილისა წყელისა გამოქმნილი და მის წყებ-
 ლისაჲე ისარი ოთხწუტიანი. მიმკემთა მშვდობისა, ვკითხეთ მოხუცსა ამას
 საგნისათჲს ესრეთ შერომისა მისისა, რომელმანცა, პირულ მომბადლე-
 ბელმან ჩუშნდა ჩუშნ მიერ მისდა მოცემულისა მშვდობისათჲს, მოგვიგო შე-
 მდგომი: 10

„ბატონო ჩემო! ენადირობ მე თევზთა, გარნა დილით ვიდრე ამა ეა-
 მდამდე ცულმაშვრალი, ვჩივი სულსა ზედა ჩემსა, ვინაჲთგან დღეჲ ესე წარვა-
 გე უსარგებლოდ და დაეშთებიცა მშიერ, ოდესცა არ შემხედების შეპყრობაჲ
 თევზისა“.

მონადირესა ამას ვთხოვეთ ჩუშნებად ჩუშნდა ესეგუარისა თევზთა ნა- 15
 დირობისა, რომელიცა არაოდეს მსმენ-მეხილუა. მოჟუცმან ამან, მიმღებმან
 თხოვისა ჩუშნის, იწყო დაკრით სლულად წყალსა ამას, მომმართულმან მშვლდ-
 ისრისა, რომელსა შეველდეგით ჩუშნცა მხედულსად მორბედობისა მისისა. უკა-
 ნასენლ კპოენა ერთისა ქჲსა ქუშუშე მწოლარეჲ ქიჲყინა, დასცა ისარი და
 აღმოიღო იგი მას ზედა ცემული. კაცმან ამან, განმხიარულებულმან ხუშდრი- 20
 სა ამის ძლით, აკურთხა ეამი აჲ მოსლჲსა ჩუშნისა, ხოლო მეცა, მჩუქებსა
 მისდა ერთისა აბაზისა შერომისათჲს მისისა და მიმსურველსა უფროს კეთილ-
 თჲს ჩემ შიერ ჭუთათისსა წარმართებისათჲს მისისა, დამილოცა გზაჲ და წარვემო-
 კაცის წარგზავნისა ვედითცა ჭუთათისისად. აქედამ წარგვგავნე მსახური

ჩემი გრიგორ რუაძე პაშპორთითურთ უფლისა ღენერალ-მაიორისა ივან და- 25
 ნიილოვიჩისა კურნატოცისა, კერძოჲსა ამის მმართვე-
 თჲს მოსლჲსა ჩემისა კურნატოცისა, კერძოჲსა ამის მმართვე-
 ლისა მიმართ თხოვად სახლისა. და ჩუშნცა დროსა სა-
 მკრობისასა მოვედით ქალაქსა ჭუთათისსა, სახლსა აჲა-
 ურისა მოქალაქეჲსა იაკობ ქალანთაროვისასა, მოცემულსა ჩემთჲს სადგომად.
 18-სა მოვიდა ხილუად ჩემად აჲაური გოროდნიჩი ეჲმსა 30
 მას, ოდესცა განვედ მე ბჲეთა შორის სახლის ჩემისათა
 თჲს მოსლჲსა ჩემდა გოროდნიჩისა სანახავად ღენერალ-მაიორისა კურნატოცისა. მსგავსად
 დროჲსა ამის მიმღებმან მცირეს ხანს ცსენებულისა გოროდნიჩისა სათანადოჲ-

თა აღერსითა, მივმართე სახლსა უფლისა ღენერალისა კურნატოცისა. შე- 35
 მდგომ ურთიერთისადმი მიმშვდობებისა მომიხრა ამან ქცევაჲ ეჲზარხ-
 თჲს მისლჲსა ჩემისა თეორიოლიტისა თეორიოლიტისა, წინააღმდეგად ვი-
 ღენერალ-მაიორისა თარცა აჲაურთა სამლულელოთა და ერთა, ესრეთულ
 კურნატოცისად სახეჲსაცა თჲსისა. ამას ვთხოვე ნებისა მოცემაჲ ხი-
 ლულად მიტროპოლიტთა ჭუთათის-გელათისათა დოსი- 40
 თეოს და ეფთჲმისა. ხოლო მიმღები მისი, წარველ მწყემსთმთავრისა დოსი-
 თეოსისადმი, ერთად მოენეათურთ უფლისა ღენერალ-მაიორისა კურნატოც-
 კისად. განმსლულნი რაონ მდინარესა ზედა მღებარეჲსა ქუთკირისა ჳიდისა,

1 დროსა ამას იმერნი იუენენ ვითამცა რაოდენმე აღშფოთებულ საუბედუროდ თჲსად,
 და ესრეთ, უეტუ უნებლიედ მთავრობისა მივიდოდი ხილუად ვისაჲე აჲაურთასა, განი
 უთუოდ მოეაწუტედი თჲს ზედა ქსტგანმხედულობასა მმართველობისა.

მოვიქცით მარჯუენით კერძო კიდურს ამისსა, შევედევით ფრიად მალალსა
11 კლდესა, გზასა მიმოკანკლედობილსა. აღვედით ციხესა და ვიჩინეთ სახლსა
თჳს მოსლჳსა ჩემისა ქუ- ქსენებულისა მიტროპოლიტისა დოსითეოსისსა, რომელ-
თათის მიტროპოლიტისა მანცა მიმილო რეცა აღრითუშ უკუა დროათ ცნობილი
5 დოსითეოსისხად მეგობარი და მოყუასი თჳსი.

ესე იყო განშუშნებული ორდენითა წმიდისა ანნას პირუშლისა კლასისა-
თა და მექონი უფროს ნძ-თა წელთა. მღუღელთმთავარმან ამან იწყო მეტყუშ-
ლებად ანგარიშსა ზედა მიტროპოლიტისა თეოფილაქტესსა, რომელი მოპქცე-
ვიყო ამას და სხუათაცა, თჳნიერ მცირედისაცაა ბრალისა, ყოვლითურთ წი-
10 ნააღმდებელ სიმართლისა და ხრისტეს მიერ ძმათა შორის ქცევისა. იერარხს
ესე არს აქაურთა ჩინებულთა თავადთა წერეთელთა გუარისა. იტყუან: გონთ-
ერი, შუშინერიმოუბარი, მდაბლადმქცეველი, უხვი, სტუმართმოყუარე, დიდშემ-
ძლებელი და თანასწორ გამოცდილი ვითარცა საღმრთოთა დოღმატთა, ესრეთუშ
აქაურთა სამკედროთა და სამოქალაქოთაცა საქმეთა შინა.

15 თჳს მოსლჳსა ჩემისა პართოიერებისა ნიკო- დაუკყად ამასთან ვიდრე ჟამადმდე და მიმღები ამისგან
ლოს გაბაევისხად კურთხევისა, მოველ საქართუშლოს კეთილშობილისა
გაბაევისა პართოიერებისა ნიკოლასისასა, ვინაჲთგან
ვიყუშნით აღრითუშ მეცნიერნი ურთიერთისა. აქედამ უკმოქცეველმან გაემო-
ვლე შორის ქალაქისა ამის და მოველ სახლსა უფლისა

20 თჳს მოსლჳსა ჩემისა თავადისა ზურაბ წე- დენერალ-მაიორისა და წმიდისა ანნას პირველისა კლა-
რეთელისხად სისა ორდენის კავალერისა თავადისა ზურაბ წერეთე-
ლისასა, სადაცა ერთად ამისთანა დამხუდა საქართუშ-
ლოათ მოსლველი ძეჲ ამისი გრიგორ. ამათთანა განმტარებულმან მცირედისა
ჟამისა, გამოუარე გოროდნიჩსა და ვერპოვენელი ამისი სახლსა შინა თჳსსა,
25 მოვიქცე სახლისადმი ჩემისა.

19-სა ვაწირვინე პართოიერებისა ნიკოლასსა გაბა-
ევისა ქუთათის ეკკლესიასა შინა ყოვლად წმიდისა
ლმრთისმშობლის მიძინებისასა ღმრთისადმი მიცული-
ლისა დესტიტეტლნი სტატკის სოვეტნიკისა თა-
30 ვადის დავით ჭავჭავაძესათჳს¹, ვინაჲთგან მომავალი დღეჲ ილიაობაჲ იყო
დღედ შობისა ამისისა.

თჳს წარმოსლჳს: ო- და მსუჟან წარველ პეტრე ლარაქმეთურთ გელათისა
ხა მწუანეყუავილას გე- ანუ გენათისა მიტროპოლიტისა ეუფთმის სანახავად;
ნათ-მიტროპოლიტისა ეფ- რომელიცა ამჟამად ცხოვრებდა მწუანეყუავილას, აღ-
35 თჳსისადმი გილსა ჩრდილოდ კერძო მდებარესა გარე ქალაქისა ამის.

მოსლველნი აქა მიგვილო ერთმან მღუღელ-მონაზონმან, ჩუშნ შორის
მიმომშუღობებისა შემდგომად მმეტყუშლმან ჩუშნდა: „ბატონო, დაბრძან-
დით! ბატონი გენათელი, აჰა (განაყრობმან ჳელისა), ილოცავს ეკლესიასა
მას შინა და მობრძანდებაცა მსწრაფლ. დაბძანდით, ბატონო!“ ბერმან ამან
40 უბრძანა თჳსთანა მღვდმარესა კაცსა განმზადებად კაცისა და საუზმეჲსა. მათ

¹ თავადი ესე იყო მკვდრი კახეთით, მანდატურთ-უჭხუცესი სრულიად საქართუშლოს
მეფისა ირაკლი მეორესა, გარსეჲნად წოდებული. მიიცულა სანკტპეტერბურსა 1811-სა
წელსა, თთუშსა აპრილსა 7-სა დღესა. ხოლო სამარხეჲ ამისი არს წმიდისა აღქსანდრე ნევე-
ლისა ლავრსა შინა.

შორის, დამნახულმან ზემოთქემულისა ეკკლესიით გამოსლგულისა მოჭუტისა, სპეტაკითა თმითა და წუშრითა განბრწყინუშბულისა, გვრქუა: „ბატონო! აჰა, ბატონი გენათელი მობძანება“.

12

მეის აღვედგით და წარვედით მიგებებად მისდა, არგანსა ზედა ყრდნობით მომავალისა, ჳმელისა, სუსტისა, 80 წელადმდე მიწვენილისა, გარნა მწნედ და მკვრცხლად მქცევისა. მივეთაყუანენით რა ამბორის-ყოფად მარჯუშენსა ჳელსა, ამან, ვამომსახულმან ჩუშნ ზედა ჳელითა თვისითა ჳუარისა, ჳმა-ჳყო ჩუშნდა და ჳსთქუა: „იკურთხენით, თქუშნ, სახელითა მამისათა და ძისათა, და სულისა წმიდისათა“.

6

იერარხმან ამან მოგვიყუანნა სადგომსა თვისსა, მოადებინნა სკამნი ბალიშ-დებულნი და გვაწვენნა სხდომად თუთ მდგომმან და არგანსა ყრდნობილმან. არამედ ჩუშნ, ამისთვს მადლობისა შემწირუშლნი მისდა, ვეგენით პირუშლსავე მდგომებასა შინა, ვიდრემდის მოატანინა ცულდორკენილი ფიცრისა სკამი და დაქდა მოჭუტებული ესე მეუფეჲ, რომლისადა შემდგომ დავსხედით ჩუშნცა. აღერსთათი შინა ჩუშნ შორის ცხად-ქმნილთა მოჳყუა მწყემსთმთავარი ესე, მსგავსად ქუთათის მიტროპოლიტისა, თუ ვითარ მოჳპყრობიყო ამათ საქართუშლოჲსა ეკზარხოსი თეოფილაქტე დროსა თვისისა ქუთათისს ყოფნისასა და სრულითა გულშემუსრვლებითა და ცრემლთა თხევეითა ჩივოდა ქცევასა ზედა მისსა. გარნა, ვითარცა დაასრულნა საგოდებონი მისთვს საუბარნი, გამოვუცხადე მე, მით რამეთუ მაქუს სურვლი ხუალ წარსლვსა გენათს თაყუანის-ცემად წმიდათა ხატთა ეკკლესიასა მას შინა სუშნებულთა და ხილუადცა ხარების ტაძრისა და ამას შინა დაკრძალულთა მოწამეთ ნაწილთა დავით და კონსტანტინესთა, მთხოველმან ნებისა მისისა, რათა ბრძანებისა ძლით მისისა ვისდამიცა შესაბამ იყოს გვახილვოს ჩუშნ ეკკლესიანი ესე. და ვითარმან განკრთომამან მომიცუა მე, ოდესცა უმოჭუტებულესმან მლუდელმთავარმან ამან, მიმლებმან სიამოვნითა თხოვისა ჩემისა, მომიგო: „თავადო! მე თუთ წარმოვალ ერთად თქუშნთანა და უმჯობეს სხუათა ყოველთა, ვინადაცა იყუნენ ივინი, გაჩუშნებთ თქუშნ წმიდათა მათ ტაძართა ღმრთისათა!“

15

20

25

ხოლო მე, მადლობითა სახეჲსა ამისისადმი სათანადოჲთა მვარძმობელმან წინადადებასა ზედა მისსა, ვთხოვე ერთი წინამძღომელი და ბრძანებისა მიწერაჲ ანუ შეთულაჲ ჩუშნებად ჩუშნდა ყოველთა ღირსსაჳსოვართა მათ ეკკლესიათასა, და ესრეთ, აღმოქემელმან ჩუშნდა აღსრულებად თხოვილისა ჩემისა, მაღალ ყოვლად სამლუდელომან ამან დართო მისდამი, ვითარმედ ზუალ დილით მიგვილოდინებს თვისდა და წარგუატანსცა კაცსა საწადისისამებრ ჩუშნისა. შემდგომად მოადებინა კაცა და უბრძანა მოტანდა საუზმესადა. მე, არაა მომცდელი მისი, გავეთხოვე მოჭუტისა ამას მლუდელმთავარსა და მიმლები მისგან კურთხევისა, მოვიქეცე ქუთათისისა სახლისადმი ჩემისა ლარაქმეთურთ, დამტკბარი მიღებითა მეუფეჲსა ამის მიერითა.

30

35

ვითარცა შემოვედით სადგომსა ჩუშნსა და დავსხედით, ვინილუშთ სარკმლისა ძლით საქართუშლოდამ კახეთისა სოფელთა მარტყოფით და ნორიით მომავალნი ჩემდა სახასო გლეხნი—მოშიაშვილი იესე, ბერუაშვილი

40

43

თვს მოხლვსა ჩემდა საქართუშლოდთ სამთა სახასო გლეხთა

¹ იხილუშთ წმიდათა ამათ მოწამეთათვს ეამნსა, თთუშსა ოკლიობერსა 2-სა რიცხუსა, ანუ სადლესასწაველოსა და ესრეთუშ მარტირეკასა შინა, ქმნილსა დიდისა ანტონი კათოლიკოზ-პატრიარხისა ყოვლისა საქართუშლოჲსა, დავითიან-ბანკრატეანისა.

მოსე და ტაბლიაშვილი სვმონ, რომელთაცა მივეც ადგილი სადგომსა ჩემსა და ვაცხოვრეცა ხარჯითა ჩემითა.

ჟამი ესე განვატარე შეუძბითა ჩემსას ერთად პროთოიერისა ნიკოლოს გაბაევისა, მინგრელიის მთავრის ლეონ დადიანის მოძღვრისა არხიმანდრიტისა გიორგისა და იერიე გიორგი გეგელიისა თანა¹, რომელნიცა იყუნენ წარმოვლენილ მთავრისა მათისა მიერ ქუთათისსა ვიეთისამე საქმესათჳს. და ვიწვეე სამნივე ესე გუამნი სადილად ჩემთანა, ვარსა პირად-პირადთა მიზუნთა ცხადყოფელნი, წარვიდნენ ჩემგან უმისოდ; ხოლო მე პეტრე ლარაქმათურთ და სახლისა ჩემისა პატრონით იაკობ ქალანთაროვით მივილე სადილი და შემდგომად ამისა მივეც თეთრი ქალანთაროვსა ამას, მიეუჩინე მსახური ჩემი პეტრე ბაქელაშვილი და ვუბრძანე ორთავე ამთ განმზადებად ჩემთჳს სამგზავროსა ნუზლისა, ესე იგი პურისა, პაკსიმატისა, ჯორცისა, ლვინისა, ხიზილალისა, ყუშლისა, სამარხოთა, სანთელთა ცულ-ქონისა და ესრეთუშ პოვნად კაცისა მიზდით ცხენთა ზედა ბარგთა მტარებელისა და მიცემად მისდა წინდისა, რათა 22-სა რიცხუსა დილით იყოს იგი ცხენებითურთ თჳსით მოსლვეულ ჩუშნდა და თჳთ წარველ ხილუად კათოლიკეთა პატრისა იოსებისა, რომლისადმიცა მაქენდა წერილი გამოტანებული თბილისით პატრი უფროსისა ფილიპეს მიერ.

თჳს მოსლჳსა ჩემისა ზილვად პატრისა ოსებისა პატრმან იოსებ მიილო იგი ჩემგან შესლჳსავე ჩემსა სახლსა შინა მისსა. შემდგომ პირველისა აღერსის და სრულებისა მთხოვა ბოდიშით მიცემად მისდა ნებისა წარკითხუად ჩემგან მოტანილისა წერილისა, ხოლო წარმკითხულმან მისმან უბრძანა მსახურსა თჳსსა მოღებად კაცისა და ხილთა და ვითარცა ვანვიდა უკანასკნელი ესე, ვმა-პყო უფერად პატრმან ამან და შესაჯნა: „ბუონაპარტე!“ განამეორა ესევე ვმამალად და შემოირბინა ერთმან მოსკამჲ. მე, განცვივრებულსა რაოდენმე ესევითარსა სმენასა და ხილუასა ზედა, მრქუა პატრმან იოსებ: „პრენჩიპე! ბუონაპარტეჲ ესე არა არს საშინელ და არცა მენებელ ვისამე. მოსახელემან ამისმან შეაძრწუნეა ქუსყანაჲ, დაჰფარვა მრავლითა სიბოროტეთა კაცობრივობაჲ გუამისა თჳსისა, ულირს-პყო თავე თჳსი წოდებისა ამის და აღსპოცა მრავალნი უბრალონი არა ოდენ გუამნი გუარსა შინა, არამედ გუარნი სრულებით პირისაგან ქუსყანისა, რომელთა შორის იყო გუარისაცა ჩემისა წარწყმედაჲ ერთობით, ესრეთ რომელ მხოლოდ დავშით მე, ლტოლვილი ბარბაროსებისაგან მისისა. და ამად ძალსა ამას ვუწოდე სახელითა მისითა, პირისპირ მისა მარად მასიამოვნებელსა და მელაქუცესა ჩემსა, რათა მხილუშლი პირუტყჳსა ამის მოვიგონებდე მას და ეწყედე ჳსენებას მისსა სახელითა ჩუშნთჳს ჳუარცემულისა იესოსითა“.

რაოდენცა განავრძო პატრმან ამან მეტყუშლებოჲ თჳსი საგანსა ამას ზედა, მაშინცა არ დავფარე ამისგან გრძობანი ჩემნი, სრულიად წინააღმდეგნი კალნიერებისათჳს მისისა.

თჳს წარსლჳსა ჩემისა მწუანეუჯილას 20-სა. წარსლვეული პეტრე ლარაქმათურთ და მსახურით ჩემით პეტრე ბაქელაშვილით, მიველ მწუანეუჯილას; შეევზაენე ბაქელაშვილი გენათელ მიტროპო-

¹ გეგელიაჲ ესე იყო 1811-სა წელსა, ნოემბრისა 24-სა რიცხუსა საქართუშლოს მეფისა გიორგი მეათსამეტისა ასულისა გრიგორ დადიანის მეუღლას მთავრინა ნინასთანა მოსლვეული სანკტ-პეტერბურსა შინა და შემდგომ მოძღუარი ჩემი.
² მოსკა ძალდი არს სხუაგუარი.

ლიტისა ეფთჳმისადმი მოკითხუად და თხოვად მისგან კოლაუზისა, რომელსაცა წარმოეგზავნა მყისუჲ მსახური თჳსი წინამძღომელად ჩუშნად; და შეეუღე-
 ვითუა გზასა ჩრდილო-აღმოსავლეთისადმი, ახლოს მდინარეჲსა წყალწითელაჲსა.
 მოვედით გენათს, ორისა ყამისა მსლუტლნი, მარცხე-
 თჳს გენათის მონასტრისა ნით კერძო აღმოსავლეთისა მჭარესა ვაქესა გორასა ანუ
 მთასა ზედა მდებარესა, მიხედვსაშებრ დანიშნულითა მდინარეჲთა 90-ს საყე-
 ნადმდე სიმაღლეჲსა მექონსა, მოზღლუდეილსა საქმოდ ერცელითა გალანითა,
 ორკაროვანითა აღმოსავალ-დასავლეთით. უპირუტლესი ტაძარი ესე არს სა-
 ხელსა ზედა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლის შობისასა, აღშენებული მეფისა
 დავითის მიერ, აღმაშენებელად წოდებულისა, ხრისტეს შობით 1200-სა წელსა,
 თეთრ-მოყუთლოჲსა თლილისა ქჳთა. კანკელი დახატულ მოსკოვსა შინა ბერძული-
 თა მხატვრობითა ტილოსა ზედა. საკურთხეველსა შინა ჰპოვნებ ყოვლად წმიდასა
 ქალწულსა, მტკრთულსა უსაუყუნოესისა ძისასა და ორსავე კერძოსა მისსა მთა-
 ვარანგელოსთა მოზაიკისა გელოვნებითა ქმნილთა, სიმაღლით უფროს სამ-სამთა
 ადლთა, სხუთა წმიდათა ხატთა მრავალთა, წმიდითა ოქროთა და ძვრფასი-
 თა ქუშბითა მოქედილთა, თანასწორ ვითარ ვეცხლითაცა ოქროთ დაფერ-
 ჳლითა. ამათ შორის მიიზიდულს გრძნობათა აქა მომსლულისათა, უფროს სხუ-
 ათა, ყოველთა წმიდანი ხატნი გენათისა და ხახულისა ღმრთისმშობლისანი.
 იტყჳან, მით რამეთუ უკანასკნელი ესე იყოს დახატულ წმიდისა მოციქულისა
 და მახარებელისა ლუკას მიერ რძეჲთა ყოვლად უბიწოჲსა დედისათა, გარნა
 ორნივე ესე კმად დიდნი, შემკულნი წმინდითა ოქროთა და უუძვრფასესითა
 ქუშბითა მეფეთა მიერ დავით აღმაშენებელისა და თამარისათა. არს აქა ეს-
 რეთუჲთ ვარძიისა ჭუარი ფრიად დიდი, განშუშნებული ოქროთა და საეკლი-
 თა ქუშბითა, და კუალად სხუანიცა წმიდანი ხატნი დიდ-წულილნი, ძვფარსნი,
 რიცხვთ, რაოდენიცა ეხილუმ მე, — 17-ნი.

მარცხენით კერძო შინაგან წმიდისა ტაძრისა ამის კედელსა ზედა იხილუმ-
 ბიან სახენი საქართუშლოს მეფეთა, დედუფალთა და ძეთა მათთა: დავით აღ-
 მაშენებელისა და სხუთა. იატაკი, ვითარცა საკურთხეველისა, ესრეთუჲ წინაშე
 კანკელისაცა არს დაფენილ თეთრისა თლილისა ქჳთა. ამას შინა არიან და-
 ფლუტულ მეფენი: გიორგი, თამარ, ლაშა, რუსუდან დედუფალი, დავით, კუა-
 თჳს სამარხვოთა მეფეთა ლად დავით და სხუანიცა, რომელთაცა სამარხვონი არ-
 და დედუფალთათა ლა უკუჲ იპოვნებიან აღრით ყამითუჲ. საქართუშლოჲსა
 მემატანიანი სწერენ, ვითარმედ ეკლესიასა ამას შინა
 იყოს დასაფლავებულ მეფეჲ დავით აღმაშენებელი, გარნა არა არს მართალ
 წამებჲჲ მათი, ვინაჲთგან თჳთ ვარ მხილუმ სამარხვოჲსა მის საუკუნოდ ნე-
 ტარებულისა მეფისა დავით აღმაშენებელისა, რომლისათჳსცა ვიტყჳ დანიშნით
 ადგილისათ თჳსსა დროსა.

სამკრით კერძო, მარცხენესა მჭარესა უკანასკნელისა სუტისა თანა არს
 საფლავი ღმრთისადმი განსუტნებულისა სანატრელისა დიდისა სოლომონ მეფე-
 სა პირუტლისა და დიდადცა აღსაარებულისა, რომლისა მიერცა არს განახლე-
 ბულ და მოყუანებულ სრულიად ფრიად საქებელსა ყუაგილოვნებითსა სახესა
 შინა, ვითარ იგი მოზაიკისა წმიდათა მათ ხატთა მტერთა მიერ ვნებულთა
 სახეთავე შინა მათთა მოგებითა, იატაკისა თეთრისა თლილისა ქჳთა დაფენითა,
 გუმბათისა სამკრეგებითურთ მისით როსისით მოტანილისა რვალისა თხელთა
 ფურცელთა გამო დახურვთა ანუ გარდაქედითა და მწუთავ ფერად შეღებითა
 და კუალად მონასტრისა ამისდა მიხედვსაშებრ ყმათა, მამულთა და შემოსა-

ვალთა ყოვლითურთ საქაოდათა და უზრუნველად დატევიბითა, რომლისათჳსცა ეგოს საუკუნოდ საჯსენებელი მისი სათნოთა შორის ღმრთისათა. სხუებრ, საღმრთოჲსა ტაძრისა ამის შესამოსელნი და სამკაულნი არიან მდიდარ და კმად მრავალ.

5 გარდა დიდისა ამის ეკკლესიისა არიან სხუანიცა სამწირულნი, რომელნიცა დაინიშნინან აქა სახელდებით: აღმოსავლეთით კერძო დიდისა ამის ტაძრისა, 25-სა ნაბიჯსა ზედა სიშორით—ეკკლესიაჲ გუმბათიანი წმიდისა დიდისა მოწამისა და ძლევაგოსილისა გიორგისა, თეთრ-მოყვიტლოჲსა თლილისა ქვითა ნაშენი. მარჯულენით კერძო ამისულ, დიდისა ეკკლესიით სამტრეთისადმი—სამწირულთა
10 წმიდისა მოციქულისა ანდრია პირულწოდებულისა. ამას შინა არს საფლავი მეფისა დავით აღმაშენებელისა, მარჯვნივ, ახლოს კედლისა აღმოსავლეთ-სამტრეთისათა. სამარხეოსა ამას მისსა ზედა მდებარეჲ ქვსა წილ ჩუგენი, ჰშთამოსხმული ქართულისა საეკკლესიოთა დია მსხვლითა ასოებითა, თუმცა დროთა გამო მრავალთა ადგილთა აღსპობილითა, გარნა ჯერეთცა ადვლ მისახულომელითა
15 იჩუშნების, მით რამეთუ მსახურებს ესე მფარველად გუამსა, ოდესმე მართლმადიდებელისა სარწმუნოებისა და სრულიად საქართულოჲსა დიდებისა სულ-გულისა, გონიერებითა და ძლიერებითა მკლავისა თჳსისათა მფარველსა.

მარად სანეტაროჲსა მეფისა ამის მიერ არს აქა მოტანილ რვალისა კარი¹ დარუბანდის ზღუდის ბჳეჲსა, აზიურისა ძუშლისა რომლისამე ენით ნაწერისა
20 ასოებითა. კარი ესე ყოფილა შედგმულ ნატაძრევისა ამის ბჳესა შინა, გარნა დღეს არს მოკლებულ ადგილსა თჳსსა და მიყუდებულ ოდენ კედელსა ზედა. დასავლეთისადმი დიდისა მონასტრით—სამწირულთა წმიდისა დიდისა მოწამისა მარინასი; მუნიტულ, მარცხენით კერძო სამტრეთისა ბჳითა აღმოსავლეთისადმი—მატხოვრისა; ჩრდილოეთის კართულ მისით დასავლეთისადმი კულად
25 წმიდისა დიდისა მოწამისა მარინასი და დიდისავე ტაძრისა დასავლეთისა ბჳეჲთ მარჯულენით კერძო—წმიდათა და მართალთა იოაკიმ და ანანასთა, ესრეთულ სამწირულთაჲცა წმიდისა მამისა ჩუშნისა და საკურულთმმოქმედისა ნიკოლასისა; სამრეკლოჲ არს თეთრ-მოყვტლოჲსა თლილისავე ქვითა ადგებული, სულტთა მიერ განშუშნებული და კეთილსახილულელი.

30 სამრეკლოჲსა ამის ძირისა კამარასა ქულშე გამოდის წყაროჲ, ქვსა პაუზსა შინა ამასთანე მდგარსა ჰშთამოდინარეჲ, შემოტანილი მილთა ძლით მიწისა ქულშე აღმოსავლეთით კერძო გარეგალავანისა წარმოდგარისა კლდითა, სიგრძითა 100-ს საეყნადმდე.

სახლი მწყემსთმთავრისა და კელლიანი კრებულთა მისთა არად სანიშუნელინი ხედულს ჩრდილო-დასავლეთ-სამტრეთისადმი დია შორს მრავალთა სოფელთა, ნაყოფიერთა ვენანჯ-ბალ-ბაღჩათა, მდინარეთა, ველთა, ტყეთა, ტევთა და
16 სხუათა.

მჩუშნებელი ჩუშნდა ზემოკსენებულთა საღმრთოთა ტაძართა და ადგილთა იყო პროთოიერეი გენათისა, ხოლო მეორეჲ—მწირი ბერი. შემდგომად მონასტრისა ამის მოხილჳსა მიმიწჳა პროთოიერეიმან ამან სადილად სახლსა შინა
40 მიტროპოლიტისა ფეთჳმისასა, გარნა მე, მსურველი მისწარაფებად თაყუანის-ცემისათჳს წმიდათა მოწამეთა დავით და კონსტანტინეს ნაწილთა, წარემოველ დაუყოვნებლივ, ცხად-ყოფთა დადლობისა პროთოიერეისა ამისდამი და მიზნისა-ცა აღუსრულებლობისათჳს ჩემგან თხოვისა მისისა.

¹ დეშკრ-კაპ-რვალისა კარი.

თუ მოსლხსა ჩემისა მონასტერსა ყოვლად წმინდისა ღმრთისმშობლის ხარებობისა ანუ მოწამეთასა

და ესრეთ წარმოსლულთა აქაჲთ ველეთ უამი რუბითურთ და მოვედით თქემულსა მონასტერსა, სახელსა ზედა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლის ხარებობისასა, მომცროსა, კამარონსა და უგუმბათოსა, ანუ, ვითარცა

უწოდებენ დღეს,—მოწამეთასა, რომელსაცა შინა არიან დაკრძალულ უტრწნელნი გუამნი მთავართა წმიდათა მოწამეთა დავით და კონსტანტინესთა. 5

აქ მივედილო არხიმანდრიტმან გერასიმე ლორთქიფანიძემ და ერთმან იერომონოხოსმან, რომელთაცა, შეგვიყუანეს რა წმიდასა ტაძარსა ამას შინა, გვიკადა პარაკლისი თხოვისამებრ ჩემისა არხიმანდრიტმან ამან, გვასხუარა წმიდითა აიაზმითა, გვამთხუვა ცხოველმყოფელსა ჭუარსა და მიგვათაყუნა წმიდათა ხატთა. შემდგომ ვთხოვე აღხად მოწამეთა ტაგრუცისა, რომელსაცა შინა ასუშნიან წმიდანი ესე, ვითარცა თაყუანის-საცემელად, ესრეთუშ სახილუშლადცა ძლევა-მოსილთა ამით გვაძათა. არხიმანდრიტი გერასიმე, ვითარცა იხილუშბოდის არგანმადიდებელი თხოვისა ჩემისა, მეუარებოდის სათანადოთა თაუაზითა, პირად-პირადთა წინადადებათა ქუშუე აღხდისათუხ მათისა. ულორქმნილმან დაყოლიებად ამისა წადილსა ზედა ჩემსა, გამოუტყხადე მას, მით რამეთუ უხილუშლი წმიდათა ამით მსხუტრპლთა ღმრთისასა აროდეს განვალ ტაძრითა ამით, ვიდრემდის არ ვაცნობებ ამისთუხ მაღალ ყოვლად უსამლუდელოესსა მიტროპოლიტსა ეფთუმესა. მსმენმან სიტყუათა ამით და, შესაძლო არს თქემადცა, ესრეთუშ მცირედ ვითარმედ შეშინებულმან, აღხადა ტაგრუცსა და ღირს-გუყუნა ბილუად და მთხუტყად წმიდათა ამით ნაწილთა, რომელნიცა ასუშნიან ლიტონისა ხისა თლილსა ზანდუქსა შინა ერთად და არიანცა დაქსნილ რომელთამე საჭსრებთა შინა, ფრიად კეთილსუნნელებათა მაწარმოენი. 10

მონასტერი ესე, შესანიშნულსა ნაკლულეგვანებასა შინა მყოფი, დგას მაღალსა კლდესა, საშუვალ ორთა ყოვლითურთ მაღალთა მთათა კლდოვანთა გარემომოცუშლთა მისთა, რომელთაცა შორის მომდინარეობს მდინარეა წყალწითელაჲ და უვლის მონასტრისა ამის მპყრობელსა კლდესა სამკერძოთ—აღმოსავლეთით დასავლეთისადმი. კლდესა ამას ზედა არს ციხეა მომცრო-მომდამლოჲ, ორითა გოდოლითა კერძოთა ზედა. ამას შინა შემოისლუშმბის ჩრდილოეთის მკრით დანიშნულისა ტაძრისად, რომელცა არს შენებულ თეთრ-მოყვითოლასა თლილსა ქვთა. გზაჲ ამისდამი მომყუანი არს ძნელსასლუშლი, ერთი თა იგივე გენათით და ქუთათისით. მოეახლოები რა გალავანსა ამას, ჰპოვნებ 17 მომცრო იწროსა კიდსა, რომლისა ძლითცა შეხუალ გალავანსა ეკლესიისა და სამთა ანუ ოთხთა ფიცრისა სახლთა მცუშლსა. 17

მოშორებით რაოდენმე ჳიდისა ამის შეგემთხუშვის კლდეთუხ ჰქსა პატივეშლისა სა შინა მცირედ გამოკუშთილსა დაცუელი ქუაჲ კლდისა, კმად მოდილოჲ და მსგავსი ჳელით საფქუშლისა წისქვლის ქქსა. ამისთუხ სწამებენ აქაურნი ზოვად, ვითარმედ წმიდათა ამთ მოწამეთა ბმიყოსთ ჳედთა ზედა დროსა მათისა შეპყრობისასა მურვან ყრუოა მიერ და შემდგომად უსასტკეისთა ტანჯუათა მტკიცედ მდგმობათათუხ მათთა აღმსარებელობასა შინა ხრისტესისა მოებასთ ქუაჲ ესე წმიდათათუხ ჳედთა ზედა და ჰშთაენთქასთ იგინი სიღრმესა შინა რიონ მდინარეასასა. ამის გამო პატიეს-სცემენ ქუასა ამას ყოველნი აქაურნი; ახლოს ამისა მიმომავალნი უნთებენ სანთელთა და ემთხუშვიანცა მუტელოყრით, ვითარცა წმიდასა რომელსამე ნაწილსა. ღირსშესანიშნულისა ქვთა ამით გაემოვლეთ რა ნახევარ ვერსტადმედ, ვიარეთ ვიდრე ნახევარ უამისა საუალი გზაჲ, დიდად იწროჲ, ქვან-კლდინი და თუხ შორის დადრეცილი, რეცა რაჲთამე წითლითა ფერითა საგანგებოდ ადგილ-ადგილ- 20

ლად ლებილი, რომლისათვისცა იტყვან აქაურნივე, მით რამეთუ იყოს ესე, სისხლთაგან წმიდათა მათ მოწამეთათა ჟამსა მათისა ურემსა ზედა დებით აქ: მოტანისასა შეღებული. აქედამ მოქცეული მოველ კუალად მწუანეყავილის, მივემადლობე ივარახსა გენათისასა ეფთჳმეს და მოვიწივე დროსა სადილობისა-
5 სა ქუთათისსა ბინასა ჩემსა.

10 თჳს ქუთათის ქალაქისა ჭუთათისსა ამას აძლევს, მიხედვსამებრ, ღირსებასა ქა-
ლაქად სახელდებისასა მხოლოდ ოდენ მდინარეჲ რიო-
ნი, რომელსაცა ზედა მდებარებს ჳიდი ქუთკირისა, კმად ფართო, საქებელი, გარ-
ნა ახლოს ხანს გაკეთებული. იმიერ წყლისა ამის, ფრიად მაღალსა კლდესა ზედა.

15 არს ძუშლი ტაძარი ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლის მიძინებისა, თეთრისა თლი-
ლისა ქუთა ნაშენი, დიადთა შორის შესარიცხუშლი, არამედ თუთიქემის სრულიად
დაქცეული. ესე აღუშენებეს 56-სა მეფესა ბაგრატსა. გუმბათით სრულიად
მოზაიკისა ტელოვნებითა ანუ, ვითარცა ქართუშლინი ეუწოდებთ, სოფიის კენჭე-
ბითა და მრავალგუარითა მარმარილოსა სუშტებითა.

20 თჳს მეფეთა სამარჯოჲსა არიან ამას შინა დაფლულ თჳთ აღმაშენებელი ამისი
თჳსენებული მეფეჲ ბაგრატ და 57-ე მეფეჲ გიორგი. ტა-
ძარსა ამას აქუს მიდგმული მომცროჲ სამწირუშლოჲ, რომლისაცა სიახლოედ
ცხოვრებს ქუთათელ-მიტროპოლიტი დოსითეოს კრებულთურთ თჳსით. აქა-
არს ესრეთუშ ძუშლი ციხეჲ ჩრდილოეთისა კერძოჲსადმი, განახლებული განსუშ-
25 ნებულისა უფლისა ღენერალ-მაიორისა სიმონოეიჩისა, აქაურისა მკარეჲსა.
მმართველად ყოფილისა მიერ. აღმოსაველეთით კერძო რიონისა ქალაქსა ამას
შინა არს მოედანი, რაოდენთამე კანდრისა ხეთა თჳს ზედა მტჯრთუშლი. აქ ყო-

30 ფილა სასახლეჲ ანუ სახლი მეფეთა. არამედ დღეს ნაცულად მისა არიან კა-
ზარმანი როსიის მკედრობითა. არარამე არს ღირსი ყურადმღებულობისა.
25 არს მცირეთთა ნიეთა ეპკრობაჲ და ესეცა იშუთად. დუქანნი არიან ცულნი და
დაქშეულნი უქონელობისაგან საეპკროთასა. ადგილი დაცემული და მარად ტა-
ლახინი, ვინაჲთგან ჰაერი უხუ-ხშირად რწყავს წჳმითა. ჩრდილო-აღმოსაველ-
ეთით აქუნ წარმოდგარნი გორანი. ეკლესიანი უგუმბათონი არიან სამნი მართლ-
მადიდებელთა ზრისტეანეთა, ერთი კათოლიკეთა, ერთი სომეხთა და ერთი სინა-
35 გოგი ურიათა. ოთხნივე ნათესავნი ესე აქ მცხოვრებნი განვრცნებანი 2000-ს კომ-
ლაღმდე.

21-სა მოვატანინე ყოველივე საჳირონი ჩემთჳს მგზავრობისანი, შევაკვრე-
ვინე ბარგი და განვეშაღე ზედალსად წარსლულად.

22-სა წარმოსლულნი ქუთათისით მოვედით დაძლო-
თჳს ქუთათისთ წარმოს-
35 ლუხა ჩემისა მასა თანა მზეასასა ცხენისწყლის მდინარეჲსა კიდურ-
სა მდებარესა სოფელსა მარანასა. მიმღებმან შეწევისსა.
აქ მდგომარეჲსა უფლისა პოლკოვნიკისა პუზირევესკისაგან მოცემითა ნავთათა
და განმკლდარმან იმიერ კერძოდ წყლისა ამის, დაეიღამე ნაპირსა ზედა ამისსა
კამარასა ქუშუშე ვარსკულავთა მიერ მოცუარულისა ცისათა.

23-სა. ოდესცა შიკრიკმან ავრორახსამან მოგვიმცნო მოახლოებაჲ მომაე-
ლინებელისა თჳსისა, აღვმკედრდით ჩუშნცა მყისუშ, რათა არა გვპოვნეს მან
უღებად და გავემართინით წინამდებარეჲსა გზისადმი; ვვლეთ ყოველითურთ შუშ-
ნიერა და ბუნებისა გამო ნაყოფიერ მდებარეობითა შემკობილი ადგილი, არა-
თუ ოდენ სახელუშლ-გრძნობათა მიმზიდუშლ-მატკბობელი, არამედ ტყუშ-
45 მყოფელიცა მათი ოდიში.

1 აქ იღვა ნაწილი როსიის მკედრობისა.

თუ მოსლუსა ჩემისა ბან-
 ძას მოვიწიეებით საკუთარსა მამულსა თავადთა ფალავათა-
 სსა სოფელსა ბანძას უადრეეს შუვადლის ჟამისა, სახლ-
 სსა მჭკრიობელისა მთავრინა სოფია ფალავეაჲსა, თავადისა ზაალ მაჩაბელი-
 სსა ასულისასა. ამან, გამხიარულებულმან ხილუსა ძლით ჩუშნისა და უფროს
 მცნობობისა გამო სანკტებურლსა შინა¹, მივივლო და განგვიესუმს სრუ-
 ლითა სტუმართმოყუარებითა. აქ მოველოდი არხიმანდრიტსა ვენედიკტესა, კონ-
 სტანტინოპოლადმდე ერთად ჩემთანა მოსაგზაურესა ორსა დღესა, რომლისადა
 განგრძობასა შინა მოვიდიან ჩუშნდა თავადნი ფალავანი განტარებად დროჲსა
 დილით, სადილად, სამკრობად და ვანშობად. ესევეთართა სახითა შემაქცე-
 ვარნი ჩუშნი გვაჩვენებდიან ყოვლ შესაძლებელსა პატიესა, უცხოთა შემწყნა-
 რებელობასა და სიყუარულსა. ამდერდიან მსახურსა ჩემსა გრიგორ რუძიესა გი-
 ტარსა ზედა და არაკულმდიან ყრმა ჭაბუქსა ალექსანდრესა, ძესა თქემულისა
 მთავრინაჲსასა, რომელსადა ვაჩუქე ერთი ულაკი კვიცი სამისა წლისა.

აქ მოვიდა მარტვრით თეკლათის მონასტრის წინამძღუარი ბესარიონ².
 ვიამეთ ურთიერთისა მოულოდებლად შემთხუშვითა; მოვისადილეთ ერთად და,
 შემდგომად მთხოველმან ჩუშნდა მისლუად მონასტერსა შინა მისსა, დაგვიტევა
 კურთხევისა თანა მშუდობაჲ და წარვიდა. ხოლო წარჰქდა რა ორი დღე და
 არ გამოჩნდებოდის არხიმანდრიტი ვენედიკტე, რომლისათვისა შევეუდევით გან-
 მზადებასა წარსლუად, დატივრთულნი მთავრინა სოფია ფალავეას მიერ გემიე-
 რითა ღვინითა, კეცის პურებითა, ყუშლითა, საკლავითა და შავს ზღუადმდე მსა-
 ხურისა თვისისა სეხისა გამოტანებითა.

25-სა წარვედით წინამძღომელობითა მთავრინა სოფია
 ფალავეას მიერ გამოყოლებულისა მსახურისა სეხისათა
 და მოვიწიეებით მონასტერსა თეკლათს, მაღალსა მთა-
 სსა ზედა ნაშენსა, უფუგმათოსა, მომცროსა და უსამრე-
 კლოსა, გარემოს ამისა მდებარეთა ადგილთა თავისუფლად სახილუმსსა, პა-
 ერკეთილოვანსა, მრთელწყაროიანსა და მცირეთა რიცხუთა გლეხთ სახლთა
 ახლოს თუსა მექონსა. წინამძღუარმან ბესარიონ მომგებებულმან ჩუშნდა აწარ-
 მოვნა უმეტესისა მხიარულებისა ძლით წყარონი ცრემლთა, განგვიხუნა მყისულ
 ბუენი მონასტერისა, შეგვიყუანნა ერთად თუსთანა ამას შინა, განგვწმიდნა ჰკუ-
 რებითა წმიდითა აიაზმისათა, გვამთხვევა ჭუარსა ჩუშნთუხ ჭუარცემულსა, შეს-
 წირვა სამმადლოებელ პარაკლისი მშუდობისათუხ ჩუშნისა. გამოსლულნი აქაეთ
 განგვაესუმსა საუანესა თუსსა და შემდგომად მწუხრის ლოცუსა გვიმასპინძ-
 ლა მძღორითა ვანშამითა.

26-სა შევეუდევით გზასა მონასტრითა ამით, გამოცი-
 ლებულნი წინამძღურისა ბესარიონის მიერ ვიდრე ეა-
 მისა სავალად, ხოლო შემდგომად, გამშუდობებულთა მის-
 თანა და მიმღებთა მისგან კურთხევისა, გამოგვაყოლა მსახური თუნი შავისავე
 ზღუსა პირადმდე, აღმთქემულმან მშუდობით მგზავრობისათუხ ჩემისა კულადე
 ჳდად პარაკლისისა და თხოვად ღმრთისადმი. და ესრეთ განშორებულთა ღირ-
 სისა მამისა ამის ვიარეთ დღეჲ ესე მთულემელთა ტყეთა შორის დია ბნელთა

და მზუჲსა შარავანდელთაგანდა განუდღელსა გზასა და
 დავიღამეთ უშენსა ადგილსა, ახლოს ხორგა მდინარეჲ-
 სსა კიდურისა თანა.

¹ მყოფმან კერძობათა შორის გრიგორ დადიანის მუღლაჲსა მთავრინა ნინასთა სანკტე-
 ტრებურლსა შინა.
² რიცხვთაგანეუ მთავრინა ნინა გიორგიენას კერძობისათა სანკტებურლსა შინა

27-სა. დანიადსა ზედა აღმდგართა განვაგრძეთ გზაჲ და უადრევეს მზის დასლუსა.. მოვედით რედუთ-კალას¹. განაპყლით იმიერ ხორგა მდინარეჲსა ნავითა ჩემთჲს დანიშენულისა სახლისად აქაურისა კომენდანტისა ბელოვსკის პოლკისა უფლისა პოლპოლოვნიკისა იგ-
ნატი ანტონოვიჩისა ლედრემოვიჩისა მიერ და დაეიბანაკეთ.

28-სა მოვიდა ჩემდა ჭსენებული უფალი კომენდანტი ლედრემოვიჩი და შემდგომად ურთიერთის მიმოალერ-
სებისა მისწერა თხოვისა ძლით ჩემისა წერილი მუსა-
ლიმსა ფოთის ციხეჲსასა, მთხოველმან, რომელ, უკეთუ
10 არს ნავთსაყუდელსა მისსა დრომონი ტრაპიზონისადმი წარსასლუშლი, შეაყუ-
ნოს იგი და აუწყოსცა ამას მისთჲს. წერილი ესე წარგზავნა ერთისა კაზახის
ჯელით, რომელსაცა ვაეაყლოდ ესრეთუშ მსახური ჩემი გრიგორ რუაძე.

29-სა მოვიდა ჩემდა უფალი კომენდანტი ვანკლო რა ერთმან ეამმან, მოვიდნენ ფოთით წარ-
ვლენილნი ესე დრომონისა უშოვენლობისა პასუხითა,
რომელსა ემოწმებოდა წერილიცა მუსალიმისა. შემთხუ-
ვაჲმან ამან, ესთა განრეშობმან მოლოდებისა ჩემისა, შე-
15 მიყუანა არა მცირესა მწუხარებასა, ვინაფთჲმ თანამდებ-ვიყაჲ მოცდად აქა კე-
თილ-საამოსა დროჲსა, გარნა ჰაერი დამპალ, ხორგა მდინარეჲსა წყალი სასემე-
ლად და სახარშავად საქმელთა ჩემთჲს და ჩემთანათა და თუთ ბუნებაჲცა ად-
20 გილისა ამის, აღკურვილნი პირისპირ ყოელისა სიმართლეჲსა, მაძრწუნვებდიან.
არამედ ყოველსა ამასთანა, მინდობილმან მოსალოდებელსა შეწვენასა ზედა
ღმრთისასა, განესდევნენ საკუთარი მწუხარებანი ჩემნი და ვილმოდი ოდენ
თანამყოლთათჲს ჩემთა.

30 მიყუანა არა მცირესა მწუხარებასა, ვინაფთჲმ თანამდებ-ვიყაჲ მოცდად აქა კე-
თილ-საამოსა დროჲსა, გარნა ჰაერი დამპალ, ხორგა მდინარეჲსა წყალი სასემე-
ლად და სახარშავად საქმელთა ჩემთჲს და ჩემთანათა და თუთ ბუნებაჲცა ად-
20 გილისა ამის, აღკურვილნი პირისპირ ყოელისა სიმართლეჲსა, მაძრწუნვებდიან.
არამედ ყოველსა ამასთანა, მინდობილმან მოსალოდებელსა შეწვენასა ზედა
ღმრთისასა, განესდევნენ საკუთარი მწუხარებანი ჩემნი და ვილმოდი ოდენ
თანამყოლთათჲს ჩემთა.

31 ამათ შორის მოვიდა ჩემდა უფალი კაპიტანი ზემო-
თქემულისა პოლკისა თავადი დავით ორბელიანი, ძეჲ მზე-
ჭაბუკ დივანბეგისა და შემდგომად ამისა პოლკისა მი-
სულ უფალი მაიორი ფეოდორ ალექსიევიჩი მიხინი და
ესრეთ განვატარე დღეჲ ესე ამათთანა.

32 29-სა, განმპყდარნი ნავითა ხორგას, მე პეტრე ლა-
რაძეთურთ მივედით ციხესა, სახლსა შინა უფლისა კო-
მენდანტისა ლედრემოვიჩისასა ხილულად მისა, რომლისა-
საცა მიმღებნი საუზმეჲსა, წარვედით ერთად გარყუბანსა,
სინახავად უფალთა მაიორისა მიხინისა და კაპიტანისა თავადისა ორბელიანისა.
ამათთანა განმარონინებელმან კმად დროჲსა, წარმოვიყუანე თჲსთანა დავით ორ-
35 ბელიანი სადილად ჩემას; კშთავსხედით კუხლად ნაყსა და მოსლუელთა შინ,
ვისადილეთ ერთად. შემდგომად ამისა მივმოვლეთ კიდურსა ზედა მძვუნარეჲსა
ამის ზღვასასა, ვხედვდით ზუავეურსა ქცევასა ამისსა და რეცა ღრუბელთადმდე
თხემთა ზურთთა თჲსთასა აღწვენად მცდელსა. აქ შეგვემთხვენენ ვაშტნი, თჲსთა-
ნა მოქონნი სხულთა კიბოთა ზღვასათა. ვიყიდე ესე მათგან და წარვგზავნე მსა-
40 ხურისა ჩემისა გლახა კნოტისშკლის ჯელითა ბინასა ჩემსა. ხოლო ოდესცა და-

33 ამათ შორის მოვიდა ჩემდა უფალი კაპიტანი ზემო-
თქემულისა პოლკისა თავადი დავით ორბელიანი, ძეჲ მზე-
ჭაბუკ დივანბეგისა და შემდგომად ამისა პოლკისა მი-
სულ უფალი მაიორი ფეოდორ ალექსიევიჩი მიხინი და
ესრეთ განვატარე დღეჲ ესე ამათთანა.

34 29-სა, განმპყდარნი ნავითა ხორგას, მე პეტრე ლა-
რაძეთურთ მივედით ციხესა, სახლსა შინა უფლისა კო-
მენდანტისა ლედრემოვიჩისასა ხილულად მისა, რომლისა-
საცა მიმღებნი საუზმეჲსა, წარვედით ერთად გარყუბანსა,
სინახავად უფალთა მაიორისა მიხინისა და კაპიტანისა თავადისა ორბელიანისა.
ამათთანა განმარონინებელმან კმად დროჲსა, წარმოვიყუანე თჲსთანა დავით ორ-
35 ბელიანი სადილად ჩემას; კშთავსხედით კუხლად ნაყსა და მოსლუელთა შინ,
ვისადილეთ ერთად. შემდგომად ამისა მივმოვლეთ კიდურსა ზედა მძვუნარეჲსა
ამის ზღვასასა, ვხედვდით ზუავეურსა ქცევასა ამისსა და რეცა ღრუბელთადმდე
თხემთა ზურთთა თჲსთასა აღწვენად მცდელსა. აქ შეგვემთხვენენ ვაშტნი, თჲსთა-
ნა მოქონნი სხულთა კიბოთა ზღვასათა. ვიყიდე ესე მათგან და წარვგზავნე მსა-
40 ხურისა ჩემისა გლახა კნოტისშკლის ჯელითა ბინასა ჩემსა. ხოლო ოდესცა და-

¹ რედუთ-კალა არს ციხე როსისი მკედრობისა პირსა ზედა შავისა ზღვსა და ხორგა
მდინარეჲსა კედურისა თანა, რომელსაცა შინა იპოვნებინა რაოდენიმე დუქანნი. ადგილი ესე არს
თუთიქვისის მოწამლველ-მომპკედინებელი აქ უკრძალველად მცხოვრებთა, ვინაფთჲმ მდინარეჲ
ხორგა არს დამპალ, ჰაერი ფრად ცხელ-ხორშაკ. გარდა დილა-საღამოთა, რომელთაცა დროსა
ცივა საგრძნობელად მიწა ანუ ადგილი ჰკობიანი და ჰაეაჲცა ზღვსა უფროს ყოველთა მათ
მენებელ-წინააღმდეგი კაცთა სიმართლეჲსა.

ტდა მზეუ, მოველით მმოთხუშობით სადგომსა ჩემსა და შემდგომად ჩაის დაღე-
ვისა ვიქმენით დატევებულ თავადისა ამის მიერ.

თუ ჩემიერ კაცთა მთა- 30-სა გავისტუმრე მთაერინა სოფია ფალაევას და წი-
რინა სოფია და წინამძღ- ნამძღურისა ბესარიონისა მსახურნი თუასს. პირველი-
ვრის ბესარიონისათა უკუ- სასა ვაჩუქე ცხენი შეკაზმულობითა და მეორესასა— 5
ქვეისა ერთი გოლლანდიის ოქროა.

თუ მოსლჳსა ჩემდა უფ- 31-სა. შემდგომად საილისა მოვიდა ჩემდა უფალი
ლისა კომენდანტისა ლე- კომენდანტი ლედრემოვიჩი, რომელმანცა მრქუა, ვითარ-
დრემოვიჩისა მედ წინა მწუხრსა ეხილუა ჳოგრისა ძლით გემი, მო-
მცურეალი ჩუწნდა, რომლისცა აქამომდე მოუსლუშლო- 10

ბასა მიაწერდის ესე წინააღმდეგსა ქარსა, მმეტყუშლი ესრეთ: „დღესა ამას დი-
ლით ვიდრე ამა ჟამადმდე ვეძიებდი მას ჳოგართა ხილუად, გარნა ვერასადამე
ვპოვნე იგი“. ამან მაწუვა მიმოსლუად ბანაკსა შინა ჳართა და ბაზარსაცა, რომ-
ლისათუცა, ჳშთამჳდარნი ნავსა პეტრე ლარაძეთურთ, მიცურევლით სიახლო-
ვედ ნაპირსა ხორგასსა, სადაცა არს დაბანაკებულ მჳედრობაჲ და ვითარცა 15
განვევლით ჳმელსა, ანასდად გამოჭდა სადგომით თუსით თავადი ორბელიანოვი 21
და შეგვიუყუანსა სადგომსა თუსსა; მოუწოდა ესრეთუშ მითორსაცა მიხინსა; გვი-
მასპინძლა ჩიბუხითა, ჩაითა და პუნიჩითა. აქედამ წარველით ხილუად ბანაკისა
და ბაზრისა; ხოლო უქმოქცევეულთა შეგვემთხჳვა ახლად მოსლუული საჯელმწი- 20
ფოსა ბრანტეაბტსა ჳედა მეორესა რანგისა კაპიტანი 1²
ივან ვასილიევიჩი ბარანოესკი სევასტოპოლელი. ამან გა-
ნამართლა სახითა ამით ხილუაჲ წინასა დღესა გემისა უფ-
ლისა ლედრემოვიჩისა მიერ და მიმოვიკითხეთ რა ურთი-
ერთი, წარველით ყოველნივე თუს-თუსად.

თავი მეორე

25

ავვისტოსა 1-სა

თუ მოსლჳსა ჩემდა 26-სა მოვიდნენ ჩემდა უფალნი კომენდანტი ლედრემოვიჩი და
უფალთა ლედრემოვიჩისა ივან ვასილიევიჩი ბარანოესკი, რომელთაცა წინადა-
და ბარანოესკისა მიდუშს წარსლუად მოსლუულსა ბრანტეაბტსა ჳედა კრი- 30
მისაღმი. მსმენი ესევითარისა რჩევისა, რომელსაცა შინა იხილუშობდის მონა-
წილეობაჲ მათი წარმართებად მგზავრობისათუს ჩემისა, განვეშზადე მყისუშ
შესლუად ბრანტეაბტსა ამას, კრიმად სახელდებულსა, მგულევებელსა მისლუად
სოხუმ-კალას² და ესრეთ, შედგომილმან განმზადებად, ვაჩუქე ერთი ცხენი გუ-
ლითსა მეგობარსა ჩემსა პეტრე ლარაძესა, მეორესა ვთხოვე განსყიდლუად და
მიღებულისა მისთუს თეთრისა მიცემად სამლუდელოთა და გლახაკთა, მით რა- 35
მეთუ ლოცუამან მათმან ჩემთუს და მეოხებამან ლმრთისაღმი წარმართოს კეთი-
ლად სლუაჲ ჩემი შორის ჳლუათა და ჳმელთა. ხოლო ორიცა სხუაჲ ცხენი მი-
ვეც კულად ამასუშ, მთხოველმან მიყუანად მათსა საქართუშლოსა შინა და მი-
ცემად ძმისა ჩემისა უფლისა ნადგორნი სოვეტნიკისა თავადისა იოანე იოანე-
სისა ავალოვისა; ანგლიური უნაგირი ჩემი ვაჩუქე ესრეთუშ თავადსა დავით 40

¹ პოდპოლკოვნიკი.

² ანაკლია.

ორბელიანოვსა. აღმასრულებელმან ყოვლისა ამის, ვასყიდვინე კაცთა ჩემთა 12 ბუტილიკა რომი, 3 გირვანქა ჩაი და ერთი ფუთი შაქარი სხუა საქიროასა ნივთებითა. შემდგომ შუედღესა შეკრბნენ ჩემსას უფალნი ღვინოვანი, ბარანოვსკი და

8 თვზ მოსლუსა ჩემდა ღვინოვანი, ბარანოვსკისა, ორბელიანოვისა და შესლუსა ჩემისა ბრანტვახტსა ზედა

თავადი ორბელიანოვი. ამათ მაცნობეს ბრანტვახტისა განცურვად მზად-ყოფად და მეცა, არდამკარგველმან მცირისაცა დროასა, კშთავაწყობინე ბარგი ჩემი ერთსა მოდილოსა ნუშასა შინა, რომელსაცა ზედა ვუბრძანე სხდომად ორთა მსახურთა ჩემთა და სამთავე სახასითა გლეხთა; ხოლო მეორესა მსგავსსავე მისსა ნუშასა ვსთავსჯედ მე

10 ღვინოვანი, თავადისა დავით ორბელიანოვით, კეთილშობილისა პეტრე ლარქედათურთ და მსახურით ჩემით გლახა კნოტისშვილით. წინა წარგვიძლუა ნუ- 22 შათა თვისთა უფალი ბარანოვსკი და ჩუშნეა შეველდვით მას ხორგა მდინარეათ ვემისადმი, ვიღრე ერთს ვერსტადმდე სიშორედ ზღუასა შინა მდგომარეასა- მიახლოებულთა ბრანტვახტისა. ამის მოგვეცეს პატივი რაოდენთამე ზარბაზანთა

13 გამოცლითა და აღვედითცა მას ზედა. ანასდად მიიმსკვალნეს სახელდუმნი ჩემნი სუფთად და წმინდად დაკუთათა წყალთა ზედა მკურვალეასა სახლისა ამისთა, რომელისაცა შინა ცხოვრებენ სამარადოდ ვიღრე 200-მდე სულნი, რომელიცა არათუ ოდენ სახლთა ზედა აზიისა დიდშემძლეთასა, არამედ მრავლით უპირატესობს მფლობელთაცა მათთასა. ნავსა ამას ზედა

20 თვზ ჩემ მიერ გამშვლობისა გამომაკლებულთა ჩემთა თანა

აღმოსლუსა ჩუშნისა დროით განვლო რა ჟამისა რუბმან, დაგვირეკა მოგონებისა კარნი სარეველმან გრძობისა და წარმოგვიდგინა წამი მცნობთა და მოყუასთა დაშორეუბისა, რომლისათვისცა გამამშვლობა მე უფალთა კომენდანტსა ღვინოვანსა, თავადსა დავით ორბელიანოვსა, კეთილშობილსა პეტრე ლარქესსა, სიყრმიითჟმ ჩემსა,

23 ვიტყვ, უმაგალითო საყუარელ მეგობარსა და დროსა ამას ჩემებრ მომკრემელსა- და ესრეთ, რწყველნი წყაროთა მიერ თუალთა ძლით ჩუშნთა მონადენთა ცრემლ- თათა, განვეყუშნითყე ურთიერთსა; იგინი მიიქცენენ რედუთ-კალას, ხოლო მე დავშთი ბრანტვახტსა ამას ზედა.

უფალმან ბარანოვსკიმ კშთამიყუანა ოთალსა შინა თუსსა, რომელსაცა შინა

30 იღგა საეარქელი ზე შლილი ქუსსაგებელითა; გარემოს მისსა რაოდენნიმე სკამნი და შორის მათსა სტოლი იატაკსა ზედა დამაგრებულთ, ხოლო პლავონსა ზედა- იყო ბულღუებით დაკრეული მოდილო კომპასი. აქ მივიღეთ ჩაი და შემდგომ შე- ვედით სხუასა უმომკროესსა საწოლსა გაბმულსა ანუ კოჭინაკიდებულსა, რომ- ლისაცა ოთხნივე კერძონი იყუებენ თოყებითა დაჰიმულ და მიკრეულ კედელთა

35 ზედა, რათა დროსა ზღუს აღძრულებისასა იყოს ამას ზედა მწოლარე განრი- ნებულ ქანებისა ანუ კედელთა ზედა შეხეთქებისაგან. მჩვენებელმან ჩემდა ამი- სსა, მრქუა ბარანოვსკიმ: „თქუშნო ბრწყინვალეაბე! ესე არს საწოლი თქუშნთუს განსასუშნებლად ჩემ მიერ დანიშნული. უბრძანეთ გაშლად მას ზედა თქუშნისა ქუსსაგებელისა“.

40 მიმმადლობელმან ამისთუს მისდამი, ვუბრძანე მსახურთა ჩემთა მოღებად და გაშლად ქუსსაგებელ-ზესახურავისა; და ჩუშნ მათ შორის ალვედით ბანსა, სადაცა მომწუხრებდასა თანა უბრძანა ბარანოვსკიმ დეკურნის ოფიცერსა აღმო- ლებად ზღვად ლუზათა, მომართუად აფქიოთა და განცურვად სოხუმ-კალასა ანუ ანაკოლიასადმი. ოფიცერმან ამან უბრძანა უნტერ-ოფიცერსა მიცემად ნიშ-

45 ნისა ყოველთა მსახურთა მიმართ გემისათა, რომლისათვისცა უკანასკნელმან ამან აღმოილო შუვა თითბრისა უბიღამ, ძაფბმული და დამკრიდებული მუნდ-

რისა ღილსა; ჰმამბერველმან მას შინა დააწიელა იგი სამგზის და მოკრბნენცა ერთად ყოველნივე ბანსა ზედა ნავისა ამისსა. კულად მის ძლითუშ მისცა ნი- შანი მატროსთა, რომელთაცა რაოდენთამე ჯელ-ჰყუშს აღმოწევად ღუზათა, ვი- ეთთამე აღსლულად ზე დირაგთა, დამოკიდებულთა თოკთა კიბეთა ძლით, და რაოდენთამე იწყეს წესად წყობა თოკთა; ხოლო აღმოვებათა თანა ღუზათასა, 5 გაშალნეს აფქიონნი, დაცალეს ზარბაზანი და განვეტურვეთა. 23

თჳს წარსლჳა ჩემისა რე- ღუთ-კალით ჰაერი იყო მშუდი, ზღუაჲ დამყუდროებულ და მცი- რედნიცა ქარნი არ ჰბერვდიან აფქიოთა. დღემ, დამქარ- გულმან ბრწყინუალებისა თჳსისა, უთავაზა ძალსა შინა თჳსსა წყუდიადისა მანტიოთა მოსილსა უსაამოსა ღამესა ბნელსა, რეცა მძლე- ევლსა მისსა, რომელიცა იშუშბდის მბრწყინავთა ვარსკულავთა მიერ მოცუარუ- ლისა და მთოვარისა გამო განათლებულისა ცისა და ზღუსა ჰერვტიოთა და ხედვ- დისცა თუალგარდაუთხმელსა უზომოებისა ძლით თჳსისა ბუნებისთა ამას სარ- კესა შინა ანუ მეორესა ცასა, პირველისამებრ მთიებთა მიერ მოვოვლილსა.

მიიღეს რა ვახშამი უფლისა ბარანოვსკისათჳს, მოვატანინე მსახურთა ჩემ- თა რაოდენნივე პურნი, პაკსიმატნი, სამი ბუტილკა ქართული ღვინო, ნახევარი ზურგიელი და ნახევარ ჩარეჟი ხიზილალა. ერთი ბუტილკა ღვინო, ნახევარ ზურ- გიელისა ნახევარი და ნახევარ ჩარეჟისა ხიზალალისა ნახევარი ექუსითა პურითა და რაოდენითამე პაკსიმატითა უთავაზე უფალსა ბარანოვსკისა, ხოლო დანაშ- თომნი წარუგზავნე უფალთა ოფიცერთა, ვინაჲთგან აქუნდათ მათ ვახშამ-სა- 20 დილი განსაკუთრებით.

განვაგრძეთ მშუდობიანისა ცურვთა ღამეჲ ესე და ნახევარი დროჲ მეორეჲ- საცა დღესა. ბრანტეაბტიცა ამის ბანსა ზედა, კერძოდ ტიმონისა ანუ ღუმის- სად, ძირსა თანა დიდისა დირაგისასა აქუნდათ კუთისა მსგავსი კიდობანი ორთა მოდიდლოთა კომპასათა და ქარტასა თჳს შორის მექონი, ღამით ორთა ბრო- 25 ლისა კანდელთა მიერ განათლებული, რომელთაცა ხედულს დაუცადებულად თჳს- თჳსთა დროთა ღეჟურნის ოფიცერნი და ჰსენობენ კომპასათა ისართა ძლით ეკრ- ძოთა ქუსუანისათა და ქარტასა მიერ ადგილთა და ზღუასა შინა დაფარვულ- თა კლდეთა, თანასწორ ვითარ ჯმელისათაცა. ზომდნენ მცირისა სამკუთხე- დისა, ერთ კერძო სიფრიფანა ტყავითა გარდაჰედილისა და გრძელ-წულილ 30 თოკბმულითა ფიცრისა ხშირად ზღუასა შინა გარდაგდებითა, რომლისაცა თოკი ნასკეული არს ხუშველ ღუმისა ახლოს მდგომარეჲსა ჩარხსა ზედა და ჰსენობენ ამით, რაოდენთაცა მილთა გაემოვლიდითყე ერთთა ვახსა.

ბუენბასა დაწყანარებულსა, ვითარცა მძინარესა, არავითარიმე ჯმაჲ ეხებო- დის მკუშტორად ჰაერისა მისისა, ვითარ ოდენ გემსა ამას შინა მიურულუბელისა 35 ვამის მემპილავისა, რომელიცა თჳს-თჳსსა დროსა დაიზახებდის: „სკლიანოკმა¹ დაჰკრა (რაოდენიცა)“. ბრანტეაბტი ესე არს აღჭურვილ 16-ითა ზარბაზნითა და, გარდა უფლისა კაპიტან ბარანოვსკისა, არიან ხუთნი ოფიცერნი და 170-ნი მატროსნი.

2-სა დილით, დამღვენი ჩაისა რომითა, მე და უფალი ბარანოვსკი აღვეკე- 40 დით ბანსა. მზეჲ ბრწყინვიდა სრულსა ძლიერებასა შინა თჳსსა და ჰსცხაცა გა-

¹ ს კ ლ ი ა ნ კ ა არს მომკროა ბროლისა კური, უფროადესად ყელიწროა, ფესოკირილი, უღვსთ გემთა შინა თავქუშ ამისებრსავე ცალიერსა კურსა ზედა პირალმადგულსა, და ოდესცა დაიკლები ერთი ფესოკისაგან თჳსისა მეორესა შინა, მაშინ მემპილავი, დამზაჰებელი ჯამადლად- იტყჳს ზემოთქმულსა და აღმღები მათი მყისულს, საესესა მოაქცევს ზემოთ და ცალიერსა ქემოდ- სახითა ამით კნობენ ვამთა რომელობას.

- უძლებელად, რომლისათვისცა გააშლევინა კარავი გემისა თოტა ზედა გაბმითა და დაადგმევინა კრესლნი და ჩრდილსა ქუშქუ ამისსა მსხდომნი ვსკურტლით ზღუასა, ვითარ აროდესმე მშობრავსა და მომრთმევსა ჩუშნდა ესევეითარისა გამოუწერელისა სიამოვნისასა, რომლისაცა გამოხატვად, მიხედვსამებრ ჩემისა,
- 5 სრულსა სახესა შინა მისსა მკითხულთადადმი შეუძლებელ არს, უკეთუ თუთ არ განიცდის მსურუელი მიწუდომად მისა. ხოლო დროსა სამკრობისასა მოვედით
- 24 თვს მოსლესა ჩემისა ნავთ-საუღელსა შინა სო-სუმ-კალისასა ნავთსაყუდელსა სოხუმ-კალისასა, 150-ისა ვერსტითა მშორებსა რედუთ-კალით. აქ ვპოვნეთ საველმწიფოთა სამხედროთა სპეშნოთა ფრეგატი სამიროაგიანი და მრავლით უდიდესი ჩემისა აქ მომყუანისა „კრიმ“ ბრანტვახტისა.
- 10 აქედამ გარდაყარნეს საჩქაროდ ლუზანი ზღუასა შინა, შეკრიბნეს აფეიონნი, მისცეს ნიშანი გაცლითა ზარბაზნისათა ციხესა შინა მყოფთა მოსლესათვს ჩუშნისა, გარდაუშვეს ნუშაჲ, რომელსაცა შინა ჰშთავესხედით მე და ივან ვასილიევიჩი ბარანოვსკი, მივეტურვეთ კიდურისადმი, განვედით ჯმელსა და მივედით სოხუმ-კალასა ხილუად კომენდანტისა თანამდებობის აღმსარულბელისა ბელოვსკის პოლკისა უფლისა მაიორისა იაკობ ივანოვიჩისა იველევისა, რომლისადმიცა მოვიდა ესრეთუქ სპეშნოთს ფრეგატისა მეორისავე რანგისა უფალი კაპიტანი იეგორ დიმიტრიევიჩი პაპაიეგოროვი, ჰშთამომავალობითა ბერძენი, სევასტოპოლი. უფალმან მაიორმან იველევიან, შემდგომ ჩუშნისა მშვლობით მოსლეს მოლოცვსა და შემთხუშვისა ამისათვს სიამოვნებასა მჩუშნებელმან ჩუშნდა, შეგვეყუანა მომცროსა ბაღსა, მოატანინა ჩიბუხნი, ჩაი, ხილი, საზამართო და შეგვაქცივნა სახითა სტუმართმოყუარებისათა. ივან ვასილიევიჩმან ბარანოვსკიმ შეგვაშეცნა ურთიერთსა მე და უფალი კაპიტანი პაპაიეგოროვი, მზაჲ შემდგომსა დღესა განცურვად სევასტოპოლისადმი, რომელმანცა, წარმკითხულმან პაშპორტისა ჩემისა, წინადამიღუა წარსლუად ფრეგატსა ზედა მისსა. შემდგომ წარვედით ერთობით მოხილუად ქელემ ბეი შარვაშიძეს¹ სახლისა, ციხესა ამას შინა შენებულისა, სამკრეთ-დასავლეთით კერძო ზღუასა ზედა მხედულსისა. სახლი ესე არს მომცროთ, ჰკუთირისა, ძუსლი, გარნა მჩუშნებელი აწკა ნამყოფსა უბირატესობისა თვისსა სახლთა შორის კერძოსა ამას მშთავრთებლთასა. უპირველესსა ოთალსა შინა უდგვთ როსსიისა აქ მყოფთა მკერობათა ეკკლესიაჲ სახელსა ზედა წმიდისა და საკრველმშოქმედისა ნიკოლოსისსა, სხუანი
- 35 არიან ცალიერ, გარდა ქუშქო ძვიდეასა ოთალთა, რომელთაცა შინა აქუსთ დაკრძალულ ნიეთნი მკვედრობათა საკმარნი. სამკრეთით კერძო გალავნისა ამის კედელსა, როსსიისა ზარბაზნთა გამო ფრიად დახვერტილ-ვენებულსა, რეცხს ზღუაჲ ესე სამარადოდ. ჩრდილოეთით ჰქონან დია ახლოს გორანი და მთანი ტყეთა
- 40 მიერ მოსილნი, რომელთაცა შორის მომდინარეობს მომცროთ მდინარეჲ, თვს შორის თევზთა მკონებელი და ერთვს ზღუასა კერძოდ აღმოსავლეთისად; ხო-

1. ქელემ ბეი ესე არს ცოცხლთა შორის, ხოლო ძე ამისი საფარ, შემდგომ მიმღები მართლმადიდებელთა სარწმუნოებისა, დროსა წმიდასა ნათელბებასა შინა მისსა იწოდა გოროგი, მთავრობს დღეს აფხაზთა ამთ და ცხოვრებსა მათთან. არს ლენერალ-მაიორი და კავალერი წმიდისა ანნას ორდენისა პირველისა კლასისა.

ლო დასაველეთით—ადგილი ვაკე, აღდაქიანი, ვიდრე ნახევარ ვერსტისა სივრცე-სა მექონი მთა-გორებდამდე. გარე ციხესა ამის არიან რიცხვთ მცირე დუ-ქანნი ცალიერნი, თჳნიერ ყოვლისა სხუა შენობისა, სადაცა აქაურთა მთიურთა გლეხთა მიერ მოსხმულნი ზროხანი, ცკოვარნი, თხანი, ქათამნი და ესევეითარ-ნი განისყიდებიან, თანასწორ ვითარ ხილნიცა ყოველგუარნი. ციხესა ამას 5 შინა დგას როტაჲ ერთი ბელოვსკის პოლკისა და არს განმაგრებულ ოთხსავე 25 კერძოსა ზარბაზნებითა.

თჳს შესლუხა ჩემისა სპე- შნოჲ ფრეგატსა ჴელა მიმომხილულნი ციხესა ამის გავემშუდობენით უფალ-თა ბარანოვსკისა და იველეესა, კშთავსხედით ნუშასა და მივეცურვეთ ერთად პაპაიეგოროვიტურთ სპეშნოჲ 10 ფრეგატისადმი, რომლისაგანცა აღსასლულთა მას ჴელა მოვეცეს პატივი რაო-დენისამე ზარბაზნისა გამოსროლითა.

თჳს სპეშნოჲ ფრეგატისა ამას ფრეგატსა ჴელა მოვალეზინე ბარგი ჩემი ბრან-ტეახტით, მოვაყუანინე მსახურნი ჩემნი და სახასო გლეხ-ნი. ოდესცა ვავსინჯე გემისა ამის ბანი, განკარგველებჲა ოთაღთა და სისუფ-თაეობაჲ მათი, დატკბენ გრძნობანი ჩემნი წესთა შინა წყობათა ძლით ნიეთ-თა, სიწმინდითა დაკრძალუათა გამო სასტუმროთა და საწოლთათა, შემკულთა სათანადოთა ზარაურთებითა, სარკეებითა, ფარდებითა და სხუთა ყოვლთა მით, რაჲცა ითქუა უკუჲ „კრიმ“ ბრანტეახტისათჳს. გარნა უფროს ყოველთა ამთ ერთმან ოთაღმან, რომელსაცა შინა ესულნენ წმიდანი ხატნი მაცხოვრისა, 20 ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა, წმიდათა საკურსუმმოქმედთა ნიკოლაო-სისა, დიდისა მოწამესა და ძლევაშოსილისა გიორგისა, განალიგნა გონებაჲ ჩე-მი, რომელთაცა წინაშე დილით და მიმწუხრ იკითხვდის საღილისა ჟამსა და სერობისა ლოცუასა ერთი უნტერ-ოფიცერი, ხოლო სხუანი ისმენდიან სათნო-თა სასოებითა. 25

ვანშედალ გავუგზავნე უფალსა კაპიტანსა პაპაიეგოროვსა ერთი ბუტილკა ლეინო, ნახევარი ჴურგიელი და ერთი ქათამი რაოდენისამე პურ-პაკსი-მატიურთ, ხოლო უფალთა ოფიცერთა—სამი ბუტილკა ლეინო, ერთი ბარკალი ცკოვარისა ლორად გამოსლული და ნახევარ ჩარეკი ხიზილაჲ პურ-პაკსიმატიურთჲს. 30

თჳს მიმოვლინა ჩემისა კი- დურსა ჴელა მცირისა მდინარეისასა 3-სა. უბრძანა უფალმან კაპიტანმან პაპაიეგოროვმან დეჲურნის ოფიცერსა განშაღებჲა ყოვლისა განცურ-ვად დღეჲსა ამის მწუხრსა სევასტოპოლისადმი, რომ-ლისათჳსცა გარდასვლულთა ფრეგატითა ამით რაოდენ-თამე მატროსთა უწყეს ზიდულად შეშათა ნავსა ჴელა, ვითარნიცა პპოენეს მათ ჴემოთქემულისა ტყეჲსა სიახლოესა; ხოლო ჩუშნ, შემდგომად ჩაის დალევისა, 35 კშთავსხედით ნუშასა უფლისა კაპიტანითა პაპაიეგოროვიტურთ, რაოდენითამე აღკურვილითა ვაშტებითა და განვედით ვმელსა; ვაშტებითა ამად, რომელ არა ცხრებიან აქაურნი მცხოვრებნი, ესე იგი აფხაზნი, ავაზაკებრითა ქცევითა თჳსი-თა ვნებად ჩუშნდა; მივემოვლეთ ახლოს მცირისა მდინარეჲსა ჴემო დანიშენუ-ლისა კიდურსა რაოდენსამე წამსა და მოვიქეციეთჲ ფრეგატსა ჴელა. 40

მღებარეობაჲ სოხუმ-კალისა ყოვლითურთ უმჭობესობს რედუთ-კალისასა; გარნა ჰაერი ეგოდენეჲ არს წინააღმდეგ კაცთა სიმრთელეჲსა, რაოდენცა რე-დუთ-კალასა.

შემდგომად საღილისა მყოფთა ბანსა ჴელა ვიხილუჲთ მომავალნი კაცნი 45 ფრეგ-ცხენოსანნი ციხესადმი, გარნა განმსლველთა სოხუმ მდინარეჲსა, კშთა-

მოვადნენ საპალნენი და განისუღნესცა ძირსა თანა მთისასა ხეთა ქუღმე. მერ-
 26 მე დავინახეთ მცირეა ნუშა, ზრქელისა ხეასა გამო გამოჭრით ქმნილი და მას
 შინა რაოდენიმე რიცხვ კაცთა. დაპირისპირებასა თანა ნუშაასა ამის ჩუშნისა
 ფრეგატისადმი შევნიშნე მსხდომარეთა შორის მისა ერთი კაცი წმიდისა ანნას
 8 ორდენისა ვარსკულავითა განშუშნებული, ყოვლად უმწყალესობით ბოძებული
 დიდისა იმპერატორისა ალექსანდრე პირუშლისა მიერ. ვკითხე ვინაობაა მისთჳს
 უფალსა კაპიტანსა პაპაიეგოროვსა, გარნა არცა ამან უწყოდა უფროს ჩემსა და
 ვინააფგან ორნივე ვმქლოველობდით პირისპირ ცნობასა მისსა, ამაღ ვკითხეთ

მენუშავეთა მათ ვინაობისათჳს მათისა, ხოლო მათ მო-
 გვიგვეს: „საფარ ბეი“. მსმენმან ამისმან უფალმან პაპა-
 იეგოროვმან სთხოვა საფარ ბეისა ამას მცირეს ხანს აღ-
 მოსულად ფრეგატსა ზედა ჩუშნსა, რომლისათჳსცა მო-
 მაქცეველნი ნუშაასა თჳსისა, მოვიდნენ ჩუშნდა და მისცესცა ჩუშნთა თავადსა
 ამას გიორგი შარვაშიძესა პატივი რაოდენისამე ზარბაზნისა სროლითა. შემდგომ

15 ჰმთავედით ოთალსა შინა, სადაცა უფალმან კაპიტანმან პაპაიეგოროვმან დაახურ-
 ვინა სტოლი, მოაღებინა მურაბა, ხილი, ლენო, არაკი, ჩაი, კავა და უმასპინძ-
 ლა ესევეთართთა სახითა. თავადმან ამან მიიღო ესე ყოველივე, გარდა ლენოა-
 სა (ნუთუქუშ უჩუქუელებისა გამო პირველ მაჰმადიანობასა შინა ნამყოობისა მი-
 სისა), რომლისაგანცა ვცანით, რომელ მცირისა მდინარეასა პირსა ჰმთამომგ-

20 დარნი ცხენ-ქუშვითოსანნი კაცნი იყუნენ კერძობანი მისნი.

თჳს თავადისა გიორგი შარვაშიძესა შარვაშიძესა ამისთჳს იტყოდა რომელიმე მინგრელით
 მოსულთაგანი სანკტპეტერბურსა შინა მ... ნ... გ...დ...
 ათსამეტიცა ენისა ცოდნასა. ამისთჳს, მსურველი დარწ-

შუნებად მას შინა, გაველაპარაკე ამას თათრულად, გარნა დამიტევა მან უპასუ-
 25 ხოდ; მასუკან მოვიკითხე სომხურითა ენითა, არამედ დაეშით მე მის მიერ მოუ-
 გებელად; ხოლო ოდესცა დაეუწყევე როსსიისა ენითა საუბარი, მაშინ მოენემან
 ამისმან მრქუა, მით რამეთუ არ უწყის მან სხუაფ ენაჲ, გარდა აფხაზურისა, თუმ-
 ცა ესმის მას კულად მცირედ რაოდენმე ქართულიცა. მესმა რა ესე, მივაქ-
 ცივენ კულად სიტყუანი ჩემნი თავადისა ამის გიორგისა შარვაშიძესადმი უკა-

30 ნასკნელითა ენითა მით, რომელსაცა ზედა მიპასუხა, ვითარმედ არ ძალუძს
 დაპარაკე არა რომელსამე ენასა ზედა, ვითარ ოდენ აფხაზურისა. სხუღმბრ,
 მ... ნ... გ... დ... მიერ ქებული მთავარი ესე ვგონებ იყოს თჳსისაცა ენისა
 უმეცარ.

პასაკითა არს უმცირეს საშუვალისა, კმელი, ფერკვლვარქნილი და ჩანსცა

35 უფლად კმად მცირეასა გონებისა. არავითარმე იცნობების ესე ჩინებულთა ანუ
 კეთილშობილთა სქესად, მხოლოდ ოდენ ორდენი, განმასხუავებელი მისი, მიმ-
 ზიდულშობს მის ზედა ნიშნისა ამის მცნობთა მიერ მცირედ რამე განდიდებასა,
 და ესეცა ხილუადმდე კაცისა ამის. გარნა მე, მიუხედველად ყოვლისა ამის,

27 ვაცნობე თავი თჳსი და ვაუწყეცა ამბავი ძეასა მისისა დიმიტრისა, სანკტპეტერ-
 40 ბურლსა პავთა კორპუსსა შინა საველმწიფოსა ხარჯსა ზედა პაუობით ზრდილი-
 სა, და ურჩივე განმრჩობლებად ერთგულებითისა თანამერდომებისა მისისა სა-
 სარგებლოდ სრულისა როსსიის საიმპერატოროასა საყდრისა და უმეტეს მოსა-
 ქცეველად თჳს ზედა დიდისა ერთმთისავრის ყურადმღებლობისა. მიზეზად ესე-
 ვითარისა ამისდამი წინადადებისა იყო ჩემ მიერ სმენილი აღძრვად განმზაღებაჲ

45 პირისპირ როსსიის მმართველობისა იმერეთსა შინა და კულად რეცა შეთქე-
 მაჲ იმერთა თანა მინგრელთა, გურიელთა და გიორგი შარვაშიძესა ამის, რო

შელმანცა, მმადლობელმან ჩემმან მისთჳს, აღმიტჳუა, თუითჳემის ფრიად ცხად-სახილუშლითა გრილითა გულითა, შედგომად რჩევისა ჩემისა, და გაგვემშჳლო-ბაცა მისლუად ციხესა შინა უფლისა მაიორისა იეველვისადმი.

მწუხრსა იწყეს მატროსთა აღმოწყვეად ნუშათა, ლუ-
თხ ზოხუმ-კალით წარ-
შობლჳსა ჩემისა სევასტო-
პოლისადმი
ზათა, დამართულს აფქიონნი, დაცალეს ზარბაზანი და
განცსურვეთცა სევასტოპოლისადმი. ფრეგატი ესე იყო
შტეტრვილ 32-ითა ზარბაზნითა, რომელსაცა ზედა იყუ-
ნენ, გარდა უფლისა კაპიტანისა პაპაიეგოროვისა, 13-ნი ოფიცერნი და 262-ნი
ვაშტმატროსნი.

4-სა, 5-სა და 6-სა დღეთა დრონი განეატარეთ კეთილისა სამგზავროჳსა 10
ქართთა ხლებულთა ცურჳთა, თჳნიერ ყოვლისა ღირსშესანიშნელებისა რაჳსამე,
სრულსა სიმრთელესა შინა, დენილთა და მოასარ-ქმნილთა დელფინთა¹ მიერ
ზღვსათა. 7-სა გამომაჩნდა ციეებაჲ. 8-სა გამაცივა კუალად. 9-სა დილისა ცხრა
თხ ჩემ შორის ციეების
გამოჩენისა
ჟამისა ნახევარსა მეწჳვა ისევ არა დია საამოჲ სტუმარი
ესე, ესე იგი ციეებაჲ, რომელსაცა შეუდგნენ შათა ღრუ-
ბელთა გამო დაფარებაჲ ცისა, სიჭმობებაჲ დღეჳსა, უუსა-
სტიკენსნი ბორბალნი, აღძრებაჲ ზღვსა, წჳმანი მსხვლმოისხარნი, ქუხილნი და
ელვანი. თუმცა მიმოკჳსთებული ფრეგატი ესე, ზრეჳილი ნაწეერებათა შორის
თჳსა ჰჳუნესოდა შემადრწუნებელად, გარნა ევეგენით უენებელად, გარდა რაო-
დენტამე ოფიცერთა, მატროსთა და ქართულთა, რომელნიცა დასცნა ანას-
დად, ვითარცა მძიმემან სიმთვრალემან ანუ მძაფრმან სენმან შემპყრობმან მათ-
მან და ანთხეიენებდა პირთავან. ხოლო მე და მსახური ჩემი გლახა კნოტის-
შვილი ვიყუნით სხუათა მრთელთა შორის უძლეველად შემთხუშვისა ამის
ძლით 11-ს ჟამადმდე განმავგრძობელისა რისხჳსა თჳსისა.

10-სა რიცხუსა განვლო მიხედვსამებრ პავისა დღემ მშჳდობიანად. თუმ-
ცა ციეებაჲ არა დამიტევა მე.

11-სა გამოსჩნდნენ კუალად შავნი ღრუბელნი, მთე-
თხ შემადრწუნებელად
აღძრჳსა ზღვსა
ბად სახილუშლნი, რომელთაცა, აშეერთებულთა ერთად,
მიგვფარნეს თუალთავან ნათელი დღეჳსა. ქარნი გრი-
ვალნი, მაწარმოენი თოკთა გამო ფრეგატისათა მუსიკებრთა ჳმათა, დამპობნი 30
ერთისი აფქიოჳსა წამისყოფასა შინა დროსა მატროსთა მიერ აღკეცათა მათ-
თასა, შეაელდებდიან გრძნობათა. ზღუჳა, ვითარცა მძენავარეჲ მჳციეი ჰჳკროდა
განმწოველთა ჳმითა. ზურთნი, გარნა არა! არა ზურთნი, არამედ მთებად შე-
მდგარნი და ღრუბელთადმდე მიმბჳენნი თხეშთა თისთა, მათგანნივე მოისწ-
რაფდიან ჩუშნდამი და ლამოდინ მისტუმრებასა ჩუშნსა ფსკერსა შინა თჳსა 53
ცხოველთა მიმართ მათთა. ფრეგატი გარდახურვილი მუშაშბითა, ჳშთაუსლველო-
ბისათჳს მას შინა წყლისა, ზღვსა მიერ მას ზედა გარდმოთხეველისა, მიმოკჳსთე-
ბული წამითი-წამად, განიწირებოდის სიმტკიცესა შინა თჳსსა, გამომტევები
საჳარებათა გამო თჳსთა ჳმისა, მსმენელთა მომწყლველად და სასოწარკჳთილე-
ბად მომყუანისა. შემთხუშეჳმან ამან წარაჳკიცნა უმეტესნი ნაწილნი ამას ზედა 40
მყოფთა, განურჩეველად ღირსებათა და ჳარისხთა, რომელთაცა რიცხჳ განა-
მრავლნა ქართულებითა, თჳნიერ მსახურისა ჩემისა გლახა კნოტისშვილისა. ესე-
ვითარნი გულისწყრომაჲ ზღვსა, განგრძობილი სამ დღე-ღამეჳსა, აღიღებდის

¹ დელფინი არს ცხოველი ზღვსა, რომელსაცა ქართულნი უწოდებენ კამბეჲად. ხოლო ოს-
მანნი დობლუსად, ესე იგი ღორად.

უზარმაზარსა შენებულსა ამას, რეცა ჩხირსა, ვიდრე ღრუბელთადმდე და დასკემდის გონებისამებრ უფსკრულსა შინა თვსა. ოდესმე მარჯუშნით კერძო მკუშთებელნი ზვრთნი გარდაჭრიდიანე ამას ესრეთ, რომელ კინლადა პირთაცა ზარბაზნათა ჰბანდიან წყალნი მისნი, თანასწორ ვითარ მარცხენითა მჭრითა მცემელთა ძლით მარჯუშნითთაცა ზარბაზნათა. გარნა ყოველსა ამასთანა, დაუკარგველად მამაცობითისა სულისა ამვნობდიან მაგალითითა თვსითა უფალნი კაპიტანი პაპაიეგოროვი და რაოდენნიმე ოფიცერნი მრთელთა მატროსთა, რომელნიცა განაგებდიან უშიშრად ყოველსა მას, რაცაჲ ჭერ-იყო ყოფად საგანსაცდელოჲსა ამის მდგმოებისათჳს. დეჟურნი ოფიცერი თითბრისა მოკლ-მოსწავრასა საყვრისა ძლით უბრძანებდის ჴელქუშშეთსა თვსა უნტერ-ოფიცერსა, ხოლო ესე მისუშ ილევროჲსა შვეისა გამო დაწივლებითა გარდასკემდის ბრძანებდასა მას მატროსთადმი. სხუშბრ შეუძლებელ იყო განსჯისამებრ ბორბალთა ქართა ერთთაგან ბრძანებად და მეორეთა მიერ სემენ-ალსრულებად.

ესევეითართა სასტიკთა განწყობათა შინა გრიგალთა ქართა და ზღუსა, დაცემულნი სუნისა გამო მისისა, ზოგნი იწუნენ ოთალთა შინა და ზოგნი ყვარენ ბანსა ზედა. ოდეს იწყეს ქარმან და ზღუამან მცირედ და მცირედ, ქარისხითი ქარისხად დაცხვრომაჲ შეშლილებათა შორის თვსთა, მაშინ განაშიშულეს ერთი მატროსი და ჰგვემეს წყებლათა წილ თოკებითა, ვინაჲთგან უძსთ კანონად გემისა მსახურთა ბრალსა შინა პოვნილთა დასჯად თოკითა. შემდგომ მოვატანინე ლეინოჲ, ბური, პაკსიმატი, გოროვი, ხიზილალა და შვეაკუციე მათით, ვითარცა უფალნი კაპიტანი პაპაიეგოროვი და ოფიცერნი, ესრეთუშ მჭენიცა მატროსნი.

14-სა წარმოუდგენენ სახელუშლთა ჩუშნთა რაჲმე ბრყვლად სახილუშლნი, რომელთათჳსცა შეუდგათ სიხარული ყოველთა საზოგადოჲ და რომელთათჳსცა მრქუა უფალ-
 25 მან კაპიტანმან პაპიეგოროვმან, ვითარმედ არიან იგინი მთანი ანაფისა; და
 29 რაოდენისამე ჟამისა შემდგომ დავინახეთ კილური კრიმისა.

15-სა, დღესა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლის მიძინებისასა ვიხილუშთ შორით მონასტერი წმიდისა დიდისა მოწამისა და ძლევაშოსილისა გიორგისა. ხოლო

30 ოდესცა გაემოვლეთ მონასტერთა ამით 15-ს ვერსტადმდე, გამოჩნდა მაიაკი¹ ქუთკორისა და გამოვსცილდით რა ამასცა მცირედ, ვპოვინით ფლოტნი მდგომარეჲ სევასტოპოლისა, რომლისათჳსცა უბრძანა უფალმან კაპიტანმან პაპაიეგოროვმან აბამე ნიშნისა სათანადოსა ადგილსა მიძინებად ფლოტისა მის, მით რამეთუ ჰყავს ფრეგატსა ზედა თვსა სტუმარი; გარნა ვიდრე მიახლოებასა მისდა ჩუშნგან, შესტურეჲ მან ქალაქსა შინა. ხოლო ჩუშნცა შემდგომად შევადღეჲსა

40 მეექუშესა ჟამსა მოვსტურვეთ ზღუს კალთით სევასტოპოლისა სამჯედროსა კარანტინისა ნავთსაყუდელსა შინა, რომელიცა ირაცხების სოხუშ-კალით 700-ს ვერსტადმდე, და მისცესცა უწყებაჲ ფრეგატითა ამით ზარბაზნისა გამოსროლითა კარანტინელთა მოსლუსათჳს ჩუშნისა.

16-სა. აქაურისა ფლოტისა მთავარსა კონტრ-ადმირალ-
 აღმირალსა ბიჩენსკის ადუ-
 ტანტისა სა უფალსა ლენერალ-მაიორსა ფილიპჰ ტიმოფეიევიჩისა ბიჩენსკის მოველინა ჩემდა დილით აღუტანტი თვსი, მოელოცა მშუდობით მოსლუჲა და მკითხუშლსა სიმართლეჲსათჳს ჩემისა, შე-

¹ მაიაკი არს სამრეკლოებარ მაღალშენებული სხუდასხუდად სახელ ქუთკორისა, ლამე ფონართა განსანათლებლად ნიშნად ნავთათჳს ზღუათა შინა მტურავლთა.

მოეთუალა ესრეთ: „მოსლჳსათჳს თქუშნისა მიგსწვრე ფეოდოსიის ქალაქ-მთავარსა უფალსა ტაინი სოვეტნიკსა ფეოდორ ივანოვიჩსა ენგელსა და ვიხოვე, რომ უფროს შჳდისა დღეასა არ დაგაყენოსთ თქუშნ კარანტინსა შინა“.

თჳს უფლისა პაპაიეგოროვის მიერ ცოლშჳდითა მოუჳნანისა ადლობისა ლენარალისა ბიჩენსკისადმი რწმუნებულისა, უკუნ იქცა და მე დაეშთი კუალად ფრეგატსა ამას ზედა.

აქ მოიყუანა უფალმან პაპაიეგოროვიმან დაბარებითა კარანტინისა ძლით ცოლი თჳსი მცირწლოვანისა ძითა მათითა დიმიტრი იეგოროვიჩითა. და ვითარსა განცუფრებასა შეველ მე, ოდესცა კაპიტანმან ამან, შემომყუანმან მათსა ჩემდა, ნაცულად მხიარულებითისა სახეასა, გულამოსკენითა და მჳურვალეთა ცერმლთა თხევითა შემამეცნა მე ესენი. მიუქლაჳსა ამის სახესა ზედა, თუმცა ცხოველითა ფერებითა იყო გამოხატეული მწუხარებაჳ მწერტელი ნაწლეეთა მისთა, გარნა ნუგეშად ქმრისა თჳსისა იჳტურებოდის მჳნედ მოთმინებითა, მხედულშტაჳ მისი განმწარებასა შინა, მით რამეთუ გამოჩენითა მწუხარებისა თჳსისათა არ განუჳრჩობლოს საღმობაჳ უბედურსა მამა-მეუღლესა.

ნახო სქესი ესე დაიფრჳვე დაჯდომად საგარძელსა ზედა, მივეაღერსე ძესა მისსა, ახლად ფერგალდგმულსა და თუთიასამებრ უკაფეთად დაუცხრომელ მოტიკტიკესა. ვერ ვებედჯდი კითხუად მათდა ესთა საგოდებელისა მათთჳს შემთხუშვისა, მოკრძალე, რომელ ამის ძლით, ნუჳმე განვეუახლებ და დავუშძიმებ მათ ამმოვაებათა მათთა, რომლისათჳსცა მივიღე მოთმინებაჳ და ველოდდი დროსა ცხადმყოფელსა მისთჳს ჩემდა თჳთ მათ ანუ სხუათა მიერ.

რაოდენისამე წამისა განვლისა შემდგომად განიყუანა უფალმან პაპაიეგოროვიმან მეორესა საწოლსა შინა ცოლი და ძეჳ თჳსი, ხოლო თჳთ უკმოქცევეულმან ჩემდა, მოითხოვა ბოდიში მთხოველმან, რათა მივეტევეო მას შეწუხებისათჳს ჩემისა, გონებისამებრ მისისა ჩემდა მიზეზებული, წინაშე თუალთა ჩემთა შემეუსრჳსა ძლით მისისა და მამცნო ჩჩჳლისა ასულისა თჳსისა საუკუნოდ მოკლებმაჳ, რომელაჳცა ჰყუარებია მას უფროს სიცოცხლესა თჳსისა და რომელმანცა აიძულა იგი ესოდელე კანდიერ ქცეეად დასწრობასა შინა ჩემსა.

17-სა. განვატარე დღეჳ ესე ფრეგატსა ამას ზედა ჰყრობილმან ცივებითა და სიცხეთა.

18-სა. შეველ კერძობითურთ ჩემით და ბარგით კარანტინსა შინა სრულსაყოფელად წესდებულებისა, რომელსაცა ჟამსა მოუვიდა უფალსა კაპიტანსა პაპაიეგოროვისა ბრძანებაჳ, რათა შეიტანოს მყის ფრეგატი სიღრმესა ზღჳსასა, მოშორებით ვითარცა კარანტინისა, ესრეთუშ სხუათაცა შენობათა და დადგეს მუნ, რომლისათჳსცა მომცემმან ჩემდა მშვიდობისა, შეაცურვა ფრეგატი უშორესსა ადგილსა, ბრძანებისამებრ კერძოდ ჩრდილოეთისად და დააყენა მუნ ლუზათა ზედა.

ამასუშ დღესა მოვიდა ბრანტვახტი რედუთ-კალით თჳს ბრანტვახტის მოსლჳსა სოხუმ-კალას მომყუანი ჩემი და დადგა ნავთსაყუდელსა ნა კარანტინისასა, მახლობლად ადგილისა მის, სადაცა იდგა ფრეგატი ჩუშნი აქაჳთ დათხოვნილი. მმოთხუშობასა შინა ჩემსა გარე სადგომისა ჩემისა მოვიდა ჩემდა უფალი კაპიტანი ბარანოვსკი ორითა ოფიცერითა შორით მოლოცულად მშჳდობით მოსლჳსათჳს ჩემისა, რომელთადმიცა მიმგებებელმან თანასწორთაჳე მიაღერსებითა, შემოვიფრჳვე ესენი სადგომსა ჩემსა, გარნა ამათ ვერ იკადრეს შემოსულად მას შინა დაუტსნელად სჳულთა კარანტინისათა და

ვერცა ვითანჴმე მიღებად ჩაისა, თუნდა წმინდისა ქუშუე ცისა. უკანასკნელ და-
ვხუდი ამათ კეთილითა ღვნითა¹ და საზამთროათა, რომელნიცა შეეკუნენ სა-
სურველისა წადილითა და გავიყარენითცა.

19-სა ვიყავ კუალად დაუგდებელი ჩემთა შემყუარებელთა, თუმცა ჩემ მიერ
5 საესენებელადცა საძულესლთა ცივებისა და შემდგომად ამისა სიცხესაგან,
რომელთა ძლითცა უძალო ვიყავ შენიშვნად, თუ ვითარ განელო დღემან ამან.

20-სა მოვიდა ჩემდა კარანტინისა ამის ღლავნოა ლეკა-
რო² იეგორ ივანოვიჩი ეკ; არა თუ ოდენ ღირსი კაცთა
სახელდებისა, არამედ აღმოსასობიცა ბუნებით: ურცხვ,

10 უსუნდისო, ანგაარი და ზომისაგანცა უმეტეს უპატივოა.

ვიყავ მწოლარეა შემდგომად ცივება-სიცხეთა ოფლსა შინა. წინააღმდეგად
31 ნებისა ჩემისა და დაუკითხავადცა შემოყო კელი საბნისა ქუშუე ჩემისა, გასინ-
ჯა მახავ ჩემი და თხოვით ენააცა; დაწერა რეკეტი³ და წარგზავნა მოღებად
წაშლისა, ვინაჲთგან მაიცივების მე ყოველ დღე, ვითარცა მოვიტყენე ზემო უკუშ

15 მისთჴს. საჩქაროდ მოტანილი წამალი მოსცეს ეკ ლეკარსა, რომელმანცა აღესნა
ბეკედი, განიხილუა გემოა, დაასხა სტოლისა კოვხსა ზედა და, მომადლეველმან
მისა ჩემდა, მრქუა: „თქუენო ბრწყინულეზავ! დალივეთ წამალი ესე!“ ხოლო ოდეს-
ცა ესმა და იხილუა ჩემგან უარი და არასაჭიროდ შერაცხუაჲ არცა წამლისა მის
მიღებისა და არცა მკურნალობისა მისისა, მაშინ მცირედ რამე რეცა გან-

20 მწარებულმან ამის ძლით, მომიგო ესრეთ:

— „თავადო! უკეთუ არ შემოსლველიყავით თქუენ კარანტინსა ამას შინა

ჩემდამო რწმუნებულსა, მაშინ იქნებოდით თქუენ განრინებულ ესევეითარისა ჩემ-
ნიერისა წინადადებისაგან, გარნა აწ გმუშნისთ მორჩილებად რჩევისა ჩემისა და
მიღებად წამლისა ამის, ვინაჲთგან, თუმცა ჰგონებთ თქუენ მხოლოდ ოდენ ცი-

25 ვებითა ბურობილად თავსა თჴსსა, არამედ ველი მე კუალად უსაშიშრესსაცა სენ-
სა, მოკლედ ვთქუათ, გონებისამებრ ჩემისა მომსრულსა კირსა. სხუებრ, წი-
ნააღმდეგსა დროსა მივიტყევი რაპორტითა⁴ მთავრობისადმი, მით რამეთუ სრუ-
ლებით განსაწმენდელად თქუენსა, კაცთა თქუენთა და ბარგისა თქუენისა მი-
ვილო ბრძანებაჲ 42-თა დღეთა აქ შენახსათჴს თქუენისა“.

30 შემდგომად გამომიცხადა ესრეთუშ, რომელ ჯერ-მიჩნს მე გამზებებად ბარ-
გისა ჩემისა და ყოველთა ნივთთა ჩემთა რაოდენთამე დღეთა განიადაგებით,
აღწერად მათსა თუთუელად სახელდებით და მიცემად მისდა სიისა მის. მსმენსა
სიტყუათა მისთასა დამიძმიდა აქ დაყოფაჲ 42-თა დღეთა და მასთანაცა უფ-
როს ესეჲ, უკეთუ წარუდგენს მთავრობასა უზბოროტესი ესე დაბადებული, ვი-

35 თარმედ მე ვარ სნეულ საუქუშლითა სნეულებითა. მაშინ, მიუხედულსად ყოვე-
ლისა, აღასრულებს ესეჲ თქემულსა თჴსსა. მიზუზისა ამის ძლით დაკრთე ნე-
ბაჲ, მივილე წამალი და წარვიდაცა ჩემგან ძე ბელზებულისა ეკ. შემდგომად
მისა შეეკუნენ იერლიკი⁵ წამლისა ამის მინასა და შევიანხე, რომელსაცა ზედა

¹ იგულისჴმენისა, ვითარმედ ქართუელითა.

² უპირველესი მკურნალი.

³ სია წამლისა ანუ წამალთა.

⁴ წერილითა ანუ სიტყუათა მოქსენება.

⁵ აფთეკიკამ წამლითა მოტანილსა კურხედ ბმული ქალაქი ზენაწერი: ვისთჴს ეყვს, ვი-
თარ ჯერ-არს ემარებად, სახელი მკურნალისა, წელი, თუთუშსა რიცხვ, წამლის სახელის ნიშანი,
...ფასი მისი, ადგილი, რომელსაცა შინა არს აფთეკიკა იგი და სახელ-გუარო პატრონისა მისისა.

იყო დანიშნული ფაქტის წამლისა—შვიდი მინალთუნი და ექუსი შაურა. განვაგრძე სემა ამის დარიგებისამებრ მისისა; მოვალეებინე მსახურთა ჩემთა ნივთნი ჩემნი, განვაფენინე და აღვაწერაჲნე თუთუელად.

21-სა. კუალად მოვიდა ჩემდა წარმონაბთხევი ტარტარისა ლეკარი ევ. განიხილეთ ენა და მკაჲ ჩემი, დაწერა რეცეპტი, მისცა თვსთანა მოყოლილსა კაცსა, მეცუსეულად მოაღებინა წამალი, მსგავს პირველისა მოექცა ამასცა, ხოლო შემდგომად კოვხსა დასხმისა დაამლევენა; დასდგა წამალი იგი და აღმღებმან პირველ წამლის დანაწითობისა მინისა, მისცა იგი კაცსა თვსსა და დამიტევა. მეორესა ამას მინასაცა შევქვს იერლიკი, რომელსაცა ზედა ეწერა ფასი წამლისა—რვა მინალთუნი და ათოთხმეტი შაური და დავკრძალე პირველისა თანა. ჟამსა ამას მივეც სიაჲ ნივთთა ჩემთა მტერსა პატივოსნებისასა ევ ლეკარსა ამას, მსურველმან მწრაფლ გაცლისა მისისა. ამან, დამარიგებულმან ჩემმან დღეში ოთხზის წამლის დაღვეისა, მრქუა: „თავადო! ვსასოებ მე, მით რამეთუ სხუა წამალი არა იქმნების საჭირო თქულსთვს და შემდგომ ვითარცა მოვალ ეუქმ ხილულად თქულდა, მაშინ არა სახითა მკურნალისა, არამედ მცნობისათა“. გარნა მცნობობაჲ ანგაარისა და განარყენილისა მკურნალისა ამის იყო უფროს მიდრეკილი ნივთთა ანუ, უმჯობესად ვთქუათ, თეთრთადმი ჩემთა, ჰაზრისამებრ მისისა ჩემ მიერ მისაცემთა, ვიდრეღა რა თვთ ჩემდა; ხოლო ვერარაჲსა სარგებლობისა მპოვენელმან ამჟამად ჩემგან, თავისუფალ მყო წარსლვთა თვსითა.

კარანტინისა ამას შინა არიან სახლნი ქვთ ადგებულნი ადგილ-ადგილად 13-5ი. საპქრეთით კერძო მომადლოსა ადგილსა ავლია ვალავანი. შორავს სევესტომოლ ქალაქსა ვმელითა სამსა ვერსტსა ზედა, თანასწორ ვითარ წყლითაცა. აქაჲთ არ იხილუმბის ქალაქი ესე ჩრდი-

ლოს კერძოდ შენებული, ვინაჲთგან საშუვალ მდებარენი ბორცენი ჰფარვენ ერთსა მეორესაგან. აღმოსავლეთისა მვარესა კარანტინითა ამით შენდების ეკლესიაჲ სასაფლავოდ კონტრ-ადმირალისა ბიჩენსკის მიერ საეკუთარითა ხარჯითა მისითა, მიზეზისა ძლით განსულმნებულისა ძმისა მისისა ადგილსა მას დამარხვულისათა. ესე შორავს კარანტინსა. ამას ვიდრე ვერსტადმდე და ჩანსცა აქაჲთ.

ყოველნი კარანტინისა ამას შემოსლვულნი უცხოს მჭრით თანამდებ არიან, უქუთე აქუსთ რაჲსამე შინა საჭიროებაჲ, დაწერად მათსა სახელდებით და მიცემად ნაწერისა ამის აქ საგანგებოდ დადგინებულისა მარკიტანტისა¹, რომლისა ძლითცა მიიღებენ ყოველსავე ნათხოვსა სიითა მით, დასწრობათა შინა განწესებულთა წვერთასა. მიღებად მათსა მისლვული დადგების გარე მოაჭირისა და მუნ კმაყოფილი მოიქცევის სადგომსა თვსსა, გარნა მიუცემელად კუალადცა მათთვს თეთრისა.

კალთაჲ ზღუსა არს შემოსლვულ იწროსა შინა ბუხტად წოდებულსა, ვალავნადმდე ორისულ კერძოდ კლდიანსა, და ესრეთ ვიწროობს, რომელ ამიერ მჭრით იმიერ მდგომარეჲსა კაცისა თანა შესაძლო არს უბნობად.

კიდურსა ზედა ამ კალთისასა იპოვენებიან მრავალნი ქუაბნი, მიჯრით გამოკუტთილნი, რომელთაცა შორის არს ერთისა კლდის ქუაბისა ბჰისა ზემო კერძოსა სამსა ალაგსა მოჭრილი ჭუარი. ალაგი ესე არს ნაწილი ძულლისა ხერ-

¹ მარკიტანტი არს ვაჰარი, მჭედრობათა თანა ყოველგან მოარული საჭირობთა და საჭმარითა მათთვს ნივთებითა.

სოენეთ ქალაქის ადგილისა, რომელსაცა ზედა დაფუძნებულ არს აწ კარანტინი
 ესე. აღრითუმ უკუშ ფრიად ჩინებულისა ქალაქისა ამის სახლთა და გალაენისა
 ნაქცევენი უბაასოდ იხუმნებიაწყე სიდიდესა ოდესმე შენად ნამყოზობისა თვისისა-
 5 და თუთ აქაურნიცა აღიარებენ, მით რამეთუ ნაქცევენი მისისა შენობისანი
 განვრცნებოდნენ რეცა ათს ვერსტადმდე. ხოლო ნაწილი ნაქალაქევისა ამის გა-
 33 კარანტინი ესე, ესრეთუმ სხუანიცა მოშორებით შენებულემაინი. იწროსა ამას კალ-
 თასა ზღუსასა ჩრდილოთ და სამჭრით უდგნ ექუსსა ადგილსა დარაჯანი დღე
 და ღამე; ხოლო აღმოსავლეთით კერძო, დასასრულსა თანა ზღუდესასა არს
 10 წყაროა მრთელი და გემიერი სასემელად აქ მყოფათათს.

22-სა. შემდგომად სამჭრობისა გამაცივა კულად და
 თხ ზოლსა ჩემდა მიტრო- ვითარცა დასცხრა ციებეა, ჩუმულებისამებრ განმა-
 პოლიტის ხურისანოქსა ნათლა სიციხემ და დავწეე მოსლუად ოფლისა, დამლევი
 რომით ჩაისა. დროსა ამას მოსლველიყო ხილუად ჩემად მიტროპოლიტი ხური-
 18 სანთოს, ნათესავით ბერძენი, მცხოვრები ზემოვნებულსა მონასტერსა წმიდისა
 დიდისა მოწამისა და ძლევაშოსილისა გიორგისსა, მეცნიერი ჩემი სანკტაქტერ-
 ბურლსა შინა მეფობისა ჟამსა ღმრთისადმი გარდაცულილისა და ყოველთაგან
 საუკუნოდ ნეტარსავსოვრისა გელმწიფა-იმპერატორცა დიდისა ეკატერინა მე-
 20 თა ჩემთა შეუტყობრად ჩემსა დაებრუნვათ უმოჭუცებულესი ესე ივარახი
 თი ზეზისა ძლით ჩემისა ოფლსა შინა ყოფისასა, რომლისათსცა მომაცხე-
 ნეს მათ შემდგომად.

23-სა. უფალსა ღენერალ-მაიორსა კონტრ-ადმირალ-
 თხ მოლოცვა ჩემდა სანკტრადმირალსა მიჩენ-
 25 კონტრადმირალსა მიჩენ- კონს მიერ კარანტინით განთავისუფლებიას ჩემისა
 ჩემთს განთავისუფლებეა ჩემი კარანტინით. თანადუმ დაემოწმა ამას პირისპირ მოლოცუა ჩემდა კარანტინისა
 ამის დირექტორისა, პირველისა რანგის კაპიტანისა¹ უფლისა პონტელეა ნიკო-
 30 ლაევიჩისა დრაკუპოლისა, ყოვლითურთ პატივოსნისა და კეთილისა გუამისა
 მიერ, ხოლო შემდგომად ამისა სხუათაცა წვეერთა კარანტინისა ამისთა. უკა-
 ნასკნელ ურთიერთისადმი ალერსთა ძლით შეყრითა დამტკპარნი, გავიყა-
 რენით გრძნობითა მითუმ.

აწ ვთქუათ უკუშ, საყუარელნო მკითხუმლნო, ჩემ მიერ
 თხ მარკიტანტისა და ეკ დახარჯეულთა სანოვაგეთა და სასემელთათს, გარან
 35 ლეკარისა ნუცა დაევიწყებთ ჩემგან თქუმნდა ამით შემოვედრე-
 ბულისა მვეცისა ეკ ლეკარისათს მოვსენებად რაჟსამე თუთ მართლისა, თნი-
 ერ მცირისაცა წინააღმდეგობისა და სიბოროტესა, მსმენთა მიერ ნუუმე სა-
 ექუსლისა და ჩემ კერძოთ მისდა მისაჩემებელისა.

მომიტანეს სიანი დღიეურნი, მსახურისა ჩემისა გრიგორ რუაძეს მიერ ნა-
 41 წერნი და მარკიტანტისაგან ფასსმულნი. თუმცა მარკიტანტსა ამას დაენიშნა
 ყოველნი ნიუთნი მეტფასდებითა, გარანა მექონი კულად რაოდენმე სუნიდისისა,
 არ შესლველიყო სიღრმისა ფონსა შინა ეცხლმოყუარებისასა, რომელთათს-
 ცა მიმღები სრულიად მის მიერ თხოვილისა თეთრისა, მიიქცა მაღლობითა.
 ხოლო თულათა ვასილისკოჟასათა მქონე ეკ ლეკარი, მცნობი ჩემისა განთავისუ-

¹ პოლკოვნიცი.

ფლებისა, ვითარცა შემოვიდა ჩემდა, იწყო მოლოცუად. არამედ მე, განმწყუტდ-
 მან სიტყუათა მისთა, გამოვუტყუადე, ვითარმედ მნებავს აწუტ წარსლულად ერთო-
 მით სევასტოპოლსა და ამაღ ესაქიროებ, რომელ მაუწყოს მე ფასი ორთა მათ
 დაუვიწყებელთა წამალთა. ამან, მცირედ დაფიქრებულმან თვს შორის, მიპასუხა, 34
 მით რამეთუ ოცდაოთხისა მინალთუნისა თანამდებ ვარ მე მიცემად მისდა მათ- 5
 თვს, გარდა შერომისა თვისისა. მსმენმან სიტყუათა ამათ მისთა, მიეუგვე მას,
 ვითარმედ ითხოვს იგი განუსჯელად ესოდენთა; გარნა იგი მარწმუნებდის მე,
 რომელ მხოლოდ ოდენ დამკუტსლი ჩემდა სათანადოჲსა პატივისცემისა¹ მთხოვს
 დია ზომიერსა და არა მომატებულსა ფასსა წამალთა მათთვს. უკანასკნელ მი-
 ვეც ამას სამი ოქროჲ გოლლანდიისა შერომისათვს მისისა, მჩვენებულმან მისდა 10
 იერლიკთა ზემოაღნიშვნულთა, რომელთაცა ჯამი არს 16 მინალთუნი. ამან, მხი-
 ლუტსმან მათმან, დასდუა ბრალი აფთეკასა შინა მყოფსა ვილასაც, რომელ შეცდო-
 მით დაუდგეს მას ესთა მცირედი ფასი და ოდესცა ბრალი დაჰჭდა თუთ უპატივოს
 თავსა ამ ლეკაირისასა, მაშინ მრქუა, ვითარმედ კმა იქმნების მიღებითაცა 16-ისა
 მინალთუნისათა. ნივთა მოყუარესა ბარბაროსსა ამს მევეც კუალად ორი ოქ- 15
 როჲ გოლლანდიისავე საჯსრად წამალთა, რომელთაცა თუთოჲ ვადიოდის აქ
 უფროს 12-ისა მინალთუნისა, მაშასადამე, შეგავედა ამას მოქცევად ჩემდა,
 უკეთუ არა უმეტესისა, რვა მინალთუნისა მიანიც. დროსა გამშუღობებისასა,
 შემდგომად მადლობისა აღმოთქუა, ვითარმედ მეტსა თეთრსა, მისდა უკუთვ-
 ნელსა, გამომიგზავნის დაუყოვნებლივ კაცისა ძლით თვისისა (ვიხილვით აღ- 20
 სრულებამ) და განვიდა.

თვს მოსლჳსა ჩემდა უფ-
 ლისა კაპიტან პაპაიეგო-
 როვისა რაოდენითამე
 ოფიცერთა

ამასუტ ღღესა მოვიდა უფალი კაპიტანი პაპაიეგოროვი
 კარანტინსა შინა საქმისა რაჲსათვსმე რაოდენითამე
 ოფიცერთა და მუნით ჩემდა შემოსლუასავე თანა მათსა
 მომემაღლობნენ ესენი განთავისუფლებებისათვს თვისისა და 25
 მდებდნენ მე მიზეზად მისა მმეტყუტსლნი:

— „თქუსნო ბრწყინულალებავ! უკეთუ თქუსნ არ ბძანებულოყავით ფრეგატ-
 სა ჩუსნსა ზედა ერთად ჩუსნთანა მოსლველ, მაშინ არ აცნობებდის მხოლოდ
 მოსლჳსათვს ჩუსნისა უფალი კონტრ-ადმირალი ბიჩენსკი ფეოდოსიისა ქალაქ-მთა-
 ვარსა ენგელსა და იძულებულ ვიქმნებოდითყე ფრეგატსა ზედა განტარებად 30
 42-თა დღეთა“.

ამან უფალმან კაპიტანმან პაპაიეგოროვმან აღმოთქუა მოსლვად ჩემდა
 შემდგომსა ღღესა და წარყუანად ჩემი ნუშაჲთა თვისითა სევასტოპოლსა სახლსა
 შინა თვისსა და დაეშორდითცა ურთიერთსა მეორეჲსა დღეჲსად მერმეცა ერთმა-
 ნეთისა ხილულად მოიმედენი. 35

24-სა დილით ადრე მოეტანა ვილასაც კარანტინით ბილეთი მოწმობისა
 ჩემისა აქ, კარანტინსა შინა განწესებულისამებრ, დროს განტარებისა და განწ-
 მენდისა კერძობითურთ ჩემი და ბარგით, მიეცა ესე მსახურისა ჩემისა გრიგორ
 რუაძქესათვს და ამან მომართუა მე იგი, რომელსაცა დავიცვავ ასლად მარადის.
 აჰა თარგმანი მისი: 40

ბ ი ლ ა თ ი

თვს ჩემდა კარანტინით
 მოცემულისა ბილეთის
 პირისა

„უწყებასა შინა საჯვლემწიფოჲსა კოლლეგიისა უცხო-
 ქუსენელთა საქმეთასა უფალმან დვისტივიტელნი სტა-
 ტსკი სოვეტნიკმან თავადმან გიორგი ივანოვიჩმან ავა-

¹ რომელსა არცაღათუ მცირედცა აქვს ცნობაჲ, თუ რაჲსა ნიშნავს ანუ რაჲ არს პატი-
 ოსნებაჲ და პატივისცემაჲ.

ლოემან მას შინა, მით რამეთუ იგი კერძობითა თვისითა, ექუსითა ქართულ-
 ლითა კაცითა, სახელმბრ: იესე შოშიაშვილითა, მოსე ბერუაშვილითა, სვიმონ
 ტაბლიაშვილითა, გრიგორ მკედლის შვილის რუაძეთა, პეტრე ბაქელაშვილი-
 35 თა და გლახა კნოტისშვილითა მიმავალმან საქართულყოთ კონსტანტინოპო-
 8 ლისად და მუნით ეგვიპტედ, მოსლულუმან ზღვთ ციხით სოხუმისათ სამკედ-
 როსა სპეშნოი ფრეგატსა ზედა სევასტოპოლისა ნავთსაყუდელისადმი, აქაურსა
 კარანტინსა შინა განატარა განწესებული ტერმინი (დროჲ) განწმენდითა კანონი-
 სამებრ და განთავისუფლებულ არს კარანტინით. დასარწმუნებელად რომლისა-
 ცა მიეცა ესე სევასტოპოლისა სამკედროსა კარანტინისა კანტორით ავვის-
 10 ტოსა 24-სა დღესა, 1819-სა წელსა.

ადგილი
 სევასტოპოლის სამკედროსა კა-
 რანტინისა კანტორის
 ბეკედისა.

წერი: უპირველესი ლეკარი ეკ-
 სეკრეტარი: შლიკ.

16 თჳს მოსლჳსა ჩემდა პა-
 პაიეგოროვისა ნუშადთა
 თჳსითა და გამოგზავნისა-
 ცა ლენერაღისა ბიჩენსკის
 მიერ ჩემდა ნუშაჲსა
 უფალმან კაპიტანმან პაპაიეგოროემან, აღმასრულებელ-
 მან აღთქემულისა თჳსისა, მოიტანა ნუშაჲ თჳსი მო-
 სლულუმან ჩემდა. მეორეჲ ნუშაჲ მოიტანეს ბრძანებითა
 უფლისა კონტრ-ადმირალისა ბიჩენსკისათა. უკანასკნელ-
 სსა ამას შინა კშთავადებიენ ბარგი ჩემი და კშთავსხი

20 კაცი ჩემნი; ხოლო პირველსა შინა შთავედ მე ერთად უფლისა პაპაიეგორო-
 ვისა თანა, მსახურითა ჩემითა გლახა კნოტისშვილითა მეცხრესა ჟამსა შემდგომად
 შუვადღესა მოლოდებასა შინა ეკ ლეკარისაგან გამოსაზღავენლისა თეთრისასა,
 ვინაჲთგან არ გამოჩნდებოდის არცა უპატივობითა მოსილი ესე და არცა კაცი
 ამის მიერ აღთქემული მოტანად თეთრისა. გარნა თანა წარვკვდეთ, დიდსულო
 მკითხუშლო, აწ და ვიხილვით, თუ რაჲსა ეცნობთ თეთრისა ამისთჳს, ეგოდენ
 25 არად სანიშუნელისა, რაოდენცა ფლიდისა ამის ცხოველისა ეკ ლეკარისათჳს,
 და წარვდით. პირველ მიეცურეთ ფრეგატისადმი ჩემისა, კერძოსა ამის შე-
 მამენებელისა, სადაცა მიეცე პატივის-ცემაჲ ჩემი მეუღლასა უფლისა პაპაიეგო-
 როვისასა, მივეალერსე ძესა მათსა, გავემშჯდობე მათ და უფალთა ოფიცერთა,
 კშთავსხედით კუალად ნუშასა და, მისლულნი კიდურსა თანა სევასტოპოლი-

30 თჳს შელჳსა ჩემისა სე-
 ვასტოპოლსა
 ამის, განვკვდით ჳმელსა, აღველენით აღმართი ქალაქისა
 ამის, ორკერძოდულს სათნოთა სახლთა მიერ შენებულა,
 და მოვედით სახლსა უფლისა კაპიტანისა პაპაიეგო-
 როვისასა მისითურთულს.

36 თჳს მოსლჳსა ჩემისა სალ-
 სსა შინა პაპაიეგოროვისასა
 ოდესცა შევედით შინაგან სახლისა აძის, მოწესემან
 ამან, მხილულმან თჳსისა ასულის აკვისა, დასცა ჳვთი-
 ნი და იწყო მწარედ ტირილი. თუმცა ვცდილობდი მე
 ნუგეშინის-ცემად მისა, გარნა ბუნებაჲ მამისა ადასრულებდის თანანადებსა თჳსსა
 და ეუარებოდის სმენად ყოველსა მიმცნებულსა. უკანასკნელ მრჭუა, ვითარ-
 მედ ცოლი მისი ესევითარისა მიზეზისა ძლით ვერშემძლებელ იქმნა მოსლუად
 40 სახლსა ამას და თუთცა მბოდიშებულმან დატევებისათჳს ჩემისა, მთხოვა მიცე-
 მად მისდა ნებისა წარსლუად თჳსისა სახლულებისადმი, რომლისათჳსცა, თვნიერ
 ყოველისა ჩემ კერძოდ დაბრკოლებისა, წარვიდა ყოველითა პატივისწენებითა, კე-
 თილშობილთა სულთა სათჳსოთა ალვისილი მოწესეჲ ესე მათდამი.

თუხ ქალაქისა სევასტოპო- ქალაქი ესე სევასტოპოლი არს აღშენებულ განსუწმუნებუ- 36
 ლისა ფელდ-მარშლისა, უგანათლებულდისა ტავრიის
 თავადისა გრიგორი ალექსანდროვიჩისა პოტემკინისა მიერ ფრიად მაღალ ბორ-
 ცენეულსა ადგილსა ზედა სრულიად ქვს შენობითა. სამკრებით კერძო მომსლუქ-
 ლი, ვიდრე არ შემოვალს ზღვათა და არ მოიწვევის ქალაქისა ამისა სიახლოესა, 8
 ვერარაჲსა იხილავს შენობასა ამისსა, გარდა მრავალთა ზარბაზანთა, ბატარე-
 ბად¹ გაკეთებულთა; ხოლო ჩრდილოეთით ხედავს თუთიქემის თუთეულად სე-
 ვასტოპოლისა ამის მდგომებასა. ესე იტევს თუხ შორის 1730 კომლადმდე მცხოვ-
 რებთა სამკედროთა, ზღუათა შინა მოსამსახურეთა; გარდა ამათსა არაგინ არს
 აქა მსახლობელ, მცირეთა ოდენ რიცხვთა გარეშეთა ვაჭართა კიდე. არს ორი 10
 ეკლესიისა წმიდათა თავთა მოციქულთა პეტრე-პავლესთა და წმიდისა საკურსულთ-
 მმოქმედისა ნიკოლასისა. ვაჭრობაჲ არს შესაბამი ყოველსა შინა ქა-
 ლაქისა ამის და იფეობაჲ ყოველთა ნიეთთა, გარდა შეშისა, რომელიცა
 ისყიდების ზამთრობით საყენი ზეთს თუმნად, ვინაჲთგან სიახლოესა ამისსა 15
 არ იპოვნებიან ტყენი.

თუხ მისლუხა ჩემისა წარველ უფლისა კონტრ-ადმირალისა ბიჩენსკისადმი
 კონტრ-ადმირალისა ბი- დასამოწმებელად მისდა ჩემისა პატივისცემისა და მაღ-
 ჩენსკისადმი ლობისა, ამის მიერ ჩემდა ჩუწნებულისა კეთილდაწყე-
 სებისა და შეწეენისათუხ; გარნა წარსლუელიყო ესე დღე- 20
 სა ამას სემფირობოლ ქალაქსა. ხოლო აქაჲთ წარმოსლუელი, მოველ ნილუად
 მიტროპოლიტისა ხვრისანთოსისა, ვინა ღროსა ამას იმ-
 ყოფებოდა მღუდელთმთავარი ესე თუხისა ძმისა ასული-
 სა სახლსა. არამედ მესმა რა მსახურთაგან ამისთა დაძინებამა
 უმოჭუცებულესისა ამის მუუფესა, მოვიქეც ვასანჯუად 25

ქალაქისა ამის შენობათა, ქუჩათა და ბაზართა. აქ შემემთხვა უფალი პაპაიეგო-
 როვი, დოზაველი ჩემდა და წარმოსლულმან მისითურთ ბინისადმი, ეპოვნეთ 25
 გზასა ზედა ეკ ლეკარი, რომელმანცა, შემღგომ ჩემის
 სიმრთელის კითხვსა, მითხრა: „თავადო! მყისვე გამოვი-

თუხ ეკ ლეკარისა

გზავნეთ ჩემზედა დანაშთომი თეთრი, გარნა წარმოვლენილმან თქუქნდა კაცმან
 ჩემმან, ვერდა მპოვნელმან თქუქნმან კარანტინსა შინა, მომიტანა მე უკუქნვე 30
 იგი“. და ესრეთ, მკითხულმან ჩემისა ბინისა და მცნობმან მისთუხ უფლისა
 პაპაიეგოროვის მიერ, აღთქუა ანასდად მოტანამ მისი და განგვეშორა.

სლუასა შინა ჩუწნსა სახლისადმი ჩუწნისა მქოლელობდა კაპიტანი პაპა-
 იეგოროვი ესე ცნობად ჩემგან, თუ ვითარი თეთრი თანა-ამს ჩემი ურცხვსა ამას 35
 ეკ ლეკარსა, რომლისათუხცა ვაცნობე მას და მივუთხარ თუთეულად ჩემსა და
 ლეკარისა ამის შორის წარმოებული. უფალმან კაპიტანმან ამან, შეპყრობილ-
 მან განცუფრებისა გამო, მთხოვა ნებისა მიცემამ მისდა აწუშ გამყდანებად
 სათანადოსა ადგილსა ესთა უკაცობრივოდ ქვევისათუხ ეკ ლეკარისა ამის.
 არამედ მხილულსა ჩემისა მას ზედა უთანჭმოებისა, შეიჭურვა მოთმინები-
 თა და თანაწარპქდა. 40

თუხ წარმოსლუხა ჩემისა 25-სა. დამტევებელი ქალაქისა ამის სევასტოპოლისა,
 სევასტოპოლით და მო- შთავევდ ნუშასა უფლისა პაპაიეგოროვისასა ერთად მი-
 სლუხა ტრაკტირსა „ხევე- სითურთ, ბარგით და კერძობით ჩემით. ეცურვეთ სი-
 რად“ წოდებულსა ვერცჲ ზღუს კალთისა ვერსტ-ნახევრადმდე მჭრისა მიმართ

30 თჳს სადილისა და ბაღისა კონსულისა მიერ ჩუშნისა მიცემულისა დღენერალ-კონსულსა ჩუშნსა აჳქუნდა სადილი და ეახშამი მუსიკითა და როკვითა, სადაცა იყუნენ დღენერალ-კონსული ფრანციისა პილაგოანი, ვიცე-კონსული ავსტრიისა შამპიონი თჳსისა მეუღლათა და 'ესრეთჳს სხუანიცა მრავალნი კაც-ქალნი ევროპელნი.

35 თჳს მისლჳსა ჩემისა კონსულთა მიმართ ევროპიანთა 26-სა წარველ დილით კონსულითურთ ჩუშნით ხილუად ზემოჳსენებულთა კონსულთა: ავსტრიისა, ფრანციისა, ანგლიისა და შვეეთისა მიმართ, რომელთაცა სთნდათ მისლჳჲა ჩემი მათდა და რომელთაცა მთხოვეს განგრძობად მათდამი მცნობობისა და სიყუარულისა.

40 თჳს ძუშლისა ალექსანდრიისა სეწულიღესა შინა ალწერისა 27-სა. ვსთჳუათ უკუჳს აწ ალექსანდრიისათჳს, რაოდენ შესაძლებელ არს განრჩევით, რომელიცა ყოფილა პირველ სიდიდისა და სიმდიდრისა ძლით თჳსისა მესამეს ქალაქად ეგვიპტეს შინა. დასხმათა მიერ ბერძნეთათა ზღჳსპირისა ადგილთა ზედა იძულებულ ქმნილან კჳლადცა ძუშლინი
45 მეფენი ეგვიპტისა დაშენებად ფაროს ქალაქსა შინა მომგვრებელისა შვედრობისა, რომელთაცა აღუშენებდესთ მუნ თავისა თჳსისათჳს შემდგომად მათსა ცნობილი

ზღუდე რაკოტისა. ხოლო ოდესცა ალექსანდრე დიდსა, უკმოქცევულსა ტაძრით გამო იუპიტერ-ამმონისა, გამოველო ადგილსა ამას, მაშინ ესოდენ შეჰყუარ-მოჰსწონებოდა მას, ვითარმედ ებრძანა აღშენებად მას ზედა ქალაქისა უწინარეს 400-ისა წლისა შობადმდე ხრისტესისა. ზღუდეთათვის ქალაქისათა ებრძანა ზოდინახოსისა თვისსა დინოხარისისათვის დაპყრობად ადგილისა სიმგავსულით ორსა გერმანიისა მილსა ზედა. ქალაქი ესე დაეშენა მსწრაფლ და ირწმუნებოდა 5
 ცა, მით რამეთუ ჰქონიეს მას სივრცე უფროს ვიდრე ოთხისა სტადიონისა და მდგარა სწორესა ხაზსა ზედა შორის მარეოტიის ტბისა და საშუალოქუჩისა ზღუსა. ქალაქისა თანა ყოფილა შეერთებულ ერთისა კადონის ძლით, რომელსაცა ჰქონია სიგრძე 7 სტადიონი და წოდებულა ამის გამო ლეპტასტადიად. 10
 კადონისა ამის მიერ გამოვიდოდის ორი ნავთსაყუდელი; ჩრდილოეთისა, რომელიცა იწოდებოდა დიდად და აწ ახლად, ხოლო სამკრეთისა—პორტუს ეინოტუსად ანუ ნავთსადგურად მშვიდობით უკმოქცევისა, გარნა დღეს იწოდების იგი ძულად ნავთსაყუდელად.

გარდა ამათსა ყოფილა კულად სამი, სახელდებით: დაქშუელი ანუ საიდუმლო ლიმენაჲ, რომელიცა უკრძალვიეს მეფეთა თავთათვის თვისთა; ქალაქი ანტიდორ, სადაცა ყოფილა სასახლე მეფისა და მდებარებულა პირისპირ პირველისა. უკანასკნელ მესამეა რიბოტუს, ამოთხრილი ნავთსაყუდელი, ყოფილა შინაგან ეინოტუსისა აღმოსავლეთისა კიდურსა ზედა მისსა, შეერთებული ღონითა ნავთსაცურველისა არხისათა ტბასა მარეოტიისასა, რომლისა თანაცა გარდა 20
 მისა ყოფილა კულადცა ერთი ნავთსაყუდელი, სადაცა მოიღებოდიან ნილოსით სხუადასხუანი ოსტ-ინდიისა და აფრიკისა საქონელნი, ვინათგან ტბაჲ მარეოტიისა ყოფილა შეერთებულ მერიდისა და მდინარეჲსა ნილოსის თანა სხუათა და სხუათა არხთა ძლით.

ძულსა ალექსანდრიასა ჰქონია სხუადასხუანი წინაშე თვისსა ადგილნი 25
 (ესე იგი გარემოს თვისსა შენობანი), ვითარ იგი რაკოტის ბუკოლის, სადაცა მდგარან მწყემსნი; ნეკროპოლის—აქ ყოფილან ბაღნი, საფლავნი და სახლნი შებალსამებისათვის მკუდართა კაცთა და პირუტყვთა; იულიპოლიოს, შემდგომ აგვისტოს მიერ ნიკოპოლიად წოდებული, მიხედვსამებრ მარკა ანტონინეს ზედა გამარჯულშისა. სასახლესა მეფისასა ბრუზიონს ჰპყრობია უმეტეს მეოთხეჲსა ნაწილისა ადგილი ქალაქისა, რომლისასაცა ცდილან ყოველნი ქელმწიფენი უამითი-უამად განერცელებასა. ჰსწამებენ, ვითარმედ თვთ დროთა ამით შინა ებრძანებინოს პტოლომეჲ ფილადელფისა აღშენებად ყოვლად დიდებულისა ფარუსისა. გარემოს ჰსენებულისა სასახლისა ყოფილა მუზეიმი, ჩინებული ალექსანდრიისა წიგნთსაცავი და ადგილი დაფლულ მეფეთა, სადაცა პირველ დებულა 35
 გუამიცა ალექსანდრესი.

ჯერ-არს კულად თქემად რაჲსამე მუზეიმისათვის. მას შინა ცეულა სიმრავლეჲ წიგნთა, რომელიცა პტოლომესთაზე ირაცხებოდა უპირველესად სრულსა ქუსყანასა ზედა. რწმუნებისამებრ სენეკასსა დებულან მას შინა 4000-მდე წიგნნი, ხოლო ავლგელლიოს იტყვის მათთვის 7000-მდე, და ოდესცა კეისარი ყოფილა მას შინა მოცულ მტერთა მიერ, დამწუარა ბიბლიოტეკაჲ ესე. შემდგომად მისა კლეოპატრას ეშოვა ბიბლიოტეკა პერგამიდაჲ, გარნა ესეცა წარწყმდილა ესრეთ, ვითარცა პირველი. 40

640-სა წელსა შემდგომად შობისა ხრისტესისა, ოდესცა ხალითა ომარსა დაუპყრის ქალაქი ესე, უთხოვნია მისთვის მუნებურსა ეპისკოპოსსა დაკრძალვად 45
 მასასადაჲ წიგნთა საცავისა, არამედ ხალიფას არგანმადიდებელსა თხოვისა


მისისასა, უბრძანებთ დაწუხა მისი. მთელსა 6-სა თთულსა უთბიესთ თვთ უიშვთესითა წიგნებითა და ჰელწერილებითა სათემონი აბანონი¹.

ისკანდარია არს ოდენ აჩრდილილა ძულსისა აღექსანდრიისა, მდებარეა ადგილსა მას, სადაცა ყოფილა მუნადმდე ლეტასტადია, ახლოს მისა მდებარეა 5 თა დიდითა ნავთსაყუდელითა, რომელსაცა აღრითულ დაშორებებს ზღუაჲ. ქალაქსა ამას შინა კსცხოვრებენ ბერძენნი 260-ს, არაბნი 530-ს, კიეთნი 290-ს, ჰურანი 250-ს და შამადიანნი 285-ს კომლადმდე. არიან აქა თუმცა მრავალნი ვაჭარნი ევროპიისა სახლულებითურთ თვისთ, გარნა არა რომელსა მათგანსა აქუს მკვდრობაჲ. სახლნი თუმცაღა არიან ქვთკირთა, არამედ უფროს 10 მდაბალ, ვიდრელა მაღალნი, მომცროსსა მავთულ-წვნულითა მინითურთ ფანჯრებითა. ქუჩანი არიან ესთა იწრო, მით რამეთუ მცხოვრებნი ერთისა ბანი (რომელნიცა ჩუქლებრივ არიან ვაკენი), გარდაფარებენ მეორესა კერძოსა სახლთასა ჳილობსა განრინებისათჳს მის მიერ შხის სიციხისაგან. სხუშბრ ყოველი აღსაარებამ სარწმუნოებისა არს აქა თავისუფალ და თვთულოცა მათგანი 15 განაგებს ღმრთისმსახურებასა ეკკლესიასა შინა თჳსსა უშიშრად. კიეთნი ჰგონებენ ქონებად ეკკლესიასა შინა თჳსსა წმიდისა მოციქულისა მარკოსის თავისას, რომელიცა აქუსთ მათ დაკრძალულ კუთსა შინა. იტყჳან ვიეთნიმე, ვითარმედ საფლავი აღექსანდრე მაკედონელისა იყოს ეკკლესიასა შინა წმიდისა მარკოსისსა, რომელიცა უპყრისთ კიეთთა, გარნა არავინ უწყის ნამდვლ, რომელ 20 გუამი აღექსანდრესი სძევსა მას შინა ანუ სხჳსა ვისიმე.

მიუხედულსად დაცემასა ზედა აღექსანდრიისასა, ჰმთშების იგი კჳალადცა საშუელს წერტილად არამიციისა ვაჭრობისა. აქ გარდაღმობების ყოველი შინაგანით ვეგვიტისთ მოტანილი საქონელი, ზღუთ წარსაღებელი, გარდა ბრინჯისა, რომელიცა წარიღების მხოლოდ ოდენ დამიეტი. ევროპელთა აქუსთ მას შინა კანტონა 26 რაჲ² თჳსი, რომელნიცა აწარმოებენყე ალებ-მიცემასა თჳსსა, გამცულელნი საქონლისა საქონელსა ზედა. აქ ჰპონებენ მრავალთა ნიეთთა ფრანციისა, ანგლიისა, ვენეციისა, სხუთთა ევროპიისა საქელმწიფოთა და სხუთათა სამფლობელოთა თათართასა, გარნა აქაური ალებ-მიცემა არს უმეტეს შინაგანი, ხოლო გარეგანი თუთქემის არარაჲსა ნიშნავს. არამედ ნავნი შემოდგომისა და ზამთრისა 30 დროთა ექუსმდებარებიან ფრიალსა შიშსა, ამად რომელ ახალი ანუ აზიისა ნავთსაყუდელი, პირველ დიდად წოდებული, ერთი არს მხოლოდ, სადაცა ევროპელთა აქუსთ ნებაჲ დაყენებად ნავთა, გარნა ესეცა არს ესრეთ აღმოვსებულ, ვითარმედ ნავნი არ იშუთად შესდგებიან ლამსა ზედა. ფრიალ კლდიანი ძირი ამრჩობლებს შიშსა ამას კჳალად უმეტეს. კლდენი, განმკლმთნი ლუზათა 35 თოკებისა, აწარმოებენ მას, რომელ ნავნი, ვიდრელა შველენან საყუდელსა შინა, იძულებულ არიან ერთნი კულთებად მეორეთა და დამკარგველნი ლუზათა, ითმენენ სრულსა გემისა შემუსრვასა. ნავთსაყუდელსა ამას შინა შვიდიან აღმოსავლეთით კერძო და იტყჳან ზოგად, ვითარმედ წინა ელუას მას ფრიალ საშიში ლამი. ხოლო ძულსი ანუ აფრიკისა ნავთსაყუდელი პირველ პორტუს ეინო-

¹ უპირველესისა ჯამისა თანა არს დღესაც ბიბლიოტეკაჲ, რომლიდამაც უსარგებლიათ უწინა გარნა მის ჯამით, ოდესცა ზედაზმედველთა მისთა მიმოდლაუყუსთ მოგზაურთა მიმართ პირად-პირადნი იშუთნი წიგნნი, არღა უკუშ უფროს უტყეებენყე ვისმე შესლვად მას შინა და გასაღებისა კარისა მისისა იცულშის კონსტანტინოპოლსა.


² კ ა ნ ტ ო რ ა, გვონებ, ლათინური იყოს; სახლი განსაკუთრებითი ვაჭართა, რომელსა შინაცა უპყრისთ დათარნი ალებ-მიცემთა თჳსთა და განაგებენყა ყოველსავე შესახებულად საგანისა ამის.



სურ. 4. თეგზარაია, საბლი კვლასარიონის



136.5. Minaret of the Great Mosque of Cordoba.



სურ. 6

სურ. 6. ალავერდის ობელისკი



Fig. 7. Symbiont J. J. J. J.

ტუს, რომელიც არს შესლულ შორის ჰმელთა ქუსყანათა და იწოდების დი-
ადისა რიცხესა ძლით მუნ ზრდილთა ლეღუთა ნავთსაყუდელად რას ელ-ტი-
ნედ, არა ესოდენ საშიშ არს, ვითარცა პირველი, გარნა, საზებდუროდ, ოსმა-
ნიანნი არავის აძლევენ ნებასა შესლულად მას შინა, გარდა ნავთა თუსთა. სხუმბრ
იგი არს უღრმეს პირველისა და ახლოებს უსაშუალოდ ერთითა ნაწილითა
ქალაქსა და მასთანაცა ფრიად უგრეცელეს არს ახლისა ნავთსაყუდლისა. შესასვლე-
ლი არს მას შინა დასავლეთით.

ალექსანდრია ეზიარების დღეს ერთითა ოდენ თაუმის არხითა მდინარესა
ნილოს და სხუათაცა ნაწილთა ეგვიპტისათა, ვინათგან, ვითარცა მდებარეო-
ბისა ძლით თუსისა გარეშე დელტისა, ესრეთუჲ ვითარებისა ძლითცა მიწის
გულისა, ეკუთვნის იგი საკუთრად ელთა აფრიკისათა. გარემონი ადგილნი
მისნი არარაჲ არიან აწ სხუა, ვითარ ოდენ კუმი. არიან აქა რაოდენნიმე ბაღ-
ნი, ხენი ფინიკთა და ლეღუთა მცირე პირსა ზედა ნილოს არხისასა, რომელც-
ცა აძლევს ალექსანდრიას წყალსა და იგრცა დროსა ნილოსის ადიდებისასა.
ესე ავსებს მილთა, თხრილთა შინა ძუშლისა ქალაქისათა, რომელთაცა შინა შე-
ინაქების წყალი მომავალს წლადმდე, ვინათგან არ არიან აქა არცა წყარონი
და არცა ჯურღმულნი.

რიცხვ მიწასა შინა მიღებითა გატანილთა არხთა განგრძობების 300-მდე.
სიღრმეჲ მათი არს ფრიად საკმაო და უკეთუ 100 მათგანი ადიდების, მაშინ
შემძლებელ არიან იგინი კმა-ყოფად წყლითა ვიდრე 100000-მდე კაცთა. პირ-
ნი მათნი არიან თეთრისა მარმარილოჲსაგან ქმნილნი განიერად, სამს ფუჲთად-
მდე გარდიგარდმო და მასთანაცა განსწორებულ მიწისა თანა. ადგილნი, სადა-
ცა იკრძალოდნენ წყალნი, ყოფილან აღმოთხრილ ყოვლისა სახლისა ქუშუმე,
მოკირწყველულნი ესრეთუჲ მარმარილოჲთა და თლილსა ქუშუმითა; გარნა უმე-
ტესნი ნაწილნი არიან დღეს დანგრეულ, ხოლო დანაჰშინი ინახებებიან ფრია-
ლისა სიწმინდითა. წყალი ნილოსისა პირველად არს დაი მდგრევე, არამედ შე-
მდგომად, მცირ-მცირედ დამჯღარი, ხდების წმინდად და კამკამად.

ხოლო რაჲცა შეეხების სიდიდესა ნაქცევთა ძუშლისა ქალაქისათა, არს
შემდგომი: იხილავ ფრიად ვრცელსა ვაკესა, ნაქცევთა მიერ დაფარვულსა.
მთლად ორი ჟამი მოვიდნების სლუჲაჲ ორთა ხაზთა შორის გალავანთასა
გოდლებითურთ, რომელთაცა ოდესმე შეუდგენიათყე სიმგრგულეჲ ძუშლისა
ალექსანდრიისა. ადგილი არს დაფენილ დაცემულთა სახლებთა ბანთა მი-
ქურთ, კედელნი მრავალთა ადგილთა შინა დარღვეულ, კამარანი დაწნილ და
ქუანი, საზრდოდ გუარჯილასა ქმნილნი, არიან დამოცვენულ ადგილით თუსით.
განმეღელი უფართოებისა მინდვისა ვერარაჲსა იხილავ, გარდა ნაყართა ქუ-
ათა, კშთაქცევულთა ჯურღმულთა და გორებთა ნაქცევთათა, სადაცა განსწყე-
დენ კედელნი ერთნი მეორეთა ანუ ძუშლნი სუშტნი ახალ საფლავებითა, ას-
ლისა და ჰანდარისა ხეებითურთ შეადგენენ თუალთათჲ ვიეთსამე ცულისება-
სა, სადაცა არ იპოვნებიან სხუანი ცხოველნი, თზნიერ ტურათა, ქორთა და
ღამისა ბუთა. არიან აქა კუალადცა ობელისკონი ანუ სუშტნი კლეოპატრაჲ-
სა და ვირგილიისა აღმოსავლეთისა კერძოსა ზედა, რომელთაცა რიცხვ, ნაწი-
ლობით მრთელნი და ნაწილობით შემუსრვილყრილნი კუმსა შინა, იხილუშბიან
ფრიად მრავლობით.

28-სა და 29-სა. რიცხენი დღეთა ამათ შეესწირვე წინამდებარესა ამას
აღწერასა.

თჳს საღილად მიჰატყუ- 30-სა. ვიყავ კონსულითურთ ჩუშნით და სახლეულე-
 ბისა ჩუშნისა აღუქსანდ- ბითა მისითა მიწუშეულ საღილად ფრანციის ლენე-
 რე პილაჯო:ნის მიერ რალ-კონსულისა აღუქსანდრე პილაჯოანისა მიერ, სადაცა
 იყუნენ სხუანიცა კონსულნი ევროპიისა და ჩინებულნი ვაჭარნი. სტოლი მასპინ-
 5 ძელისა ამის სხუაობდა ყოვლითურთ სხუათასა ესრეთ, რომელ ყოველთა აქ
 საღილად მყოფთა ორთავე სქესთა სახელნი, დაწერილნი ბილეთთა ზედა, ეწყუ-
 ნენ თუთელთა თებშთა, ერთთა კაცთა და მეორეთა ზედა ქალთა, ვითარ სა-
 სხდომნიცა სავარძელნი მათნი, დანიშნულ მსგავსადე და ესრეთ უშორეს.
 ხოლო დროსა განსლჳსასა სტოლსა ზედა სახლისა პატრონმან გაგვაყვანინა
 10 მღედრნი კაცად-კაცადსა, ვის რომლისა თანაცა ჭერ-უჩნდა ჯდომად; გარდა ამისა
 სხუადასხუა სახითა ნაკუთიანთა ფიგურებად გამოჭრილთა ქალალდთაგან იყუნენ
 დანიშნულ სასემელთა ჭურნი და გრაფინჩიკები. ოდეს დააწყუშს შაქარლამანი,
 იყო მოღებულ სამი გოლოლი შაქარცხობილითავე, გემთა სახედ ქმნილი: დირა-
 გებითა, აფქოიებთა და ფლაგებითა; ორი ერთსახე და თანასწორი, სტოლისა
 15 თაბოლოს ღებულთ, ხოლო მესამეა—უღიდესი და უშუშნიერესი მრაველთა ორ-
 თა მათ ზედა, სამფლაგაინი; საშუვალი ფლაგი იყო როსსიისა, ხოლო კერძონი—
 ავსტრიისა და ფრანციისა, რომელიცა დასდგეს შუვასა ადგილსა სტოლისასა,
 პირისპირ ჩემსა და მასპინძელისა. განგრძობასა შინა საღილისა ამისსა დავლი-
 ვეთ ერთობით საღლეგრძელოდ სამთა ზემოქსენებულთა საერთმთაეროთა ერთ-
 20 მთავართათჳს და დასრულდაცა სტოლი.

თჳს სამოთხვეოდ წარ- შემდგომად მოვიქციეთ რა შინ, მოაყუანიან კონსულ-
 სლჳსა ჩუშნისა ცხენთა მან ჩუშნმან მაჰმად ალი ფაშისა მიერ მისდა ნაჩუ-
 25 მსხდომით ქმნილით სხუანიცა ცხენნი, ჯორნი და ვირნი და ესრეთ წარვე-
 დით თუითქემის უმეტესნი ნაწილნი დღეს ერთად მშეინაჯობელთაგანნი ძუშლი-
 სა აღუქსანდრიისადმი, სადაცა ვპოვნეთ სიმრავლეჲ ერთა ევროპიისა კაცთა
 და ქალთა, ბერძენნი და თათარნი ცხენებითა და ფრჯემოარულნი.

ცხენსა მაჰმად ალი ფაშისეულსა შემსუა კონსულმან ჩუშნმან. ოდესცა
 115 განვედით გარე გალავანისა, ვიხილვეთ მრავალნი მარბველად ცხენთა და მო-
 30 ჯირითედცა. კონსულნი, ვითარცა ჩუშნი, ესრეთუშ სხუათა, დამოუტსნელად
 მთხოვდნენ მიმორბევასა ცხენისა ჩემ მიერ ჯდომილისასა და უფროს მევედრე-
 ბოდა იასალჩი ბოშნიაკი მანუელ კონსულისა ჩუშნისა, რომელიცა არს სახით
 უცხო, ჰასაკით ახოვან, ყუავილოვნებითთა წელთა შინა, მამაცი, მგნეჲ, ძლი-
 35 ერი და მვედრად ჩინებული კერძოსა ამას, ხოლო ყოველთა ანათ ბუნებითთა
 ნიჭთა თანა ზრისტე იესოს უარის-ყოფელი და მაჰმადის მოწაფე-ქმნილი. ამან
 მანუელ გაიგდო ცხენი თჳსი და ითხოვდა ჩუშნიდამ კაცთა, რომლისათჳსცა გა-
 უჭდნენ ორნი ფრანგნი და იწყეს შექცევად ცხენთა ზედა; გარნა მაშინცა არ მო-
 მეშენენ მე და მაიძულებდნენ თხოვით მიმოქვენებად ფაშეულისა პირუტყვსა, რომე-
 40 ლიცა კერძოთ თჳსით ჰსჩნდა თუთცა განმზადებულად მიმოქელგისათჳს მოედნისა
 ამის. ოდესცა შემქუსლეველმან გაცხდარ ცხოველი ესე და ვიწყევით თამაშობად,
 მაშინ თუითქემის მასწრობდის მე ცხენი ესე მიცემად მისდა სადავეთა ძლით ნი-
 შანთა კერძოდ და ანუ უკუნქვევისათჳს მისისა. შექცევასა ამას შინა განვატა-
 45 მისა და მოთამაშვასა ახალ მოსლეულისა მოსყოვლისა, ვინაჲთგან ესრეთ უწო-

დებენ როსსიელთა ოსმანიანნი, იტყოდიან სადმე: „გაპურა ბახ, გაპურა, ნა ეი კოშარ ბუ ბეგერა, ვალაჰა ელაზემ ბუ მოსკოელი დეგელ“¹.

გათავდა რა ესე, ესევეითართა სახითა აქ შექცევაჲ ჩუშნი, მოვიქციით ბინისადმი ჩუშნისა, სადაცა გზასა ზედა მრქუა კონსულმან ჩუშმან თხრობილი თათართა მათ დროსა ჩემ მიერ ცხენის მიმოქნეებისასა, სხუათა შორის მრავალთა.

დეკემბერსა 1-სა

თჳს განშაღდებისა ჩემისა წარსლუად კაირისადმი დავაგზადებინე სამგზავრო საქმარნი ნიეთნი რაოდენიცა რა საქრო იყო ჩემთჳს და მათთანა ბარგიცა ჩემი წარსლუად ჳმელის გზით კაირისადმი, რომლისაცა მხილუშლმან კონსულმან ჩუშმან მეულლაათურთ თჳსით მიწყეს ვედრებით თხოვად, მით რამეთუ შევიცადო სახლსავე მათსა, ვინაჲთგან 12-სა რიცხუსა ამის თთჳსასა არს სახელდღეობაჲ ძისა მათისა, აშჳამად კაირს მყოფისა, რომელსაცა, სიტყუათამებრ მათთა, მოელიან წამითი-წამად. რაოდენცა ვეტყოდი მათ მიზგზსა ჩემისა აქ უმეტეს ვერღა შეცდისასა, ეგოდენ იგინი უფროს მთხოვდიან ჳმნად მათთა პატივისა, მაშასადამე მოცდად სამს რიცხუადმდე, რომელსაცა შინა უთუოდ მოელოდნენ მას.

თჳს კაცთა და ბარგთა ჩემთა გასტჳრებისა გლახა კნოტისშვილისა. 2-სა გავისტუმრე კაცნი და ბარგი ჩემი ერთობით წინამდებარესა გზისადმი, გარდა მსახურისა ჩემისა

თჳს წარსლუა ჩემისა კაირისადმი

3-სა. ბრძანებითა მაჳმად ალი ფაშისათა მომგუარეს ჳორი შეკაზმული და ერთი წინამძღოლი, ხოლო 12-სა ეჳმსა შუვადლისა გავემშჳდობე კონსულისა ჩუშნისა მე-

ულლასა და ასულთა მათთა, რომელთაცა კერძოდ თჳსით მაჩვენეს ვიდრე მონათესაევობითი ლმობაჲ განშორებისათჳს მათგან ჩემისა და საკმაოათაცა მწუხარებითა გამემშჳდობნენ თუნიერ კონსულისა ჩუშნისა, რომელიცა გამომყუა ერთ ეჳმისა საეალსა ძმითურთ თჳსით კონსტანტინეთი, მიხალო ივანოვიჩით ლოლანით, კირიაკო ტასიკათურთ და იაკობ ლივიცკით. ამთ მაჩუშნეს მინდორი

თჳს ველისა ცხარისაჲლად წოდებულისა ერთი, ცესარისპოლად წოდებული, რომელსაცა ზედა შე-

ჳმნიან კაირისა ბეგნი მჳედრობასა ფრანციისა, დროსა ნაპოლონ ბუნაპარტეს აქედამ კაირისადმი წარსლუსასა, და შემდგომად რაოდენთამე დღეთა განგრძელებულისა და მიჳინებულისა* ბრძოლისა, სიმჳნეჲ მაჳმადიანთა და ველურთა არაბთა, უგუფურებითურთ მათით, დამორჩილებიან ფრანციის მჳედრობისა ცეცხლგამომებრვალთა ზარბაზნთა, ვითარ კეთილგონიერებისაცა შებმასა მათსა. მინდორი ესე არს თუალგარდაუწლომი ვაკე, მცირეჳმნიანი და ადგილ-ადგილ ჳავნარ-ძეწნიანი. აქ გავესალამე ლენერალ-კონსულსა გიორგი სივინისსა თანამყოლებითურთ მისით და წარმოსლუელი მოვედით დროსა მწუხრისასა ერთსა უშენსა ადგილსა, მგზავრთა თავისა შესაყრდნობელსა კავახონასა შინა, კმად კარგსა და სუფოასა, რომელსაცა შინა ეკიდა ქარტინა მაჳას შენობისა, წარმომადეენებელი მაჳმადის

¹ შეჳხედე! უჳსჳულოსა, შეჳხედე! რა კარგად არბევს ცხენსა ამას; ლებრთმან იცის, ეს რუსი არ არის.

* ხელნაწერში: მინიებულისა.

საფლავისაცა, და სადაცა ვპოვევ კაცნი ჩემნი ბარგითურთ და იასაღრი მანუელ ბოშნიაცი.

- 5 თვს ზოლუსა ჩემისა ქალაქსა რომეტისა
- 4-სა. დილით წარმოველ კავახონთა ამით კერძობითურთ ჩემით და ვიეთთამე თანამოგზაურებითა რომეტისადმი და დროსა შუვიდღისასა პირველისა ეამისა შემხულა მოგებებად ჩემდა გამოსლვული ჩუქნისა კონსულისა სივინის აგენტი ჭუეანი ბაპტისტი დანიეზი, დიდად მგცოვანი, გარნა კუალადცა ფრიად მგნეე მოძრავობათა.
- 10 და ქეცევათა შინა. ესე შემიძლუა ქალაქსა ამას და მიმილო სახლსა შინა თვსსა, თვნიერ ყოვლისა პოლტიკებრივისა ქეცვისა; გამაქრო ცოლი თვსი ნინა, კშთამომავლობით არაბი და ცალთუალი. მეორესა დღესა წარველ სახლის პატრონითურთ ხილუად ქალაქისა ამის გარემოებათა და შინაგანისა მდებარეობათა, ვითარცა ძუქლ ღირსსაწესოვართა,
- 15 თვს ღირსსაწესოვართა რომეტისათა
- ესრეთუქ ახალთაყა. დასაველეთისა ბქეთა თანა რომეტის ზღუდისათა ჩანან დღესაც ხუთნი თლილნი სუქტნი, რომელთათვსცა უბნობენ, ვითარმედ იყუნენყე დანაპშონი ძუქლისა სასწავლებელისა სახლისა. ერთსა ადგილსა სდგანან კუალად ორნი სუქტნი, ერთი პირისპირ მეორესა; ხოლო მეორესა ადგილსა საშუველ დიდისა მოედანისა ძვეს ფრიადი სიმრავლეა და
- 20 ქეცველისა გუშბათისა, რომლისა ძლითცა სახილუქლ არს, მით რამეთუ ყოფილ არს აქა შესასვლელი დიდშუქნიერსა მას ტაძარსა შინა იუპიტერ-სერაპისისასა. რომეტი ესე მდებარებს 4-სა მილსა ზედა ზღუთ, დასაველეთისა კიდურსა ნილოსის მკლავისასა, რომელიცა ერთვს დღეს არსსა რომეტისასა. ქალაქი ესე არს აღშენებული 870-სა წელსა შემდგომ შობისა ხრისტესისა, მოპთომაქველ
- 25 ხალიფაჲსა დროსა, და არს თავით თვსით დიდი, კმად შენობათა მექონი, ვინაჲ-
- 117 თვან იტყვან 30000-მდე მცხოვრებთა, რომელნიცა არიან საზოგადოდ ვაჭარნი. გარდა ჯამთა არ იპოვნებიან დიდშუქნიერნი შენობანი ანუ ყურად-მღებლობისა ღირსნი ვითარნიმე საწესოვარნი. გარნა სახლნი მიხედუსამებრ აქაურისა კერძოჲსა არიან აღშენებულ კარგად და ყოვლითურთ სარგებლიანად; ბანნი
- 30 მათნი არიან ვაკე, რომელთა ზედაჲთცა შესაძლო არს გასინჯუად ყოველთა სასიამოვნოთა სახეთა, ვითარცა ნილოსისა წარმდინარეობისა თანა, ესრეთუქ გარემოს მისა მდებარეთაყა ადგილთა. დიდნი მოედანნი და სწორ-ვრცელნი ქუჩანი არ არიან მას შინა სრულებით. ალერსიანი ქეცევაჲ უტხოთა მიმართ აქაურთა მიერ და ჭეროვანი ცხოვრებაჲ მათი ჰყოფენ რომეტსა უსასიამოვნოეს
- 35 ადგილ-საყოფელად მგზავრთა ანუ მშწირობელთათვს. ესე თანამდებრის კეთილმდებრებითა თვსითა ნილოსსა, რომელიცა აძლევს მას ყოველთა საჭირთა. არს აქა ესრეთუქ გარდმოსაცლელი ადგილი საქონელთა, მოტანილთა ალექსანდრიით, წარღებად კაირსა შინა ანუ უკანასკნელითა ამით—პირველსა მას შინა. და ვაჭართაყა ჰყუანან აქა სარწმუნონი კაცნი თვსნი, აწარმოებენ დიდსა გარე-
- 40 განსა ვაჭრობასა უფროს ბრინჯითა, სულთანად წოდებულითა. ყოველსა მომავალსა საქონელსა ალექსანდრიით კაირისადმი შემოპკრებენ აქა და შემდგომ, კშთამწყობნი სხუასა გემთა შინა, გაისტუმრებენ კაირს. ესსახელუქ ექეცვიან უქუნმომავალთაყა ზემოჲთ, ვეგობტით—ალექსანდრიისადმი.
- 45 თვს ქალაქისა რომეტისა
- სხუქტბრ, მთლად ქალაქი ესე არს ფრიად საძაგ-სახილუქლ და მყარალ, ვინაჲთვან ფოლორცთა შინა მისთა ჰყრიან მრავლობით ლეშნი პირად-პირადთა პირუტყვთა, რომელთაყა აღღებად

არავინმე არს მგონებელ და რომელთა ძლითცა თუითქემის ყოველთა მოსახლე-
 თა ძაღლნი ვიდრე ათასობით იპოვნებიან ადგილ-ადგილად შეყრილ ლეშთა მათ
 ზედა; და ესთა საშიშ არსცა დროსა მათთა მძორთა მათ ზედა ყრილობათასა
 ახლოს მათსა განვლად მცირისა რიცხვსაგან კაცთასა, რომელ განგებ ელიან
 ერთნი მეორეთა განმეღვლათა, განსარინებლად თუალით სახილუმთა განსა- 6
 დელთაგან, მათ მიერ მოსალოდნებლათა. არხნი არიან ძესლადაცე შემოტანილ
 ერთი ზღვთ და მეორეა ნილოსით, გარნა ივანიცა წამხდარ და მშრალ, ქუჩანი
 მოუკირწყლავ და ტალახიან. მმართველობისა სახლად აქუსთ კავახონა, რო-
 მელსაცა შინა სხენან მრავალნი მოწესენი, საქუშყნოხსა სარგებლობისათჳს დად-
 გინებულნი. აქ ერთნი იპყრობიან ნამძვლ თანამდებობითა თჳსთა, მეორენი— 10
 ნარდსა და ჭადრაქსა ზედა მღერითა, სხუანი გართვან ლოცუასა თჳსსა, რო-
 მელნიმე სემენ კავასა და ჩიბუხსა, ვიეთნიმე სხედან სადილად და შეეჭკევიან
 საკრავთა გმათა ზედა, მათ შორის, ოდესცა მოჩივარნი და მათ მიერ მთხოველ-
 ნი მართლმსაჯულებიისა სდგანან გულწელოკრებით შინაგან და გარე სახლისა
 ამის მწუხარებითა არამცირედითა. 15

აღებ-მიცემაჲ არს ყოველთა ნივითთა დია ჭეოვანი და იფეი, გარნა რაჲ
 განმსყიდულთა მათ, ვინა ყოველი ნივითი განსავაჭრებელი ეკუთვნის ფაშასა
 მაჰლად ალის. ამბარნი ქეითკირთა ფრიად დიდრონი, შინაგან ფიკრისა კედ-
 ლებითა დაყოფილნი, სხუადასხუათა ჯვარბალთა ანუ მარცუალთა, ხილთა, ფი- 20
 ნითა, სამარხოთა, ბამბათა, ქსოვილთა, ბზეთა, თივითა და ყოველთა ესევი-
 თართაგან სავესენი, არიან საკუთრად ქსენებულისა ფაშისა; ესრეთუჲ საქსოვ-
 რად სახლი, მპყრობი თჳს შორის უფროს ასისა დასვისა, რომელსაცა შინა
 ჰქსოვენ მხოლოდ აფქითთა გემთათჳს და ნუშათა. მოძღუარნი მას შინა არიან 118
 ფრანგნი, ხოლო მოწაფენი—თათარნი და არაბნი.

თჳს ბაღთა ჭალაქისა
 ამისთა

ბაღნი აქუსთ მრავალ და დიდროან, სავესენი ფინი- 25
 კისა, პორთუგალისა, აპელსინისა, ლიმონისა და სხუათა
 უამრავთა ხილთ ეთა გამო. გარნა არს აქა კულად ბა-
 ლახი ერთგუარნი, რომელიცა აღიზრდების სიმძლით ნ-ს და სიზრკით ერთს
 ადლადმდე; ესე იცემების ნაყოფთა უფერულისა მოთეთრ-ყუთლოხსა კიტრისა
 და ბაღრიჩნისაცა მსგავსთა, გარდა ფერისა; ნაყოფთა ამთ მოხარშენ მთლად 30
 ოდენ წყალსა შინა, გაცივებულთა მოიღებენ სუფრასა ზედა, გარდააძრობენ
 ქერქთა, რომელნიცა არიან ზრქელ და ადვლგანსაძრკულს. ჩანან ვითარცა
 ფრკქენილნი კიტრნი, არამედ თანაშეჭორცებულნი მათდა ძარღვნი მსგავსებენ
 სიმინდისა ფუჩჩითა შორის ბეწუთა, ძაფებად სახილუმლთა, ხოლო სახელად
 ეწოდების ბანენა. ოდესცა მოხარშვეულთა მათ დასჭრიან დანით ანუ შეახებენ 35
 რვალისა რაასამე ნივთსა, გამოსცემს ცულსა სუნსა და ამისთჳს დაჭირისა მათ
 ჰშთაპყრიან სირჩათა შინა, სასუეთა ტკბილითა ღვინითა, რომელნიცა უმისოდ-
 ცა არიან დია ტკბილ-გემიერ და კუვათიან; სხვებრ უღვინოდ მიმღები მათი
 დაუწყებეს კბენჩასა, განრინებად წინააღმდეგისა სუნისაგან მათისა, დაჭრისა ძლით
 წარმოებულისა. ფოთელი ბალახისა ამის არს სიგრძით ადლ-ნახევრადმდე და 40
 სიბრტყით ძირსა მისსა უფროს ადლის მეოთხედისა. გამოსცემს ბალახი ესე
 ერთსა ოდენ ყუავილსა თესლად, რომლისა ძლითცა ამრავლებენ მას მთესულს-
 ნი მისნი. ხოლო შემდგომად მოკრებისა ნაყოფთა ამათ, მოსჭრიან ძირში ბა-
 ლახსა მას, რათა შემდგომსაცა წელსა მოსლევლმან, მოზარდობასა შინა მო-
 ილოს ნაყოფი, და უკეთუ არა ესრეთ, ეგების უნაყოფოდ. ესრეთუჲ არიან ხენი 45

ლელუთა, ფარაონისა¹ წოდებულნი, რომელთათჳსცა მოვიკსენებ თჳსსა დრო-
სა. ბალთა ამათ ხენი და მდელიონი იყუნენ დატიერთულ თჳს-თჳსთა ნაყოფთა.
მიერ და განჭრილნი სიმძიმეთა ქუშუე მათთა, ელოდლიან ჳელთა მათდამი შე-
მსლუშლთათა რაოდენმე აღმსუბუქებისათჳს ჰათისა; ადგილნი მოლითა მოსილ-
ნი და სიცხეა თუთიქემის არდადგისა. ქალაქსა ამას მოუდის აღმოსავლეთით

8 ნილო და ჩრდილოთ აქუს თეთრი ანუ საშუევალქუშყანისა ზღუაჲ, რომელნი-
ცა ერთჳან ურთიერთსა მახლობლად ქალაქისა ამის.
5-სა. განვარონინე ჟამნი დღისა ჩხაბასა შინა რომეცისა ამის
მდგმოებისათჳს, რომელიცა მომილიეს მკითხუშლისადმი ჩემისა განხილუად.
10 დროსა მოცალოებისასა.

10 თჳს ჩემ მიერ ნაჯეს ჳირა-
ობესა კაირადმე 8-სა ვიჭირავე ორდირაგაინი ნავი კაირადმდე სამ-
თუჳან-ნახევრად და შემდგომ დავაბრუნე ალექსანდ-
რიით გამოტანებული კაცი და ჳორი ბრძანებითა
მაჳმად ალი ფაშისათა.

15 თჳს წარმოხლესა ჩემისა
როშეტით კაირისადმი 7-სა გავესალამე აგენტისა დანიეზისა მეუღლასა ნი-
ნას და წარმოველ გამოცილებული სახლის პატრონი-
თურთ ჩემით ნილოს კიდურისა თანა მდგომარეჲსა ნა-
ვისადმი შემდგომ სადილისა შესრულებასა ზედა ორისა ჟამისსა. აქ გავემ-
შვლობე აგენტსა დანიეზსა და, მინდობილი ღმრთისა, შეველ გემსა და შევეუ-

20 დგე წინამდებარესა გზასა კაირისადმი, პირისპირ ნილოს მომდინარეობისა.
მდინარეჲსა ამის ორსავე მჭარესა არიან ხშირნი შენობანი სოფელთა და ქა-
ლაქთა, უმეტესნი ნაწილნი აღიზიოთა ნაშენნი. შენობათა ამათ შორის ვერარაგ-
119 სა ჰპოვნებ ღირსსა შენიშვნისასა გარდა ამბრებთა ჳეთიკირისათა, სასეთთა.
მრაველითა სხუთა და სხუთა საეპროათა ნივთებითა, სხუთათა ქუშყანათა შინა.
25 წარსაღებლებითა, რომელნიცა აღუშენებიეს ორთავე კიდურთა ზედა ნილოსი-
სათა მაჳმად ალი ფაშას, და კულად ფოა ქალაქისა, ესეცა მიხედვსამებრ.
სხუთათა აქაურთა ქალაქთასა.

ადგილნი მიმოკერძოთა ზედა მდინარეჲსა ამისთა არიან ვაკე, გარნა მჭა-
რეჲ აღმოსავლეთისა უფროს ხშირშენიან და ნაყოფიერ, ვიდრელა დასავლეთისა.
30 აქ ვიხილუშთ კაცნი მთესუშლად თესლთა, რომელთაცა მისდევდნენ ჩუთებით
სხუანი მჳენელად და ამათ მოფარცხენი.

8-სა, 9-სა, 10-სა, 11-სა და 12-სა რიცხუთა ესცურვეთ ნილოსსა შინა,
ვითარცა ესთქჳ უკუშ ზემო, პირაღმა მისსა. ჳარნი გვბრძოდიან დაუცხრომე-
ლად პირით კერძო და სითხეჲცა მდინარეჲსა ამის გვაბრკოლებდის ყოველი წამ
35 და არ გვეტყებდიან უშიშრად ცურვად, ფრიად უშმაჭირვებელნი ჩუშნნი.

10 თჳს მცონეზულესა მკლ-
რესა თჳსთაჳან შილთა და
ჳცევისა მათისა 13-სა დღით, მეცხრესა ჟამსა დააყენეს ნავი ლუზთა
ზედა დასავლეთისა კიდურსა თანა ნილოსისასა და გარდა-
ვბდით ჳმელსა. აქ ვიხილვეთ, რომელ ერთისა სოფლით
(რომლისაცა სახელი არ უწყყოდნენ არვინ ნაესა ზედა.

40 ჩემსა მყოფთაგანმან) მიაქენდათ მეორესა შინა საკაცითა მკედარი, ხლებული
300-მდე მამრთა და მდედრთა მიერ შემდგომითა წესითა: უმოჳტეცებულესნი
მიუძღვოდნენ წინ, მათ უკუნ ჳაბუკნი და შემდგომად მათსა ყრმანი; ამათ მის-
დევდნენ ჰასაკითა უჳაბუკესნი, მჳყრობნი ბობლანთა, დიმბლიბიტოსა, ზურნათა,
სალამურთა და ჳიმჭიმათა. უკრავდნენ ორღანოთა ამათ და ზედა დასტყებდა.

¹ თათრულად ფარაონენ ინკილ.

ყოველი ერი იგი კმითა, ვიდრე მსმენთაცა ლმობად მომყვანელითა. ამთ მიადევენდნენ მკედარსა, ორისვე კერძოდ მოლათა მიერ მოცეულსა და დრომითა მაჰმადის ტელსხმულითა¹ გვერდით დევენებულსა; უჟან მიჰყვებოდიან დედანი ქალებითურთ, ტელსაჯოცთა და ლეჩაქთა თუხთა წვერებთა მქნევენი ორისავე ტელითა ჰაერსა შინა მახლობლად მკედარისა, მტირალნი მალლისა კმითა. გამოვლეს რა სოფლით თუსით მეორეს სოფლადმდე (რომელსაცა შინა იყო ჯამი) ნახევარი გზაჲ, დაასუნწეს მკედარი და დასდევს მას ზედა თქმული დროშაჲ; შემდგომ განიყო ერი ოთხ გუნდად. მხილუმლნი ესევეითარისა მოულოდებელისა ქტევისა მათისა, მივედით რა მათდა, ვიხილვეთ მოლაჲ მოუტეხებულებითურთ ახლოს მკედარისა თანა მდგომარედ და ზეპირ ლოცუსა მკითხულად სხუა მოლებითურთ, გარნა სამი სხუაჲ გუნდი კაცთა და დედაკაცთა იქდა ჟამსა ამას მდუმარედ. მოლათა ჰყუსს რაოდენიმე მეტანიაჲ, აღიდეს მკედარიდამ დროშაჲ და აღდგენცა ყოველნი მსხდომნი, რომელთაცა პირუტლისამებრვე წესითა იწყეს სლუად. აღსლულმან კულად გემსა ზედა ჩემსა, ვკითხე ნავის პატრონსა მიზეზი დედაკაცთა მიერ მკედარსა ზედა ტელსაჯოცთა და ლეჩაქთა წესითა ჰაერსა შინა ქნევისა, რომელსაცა ზედა მომიგო მან ესრეთ: „ბეგზადა! წინა ესე იუსუმბის ეგვიპტეს შინა, ესე იგი არაბთა შორის მისთა ძუსლადვე წინაპართა ჩუსნთა დროჲთ, ვინაჲთგან მისცემიესთ მათცა უადრეესთა მიერ ღმრთისა მცნობთა, მით რამეთუ მკედარისა მიტანაჲ ჯამადმდე არს საშოშ, რათა ბოროტთა ჰაერის მკუსლთა დროსა საფლავად მისისა წარღებისასა არ იუფლონ მის ზედა და ამისთუს მგოდებნი იგი დედანი მჭერვალეთა ცრემლითა სთხოვენ ფეხპაძმარსა შეწყალებისათუს მისისა და სიყუარულისა ძლითცა მკედარისა უგერებენ მას უხილავთა მათ დამსხმელთა ზემოთქმულითა საჭურვლებითა“.

14-სა. განმგრობონი შერომით ცურვისა ჩუსნისა, მოვიწიენით დასავლეთისა კიდურისა თანა მღებარეს ტარნე სოფელსა. აჲა დავაყენებინე ნავი. მიმწუნხრ შეგზავენე ტარნესა ამას შინა კაცნი შონად საქირაებელთა ცხენთა, ჯორთა, ვირთა ანუ აქლემთა. ესე შეეტყუო მაჰმად აღი ფაშისა თარჯიმანსა ბოლოს უსლუფსა, ალექსანდრიით კაირს მიმავალსა და ამ დროს აჲ მყოფსა; მიეყუანინებ[ი]ნნა კაცნი ჩემნი და ეთქუა, მით რამეთუ აქუსთ ბრძანებაჲ ფაშისა: რაჲცა იქმნების საქიროჲ ჩემთუს წარსლულად კაირისადმი, აუწყონ ბეგსა მას (მჩვენებელმან მათდა ტელისა განაჰრობითა ახლოს მისთანა მქდომარეჲსა თათრისადმი), რომელიცა განშაღდებს ყოველსავე ამას ღამესა და ხუალ დილით აახლებს მოსკოვექლსა ბეგზადას შედგომად კაირისა მიმართ; მათ შორის გამოეგზაუნა ჩემთუს ორი ცხოვარი, ათი ქათამი და რაოდენიმე პური.

15-სა. დილით მოასხნეს ტარნელამ არაბთა ორი ცხენი, ორი აქლემი და ათი ვირი. გარდმოვალდებინე ნავილამ კაცთა ჩემთა ბარგი ჩემი, მივეც მეგემესა სასყიდელი თუსი სრულიად და წარვედით ჯმელით; ვიარეთ ოთხი ჟამი და დაენახეთცა ორნი უფროსნი პირამიდნი ფარაონისნი, რომელთათუსცა მოვიტსენებ დროსა ჩემ მიერ განხილვისა მათისა. ველეთ კულად ორი ჟამი და მოვედით სოფელსა გატტას, სადაცა განვატარეთ ღამეჲ, მსგავსად

თუხ წარმოსლუსა ჩემისა ტარნეთ გატტა სოფლისადმი

¹ მაჰმადიანთა აქუსთ ზოგად კელი ესე, ვის ოქროსა, ვის კეცხლისა ფერვილ-უფერველი, ვიეთთაჲ კალისა, თითბრისა და თეთრისა რვალისა, რომელსაცა გამოიღებენ დროსა მათისა შევირვებისასა.

ქართლისა ნაბახტივესა სოფელსა შინა განტარებულისა. გატარებას ამის ახლოს, გარნა რაოდენმე დაცილებით მისგან, იყოფების მდინარეა ნილოსი, სიახლოედ ბათუნ ელ-ბალ კაირისა თანა, ორს ტოტად, და ერთჲან ზღუასა საშუვეალქუსყ-ნისასა დამიეტისა და რომეტისა თანა; ხოლო შორის ტოტთა მათ არიან მრავალნი შენობანი ქალაქთა და სოფელთა.

16-სა. მეათესა ეამსა დღისასა წარმოველ გატტით და თჳს გატტაჲთ წარმოსლჳ-სა ჩემისა კაირისადმი მიმწუხრ მოველ კაირს, დასავლეთისა კიდურსა ზედა ნილოსისსა. აქედამ გავახლდუნე ნუშათი იასალჩი მანუელ ბოშნიაკი იმიერ მდინარეჲსა ამის კაირისადმი, მიმცნებად აგენტისა ჩუშნისა გრიგორი მიხაილიანიოვისა მოსლჳსათჳს ჩემისა. მათ შორის მოგვიდგეს ნავი ერთ-ღირაგიანი გაყუანად ჩუშნისა აღმოსავლეთისა კერძოასა მიმართ კაირს. აწუობდინა ბა ბარგსა ჩემსა, უკუნეაქცივე ტარნედამ წარმოყუანილნი კაცნი და პირუტყვინი მადლობითა. აღვედით ნავსა დროსა ბინდისასა და ვიწყეთ ცურვად. ოდეს მივეახლენით კიდურსა პირისპირსა, შექმნეს კმელით ზახილი:—„ქიმ გელიორა?“¹, ვინაჲთგან იყო სიმრავლეჲ მიმომცურვალეთა ნავთა, ხოლო ოდესცა მიუგეს ნავით ჩუშნით—„მოსკოვლი ბეგზადა“², აღანთენეს მყის კმელს ზედა მყოფთა მათ რაოდენნიმე ფონარნი ჯელთა საჭერნი და მაშხალანი, იწყეს მიმორბენათა შორის ყვირილი არაბულად, მოსდგნენ ნაპირსა ახლოს ნავისა ჩუშნისად 12-ნი თათარნი ანუ არაბნი ჯელფონაროსანნი და ორნი იასალჩნი, რომელნიცა აღმოსლველნი ნავსა ზედა ჩუშნსა, იტყოდინან: „ნარდადურ მოსკოვლი ბეგზადა?“³. და ვითარცა სცენს ჩემთჳს, მომცეს მშჯღობაჲ მარჯუშენეთა ჯელთა თჳსთა შუბლთა და მკერდთა თჳსთა ზედა დადებითა და ერთმან მათგან-
121 მან მრქჳთა შემდგომ:

— „აფენდმე ბეგზად! ხომ გელჳფსკს, სალამათ გელჳფსკს, ჰაზრათენგზ-დან ოთური კონაგ ჰაზირდურ, ბუიურუნ“⁴.

და ესრეთ გარდაველ ნავით და შევედევ კაცთა ამათ, რომელთაცა იწინამძღურეს ორნი იასალჩნი და ორნი ჯელფონაროსანნი. ოთხნი მათგანნი მომდევდნენ მე და სხუანი დაჰშთნენ ფონრებითურთ კაცთა და ბარგთა ჩემთა საჯმარად; მიმიყუანეს უმახლობელესსა სახლსა, მდინარეჲსა ამის კიდურსა ზედა მდებარესა საზუშრესა და ადგილსახელობით ბულაკად წოდებულსა; შევიარეთ ეზო მაშხალებითა განათლებული, შევედით სახლსა. განმვლელნი რაოდენთამე ოთადთა შორის, აღვედით კიბესა. განვლეთ კულად ერთი სხუაჲ ოთალი და ვიჩინენით მეორესა უტხოდ მორთეულსა დივანსა, დორებით გებულსა. აქ მიმიღეს ორთა მოკლებთა მეზუშრეთ-უჯუცესისათა და მთხოვეს დაჯდომად მჩვენებელთა უზემოქსისა ადგილისა, რომელი, თუმცა დავსჯედ, გარნა არა ჩუშნებულსა ადგილსა, ხოლო თუთ ორნივე იგი სდგნენ არგანთა ზედა ყრდნობით. და აქამდე მომყუანნი ჩემნი ნავით, დაჰშთომილნი გარე კართა თანა ოთალისა ამისთა, მიყურებდნენ მე მუნით. მათ შორის ისმა კმაურობაჲ ჩემ მიერ აღმოვლილისა კიბისა კერძოდ და ვიხილვეცა სამი კაცი, ერთი ფონაროსანი და ორი ჯელარგანოსანი, რომელნიცა დასდგნენ კართა თანა იმი-ამიერ; შემდგომ გამო-

¹ ვინ მოდის.

² როსიელი თავადი.

³ სადა არს როსიელი თავადი.

⁴ ბატონო თავადო! კარვად მოსლველხართ, მშჯღობით მოსლველხართ, თქუშნთჳს სადგომე მზა არს, მობანდით!

თჳს მეზუტრეთ-უჴუცესი- სჩნდა კულად ერთი ფონარიანი კაცი და უკანით მისა
სა ჰაჳი აჰმად აღასა მოჴუტებული კაუხ-ჴურჴხურვილი, ორთა კაცთა მიერ
მკლავებრობილი. მოჴუტებან ამან, შემოსლუასავე თჳსსა ოთალსა ჩემ მიერ ყო-
ფილსა, მომიალერსა მყის, მმეტუტულმან შემდგომითა სიტყუებითა:

— ბეგზადა აფენდემ! ხოშ გელუფსეს, სალამათ გელუფსეს, გოზ უსტა
გელუფსეს. ჩოხდან ჴანაბენჯზა გოზლარახ, შინდი ალლაჰამ-დურილლა, აზრათჳ-
ნჯზა გორდუხ, შინდი ფაჴ რახიამჴ.

კეითხე მოალერსესა ამას ჩემსა ბოდიშით, მით რამეთუ მაცნობოს
თაეი თჳსი, თუ ვის თანა მაჴუს საამოჲ ჟამი განტარებად რაოდენისამე დროჲ-
სა; რომლისათჳსცა მომიგო:

— ბეგზადა მან გუმრუჴ-ბაშიამ, აღი—ჰაჳი აჰმად ალა. შუ ეე გუმრუჴ ხონა.
პირ ჰავთა ოლორ ჴი ბიზემ აფენდი მაჰმად ალი ფაშა მინა ბუიურთი იაზლი,
ნაზამან ჴი მოსკოლთ ბეგზადა გელსენ, მან ონა მოჴუბათ იაფეიმ, იკრამ ელიიმ;
შუჴურ ალლაჰა ჴი რაიათ გელდენჯზ. შინდი არჴუჰალ გონდარდემ ფაშა აფენ-
დემჯზა ჴანაბენჯზ გელმოდან ოთური. სჯზენ ბალიოზდა ჩაფუჴ გელურ შუ-
რადაჴ.

დასრულებასა თანა სიტყუათა ამათასა მაწჳვა ზემო ჳდომად, არამედ
მთჴემელი მისთჳს მისდა მადლობისა, დაესჴედ ჩემ მიერ ჳდომლისავე ადგილსა,
ხოლო მეზუტრეთ-უჴუცესი ესე—პირისპირ ჩემსა. მოგუართვეს შურაბა, წყალი,
კაეა, ჩიბუხი მე და კალიანი—მიმღებსა ამას ჩემსა; და მოვიდნენცა როსსიის
აგენტი გრიგორი მიხაილციანოვი, სპირიდონ იეგორევიჩი

სივინი და კანსელერი აგენტისა ამის პეტრიაჴი რილოლ-
ფი. ამათ ანლდნენ რაოდენნიმე იასაჩნი და სხუანი მაშ-
ხალეებითა და ფონრებითა; ვიამეთ ურთიერთთა ცნო-
ბითა. განვლო მერმეცა ჟამმან სათნოთა საუბართა შორის მიმოალერსებისათა

შორის ჩუშნსა და ჰაჳი აჰმად აღასსა, რომლისაცა შემდგომ, დამტევებელი მად-
ლობითა, ჴშთამოვედით ძირსა აგენტითურთ ჩვენით და თანამყოლებით მისით,
შეესხედით ცხენთა და წარვედით ჴალაქისადმი უბანსა ფრანგთასა. შევლეთ რა
გალავანი კაირისა, ვიხილვეთ ფლოროცთა, მოედანთა და
ბაზართა შორის მისთა სიმრავლეჲ ერთა გუნდ-გუნდად მე-
დღესასწაულეჲ ადგილითი-ადგილად, ვიეთნიმე მსხდომნი

და ვიეთნიმე მიმომსლველ-მომღერალნი აჴაურთა მუსიკათა ზინა; ჴალაჴი განათ-
ლებული სხუადასხუაფერიანთა ცეცხლითა, ბროლისა ჴურთა შინა ნთებულთა, რო-
მელთაცა შუშნიერებაჲ ჩნდა უფროს ჴამთა და მინარათა ზედა დამოკიდებულთაგან.

მათ შორის იწყეს მომგებებელთა ჩემთაგანთა მიმორბევე-მიმოჴენებაჲ ცხენთა და
ეთამაშებოდინ ურთიერთსა, რომლისადმი მაწჳვეს მეცა, ვინაჲთგან სმენიყოთ
ჩემი ცხენით თამაშობაჲ ალექსანდრიასა შინა. უჴანასქნელ მთხოვეს გაძრვად
ცხენისა, ჩემისა მატარებელისა და კაირსა შინა გამოჩენილისა, რომელი თჳთცა
იჩუშნებოდა მზად-მყოფობასა, მხილველი სხუათა მიმოხტოლვისა, გარნა მე, არ

1 ბატონო თავადი კარვად მოსლულხართ, შვედილობით მოსლულხართ, თჳლთა საამოდ
მოსლულხართ, დიდიხანია გელით თჴენ, აჴ მადლი ღმერთსა, რომ გიხილეთ თჴენ; კმა-ვარ აჴ.

2 თავადიო მე ვარ მეზუტრეთ-უჴუცესი, სახელი—ჰაჳი აჰმად ალა. სახლი ესე არს საზუტრეჲ.
ერთი კვირა იჴმნება, რომ ჩვენმა ბატონმა მაჰმად ალი ფაშამ მოჴურა ბრანეება: რასაც დროს
მოვიდეს როსსიელი თავადი, ეუჴმნა მას პატივი და ალერსი; მადლობა ღმერთსა, რომ განსვენე-
ბით მოხვედით; აჴ წარგზავნე არზა ბატონს ფაშასთან თჴუშნისა მოსლესათჳს და აგენტიცა
თჴენი მსწრაფლ მოვალს აჴ.

განმდიდებელმან თხოვათა მათთა, განეგარძე სლუა თჳსი სახლისადმი ჩუჴნი-
 5 სა აგენტისა. ამან მრქუა სიარულსა ამას შინა, ვითარმედ ეამბოსთ რომელთა-
 მე კაცთა ფაშისათჳს ხილუა ჩემი ალექსანდრიას მისესულსა ცხენსა ზედა
 მჭდომ-მოთამაშედ და ვეჴო მათ წინაშე მისსა, შორის მრავალთა მოწესეთა.
 10 მისთა, რომელნიცა არსადამე ირწმუნებდიანყე, მით რამეთუ მოსკოველსა ძალ-
 ელუას კარვად ჳდომამე ცხენსა და ჳმარებამე მისი ჳერისაებრ, რომლისათჳსცა
 ეთქუას ფაშას: „მოიცადეთ, მოვალს იგი აჳა და მე გიპოვნით მაშინ დროსა ხი-
 ლუად მცისსა მვედრობისასა“.

ამას ზედა ვრქჳ მიხაილციანოვსა, რომელ მვედრობამე მოსკოველთა უაღ-
 10 რესობს მრავლით ყოველთა მვედრობათა ზედა აფრიკელთა და აზიელთასა,
 ვინათგან მათ მიერ ჳმნილთა გმირულთა და რაინდულთა მორბედობათა ჳუ-
 ნეთა ზედა ვერ იჴმენ ვერცა ოსმანიანნი, ვერცა აფრიკელნი, ვერცა სპარსნი
 და ვერცა სხუანი, და ესრეთ, აჳაურთა ჳერეთცა ცუდად უწყყან მათთჳს. შე-
 მდგომ ვკითხე საგნისათჳს საზოგადოდ დღესასწაულებშისა ჳალაჳისა ამის მცხოვ-
 15 რებთასა, რომლისათჳსცა მიპასუხა ესრეთ:

— ბეგზადა! დღესასწაულებამე ესე არს პატივად მაჳმადისა, ვინათგან
 შობილ არს იგი 10-სა ანუ 11-სა რიცხვსა ამის მთოვარეხასა და ამის გამო
 ყოველ წლიე განატარებენ 8-სა დღესა სახითა ამით მხოლოდ ეგვიპტეს და არა
 სხუათა ადგილთა პორტის სამფლობელომასთა.

20 თჳს მოღლჳსა ჩემსა ხაღლ- მათქუა რა ესე, გარდაჳდა ცხენით და მთხოვა მე-
 ხა მიხაილციანოვისასა ცა ჩამონდომამე და აღსლუამე სახლსა მისსა, რომლისა-
 ძლითცა ესცან, რომ მოვიწივენით ბინად, და გააშლევეი-
 ნაცა ფლაგი როსისისა.

25 თჳს მოღლჳსა ჩემდა კოე- 17-სა იწყეს მოსლუად ჩემდა ევროპიისა ღენერალ-კონ-
 სულთა ვეროპიისათა სულთა, ვიცე-კონსულთა და აგენტთა, ესრეთჴ სხუა-
 თაცა წოდებისა აჳაურთა კაცთა.

30 თჳს მოღლჳსა ჩემდა რო- 18-სა. მოვიდნენ ბერძენთა, ლათინთა და სომეხთა სა-
 მელთაშე სამღდეულ-სა- მღუდელ-საერონი ხილუად ჩემად, რომელთაცა დასწრე-
 ეროთა და ფაშის თარჯი- ბასა შინა შემოვიდა ჩემდა მაჳმად ალი ფაშისა თარ-
 მანცა ბოლოს ესუფისა ჳიმანი და საყუარელი ისმირელი ბოლოს ესუფე. ამან გა-
 მომიცხადა, მით რამეთუ არს მოვლენილ ჩემდა ფაშისა

მიერ მოლოცუად მშვიდობით მოსლჳსათჳს ჩემისა, თანასწორ ვითარ ცნობად-
 ცა აწმყოფასა სიმრთელისათჳს ჩემისა, მმეტყჴსლმან:

123 — ბეგზადა! ფაშა აფენდი ჩემი სწუხს, რომ არ ინებეთ თქჴს თხოვისა-
 35 მებრ მისისა დგომამე შუბრასჴ, და კჴლადცა გთხოვსთ, რათა დასდგეთ მის
 მიერ დანიშვნულსა თქჴსთჳს სასახლესა შინა მისსა.

ამას ზედა, შემდგომ მადლობისა, მიეუგვე მე, ვითარმედ კმა არს უმისოდ-
 ცა ფაშისა თქჴსნიისა მიერ ჳაზრი პატივის-მცემელობითი ჩემ მისისა უცნობო-
 40 ხადმი, რომელსაცა უფროს არარამ მსურჳს ესოდენ, ვითარცა მსწრაფლ ხი-
 ლუამე მისი და ცხად-ყოფამე მადლობისა, ყოველისა მის ჩემდა კეთილდაწყებისათჳს
 მისისა, რომელნიცა მიჴნან მე მან. ესმა რა ესე, მკითხა მყისჴ ბოლოს ესუფე:

— ოდეს გსურჳსთ თქჴსნი ხილუად ფაშა აფენდისა ჩემისა? მიბრძანეთ,
 რათა მოვაჳენო მას მისთჳს, რომელიცა ესევეთარსა დროსა მოავლენს თქჴსნიდა
 ჩინებულთა თჳსთა მოწესეთა და. ცხენთა.

1 შუბრა ეწოდების საზაფხულოს სასახლესა ფაშისასა, რომლისათჳსცა ვიტჳს სათანა-
 დოსა დროსა რაოდენმე უარცელსად.

ამისთვის ვერკვ ბოლოს უსუფსა ამას, მით რამეთუ ესევეთარი მიღება ჩემი ფაშისა მიერ არ ითხოვების სრულებით ჩემებრ კერძოსა კაცისა საკუთარსა საქმესა ზედა თვსსა მოსლველისათვს, რომლისათვსცა ვთხოვ, უკეთუ შესაძლო იყოს, მითხოვით ნება ხუალ მოსლვსათვს მისდა ჩემისა, თვნიერ ყოვლისა კერძოთ მისით კაც-ცხენთა გამოგზავნისა (ხვალისა დღეა დაუვნიშნე ამად, ვინათგან იყო მათი ჭუმა გუნი, ესე იგი პარაკევი, რომელიცა უპყრიესთ უქმად, ვითარცა ჩუენ კვირა დღეა და რომელსაცა შინა სათანადოებენ მვედრობანი, დიდშემძლებელნი, ვაქრობანი და სხუა წოდებისაგანინიცა ერნი, რაოდენ შესაძლებელ არს, მდიდრითა სამოსლითა და იარაღითა მისლულად წინაშე ფაშისა, რათა ვიხილვო ყოველივე იგი ერთად), გარნა ბოლოს უსუფ, განმგძობმან სიტყუათა თვსთა, მრქუა:

— ბეგზადა! არა ჯერ-არს ყოველსა შინა უარის-ყოფად თქუენგან ფაშა აფენდისა ჩემისა, ამად რომელ სურვს მას ჩუენებად სხუათა, თუ ვითარ პატივ-პსცემს იგი მოჭარისხეთა როსისიის დოვლათისათა, უფროს ყოველთა მოწესეთა ზედა სხუა საქელმწიფოთათა.

აქ განმწყვედმან უბნობისა მისისა უთხარ, ვითარმედ პატივისა ამის მიღებად არ ძალ-მისც მე და ოდესცა ვიხილავ მფლობელსა ევეპიტისასა, მაშინ, ვითარცა მიმღები მისი, მივიღებ მისდა სათანადოსა მადლობასა. და ესრეთ წარვიდა თარჯიმანი ესე, აღმთქვემელი მიმწუხრ მოსლვად ჩემდა მოუწყებისათვს ფაშის ნებისა. ესე მოვიდა დანიშნულსა დროსა და მრქუა:

— ბეგზადა! ფაშა აფენდი ჩემი, წინათუქ მოხარული ხუალ ხილვსათვს თქუენისა, ვთხოვსთ, მით რამეთუ არა რომელსამე მოწესესა მისსა არ მისცეთ ბაღჩიშია, მიხედვსამებრ ჩუელულებათა ჩუენთასა. — მაშასადამე, მიუღვევ მე, ფაშას არ ნებავს მიღება ჩემი და ვითარ შესაძლო არს ჩემგან უბაღჩიშოდ დატევაბა კაცთა მისთა. ამას ზედა მიპასუხა მან:

— ბეგზადა, უწინარეს ხილვსა თქუენგან და ცნობისა მისისა რაოდენმე ეუარენით ფაშა აფენდსა ჩემსა თხოვასა შინა მისსა და აწ უკანასკნელსა ამას შინა ველით თქუენ მიერ კმა-ყოფასა, და უკეთუ სხვებრ არ ინებებთ, მერწმუნენით, აწუენინებთ მას.

მსმენი ესევეთარისა უბნობისა მისისა, თანაჰმა ვექმენ; გარნა კუალად იწყო თქემად და თხოვად, რათა მივილო ფაშისა მიერ ჩემდა მოსაველენელი კაცი და ცხენნი და მათითურთ მივიღო ხილულად ფაშისა. საგანსა ამას ზედა დარწმუნებული ჩემგან მადლობასა და მიუღებლობასა შინა მათსა, წარვიდა თვსად.

19-სა. მეათესა ჟამსა დილისასა მოვაყუანინე კმად უცხოლ დაკაზმულნი ცხენნი, ნაჭირაებნი ჩემთვის მიხაილციანოვისა, სივინისა, რიდოლფისა და ორთა მსახურთა ჩემთა—რუაძესა და ბაქელაშვილისათვს; გარნა კერძოთცა ფაშისა მოსლველ იყუნენ რაოდენნიმე მოწესენი, მომყუანნი ოთხთა ცხენთა. ჩვენ წარვედით ნაჭირაებითა ცხენებითა, ხოლო ფაშისეულნი მიგვიძლოდიან წინ. განვლეთ შორის ჭალაჭისა, ერთა მიერ სავესასა, ალვედით ციხესა, კასტელად წოდებულსა, და რა შვევდით შინაგან ვალავანისა ეზოსა, ეპოვენთ სიმრავლეა კაცთა და ცხენთა, უცხოლ დართველ-დაკაზმულთა. ოდესცა ალვედით კიბესა სასახლისასა, მომეგება ბოლოს უსუფ რაოდენითამე ჭელისქუშმეთებითა. შევლეთ ორი ოთალი, ალესილი ფაშისა მოწესეთა მიერ,

თვს მისლვსა ჩემისა კაცი-რისა კასტელ ციხესა შინა ხილულად მაჰმად ალი ფაშისა

1 ბ ა ლ ჩ ი შ ი ოსმანურია, საჩუქარი თეთრით.

და შესლულთა მესამესა, ვიხილვეთ ნახევარსნიმგრულედ დგომილნი მოტელენი სამქედროთა და სამოქალაქოთა, თანასწორ ვითარ ვაჭართაგანცა შემდგარნი, რომელთაცა, თჳს შორის განყოფილთა, მოგვეცეს ზგაჲ მიახლოებად ფაშისადმი. აჲ დაგვხუდა დივანსა ზედა, ახლოს ფანჯრისა თანა, მუტლხუტუთ მჯდომი ფაშა ეგვიპტისა მაჰმად ალი და კულად, მოშორებით მისა, მარჯენივ, მეორესა კედელსა თანა მსხდომარენი: გერი ფაშისა ამის—იბრაჰიმ ქაბის ფაშა (ესე უც მაჰმად ალი ფაშას, ვითარცა საკუთარი შვილი თჳსი), მეორე—მფლობელისა ამის მიერ ფაშობისა ჯარისხსა აღყვანილი ჰაბუჯი ვინმე კაცი, და მესამე—ქაია ბეი; ხოლო სხუანი ყოველნი, ვიდრე 300-მდე, აქაურთა შორის უჩინებულესნი, სდგნენ წინაშე მისსა, სხუადასხუა სახითა შეკუთრვილ-რთულნი. მისლულმან ახლოს მაჰმად ალი ფაშისა, მივეც სალამი ჩუტულებებისამებრ ჩუტნისა, ხოლო მან, წესისამებრ მათისა მარჯულწინესა ჳელისა თჳსისა მკერდსა თჳსსა შემხებმან, მომიგო მით პასუხი და მთხოვა დაჯდომად ახლოს თჳსსა, გარნა მე, ცხად-მყოფი მისდა მადლობისა, დაეკვდ რაოდენმე მოშორებით მისა, რომელმანცა მრქუა:

— ბეგზად! ხომ გელდნგზ, საფა გელდნგზ; იოლდა ინჯითმადნგზ მი? აზრათუნგზა ქეიფ ეი მი?¹

აღერსსა ამას ზედა მიმდემან მადლობისა ჩემისა მითხრა:

— ბეგზად! მიხარის ფრიად ხილუაჲ მოსკოვის იმპერატორის ღენერალისა. გარნა, ვგონებ, თქუშნ არა ხართ მოსკოველი, რომლისათჳსცა მსურვის ცნობად და გთხოვ მაუწყუთ მე.

— მართალია, ფაშა აფენდემ, მე ვარ ქართველი, გარნა ყმაჲ როსისის ერთმთავრისა.

მსმენი ამისი მივექა გერსა თჳსსა იბრაჰიმ ფაშას და რქუა რაეცალა არაბულად. დროსა ამას მოიღეს კავა, მიართუშს მაჰმად ალი ფაშას, იბრაჰიმ ფაშას, რომელთაცა ჩამოართუნეს ჩიბუხნი ბრილიანტით მოოჳვილნი და ბრილიანტისავე დიდ ფუნჯებკიდებულნი. შემდგომ მომოიტანეს მე კავა, მერმე მესამესა ფაშას ქაია ბეის, და მასუჯან ჩემთანა მოყოლილთა, მოშორებით ჩემსა მსხდომარეთა. ფუტლარნი ანუ ზარფნი ფინჯანთა ამათ იყუნენ წმიდისა ოქროსა, დაფანჯრულ და მოცვარულ ბრილიანტითა. განგრძობასა შინა ჩემისა აჲ ყოფნისასა ვიდრე ერთს ჟამადმდე, ხუთგზის გამოიცუალნეს ჩიბუხნი გრძელნი და ესოდენეგზის მოართუშს ორთა მათ პირუტლთა სხუადასხუაგურად ბრილიანტითა შემკობილნი, ხოლო მესამესა ფაშასა, თუმცა უბრილიანტოა, გარნა ოქრო-მინაქარიანი, მდიდრად ტელოვნებული. მაჰმად ალი ფაშა სწევდა და ორნი იგი ფაშანი, მჳყრობნი ტელთა შინა ჩიბუხთა ბაგეთა ზედა ღებით, ვერ ეკადრებდიან მოწყვად პატვიისცემისათჳს მამისა და აფენდისა თჳსისა. დროსა გამმოთხოვისა ჩემისასა მთხოვა მფლობელმან ამან კულად მისლუაჲ მისდა სხუა* დროსა მოსაუბრებულად და ერთად განტარებად რაოდენისამე დროასა. აღმოქემელმან მისლუად მისდა, გამოვლენ იგივე თქემულნი ოთალნი ბოლოს უსუფითურთ და მოვედით რა კიბისა თანა, უკუნ ვაქცივეთ თარჯი-

მან ესე. ჰმთამოვედით კიბესა და ვითარცა შეესხედით ცხენთა, ვიხილუშთ თავნი ჩუტნნი მოცეულ იასაღთა მიერ ფაშისათა, რომელნიცა მთხოვდნენ ბალჩიშსა. ამისთჳს ეუბრძანენ მე გრიგორ რუაძეს მიცემად მათდა მისა, გარნა აგენტმან

¹ თავალი კარგად მოხველ, მშვიდობით მოხველ; ზგასა ზედა ხომ არ შესწუხებულ ხართ, სიძრითთა ხართ?

* ხელნაწერში: სუბა.

მიხაილციანოვმან დააყენა იგი, ვინაჲთგან ეთქუა მისთვისა ბოლოს უსუფსა და ეთხოვა სახელითა ფაშისათა მიუცემლობაჲ ბაღჩიშისა.

იასალჩინი ესე, შემპყრობნი სადავეთა ცხენისა ჩემისათა, მეტყოდინ კმა-მალდა:—ბეგზადა! ბუზა ბაღჩიშ ვერმალსან, ბუზმე ადათდურ¹.

მიუგო მათ აგენტმან ჩუშმან:—ოდესცა მოვლენან იგინი სახლსა ჩუშნსა, მაშინ მიიღებენ კმა-ყოფასა თხოვათა შინა თვსთა; და ესრეთ გვიტევეს წარს-ლულად.

მწუხრსა ამის დღისასა მოსლველ იყუნენ კაცი ესე სამწერლოსა შინა მი-ხაილციანოვისასა, რომელსაცა მიეცა მათთვის, ნაცულად ბაღჩიშისა, მხოლოდ ოდენ შემოთულილი ფაშისა მიერ. ამავე დღეს მიხაილციანოვმან მოაყუანინა ოთხნი არაბნი მუმიათა მთხრელნი, გარნა ვერა მორიგდნენ დღიეურსა ფას-სა ზედა მუშავობისათს.

თვს მისლსა ჩემისა კონ-სულთა მიმართ ვეროპი-ისათა და სხუათადმოცა

20-სა წარველ აგენტიურთ ჩუშნით კონსულთა მიმართ ევროპიისათა გარდაჲდალ თანანადებისა.

21-სა მიველ ალექსანდრიის პატრიარხისა თეოფილეს ვეჟილისა არხიმანდრიტისა ნექტარიოსისად, თურ-სი-

ნანს² მეტოხის არხიმანდრიტისა იონიკიოსისად, პაოსიანთა ეპისკოპოსისა მი-კირტიჩისად, ლათინთ სამღვდელთა პატრთა და სხუათა მათ მიმართ, რომელნიცა იყუნენ ჩემსას; გარნა მიმოსლუამან ამან მიმილო ჟამნიცა შემდგომთა ორთა დღეთა, ესე იგი 22-ისა და 23-ისა რიცხუთანი. უკანასკნელსა ამასა დღესა დამეთხოვენ ჩემთანა ხლებულნი შოშიაშვილი იესე და ტაბლიაშვილი სენიონ, ცხოვრებად რაოდენსამე დროსა ნათესავისა მათისა სალიი ბაშ იხტე-არისა უსეინ აღასსა, კასაბა როდუანდს მსახლობელისა თანა. დამთხოვმან კაც-თა ამათ, ვუბრძანე მათ ყოველ დღე მოსლვაჲ ჩემდა, ცნობად შესადგომელი-სათვს მდგომობისა მათისა.

24-სა. მოვიდნენ ჩემდა ბოლოს უსუფ და ჰეჰიმბაში ფაშისა ჭუვანი. პირ-ველმან, მომკითხულმან ჩემმან სახელითა ფაშისათა, მრქუა:

— ბეგზადა! შემდგომ ფაშით წარმოსლსა თქუშნისა, ეუბნა მაჰმად ალი ფაშა შვილსა და მოწესეთა თვსთა ჭებასა თქუშნსა და უკეთუ არ იქმნების სი-მძიმედ თქუშნთვს მეორედ მოსლუაჲ ფაშისადმი, ათნებთ ფრიად ფაშა აფენ-დისა ჩემსა.

— ხუალ უთუოდ მექმნების საამოჲ ჟამი პირისპირ დამოწმებად ჩემისა მისდამი პატივისცემისათვს.

შემდგომ, წარვიდნენ რა ესენი, შემოვიდა ჩემდა ჰაბუჯი ვინმე კაცი, კე-თილ-შუშნიერი, რომელმანცა შემოსლუასავე თანა მომიკითხა ქართულისა ენითა; მსმენსა მე მეოცნეს ესთა უცხოელ უბნობაჲ ქართულისა თათრისა და ვიღრე ნაქართველარისაცა მიერ. ვკითხე სახელი და ვინაობაჲ მისი, რომლისათვსცა მო-მიგო მან, მით რამეთუ იგი არს ნაქართულარი, წარმოსლველი ქართლით ერთად ჭუარის მამისა არხიმანდრიტისა ათანასეს თანა, აქ გაათარებული და მაჰმად ალი ფაშის ბაირაბტარბაში უსეინ აღა; და მერმე მცირედისა დროსა წარვიდა.

25-სა. წარველ ცისკრად მიხაილციანოვითურთ და კერძობით ჩემით ეკ-კლესიისა შინა წმიდისა მამისა ჩუშნისა და საკურულთმშობელისა ნიკოლაო-

¹ თავადლო ჩუშნდა საჩუქარისა მოცემად თანამღებ ხართ, ჩუშნი წესა არს.
² თ უ რ-ს ი ნ ა—სინა-მთა.

სისსა, რომელსაცა შინა მარჯუნივ და მარცხნივ გუნდნი მგალობელთანი ჰგა-
 ლობდნენ ნოტათა ზედა, პირველნი ბერძელისა და უკანასკნელნი არაბულისა
 ენითა. შინაგან ეკკლესიისა ამის კედელთა და სუშტთა თანა არიან მიღგმულ
 5 ლოჳანი ხისა გამო ქმნილნი, თუთუელი თუთოთა კაცთა დამტევენელი, ერთისა
 წარისხითა უმაღლეს იატაკისა, რომელთაცა შინა შეეღვენან, გარდა შავისა
 ხალხისა, მოსმენად ლოცუსა. ოდესცა მათ შორის მყოფი სამღუდელთაგანი და-
 სჯდების ადგილსა თუსსა, მაშინ დასხდებიან ერისაგანნიცა, რომელთაცა ნებაგსთ
 იგი; და ვითარცა აღსდგების სამღუდელთა იგი, აღსდგებიანყე იგინიცა (სახეჲ
 ესე არს საზოგადო თუთიქემის სრულსა საბერძნეთისა ეკკლესიათა შორის).
 10 სამოციქულონი წარიკითხეს ბერძულად და არაბულად, ხოლო სახარებანი მთა-
 ვარდაიკონმან კათედრასა ზედა, ჩრდილოს კერძოდ მდგომარეჲსა სუშტისა
 თანა მიღგმულსა,—ბერძულად, და მღუდელმან, სამეუფოთა კართა შორის უკ-
 მოქცეულმან დასავლეთისადმი,—არაბულად. ესრეთუჲ ქადაგებანიცა ორთა
 ამათ ენათა ზედა. შემდგომად წირვისა შინ მოსლელუმან განვისუშნე რაოდენ
 15 მე და მასუენ წარველ ხილუად ეგვიპტის მფლობელისა მასუე ციხესა შინა,
 რომლისა თანაცა დამზღუნენ იბრაჰიმ ფაშა და ქაია ბეი
 თჳს მეორედ მიქლჳსა ფ- სნდომით, ხოლო ბოლოს უსუფ და სხუანი 100-მდე
 მისა მამად ალი ფაშისად მოკვლენი — დგომით. მიმოვიალერსეთ რა ურთიერთი,
 მკითხა მამად ალი ფაშა:

20 — ბეგზადა! ვითარ მოგწონსთ კაირი! ანუ უკეთუ გიხილვისთ პირამიდნი
 ფარაონისნი და სხუანი სიძულესთა თუსთა გამო ღირსნი ყურადმღებელობისა?
 ფრანგნი, ყოველნივე ახლად მოსლელნი, არ უტევენენ მცირესაცა რაჲსამე
 მათგანსა განუხილულად და სდებენცა მათ ღირსად შრომათა თუსთა.

მიუფევე მე: — ფაშა აფენდემ! მე ჳერეთცა არ მიპოვნიეს დროა მიქცევად
 25 გულისქმის-ყოფისა ჩემისა ძულთა მათ ღირსსაჰსოვართა ყოვლითურთ უსარგებ-
 ლოთა, ვინაჲთგან ვარ უფროს განხილვთ გამოძიებასა შინა, მხოლოდ ოდენ სმენისა
 ძლით განკარგებული, ცნობად, თუმცა არა ძულთა, გარნა სიახლეთა გამო
 თუსთა არ უმცირეს მათსა გონებისა ჩემისა მიმზიდულსთა, ახალთა შემოღე-
 ბულთასა, რომელნიცა მოართმევენ მამულსა სარგებლობასა და მიზეზსა მათი-
 30 სა შემოღებისასა — უკუდავსა სახელსა, რომელთაცა მსგავსი, რაოდენცა ვიცი
 127 მე, ადრით უკუჲ დროჲთუჲ არ უხილვისთ არცა კაირისა მცხოვრებთა და არ-
 ცა ეგვიპტელთა, და კუალად რომელთათუსცა უზნობენ უშორესთაცა ქუესყანა-
 თა შორის უფროს დიადითა განდიდებითა, ვიდრელა რა ძულთა მათ საჰსო-
 ვართათუს.

აჲ დაფიქრდა ფაშა, მსმენი თქემულთა ჩემთა, და შემდგომად მრქუა:—
 35 ბეგზადა! ვერ მივხუდი ძალსა სიტყუათა თქუშნთასა, თუ რაჲსადმი მიდრკების
 ჰაზრი მისი და ამაღ ვახოვთ, მით რამეთუ ცხადად მუუწყოთ მისთუს.

— ფაშა აფენდემ! მიუფევე მე, ძალი სიტყუათა ჩემთა იცუავს თუს შორის
 ყუავილოვნებითისა მდგომებისადმი კაირისა მოყუნად ცდასა: ახლად გაკეთე-
 ბულთა ფაბრიკათა, მანიფაქტურთა, ზავოდთა და ნილო მდინარეჲთ გაღებულ-
 40 სა არხსა, საშუაალქუსყანისა ზღუსა თანა შეერთებულსა ცურვად გემთა, თანა-
 სწორ ვითარ დატუასაცა მის ძლით მრავალთა ათასთა სულთა ქონებითურთ
 მათით, მიხედვსამებრ ნილოსის ზიარებისა უსენებულისა ზღუსა თანა, მახლობ-
 ლად როშტისა, სადაცა ექუშმდებარებიან ნაენი განსაცდელსა; მოსპობასა
 მძლავრებისასა, მკლებლობასა, ქურდობასა და მკლუშლობასა განუწათლებელ-
 45 თა ერთა შორის, მიცემასა სჯულისასა, რომლისაცა ქუესუე მწყისილნი ერნი და-

ტკებიან შეუშფოთებელითა ცხოვრებითა და ეგებინაცა მადლობითა და სიყუ-
არულითა მიზეზისადმი ესევითართა კეთილდღეობათაჲს თჳსთასა.

ფაშამ განმიწყვდა აქ სიტყუაჲ, მტკემელმან ჩემდა:—ბეგზადა! ეგვეითარი-
თა საუბრითა მიყოფთ მე მრავალსა უნამსახუროეცა პატივსა, რომელიცა
ნამდვლ უმეტესობს მათ ზედა, უკეთუ ძალ-მედუა მე ქმნად რაჲსამე სასარგებ-
ლოდ ჩემისა სამფლობელოჲსა.

მერმე მკითხა კუალად:—ბეგზადა! სწორედ ქართუშლი ხართა, ანუ მოს-
კოველი?

— ქართუშლი და ქუშვერდომი დიდისა როსისისა საიმპერატოროჲსა
საყდრისა.

ამასზედა მითხრა:

— ბეგზადა, უკეთუ გნებავსთ ხილუად მკედრობათა ჩემთა თალიმისა¹,
გამოგიგზავნი კაცთა და ცხენთა, მოლით ჩემთანა და ერთად წარვიდეთ ყურე-
ბად მათსა.

უპასუხე:—მე მზა ვარ აწ და შემდგომსაცა შინა და ოდესცა ინებოთ, მი-
ბრძანოთ მისთჳს.

მომიგო მან:—შაბათსა დილით. და წარმოველცა შინ.

მწუხრსა ამის დღისასა გაუგზავნენ მამად აღი ფა-
თხ ჩემ მიერ გაგზავნილ- შას ნარიჩისფერი წმინდა შალი, ნაკერი ჩინეთსა შინა
თა საჩუქრად ნივთთა მან- შის ნარიჩისფერი წმინდა შალი, ნაკერი ჩინეთსა შინა
მად აღი ფაშისადმი ოქროსმავთულითა და ზეზითა, სიგრძით ხუთ-ნახევარ და
სიგანით სამადლ-ნახევარი, შეკაზმულსა ცხენსა გარდა-

სახურაი; ამის შალისამებრვე ნაკერი მისთანავე შალი სიგრძით ორადლ-ნა-
ხევარი და სიგანით ხუთი ჩარეკი, შათირისა მკარასა სადებო; ერთი აბგა ლურ-
ჯისა განიტურისა ოქრომკედლით და ჩიგინით კერეილი თბლისისა შინა; ერთი
საათი სტოლსა სადგმელი, ოქრო-მინაქრით ქელოვებული და აკმარინოჲთა მო-
ოქვილი; ერთი წყვილი ვეცხლის შამდანი, ვეცხლისავე ქლუნით და ფოდნო-
სით სანკტ-პეტერბურლსა შინა გაკეთებული და სამი ჯიბის დანაჲ ანგლი-
ური, იშვითი გუარსა შინა თჳსსა, მსახურისა ჩემისა გრიგორ რუჲქეს პე-
ლით, რომელთაცა მიმღებსა ფაშას ებოძა მსახურისა ამის ჩემისათჳს ოცი
თუმანი აქაური ვეცხლად.

26-სა. სინა-მთის მეტოხის არხიმანდრიტსა იონიკიოს-
თჳს ჩემდა გამოგზავნილ- შას გამოგზავნა ჩემთჳს არმაღანად ერთსა მოდილო-
თა არმაღანთა სსინსა ზედა წყობით 14 გულაბი სხალნი და მეორესა

მისებრვე სინსა ზედა მღებარეჲ 14 ნაჭერი, ვითარცა მეგონა მე, საპონი მარან-
დულისა, რომელთა მომტანი. გავისტუმრე მადლობითა და საჩუქართა. ნივთნი
ესე დაჰკრძალა მიხაილიანოვმან ოთაღსა შინა მახლობელსა ჩემისა საწოლისა-
სა და დასრულებასა თანა სადილისასა მოილო სხალნი ესე, რომელთაცა სიმს-
ხოება და სიდიდეჲ არ ეთავაზების დიდროანთა კომშთა სიდიდეთა და გე:ოჲ
(თუმცა ადრით დროათუშ უცხო-ვკჳყავ თავი თჳსი ყოველთაგან ხილთა გემოვ-
ნებასა, გარნა ესე ვიგემე ამაღ, მით რამეთუ ვსცნა გემოჲ მისი, თუ ვითარ
განერჩევის გულაბთა სხალთა თბილისისათა) ყოვლითურთ უტკებესი ჰსენებულ-
თა თბილისისა სხალთა. ვგონებდი აქ პოენასა ნაყოფთა ამათ ხეთასა, გარნა
ესცან, რომელ გარდა სინა-მთის მონასტრისა ბაღთა, არასადმე იხილუშბიან
მახლობლად კაირისა. შემდგომ წარველ მიხაილიანოვითურთ არხიმანდრიტთა

¹ თ ა ლ ი მ ი — სეფურობა ანუ წერთა სათა.

თვს მოსლჳსა ჩემლა მამ-
მალ აღა მუსტოფა ქაია
რაზასსა

ნეკტაროსისა და იონიკოსისადმი; ხოლო შინ მოსლ-
ულსა დამხუდა ამბავი, ვითარმედ ყოფილა ხილვად ჩე-
მად ჩემს ყმად-ყოფილი მარტყოფელი კნოტისშვილი ანდ-

რეა და დღეს მაჰმადიანი მაჰმად აღა მუსტოფა ქაია რაზას, და დიდხანს.
5 მლოდნელი ჩემი, უკუნეკვეულ არს სახიდ თვსად, აღმტქემელი მომავალსა დღე-
სა კუალად ჩემდა მოსლჳსა.

27-სა. დღესა შაბათსა დილით ჩუშველისამებრ შემოიტანა მსახურმან
მიხაილციანოვისა კავა ვერობიულისა ფინჯნებითა შაქრითურთ, გარნა უნალ-
ბოდ. ხოლო დამწყობმან მათმან სტოლსა ზედა, გამოიღო საჩქაროდ წინას დღეს
10 მოტანილნი, ჩემ მიერ საპონად გონებულნი, და მოართუნა ავენტსა ჩუშნსა გრი-
გორი მიხაილციანოვისა. ამან მოსპრნა ერთსა მითგანსა ორნი მცირენი ნაქერნი.
და ჰშთაყარნა თუთო თუთოსა ფინჯანსა შინა შაქარწყობილსა, დაასხა კავა, და-
ვითარცა გადნა საპონად ცნობილი იგი, მაშინ ოდენ გულისგმა-ვჰყავ, ვითარმედ ესე.
არს ნაღები უჩუშველოა, საპონურად ქმნილი და გამკმარი, რომელთა ძლითცა-
15 ვისარგებლეთ განგრძობათა შორის რაოდენთამე დღეთასა.

თვს მოსლჳსა ჩემლა ბო-
ლოს უსუფისა

შემდგომ მცირედისა დროს განვლისა მოსლველმან ჩემ-
და ბოლოს უსუფ, მომკითხჳლმან ჩემმან სახელითა ფა-
შისათა, მრქუა:

— ბეგზადა! ფაშა აფენდი ჩემი ითხოვს წინაშე თქუენსა ბოდიშსა დღეს.

20 წარუსლველობისათვს ხილვად მხედრობათა მისთა თალიმისა, ვინაჲთგან მოუ-
ლოდებულთა საქმეთა, რომელნიცა შეემთხვენენ მას, არ უტევეს იგი მუნ წარ-
სვლად; ხოლო სხუასა დროსა უთუოდ სურჯს მას ჩუშნებად თქუენდა ჯარისა.
თვსისა წვრთათა შორის მათთა. მათ შორის მისცა ბრძანებაჲ ჩვენებად თქუენ-
და ფაბრიკათა, მანიფაქტურთა, ზავოდთა და ესევითართა, ოდესცა ინებებთ.
25 თქუენს განხილვისა მათსა.

თვს მეორედ მოსლჳსა ჩე-
მალ მაჰმად აღა მუსტოფა
ქაია რაზასსა

და ვითარცა წარვიდა ესე, შემოვიდა მაჰმად აღა მუს-
ტოფა ქაია რაზას, რომელსაცა გავექმე თათრულად-
და, შემპყრობმან ჯელისა მისისა, დავიწვივე ჯდომად.
კკითხე მშუდობისათვს მისისა თათრულადვე, ხოლო იგი.

30 თუმცა მომემადლობა ენითა ამით, გარნა ღიმილით მმეტყუელმან მრქუა ქარ-
თულად: „ჩემო ბატონო! ვილაპარაკოთ ქართულად“. ამას ზედა თანაგმა-ქმნილ-
სა მომწულა მოგუცებული ესე, მომთხოვი ბოდიშისა ესევითარისათვს კადნი-
ერებისა, მომეხვევა, მაკოცა მგარსა, მკერდსა, ჯელთა და ვიდრე მუგლთაცა.
მიკვრდა მოგუცისა ამის ესეგუარი კეცევაჲ და უფროს მიხარულებისა ძლით.

35 ტირილი მისი, რეცა რაჲსამე საგოდებოჲსა მხედვსა. შემდგომ, წარკლდომასა თანა
მიმოუფრიობითთა გრძობათასა, იწყო ლაპარაკი ქართულად უცნობათა ლექსე-
ბითა, ვითარცა მეციციერმან ენასა ზედა წერილთა. ხოლო რაჲცა შეეხების.

129 ენათა არაბულსა, სომხურსა და თათრულსა, უწყოდა სრულებით. სხუებრ კაცი
ესე ჰვავს უფროს თბილისისა მოქალაქესა ზრდილობითა, უბნობითა და ქეცე-
ვათა ძლით მისთა, ვიდრეღა გლეხსა საქართუშლოჲსასა, თუმცა იტყვს თავსა.
40 თვსსა მარტყოფის სოფლით კნოტისშვილად, ნიშნობით მამულსა, სახლსა და-
ადგილსა წინაპართა თვსთა, თანასწორ ვითარ სხუთათცა მუნებურთა მემკვდრე-
თასა, და კუალად მთისა, წყლისა და ბარისათვს მიჯნებითურთ განჩრევით.
ამან მთხოვა ვედრებით, რათა მივსცე ნებაჲ თვსისა ბიძაშვილისა, მსახურისა ჩე-

45 მისა გლახა კნოტისშვილისა წარყუანად სახლსა შინა მისსა, რომლისათვსცა
კმა-ყოფილი ჩემგან წარვიდა მისითურთ. დროსა სამკვრობისასა წარველ მიხაილ-

ციანოვით არხიმანდრიტისა ნექტარიოსისადმი და მისლულმან მისდა, ვსთხოვე ხუალისად წირუაჲ ღმრთისადმი განსუწმებულისა საქართულოს მეფის გიორგი მე-13-ისათჳს ესკი კაირსა¹, ტაძარსა შინა წმიდისა დიდისა მოწამესა და ძლევამოსილისა გიორგისსა და მიმღები მის მიერ აღთქემისა, წარმოველ შინ. ამასვე დღესა მივაწერინე მიხაილციანოვსა დამიეტს მყოფისა როსსიის აგენტი-სადმი წერილი, წარმოგზავნისათჳს ჩემდა სარწმუნოს კაცის ჳელით სომხი-სა ოსეფა ფულუაშვილისა.

28-სა. წარველ განთენებადმდე მიხაილციანოვითურთ თჳს წარსლჳსა ჩემისა ეს-
კი კაირსა
ესკი კაირსა, ჳემოგწენებულსა ტაძარსა ანუ მონასტერ-სა შინა და მივედით დროსა ცისკრის ჩამოლოცვასა.

ჩუშველებისამებრ აქაურთასა იწვეს მყისუშ ლიტურგიაჲ სანატრელისა მე-ფისა გიორგისათჳს და ჳემდგომ მისა პანხიდი. აქედამ აღვევდით საპატრიარ-ხოსა სახლსა, მივილეთ მურაბა, წყალი, კაჲ და ჩიზუნხი, მიმოვეთ გარემოს მონასტრისა ამის და შიმშადლებელი არხიმანდრიტისა ნექტარიოსისა, გავემ-შვდობე შინ წარმოსლუად, გარნა მან არ მიტევა, მთხოველმან სადილად მას-თანა დაჰშთომისათჳს. აღვევდით კუალად დანიშნულსა

თჳს სადილად დაჰშთომი-სა ჩემისა არხიმანდრიტი-სა ნექტარიოსის თანა
სახლსა და მოილესცა სადილი, რომლისაცა განგრძობა-სა შინა აღავსნეს სტაქენები კომანდორიითა. აღსდგა არხიმანდრიტი და ჩვენცა შევეუდგეთ მაგალითსა მისსა,

მივილეთ სტაქენები ყოველთავე, წარსტჳუს კრებულთურთ ვალობაჲ და შე-მდგომ ჳმა-ჰყო ნექტარიოს: „ღღეგრძელდეს იმპერატორი როსსიისა აღექ-სანდრე პირუსლი და მისცეს მას ღმერთმან წარმართებაჲ კეთილი, ჳემოსოს მჳედრობაჲ ამის მძლველომითა ყოველთა წინააღმდგომთა მტერთა ჳედა მის-თა და სარწმუნოებისა ჩუშნისათა“. ხალო კრებულმან დართო ვალობითა სამ-გზისა: „ამინ“. და დავლიეთ ლეინოჲ იგი. მერმე ვიხმივეთ საღღეგრძელოდ აქა-ურისა პატრიარხისა თეოფილესა, სამთა სხუათა პატრიარხთა სოფლიოთა, ყოელისა როსსიის უწმიდესისა სინოდისა, განსუწმებულისა მეფისა გიორგის სულისა, ჩემთჳს, მიხაილციანოვისა, არხიმანდრიტისა ნექტარიოსისა, უკანასკნელ მონასტრისა ამის კრებულთათჳს და აღვსდევითცა სუფრით.

29-სა და 30-სა რიცხუთა შინა დაჰშთომილმან შინ განვატარე დროჲ აქაურთა ჩინებულთა ბერძენთა, სომეხთა და კუალად საიდუმლოდ დაფრანგე-ბულთა ნასომხართა თანა ჩემდამო მოსლველთა. მწუხრსა ამის დღისასა მივი-ღე დამიეტით წერილი სომხისა ოსეფა ფულუაშვილის მიერ, რომელიცა აღნი-თქვამს მის ძლით 12-სა დღედმდე მოსლულად ჩემდა.

31-სა წარველ აგენტიურთ ჩუშნით ხილუად აესტ-რის ლენერალ-კონსულისა კარლო როშეტოსა, რომ-ლისათჳსცა იტყვიან, მით რამეთუ ყოფილიყოს იგი მხო-ლოდ ხრისტიანეთა ევროპიის ჳელმწიფეთა კონსულად

54-სა წელსა, გარდა როსსიისა, და ჳემდგომ ოდენ ლე-ნერალ-კონსულად ჳელმწიფისა თჳსისა. ამას მოეგზავნა ჩემდა ძმისწული თჳსი მოლოცვად ჩემდა ჩემისა აქ მშვდობით მოსლჳსათჳს მაშინ, ოდესცა სხუანი კონ-სულნი მოვიდნენ ჩემდა. ამის გამო ვიხილუშ როშეტოჲ ესე შობით თჳსით 127-ისა წლისა, ახლოს ფანჯრისა ჳუშშე საგებელსა ჳედა მჯდომი, თავშებუ-სული და ჳე საბანსხმული, რომელიცა ძნიად შემძლებულ იყო შეძრუად სხე-

¹ ესკი კაირი — ქუშლი კაირი ანუ მისირი.

ულისა ანუ წევრისა თვისისა რომლისამე და თუთიქემის მცირედცაა ვერა მ-
ტყუშლუბად, აკლდა სრულიად სმენაჲ. უკეთუ ეტყოდნენ რასმე, მაშინ ძლიე-
რად ჰშთაჲვირიანყე ყურსა, ხოლო დროსა მისისა პასუხის მიღებისასა და-
დებდიან ბაგეთა ზედა ყურსა და ესრეთ მიხუდიან თქემულსა მისსა. ეამსა ამას
5 იქმარა ჩუშნ შორის თანამდებობაჲ მოენეობისა მიხაილციანოვმან, რომლისა
ძლითცა მრჭუა მქცოვანმან ამან:

— „პრენჩიბე! ვმადლობ ღმერთსა, დღეს სრულმყოფელსა ჩემისა სურვი-
ლისასა განგრძობასა შინა 95-თა წელთასა, რომელ ღირს ვიქმენ ხილუად აქ
მოსლუველისა როსისის იმპერიის ლენერალისა, ვინაჲთგან არათუ ოდენ მიხილ-
10 ვიეს მუნით მოსლუველი ვინმე, ერთსარწმუნოებითა მისდა შეკრუული, არამედ
არცაღათუ მსმენიეს; გარნა დღეს, მიმდებთ მოსლვითა თქუშნითა მას შინა კმა-
ყოფისა, არა უკუშ ამოვებ სუშსა ზედა ჩემსა, მგულევები კაირსა შინა როს-
სისის მოწესეჲსა. ხოლო აწ არა მგამა უკეთუ მოვკუდეცა, ვინაჲთგან იქმნე-
ბის იგი მხიარულებითა გულსათა დამტყევებელი მშვდობისა ყოველთა მიმართ
1 ხ' . . . ნეთა ერთად თქუშნითურთ“.

აქ შემოიტანეს მურაბა და წყალი, რომელიცა მოგვართუნა ჩუშნთანა
მჯდომმან მოწყუებულა ბანოვანმან, ოქროქსოვილითა სამოსლითა მოსილმან და
მრავლითა პირად-პირადითა აღმასთა სამკაულებითა თაე-ჯელ-მეკერდრთუელმან.
ამანვე გევსმივა კავა და ჩიბუხი, რომლისათსცა მრჭუა მიხაილციანოვმან, ვი-
2 . . . მედ დედაკაცი ესე არს მესამეჲ მეულღე 127-წლოვანისა ჰაბუქისა კარლო
როშეტოსა და არცა ერთისა თანა სხმიანყე შვლნი.

1820-სა წელსა, იანუარსა 1-სა

თუხ მოსლუჲა ჩვენდა კონ-
სულთა და ზაღისა სპი-
რდონ სივინისაგან ზიცი-
მულისა

მოვიდნენ ჩუშნდა ყოველნი კონსულნი ევროპიისა,
გარდა ანგლიელისა სოლტისა, ესრეთუშ ბერძენთა სამ-
ლუდელ-საერონი, ჰაოსიანთა ებისკოპოსი მიკირტიჩ კრე-
ბულით თვსით, ვაჭარნი საფრანგეთისა და აქაურნი მო-
ლოკუად ახლისა წლისა. დღესა ამის მწუხრსა მისცა სპირიდონ იეგოროვიჩ-
მან სივინიმ ჰსენებულთა კონსულთა, ვაჭართა და ვიეთთამე აქაურთა ხრისტი-
ანეთა ბალი სახლსა შინა ფრანკუზისა მუსიო დ' ასლანისა, ფრანციის კონსულად
ნამყოსსა. ოდესცა შეკრებულ იყვნენ მუნ ყოველნი წუშეულნი, მოვიდა ჩემთან
30 კანსელერი აგენტისა ჩუშნისა პეტრიაკი რილოლფი და მიმიწოდა მუნ მისლუად.
31 ვითარცა ჰშთავედით მიხაილციანოვითურთ სახლით ჩუშნით ქუჩასა შინა, ვპოვ-
ნეთ ორივე კერძოჲ მისი სახედ და სახედ კიდებულთა ჰქიქსა კანდელთა შო-
რის სხუად და სხუად ფერად აღნთებულთა ცეცხლთა მიერ განათლებული,
36 ვიდრე სახლადმდე შესაკრებელისა; ხოლო შესლუასავე ჩუშნსა მას შინა დასც-
ნეს ჰმანი სამუსიკოთა ორღანოთა და განემზადნენცა როკუად. მათ შორის, მი-
ვემშვიდობე რა რომელთამე უჩინებულესთა მდედრთა და მამრთა, იწყეს ცუნ-
რუკებად, რომელნიცა უმეცრებისაძლით სცდებოდიან ხშირად და რომელთაცა
უმართლად ერთი ფრანკუზი, აქაურთა ვიეთთამე ყრმათა ტანცობისა მასწავლე-
40 ბელი. აქ დავჰყავ ვიდრე სამს ეამადმდე, გართუელმან საუბართა შინა ანგლი-
ისა და შვეთისა კონსულთა სოლტისა და ბოხტისა თანა; გარნა უკანასკნელი
ესე, მგონები ვითარ-იგი მსუანიცა მსგავსნი მისნი, მით რამეთუ ვარ მე უთუოდ
მქონ ვითარისამე საჯელმწიფოჲსა საიდუმლოდ რწმუნებულისა საქმისა, განგრ-

ძობასა შინა ჩემთანა უბნობათა თვსთასა მრავალგუარათა სასარგებლოთა სა-
განთა ზედა, რომელთაცა მიღებად (სიტყუათამებრ მისთა) გელეწიფების დიდ-
სა როსისისა იმპერიასა, ცდილობდა ცნობად ჩემგან მიზეზსა ჩემისა აქ მოსლუ-
სა, და რაოდენცა ვარწმუნებდი მას ნებისთა მწირობასა შინა ჩემსა, ეგოდენ
და უფროსცა ვხედვდი მას ჰაზრსა შინა თვსსა დამტკიცებულად და თქემულთა
ჩემთა არ შემწყნარებულად. და ესრეთ დამტკიცებელი ბალისა ამის და მისიცა
ერთად, წარმოველ ბინისადმი ჩემისა სახლის პატრონითურთ ჩემით.

2-სა. ვსცან, ვითარმედ სალიძბაშ იხტეარი უსეინ ალა ცდილობს სადმე
გათათრებად ჩემთანა მოყოლილისა სვიმონ ტაბლიაშვილისა, მისისა მძისწული-
სასა. ამის გამო მოვაყუანინე უკანასკნელი ესე ცნობად მართლისა. ხოლო ოდეს-
ცა აღიარა ამან სიმართლედ ჩემ მიერ სმენილი, მაშინ რაოდენ ძალ-მედლა გან-
ვაკრძალე იგი ესევეითარისაგან ღმრთის წინააღმდეგისა საქმისა და დაეარწმუნე,
რომელ არავინ შემძლებულ არს დაყენებდ მისსა აქა. შემდგომ საგანგებოს კა-
ციით შევეუთვალე უსენებულსა უსეინ ალას და დაეკადეცა, ვითარმედ, უკეთუ
კულად გავიგონებ მისსა ესეგუარსა ქცევასა სვიმონის ზედა, უთუოდ შევატ-
ყობინებ მისთვს მაჰმად ალი ფაშასა და ესთხოვეცა დარჩობასა მისსა (ვინაჲთგან
ჰგონებდნენ საზოგადოდ აქაურნი, რომელ ფაშა, ჰაზრისამებრ მათისა ფრიად
პატივისმცემელი ჩემი, აღმისრულებს თუითქემის ყოველსა თხოვასა ჩემსა და
უფროს ესევეითარსა, მისთვს არარად საღირსსა), რომლისა ძლითცა უსეინ ალა,
გამგონი არა დია საამოჲსა მისთვს ალერსისა, მოვიდა ჩემდა, რეცა ხილულად.
ამან მოითხოვა ბოდიში და განსამართლებულად თავისა თვსისა მრქუა: „ბა-
ტონო ჩემო! ვინ მოგაქსენათ თქუშნ, რაჲცა ვუხუმრე მე მძისწულსა ჩემსა სვი-
მონს და უუთხარ გამოცდით გათათრებისათვს?“

გარნა მე, მიძლებმლა თქემულთა მისთა შეურაცხებითა, განუუუმორე მას
პირველივე შენათვალი და განუდევნე გარე.

3-სა. წარველ ხილულად უსუფუნ კუისა¹. ესე არს
თვს იოსების ჭურღმუ-
ლისა დირსი ესოვად და ყურადმღებელობისაცა ციხესა შინა
სულთან სალაღინისსა კასტელს. ჭურღმულსა ამას აქუს

სიდრმეჲ 280 და სიმგრგულეჲ 42 ფუთი, აღმოშენებულ საკირისა ქუშბითა.
განყოფილ არს საკუთარს ჭურღმულად და მცირედ დაალმატრებულ ერთი მე-
ორისაგან. ჰშთაისლუშბის მას შინა მგრგულისა ანუ შემოხვევეულისა კიბითა
კლდესა შინა გამოკუშბელითა, გარნა ჭურღმულთან თხელისა კლდის კლდითა
თა განყოფილითა. კედელსა ამას ადგილ-ადგილად ჰქონან ფანჯარანი, არამედ
უფროსაროდ ძნელ არს მუნ ჩასლუად. შორის ორთა ამათ ჭურღმულთა არს
ჩალხი გართა მიერ საბრუნებელი. ესე იღებს ერთსა ჯამსა შინა 73-სა ვედრა
წყალსა, რომელნიცა, ვითარცა მომართველნი ჯამნი, დაუცხრომელად ასხმენ
წყალსა ჰაუზთა შინა, რომელთაგანცა მსგავსითავე წყლის ამოსაღებლებითა
აღაქუსთ თანასწორვე იგი ზეით, გარნა არს რაოდენმე მლაშე, მაშასადამე
უვარგოცა საჭმარად კაცთა, რომლისათვსცა გმარობენ წყალსა ნილოსისსა. აქე-
დამ წარმოსლულმან გარე კასტელ ციხისა, ენახე სპილოჲ 15-ისა წლისა, მო-
ყუანილი ინდელთა მიერ არმაღანად მაჰმად ალი ფაშისად. შემდგომად წარველ

თვს კაირისა ჩინებულთა
სახაფლაოჲსა გარე კაირისა სასაფლაოჲსა ზედა აქაურთა ჩინებულთა
მაჰმადიანთასა. სიგრძე ამისი იქნების ვერსტადმედ და
სივრცეჲ უმცირეს ნახევრისა ვერსტისა, რომელიცა შო-
რით ჰგავს უმეტეს მცირესა ქალაქსა შნოიანად შენებულსა, ვიდრეღა მას, რაჲ-

¹ უსუფუნ კუი — იოსების ჭურღმული.

ცა არს იგი ნამდვლ. ახლოს ამისა, განკერძობულსა ადგილსა არს გალავანი
ოვხ მაჰმად ალი ფაშას სასაფლაოხსა და მას შინა ჯამი მომცროჲ მჰმილაეთა მიერ კრძალვეუ-
ლი და სახლიცა მოლათათჳს სადგომად. ესე აღუშენე-
ბიეს მაჰმად ალი ფაშას სასაფლაოდ თავისა თჳსისა,

5 ცოლთა, შვილთა და ჰჳთამომავლობათათჳს თჳსთა. ჯამსა ამას შინა, უპირვე-
ლესსა ადგილსა არს დაფლვეულ შვილი აღმაშენებელისა ამის ტუხსუნ ფაშა;
ესრეთუჴს სხუანიცა არიან საფლავნი ორთავე ფაშათა ამათ შვილთანი თეთრითა
მარმარილოთა ქმნილნი, ოქროხსა ვარაკითა და ფერადითა წამლებითა შემ-
კობილნი და თითბრისა მავთულითა გარემოწუნულნი, თანასწორ ვითარ საფ-
10 ლავიცა განმზადებული მაჰმად ალი ფაშისა მიერ თავისათჳს თჳსისა, გარნა
უკანასკნელსა ადგილსა და თჳნიერ მცირისაცა განუშენებისა. გარე ჯამისა ამის
და შინაგან გალავნისა არიან საფლავნი მფლობელისა ამის ნათესაეთა, ერთ-
გულთა და საყუარელთა, შემოზღუდვილნი მდაბლისა კედლითა.

აქედამ უემოქცეველთა გამოვლეთ ბულაქისა ძლით.
15 ოვხ ბულაქისა ბულაქი ესე არს წინა ადგილი შენობიანი, კაირით და-
საკლეთისა და ნილოს აღმოსავლეთისა კიდურსა ზედა მდებარეჲ, მშორები
ქალაქითა ამით უფროს ნახევარ მილისა. შორის მისა და კაირისა იხილავ
სახლთა, ვაკეთა ადგილთა და ლამაზთა ჰაუზთა, რომელნიცა დროსა ნი-
ლოსისა გარდადინებისასა აღიესებიან წყლითა; ხოლო ახლოს ქალაქისა მდე-
20 ბარეთა ჰაუზთა შინა, ჰსტურვეწყე აქაურნი ღონდოლებითა¹, მოცულთა
სახლებითა და სამოთხუშორდ ნაკუშთიანითა გზებითა. ბულაქისა ამის თანა
სდგებიან ნაენი ღუზთა ზედა, მოსლველნი ალექსანდრიით, დამიეტიით და
სხვთ და გარდომოდებლობენ აქ რომელსამე ნაწილსა საქონელთა თჳსთასა.
ბულაქი ესე არს თუმცა იწროჲ, გარნა სიგრძეჲ ექმნების ნახევარი მილი
25 ნემეციისა და მასთანაცა ჰქონან არა მცირენი ქარვანსარანი და ადგილ-
ნი საქონელთა შესანახავნი.

4-სა. მოვიდა ჩემდა აგენტი ფრანციისა მუსიო გას-
ბარ, რომელმანცა მაჩუქა მწუანესა ჰეასა ზედა მოჭრილი
133 ოვხ ხილუად ჩემად მო- ხატი უფლისა ჩუშნისა იესოსი, ბაიათბის სახისა წარ-
სლჳსა ფრანციის აგენტის მამაყენებელი. მერმე შემოვიდა ლენერალ-კონსული ანგ-
30 გასპარასი მოვლითა მობოდიშებელი მოუსლუშლობისათჳს თჳსისა მოლოცუად ჩემ-
და ახალისა წყლისა, და შემდგომად მისა მოვიდა ღიშპანიის ლენერალ-კონსული
კრეზო. დღესა ამას მოიყუანეს ჩემდა მსახურთა ჩემთა ერთი რუსი ნასალდათარი
დავით ალექსიევი, ძე ბაზლიძისა, კიეველი, როსსიით გამოქცეული, რომელ-
35 მანცა მუტლთა ზედა დგომითა და ცრემლთა თხევითა მიწყუა ვედრებად წარ-
მოყუანისათჳს თჳსისა როსსიასა შინა. ამისთჳს მრქუჴს მსახურთა ჩემთა,
რომელ თუითქემის დღით მოსლჳსა ჩემისათ აქა უვლია ყოველ დღე მათ-
დამი საგანსა ამას ზედა.

5-სა. წარველ ცისკრად სობორსა შინა წმიდისა მა-
40 ოვხ წაღკურთხევისა მისა ჩუშნისა და საკრველთმომოქმედისა ნიკოლაოსის-
სა. შუევასა ადგილსა ამის ეკკლესიისასა იყო ამვონი დადგმულ, ოთხსუშტოვან-
კამაროვანი, მოკრველ-ხურვილნი ფარჩითა და მორთველნი მრავალგუართა
სუნწელთა ყუავილთა მიერ. შორის სუშტთა ამვონსა ზედა იდგა საკმაოდ დი-
დი სიმგრავლით და სიმაღლით ხონი ვეცხლისა სავეს წყლითა, ხუფ-ხურვი-

¹ დონდოლი—ნუშა არს სხუჲ გუარი.

ლი. მლოცავთა სიმრავლესა ვიტყვ ოდენ, მით რამეთუ ვერ იტევდა წმიდა ტა-
 ძარი ესე, უფროს საშუვალისა სიდიდისა მექონი. დროსა ცისკრის გამოსლ-
 ვასა გამოვიდა საკურთხეველით ერთი იერომონოზოსი ოლარკიდებული, რო-
 მელსაცა მოსდევდა ერთი მსახური ეკკლესიისა. პირველ დასდგნენ წინაშე მი-
 ხოვრის ზატისა, გამოისახეს თვს ზედა სამგზის ჭუარი და შემდგომ იწვეეს მო-
 სლუად ჩუენ ყოველთადმი. იერომონოზოსსა ამას ეყურა კალამი და ქალაღი,
 ხოლო მსახურსა მას—თებში მოდიდო, ვეცხლ-საწერელდგმული. მონოზონი ესე
 სწერდა სახელსა და გუართა დამსდებთა თეთრისათა თებშსა ზედა და რომელ-
 თაცა მათგანთა არ უწყოდა სახელი და გუარი, ჰკითხვდა მასვე შემწირულსა
 მათთვს, და ესრეთ სრულ-ჰყოფდა თანამდებობასა თვსსა. ამისთვს კვითხე მი-
 ხაილციანოვსა, რომლისა მიერცა მივიღე პასუხად, ვითარმედ ბერი ესე შემტა-
 ნი სიისა მის საკურთხეველსა შინა, დასდებს სამკუქსოროსა ზედა და შემწირვე-
 ლი საიდუმლოვსა მსხვერპლისა, აღმოიღებს ნაწილთა ყოველთა მათთვს ყამსა
 კუქსოროსა. არხიმანდრიტი ნეკტარიოს იყო მწირული ექვსითა თანამწირველ-
 ბითა და ორითა მთავარდიაკონითა. ცერემონიასა საეკკლესიოთა იყო ამით უფ-
 როს სახილველად სასურვ, რომელ ფლობასა ქვეშე მაჰმადიანთასა თრგუნვილ-
 ნი ხრისტიანენი სრულითა და წმიდითა სასოებითა ასრულებენ წესსა მართლ-
 მადიდებლობისასა. ოდესცა აკურთხეს წყალი, კაცად-კაცადსა აქ მდგომთა-
 განსა სწაღდა პირველ ყოველთა სხუათა მიღებად ჰურითა თვსითა წყლი-
 სსა მისგან, რომლისათვსცა მიწვეულთა მისდამი დასდარგუნვეს ფერჯთა ქუქსე
 სამნი კაცნი, ფრიადისა შერომითა მყისვე გარე ეკკლესიისა გატანილნი
 და სიკუდილ მიქდილნი.

თვ წარსლვსა ჩემისა შებრას შემდგომად მისა წარველ შებრას ხილუად მაჰმად
 ბლი ფაშისა. მისლველსა მისდა მომეგება კიბისა თავსა
 აღოს უსუფ და შემიძლეა სამყოფსა ფაშისასა, რომე-
 ლიცა სვდა დივანსა ზედა და ჰყუა მოშორებით თვსა მქდომი ვინმე ჰალარა-
 რთუელი თათარი კონსტანტინოპოლით ახლად მოსლველი. მფლობელმან ამან
 დამსლუა ახლოს თვსსა, მოაღებინა კავა და შემდგომ დალვეისა მისისა, დაით-
 ხოვა თათარი იგი, უბრძანა ბოლოს უსუფს დაწლუათ კართა და შემყუანმან ჩემ-
 მან უშინავანესსა ოთაღსა შინა, მრქუა: „ბეგზადა! სახლი ესე მაქუნდა და-
 ნიშენულ თქუქსთვს სადგომად, გარნა თქუქს არ მიიღვეით იგი“.

ოდესცა კერძოდ ჩემით მივემადლობე მას მისთვს, ესთხოვე ესრეთუქ, მით
 რამეთუ გამომიცხადოს მე მიზევი ესთა მოულოდებელისა კეთილდაწესებისათვს
 მისისა ჩემდამო, რომელსაცა კულად არ აქუს შესაბამი ცნობაჲ და რომელსა-
 ცა არცაღათუ მცირედ უმსახურიეს მიზილუად თვს ზედა მის მიერ ესევეითარი-
 სსა განსხუებისა. მაშინ, შემპყრობმან ჰელისა ჩემისა, მომიგო:

— „ბეგზადა! მეგობარი ჩემო! ვითარ დავერწმუნო მე, რომელ თქუქს
 ხართ უკუქს მოსლველ აქა, გამომლველი ესოდენისა გზისა ჰმელთა და ზლუა-
 თა ზედა, საკუთრად ყვთვსმარითვსა¹ ხილუად, ანუ არ გნებავსთ თქუქს ნდო-
 ბაჲ ჩემდა, რომელსაცა მიყუარ და პატივს-გცემ სიწრფოვითა გულისათა და
 რომელსაცა მწადს განცხადებად თქუქსდა ყოვლისავე ჰაზრისა ჩემისა შემდგო-
 მისათვს დროესა, და რომლისასაცა გეტყვ, ბეგზადა, უწყის ლმერთმან, რომელ
 თვს უსარწმუნოესთაცა ჩემთა უფარავ მას, რაჲსაცა აწ ისმენთ ჩემ მიერ“.

¹ ყ ვ თ ვ ს შ ა რ ი თ ი — არაზნი, თათარნი და ოსმანიაზნი იერუსალიმს უწოდებენ სახელითა ამით.

აქ მოჰყუა მგლობელი ესე ესეგითართა საგანთა ზედა უზნობასა, რომელთათჳსცა მაყენებს მე აწინდელი დროე მოქსენებად აქა და ესრეთ დაჰშთეს იგი მერმეტა დროდმდე საიდუმლოებასა შინა.

6-სა. წარველ ცისკრად სახლისა პატრონითურთ ჩემით, სადაცა ლიტურგიასა ზედა შემდგომ სახარებისა იქადაგა ბერძულსა და არაბულსა ენათა ზედა არხიმანდრიტმან ნექტარიოს, რომელიცა იწერების ჭუარსა ერთისა ტრიკლიითა¹.

7-სა ვნახე ფაბრიკანი ფაშისა, ესე იგი ბანბისა, სადაც არიან 40-მდე დასაგები. უდიდესთა თუთუელთა დასაგათა ზედა ასხენან 260-ნი და მომცროთა—250-ნი ტარნი. ამთ ზედა ართუშნ ბანბასა ჩარხებითა, ჰპენტუშნ, აქულაებენ და აფთილაებენ აქვე სხუთა ჩარხებითა. მეორეთა ფაბრიკათა შინა ჰქსოვენ ფარჩათა ზეზიანთა, ხვედთა, ატლასთა, განიტურთა, თათათა, კანაოსთა, კალაშქართა, ტლოთა, მაულთა, ორხუათა, კალპაკთა, თათნართა, ჩულქთა, წინდათა, შალთა, ტელსაწმენდთა, ცხვრსაჯოცთა, პირსაჯოცთა და სხუთათა. შემდგომ განეიხილვეთ ზავოდნი თითბრისა, რკინისა, კალისა და ტყუვი-სა, რომელთაცა შინა აკეთებენ ყოველთა საბრძოლველთა იარაღთა და სხუთათა საქმართა ნიეთთა სახლთა შინა. მოძღურებად არიან ფაბრიკათა და ზავოდთა ამთ შინა ფრანკუზნი და ანგლიელნი ჭამაგირით ჰყრობილნი, ხოლო მუშაყე-ბად—არაბნი და თათარნი, ესრეთუშსასყიდლით დადგინებულნი. აქედამ შინ მოსლველსა დაშულდა ნასაღდათარი დავით ბაზიოიძე და მთხოვა დაუვიწყებ-ლობა მის მიერ ვედრებულისა წარმოყუანისათჳს მისისა როსსიასა შინა.

8-სა. წარველ მიხაილიანოვით ესკი კაირს, მონასტერსა შინა წმიდისა დიდისა მოწამისა და ძლევაშობილისა გიორგისა, ვახდევინე პარაკლისი იერო-მონოხოსსა მაკარიოსსა წინაშე წმიდისა მოწამისა ამის ნაწილისა, რომელ-მანცა შემდგომ რაოდენმე მოშორებით მონასტრისა ამისგან, კერძოდ აღ-მოსავლეთისად, მაჩუნა ძუშლი ეკლესიაჲ, აღშენებული სახელსა ზედა ყოვლად წმიდისა ღმრთისშობლის კრებისასა და დღეს თუთიქემის სრუ-ლიად დაქცეული. იტყვან, ვითარმედ ტაძარი ესე იყოს უპირველეს ყო-ველთა სხუთათა ეკლესიათა აღგებული, ვითარნიცა ოდესმე ყოფილან და არიან ეგვიპტეს შინა. აქედამ მოქცეულთა განეიხილვეთ ღირსსაჯსოვარ-ნი ესკი კაირისა და მოვედით რა შინ, ვპოვნე სვიმონ ტაბლიაშვილი, რომელმანცა, ხილვასავე თანა ჩემსა, შემომჩვილა, მით რამეთუ ბიძასა მისსა უსეინ აღას შეუკრებიან სახლსა თჳსსა ნაქართველარნი მოჩვეულად სვიმონისა ამის, რათა დაემორჩილოს ესე ნებასა ბიძისა თჳსისასა, მიიღოს მსჯული მაჰმა-დისა და ემკდროსცა სიმდიდრესა და ქონებასა თჳსისა ბიძისასა. მსმენმან თქემულ-თა ამთ, წარგვზავნე მსახური ჩემი გრიგორ რუაძე უსეინ აღასადმი და შევეუ-თვალე, ვითარმედ დასცხრეს იგი ესოდენისა ბოროტ ღონისძიებისაგან და ნუ შერების ცდუნებად ძმისწულისა თჳსისა; გარდა მისა დააყენოს ესრეთუშ ნა-ქართველარნიცა იგი ესეგუართა რჩევათაგან, რომელნიცა უეიან მას ორღანოდ თჳსად მიხედვსამებრ სვიმონის გათათრებისა და უკეთუ არა, მაშინ თანამდებ ვიქმნები მეცა სხებერ მოქცევად მისდამი. აწ მოვიტყევი პირველისავე საგნისა, ესე იგი ჩემ მიერ ხილველისა და გამოძიებით ცნობილისათჳს ესკი კაირი-სადმი.

¹ ტ რ ი კ ი ლ —სასანთლემ მღუღელთმთავართათჳს საქმარებელი ეკლესიასა შინა.

თჳს ეხკი კაირისა ანუ მისი კაირი ანუ მასრ ელ-ატაკი არს ესრეთუჲ არა მასრ ელ-ატაკისა მცირეჲ წინაადგილი შენობიანი, მდებარეჲ აღმოსავლეთისა კიდურსა ზედა ნილოსისასა, ქალაქით სამპრეთისადმი და ნამყობა ნაწილი ფოსტატისა, ძუშლისა არაბიელთა საყდროსისა. ოდესცა ამგრმანსა, მკვდართმთავარსა ომარისასა, დამფლობსა კერძოსა ამის ეგვიპტისასა უნებებუეს უმო- 5 რეს წარსლუად აღექსანდრიისადმი ჯართა თჳსითა, მხილუშლსა ტრედისასა მკეთებელად ბუდისა თჳსისა, უბრძანებუეს, რათა არავინ შეეხნენ მას და არ დაურღვიონ ბუდეჲ. არაბთა შეურაცხიესთ წარმოებაჲ ესე კარგს ნიშნად თავისათჳს თჳსისა, გამოურჩევიესთ ადგილი იგი აღშენებად ქალაქისა, რომლისა- 10 ცა დამაფუძნებელთა 642-სა წელსა შემდგომად შობისა ხრისტიანისა უწოდებუესთ მისთჳს ფოსტატად¹.

ფოსტატი ესე ყოფილა მასრად ეგვიპტისა, გარნა ვინაჲთგან შემდგომ მისა უწყეით აღშენებად კაირისა, მაშინ ტსენებული ქალაქი მოსლვეულ არს დაქცევად და წოდებულ არსცა ამის გამო ძუშლს მასრად, ხოლო სხუშპრ ძუშლს საყდროსნად. მხოლოდ ოდენ ევროპელნი უწოდებენ ძუშლს კაირ-ფოსტატად, რომელიცა სრულიად არ უხდების ენასა არაბიელსა. 16

მისთჳსუჲ

ფოსტატი ესე, კუალად ქალაქადვე შეწყნარებული, ჯერთა არს მრავალუროვან და აწარმოებსცა არამცირესა აღებ-მიცემასა. შენობანი არიან აქა კმად უზარმაზარნი და მაღალნი; რიცხჳ მცხოვრებთა მიიწევის 90000 სულადმდე; დიდსა მოედანსა არიან აღშენებულ პურისა ამბარნი ოთხკუთხედნი უსუფ სალადინისა მიერ, რომელთაცა შინა იცუშბიან პურნი, ზემოთა ეგვიპტითა მოტანილნი საზრდოდ აქაურისა მკვდრობისა. ჩრდილოეთისა კარსა თანა არს ექვსკუთხედი შენობაჲ, აღშენებული მამულუქთა სულთნისა მიერ და დია მსგავსი წყლის ჩაღბისა. თუთეულსა კერძოსა მისსა აქუს სივრცე 80 და სიმაღლე 100 ფუთი. სიმაღლეჲ არს მოყუანილ დაკუნებთა, რათა უადკლესად აღიყუანონ მძლა კარნი, რომელთაცა ჳმარობენ აქ საბრუნუშმბეგლად ჩაღბთა, აღმწყვეთა ქუშმთოთ კუტალთა, თოკთა ზედა სხმულთა. წყალი სდის ნილოსით ქუშ მიწისა დიდრონთა მძლთა ძლით შენობისა ამის ქუშშე გატანილთა, ხოლო შემდგომად ღონითა უცხოდ ჳელოვნებულთა ჩაღბთათა ისხმის კუტალთა მიერ ხუთთა ჰაუხთა შინა და მათ გამო 300-თა 20 კამარათა ზედა გაკეთებულსა არხსა; გარნა კუალად აქედამ დიდსა ჰაუხსა, რომლისაგანცა ესრეთუჲ ონითა ჩაღბთა, ჳართა მიერ ტრიალებულთათა, მომდინარეობს უუჲჲ თუთ პალატთა მიმართ მაჳმად ალი ფაშისათა.

მისთჳსუჲ

ახლოს ფოსტატისა, მცირისა ქალაქისა ებელეგუსის თანა აღმოსავლეთისა კერძოსადმი ჳყრიან ნაქცეენი რომლისამე ძუშლისა შენობისა, ოთხკუთხედისა სახის მქონებულისა, და უწოდებენცა ბაბულად. სიძუშლითა თჳსითა მძლოებენ ივინი ფრიად შუმეტეს ფოსტატსა და ჳგონებენ მუნ ყოფნასა ოდესმე ძუშლისა ეგვიპტის ბაბილონისა და ციხესა კამბიზის მიერ აღშენებულსა, სადაცა შესწირვიდიანყე სპარსნი მსხვერპლთა ცეცხლსა, რომლისათჳსცა არაბნი უწოდებენ აწცა ადგილსა ამას კასრ ელ-კამაგად². 40

მისთჳსუჲ

აქ ცხოვრებენ დღეს ოდენ ხრისტიანენი და მაჳმადიანნი. ბერძენთა და კივთთა ჳქონან რაოდენნიმე ეკკლესიანი. მონასტერსა შინა ბერძენთასა წმიდისა დიდისა მოწამისა და ძლევა-

¹ ფოსტატი — არაბულია, კარავსა ეწოდების.
² კასრ ელ-კამაგ — ციხე ნაძლისა ანუ ნათელმოსლისა.

მოსილისა გიორგისსა (რომელიცა ვაჟენე უკუშ ზემო), ადრითუშ დიდებულსა სასწაულებითა თჳსითა და აღსაარებულსა ყოველთა ენათა მიერ ამის კერძო-სათა, არს სუტტი მდგომარეჲ პირისპირ წმიდისა ამის მოწამის ნაწილისა და უკეთუ მიაბმენ მას ზედა კაცსა ჭკუევენებულსა და წარუკითხუშ მას განწესებულსა ლოცვასა, მასეუ წამსა მოექცევის მას გონებაჲ მისი და განიკურნებისცა იგი სრულიად. საკრველისა წარმოებისა ამის თჳთ ვარ მხილულსა რაოდენითამე ჩემთანა ხლებულითა ქართულებითა. ხოლო კივთთა აქუსთ დედათა მონასტერიცა. კივთთავე ეკლესიასა შინა წმიდისა სერგიასსა არს ქუაბი, რომელსაცა შინა მიფარველან დიდხანს პალესტინით ლტოლვილი იოსებ, ქალ-
 10 წულისა მარიამისა და უსაუქუნოვისა ძეგთურთ, და რომელსაცა ამტკიცებენ ოდენ ზებირსიტყუაობითა, არამედ უპირველესი ეკლესია არს აღმენებულ სახელსა ზედა წმიდისა მაკარისსა და იკურთხებისცა მას შინა პატრიარხი კივთთა.

15 თჳს ნილო მდინარეჲსა ძუთადმდე, გარნა დროსა გარდაცემისა თჳსისასა ამაღლების იგი აქა 31-სა ფუთსა ზედა, იკეთებს მრავალთა ქალაკთა, რომელნიცა კულადუშ წარიღებინ ჩქარისა მდინარეობისა ძლით მისისა და გაიღებინ უკუშ სხუასა მაღალსა ადგილსა.

20 თჳს მხილჳსა ჩემისა კონსულისა ბოხტისადმი 9-სა. მიველ ხილუად შუშთის კონსულის ბოხტისა, რომელიცა მომეგება ეზოსა შინა სახლისა თჳსისასა ასულითურთ თჳსით და შემეყუნა ცოლისადმი თჳსისა. მეუღლად ესე ბოხტისა, რაოდენმე შეუძლოდ მყოფი, მწოლარეჲ კანაფასა ზედა,

137 თუმცა გარდასლულსა საშუალოთა წელთა ჰასაკისა თჳსისათა, გარნა კულადუცა არადამკარგული შუშნებისა თჳსისა, იხილუშბის მამაქრობელად სხუათა ყოველთა აქაურთა შუშნირა ჰაბუკაწლოვანთადმი. სნეულისა ამის თანა იყუნენ
 25 ანგლიისა ლენერალ-კონსული სოლტი და ფრანციისა ნამყო ლენერალ-კონსული დორვეტო, რომელთა თანაცა ეამ-ნახევრისა საამოთა საუბართა შინა განმატარებელი, მოვიქეც სახლისადმი ჩემისა.

30 თჳს ნილჳსა ჩანდა მამად აღა მუსტოფა ქაიარაზასა 10-სა მოვიდა ჩემდა მაჰმად აღა მუსტოფა ქაიარაზასა. ამან მიაბმო შეწუხებაჲ უსეინ აღასი ჩემ მიერ შეთელილობისა ძლით და ფიცით დარწმუნებაჲ, რომელ არღა უფროს ეცლების გათათრებისათჳს სვიმონ ძმისწულისა თჳსისა და არცა ვისმე სხუათა აღამსთობს მისდამი რჩეველ მისთჳს. შემდგომ მოვიდნენ რაოდენიმე აქაურნი ჩინებულთაგანნი ბერძენნი, რომელთაცა
 35 არცა სახელნი და არცა გუარნი დამკშთნენ ქსოვნასა შინა შეეკდრებად მათსა მკითხულისადმი, და რომელთაცა მთხოვეს მისლულად სახლთა მათთა.

40 ზს წირვისა საქართულოშ მეფისა ირაკლი მეორეჲსა 11-სა. ვაწირვინე არხიმანდრიტსა ნეკტარიოსსა კრებულით თჳსით სობოროსა შინა წმიდისა ნიკოლაოს საკრველთმომკმედისასა ღმრთისადმი განსუწმებულისა საქართულოშ მეფისა ირაკლი მეორეჲსათჳს შედგინებითა პანიხიდისათა.

46 თანა, მით რამეთუ მიეღას 24-სა ეამსა აღექსანდრიას; გარნა, ვითარცა გვესმა, მისლულ იყო მუნ 34-სა ეამსა. 12-სა. წარვიდა მაჰმად აღი ფაშა აღექსანდრიას შემდგომად შუეადლისა მესამესა ეამსა ნუშასა შინა ჯღომით, დამსდები ნაძლევისა თჳსისა ქაია ბეიდ ყოფილისა

- თჳს ავსტრიელისა კარლო 13-სა. ესცანიტ, რომელ ალექსანდრიით მომავალის ზანკისა ნავიღამ გარდასლველიყო ჳმელსა ზედა, ახლოს რომლისა-სამე სოფლისა ავსტრიის ყმა კარლო ზანკი თოფითურთ სროლად ფრინელისა; ტყუვა მოხვედრიყო კაცსა ვისჳე მიმავალსა ჳესლსა შინა, რომელსაცა შეეჩივლა ჳეშობისა¹ თჳსისათჳს. მოგელუსა ამას გაესივა 30-ნი ჳარისკაციანი შეჳყრობად კარლოსა. ავსტრიელსა ეხილვა რა მისდა მიმავალი სიმრავლეჲ კაცთა, გაეტენა თოფი მისლუადმდე თჳსდა მათსა. ხოლო ამათ, ვითარცა დაენახათ აღსებთჲ თოფისა, აღელთ კეტნი და დაეშინათ ზანკისა მისთჳს. უჳანასწენლსა ამას მოეკლა ერთი მათგანი და სხუათა—შეეჳყრათ იგი, მიეყუანათ ჳეშობისადმი, რომლისა თანაცა ყოფილიყუნენ შეკრებულ სოფლისა მის ერნი მოკლულად ფრანგისა ამის; გარნა მოწესესა მას მოველინა იგი ჳყრობილად ჳაია ბეისადმი მოგსენებითა წარმოებულისათა.
- თჳს სპირიდონ სივინის წარსლჳსა 14-სა. წარვიდა ალექსანდრიას მშობელთადმი თჳსთა სპირიდონ იეგოროვიჩი სივინი შემდგომად შუეადლისა მესამესა ჳამსა. დღესა ამას მოვიდნენ მოციქულად მიხაილ-ციანოვისადმი ოთხნი ფრანგნი სახელითა ყოველთა ევროპიის კონსულთათა და სთხოვდნენ მას სივინის მიერ დატევებულსა მსახურსა მიხაილ დრაკულსა კრიტიკოსსა, გარნა მიხაილციანოვმან უჳუნ-აჳციენა ივინი მიუცემელად ბერძნისა ამის, რომლისათჳსცა ვიდრე 100-მდე შეკრებულნი ფრანგნი მოუხდნენ მეორესა დღესა დილით სახლსა ჩუშნისა აგენტისასა, განიყუანეს კრიტიკოსი გარე, ჳგვემეს არგნითა და წარვიდნენ თჳსად. ხოლო ვითარცა მესმა წარმოებული ესე, ჳკითხე მიხაილ-ციანოვსა ფრანგთა მათ ესევითარისათჳს ჳცუვისა, რომელმანცა მომიგო ესრეთ: „ბეგზად! გუშინდლადმდე არა-რაჲ ვუწყოდი მე საგნისა ამისთჳს და აჳა, რაჲ მაუწყეს მე მოციქულთა მათ, რომელნიცა იხილუტთ თჳქუნ, შემონათუალი აჳე მყოფთა ყოველთა კონსულთა და აგენტთა მიერ ევროპიისათა. სპირიდონ სივინის გაულახავს ერთი ვაჳარი საფრანგეთისა ამ დღეებსა შინა ერთად დრაკული კრიტიკოსითურთ და ივინცა უტერად, ლამე ჳუნასა შინა დახულდრითა, რომლისათჳსცა მწუხარე-ჳმნილნი ფრანგნი სივინისა გამო და არ მშეცნნი ვნებულის ბრალისა, მოვიდნენ ცნობად მისთჳს სპირიდონისადმი და თხოვადცა კმა-ყოფისა; არამედ ოდესცა ჳსცნეს გასწრებთჲ მისი მათისა შურისგებისაგან, განიყუანეს მიხაილ დრაკული კრიტიკოსი და დასაჳეს კუტრობითა.
- თჳს ავსტრიელისა კარლო ზანკის თავის მოკვეთისა ამასუტ რიცხესა ბრძანებითა ჳაია ბეისათა მოჳკულ-თეს თავი კარლო ზანკსა, რომელიცა კაცთა ავსტრიის კონსულისათა წარელთ მსწრაფლ დაფლვად. მერმე შეყრილიყუნენ სახლსა შინა ჳსენებულისა კონსულისასა ყოველნი კონსულ-აგენტნი ევროპიისა ყოფად ჳრახჳსა, თუ ვითარითა სახითა გამოსთხოვონყე კმაყოფათჲ ჳაია ბეის, რომელ წინააღმდეგად ორთა იმპერიითა (ავსტრიისა და ოთამანის პორტისა) შორის დამტკიცებულისა ტრაკტატისა მოიჳცა იგი; გარნა ვინათგან მამამდ ალი ფაშა დროსა ამას იყო ალექსანდრიას, ამისთჳს მიეწერათ მათ საზოგადოდ მისდა და წარეგზავნაცა წერილი კონსტანტინოპოლს ავსტრიისა სრულშემძლებელისა ოპირისადმი კონსულსა მისსა როშეტოს საგანსა ამას ზედა.

1 ჳე შ ი ბ ი—მოურავი ანუ განმგე.

თვს ფაბრიკათა და შად-
რევანისა ფრანკუზისა
მუსიო ჟუმელის მიერ გა-
კეთებულთა

15-სა. წარველ დილით მიხაილციანოვითურთ მეტობ-
სა წმიდისა ქალწულ-მოწამისა ეკატერინასსა და სა-
ეპამოსა შინა მისსა ვანდევინე პარაკლისი არხიმანდრიტ-
სა იონიკიოსსა. და შემდგომ მოჭყეცისა ამის თანა მცირე-

8 დისა დროს განტარებისა, მივედით ბულაკს ხილვად ფაშისა ფაბრიკათა, ზემო-
ქსენებულთა მრავლითა უმჯობესთა.

ფაბრიკანი ესე არიან გაკეთებულ ერთვისა ჭაბუკისა კაცისა, ნათესავით
ფრანკუზისა მუსიო ეპელისა მიერ, რომელთაცა განაგებს თვთუშ. ამან, მჩვენე-
ბელმან ჩუშნდა ტართა ზედა ბანბათა რთუსა და სხუათა ყოველთა ნაჭელოვ-

10 ნართა თვსთა, გვახილვნა მათ შორის შადრევანიცა ერთი შემდგომითა სახი-
თა: ფაბრიკათა ამთ თვს შორის მპყრობელისა ზღუდისა შესავალსა თანა
მარჯუენით კერძო, ახლოს კედლის მის სდგას მიწასა შინა ფრიად მაღალი დი-

15 ტი ხისა, მგრგულ-მოგრძე; ამას შინა არს ბულღებით დამაგრებული ბუტილ-
კა თითბრისა, რომლისაცა თავისა შიგნითი პირი და ახლოს ძირისა მისისა
ხერელი არიან გამობულღვილ. მოიღეს რაოდენიმე თანასწორნი თითის სი-
მსხო რკინანი უგულონი, სიგრძით თვთუელი მათგანი თვთო ადლ-ნახევარი,

20 ერთსა შორის, მობებს ერთი წუშრი დირაგს კიდებულისა თოკისა, მეორეთა
ასწივეს რკინაჲ ესე, რომლისაცა რაოდენიმე წვებრი, აცილებული სიმაღლესა
139 დირაგისასა, არღა ვანიცდებოდის სახედუშლთაგან ჰაერსა შინა. უკანასკნელი
რვალისა ამის ნაჭერი დაამაგრეს ბუტილკისა პირსა. და შემდგომ მივიდნენ მე-
ორესა კერძოსა თანა ზღუდისასა, სადაცა ედუათ დიდი ხის ჰაუზი კმად მო-

25 მადლოსა ადგილსა. ამას შეუყარეს თოფის ლულისა უმსხოესი კულად უგულო
რკინა ბულღიანი და ესრეთ განაგრძეს მოქმედებაჲ ესე დანიშენულს ხონად-
მდე, რომელთაცა შორის იყო სიშორე ზომით 21 ადლი; შემდგომი შეუყარეს
ხონისა ძლით ბუტილკისა ძირსა. მოიღეს წყალი თულუხებითა, ჰშთაასხეს ჰა-

30 მან, რომლისა ძლითცა დასველდნენ მრავალნი მახლობლად მისა მდგომნი და
მათ შორის ღიშანის კონსული კრეზო. მუსიო ჟუმელმან მიგვიწვვა სადგომსა
თვსსა მე, მიხაილციანოვი და კრეზო; გვიმასპინძლა კავით, ჩიბუხით, მურაბით
და წყლით; ხოლო შემდგომად, დამტყვებელნი მისნი კრეზოთურთ, წარმოვედით
ჩუშნ სახლისადმი ჩუშნისა, გარნა სხუთ კერძოთ.

35 თვს უკრძალველობათა
და აღჯრ-უსმელთა ქცე-
ვათა ორთა არაბთა დე-
დაკაცთა
გზამ გამოგვარონინა ახლოს სახლისა კარლო რო-
შეტოსა აესტრიის დენერალ-კონსულისსა, რომლისაცა
სიახლოესა სდგანან რაოდენიმე ხენი ფარაონისა ლელუ-
თა პირსა თანა გზისასა. ხეტა ამათ ქუშუე სდგნენ
თეთრთა არაბთაგანნი ორნი ჭაბუკა მდედრნი მარჯუენით

40 გზისა, ლურჯისა ლეინისა ხადაგებითა მობლარდვილნი. მგარესა მათსა მოვი-
დოდა მიხაილციანოვი, ხოლო მე მარცხნივ. ვითარცა მოვიწივენით დედაკაცთა
ამათდამი, ანასდად მოსკუდნენ ორნივე იგი აგენტსა ჩუშნსა, უტაცნეს ჰელითა
ცხენისა სადავენი და შეაყენეს. მხილველმან წარმოგებისა ამის, დაეყენე ცხენი
ჩემი ჰერეტად საუბართა და ქცევათა მათთა, გარნა ვერაჲსა ვხუდებოდი, ვი-

45 ნათგან უბნობდნენ არაბულად. დედანი ესე, რეცა მეცნიერნი მისნი, დიმილი-
თა და მსიარულითა სახითა განაგრძობდიან საუბართა თვსთა მისთანა, რომელ-

თათჳსცა ვგონებდი მე, მით რამეთუ იყუნენ იგინი მოახლენი კარლო როშეტოს მეუღლასანი, მაშასადამე მცნობნიცა მიხაილიციანოვისა, ვინა ესე იყო მოკლედ მცნობი კარლო როშეტოსა და სახლეულებისა მისისა. და ესრეთ ვგონებდი მე, ვითარმედ მოახლენი ესე, უეცრად ხილვთა აგენტისა ჩუშნისათა მზიარულე-ბულნი, ჰკითხუშნ მშჳდობისათჳს მისისა და სახლეულებათა მისთა; გარნა მო-
 8
 ვსტყუედი მე გონებასა შინა ჩემსა და ესეცა ესცან მაშინ, ოდესცა განჭურდა ლაპარაკი მათი და შეიმოსესცა დედაკაცთა ამათ უმეტესი სახეჲ მძლავრებინისა ქტევისა. მათ შორის ერთმან მათგანმან, მომპყრობმან ჩემდა ჳელისა, რქჳა რაჲცაღა მალლითა ჳმითა მეორესა და ესე, დამტევებელი ხუშდრისა მათისა ჳელთა შინა ამხანაგაჲსა თჳსისათა, წარმოვიდა ჩემდა დია საჩქაროდ,
 10
 რომლისცა მხედველმან მიეუშვი სადაეჲ ცხენსა შეძრვითა უზანგისათა. პირუტყემან ამან იწყო მყის ჩუშეულებრივი თოხარკი და რაოდენცა მდენა დედაკაცმან ამან, ვერ იძლო მოწყვენად ჩემდა. ესევეითარითა სახითა უცლონ-ქმნილი სუსტი სქესი ესე გაბრუნდა და ამხანაგაჲსა მიერ მისისა პყრობილსა აგენტსა ჩუშნსა მოექლო ჳელსა და მუტლსა. კჳალად დაეყენე ცხენი ჩემდა და ეხედვ-
 15
 დი შორით პაექრობათა მათთა. უკანასკნელ მიხაილიციანოვმან აღმოიღო ჳიბით ქისა და მისცა თჳთოსა მათგანსა საჳსრად თავისა თჳსისა თეთრი და თუ რაოდენი, ვერ განვარჩიეჲ შორით, გარნა ვერა განერა ჳელთაგან მათთა. ვინაჲთ-
 140
 გან დაუჩხრიკეს ჳიბე-უბენი და ვერაჲსა მპოვნელთა, განუტევენესუჲ პატიმარი თჳსი. ზოლო ოდესცა ენებული ესე და განთავისუფლებული მათგან მოვიდა
 20
 ჩემდა სახითა მწუხარებისა და ლიმილისა ძლით მოცეულითა, შემდგომ ჩემ მიერ კითხჳსა მიზეზისა მათთჳს, მომიგო და მრქჳა ნამმეტყუელევი დედაკაცთა მათ ესრეთ: „სიდი! ორნი თქუშნ ხართ და ორნი ჩუშნ, ვითარცა ჩინსა, ჩუშნებრ მეძიებლად ვისამე საამოდ განტარებისათჳს დროჲს; უეტეუ წწორე არს მიხედლოჲ ჩუშნი, მაშინ გვეწვევით აწუშ სახლსა შინა ჩუშნსა ანუ წარგვიყუანეთ თქუნს-
 25
 სას; ორთა წინადადებათა ამათგანისა ერთ-ერთისა უთუოდ თანამდებ ხართ აღსრულებად, დაღათუ გსურჳსთ პატივით წასრულად ჩუშნგან“.

ხოლო მე, რაოდენცა რა ვუთხარ მიზეზი წინააღმდეგად მილოდებისა მათისა, ვერარაჲ შევასმინე მათ, ვიდრემდის არ გამომართუშს საუპატივოჲ თჳსი მეტყუელთა: „თუცა ამხანაგი შენი თჳმებლებისამებრ შენისა არს უცხოქუსყენილი გაჳური, გარნა ყოველსა მისთან უგუხურ-უზრდელი, ვინაჲთგან მიგვირდა ჩუშნი; არამედ შენ სიჳებუკეთა თანა ჩუშნთა, მუშნიერთა სახეთაჲ ჩუშნთა მხილუქ-
 30
 ლი და მსმენი თხოვათა ჩუშნთა, ორისუშ კერძოდ საამოთა, გვთაკილობ, რომლისათჳსცა ვერ განეთავისუფლები ჳელთა ჩუშნთა, ვიდრემდის არ მოგცემ შენს წილად ხუთ-ხუთ[თ]ა და გაჳურისა მის წილ ათ-ათთა კურუშთა“. ამისთჳს
 35
 აღმოვიდე ქისა და მივეც მათ მას შინა მდებარე თჳთო კურუშთი. მათ დამწუნებელთა საუპატივოჲსა ამის მათისა, გარნა მიმღებთა, დამისინჯვენეს ჳიბე-უბენი, ზოლო ოდესცა გარდა ჳელსაჳოცისა და ქისისა ვერარაჲ იველთეს, იგინი მიმიღეს და მე გამომიტევეს დატვირთული მრავლითა უწესოჲთა ლეჳსებითა“.

16-სა ცულილებამან ჩემისა სიმრთელისა არა მცა ჳამი განხილუ-
 40
 ად და ცნობად რაჲსამე.

17-სა. მიმწუხრ მოვიდა ჩემდა ბოლოს უსუჲ, რომელმანცა მიმიწვეა ხუალისად ესკი კაირს სახლსა შინა ფრანცესკო ვალმასისა და მიმღები ჩემგან მადლობიანისა თანჳმობისა, წარვიდა თჳსად.

თუ მისლუხა ჩემისა ესკი 18-სა. წარველ დილით ესკი კაირს ფრანცესკო
კაირს სახლსა შინა ვალმასისადმი, რომელიცა მმოთხუშობდა ბაღსა შინა
ფრანცესკო ვალმასისსა ცოლითა და მცირწლოვანითა შვილებითურთ მათით.

5 ამან, მიძღებმან ჩემმან, აღმიყუანა სახლსა თუსსა, ვინა იყო მცნობი ჩემი უად-
რეეს და ვიყავეცა ორგზის მის მიერ წვევული. კაცი ესე არს თუთ უმდიდრესი
ვაჟარი აქუური, ჰაოსიანობით გაკათოლიკებული და ჩინებულად მცხოვრები. ესე
არს ზედამხედველი ყოველთა შენობათა კაირისათა, მექონი დავთრისა დიდისა
ქლაქისა ამის მცხოვრებთა: მკვდრთა, ხიზანთა, სამუშაოდ მოსლევულთა და
უცხოქცევულთა, რომელმანცა აღმითქუა მოცემად ჩემდა მათთუც ცნობისა და
10 რომელთათუსცა ვიტყუ მაშინ, ოდესცა მივიღებ მისგან. ვითარცა შევედით პირ-
ველსა ოთაღსა, მოვიდა ბოლოს უსუფცა, რომელსაცა მოაყოლა მეუღლამან
ვალმასისა მურაბა, წყალი, კავა და ჩიბუხნი. მცირისა ალერისისა შორის დროს
განტარებისა, სახლისა პატრონთა, განსლევულთა გარე, დაგვიტევეს მხოლოდ მე
141 და ბოლოს უსუფ, რომელმანცა სახელითა თუსისა ჯელმწიფისათა მიწყო საუბარი
15 ესევეითართა საგანთა ზედა, რომელთათუსცა მაყენებს მე თქემად დროა.

19-სა. წარველ ესკი კაირსა მონასტერსა შინა წმი-
დისა დიდისა მოწამისა და ძლევამოსილისა გიორგისსა,
იერომონოხოსსა ღერმანიოსსა ვახდევინე პარაკლისი და
უქმოქცევულმან სახლსა თუსსა, ვხოვენ ხილუად ჩემდა
20 მოსლევული მაჰმად ალა მუსტოფა ქაია რაზას და ჩემისა
ქოლამანიტა ჰუსეინათურთ. უქანასკნელი ესე იტყუს თუსსა თუსსა გურიით,
გვარობით ჰყოიანად და ბიძაშვილად თეკლათ მონასტრის წინამძღვრისა ბესა-
რიონისა, რომელიცა მოჰყუა სანკტ-პეტერბურღსა შინა მინგრელიისა მთავრინა
ნინა გიორგიევნასა. ჰუსეინ ესე გაეყიდათ მოპარვით მეზობელთა სახლისა მი-
25 სისათა, უწინარეს ერთისა წლისა ფოთის ციხის ალებისა უფლისა ღენერალ-
მაიორისა თავადისა დიმიტრი ზაალის ძის ორბელიანოვისა მიერ. მაჰმად ალა
დავიკირე ჩემთანა სადილად თუსისა ქოლამანიტურთ. ამან მაჰმად ალა გამომიც-
ხადა მე, ვითარმედ უსეინ ალას ბაშ იხტეარსა უნდა მოსლუად ჩემდა, გარნა მსმენი
ჩემისა მას ზედა წყრომისა, მერიდღს. ამისთუს მთხოვა ნებაჲ ხუალ მოყუანად ღისა
30 ჩემდა ერთად თუსთანა და ჟამსა მას მოქცევად მისთანა რაოდენმე მშუდალ.

20-სა. მოვიდნენ ჩემდა ზემოთქემულნი მაჰმად და უსე-
ინ ალები დილისა 11-სა ჟამსა ერთითა სხუთა თეთრ-
წყუროსანიტა თათრითა. ორნი პირველნი დავიწვევე ახ-
ლოს ჩემსა ჯღომად, ხოლო მესამე—პირისპირ მათსა, რომელსაცა ეპურა ჯელსა
35 შინა თასპა¹ და თუთო-თუთოდ გარდამღები მარცუალთა მისთა, სძრჯდის ნე-
ლიად ბაგეთა თუსთა და არ აღმოიღის ჯმაჲ მას დროს, ოდესცა ვიყუშნით ჩვენ
სამნი სხუანი პყრობილ ურთიერთისა შორის საუბრითა. ამის გამო ვკითხე
მაჰმად ალას ვინაობაჲ თათრისა ამის, რომელმანცა ღიმილით მიპასუხა ესრეთ:
„ბატონო! იგი არს ქოფაქი ძაღლი და ლაფთავსმული“.

40 თქემულმან ამან, განმაკრვებელმან ჩემმან, შემიყუანა უმეტესსა მქლოვე-
ლობასა შინა ცნობად განკიცხვულისა კაცისა ამის და ამად ვსთხოვე კუალად
მაჰმად ალას უწყებად ჩემდა სახელისა, ვინაობისა და სადაურობისათუს მისისა.
მომიგო მან: „თავადო ბატონო! ესე არს კახელი, სოფლით .პატარაქუ-
ლით, პეტრე ენაგელი, განსუწმებულისა მეფე ირაკლისა იასაულად ყოფილი,

¹ თ ა ს პ ა —თათრულია, კრიელოსანი.

დამტყვებელი მამულისა თვისისა, ნებსით მოსლველი აქა და ნებსითვე გათათრე-
ბული, რომელმანცა უორგულა ცოლსა, შვლთა და უქანასკნელ სარწმუნოება-
საცა თვისსა; ხოლო ფრიადსა სიგლახაკესა შინა მყოფი, იზრდების მოწყალებითა
ამ უსეინ ალასითა*.

მერმე მიაქცივნა სიტყუანი თჳსნი მაჰმად ალა ენაგელისა მიმართ და 5
რქუა: „უკეთუ სახითა მაგით და ქევეითა, ვითარსაცა ჰჳმარობ აწ, იჩენები
ღმრთისა მოყუარებასა და მლოცველობასა, თვთ მაგითვე ამტკიცებ ცულაკო-
ბასა და ფარისევლობასა შენსა, ვინაჲთგან არა ვართ ჩუშნ ჯამსა, რომლისაცა
გზაჲ არა უწყვი შენ, არცა სახლთა ჩუშნთა, არამედ სახლსა მოსკოვ დოვლათის
ბალიოზისასა, მოსლველნი პატივის-ცემად ბატონისა ჩემისა ბეგზადა გიორგისა 10
ამის (მჩვენებელმან ჳელითა ჩემზედა), რომელიცა ჰყუარობს ერთმემამულეთა
თჳსთა და პატივის-უყოფს მათ. ხოლო შენ, ქოფაკო, დაღათუ ბატონსა ამას ჩემ-
სა არა აქუს ცნობაჲ შენი, მაშასადამე ჩუშნ გიცით მოკლედ, რომელ აროდეს 142
იცი შენ ღმერთი. განაგდე მდუმარებაჲ ეგე და იწყევ რამე ხუმრობად“. თქმულ-
თა ამთ გამო ვგონებდი მე, ვითარმედ ენაგელი ესე იყოფინ იყოს ვითარმე მო-
ხუმარ შორის მცნობთა და კეთილმმოქმედთა თჳსთა; ესრეთუღ იყოფინ, რო-
მელ ქევეაჲ ესე მისი იყოს ხუმრობავე, არამედ კაცმან ამან არცაღათუ აწარ-
მოა სიტყუაჲ და დაუტევა მოუბარი თჳსი თჳნიერ ყოვლისა პასუხისა.

შემდგომ გავექმე მეცა ენაგელსა ამას და ვკითხე: „რაოდენი წელი არს 20
ღროდთ წარმოსლჳსა მისისა საქართუშლოდთ, ვითარმან მიზეზმან დაატევებინა
მას საუკუნოდ მამული, ცოლი, შვილინი, ნათესავნი და ერთმამულენი თჳსნი?“
რომელმანცა, ნაცულად ყოვლისა სიტყუს-გებისა, აღიპყრა მარჯუნეჲ გელი, და-
ილუა შუბლსა და მკერდსა და დაიდრიკა ქედი თჳსი ჩემდამო. ესე იყო მიხედვ-
სამებრ ჩემისა მდუმარებითი პასუხი მისი, მით რამეთუ არ ტელეწიფების მას
განწყუჳდად საიღუმლორსა ლოცჳსა თჳსისა და უბნობად ჩუშნთანა. 25

დაუტყვევთ თათარი ესე და მივიქციით სვიმონ ტაბლაიშვილისა ანგა-
რიშსა ზედა უსეინ ალა სალინ ბაშ იხტეარისა თანა, რომელიცა თუთუქჳმის და-
ვარწმუნე მე, რომელ უადლეს შესაძლებელ არს თვთ კაირსა ამას შინა მაჰმა-
დიანთა სამკვდროსა დატევებად უსეინ აღისა ამის მიერ საძაგისა სჯულისა თჳსი-
სა და მიქევეად მისა პირველისადმივე წინაპართა მისთა მართლმადიდებელისა 30
სარწმუნოებისა ხრისტიანეთასა, ვიდრელა გათათრებად ჩემგან მოყუანილისა
ქართუშლისა, მისისა; მისწულისა სვიმონისა. ბაშ იხტეარმან ამან სთქუა ფი-
ციოთ, ვითარმედ ფრიადი აქუნდა მას სურვილი მისისა გათათრებისა, ვინაჲთგან
ნდომიყო მიშვილებაჲ და მემკვდრედ ქმნაჲ მისი ყოველთა ქონებათა თჳსთა;
გარნა მხედშული საუბედუროდ თჳსად, რომელ არშემძლებელ არს ჩემთანა მო- 35
ყოლილისა კაცისა დაყენებად ანუ გათათრებად, აღსთქუამს დღეფთგან არლა
უქუშ ოდესმე ცლასა ვითარითამე სახითა სავანსა ამას ზედა. და ესრეთ შერი-
გებულნი ერთი მეორეჲსა თანა, გავიყარენით. წარმოვიდნენ რა ესენი, შემოიყუა-
ნა აგენტმან ჩუშნმან გრიგორი მიხაილციანოვმან თქმული ბაზილიძე და მეაჳა
გამოჳსნისა და წარმოყუანისათჳს მისისა როსისასა შინა, მამულისადმი მისისა. 40

21-სა. გავისტუმრე მსახურნი ჩემნი და სახასო გლეხ-
ნი მონასტერსა შინა წმიდისა დიდისა მოწამისა და
ძღვეამოსილისა გიორგისა, ხოლო მე წარველ მიხაილ-
ციანოვით წმიდისა მთავარმოწამისა თეოდორე სტრატო- 45
ლატის ნაწილისა მთხვევად. ესე აქუს კშთამომავლო-
ბით ერთსა კივთთა დედათაგანსა. მისლველთა სახლსა, სადაცა არს დაქრძაღ-

თჳს წარსლჳსა ჩემისა
მოხუშვად წმიდისა მოწა-
მისა თეოდორე სტრატო-
ლატისა ნაწილისა

- ეულ წმიდა ნაწილი ესე, ვინილვეთ წინარე ოთაღსა შინა მრავალნი სნეულნი პირად-პირადთა აღმსარებელთანი, ვნებულნი სხუადასხუა სენთაგან. ერთმან მოტუცმან კიეთმან განაღო დახშეული კარი და შეგვიყუანნა მოზნელოსა რასამე ოთაღსა, ერთისა კანდელითა განათლებულსა; აღანთენა მყის სხუანიცა კან-
- 5 დელნი, რომელთა ძლითცა განვარჩივეთ ოთალი ესე და მას შინა მდებარენი ყოველნივე. ესე არს განყოფილ ფიცრისა კედლითა, მსგავს ეკკლესიისა; კედლ-
სა ამას ჰქონან სამეფუთა და ჩრდილოეთის კარნი, ხატნი რვა წმიდისა მოწა-
- 143 მისა თეოდორესნი—ორი ფიცრისა მის კედელსა და სამ-სამი ორთავე კერძოთა ზედა ოთაღისა ამისთა. მოტუცებული ესე შევიდა ჩრდილოეთის კარით საკურ-
თხეველსა შინა, განახუნა სამეფუთანი კარნი და გამოვიდა მპყრობი მკლავთა ზედა თვსთა მგრავულ-მოგრამესა კუთისა ფარჩით მოკრეველისა, რომელსაცა შინა, გონებისამებრ აქაურთა ხრისტიანეთასა, იტუშბის ნაწილი წმიდისა მოწა-
- მისა თეოდორესი, და ჰელთა შინა—ორისა კელაპტარისა აღნთებულისა. ოდესცა შევემთხვენით კუთსა ამას, დამისუშნა იგი მკლავთა ზედა, მომცემან სანთელ-
- 15 თაცა, წარსთქუა მცირედი ლოცუა და შემდგომ მიმღები მათი ჩეგან, მოექცა სახითა ამითუშ ავენტასცა ჩუშნსა. ხოლო ვითარცა სწადდა შესუსნებად მისა ადგილსავე თვსსა, მაშინ შემყენებელმან მისმან ვსთხოვე ჩუსნებად ჩემდა თვთ ნა-
წილისა. მოტუცმან ამან, დამდებმან კუთისა მის მკლავთა ზედა მიხაილციანოვი-
- სათა, შეხსნა საკრეველი გარემოკრეველისა ფარჩისა, გუაჩუშნა კუთი ძუსლ-,
20 ოდესმე ვეცხლმოქედლობისა თვისსა კინლა წარმომაღლენი, თავ-ბოლოს წული-
- ლითა მოქლონებითა დაკეტილი და საშუვალსა დაბეჭდილი, მმეტყუშლმან ჩემ-
და: „ბეგზად! აწ ხელავთ, რომელ შეუძლებელ არს კმა-ყოფა თქუშნი ჩუშნებითა წმიდისა ნაწილისათა. უწინარეს რაოდენთამე საუკუნეთა არ ყოფილ არს და-
- კრძალველ ნაწილი ესე ესრეთ, არამედ ჰქონიათ საჩუშნებელად ყოველთა ამის-
- 25 დამი შემოვედრებულთა ხრისტიანეთა და ოდესცა შენებიეს ჰელი რომლისამე კანნიერისა ფრანგისა მოპარვით მიტაცებად მისა პატრონისაგან მისისა, მის ჟამით სახითა ამით არს ესე დაცვულ, მიმცემი კურნებათა ამისდამი სასოებით მოლტოლ-
ვილთა სნეულთა, ვინაეცა იყოს იგი“. შემდგომ შეიტანა კუთი ესე ადგილსავე თვსსა და ჩვენ, ცხად-ყოფენი კიეთისა ამისდამი მადლობისა, გამოვედით გარე
- 30 შინ წარმოსლულად. გარნა ქუჩაჲ, რომლისა ძლითცა შეგვეყუანნა გამოვლად, იყო აღვისლი მოყუანებულთა სნეულთა პატრონთა თვსთა მიერ წმიდისა ნაწილისა ამის მიმართ პორლებითა, აქლემებითა, ჯორ-კარაულებითა და კაცთ ბეჭთა-
ცა ზედა კიდებითა, რომლისათვსცა იძულებულ ვიყუშნით შედგომად ვიდრე ეა-
- მისა ერთ ჩარეკადმდე; ხოლო უკანასკნელ მპოვენი თავისუფლად განსაველი-
- 35 სა გზისა, მოვედით სამყოფსა ჩუშნსა.

22-სა მოვიდა მაჰმად ალი ფაშა ალექსანდრიით მწუხ-
რისა დროსა, რომლისადმიცა წარგვზავენ რა კაცი მილოცვად მშვდობით მოსლვსათვს მისისა, შემოვიდა ჩემდა ბოლოს უსუფ მოკითხუად და ცნობად სიმრთელისათვს ჩემისა სახელი-

40 თა ვსენებულისა ფაშისათა.

23-სა წარველ მიხაილციანოვით და რაოდენისამე ჩე-
მისა და მისის მსახურებით ხილუად სოფლისა მა-
ტარიასა, რომელსა ესრეთუშ უწოდებენცა ლამეტ-
რიად, მატარებად ანუ მატარიად. ამას შინა ცხოვრებენ თათარნი არაბ-

45 ნი. შორავს კაირსა ერთისა მილითა ანუ ერთისა ჟამისა სავალთა, მდებარებს ჩრდილოეთის კერძოხსადმი. აქა არს, მრავალთა შორის სხუათა ბალთა, ბალი

ერთი პირად-პირადთა ხეთა და მცენარეთა; იტყვან ეცხოვროს აქ ყოვლად წმი-
დასა ქალწულსა მარიაჲს. ამას ჰკრძალებენ ბერძენნი, სომეხნი და ფრანგნი. არს
აქა მიწისა ქუღმე საყაზროჲ ფრიად ტენიანი და ცივი. ადგილი ესე არს საც-
ნაურ ერთისა ფარაონის ლეღვის ხისა ძლით, რომელიცა, თქმულთამებრ აქა- 144
ურთა ხრისტანეთათა, განმზემელი წიაღისა თვისისა მსახურებდა ოდესმე სა- 8
ღმრთოსა ტაძრეულბასა შესაყარდნობელად მას ღროღმდე, ვიდრემდის ამოსწყ-
დებოდნენ მდევნელნი მისნი.

თჳს მატარიას შინა ჭურ- ბირისპირ საღმრთოჲსა ამის ხისა რაოდენსამე ნა-
ღმულჲსა ბიჯსა ზედა არს ჭურღმული წყლიანი, უსაუჯუროვისისა
ძისა მიერ აღმონაცენები დაცხვრომისათჳს ღელა-ქალ- 10
წულისა მწყურვალეებისა, რომლისაცა წყალი ხრისტანეთათჳს მსემელთა მისთა
არს გემიერ, ტებილ და მრთელ, ხოლო სხუათა აღმსაარებელთათჳს—უგემურ,
მწარე და მენებელ; და ესრეთ, გარდა პირველთა მათ ვერ იკადრებენ სხუანი
იგი დალევად. ხოლო რაჲცა შეეხების საღმრთოსა მას ხესა, არს მრავალგან 15
ამოქრილ მას ზედა ჭუარნი და სახელნი აქ მოსლევულთა მლოცაეთა და მქლო-
ველთა მიერ დაწერილნი დანიშენითა თთუშთა და წელთა. მოვაქრევინე მომსხო
ტოტი ხისა ამის კაცთა ჩემთა შემდგომ ფრიაღისა ვარძმობისა სოფლისა ამის
არაბთა მიერ და წარმოვიღე თჳსთანა დახატვად მას ზედა შესაბამ მოთხ-
რობისა ამის ხატისა.

თჳს ბეთსემებისა ანუ ჰა- მატარიათ მივედით ბეთსემეს ანუ ჰაენშემესსა. აღ- 20
ენშემებისა გილსა ამას ყოფილა ძელი ღელიუბოლი¹, უპირვე-
ლესი ქალაქი ლოზენის სამფლობელოჲსა. ნილოსი ზრდის
ყოველსა ამას ადგილსა და არცა ოდესმე უცხოვრიეთა აქა ისრაველთა. ესე
არს სამგრეთისადმი ფივადიისა მათათა, დასავლეთისადმი ნილოსისა, ჩრდილო- 25
ეთისადმი საშუვალქუსენის ზღუსა, ხოლო აღმოსავლეთისადმი არაბიისა ველ-
თა და კალთათა მისთა. საკუთარი სახელი სწოდებია მას ლესჰენ², გარნა რომ-
ლისამე საკვრველისა ტრფიალებისა ძლით ო ასოჲსადმი, ებრაელთა უწო-
დებიესთ მისთჳს ლოსენად.

თჳს ობელისკოჲსა იერო- სახელი ჰაენშემეს ნიშნავს ამა ეამადმდეცა ჭურღმულ- 30
ღლიფებითა წერილისა სა მზისა ანუ წყაროჲსასა, ხოლო ბერძენნი უწოდებენ
მას ღელიუბოლისად. აქ ყოფილა ოთხი ობელისკი, რომ-
ელთაგანნიცა ორი მოუტანიებიეს აგვისტოსსა რომს, მესამეჲ—დიდსა კონსტან-
ტინესა კონსტანტინოპოლსა და მეოთხეჲ სდგას ღღედმდე აქავე (იხ. სურ. 6).
ეს არს მოწითლოჲ ქუჲაჲ, სიმაღლით 67 ფუთ-ნახევარი, ხოლო კერძონი—6- 35
ფუთ-ნახევარნი და არიანცა შემკობილ იეროვლიფებითა, რომლისაცა სახეჲ
არს ამასთანავე მღებარეჲ სულტი.

თჳს ბაღისა აბაჴ ფაშისა აქედამ წარვედით ბაღსა მამად ალი ფაშის შვლი- 40
სა ტუსუნ ფაშისსა. ესე შორავს ღელიუბოლისსა ნახევარ-
ეამისა სავალსა. შემდგომ ტუსუნ ფაშის სიკუდილისა ჰფლობს ბაღსა ამას მცირ-
წლოვანი შვილი მისი ბაბს ფაშა. ბალი ესე არს კმად დიდი, ალიზისა გალავ-
ნითა მოზღუდვილი და რეგულად ქმნილი. შესავალსა მისსა ალაკაფის კარსა
ზედა ჰპოვნებთ სახლსა რაოდენთამე ოთაღთა გამო შემდგარსა, რიგიანად წყო-

¹ ღ ე ს ო ლ ი უ პ ო ლ ი ბერძულია, ოსმანიანი გუნაშად და არაბნი ჰაენშემესად სახელ-სებენ,
ქართულად მზის ქალაქი.

² ღ ე ს ჰ ე ნ —ადგილი სამწყსო ანუ მწვანელოვანი, ხოლო სხუღმარ—ქუსენაჲ მწყენსთა.

- ბილსა და მორთველსა, ოთხსავე კერძოდ ფანჯრებიანსა და ბალის მჭარესა სარ-
ბენიანსა, თეთრისა თლილითა ქუშბითა დაფენილსა. ოდეს შე-რა-ვედით ბალსა,
ვპოვნეთ არხიმანდრიტი ნექტარიოს თვისისა ერთისა იერომონოხოისითა, ერთისა
მთავარდიაკონითა, სამისა მგალობლითა და მაჰმად ალი ფაშისა ჰარამის ჰეჰემ-
ბაშის ანტონიაკი ლავრიინოთი, რომელთაცა არამცირედ იამათ ხილვაჲ ჩუშნი,
თანასწორ ვითარ ჩუშნცა მათი. მივმოვლეთ ერთად ბალი ესე სავესეგ ნეხილიანთა
ხეთა და ვაზთა, მწიფეთა ნაყოფთა მიერ დატვირთული, სადაცა ვნახეთ ხეჲ
ნესუსა, კოუმალაჯად სახელდებული, სიმადლით ორს სა-
უენადმდე. მებაღეთა უტუტესმან მოსწყვდა ერთი ნესუ და
მომართუა მე, რომლისაცა სახეჲ მცირედცა არ ესხუაე-
ბოდის ჩუშელეზბრივსა სახესა ნესუსაჲ, ხოლო გემოხსათუჲ დავიდუმებ, ვინაჲთ-
გან ადრითუჲ ვუორგულე ყოველთა ხილთა და ხაბა-ხუბათა გემოვნებასა.
მერმე შევედით თალარსა, საშუვალ ბალისა ამის მდგარსა, ჩჩულთა წნორთ ფო-
თელთა მიერ მოსილსა, ოთხკაროვანსა. განვიხუშნეთ რა მცირედ, აღვსდევით
მე და მიხაილციანოვი უქმოქცევად კაირისადმი, გარნა არხიმანდრიტმან ნექტა-
რიოს და ანტონიაკი ლავრიინო გვთხოვეს დაშქთომად სადილად მათთანა, და ეს-
რეთ დაჰშთომილსა, მოღებდმდე სადილისა მკითხა უკანასკნელმან:
— ბეგზად! იცნობთა თქუშნ საქართუშლოს თავადთა ფალავანდოვთა?
— ვიცნობ რომელთამე!
— გთხოვთ მიბრძანოთ სახელნი მათნი.
მივეუთხარ სახელნი ჩემთა მათ მეცნიერთა თავადთა,
გარნა იგი ითხოვდა სხუასაცა სახელსა და ოდესცა
ვერა კმა-ვუყავ მას შინა, მაშინ მრჭუა არხიმანდ-
რიტმან ნექტარიოს:
— ბეგზად! იცნობთა თავადსა გიორგი ფალავანდოვსა?
— არა!
მიპასუხა: — არსა საქართუშლოსა შინა ჩვენ მიერ კითხული თავადი?
— არ ვიცი!
განუკვრდათ მათ მიგებაჲ ჩემი, რომელსაცა ზედა მითხრა არხიმანდ-
რიტმან ნექტარიოს:
— თავადი ესე იყო აქ მოყუანილ ლეკთა მიერ განსყიდულად ფრიად ნაგვემ-
წყულუვილი, რომლისაცა საუბედუროდ არ შეხუდათ ლეკთა მათ მსყიდველი
მისი, ვინა იყო თავადი იგი მათ მიერ დახიჩავებულ სახესა ზედა და კბილჩა-
ყრევინებულ, რომლისათუცა უმწარესთა ითმენდა მათგან ტანჯუათა. ოდესცა
სცნო ჰეჰემბაშმან აჰან ლავრიინო, წარვიდა მათდა, გამოიყიდა იგი კელთაგან მათ
ბარბაროსათსა, განუტურნა წყლულნი, აბანა აბანოსა, შემოსა ახლითა სამოსლი-
თა, განასუშნა სახლსა შინა თუსსა თუსთანა, ვითარცა საყუარელი შული. შემდ-
გომ რაოდენთამე თითუშთა, მსურველსა მას მამულსა შინა თუსსა წარსლულად,
მისცნა გზისა სახარჯთა, საჩუქარნი, ყოველნივე საჭირონი ნივთნი და წარავლი-
ნა ქართლსა სახლისადმი მისისა, რომელსაცა, სიტყუათამებრ მისთა, ჰყუა მუნ
ცოლი, შული და ძმა. ხოლო ოდეს, ესე იგი 23-სა რიცხესა ამ თთუსასა, სრულ
იქმნა ორი წელი წარსლვით მისით აქედამ. წარსლულსა წელსა მიილო ლავ-
რიინომან აჰან მის მიერ წერილი, რომლისა ძლითცა ჰმადლობს ამის მიერ ჩუშ-
ნებულისა მისდა კეთილმოქმედებისათუჲ და სწერს, მით რამეთუ თავადი იგი
ძმითურთ თუსითა ზმნობს მოსლვად იერუსალიმსა და მუნით, უკეთუ არ იქმნე-
ბის წინააღმდეგ მეგობრისა ჩემისა ჰეჰემბაშისა ამის, მოვლენან აქაცა განცხა-
ლებად მისდა თვისისა მადლობისა.

დამსრულებელმან ზემოთქმულთა, მთხოვა კჳლად, დაღათუ ვიცნობდენ ფალავანდოვსა მას, ვაუწყო მათ ვითარება მისი. მიუვუგე მე, რომელ სიკაბუ-
 კითულ ჩემით ვიყავ განშორებულ მამულისაგან ჩემისა და მცხოვრებ სანკტ-პე-
 ტერბურღსა შინა, რომლისათჳსცა მაკლს მრავალთა სხუათაცა თავდაზნაურთა
 საქართუშლოჲსათა პირისპირ მცნობობაჲ და მათთანა თქუქს მიერ კითხული-
 საცა თავიღისა. თუშეცა დასრულდა ზქ უზნობაჲ ჩუქსინ საგანსა ამას ზედა, გარ-
 ნა ანტონიაკი ლავრიინო მიმღებელობდა მისთჳს უცხოველესსა მონაწილეობასა,
 რომლისადმიცა აღვიარე თავი თჳსი თანამდებად მიმცნებისათჳს უსაყუარელეს-
 თა მემამულეთა ჩემთად შემთხუქვისა ამის და თხოვადცა, რომელ, ოდესცა
 გვეცეს ღროჲ ქმნად კეთილისა, ვჳყოთ იგი შეძლებისამებრ თუთუელთასა და
 უფროს ნათესავთა ზედა უმაგალითოჲსა ამის ბერძნისა ანტონიაკი ლავრი-
 ნოსთასა.

აწ უკუქს მოიღეს სადილი, რომლისცა განგრობობასა შინა ვიხმივეთ ღვი-
 ნო საღვრეგოქლოდ ყოვლად უმოწყალებისა ჳელმწიფისა ჩუქსინისა იმპერატო-
 რისა აღუქსანდრე პირუშლისათჳს, მგედრობათა მისთა საკუთრულთ კეთილ-
 წარმართებისა და უმეტეს განძლიერებათათჳს მათთა. ამის შემდგომად აგენტ-
 მან ჩუქსინან დამიღვა წინ თებუშა ზედა მდებარეჲ საწინწყარაჲ ქათმისა. ესე
 აღიღო არხიმანდრიტმან ნექტარიოს და მომიპყრა მე დანაძლევებად მისთანა
 მმეტყუქსელმან: „ბეგზადა, განვსტეხით ძუალი ესე პი-
დაგიტყვებიეს ერთად მამეული, სამოსელიცა და მართლმადიდებელთა ზრისტი-
ანეთა სარწმუნოებაცა; მიგილიეს ამით წილ სამოსელი ოსმანიანთა და სჯული-

163 ცა მათი, თჳნიერ ყოვლისა სარგებლობისა; მო'მორებული მამულსა თჳსსა ჰსცხოვრებ აქა შეიწრებასა და სიგლახაკესა შინა, რომლისა ძლითცა, სოფელსა ამას ვერარაჲსა კეთილისა მპოვნელი, ჰკარგავ მერმესა მას სოფელსა დიდებასაცა ხრისიკ რითასა.

ბ ვუს. ბდი რა ამისდამი ესევითარითა სახითა, კაცი ესე ილტობოდა ცრემლთა შინა. განმგრობმან მხედულთა შემაწუხებელისა მდგომებისა ამის რაოდენსაჲ ვამსა, მრქუა შემდგომად:

— ბატონო! მართალ, არს, რაჲცა მიბრძანეთ თქუმს, მით რამეთუ დამტევებელი მამულისა ჩემისა და მოსლევული აქა, გაეთათრდი მე თჳნიერ ყოვლისა სარგებლობისა; გარნა გთხოვ, მოიგსენოთ ჰაზრი ჩემი აწყოხასა და მყოობადინა ცხოვრებისათჳს ჩემისა განგულევებული. აღორთუშ მატუნდა და დღესაც მატუნს სურჯლი პოვნად ღონისა მოხიბლვად ვითარმე ცოლისა ჩემისა, რომლისა თანაცა მისხენან ორნი ძენი, თუმცა მაჰმადიანთა სარწმუნოებისა, არამედ დაფარვით ერთსა ვუწოდე დავით, ხოლო მეორესა დიმიტრი და შევსწირუშცა იგინი სიონისა ღმრთისმშობელსა შობათაჲ თანა მათთა. რაოდენიმე თთუშ არს უკუშ, რომელ ვსცან აქ მყოფობაჲ მოსკოვის ბალიოზისა, ვპოვნე სახლი მისი, ვიხილუშ თუთ ბალიოზი, ვევედრე მიწერად სახელითა ჩემითა საქართუშლოსა შინა თავადთა ორბელიანოეთა მიმართ იოანესა, თამაზისა, დიმიტრისა, ვახტანგისა, გიორგისა, ზურაბისა, ასლანისა, იაკობისა, გიორგისა, კაფლანისა და სცათა მათ ორბელიანოეთადმი, რომელნიცა არღა მავსოუან მე და ვსთხოვე წერილისა მის წარგზავნად მათდა, რომლისა ძლითცა ვევედრე მათ გამოგზავნად ჩემდა 300-ისა გოლანდიის ოქროსა, ვითარცა გამოსლკსათჳს ჩემისა აქედამ ცოლათ, ორისა ჟედათა და ზუთისა სხუა მოსამსახურებითა; ესრეთუშ გამოქსნილთაჲ სულთა ჩუხნასა საძაგისა ამის სჯულისაჲან. თჳნიერ ყოვლისა იჭკსა ესე ყოველნივე მოიქცევოდენყე სარწმუნოებასა ზედა ხრისტიანეთასა, უკეთუ მივაწევდე მათითურთ ცოცხალი საქართუშლოსა შინა. აწცა ესევე არს საზრუნველი ჩემი, ბატონო გიორგი! ვგების როგორმე დავიყოლიო ცოლი ჩემი სახესა ქუშუშ კონსტანტინოპოლს ცხოვრებისასა; ხოლო მუნ მისლუასა თანა უეცრად შევიყუანო იგინი სახლსა შინა მოსკოვის ელჩისასა, სდიოთცა, შემდგომად საფარუშლსა ქუშუშ მისსა, აღვილშემძლეველ ვიქმნებოდი მისლუად სახლეულებითა ჩემითა მამულსა შინა ჩემსა.

უზნობათა ამით შორის განუწყუტდელად სდიოდა ცრემლი თულთაგან კონიძესა ამას, რომლისაჲცა ხედუაჲ მოიყუანებდის ღმობად მხილულთა ამისთა და ანამსთობდისცა სასარგებლოდ ამისად. შემბრალებელმან მოქუცისა ამის, ვერქჳ მას, ვითარმედ ძნიად ვსასოებ მე შენგან მიწერილისა წერილისა ძლით თავადთა ორბელიანოეთაგან გამოგზავნასა თეთრისასა, რომელთადმი ჯერეთცა არ იყო წარგზავნილ თქემული წერილი და იყოფინ დაუწერელცა, ვინაჲთგან სიშორეჲ გზისა და შესამოხუშველი განსაცდელი მას ზედა აყენებს მრავალთა მსურველთა წარსლუად მისდამი. გარდა ამისა, უკეთუ კიდევ მოინდომონ თავადთა მათ წარმოგზავნაჲ თეთრისა მის შენდა, სადა და ოდეს ჰპოვნებენ ვისმე აქეთ მომსლულსა და თავსმდებსა მოტანისათჳს მისისა შენდა. მასთანაცა ჯერ-გინს მიხედო, რომელ მოლოდებასა შინა მისსა განვლიან რაოდენნიმე უკუშ დრონი, რომელთაცა მოცდასა, განსჯისაჲმბერ წელთა და სიმრთელეთა შენთასა, არღა აღსთქუამს დასასრულისადმი თჳსისა მიდრეკილი სიბერეჲ შენი. გარნა, დაღათუ ნამდულ გწადნოას წარმოსლევად მამუელსა შენსა, მაშინ მზა ვარ 164 მე და გაძლევცა უტუალებელსა სიტყუესა წარყუანად შენსა სახლეულებითურთ

შენით თბილისადმდე ხარჯითა ჩემითა, თუნიერ ყოვლისა მცირისაცაა რაჲსამე ამისთვის ჩემდამო შენგან უკმოზღულსვისა.

ამასზედა მიპასუხა ესრეთ:

— ბატონო გიორგი! უკეთუ მიბოძებთ თქუსნ 300-სა ოქროსა მოსანადირებელად ცოლისა ჩემისა, ალგითქვამ, რომელ შემდგომად ოთხისა თთუსა წარემოვიდე აქედამ სახლობითა ჩემითა საქართუშლოჲსადმი, ვინაჲთგან უადრეეს ოთხისა თთუშისა არავითარმე ძალ-მიძს შედგომად გზისა, მაშინცა დალათუ 300-ისა წილ მაქუნდესცა დღეს ათასი ოქროჲ.

— ნუ ელი ჩემგან, გრიგორ, სხუსბრ საგანსა ამას ზედა შეწვენასა შენსა! ოდესცა გაქუს სწორედ სურჯლი ხრისტეანე-ყოფად და მიქცევად მამულსა შენსა, მაშინ განავდე ეგვიეთარი ღონისძიებაჲ შესახებელად ცოლისა შენისა; გამოუცხადე მას ქეშმარიტი, უკეთუ თანაჲმ გექმნების, მაცნობე მე, მე რომელიცა, ვითარცა ალგითქვ, უზრუნველ-გყოფ ყოველთა საქიროებათათჳს გზისათა საქართუშლოდმდე; ხოლო ოდესცა ცოლმან შენმან არ დაგართოს ნებაჲ, მაშინ მოიქნენე სიტყუანი მაცყოვრისა ჩუშნისა იესო ხრისტესნი: „ყოველმან რომელმან დაუტევა სახლი, გინა ძმანი, ანუ დანი, მამა, ანუ დედა, ანუ ცოლი, ანუ შვილი, ანუ აგარაკნი სახელისა ჩემისათჳს, ასწილად მიიღოს და ცხოვრება საუკუნო დიმიკვდროს“¹. და ესრეთ დაუტევე შენცა ივინი და შეუდეგ მცნებასა მისსა. მომიგო კონიძე:

— ბატონო გიორგი, ვითარ იქმნების ჩემგან დატევებაჲ ცოლისა და შვილთა ჩემთა, რომელთაცა გაქრისტეანებაჲ მნებაჲს მე, ანუ ვითარ ძალ-მიძს წარმოსლუად, ვიდრემდის არ მექნების 300 ოქროჲ და მასთანაცა არ განვლიანყე ოთხი თთუსნი ჩემ მიერ დანიშნულნი?

— გრიგორ! ძებნასა შინა 300-ისა ოქროსასა არ დაგემართოს შენცა ესრეთუშ, ვითარცა ერთსა უკუდოსა ვირსა, რომლისათჳსცა წერილ არს ქილილა და მანანასაჲ შინა. მკითხა:

— რაჲ არს ბატონო! ქილილა და მანანა და ან რა დაუწერიათ მას შინა, მიბრძანეთ.

— ქილილა და მანანა არს წიგნი და აჲ რა დაუწერიათ:

უკუდო ვირი კუდისად საძებრად იარებოდა,

ყურნიცა ზედა წარაგო, არამთუ კუდი ჰვებოდა.

თქემასა ამასთანა შემოვიდა გრიგორ მიხაილციანოვი, რომელსაცა რქუა კონიძე:

— ბალიოზო, წარგზავნეთა ჩემგან ვედრებული წერილი საქართუელოსა შინა თავადთა ორბელიანოეთადმი ანუ არა?

უკანსკენლმან ამან მაშინვე მოატანინა შავად დაწერილი და მიზეზთა გამო უმგზავრობასათა დატევებული, რომლისათჳსცა ახლად დააწერინა მსახურსა ჩემსა გრიგორ რუაძესა, მომცა მიტანად ამისა თავადთა ორბელიანოეთადმი და წარვიდა.

დღესა ამას დავიკირავე წლით ხარკოველი მეშჩანი-ნი პეტრე შჩერბაკოვი, რომელმანცა იცოდა თესუაჲ ლილასი და ემუშავენა აქ აღრითუშ მამამად ალი ფაშისათჳს, წარმოსლუად ერთად ჩემთანა საქართუშლოსა შინა

ნა შემოღებად ლილასა.

¹ მათე, თავი 19, მუჯლი 29.

ფებერვალსა

- თჳს ჩემ მიერ ოსჯა 19-სა მოვაყუანინე ოსეფა ფულუაშვილი, ვინაჲთგან ფაშლაშვილის შოყვანიწინებისა განვლო პაემანმან ორგზის უმეტეს მის მიერ იახოვილისა, დავტუქუე და ვრქჳ, მით რამეთუ ჴელშეკრვით წარგიყუან შენ საქართუშლოსა შინა და მიგცემ მოვალეთა შენთა, ოღესცა არ განებავს შენ უმისოდ მოცემაჲ ჩვენდა სამართლიანისა ვალისა; გარნა სომეხი 6 ესე იყო ყოვლითურთ უღონო და ვერშემძლებელი კმა-ყოფად ჩვენ ყოველთა, რომლისათჳსცა მთხოვეს ჰაოსიანთა ეპისკოპოსმან მიკირტიჩ, ბოლოს უსუფ და რომელთამე სხუთთა ჩინებულთა სომეხთა შეწყალებად ოსეფასა ამის. ამის გამო კერძოთ ჩემით თავისუფალ-ვაჳყავ, უკეთუ მისცემს მოსეს ბერუაშვილსა ვალ- 10 სა თჳსსა და განვუტუქუე.
- 20-სა წარველ ხილუად შუბრასა¹ მიხილციანოვით, თჳს შუბრასა მაჰმად ალი არტემ არარატელით და ორის მსახურით ჩემით. განმლ- ფაშისა საჯაფხლომასა ველნი ქალაქისა, განვედით კარსა გალაენისასა და წარმლ- სასახლისა ველნი მცირედ ცულკანკლედობილისა გზისა, შევედუე-
- 15 გით ევროპიულად გასწორებულსა გზასა ვაკესა, განიერსა, კუმფენილსა, ორსავე მჭარესა ორ-ორს წრედ ნაყოფიერთა ხეთა მიერ ჩრდილებულსა, ადგილ-ადგილად რეალისა სავარძელ მწუანედ რებულეებითა დგმულსა, ჳურდმულეებითა მდი-დარსა და მათ ჴედა თითბრისა თასთა ჳაჳეებით კიდებულსა სასემელად მწყურ-ნებთა; ვვლეთ ყამისა სამი რუბი და ეიჩინენით ცსენებულისა შუბრასთანა.
- 20 შევედით რა ალაკაფისა მისისა კარსა, მოგვეგება მოწესეჲ მაჰმად ალი ფაშისა ჰაჳი ჰუსეინ აღა. ჴედამხედულსი სასახლისა ამისა და ბალისა აჲ მდებარემასა. აღგიყუანა მას შინა, რომელი მცირედცა არ ეთავაზების არხიტექტორ-რობითა და კიდმუშნიერებითა თჳთ სულთნისა და სხუთთა აზიის მფლობელთა სასახლეთა. ებენი და იტაკანი არიან დაფენილ თეთრ-მოლურჯოფსა მარმარი- 15 ლოჲთა; არს ორძგიდე; ჴემოჲ იპყრობს თჳს შორის 13-თა ოთაღთა, გარდა აბანოჲსა და ხუთთა ოთაღთა მისდა შესაბამთა, მორთვეულთა მძიმედ და დახატულთა იტალიურითა მხატვრობითა; გარნა ჴალაჲ ანუ ჰაივანი მისი და თანაჰესამძღერე მისდა მოდიდო ოთალი სამყოფად ფაშისა არიან ყოვლითურთ გონებისა მიმზიდულად და შესანიშნულად ჴელოვნებულ- 20 ნი. ესრეთუშ ძირისაცა ძგიდესა შინა არიან ევოლენივე რიცხვნი ოთაღ-თა აბანოჲთურთ, კეთილშემკობით მორთვეულნი. აჲედამ შეგვიყუანნა ბაღსა რე-გულად ქმნილსა, მრავლითა შუშნიერ ნაყოფმოსილთა ხეებითა კანონიერად რგველსა. ჰაუზნი, ვითარცა საშუ-ვალ მისა, ესრეთუშ კერძოებთაცა შინა მისთა—თეთრ-
- 25 მოლურჯოჲსა მარმარილოჲსა, რომელთაცა შორის და გარემოს მათსა არიან მარ-მარილოთაგანვე გამოქანდაკებულ სახედ კაცნი, ფრინველნი, თევზნი, ვეშაპნი და პირუტყვნი, წარმომაცენნი წყალთა ჰაუზთა შინა თჳსთა. გზანი სასლველად განიერნი, სწორენი და მოზაიკებრ დაფენილნი ტრედის კუერცხისა ოდენ მსგავ-სითა რძის ფერისა და შავ-მოლურჯოჲსა ჴუშბითა, სახედ და სახედ ჰშთაწყო- 40 ბილითა კიდურთა და საშუვალთა მათთა, ვითარცა ყუავილთა წარმომაყენებე-ლითა, გარნა შეუსრულებულ, ვინაჲთგან ვპოვენით აჲ კაცნი 200-მდე, მომყუნ-ნი კლებულისა მის სრულებასა შინა, რომელთაცა მოძღვრებად იყუნენ ბერ-ძენნი.

¹ შუბრა ეწოდების საჯაფხულო სასახლესა მაჰმად ალი ფაშისასა ნილოსისა კიდურსა თანა მდგომარესა, თანასწორ ვითარ ადგილსაცა მას, სადაცა არს იგი აღშენებულ.

ბაღსა ამას შინა არს შემოტანილ ნილოსით წყალი, მიწისა პირსა ზედა მცირედ შემალღებულთა არხთა ძლით ხურვილთა, შადრევანათათს და მოსარწყულადეცა ბაღისა. თალარნი ანუ ბესეთიანი, თუმცა გარეგან სახილუმლად მომცრონი, არამედ თვთეულნი მათგანნი რთხით ვიდრე რვაღმდე ოთაღთა დორებითა, დოშაქებითა, ფანჯრებ-ფარდებითა მორთვეულთა მექონნი, მოაწონებენ თავსა მათდამი წუშვეულსა. ბაღი ესე, თვთ განათლებულთაცა ევროპიისა ერთა თვს შორის მპონენელი კეთილგანკარგველებისა ძლით თვისსა განმაკრვებელი და აღმძრველი შურად, არს სიგრძით 1125 და სიგანით 750 აღლი. ჰაჟი ჰუსეინ აღამ მიგვიწვივა ერთსა თალარსა, რომლისაცა დაჭვეულთა კართა უბრძანა განღებად ჯელქუშუმეთსა თვსსა, შეგვიყუანა განსტმნებად, შეგვაქცივა უცხოჲთა საუბრითა, მოგუართუნა ჩიბუხნი, კავა, თვთეულსა თვთო აბელსინი, თვთო ლიმონი და თვთო კონა კრველთა ყუაეილთა. პატივოსანსა მოწესესა ამას ეაჩუქე სამი ოქრო ლოლლანდიისა და წარმოვედით კაირისადმი, რომელსაცა შინა გამოუარე ხილვად უფალსა დიმიტრი ეასილეთიქსა დაშკოვსა, გარნა ვერ ვიხილვე იგი, ენადათგან წარსლულელ იყო ვარე კაირისა, სიშორით ვიდრე რვა ჟამისა სავალსა სანახავად მაჰმად ალი ფაშისა.

თვს ალთმიშდორთის სტეფანეჲსა

დღესა ამას მომცა სომეხმან სტეფანე ალთმიშდორთმან უმცროსი ძმაჲ თვისი ოსეფა, ძალად გათათრებული კონსტანტინოპოლსა და მუნით გამოპარვით მისდა

მოსლველი. მოშიშმან ალთმიშდორთმან სტეფანე, მიხედვსამებრ კსენებულისა ოსეფასა, გამომიცხადა, მით რამეთუ მოსლველნი ძიებად კონსტანტინოპოლით თათარნი, უკეთუ ჰპოვნებენ ოსეფასა მას მისთანა, მაშინ უთუოდ დაჰპოცენყე მათ ორთავე და მთხოვა წარმოყუანაჲ მისი ქუსყანასა შინა ჩემსა და შემდგომად მომცა წერილი სომხურითა ასოებითა მიწვალისა ენასა ზედა ნაწერი, შესახებად შემოვედრებულისა ძმისა მისისა, რომლისაცა წერილისა თარგმანი არს შემდგომი:

„პატივოსანო, საყუარლო, ჩინებულო, კეთილმჯედარო, ნათელო თუ-ალთა ჩემთაო უბრწყინულესო თავადო!


უკეთუ გსურვსთ თქუშ ცნობად მდგომობისათვს ჩემისა, მაშინ, ღიდება ღმერთსა, სიმრთელით ვარ მე და მსურვსცა თქუშნთვს ყოველი ბედნიერებაჲ. მაქვს პატივი შევედრებად თქვენისადმი ბრწყინვალეობისა კაცისა ამის, რომელსაცა ზედა შემძლებელ ხართ ყოველსა შინა ნდობად. მე რწმუნებულ ვარ მის შორის ესოდენ, რაოდენცა თვს ზედა და ესრეთ, უკეთუ გსურვსთ თქვენ ყოვად მისა ვითარისამე ნდობისა, მაშინ მცირედცა ნუ იიჭენეულებთ. მას სრულებით ძალუცს ქევეად განზრახუთამებრ თქუშნთა. ხოლო დროსა ვითარისამე მოტყუვებისა და ორგულებისასა მე ვარ მისთვს პასუხისა მგებელი. გთხოვთ ესრეთუშ, თქუშნო ბრწყინვალეებაჲ, არ დაეუტევეთ იგი უმოწყალოდ და გამოყუანოთ კაცად.

შემდგომად მიღებისა ძმისა მიერ ჩემისა წერილისა ამის, ნუ ჰყოვნებთ განსტმნებად ჩემსა პასუხითა.

ალთმიშდორთ სტეფან“.

თვს სულთნისა კაიგოსუს თაქიების ჯამისა

21-სა წარველ მიხილიციანოვით, არტემ არარატელით და სამის მსახურით ხილულ სულთნისა კაიგოსუს თაქიების ჯამისა, აღგილსა შორის ახლისა და ესკი კაირთა მდებარეჲსა, კასრულიენად წოდებულისა. ჯამსა ამას შინა არს საფლავი სულთნისა ამის, უწინარეს 535-ის წლისა მიცულისა. შევედით რა გალაჲსა

მისსა, ვიხილვეთ სამნი კაცნი ერთისა ოთარისა დერეფანსა შინა; უმოკუტეუბ-
 ლესი მათ შორის იყო წამოწოლილ, ხოლო ორნი სხუანი—მსხდომარე, მპყრობნი
 ჳელთა შინა ჩიბუბთა და მსვეცილი მათნი, გართულ თქსშორისთა საუბართა.
 მისლველთა ახლოს მათსა მივეცილ მათ მშვდობაჲ, რომლისათუსცა მოკუტემან,
 5 წარმოძღვარმან, მოგვიგო მადლობაჲ მკერდსა თუსსა შეხებითა მარჯვენასა ქე-
 167 ლისა თუსისათა და გერქვა: „ხოშ გელღეზჲ“. ხოლო ოდესცა ჰსცნო მიზეზი ჩუშ-
 ნისა აქ მოსლუსა, აღდგა, შეგვიყუანნა სახლსა კმად დიდსა, ქუთიარის ტახტი-
 სსა და ზე თეთრისა მარმარილოჲსა ფიცრებითა ხურჯლისა სიმგრველისა შორის
 თუსისა მექონსა, რომელსაცა ზელა იყუნენ ადგილ-ადგილად შლილნი ტყავნი
 10 პირად-პირადთა ნადირთა, სხდომად დერევიშთა და მათდამი სტუმრად მოსლ-
 ვულთა. დაგვსხნა ტახტსა ამას ჯამსა შინა შესასლველისა კარისა მახლობლად,
 ხოლო თვთ დასჯდა შორის ჩემსა და დანიშვნულისა კარისა.
 თქს დერევიშისა ხელსა შინა, სახელით სელიმ ბაბა; რომლისათუსცა მესმა უწინა-
 15 ბაბასა რეს სხუათა მიერ, ვითარმედ არს იგი ნაქართველარი.
 მწადდა ნამდვლ ცნობად კაცისა ამის, რომლისა თანაცა შესლველმან საუბარ-
 სსა შინა, ვრქვ სელიმ ბაბასა ამას, რომელ სახეჲ მისი განმცემელობს საიდუმ-
 ლოსა მისსა და იხუშნების, მით რამეთუ არა არს იგი ამის კერძოჲსაგანი. გარ-
 ნა ვინაჲთგან ვიეთნიმე შიშისა გამო მაჰმადიანთასა და ვიეთნიმე შემსკუაღვისა
 20 ძლით თუსისა სჯულისა მათისადმი თაკილობენ უკუშ განცხადებად თავთა თუსთა,
 დაღათუ ოდესმე ყოფილან იგინი ხრისტიანედ, ამისთუს ამანცა მომიგო ესრეთ:
 — ბეგზადა! მე ვარ კონსტანტინოპოლელი, დლით ცხოვრებისა ჩემისათ
 ჯამსა ამას შინა სრბის აწ 38 წელი; ვიყავ აღზრდილ სასახლესა შინა სულთან
 25 სელემისსა და შემდგომად შემდგარმან დერევიშად, გამოვირჩივე ჯამი ესე და-
 სრულებად ამას შინა სიცოცხლისა ჩემისა.
 მივეუგვე მე: — სელიმ ბაბა, არა მხოლოდ კონსტანტინოპოლელინი, არა-
 მელ სხუათა ნათესავთაგანნიცა ტყუშდ მოყუანილნი სიჰაბუჟეთა და შუშნიერ-
 სახეობათა ძლით თუსთა ყოფილან და იქმნებიანცა მიღებულ ზრდად სასახლე-
 სსა შინა სულთანთასა.
 30 ამას ზელა თანაგმა-ქმნილსა მას ვრქვ კულადცა, ვითარმედ სახეჲ მისი
 მსგავსებს ქართველისასა და ვგონებცა რაოდენმე სისხლით მახლობლობასა მის-
 სსა ქართველთადმი, რომლისათუსცა მიპასუხა მან:
 — ბეგზადა! შენიშვნაჲ თქვენი არს ერთის კერძოდ მართალ, ვინაჲთგან დე-
 დაჲ ჩემი იტყოდის თავისათუს თუსისა ქართველად, გარნა ვინ უწყის მართა-
 35 ლი? კერძოჲთა მით მოყვანილნი უბედურნი უმეტესნი ნაწილნი ისყიდებიან
 კონსტანტინოპოლსა სახელთა ქლშშე ქართველთასა, მიუხედავად მისა, ვითარ-
 მედ არიან იგინი ნათესავობით სრულიად სხუა, რომელთათუსცა მიმღებლო-
 ბენ განმსყიდულნი მათნი მრავლით უმეტესსა ფასსა, ვიდრე ვითარსაცა მიი-
 ლებდნენყე იგინი, ოდესცა გამოაცხადებდნენ სწორედ საღითობასა მათსა.
 40 მსმენი თქვეულთა ამით, თანაწარვხსნი უშორეს განკრძობად საგანსა ამას
 ზელა მასთანა საუბარსა, და დროსა ამას მოილეს ორთა ჳაბუჟეთა კაცთა მურაბა-
 ნი და წყალნი; ამათვე მოგვართულს კავა ჩიბუხებიტურთ. მსახურთა ამათ ეკი-
 ლათ მკერდთა ზელა თასმა, ყრილნი ნაკუშთისა ამის  მსგავსნი ნაჭერნი მარმა-
 რილოჲსა ქუსანი, სამ-სამ ასოსხმულნი, რომელთათუსცა მკითხულმან სელიმ
 45 ბაბასა, მივიღე მის მიერ პასუხი შემდგომთა შინა:

თუხ ღერვიშ წოდებისა — ბეგზადა! ესენი არიან ნებსით თუხით მოსლველ მიღებალ თუხ ზედა მძი- ებელთა ჯამსა ამას ჩვენდამო სურვილითა მით, რათა ღირს ჰყონ თანეი თუხნი წოდებასა ღერვიშობისასა და ამაღ, ჩუშნ მიერცა შეწყნარებულთა მათ სჯულის-დებისამებრ ჩუშნისა, აქესთ დამოკლებულ ნიშანნი ესე მორჩილებათანი განგრძობათა შინა 12-თა წელთასა, ვინა- 5. ცა იყოს იგი ჩინებულთა, საშუეალთა, უმდაბლესთა, მდიდართა, ანუ ღარიბ-თაგანი. უკეთუ ოდესმე კრებულისა ჩვენისაგანი უბრძანებს მათ ანუ მსგავსთა მათთა მორჩილებასა შინა პოვნილთა რაჟსამე მსახურებისადმი, ვითარცა დრო- 168 სა იყოს იგი, ჯერ-უჩნსთ მათ მყისუშ დამორჩილებად მათი მცირისაცა დაყოვნებისა, სრულითა კმა-ყოფითა. ქუათა მათ ზედა გამოწერილნი თუთო ასონი შეიციუნს თუხ შორის ოთხ-ოთხთა წელთა; ხოლო ერთი უზემოესი ასოჲ გვი-ბრძანებს ჩვენ ყოველსა თუთელსა წელიწადსა შინა მისდა მიწერილსა სამ-სამ-გზის მიტევებად ოდენ მათდა მცირისა ვითარმე შეცოდებისათუხ მათისა; გარნა ორნი, ესე იგი უქვემოესნი ასონი, არ ითმენენ ერთსაცა მცირედსა ვითესამე ბრალსა და ამისთვის პირველთა ოთხთა წელთა შესაბამითა სახითა განსლუსა, 15 ოდესცა ამათგანი რომელიმე არ იქმნების შენიშნულ უმეტესსა ბრალსა შინა, მაშინ მიეცემის სხუაჲ ნიშანი, მომასწავებელი სრულსა მორჩილებასა შინა და-ცუსათუხ თავისა თუხისა დროთა მათ შორის, შეეცულების სახელი და განირჩე-ვისცა რაოდენმე ამხანაგთა შორის თუხთა ჩუშნ მიერითა პატივისცემითა; უკეთუ მეორესაცა ოთხსა წელსა განატარებს სჯულისამებრ მისდა უწყებულისა კეთილად, 20 მაშინ კუალად გამოფუცულოთ ნიშანსა და სახელსა, დამნიშნელსა მისსა განგრძობა-თა შინა რუა წელთა წარტდომისასა მორჩილებითთა სიმშვიდითა ცხოვრებისა მისი-საგან სრბისათუხ. აწ უკუშ პშთების უკანასკნელი ოთხი წელი მოთმინებისა და ოდენ ამისიცა შეხუდების განტარებად თნიერ ყოველისა შეცოდებისა, მიიღებს მაშინ საზოგადოებისაგან ჩუშნისა წოდებასა ღერვიშობისასა და სახესა დამამ- 25 ტიკიებელსა მისსა ჭარისხსა ამას შინა. სხუშმბრ, ბეგზადა! იშუთად მოხდების ესევითარითა მორჩილებითთა სახითა განტარებად ვისგანმე გამოცდილებასა შინა მყოფისა მიერ 12-თა წელთა და ვინაჲთგან ესთა ძნიადობს მორბედობი-სა ამის შორის სრულისა მოთმინებისა ქონებად ყოველსა შინა, ამისთუხ გარდა-მწდარი მორჩილებისა სამძლუარსა, ვითარითაცა სახითა იყოს იგი, არ ღირს 30 იქმნების შერიცხუად ჩვენ შორის, გარნა ვერდაკლებულ-ვყოფთ მეორეთა ღერვიშთა ღირსებათაგან, უკეთუ სწადნოას იგი მასცა, ესე იგი ღერვიშთა მათ წოდებათაგან, რომელთაცა აძლევსთ სჯული შერთუად ცოლისა და ცხოვ-რებად სოფლისა საზოგადოებასა შინა.

განაგრძო კუალად სელიმ ბაბა:—ოდეს თუმცალა პირველთა და მეორეთა. 35 ოთხ-ოთხთა წელთა ფრიადისა სათნობითა, სიმდაბლითა და მორჩილებითა განმატარებელი პოვნილ იქმნების ცულდგულობასა ანუ რომელსამე სხუასა ვერ-ღირსსაქებელსა სახესა შინა, მაშინ შეეკრბებითყე ჩვენ ყოველნი ძმანი აქ მცხო-ვრებნი, მოუწოდთ მას წინაშე ჩუშნსა, გამოუცხადებთ უღირსებასა მისსა მის მიერ ძიებულსა ჭარისხსა შინა და აღვსძრკვთცა მისგან ნიშანსა მას; შემდგო- 40 მად ვეითხავთ, უკეთუ სურჯ მას ყოფაჲ მსოფლიოს ღერვიშად. ვითარცა ესცნობთ მისგან ამას ზედა თანგმობასა მისსა, მივსცემთ წერილით მოწმობასა ოთხთა ჩუშნგანთა მიერ ქელმოწერილსა, რომელ ღირს არს იგი მას შინა და-ნიშნულისა წოდებისა, განელათა შორის რუა წელთასა სრულითა მორჩილება-თა და მოთმინებათა ტურთისა ძლით. ამის გამო, სადაცა გამოირჩევეს იგი ქუშყ- 45 ნიურთა ღერვიშთა თანა ცხოვრებასა, დაუყოვნებულად მიიღებენ მას იგინი

169 თვს შორის. ესეცა მოხდების ოდესმე, მით რამეთუ ესევეთარი იგი გვთხოვს ჩვენ კრებულსა მიცემად მისდა ნებისა, რათა, დამპყთომან კულად ადგილსავე თვსსა, იწყოს ახლად გამოცედა თვისა თვისა მორჩილებასა შინა 12-თა წელთა, რომელსაცა შემდგომთა პირობითა შევიწყნარებთცა, ესრეთ ვითარმედ:

5 უკეთუ ერთსაცა ბრალსა კშთავარდების იგი პირველთა ოთხთა წელთა დროთა განვლათა შორის, მაშინვე დავსდებთ მას ჯელსა ზედა ნიშნისა განწყესებულსა, ვაუწყებთ მისთვის ადგილობით მცხოვრებთა დერვიშთა და განუტყევებთცა, რომელსაცა თქემულისა ნიშნისა ძლით აროდეს და არასადა მიიღებენყე სხუანი დერვიშნი.

10 დამასრულებელმან საუბრისა ამის, შეგვიყუანა ჯამსა შინა, გვაჩვენა კაიგოსუს სულთნის თაქიესის საფლავი მარჯვენით კერძო ძირსა თანა კედლისასა, რომელსაცა ზედა იხილავთ დამოკიდებულთა სხუდასხუა-

15 თვს სულთნისა კაიგოსუს თაქიესის საფლავისა და იარაღისა მისთა გუართა იარაღთა მისთა, ესე იგი ლახტთა მრავალსახეთა, შუბთა ფრიად მსხვლავრძელთა, უმშვლდოდ ჯელით სასროლ-სატყორცთა ისართა, ისპანტონთა, ალუბარდთა, ჯრმალთა და პირად-პირადთა სახეთა აბჯართა, რომელთაცა თვთოვსა მათგანისა ძლივ ძალ-ვიდევით შეძრუად კედელსა მას ზედა და გარდმოღებათათვს გვივარძმეს უძლურთა ძალთა ჩუღნთა.


20 თვს ჯაუზისა და მის შორის მდგომარისა სულტისა ჯამისა ამის საშუევალსა შინა არს ჰაუზი თეთრისა მარმარილოსა 12-კუთხედით, კმად ღრმად. შორის ჰაუზისა ამის დგას მისევე მარმარილოსა სულტის რვაკუთხედით, ადგილ-ადგილად გარემოს თვს წულლიად დათხრილი, რომელთაცა შინა არიან კშთასხმულ თითბრისა ხრილნი წვრილნი ლულანი ოქროთა ფერკილნი, ხოლო თვთ სულტისა იგი, სიმაღლით ექვსისა ადლისა, არს უგულო, თავისუფლად მოქმედებისათვს მის შორის წყლისა. სულტისა ამისთვის მოგვითხრა ნამდვლ აზიურ ზღაპარსიტყუაობად მისაღები დერვიშმან სელიმ ბაბა ესრეთ:

— ბეგზადა! ოდესცა სულთანსა კაიგოსუს თაქიესსა აღუშენებდეს ციხე კასტელი და მას შინა სასახლეა, შენებად მათსა მოტანილთა ჭუათაგან დამპყთომილან რაოდენნიმე ქუანი სასულტონი, გარნა დაუთლელნი. დღესა ერთსა მათ

30 ზედა ნებდევლსა სასახლით გამო თვსით უბრძანებდეს ჩინებულთათვს თვსთა მწუხარითა სახითა, ვითარმედ ესოდენთა შენობათა სრულყოფელმან ვერ შეუმზად თვისა თვსსა ესევეთარი სამყოფი სხუათა მიერ უშურველი, რომლისაცა მიუღებლობისათვს ძალ-ელდას მას შინა უშიშრად ყოფაჲ. მოწყნეთა მისთა, დაიმედებულთა კასტელ ციხისა და მისისა ადგილისა ბუნებითსა სიმამარესა ზე-

35 და, მოუტყენებდეს შეუძლებლობა ვისგანმე სხვსა მძლავრისაგან აღლებად მისა საჭურვლითა, თანასწორ ვითარ აღშენებადცა უმჯობესისა თვთ სულთნისა მის მიერ. სიტყუათა ამით გამო აღმდგარსა მას სულთანსა კაიგოსუს გამოუყვანის იგინი გარე თვსთანა ჭუათა მათდამი, ალუღეს ერთი მათგანი და მთქემელსა დიდებულთა მიმართ თვსთა, ჯმა უყვეს: „მიხედეთ, სადაცა დაეცემის ჭუაჲ ესე, მუნ აღუშენებ თავსა თვსსა სახლსა და შემდგომ დაემკვდრები მას შინა, რომელსაცა არღა ვინმე შეიშურებეს მიღებად მისა ჩემგან“. გაუსროლიეს ჯირითებრ, ჭუაჲ იგი დაცემულ არს თვთ ადგილსა ამას, სადაცა ხელდავთ ჰაუზსა ამას და სულტისა, თვთ ჯვსა მის ნაჭერსა მუხუთესა, ვინახოვან დაცემასა შინა გატეხეს არს იგი ხუთად. და ესრეთ აღუშენებდეს მას ჯამი თვს, ვაუკეთებდეს საფლავი


40 ესე, რომელსაცა შინა არს დამარხვულ იგი და კვალად ჰაუზი ესე სულტიურთ და იარაღნიცა იგი თვთვე დამოუკიდებდეს კედელსა ამას ზედა საფლავისა თანა თვსისა.



მ.ა. ჯავახიშვილი. მემფისის იეროგლიფებიანი კუბო

სურ. 8


სურ. 8. მემფისის იეროგლიფებიანი კუბო



სურ. 98

სურ. 9

სურ. 9. 90. ბეჭდის სურ და პირსაშუბრ. 98



სურ. 11

სურ. 11. უკუბო პატარა ნუბია და სხ.

მარტენით კერძო ჯამის ამის, ახლოს კარისა, რომლისა ძლითცა შევმოვე- 170
 დით ამას შინა, არს კედელსა ზედა ლურსმებსხმულსა მდებარე ფიცარი და
 მას ზედა ძევის მოგვ ანუ ჩექმად ერთი უყელო, წითლისა
 თვის სულთაწაიგოსუსთა-
 ქიების მოგვისა
 სამოგვსა დიდად ზრქელისა, რომლისაცა ძირისა სიგრძე
 არს ნახევარს ადღს სამ გრე ნაკლები და სიგანე— 5
 ერთ ჩარქე გრე-ნახევარი. ესე არს გატენილი თივითა; სცმია სულთანსა კაი-
 გოსუს თაქიესსა, სიტყუათამებრ სელიმ ბაბაქსათა, შობითგან თვისით
 შვდისა წლისა მექონსა.

თვის დერვიშ სელიმ ბაბაქს
 ბაღისა აქედამ გამოსლევულთა პირველსავე სახლსა შინა გვი- 10
 მასპინძლა აპელსინითა და პორთუვალითა; მერმე შე-
 გვიყუანნა ბაღსა თვისსა თუმცა მცირესა, გარნა ხეთა მიერ
 ნაყოფიერთა მწყობრ-მწყობრად მდგომობითა შემკობილ-განშუშნებულსა, ესრე-
 თუც პირად-პირადთა ყუაილთა ნახჩ-ნახჩად რგველებითა აღცელებულსა, რომ- 15
 მელთაცა შორის ვიხილვეთ ხე ერთი, სიმაღლით სამს საყენადმდე, მტვრთველი
 თვის ზედა ნიგვზისა ხის კაკლისა სიმსხოთა კაკალთა. მიმღებმან სელიმ ბაბაქსა
 ნებისა, მოვაწყვედინე მისით ხუთი კაკალი. კაკალნი ესე იყუნენ გაფურჩენილ,
 რომელთაცა შინა ჩნდნენ უჩუქულონი სიწმინდისა ბაბაქანი და წარმოვიღე
 თვისთანა. აქ უბრძანა მორჩილთა მათ სადერვიშოთა მორთმევეად ჩვენდა ყურ-
 ძენტთა და პირად-პირადთა ყუაილთა კონებად კრეულთა, რომელთაცა მიმღებ- 20
 ნი. გავემშვიდობენით მოქუცსა ამას და წარმოვედით სახლისადმი ჩუშნისა.

თვის ანტონიაკი ლავრი-
 ნის ჩემდა მოსლუსა 22-სა. მოვიდა ჩემდა ჰექიმბაში ანტონიაკი ლავრი-
 ინო, რომელმანცა მომიტანა ცხოვრებადმოხილი ძელი ოქ-
 რომასა ჭუარსა შინა მდებარე ოქროსავე დასამოკიდებე-
 ლის ჯაჭვთა და მრქუა:

-- ბეგზადა! არხიმანდრიტმან ნეკტარიოს დროსა თვისისა ჩემთანა გან- 25
 მშვდობებისასა მარწმუნა ჭუარი ესე მმეტყუელმან, მით რამეთუ აღუთქეამს მას
 მოცემად თქუშნდა ამისა და მთხოვა სახელითა მისითა მორთმევეად თქვენდა,
 რომლისათვისცა დღეს, აღმასრულებელი მის მიერ რწმუნებულისა, გთხოვ მი-
 ილოთ ესე წინდად მისა და თქუშნ შორის პოვნილისა მეგობრობისა.

თვის დ. ვ. დაშკოვისა,
 ოსეთა ფულუაშვილისა და
 ნასალდათარისა დავეით
 ბაზილიძისა 23-სა. მოვიდა მაჰმად ალი ფაშიდამ უკმოქცეული
 დმიტრი ვასილიევიჩი დაშკოვი. ამასვე რიცხუსა მოსცა
 ოსეთა ფულუაშვილმან მოსე ბერუაშვილისა თვის თეთრი.
 დღესა ამასვე შეიშალა გონებასა შინა ანუ გაავიქნა ნა-
 სალდათარი დავეით ბაზილიძე, რომელი, ვითარცა მეს- 30
 მა, მოეწამლათ სხუათა გათათრებულთა ნარუსალთა.

თვის ბოლოს უსუფის ჩემ-
 და მოსლუსა 24-სა. მოვიდა ჩემდა ბოლოს უსუფ, რომელმანცა
 მკითხა კუალად და მთხოვა თქემად მისდა დღისა ჩემისა
 აქაით იერუსალიმს წარსლუსა და მცნობი ჩემ მიერ,
 დროსა მის, წარვიდა თვსად.

თვის სპირიდონ სივიონისა
 და მისტრ ჭონ ჰეიღისა 25-სა მოვიდა ალექსანდრიით სპირიდონ იეგოროვი-
 ჩი სივინი და დადგა სახლსა რომლისამე ბერძნისასა.
 ამასვე დღესა მოვიდა ჩემდა მისტრ ჭონ ჰეიღი შეტყობად
 ჩემგან დროსა წარსლუსათვის ჩემისა პალესტინისადმი, ხოლო უწყებულმან მის-
 თვის, გამომიქცადა, რომელ ივიცა მზა იქმნების დროსა მისთვის.

26-სა. ვიწყე განმზადებად ყოველთა ნიეთთა ჩემთჳს საკმართა წინამდებ-
171 რეასადმი გზისა. ვიყიდე ერთი თოფი ორლულიანი ანგლიური, ერთი კრემის მა-
ჟარი და ერთი ზონტიკი ანუ სამზეური.

6 თჳს წერილისა და საჩუ- კაცის ჳელით ერთი დაბეჭდილი პაქეტი, ერთი ულაკი
ქართა ბოლოს უსუფის ცხენი კაირული თავის შეკაზმულობით, ესე იგი ლაჯვარ-
მიერ ჩენდა გამოგზავნ- დისფერსა ხაველსა ზედა ოქროთნაქერის უნაგირით, რან-
ნელთა ტით და სხჳს მისდა შესაბამის იარაღით, ერთი ჳრმალი
ოქროთმოქედილი და ორი ქიშირული შალი სახელითა მაჰმად ალი ფაშისათა.
10 აჰა წერილისა მის ფრანკულულად დაწერილისა და ბოლოს უსუფის მიერ ჳელ-
მოწერილისა თარგმანი:

თჳს ჳემოქსენებულის წე- „კაირსა, 9 მარტსა, 1820-სა წელსა.
რილის ძალისა ანუ თარგ- უბრწყინუალესო თავადო!
მანისა

მოდგილემან მეფისა ჳელმწიფემან ჩემმან სათნო იჩინა მოცემად ჩემდა
15 უსახარბიელოვისისა რწმუნებისა განცხადებად თქუწნისა ბრწყინულუებისადმი
უუტკბილესისა კმა-ყოფისა, რომელიცა მოუპოვნა მას პირისპირ მცნობობამან
თქუწნმან.

მმადლობელი თქუწნდა ჳსიამოვნებისათჳს მოსლჳსა, ჳელმწიფე ჩემი
გთხოვსთ თქუწნ ჳერ-იჩინოთ მიღებად ნიშნად მისისა მეგობრობისა:
20 კაირული ცხენი სრულითა ცხენის იარაღითა, ოქროასა ჳრმალი და ორი
შალი ქიშირული.

ვეგები ჩემითა მალაპატევისცემითა
თქუწნის ბრწყინუალების უუმორ-
ჩილესი და თანამერდომი მოსამსა-
ხურე ბოლოს უსუფ.

25 მათს ბრწყინეალებას
თავადს გიორგი ავალოვს
კაირსა შინა“.

20 თჳს ჩემ იერ გამჳდობე- 28-სა. გავემწვიდობე ვიეთთამე მცნობთა ჩემთა ჳერ-
ბისა აქაურთა თანა ძენ სამლუდელ-საეროთა, ფრანგთა, სომენტა და სხუა-
თა, ხოლო მოველ რა შინ, მივიღე იერომონონოსის მა-
კარიოსის მიერ წმიდა ნაწილი წმიდისა ყოვლად დიდებულისა ძლევაშოსილისა
და დიდისა მთავარმოწამისა გიორგისა.

25 თჳს მაჰმად ალი ფაშისა 29-სა. უკმოქცეველი სოფლით მაჰმად ალი ფაშა
მოვიდა კუალადევე კაირს.

თჳს ჩემ მიერ მუშაითა ამავე რიცხვს მივიღე მუშიები, რომელნიცა არიან აჰა
მიღებისა დახატველ ჳშთატანებით და ნომერთა ქუწუე, ესე იგი სა-
ხელდებით: ბირველი ნომერი არს კუბოთ იეროვლიფებიანი

172 (იხ. სურ. 8), მეორე ნომერი—მასკი ანუ პირსახურავე ოქროთა მოოლევილი (იხ.
10 სურ. 9ა)*, მესამე ნომერი—თვთ სახევე მუშისა მის (იხ. სურ. 9), მეოთხენი ნო-

* მუშის მასკა, ცალკე პატარა ფურცელზე დახატული, მიმაგრებულია № 9 სურათზე მუში-
ის თაეთან ისე, რომ შეიძლება მისი მოძრაობა. მუშის თავის ეს სურათი მოვითავსეთ № 9 სუ-
რათის ქვემო კიდზე 9ა ნომრით (ე. შ.).

მერნი—კუბონი უმომცროესისა და მომცროსა მუმიათა (იხ. სურ. 10), მესუ-
თენი ნომერნი—თუთ უმომცროესი და მომცრო მუმიანი (იხ. სურ. 10), მექუ-
სე ნომერი—ურნა ანუ ქოთანი (იხ. სურ. 10), მეშვიდე ნომერი—კუშრები (იხ.
სურ. 11), მერვე ნომერი—ბო (იხ. სურ. 11), მეცხრე ნომერი—კატა (იხ. სურ.
11), მეათე ნომერი—კაცის ძული, ანუ რომელიმე სხუა ნაწილი ბუნებითისა
სახითა (იხ. სურ. 11), მეათერთმეტე ნომერი—უკუბო პატარა მუმი (იხ. სურ.
11), საცნობელად თუთუღთა მათთუ მქლოვეღთა მიერ გუამთა.

ხოლო პირველისა მის ნომერისა მუმიის იეროგლიფთა განმსინჯველმან
ერთმან კეთმან, სახელით შიხ აჰმად, მოენესა ძლით ჩვენ შორის მოუბარისა
მომცა ცნობა მათთუ განრჩევი (უკეთუ არ ექვემდებარების ურწმუნებლობა-
სა) ესრეთ: „დიდსა კუბოსა ამას შინა მდებარებს გუამი ასულისა სქესთაგან
ფარათასა, მიცულილი უწინარეს 3874-ის წლისა, რომლისა თანაცა არიან
სამნი შვილნი მისნი, გარნა მათ შორის ორი მუცელწამბდრობისა ძლით შო-
ბილი, თანასწორვე შებალსამებულნი მუმიებად; ერთი ურნა ანუ ქუს ქოთანი,
შინაგანთა ნაწლევა და ღვიძლ-ფილტვთა დიდისა მის მუმიისათა მცუსლი,
ოთხი კუშრები, ხუთი წყვილი სანდალი, ერთი ხბოა და ერთი კატა ბალსამე-
ბულნი“.

ხოლო შემდგომად სიტყუათა ამთ მრქუა: „პატივითა ამით იმარხვდიან
მეფეთა ჰშთამომავლობანი, დიდშემძლენი და მდიდარნი, უკეთუ იყენენ იგინი
ცნობილ კეთილკრძალულებითსა და საქებელსა ცხოვრებასა შინა“.

უკანასკნელ გასინჯა კუალად ყოველივე შემოჩვენებულნი ნივთნი და მი-
თხრა: „აწ მშვიდობით, ბეგზადა! მოკლედ გაცნობეთ თქვენ მუმიათა ამათთუ
ამად, რომელ მიეჩქარები წარსლუად სოფელსა შინა მშვიდობით“.

ჰსთქუა რა ესე, აპირობდა განსლუად ჩემგან, რომელიცა შეეაყენე და
ერქვ: „უკეთუ გამომიწერ შენ ძალსა იეროგლიფთა ამათთასა, უადღუესს და
უუსრულეს საცნობელად ისტორიისა მისისა, მაშინ მოგცემ შენ შერომისათუ
შენისა ათსა თუმანსა ვეცხლად (ვინაჲთგან კერძოსა ამას შინა არ უწყიან
სხუა თეთრი, გარდა ოქროსა და ვეცხლისა)“. არამედ კეთმან ამან, მომგებ-
მან ჩემდა, რქუა: „არცალათუ ათასისათუ ქეისისა¹ აღგისრულებ თხოვილსა
თქუქსნა“. და ესრეთ, მოუდრეკელსა კაცსა ამას მივეც ერთი ოქრო სულთან
მაჰმუდისა ხუთმინალთუნინი ვეცხლად და გაეყარინით.

მარტა 1-სა

თუ ფრანცესკო ვალმასის მოვიდა ჩემდა ფრანცესკო ვალმას, რომელმანცა მოწ-
და კაირისა ცა წერილით უწყება მომელთამეთუ სახეთა კაირის
მდგომებისათა, და ვითარცა წარმოვიდა ესე ჩემგან, წარველ მიხალიციანოვი-
თურთ და იასალჩი ტუსუნით ცხენთა ზედა შემოვლად ქალაქისა ამის დანიშე-
ნითა საათისათა, რომელიცა შევმოვლეთ სამსა ჯამსა და 54-სა წამსა. იტყუან
სიმგრველესა ამისსა სამს ფრანციის მილად. სიერცისათუ ამისა არარაჲ ითქე-
მის დამტკიცებთ; ესრეთუშ უმცირეს საცნაურ არს რიცხუ მცხოვრებთა, გარ-
ნა რომელიმე უბნობენ ამას შინა მკვდართა 70000-სა სულისა, ვითონიმე 55000-სა,
სხუანი 90000-სა და მილიონადმდეცა. ხოლო მე, დამტკიცებელი ყოველთა მათ,
მოვიტყენებ აჲ განრჩევი ქალაქისა ამისთუ, ცნობად მკითხულთა ჩემთა, ფრან-
ცესკო ვალმასის მიერ ჩემდა წერილით მოცემულისა პირსა ესრეთ:

¹ ქეისა—არს ორმოცდაათი თუმანი ვეცხლად.

- თუკ კაირისა ხიწულიღე-
 ხა შინა გამოწერისა კაირი არს უპირველესი ქალაქი სრულისა ეგვიპ-
 ტისა და ხშირად უწოდებენცა მას დიდს კაირად შო-
 რავს ნილოსისა აღმოსავლეთისა კიდურსა ნახევარ მილითა; დაფუძნებულ არს
 980-სა წელსა შემდგომ შობისა ხრისტისა პირველისა ფათიმიდელის ხა-
 5 ლიფა ელ-მოსის მკედართმათკარისა ჭიგოპარის მიერ, ხოლო ეწოდებისცა ელ-
 კაირი, ამად რომელ თუთ მას დროსა, ოდესცა უღვათ საფუძველი მისი, განუვ-
 ლიეს მერიდიანსა ზედა ეტლსა მარისსა, არაბულად ელ-კაგერს, ანუ ამად, მით
 რამეთუ მოასი დაუბრყიესთ მაშინ ეგვიპტელთა. ჩანს, ვითარმედ დიდხანს ყო-
 ფილა იგი წინააღვილად არავიის ძეშლისა ფოსტატ ქალაქისა, რომელიცა არს
 10 დაწუწარ საფუძველადმდე 1186-სა წელსა, დროსა ჭუარის ლაშქრობისასა ფრანგ-
 თა მიერ. ამიერ ჟამით უწყვეს კაირსა აღორძინებად. სულთან სალეგედინსა
 ანუ სალადდინსა 1194-სა წელსა უბრძანებდეს შემოვლებად მისა მიწისა თბრი-
 ლისა, ზომით ერთ-ნახევარსა მილსა ზედა გერმანიულსა, რომელი იხილუმბის
 დღესაც ადგილ-ადგილად. სალადდინსა არათუ ოდენ განუშვენებდეს ქალაქი,
 15 არამედ მოუყვანისცა იგი მომგვრებელსა მდგმოეხასა შინა. მას შემოუღიეს
 ბაღნი, სასნეულონი, უცხოთ მისაღებელნი სახლნი, მაჰსეთნი და სასწავლებე-
 ლი, რომელიცა მოწვენადმდე თათართა ყოფილა ფრიადსა და დებასა შინა.
 მართალია, არს აწცა, გარნა ესე მიეწერების მაჰმად ალი ფაშას, დაუძინებე-
 ლად შირუნველსა სამფლობელომსათუკ თუხისა კეთილდღეობისა და განათლებე-
 20 სადმი, რომლისაცა ხარჯსა ზედა ასწავლიან კორანისა განმარტებასა, ღრამმატი-
 კასა, ვარსკვლავთმრიცხველობასა, არიხმეტიკასა, ალგებრასა, ფორტფიკაციასა,
 ფისიკასა და მათემატიკასა ენათა ზედა ბერძულსა, ფრანცუზულსა, იტალი-
 ურსა, არაბულსა და თათრულსასა. ხოლო ოსტატნი მიმღებელობენ შერომა-
 თათუკ თუხსა ფასსა ჯამ-ელ-ასგარად¹ წოდებულისაგან, რომელსაცა შინა სდებს
 25 წლითი-წლად თეთრსა მათდა მოსაცემელსა ქსენებელი ფაშა.
- ქუჩანი ქალაქისა მისი შირის არიან იწრონი და მრუდნი, ხოლო ვინაჲთ-
 გან გარდა მათსა არიან მოუკირწყლავ, ფრკიენა და ცხენოსანნი ფრიად მრავ-
 ლობით მსლველ, ამისთუკ აღსდგების ესევითარი შემაშინებელი მტურარი, რო-
 მელ შეუჩვევარი მისდა კაცი სათანადოებს თუთიქემის დაჰშობობად. კერძონი
 30 კაცი თუმცა რწყვენ მათ ოდესმე წინაშე სახლთა და დუქანთა თუხთა, არამედ
 მყისულ წაკულად მტურარისა შეიქმნების ტალახად და გამოსცემს საძაგელსა სუნ-
 სს. მომრწყველად მათსა არიან დღეს განწესებულ 45000 კაცი, გარდა კერძოთა
 მათ ზემოთქმულთა. თქმულნი ქუჩანი ესე არიან დია მრავალ და თუთეულსაცა
 მათგანსა აქუაწყე თუხნი ალაკაფის კარნი, რომელნიცა დაიკეტებიან დამე მკმი-
 35 ლავთა მიერ მათთა, გარნა განუღებენ მიმომავალთა. დროსა ამას არიან ქუჩანი
 ესე განათლებულ ფონრებითა და გრილაცა საამოდ. მუშაობა, ალებ-მიცემა
 174 და ყოველი ესევითარი არს უმეტეს დროსა ამას, ვიდრედა დღისით — გაუძღებე-
 ლისა სიციხისა ვაშო, თუმცა დღე გარდააფარებენ ტყავთა, შალთა და ქალობ-
 თისა სიწროასა ძლით ქუჩათასა სახლითი-სახლად და მით იცუმს თავთა მზის
 40 შემწულობისაგან.
- ქარვანსართა და ბაზართა შინა შესაძლო არს შოვნად ყოვლისა საჭიროჲ-
 სს, ფასითა არად სანიშნელითა. საფრანგეთისა კონსულნი და ვაჰარნი ცხოვ-
 რებენ განზოლოებით ერთსა ქუჩასა შინა, რომელსაცა აქუს ესრეთულ თუხი
 ალაკაფის კარი და უვისცა კარაული. დროსა მომსრველისა სენისასა არ განუ-

¹ ჯამ-ელ-ასგარა არს სახელი ერთისა ჯამისა.

ლებენ არავის არავითარისამე მიზეზისათჳს. შემაწუხებელი და დამამძიმებელი ცხოვრებაჲ მათი ნუგეშ-იციემების რაოდენმე საამოებითა შუწნიერისა ბაღისათა, რომელიცა არს ანგლიურებრ ქმნილ შორის სახლთა მათთა.

სახლნი არიან ორისა და სამისა ძვიდეთა. აქუსთ სართულთა ზედა ადრ-ბაგნი, მრავალთა ქვთ ფენილნი და ვიეთთამე თიხითა გარდალესილნი. აჲა აქუსთ ბაღნი, შადრევანნი და მომცრო ჰაუზნი, ვითარცა განსაგრილებელად სახლის ჰაერისა, ესრეთუჲ საბანელად ანუ განსაწმედელად მკლავ-ფერჯთა დროსა ლოკუსა მათისასა. მრავალთა შორის მარმაროლოთა და თლილთა ქუთათა გამო ნაშენთა სახლთა, იპოვნებინ უმრავლესად შენობანი თიხითა, ალიზის აგურითა და მშვრივისა კლდის ქვთა, რომელიცა მოაქვსთ ახლოს კაირისა მდებარის მოკატამის მთილამ. სახლნი ესე ზოგად ყოველნივე მსგავსებენ უფროს დილეთა, ვიდრელა სახლთა, ქუჩათა ზედა ფანჯარათა არმქონთა. მოედანნი და მერენი არიან აჲა ცულ, უწმიდურ და მცირე. ქარვანსარანი საკმაო, რომელთაცა შინა ვითარცა მიმომსვლელთათჳს, თანასწორ შესანახავადცა საქონელთა არიან ოთარნი და ადგილნი.

მაჰსჯითნი ანუ ჯამნი კაირსა შინა არიან ფრიად მრავალ. რომელნივე რაცხვენ მათ 452-ად და უმრავლესნი მათგანნი 600-ად. არამედ მათ შორის არს ყოვლითურთ უჩინებულესი ჯამი, აღშენებული ჰასსან სულთნისა მიერ და დია განმაგრებულ. რომელნივე მაჰსჯითნი არიან დაწესებულ მიცემად მოწყალებისა გლახაკთა ყოველ დღე. გარდა ამისა, ყოველსა ოთხშაბათსა, დროსა მწუხრისასა გაიტანენ აჲაჟურნი თათარნი კარავთა სახუთშაბათოდ საფლავთადმი თჳსთა მკუდართათა, დაუტებენ სუფრათა გლახაკთა და ვითარცა ძალუძთ აჲმვე-ასმევენ და მისცემენცა თეთრთა. მინარათა ზედა აზანისა საყოფელად ანუ მოწოდებისათჳს ერთასა ლოკუად არიან დადგინებულ 2460-ნი კაცნი, თუითქემის სახედველმოკლებულნი, მით რამეთუ ვერ უძლონ ხილვად მდებრთა ბანებისა. კაცნი ესე ვლენან ესრეთუჲ ქუჩათა შინა და ჰკანადნი ხალხთა ლოკლედმი. ბერძენთა ეკკლესია არს აჲა ორი, ზოლო მესამე—პატრიარხის სახლის ეკკლესია სახელსა ზედა წმიდისა ქალწულ-მოწამისა ეკატერინასსა და ერთიცა—საქამრო ანუ მეტოხი სინა მთის მონასტრის ეპისკოპოსისა. გარდა მათსა არს ორი მონასტერი ფრანციისა, ერთი ეკკლესიაჲ სომეხთა და 36 სინაგოგი ურიათა.

მრავალთა საზოგადოებისა სახლთა შინა ისყიდების აჲა სპილენძისა ჯამებითა ახალი წყალი, რომლისაცა შოვნა ოდესმე დიდისა ფასითაცა შეუძლებელ არს, ვინაჲთგან ნილოსისა არს ფრიად მღვრივე და არ ძალუძს დაყენებად მწყურვალებისა, რომლისა ძლით იტანჯვანყე მარად აჲაჟურნი ესევეთარსა ცხელსა ჰაერსა შინა. გლახაკთა და უღონოთათჳს. სახლნი არიან ესრეთუჲ კმასაყოფელ, რომელთაგანიცა ერთი, წოდებული მურისტანად, არს ფრიად ვრცელი, მხოლოდ სნეულთა და გონებასა მოკლებულთათჳს. ესე ყოველნი ინახვან წარსაგებელითა მაჰმად ალი ფაშისათა.

ქასტელი ანუ ციხე კაირისა მდებარებს კლდესა ზედა შორის ქალაქისა და მოკატამის მთისა. ესე არს მოზღლუდელ განიერისა კედლებითა, რომელთაცა ზედა არიან მაღალნი გოდოლნი; გარნა რომელნივე, მიხედვსამებრ ახლოს მდებარისა მაღლისა მთისა, არმშემძლებელ არიან ნამდვლისა სიმაგრისა სახელის მიღებად თჳს ზედა. ციხესა ამას ჰკმილვენ იანიჩარნი, მიმღებნი ჯამაგირისა მაჰმად ალი ფაშისა მიერ.

მდებარეობაჲ ქალაქისა არა არს სარგებლიან, არცა სასიამოვნო. გარემოს ამისა აგროვიან ნეხენი, ტალახნი და ყოველნი უწმინდურებანი, დღითი-დღე ჰა-

ლაქით გამოტანილნი. რაოდენცა უახლოეს კაირისა მიხუალ, მით უგაუძღლებელესად იჩინების სახეა მისი. სიმყრალეა საფლავთა და ყოველთა მძორთა არს თუითქემის მომკველ. აქა არს შემოტანილ არხი, კალიდ ელ-ემირ მუმეინად¹ სახელდებული. არაბნი ამტკიცებენ, ვითარმედ ესე იყოს გათხრილ ომარის მიერ, არამედ სხუანი იტყვან წინააღმდეგად მისა, რომელ გაუკეთებინოს იგი იმპერატორსა აღრიანესა ანუ ტრაიანესა; გარნა წყალი იქმნების მას შინა დროსა ნილოსის გადმორღვნისასა.

5 შარაათი² აქუსთ აქა პირუთნებელი და მსწრაფლი. რაჟცა და რაბამცა მძიმე და ძნიალი საქმეა სადავო იყოს მას შინა შეტანილ, სამი დღე არს მხოლოდ შეწირულ მისთჳს.

10 არიან აქა ფრინველნი ერთგუარნი, ფრიად მსგავსნი ქედანთა, მეზუღარენი სახლთა, ბაღთა, ხეთა ზედა და ქუჩათა შორისცა მსხდომარენი, რომელნიცა უზნობენ თუითქემის სასმენელად რეცა ქართუელსა ენასა ზედა შემდგომთა ლექსთა: „ბიჳო! ნუ გაათარღები“.

15 დღესა ამას გავუგზავნე ბოლოს უსუფს ერთი მეხანაიკის ოქრომინაქრიან-რეპეტიციანი საათი ჳელითა მაჰმად ალა მუსტოფა ჳაია რახასისათა ნიშნად ჳსოვისა ჩემისა.

კაირსა შინა არიან დღეს მემკვდრენი საკუთართა სახლთა თჳსთა მექონნი 77631 კომლი, გარდა დროსა ნაპოლეონისა და შემდგომადცა მისა ჳირისა მიერ 20 მომწყდართა მცხოვრებთა და დაქცევულთა სახლთა 54208-თა კომლთა, რომელთაცა პატრონთა რიცხჳ სულობით არ უწყვიან.

არაბნი, ნებსით და იძულებით მოსლველ-მორეკილნი სამუშაოდ, არიან დღეს ნახევარ მილიონადმდე, გარდა თათართა და სხუათა მათებრვე მოსლველ-მოყუანილთა, რომელთაცა ორთავე რიცხჳ მიიწვევის მილიონადმდე.

25 ცხენნი, ჳორნი და ვირნი გასაჳირაებელად დაყენებულნი ჳალაჳისა ამის შორის მათჳს დანიშნულთა ადგილთა ზედა—77435. აქლემნი, ცხენნი, ჳორნი და ვირნი, რომელთაცა პატრონნი მიმოზიდვენ სახლთა შორის წყალთა ფასით—54745, რომელთაგანცა ხაზინა მიმღებულობს სანიშნელსა სარგებლობასა შემოსავლითა.

30 ბაღნი შაჳრისა ჩალათა ანუ ლელწამთა, ბაღნი ჩუშველებრიენი ვაზ-ხეხილიანნი, ბაღნი ფინიკთა და ბოსტანნი კერძოთა ჳელთა შინა მყოფნი არიან აღწერილ და ერთმევისთცა პატრონთა მათთა მათჳს ჩინებული თეთრი. ყოველნი ჳელოსანნი, მიწისა მუშაჳნი ანუ სხვისა რაჟსამე მოქმედნი სამფლოებელსა შინა მაჰმად ალი ფაშისასა არიან უწყებულსა შინა მმართველობისასა 35 შემოყუანილ და იგიცა, თუ რაოდენი დღიური მიწა შეიმუშავების სხუათა და სხუათა მარკუალთა და თესლათჳს, რომელთა ძლითცა შემოსდის ხაზინასა მდიდარი შემოსავალი.

დღიური შემოსავალი ჳსენებულისა ფაშისა არს 3922 ჳესა. ჳამისა ამის გამო იხარჯების მეოთხედი ნაწილი დღიურევე ჳარსა ზედა შემდგარსა 100000-თა 40 კაცთაგან.

სიცხე ჳაერისა ანუ ტაროსისა ოკლომბერსა, ნოემბერსა, დეკემბერსა და იანვარსა შინა აღმეტების ჩუშველებრიესა ჳარისხსა თჳსსა, ესე იგი 44-სა და მიაწევს 54-ით 58-მდე გრადუსად ჳალაჳისა გარე. ჳამთრისა ჳაერსა რიცხუშ³ აქა

¹ კ ა ლ ი დ ე ლ - ე მ ი რ მ უ მ ე ი ნ — არხი მარჯლაიღებულთა ჳელმწიფისა.
² შ ა რ ა ა თ ი — სასამართლო ანუ სასამართებლო.

ფებერვლის 21-ის რიცხვთ მარტის 9 რიცხუდმდე; ხოლო სხუთა თთუშთა და დროთა შინა სიცხე არ დაჰქვდების აროდეს 38-ს გრადუსადმდე.

აწ არს ჟამი თქემად მცირედ რაჟსამე მაჰმად ალი თჳს მაჰმად ალი ფაშასა ფაშისათჳს და მიქცევად მისდა რაოდენმე გულისმცირებულისა, რეცა ბუნებასა შინა უჩუქსეულოასა და იშუთისა კერძოსა ამას. მფლობელი ესე საშუაველისა პასაკისა, სახითა თეთრ-წითური, წუშრ-ულვაშმოქერო, თუალწულილ-მოლურჯო და მარადის მდაბლითა კმითა მოლაპარაკეჲ არს შული მეწამულისა ზღუეს კიდურს მცხოვრებელისა გლახაკისა და ჩანგლითა თევზთა მნადირებელისა თათრისა, რომელიცა, შემდგომ მაშისა თჳსისა რაოდენსამე დროსა პყრობილი ჳელოვნებითა ამით, განწესებულ არს უკანასკნელ სამსახურსა შინა ეგვიპტის ფაშისას; სიმკნე-გონიერებითა თჳსითა მიწვენილ არს ჳარისხსა ათასისთავობისასა. ხოლო დროსა აჲჟათ ნაპოლონის უკუნქცევისასა, ერთსა ევრობისა ჳელომწიფეთვაგანისა მკედარტმთავარსა, სახესა ქუშუშე ოთამანის პორტისა თანა მეგობრობითთა შეკრულებათასა შესლულსა აღექსანდრის შინა, წარუვლენიეს ნაწილი ვაშტთა თჳსთა დაფლობად რომეშისა წინააღმდეგად სულთნისა. მაშინ ათასისთავსა ამას, მკონობსა მთავრისა მის განგულუვბულისა პაზრისა, მოუტსენებიეს უზრუნველად ანუ ვითარცა მძინარედ მყოფისათჳს ფაშისა თჳსისა, გამოუთხოვიეს მისგან ნებაჲ წარსლულად ჳართა პირისპირ რომეშის დაპყრობად მომავალისა მკედრობისა შეუშვებლობისათჳს მისისა მას შინა. მიმღები ბრძანებისა და მოსლული რომეშს, მიჰგებებიეს ახლოს გალანისა მისისა თანა შექტრეილითა მკლავითა მტერსა თჳსსა და დაუწყვეს დაეჲ მათდამი უსისხლოდ დაუნებლობისათჳს ქალკისა ამის. შემდგომ მიიქნებულისა ორისავე კერძოდ ბრძოლისა, მძლეველსა ამას ათასისთავსა უიძულებიეს მკედარტმთავრისა მისთჳს დაცლად და განწმედად აღექსანდრისა.

მექონსა ყოველსა შინა კეთილწარმართებისა და აღმღებსა აღექსანდრისასა, მიუწერიეს სულთნისა და ვეზირთა მისთათჳს წარმოებაჲ ესე. ხოლო სულთანსა, წარმომწერსა მისდა ფერმანისასა, ურწმუნებიეს მისთჳს სრულიად ეგვიპტე, გარნა დაუნიშენელად ფაშობის სახელისა და ლირსებისა. ამას წარუგზავნია პირი ფერმანისა მის ფაშისათჳს თჳსისა, რომელსა, შეშინებულსა ანგარიშსა ზედა სიცოცხლისა თჳსისასა ახლად გამოჩენილისა მკედრისა და ძლევამოსილისა ათასისთავისაგან თჳსისა, აღუღია სრულიად საუნჯე და გასცლია მოწყესსა ამას თჳსსა ეგვიპტით. ვითარცა უუწყებებიეს მაჰმად ალისა ამისთჳს, მით რამეთუ ტსენებულმან ფაშამ, აღმღებმან მთლად საუნჯისა, დაუტევა ადგილი თჳსი უუბედნიერესსა, მაშინ მიუციეს მას მაუწყებელთათჳს მათთა:—„გზა მშჯდობისა! ნურავინ შეწუხდების წარღებისათჳს ხაზინისა, ეინათგან დაუტევებიეს ჩვენდა ეგვიპტე, რომელიცა მის მიერ დაცალიერებულთა სალართა ადაესებს კუალადცა მოკლესა დროსა შინა“.

მიერ ჟამით მფლობელობს მაჰმად ალი ესე, მიმღები თჳს ზედა სამთულიანის ფაშობის სახელისა, რომელი დაუმტკიცებებიეს ესრეთუშ ბედნიერებისა ძლით მისისა მოთავაზესა მისდა სულთანსა. უმეკარი წერილთა, სწავლობდა მათ დროსა ჩემისა აჲ ყოფნისასა არაბულსა და თათრულსა ენათა ზედა, გარნა ყოველსა მასთანა ბუნებისა მიერ მინიკებული გონიერებითა, განსჯითა, მშჯდმეტყუშლებითა, მდაბლითა ქცევითა, საამოდ უზნობითა, სამკედროთა საქმეთა ტრფიალებითა და სამოქალაქოთა შინა მარად მქცე-მცდლობითა უმჯობესისა და სამართლიანისა დასასრულისადმი დაბლოგებდა ანუ გარდაწყვედა მათსა, იმოსს უკუდავისა სახელსა და სიყუარულსა სამფლობელოასა თჳსისა ერთა მიერ.

უყუარულსა სიკუდულითა დასჯად ბრალეულისა და მიდრეკილსა უფროს მი-
 ტევებად, ვიდრედა გარდაჭდეინებად, უყუარან ხრისტეანენი და ემფარველების
 მათ მიხედვასამებრ დროთა ცხადად ანუ ფარვეულად. იკრების საკუთარსა სა-
 ხელსა ზედა მისსა ვეცხლისა თეთრი, ხოლო ოქროა—ერთ კერძო სახელითა
 5 სულთნისა და მეორისა—სახელითა მისითა. უვიან განათლებულნი მეცნიერები-
 თა ფრანცუზნი, ანგლიელნი და სხუანი, რომელთა თანაცა აქუს ხშირად საუბარი
 და რჩევაჲ შესახებულად სამფლობელოჲსა თვისისა ყუაეილოვნებთისა მდგომებასა
 შინა მოყუანებისათჳს და ჩანსცა ნაყოფი შერომისა მისისა. აწარმოებს აღებ-მი-
 ცემასა შინაგან საფუშოჲსა თვისისა, ევროპიასა, აზიასა და ამერიკასა შინა. აძლევს
 10 ფაშობისა ჭარისხსა ღირსთა ერთგულ მოსამსახურეთა თჳსთა, რომელთაცა შე-
 მდგომად ამტკიცებს სულთანიცა წოდებასა მას შინა ფერმანითა თჳსითა, არა-
 მედ მხოლოდ ეგვიპტის შორისა. მიმღებლობს თუთიქემის ყოვლისა ევროპი-
 ისა საწკლამწიფოთა გაზეთთა; აკითხებს თათრულად და არაბულად თარჯიმან,
 15 საყუარულ მინისტრსა თჳსსა ბოდოს უსუფს, კაცსა მრავალთა ენათა მეცნიერ-
 სა, მდაბალსა, ჭკვიანსა და გამოცდილსა საქმეთა შინა. მოკლედ ვსთქუათ, ფა-
 შაჲ ესე არს აქა გუარსა შინა თჳსსა მეორეჲ ნაპოლეონ, რომელიცა მცირ-მცი-
 რედ აძლევს ცნობასა ღირსებათათჳს თჳსთა მბრძანებელსა თჳსსა, თუმცა ერჩის
 ჭერეთცა, გარნა არა ეგრეთ, ვითარცა სხუანი იგი მისისა წოდებისანი.

2-სა. მომგუარეს დილით მაჰმად ალი ფაშისა მიერ

20 თჳს ფაშისა მიერ გამო-
 გზავნილთა ცხენ-ეჯინა-ქ-
 ლემთა
 25 თა, თულუხებითა წყლით სავსებათა, შეშითა და კარაფითა. ერთი ეჯინი გავუ-
 გზავნე სპირიდონ იეგოროვიჩს სიეინის, ერთი მიეცე არარატელსა არტემ ბოდ-
 30 დანოვიჩსა და მესამე მსახურსა ჩემსა გრიგორ რუაძესა, ხოლო ცალიერთა აქ-
 ლემთა ზედა შევსხი მსახურნი ჩემნი, სახასო გლეხნი, ხარკოველი მწირი ბერი
 ნიკოლაი, მეშხანინი პეტრე შჩერბაკოვი. სიეინის მსახური მიხაილ დრაკული
 კრიტიკოსი, ალთმიშლორთი ოსეფა, ერთი ერევნელი სომეხი აფრაიმ და სხუა-
 35 თა ზედა ავაკიდებინე ბარგი ჩემი და გავისტუმრე მყხსეჲ კაირს გარე მდგომა-
 რესა კივთთა მონასტერსა შინა. ხოლო მე შემდგომად
 შუედადლისა, გამოცილებულმან მიხაილციანოვით, პეტ-
 რიაკი რიდოლფით, რაოდენითამე ბერძენ-ფრანგებითა,
 მაჰმად ალა მუსტოფა ჭია რასხით, კრიმელისა აჰმად აფენდი მაჰრისით და
 40 იასადჩი ტუსუნით, დავუტრევე ეგვიპტისა დიდი ქალაქი ესე, გავმოველ გალავ-
 ნისა მისისა ალაკაფის კარისა ბაბუ-ნასირისად წოდებულისა ძლით და მოველ
 შემდგომ ნახევარ ეამისა ზემოთქმულსა მონასტერსა კივთ-
 45 თასა ქუჩუგევილსა. აქ მოველოდი სხუათა ჩემთანა მო-
 გზაურთა იერუსალიმადმდე და კოლაუზსაცა შიხსა, ფა-
 შისა მიერ დანიშნულსა ჩემთანა წარმოსლულად რამლადმდე¹. განსულწნებულნი
 მცირედ, წარვედით მიმოზილულად გარემოს მონასტერისა ამის მდებარეთა ად-
 გილთა და ბაღთა, ეინაფთგან თუთ მონასტერი ესე, მიდრეკილი დაქცევად, არს
 ფრიად გლახაკ და დაკლებულ ყოვლისაგან კეთილობისა, გარნა ხორშაქან სი-

¹ ექ ი ნ —სხუეუარი აქლემია, მკვირცხლმსრბოლი, რომელიცა განვლის 24-სა ეამსა უფ-
 როს 80-ისა შილსა. ევროპელნი ეზახიან პირუტყვსა ამას დრომადრე.
² რ ა მ ლ —არიმათია, ოსმანიანი უწოდებენ პირველისა მის ლექსით.

ცხემან უკმოგვაქცივნა მე და არარატელი მყისევე; სხუანი რომელნიმე დაჰმთენ მუნ მმოთხვეობად და რომელნიმე, ვერშემძლებელნი შემწველისა მის სიცხისა ტვრთვად, მოვიდნენ ჩვენდა. ანასდად შეიქმნა ზახილი არაბულად, ისმოდა ცხადად ყვირილი და კიჟინა, თვნიერ ლექსთა განჩევი-
 თხ არაბ ავაზაკთა ღიერ დასხმინთა განომაცილებელ-
 თა ზედა ჩემთა
 ვინათგან არარაა ჩნდა მამიზეზებელად მისა, არამედ მსწრაფლ ვინილვეთ ტირილით და შეძრწუნევებით მომრ-
 ბენნი ჩუენდა პეტრიაკი რიდილოფი, დიმიტრიაკი, მწერალი მიხაილციანოვისა, და კრიმელი აჰმად აფენდი მაჰრისი, რომელთაცა, შესლვეულთა ბაღსა შინა, დასხმიყვენ 12-ნი არაბ-ავაზაკნი. პირველთა ორთათჳს წაერთმიათ თეთრი თვსთანა ქონებულნი და წაედროთა ბეჭედი ჳელისაგან რიდილოფისა შემოხსნი-
 თა ყელის სახვევისა ჳელსახოცისათა, ხოლო მაჰრისი განეძარცვათ სრულებით, გარდა ქუეშეთთა სამოსელთა და დაეკოდათცა თავსა ზედა. ავაზაკთა ამით გამოსდგომიყვენ ჩემთანა მყოფთა მსახურთა და მოგზაურთაგანნი მდევრად. უკანასკნელ მოვიდნენ მიმდევარნი ესე მტერთა და მოიყუანეს თვსთანა ორი ავაზაკ-
 თა მათ არაბთაგანი; ერთი შეეპყრა მსახურსა ჩემსა პეტრე ბაქელაშვილსა, პირ-
 ველ დამკრულსა მისსა ჳრმლითა, მეორე მიხაილ დრაკულსა და პეტრე შჩერბა-
 კოვსა, რომელნიცა წარუგზანენ მაჰმად ალი ფაშას მიმცნებითა შემთხუცეული-
 სათა, ჳელითა მიხაილციანოვისა და სხვათა მათ აქამდე ჩემთანა მოყოლილთა.

3-სა შეეუღდეგით გზასა ქუჩუკვილით. ველეთ ოთხთამ-ნახევარი, გამოვიარეთ შორის კასაბა ხანქა ჳალაქისა და ერთის ვერსტით სიშორესა შენობისაგან მისისა დაეიბანაკეთ მინდორსა კუმიანსა.

4-სა წარველი დილისა მეშვდესა ყამსა, ვიარეთ შუ-
 ვადლის სამს ყამადმდე და ჩამოვხედით შორის კასაბა
 ქალაქისა ფელბაზისა. აქ მიგვიღო ჩუშნ სახლსა თვსსა
 ერთმან დიარბეჳირელმან სომეხმან აფრიამ ბარმალსუზმან¹, არაკით მვაჰრობელ-
 მან, განტარებდად ლამისა. ფელბაზი ესე არს ცულდშენობიანი, მომცრო, რაოდენ-
 თამე დუქანთა და ერთისა ჳარვანსარაფსა მექონი; არს აქა ფაბრიკა, რომელ-
 საცა შინა ჳქსოვენ ბამბისა საპერანგეთა და სხვებრცა საჳმარად. ზედამხედველად
 ჳალაქისა და ფაბრიკისა მის არს თუმცა ნაჳართველარი ვინმე ჳასან ჳეშიბი,
 გარნა იტყვს ესე თავსა თვსსა მამით ჩერქეზად და დელით როსიეულად. ესე
 მოვიდა ხილვად ჩემად, რომელიცა ხილვსამებრ ჩნდა კეთილთა ნიშატთა მქო-
 ნედ და სათნომოუბარ-მქცეველად.

5-სა წარველ არარატელითურთ ხილვად ჳასან ჳეშიბისა. ხოლო მან, ვი-
 თარცა სცნო მისლვსათჳს ჩემისა მისდა, მოგვეგება გარე, მიგვიღო მხიარული-
 თა გულითა, ალერსითა და სიამოვნითა; მოგვართუა მურაბა, წყალი, კავა და
 ჩიბუხნი; შეგვაქცივა ძუშლითა ამბითა, შესახებელად მოსე წინასწარმეტყუ-
 ლისა, მით რამეთუ გზასა ამას ზედა წარმოეყუანოს მას ეგვიპტით ისრაელნი;
 მოგვითბრა ესრეთუშ აქ გამოვლავა ახაიით ლტოლვილისა ნაპოლეონისა მცი-
 რითა ნაწილითა მჳედრობისათა და შემდგომ ჩვენდა მშვდობით გზასა ზედა
 სლვს მსურველისა, გამშვიდობებულნი მოვიქეციეთ ბარმალსუზისა სახლსა, სადა-
 ცა გზასა ზედა ვპოვენ ერთი ჳუა ტალისა მსგავსი, რომლისაცა შორის არს ბუ-
 ნებითი მარჯულსნე თუალი კაცისა. აქედამ წარმოსლვეულთა ვიარეთ ექვსთამ-ნა-
 ხევარი და დაესდევით ნორიოელისა ტაბლიაშვილის ჳუსეინ ადას სალიისად ყო-

¹ ბ ა რ მ ა დ ს ჳ — უთითო.

- ფილსა სოფელსა ჰგურელსა და აწ მამად ალი ფაშისასა. შეველ არარატელი-
 თურთ სიციხისა გამო ბაღსა ერთსა, მოვალეზინე სადილი და დაესხნდით რა
 თჳს ლოფლისა ჰგურელისა თარი ჩვენდა სამითა თანამყოლ კაც დიაჩარლებულითა,
 5 სოფლით კაირსავე მიმავალი. ესე თუმცა იყო ჰადარართვეული, გარნა ფრიად
 ახოვან-შუშნიერსახილველი, რომელიცა დაეწვიე სუფრასა ზედა. განგრძო-
 ბასა შინა სადილისა ამის ეკითხე სახელი მისი და ვსთხოვე ბრძანებად კაცთა
 მისთა ჰამად დასხდომისთჳს საკუთრად დაგებულსა სუფრასა ზედა. ამან, მმად-
 10 ლობელმან ჩემმან, მაუწყა სახელი თჳსი, რომელ ეწოდების მას ჰაჯი ჰასან თა-
 თჳს ჰაჯი ჰასან თაჯლისა ვულ და უბრძანა კაცთა თჳსთა დასხდომად. შევაქცივე
 ესე რაოდენ შესაძლო იყო და ეკითხე სადაურობისათჳს
 მისისა, ვინაჲთგან ჩნდა ცხადად უცხოქუტყენლობაჲ მისი და შეეწამებოდისცა
 მას ნაჰართუშლარობაჲ. ჰაჯი ჰასან თაველმან გამომიცხადა თავი თჳსი მკვდრ
 მოქალაქედ კაირისა, არამედ მეზადესა, რომელსაცა შინა ვიყუშნით ჩუშნ და
 15 მსახურთაცა თაველისათა ეთქუათ კაცთათჳს ჩემთა ნაჰართველარობაჲ მისი
 და ცოდნაჲცა მისგან ჰართულისა ენისა. შემდგომად სადილისა მოატანინა მსა-
 ხურსა თჳსსა ჰაჯი ჰასან თაველმან ერთი დიდი მწუანე ჰაშანურის ქოთანნი
 პირმოკრეული და დაბეჭდილი, რომელიცა მითავაზა მთქემელმან: „ბეგზადა! მიი-
 20 ლეთ ჩემ მიერ მურაბაჲ ესე ნარინჯისა, ესევეთარსა მგზავრობასა შინა ფრიად
 საჰიროჲ საგმარად და მასთანაცა მადლობაჲ ჩემი მიღებისათჳს ჩემისა თქვენგან და
 180 თჳს მურაბისა ალერისისა, რომელთა ძლითცა დამავალეთ თქუშნ საგრძ-
 ნობელად. მშჯღობით, ბეგზადა აფენდემ! ღმერთმან მოგ-
 ცესთ კეთილი გზაჲ, მშჯღობით“.
- და ვითარცა განვიდა თაველი ესე ბალით, მოვიდ-
 25 ნენ კაირით ანგლიელი მისტრ ჯონ ჰეიდი და სპირიდონ
 იეგაროვიჩი სივინი ხუთითა მოსამსახურებითა, გარდა
 მათსა მოვიდა მათთანავე კოლაუზი ჩემი შინი, რომელ-
 თაცა ერთად განვატარეთ დანაჰშთომი დღისა ამის ღამი-
 თურთ ბაღსავე ამას შინა.
- 30 თჳს ახალქუშლთა ლო-
 ფელ-ნასოფლარისა სალ-
 ჰეიათა ნ-სა. ვიწყეთ დილით განგრძობად სლჳსა შჯღამ-
 ნახევარსა და მოვედით სოფელსა ახალსა სალჰეიასა.
 სოფლითა ამით ნახევარ ჟამისა სავალსა არს ძუშლი სალ-
 35 ჰეია ნაპოლეონის მიერ დაქცეული. უკანასკნელსა ამას
 აქუს ფრანცუზთაგან გაკეთებული ბატარეი მიწისა, გოდოლ-ზღუდითა თბრილ-
 მოვლებული და სავე წყლითა. ბალახთა შინა ჰყრიან ოთხნი ზარბაზანნი თუ-
 ჳისა, თქემულთამებრ აქაურთათა, ფრანცუზთა მიერ დატყეველნი. არს კუა-
 ლად აქა მათგანვე დაქცეულთა მამსკითი, რომლისაცა ნაშთთა ნაწილინი ადგილ-
 40 სავე თჳსსა მდგომნი ჭერულთა მიმზიდულობენ რაოდენმე ყურადმღებლობასა
 მოგზაურთასა. მინარაჲ მისი შუშნიერად აღშენებული მსგავსებს სიკუდილმინ-
 დილსა კაცსა, არცა სრულიად მკუდარსა და არცა მცირედისაღა სიცოცხლედ
 მოგებისა იმედისა მექონსა, ვინაჲთგან სათნოსახილველი მინარაჲ ესე არს ნალ-
 45 მისა ძლით სრულიად შერყევეულ და დაქსნილ საჭსრებთა შინა. მიმოხილვისა
 შინა ზღუჯ კიდურსა თანა მდებარეჲსა ნასოფლარისა ამის ადგილმდებარეობათა-
 სა ცხენსა ჩემსა ჰშთაუვარდნენ ორნივე უკანანი ფერკნი ბალახთა მიერ დაფარ-
 ვულსა ორმოსა ანუ საფლავსა. პირუტყემან ამან, გულადმა გარდაბრუნებულ-
 მან, მომტანმან ჩემსა ჰუშუშე თჳსსა, თუმცა დამცა მკერდსა ზედა ტახტი უნავი-

რისა, გარნა განგებამან დამიკუა უვნებლად და თჳნიერ ყოვლისა ჩემთანა მყოფთა შეწევნისა, მიმოდრავობასა შინა ცხოველისა ამისსა გამოვუძევრ ქუშ-შეჯთ. შემდგომ ერთად სსუათა მოგზაურთა ჩემთა მოკმარებითა განვარინეთ ცხენიცა ესე ორმოასა მისგან, მივმოვლეთ ზღვსა პირსა და მოვიქეციეთ ბინი-საღმი ჩუშნისა ახალსა სალშეიასა.

5

თჳს შუაშინებელისა ქარისა

7-სა. შემდგართა დილით კუმიანისა გზისა, უშუნი-სა, უწყლო-უბალახოასა და თუალგარდაუწვდომელისა ჩოლისა, აღგვიდგა საშინელი და შემადრწუნებელი ქარი,

10

თვს ცხოველმყოფელისა ძელისა წმიდისა შიტროპოლიტიკისა მესაელის მიერ ჩემდა ნაჩუქებისა მეათესა ეამსა დილისასა მივიღე საჩუქრად ცხოველ-
 მყოფელი ძელი წმიდისა შიტროპოლიტიკისა მისაელი-
 სსა მიერ ჩემდა გამოგზავნილი იერომონონოსისა ანტიმოს
 კამერასისა ძლით. ხოლო შემდგომად მოვიდა ჩემდა არ-
 ტემ ბოდდანოვიჩი არაბატელი და გამემშვდობა წარსულად შამისადმი. 5

თვს ფირმანისა ლათინ-
 თა კელწიფების დამამ-
 ცრობელისა მანი სულთან მაჰმედისა სულეიმან ფაშასა ეპიტრო-
 პოსისა პროკოპიოსისა და დროგუმანისა შიტროფანესა
 ძლით შესახებელად წმიდისა საფლავისა განყოფისათვს
 თანასწორედ ბერძენთა თანა ლათინთა კელმწიფებისა. ფაშამ, მიმყუნმან თვსდა 10
 ლათინთა სამლუდლოთა, გამოუცხადა მათ ბრძანებაჲ სულთნისა და ამცნო,
 მით რამეთუ თვნიერ ყოვლისა ვარძობისა დაანებონ ბერძენთა თანასწორივე
 კელმწიფებაჲ საშუალად, ვითარიცა აქუსთ მათ ყოველსა შინა განსჯისამებრ
 წმიდისა საფლავისა; ხოლო წინააღმდეგსა დროსა თანამდებ იქმნების იგი სი-
 ფიცხით აღსრულებად თვისსა კელმწიფის ნებისა; გარნა ლათინთა უარ-ჰყუეს 15
 შიკემად მას შინა მცირისადაცა მონაწილეობისა.

თვს წარსლესა ჩემისა
 ბეთლემისადში ეამსა მეათერთმეტესა წარველ ხილუად ბეთლემისა.
 განსლველუმან ბჰისა ძლით დავით მეფე წინასწარმეტყუ-
 შლისა, განვლე მეფისა ამის ჰაუზებად ყოფილნი და აწ 20
 თუითქემის დროთა გამო დაჰსნილ-აღმოესილნი, თხრილად ოდენდა საცნობი,
 გორათა თანა სიონისათა და აღვევლ აღმართსა. მთანი იუდეანთა იხილუშბიან
 დასავლეთით კერძო, ხოლო აღმოსავლეთით და მკუდრისა ზღვს მჭრით—მთა-
 ნი არაბიისანი. ვიარეთ ორი მილი და მოვედით მონასტერსა წინასწარმეტყუ-
 ლისა ილიასსა, პირისპირ მონასტრისა ამის და მახლობლად გალავნისა მისი-
 სსა. გზასა ზედა მარჯუშნით კერძო დღესცა. ჩანს ცხოვლად 25
 აღველი კლდესა ზედა, ზეთის ხილოსა ხესა ქუშუმე წინას-
 წარმმეტყუშლისა ამის მიერ განსტყუებული. ესრეთ ვი-
 თარცა ლბილსა რაჲსამე დაანდების ანუ გამოეწერების შენებაჲ ვიეთთამე
 ნიეთთა მიერ, მებრუშ კლდესა ამას აქუს თვს ზედა გამოხატველი სახეჲ წოლ- 224
 ვილისა კაცისა, რომლისაგანცა აღადგინა იგი მძინარე ანგელოსმან, მეტყუშლ- 30
 მან მისდა: „აღსდგე, სჰამე და სუ, რამეთუ შორს არს გზაჲ შენი“1.

თვს ზეთიხილისა ხისა
 კლდესა ზედა მდგომარე-
 რეგასა კლდესა ამას ზედა დგას ერთი მომცრო ხეჲ ზეთის
 ხილისა, რომლისათვსცა იტყვან კუშროთხად ილია წინას-
 წარმმეტყუშლისად, დროსა თვისსა განსტყუებისასა ფრი-
 ადსა სიცხესა შინა კლდესა ამას ზედა ჰშთასეშულად და 35
 ანგელოსისა მიერ ხედ აღზრდილად და დამარდილებე-
 ლად მისა. ესრეთუშ არს ახლოს კლდისა ამის თანა ჭურღმული, რომლისა-
 ცა გამოჩინებასა მიაწერენ მასტუშ წინასწარმეტყუშლ-
 სსა. მონასტერი ესე არს აღშენებულ იერუსალიმის პატრი-
 არხისა წმიდისა ილიას მიერ, რომელსაცა შინა არს საფლავიცა წმიდისა ამის. 40
 ეკკლესიაჲ ესე არს შუშნიერ შენებულ, გარნა უქანასქნელსა სიღარიბესა და
 ნაკულუევიანებასა შინა მიწვენილ. აქედამ განმლველნი ერთისა მილისა, ვიჩინე-
 ნით ველსა რამათისასა, სადაცა მარჯუშნით კერძო, ახლოს გზისა იხილავ საფ-

1 მესამე მეფეთა, თავი 19, მუკლი 7.

თჳს რამათის ველინა და რახილის საფლავისა ლავსა რახილისა, იაკობის მეორეჲსა ცოლისასა. ესე არს გოდლებერ ნაშენი მგრგულად, გუმბათიანი და რიცხულნა მას მაჰსჳითად ოსმანიანი და არაბნი, რომელნიცა პატივეს-ჰსცემენ ჰჳთამომავლობათა პატრიარხისათა; ხოლო ხრისტიანენიცა ესრეთჲ აღიარებენ ადგილსა ამას, პერობილსა გოდლისა შორის, საფლავად რახილისა—„ჳმა რამათის ისმა გოდებისა და ტირილისა და ტყებისა მრავალი. რახილ სტიროდა შჳლთა თჳსთა და არა უნდა ნუგეშინის-ცემის*, რამეთუ არა არიან“**.

აჳათთ წარმოსლევულთა ვიარეთ კჳლად ერთი მილი ბეთლემადმდე¹, რომელიცა იწოდებოდა ქალაქად დავითისად, იყო მამუელი ერთმთავრისა ამის და მას შინა მწყსიდაცა საცხოვარსა თჳსსა სიყრმესა შინა თჳსსა. პირველთა მართლმადიდებელთა აღუშენებდესთა საქამნოჲ ბაგასა ზედა მაცხოვრისასა. აღრიანესა დაუქცევიეს იგი და დაუდგამს მუნ კერპი აღონისა, გარნა წმიდასა ელენას მოუქცევიეს კჳლად შესაბამ სახედ, აღშენებითა ყოვლად შჳსნიერისა ეკლესიისათა, რომელიცა ჰგებს დღემდღე.

მონასტერი ბეთლემისა განეყოფის ეკლესიისა ეზოასა თჳს ბეთლემისა ძლით, რომელსაცა ზღუდავს მაღალი გალავანი. ჩჳსნ შემსლუშლნი ეზოასა ამის ძლით, შევედით ეკლესიისა შინა. ესე არს ნამდულ ძჳსლი, თჳმცა სშირად ყოფილა დაქცეულ და განახლებულ, გარნა ირჳსნების აწცა ნიშანსა ბერძენთა მიერ თჳსისა წარმოებისასა და მდებარეობაჲ მისი არს სახედ ჳუარისა. უჳანაჲ ნაწილი ანუ კჳარცხლბეკი ჳუარედინისა ამის შემკულ არს 48-ითა მარმარილოასა სუტებითა, ოთხს რიგად სხმულებითა. თჳთუელთა სუტთა ამით აქუსთ სიერცე ორ-ორი ფუთი და ექუს-ექუსი გოვი, ხოლო სიმაღლე 18—18 ფუთი. კედელთა შორის არიან ფანჯარანი დიდნი, მოზაიკისა გელოგენებითა საღმრთოთა იგავთა მიერ განშჳსნებულნი, ბერძულითა ზედწერილებითა, არამედ ძჳლ წარსაკითხავითა სიძჳსლისა გამო. სომეხნი ჰჳლოზენ ნაწილსა ამ ეკლესიისასა, რომლისათჳსცა ესთჳჳ. ნაწილი ესე არს განყოფილ სამთა სხუათა წევრთა ჳუარედინისათა ესრეთ, რომელი ეკლესიასა არღა აქუს უჳჳმ ერთობაჲ. შევედით კედლისა ამის მიერ და ვინინენით წინაშე ტრაპეზისა, რომელსაცა უჳყრიეს ჳემოჲ ნაწილი ჳუარედინისა. ტრაპეზი ესე არს უმაღლეს უჳანასა ნაწილისა სამითა ჳარისხითა კიბისათა. ამას შინა იხილჳს ბის სამსხჳსრპლოჲ მოგუთა მიერ შეწირვული; იატაკსა ზედა ამის სამსხჳსრპლოასასა ჩანს ვარსკჳლავი მარმარილოასა. იტყჳან, მით რამეთუ ვარსკჳლავი ესე ამტკიცებდეს ხაზსა ცისასა, რომელსაცა ზედა შემდგარა საკრჳსლი იგი ვარსკჳლავი, წინამძღვომელი სამთა მეფეთა. გარნა ესე ცხად არს,—რომელსაცა შინა იშჳა მაცხოვარი სოფლისა, არს სწორედ მარმარილოასა ვარსკჳლავისა ამის ჳჳსშე, ჳჳს მიწისა ეკლესიისასა შინა ბავათასა. ბერძენთა უჳყრიესთ ტრაპეზი მოგუთა, ესრეთ ვითარ ორნიცა სხუანი წვერნი ჳუარედინისა.

ორნი მგრგულანი კიბენი, მეჳონნი თჳს შორის ხუთმეტ-ხუთმეტთა ჳარისხთა, არიან ორსავე კერძოსა ფრთეთა თანა გარეთისა ეკლესიისათა, რომელთა ძლითცა ჰჳთადიან ჳჳს მიწისა ეკლესიასა შინა, იატაკისა ჳჳსშე მყოფსა. ეკლესიაჲ ესე არს საუჳუნოდ პატიეცემულ შემდგომად მაცხოვრის შობისა. უწინარეს

თჳს კიბეთა ჳუაზხა შინა მჳთასსლჳსლთა

¹ მათე, თავი 2, მუჯლი 18.
² ბეთლემ—სახლი საჳურე.
* ხელნაწერში: ცემისი. ** ხელნაწერში: არნს.

ჰშთასლჳსა მარჯუენესა კიბესა ზედა ილუმენმან მოგეცნა აღნთებულნი კელაპ-ტარნი და ჰშთავედითცა. წმიდაჲ აკლდამაჲ ანუ ქუბი ესე არა არს სწორე, ამად რომელ იპურობს ხუშვეულსა მღებარეობასა ქუბისა და ბაგათასა. სიგარძე

ოჳს წმიდისა აკლდამისა ანუ ქუბისა

აქუს 37 ფუთი, სიგანე—11 და სიმაღლე—18 ფუთი. არს გამოკუქსთილ კლდესა შინა, კედელნი დაფარეულ მარმა-რილოჲთა და სწამებენ, ვითარმედ წმიდისა ელენას მიერ

იყოს შემკობილ მარმარილოჲთა ამით კედელნი ესე. არაეითარიმე სინათლეჲ შემოვალს გარედამ ეკკლესიასა ამას შინა. მხოლოდ ოდენ ჰნათობს 42-ითა ვეცხლისა კანდელითა, ხრისტიანეთა გელმწიფეთაგან შემოწირვეულითა და 36-ითა კულად კანდლითა, კერძოთა მორწმუნეთა მიერ მსხუტრპლებულითა. თვთ

დასასრულსა ქუბისა ამისსა აღმოსავლეთის კერძოდ არს ადგილი, სადაცა ჰშუა წმიდამან ქალწულმან მჳსნელი ნათესაისა კაცთასა. ადგილი ესე არს განსხუაებულ თეთრისა მარმარილოჲთა და შემკობილ იაშშითა, გარემოჲ მისი მოჰქვილ ვეცხლისა არშითა, რომელიცა არს ქმნილ მსგავს სხიეთა მზისათა და დაწერილ ესრეთ: „აჲ ქალწულისა მარიამის მიერ იშუა იესო ხრისტე“.

ოჳს იესოს შობის ადგილისა

სტოლი მარმარილოჲსა, დგმული ტრაპეზად ახლოს კედლისა თანა, თვთ ადგილსა მას, სადაცა იშუა იესო, არს განათლებულ სამითა კანდლითა. ზუთსა ნაბიჯსა ზედა აჲათ სამკრეთისადმი, იმიერ კიბისა აღსასლუქსლისა ზემო ეკკლესიასა შინა არს ბაგა, ჰშთასასლუქსლი ორთა გარისხთა ძლით კიბისათა; ესე

არს რაოდენმე აღმალეებული თარი, კლდესა შინა გამოკუქსთილი. თეთრი ქუაჲ მარმარილოჲსა, აღწვეული ერთსა ფუთსა ზედა იატაკით, სახედ აკუნისა გაკეთებული, ირუშნების თვთ ადგილსა მას, რომელსაცა ზედა წოლილ არს მეუღეს ცათა, შეხუშვეული სახუშველებითა: „აღმოვიდა იოსებცა გადილიეთა, ქალაქით ნაზარეთით. ურიასტანად, ქალაქად დაეითისა, რომელსა რქვან ბეთლემ, რამეთუ იყო სახლისაგან და ტომისა დაეითისა, აღწერად მარიამის თანა, რომელი იყო მითხოვილ მისდა და იყო იგი მიდგომილ. და იყო ვიდრე იყუნესლა იგინი მუნ, აღივსნეს დენნი იგი შობისა მცისანი. და ჰშუა ძე იგი მისი პირშუო და შეხჳვა იგი სახუშველითა და მიაწვნა იგი ბაგასა, რამეთუ არა იყო მათდა ადგილ საუანესა მას“.

ოჳს წმიდისა თივისა

სა წმიდისა თივისასა, წულილითა მავთელუღითა შეკრულსა და იტყვან მისთჳს თვთ თივისა მისგან დანაშთომად, რომელსაცა ზედა წოლილ არს იესო ხრისტე. ორსა ნაბიჯსა ზედა, პირისპირ საღმრთოჲსა ბაგასა არს ტრაპეზი, მპყრობელი თვთ ადგილისა მის, სადაცა მკდარა დედაჲ ღმრთისა, ოდესცა მოსლუულან მოგუენი თაყუნანის-ცემად პირველშობილისა: „ხოლო იესოს შობასა ბეთლემს ურიასტანისასა, დღეთა იროდი მეფისათა აჲა მოგენი აღმოსავლეთით მოვიდეს იერუსალიმად და იტყოდეს: სადა არს, რომელი იგი იშუა მეფე ჰურიათა? რამეთუ ვიხილუშთ ვარსკულავი მისი აღმოსავალით და მოგვდით თაყუნანის-ცემად მისა.

და აჲა ვარსკულავი იგი, რომელი იხილუშს აღმოსავალით, წინაუძღვოდა მათ, ვიდრემდე მოვიდა და დაადგრა ადგილსა მას, რომელსა იყო ყრმა იგი.

ხოლო მათ, ვითარცა იხილუშს ვარსკულავი იგი, განიზარეს სიხარულითა დიდითა ფრიად. და ვითარცა შევიდეს სახლსა მას, იხილუშს ყრმა იგი მარი-

¹ ლუკა, თავი 2, მუკლი 4—7.

- ამის თანა, დედისა თვისისა, და დეარდეს და თაყუანი-ჰსცეს მას და აღაღეს საუწუნეთა მათთა და შესწირვეს მას ძღუენი: ოქრო, გუნდრუკი და მური¹.
- აბისა ეკლესიაა ესე. ესე არს შემკობილ უჩინებულისთა მხატვრობითა სა-
 5 აღმართთა იგავთა, წარმომადგენთა საიდუმლოებათა ადგოლთა ამათასა: ქალ-
 წულთა და ჩჩულთა, ხარებობასა, მოგუთა მიერ თაყუანის-ცემასა, მოსლუასა
 მწყემსთასა და ყოველთა მათ საკრველებათა, რომელთაცა შინა მარტივობს
 დიდებულებამა უმანყოებისა თანა.
- 10 თვის ზაგისა და აკუნისა ბაგა არს მორთვეულ ლურჯითა ატლასითა ვეცხლით
 ნაკერიითა. გუნდრუკი იკმევის დაუცხრომელად წინაშე
 მაცხოვრის აკუნისა. ქუაბით შობისათ შევედით უშინაგანესსა ქუაბსა, სა-
 დაცა მოძღვრებისამებრ არიან დამარხვულ მოსრკლნი
 თვის მოსრკლთა ჩჩულთა ჩჩულნი: „წარავლინა იროდი და მოსწყველნა ყოველი
 15 ყრმები, რომელნი იყუნეს ბეთლემს და ყოველთა სამძღუართა მისთა ორის
 წლისგანი და უდარესი, მსგავსად მის ყამისა, ვითარ-
 თვის ეკლესიისა მოსრკლ-
 თა ჩჩულთასა ცა გამოიკითხა მოგუთა მათგან. მაშინ აღესრულა
 თქვემული იგი იერემია წინასწარმეტყულისა, რომელსა
 იტყუეს: ჳმა რამათს ისმა“².
- 20 თვის წმინდა იერონიმეს
 ქუაბისა ეკლესიაა მოსრკლთა ჩჩულთა არს უმახლობელეს
 წმიდისა იერონიმეს ქუაბისა. ამას შინა იხილავთ საფ-
 ლავთა მოძღვრისა ამის იევსევისასა, წმიდათა პავ-
 ლასსა და ევსტიხისასა. ორნი უკანასკნელნი ესე წმიდანი, ვითარცა იტყ-
 ჳან, არიან ჩინებულნი რომისა დედაკაცნი; პირუშლი არს დედაჲ, ხოლო
 25 მეორეჲ ასული მისი.
- თვის წმინდა კუალად
 იერონიმეს ქუაბისა ქუაბსა შინა წმიდისა იერონიმესსა არს პორტრეთი
 წმიდისა ამისიუჲ; უძევს დაბადებამა გარდაშლით და
 რაოდენიმე რვეული ქაღალდთა საწერელითურთ, უპყ-
 30 რიეს ჳელსა შინა კალამი და ირუშნების შერომასა თვისსა თარგამანსა შინა დაბა-
 დებისასა ებრაულით ლათინთა ენასა ჳედა. პირისპირ ამისა, მეორესა კედელ-
 სა ჳედა, იხილავთ პორტრეტსა პავლჳსსა და ევსტიხისასა, მკუდრად დახატულთა
 და ერთსა კუბოსა შინა მდებარეთა, გარნა რომელთათვისცა უზნობენ წარმოე-
 ბულად რაფაელისად. ქუაბით შობისათ, წარსდგავ რა
 რაოდენთამე ბიჭთა ქუაბისა მიმართ იერონიმესა, შევეთ-
 35 ხუსევი მარჯუენით კერძო ადგილსა აღმოკუშთილსა მარ-
 მარილომასასა, რომელსაცა შინა ურეცხიეს წმიდასა ქალწულსა სახუშველნი
 უსაყუენოვისა ძეგსა თვისისა. ახლოს ამისა არს ქუაბი
 იოსებისა, რომელიცა ჰქონია მას განსუშნებად დროსა
 თვის ქუაბისა რთებისა რომელსაცა შინა დგას ტრაპეზი შესაწირავი, პყრობილი
 იესოს შობისასა და რომელსაცა შინა დგას ტრაპეზი შესაწირავი, პყრობილი
 40 თვის ლათინთა ეკლესი-
 ისა ნით კერძო კიბესა, ვიხილუჲთ ლათინთა ეკლესიაჲ სახელსა
 ჳედა ქალწულ-მოწამეგსა ეკატერინასსა, კმად მოგრძე,
 227 შუენიერი, გარნა დია იწროჲ. საკუთრთხვეელი ეკლესიისა ამის არს განწყობილ

1 მათე, თავი 2, მუკლი 1—2, 9—11.

2 მათე, თავი 2, მუკლი 16—17.

ხისა ლოყებითა ანუ სასხდომლებითა. შემოსლუასავე თანა ჩუქსნა დაუკრეს მყისად ორდანოჲ, რომლისაჲცა სმენასა თანა მომეჯსენა ახლისა ქალაქთა მეფისა, უუშუქსნიერესისა სანკტ-პეტერბურლისა ფრანგთა ეკკლესიათა შინა ესეგუარათა ორდანოთა, მსმენთ საგრძნობელთა დამატკობელთათჳს. ახლოს ორდანოჲსა ამის არს კარი შესასლევლად სალაროსა შინა ეკკლესიისა ამის სამკაულთასა, მრაველითა ცხოველმხატვრობითითა ხატებითა და საღმრთოთა იგავთა ქარტინებითა მორთულსა. ესე ყოველნივე გუაჩვენნა პატრმან იოსებ პორტუგალელმან და შემდგომ მიმდებმან სადგომსა თჳსსა, გვითაუაზა არაკი, კავა, ლიმონათი და გავემშვდობენითცა.

პირუელი ეკკლესიაჲ, რომლისათჳსცა ვსთქვ უკუქ ჭუ-
 არსახეობით, არს ღმრთისმშობლის შობისა. აქედამ
 დიდისა მოწაზისა და ძღუ-
 ვამოხილესა გიორგისსა
 შესლული მარჯუენის მკრით ეკკლესიასა წმიდისა დი-
 დისა მოწამისა და ძღუევა მოხილესა გიორგისსა, იხილავ
 ჰშთამოსხმით გამოქანდაკებულსა ვეცხლსა, წარმომადგენსა იესოს შობისა,
 ვარსკულაჲსა ძვრფასითა აღმასებითა და ქუშებითა მოოქვლსა, მწყემსთა, ცხო-
 ვართა, მოგუთა, იროდესა მკედრობითურთ მოსრვად ჩჩვლთა, მეფეთა მოსლ-
 ვულთა ხილუად იესოსა, იროდესა მმეტყუშლსა მოგუთა მიმართ, ანგელოსსა
 მბრძანებულსა მოგვთადმი, „რათა არა მიაქცივონ იროდისა, არამედ სხუთ გზით
 წარვიდენ სოფლად თჳსა“¹. ყოველთა ამათ სახენი, ბელნი და ფერგნი არიან
 მინაქრისა, ხოლო სხუანი წევრნი დაფარველ ვეცხლითა, მძიმედ ოქროთ და-
 ფერკლითა. ესე არს გაკეთებულ პრუსიასა შინა 1767-სა წელსა, საფასითა
 იერუსალიმის პატრიარხისა ავრამოხისათა.

აქაით იხილუშბის ველი გარემოს მდებარეჲ. ბეთ-
 ლემი ესე არს დაშენებულ მოძალლოსა გორასა ზედა,
 რომლისაჲცა იმიერ არს გრძელი ველი აღმოსავლეთით
 დასავლეთად განვრცობილი. ბორცვ სამკრეთისადმი არს
 დაფარველ ზეთის ხილისა ხეებითა, მოწითლოსა ქუაფენილსა ალაგსა აღმო-
 ზრდილებითა. ჩრდილოეთისა ბორცესა ასხენან ლელუთა ხენი, პირველისავე
 მსგავსსა ადგილსა და ჩანანცა ადგილ-ადგილად ნაქციენი ძუშლთა შენობათა.
 ჰაერი არს კეთილშეზავებული, მიწა ნაყოფიერი, წყაროჲ მთელ-გემიერი და
 კულად წყაროჲ, მომდინარეჲ მიწისა ქუქ მითა ძლით სამთა დიდთა ჰაუზთა
 გამო, შექცივად სოლომონისად წოდებულთა და მომცრო მდინარეჲ, მრწყველი
 ველისა. გარად მათსა მრავალნი საამონი ბაღნი ადგილ-მდებარეობათა ძლით
 თჳსთა ამკობენ კერძოსა ამას უსაკუთრესითა შუქსნიერებითა. აქ ცხოვრობენ
 მართლმადიდებელნი არაბნი 260, ლათინნი 260, სომეხნი 7 და მაჰმადიანნი
 40-ნი კომლნი, რომელთაცა აქუსთ რაოდენნიმე დუქანნი და მცირედ ვაჭ-
 რობაჲ.

იღუმენმან სოფრონოს, ჰშთამყუანმან და მხვენებელმან ჩუქსნა ქუაბისა,
 ბაგასა და სხუათა მათ ზემოთქეშულთა წმიდათა ადგილთა, გამოსლუულნი ეკ-
 კლესიითა ამით მიგვიწვევა სადგომსა თჳსსა სადილად და დაგვხუდაცა თუთ უმოკო-
 ბისისა სახითა გოდოლსა შინა დიდისა იუსტინე იმპერატო-
 რის მიერ აღშენებულსა. შემდგომ სადილისა ვიხილუშთ
 ქუაბი, წოდებულ ქუაბად მწყემსთა. არაბნი ღრესაც უწო-
 დებენ დტა ელ-ნატერ, ესე იგი არს სოფელი მწყემსთა. უბნობენ, ვითარმედ აბრა-

თჳს ქუაბისა, მწყემსთა
 ქუაბად წოდებულსა

¹ მათე, თავი 2, მუკლი 12.

228 ჰამსა ემწყსოს საცხოვარი თვის ადგილსა ამას და რომელ მწყემსთა იუღენათთა
 იუღენს მასულ სოფელსა, ველთა სდგებოდეს და ჰპმილვიდეს ჰმილვისა ლამისასა
 სამწყსოსა მათსა. და რქუა მათ ანგელოსმან უფლისამან: ნუ გეშინინ, რამეთუ
 5 აჰა ესერა გახარებ თქუმს სიხარულსა დიდსა, რომელი იყოს ყოვლისა ერისა,
 რამეთუ იშუა მაცხოვარი, რომელ არს ხრისტე უფალი, ქალაქსა დავითისსა.
 და ესე იყოს თქუმსნა სასწავლად: ჰპოვოთ ყრმა იგი შეხუტული და მწო-
 ლარე ბავსა. და მეყუსეულად იყო ანგელოსისა მის თანა სიმრავლე ერთა
 ცისათა, აქებდეს ღმერთსა და იტყოდეს: დიდება მალალთა შინა ღმერთსა,
 10 და ქლყანასა ზედა მშვდობა, და კაცთა შორის სათნობა¹“.

დღეს ქუაბსა ამას არს ეკკლესიაჲ, გარნა დახვეულ-ბეჭდილი უწინარეს
 ამისა ორისა წლითა ბრძანებითა სულთნისათა, ვინაჲთგან არს სადავოდ აწცა
 ბერძენთა და ლათინთა შორის საკუთრებისათჳს წმიდისა ამის ტაძრისა.

15 თჳს ჰაუზთა სოლომო-
 ნისთა დამტევებულნი ბეთლემისა წარვედით დასავლეთისად
 ჰაუზთა მიმართ სოლომონისათა და მოვედით შემდ-
 გომად ჟამ-ნახევარ სლჳსა. სამნი ჰაუზნი ესე არიან ერთსა
 ხანსა ზედა: პირველი, უდიდესი მათგანი, არს სიგრძით 452, სიგანით 370 და
 სიღრმით 24 ფუთი; მეორეჲ არს რაოდენმე უმცირეს მისა სიგრძე-სიგანე-სი-
 ღრმესა შინა; ხოლო მესამეჲ—უღარეს მეორეჲსა სიგრძით, გარნა სიგანე-სიღრ-
 20 მით უმეტეს მათ ორთავე. ჰაუზთა ამათ აქუსთ კერძოთ აღმოსავლეთ-ჩრდი-

ლოეთისად გალაგანი, აღშენებული სოლომონისა მიერ,
 აწცა შუწნიერსახილუშლი, რომელსაცა შინა ჩანს კუა-
 ლად საფუძემქლი სახაფხულოჲსა სასახლისა მისისა, და დღეს გალაგანი ესე
 მსახურებს მწყემსთა ღამე სადგომად საქონელთა მათთა. უკანასკნელისა ჰაუზნი-
 25 სა და გალაგენისა ამის შორის არს წყაროჲ, რომლისაცა

25 თჳს წყაროჲსა წყალი შესდის მახლობელსა ამას ჰაუზსა; ესე, აღვისლი
 მისით, უზიარებს მას შემდგომ მეორესა, რომელიცა, ესრეთუქ სრულ-ქმნილი,
 გარდასცემს მას მესამესა შინა. აქაჲთ სდენს წყალი ესე მილთა ძლით ქლშმე
 მიწისა, განელის ბეთლემსა, მონასტერსა წინასწარმეტყუტელისა ილიასსა, მე-
 30 ნით სიონსა და შესლუული იერუსალიმსა, იჩინების შორის სოლომონის ტაძ-
 რისა და წმიდა-წმიდათასა, სადაცა ვერ მიეკარებიან ვითარნიმე სხუანი ნათე-
 საენი წყალსა ამას, გარდა მაჰმადიანთა.

35 თჳს მონასტრისა წმიდისა დიდისა მოწამისა და ძლევა მოსილისა გიორგისა ერთსა ჩარექსა ჟამისასა. აღშენებასა ეკკლესიის-
 ისა ამისსა მიაწერენ წმიდასა დედუფალსა ელენას,

გარნა არს დღეს ფრიადსა სიგლახაკესა შინა. მარჯულნი კერძო კანკელისა
 კედელსა შინა არს თარჯი, მკრძალველი ხუთთა თეთრ-მო-
 40 დილოთა ქუათა. ქუათა ამათ ემთხვენენ რომელნიმე ბერ-
 ძენნი, იერუსალიმით ჩემთანა წარმოსლველნი, რომელთა
 ძლითცა განღვიძებულმან ვკითხე მენსა ამის მონასტრი-
 სასა, ამას შინა შემყუნასა ჩუმსა, ღირსებათათჳს ქუათა ამათ, რომელსაცა ზედა
 მომიგო შემდგომი: „აფენდემ, 1796-სა წელსა იყო აქ შემწირულად მლუღელი
 ბრაჰიმა ანუ აბრაჰამ, რომელმანცა შიშითა ღმრთისათა თანა-თქმესა განაგლო

¹ ლუკა, თავი 2, მუხლი 8, 10—17.

ტელით ბარძიმი და ვითარცა შეეხო წმიდა იგი ჯორცი და სისხლი ხრისტესი იატაკსა, მყისსავე შინა შეუღდა მას ძრუა და დასქდა კლდეა ესე სამეუფოს კრით ამჟონადმდე ნაწილ-ნაწილად; ხოლო რომელიცა ქუანი მათგანნი შეინოსნენ ყოვლად წმიდითა ჯორციითა და სისხლითა მით, არიან ესე თაღისა შინა წყობილნი და თქუენ მიერ ხილვეულ-კითხველნი; არამედ მღუდელი ბრაპიმა, წამითა მითუმ ჰყრობილი ძრწოლვისა მიერ, მოკულდა მეორესავე დღესა 229 მოუგონებელითა ტანჯუთა“.

ესცან რა ესე, მოვითხოვე მღუდელი ეკლესიისა ამის საგანსა ამას ზედა ცნობად მისგან მართლისა, გარნა წარსლველიყო იგი იოპეს უწინარეს ერთისა დღისა. ესთხოვე მნესა ამას დანებებად ჩემდა ერთისა მათ ქუთაგანისა უმომცროესისა, რომლისათვისცა ვაძლიევე მას თეთრი. ამან, უარყოფელმან თეთრისა, მთხოვა არაკი ანუ ლეინო. არმეკონმან სასემელთა ამათ, მივეც მათ წილ ერთი მუჟა ფარა, რომლისაცა გამორთმევასა ზედა კნინ არ მომგლიჯა ტელი. შემდგომად აღმოვიღე რაოდენიმე ოქროს ქისით გოლლანდიისა და სულთან მაჰმუდისა. მძლეველი მათგან მისდა ერთისა ოქროსა, ვუმეორებდი წინადადებასა ჩემსა ქუთა მათთვის, ხოლო ესე პასუხად ყოვლისა მიხუმნებდის ჩემ მიერ მიცემულთა ფარათა, მმეტყუელი: „ესე არს თეთრი საყუარელი, რომელსაცა არარაჲსა ზედა წარვაგებ, ნუუკუმ ოდენ არაკისა და ლეინისათვის; ხოლო ყთელნი ეგე, უკეთუმცა იყუნენყე ფარათა ამათებრ კარგნი, მაშინ უთუოდ დახარჯავდითცა მათ ყუთსშარაფსა შინა. შეინახეთ თქუენთვისუმ, არ მინდა მე ეგენი და ვერცა შევიყუარებ ამათებრ“,—მჩვენებელმან ჩემდა ტელისა თვისისა ფარათა მიერ საესესა.

რაოდენსაცა ვეტყოდი შესახებელად ლოდთა მათთვის, ეგოდენ გვაკარუმბდის ჩუმნ ქეცეჲა მისი, მჩუმნებელისა ჩუმნდა კუალად ფარათა თვსთა, თუითქემის მხიარულებისა ძლით გარდარეველითა სახითა. ვერმოვნელმან სხესა ლონისა, ვუბრძანე მსახურსა ჩემსა გრიგორ რუაძესა ცდად როგორმე მოლორებად არაბისა ამის შემუსრკსათვის ერთისა ლოდისა და ესრეთუმ ესთხოვეცა რიანანელსა იერომონოხოსსა პაისიის მოუმარებად მას შინა რუაძესა. ამთ განიყუანეს მნეჲ ესე გარე ოთაღისა, რომელსაცა შინა ვიყუმნით ჩუმნ და შემდგომად რაოდენისავე წამისა გამიგუმეს მეცა თვსდა. მცნობმან თანუმობისა მისისა, მივეც კუალად ერთი ბლუჯი ფარა. მიმღებმან მათმან არაბმან დაიყარნა ფარანი იგი ტელსატოცსა ზედა და უწყო სინჯუა. შორის მათსა პპოვნა ერთი ოქროს სულთან მაჰმუდისა ხუთრუბლიანი ვეცხლად, მყის აღიღო იგი და განმხილუმლმან მისმან მრქუა: „აფენდუმ! დაღათუმცა იყოს ესე აღთუნი, ესე იგი ოქროს, მაშინ დაგანებდლით თქუმნე, გარნა ესე არს ვეცხლი გაყვითლებული, რომლისათვისცა მომცემენ ორმეოცსა ფარასა და მით მომივა ერთი ოკა არაკი“. ესე სთქუდა და წარიყუანა თვსთანა ჩემ მიერ მისდა მიჩენილი იერომონოხოსი პაისიი გრიგორ რუაძეთურთ, რომელთს ჩემ მიერ მიღებისა ხუთთა ქუთაგან ერთისა თაცა წინაშე გარდმომღებსა თაღით ერთისა ლოდისასა, გაეტება იგი და გამოეგზავნა ჩემდა მათ ძლით ორი ნაჭერი ქვსა მის, რომელთაგანცა მომცროჲ ვაჩქემ იერომონოხოსსა პაისიის.

¹ ყუთსშარაფ—ოსმანიანი და თათარი არაბნი უწოდებენ სახელითა ამით იერუსალიმსა.

- აქამთ უკუნეცეველთა გამოვიარეთ მახლობლად რახი-
ლის საფლავისა, სადაცა ვიხილუმთ ნაკადული იგი, რომლისადმიცა მიიყუნა იოსებ ყოვლად წმიდა ქალწული განტევებად და და-
აყენა იგი ანგელოსმან უფლისა. აქუმ არს უახლოესად
- 8 თხ ვფერთათა ხატისა სახლი ეფერთათა, სოფელსა ბეცალლად წოდებულსა. მოსლველთა იერუსალიმსა, გარნა შეუსლველად მას შინა, ენახეთ საბანელი, თხ სილოამის წყაროსა ანუ წყარო სილოამის, სადაცა იესო აღუხილენა თუალ-ნი ბრმასა. წყარო ესე გამოსდის კლდით, აქუს მომდინარეობდა ნელი, კშთაისლუმშის მას შინა თლილთა ქუათა გამო ქმნილისა 17-
10 ტარისხიანისა კიბისა ძლით. თავსა კიბისა ზის სამარადოდ თათარი წყლის ქუ-
230 რებითურთ, რომელიცა აქ მომსლულთა მოართმევს მათით წყალსა ამის წყაროსასა ერთისა ანუ ორისა ფარისათხს. ლეეიტელნი კმარობდნენ წყალსა ამას მსხუმრპლ-შემწირველობისა დროსა, დღესასწაულსა კარვობისასა და ჰგალობდნენ: „აღმოიხსეთ წყალი მხიარულებითა წყაროთაგან ცხოვრებისათა“¹.
- 15 იტყვან ამისთხს ანასლად გამოსლუასა მიწისაგან დასაცხვრომელად ისაიას მწყურვალებისა, ოდესცა ჰვერკვიდნენ წინასწარმეტყუმსა ამას, ბრძანებისა ძლით მანასესსა, ორად გერჯითა ხისათა, ხოლო სხუანი ჰკონებენ სხუადასხუმბრ, წყალი წყაროსა ამის არს მომლაშე და რაოდენმე უგემურცა. ახლოს ამისა ასადმდე ნაბიჯსა ზედა არს ადგილი, რომელსაცა ზედა დგას ხე ერთი მოდიდო, ორმკლავიანი. თუთ ხესა ამას ზედა თავქულდამოკიდებით ფერტ-მიკრეულსა წინასწარმეტყუმსა ისაიას დაუთმენიეს ტანჯუანი; ხესა ამას ორსავე მკლავსა ზედა აჩნია გრეხილნი თოკთა, რომლებითაცა ჰქონია ფერტნი მიკრეულ მათ ზედა. პირისპირ ხისა ამის, იმიერ გლოვის ლელეხსა, არს სოფელი სილოამად სახელდებული. ამას აქუს მეორე წყარო საღმრთოთა წერილთა შინა როგილად ჰსენებული. სწორედ პირისპირ წყაროსა ამის, ძირსა თანა სიონ მთისათა, არს მესამე წყარო და იწოდების ესე სახელითა მარიამისათა. იტყვან, მით რამეთუ ყოვლად წმიდასა ღმრთისმშობელსა ევლოს აქა წყლისთაჲს ესრეთ, ვითარცა ასულთა ღმრთისათა ჯურღმულთა მიმართ, რომელთაგანცა იაკობ გარდა-
აგორეა ლოდი: „და რახილ ასული მოვიდოდა ცკოვართა თანა მამისა მისისათა, რამეთუ იგი აძობდა ცხოვართა მამისა მისისათა“². წყარო წმიდისა ქალწულისა ერთხს საბანელსა სილოამისასა. სიახლოესა ამის სილოამ საბანელისასა არს ადგილი, სადაცა მჯდომარესა ბრმასა სცხო იესო თუალთა ზედა ნერწყვილი მიწა თიხად ზელილი და რქუა მას: „წარვედ და დაიბანე საბანელსა მას სილოამისასა“³, რომელსაცა ზედა ჩანან ნაფერტნი იესოსნი და ორთა მოწაფეთა მისთა, ესრეთუმ ნაჯდომიცა მის ბრმისა კლდესა მას ზედა. მერმე განსლველთა ზიდსა იოსაფატის ველისასა ვიხილუმთ საფლავნი წინასწარმეტყუმლისა ისაიასი და აბესალომ ძისა დავითისა.
- 20 თხ ხისა წინასწარმეტყუმსა ისაიას განჯერტის მმოწმებელსა
- 25 თხ სოფლისა სილოამისა და როგილ წყაროსა
- 30 თხ წყაროსა ქალწულისა მარიამისა
- 35 თხ ადგილსა ბრმისა მიერ ჭლომლისა
- 40 თხ საფლავთა წინასწარმეტყუმსა ისაიასა და აბესალომ, ძისა დავითისა

1 ისაია, თავი 12, მუკლი 3.

2 შექმნათა, თავი 29, მუკლი 9.

3 იოანე, თავი 9, მუკლი 7.

აქედამ მივედით გეთსამანიასა თაყუანის-ცემად ყოე-
 თვს გეთსამანიისა ლად წმიდისა ღმრთისმშობლის საფლავისა. ეკკლესიაჲ
 ესე არს სიღრმესა შინა მიწისასა, მოდიდო, გამოკუთილი კლდესა შინა ქუა-
 ბად. ამის შორის შესასლუქსლისა ბჭისა წინაშე იხილავთ მ-თა სუტტთა, ორკერ-
 ძოდ ოთხ-ოთხთა მარმარილოჲსათა და კართა მის ბჭისათა რეალისა ფურცლე-
 ბითა გარდაქედითა. შესლუვლი შინაგან კართა მათ, ჰგრძნობთ საკურუმლსა
 კეთილსუნნელებასა, წარმოებულსა საფლავისა მიერ ქალწულებით მშობელისასა.
 კშთახუალთ რა კიბესა ვრცელსა 52-თა ჰარისხთა მქონებელსა, შეემთხუშვით
 საშუეალსა თანა ამის კიბისასა საფლავთა: მარჯუენით კერძო—იოაკიმ და ან-
 ნასთა, ხოლო პირისპირ მათსა—იოსებ დაწინდელისასა. კშთასლუვლნი მეო-
 რესაცა ნახევარსა ზედა კიბისასა ქუქლ, მიიქცევით აღმოსავლეთისადმი კამა-
 რთანისა ქუაბისა ამის ქუქლშე, მრავლითა ჯომლ-კანდლებით განათლებულსა და
 იხილავთ წმიდასა კუვეკლის, რომელსაცა შინა ღირს-იქმნებით თაყუანის-ცემად
 ზეცათა და ქუსყანისა დედუფლის საფლავისა თეთრისა მარმარილოჲსა გამო
 შემდგარისა. საფლავისა ამის მიერ აღმოფუქს კეთილსუნნელებამა იგი ზემო-
 თქემული და არს გაბრწყინებულ 22-ითა კანდლითა მარადის, ჩინისა და ფარ-
 ფორისათა, გარნა დღესასწაულთა შინა—ოქროჲსა და ვეცხლისა კანდლები-
 თა. ცხრა კანდელი არს ბერძენთა და დანაშთომი—სხუათა ხრისტიანეთა. კუ-
 ვუკლისა ამას აქუნ ორი ბჭეჲ—ჩრდილოთ და სამჯრით. გარე პირუშლისა
 ბჭეჲსა თანა აქუსთ სამწირუშლოჲ სომეხთა, ხოლო მეორეჲსა თანა—მომკროჲ
 ჯამი თათართა; ლათინთა არავითარიმე აქუსთ აქა მონაწილეობამა. ეკკლესიითა
 ამით ძირსა თანა ელენის მთისასა მდგომარით გამოსლუვლთა, ვიხილვეთ ქუა-
 ბი ფრიად მახლობლად მისა, (რომელსაცა შინა დამალ-
 ვულან მოციქულნი, ოდესცა შეუპყრიესთ ხრისტე ური-
 ათა და რომელსაცა შინა შეპყრობადმდე თუქსა ულო-
 ცავს მქსნელსა სოფლისასა სისხლისა ოფლადმდე, მმეტყუშლსა სიტყუათა
 ამათ: „მამაო ჩუქსო, უკეთუ შესაძლებელ არს, თანა-წარჰკედინ სასემელი ესე
 ჩემგან“¹), უშნოჲ და მპყრობი თუქ შორის რაოდენთამე სამწირუშლოთა. ახლოს
 ამისა გუაჩუქსენს ადგილი, სადაცა იუდა ამბორის-ყო-
 ფითა მისცა მოძღუარი თუქი. აქედამ აღმველთა ელე-
 ონის მთის მცირისა ნაწილისა, გავისიჩეთ ნაქევეი მო-
 მკროჲსა ეკკლესიისა, რომლისათუქცა უბნობენ, რამეთუ ადგილსა ამას ელოცოს
 იესო ხრისტესა, ვითარცა წერილ არს: „და იყო აღ-
 გილსა რომელსამე თავადი ილოცუდა. და ვითარცა და-
 სცხრა ლოცუასგან, რქუა ვინმე მას მოწაფეთაგანმან:
 უფალო! გუასწავე ლოცუა, ვითარცა იოანე ასწავა მოწაფეთა თუქსთა. ხოლო
 თავადმან რქუა მათ: რაჲამს ილოცუდეთ, სთქუთ: მამაო ჩუქსო, რომელი ხარ
 ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი“² და სხუანი. და ესრეთ, საგონებელ არს,
 თუქ ხისა საზოგადოჲსა მით რამეთუ თუითქემის ერთსა და მასუშ ადგილსა
 მსჯავრისა წარმოჩინების შინა გაკეთებულ იყოს სიმოვლოჲ სარწმუნოებისა და ლო-
 დამხსრებისა ცუაჲცა ყოველთა ხრისტეანეთა.

33-ნა ნაბიჯსა ზედა აქაჲთ, კერძოდ ჩრდილოეთისად არს ხეჲ ზეთის ხილისა,
 რომლისაცა ქუქლშე ძესა უზენაესისა მეუფისასა წინათუშ უმმეტყუშლებია საზო-

¹ მათე, თავი 26, მუჯლი 39.
² ლუკა, თავი 11, მუჯლი 1—2.

ვადოა მსჯავრი. მერმე აღვედით მთასა ელეონისასა ვალაენულელსა, რომლისადა საშუაღსა დგას მომცროჲ კუეუელი და აწ მაჰმადიანთა მიერ მასჯითად ქონებული. ესე იტუეს თჳს შორის ქუასა მიწასა

თჳს ელეონის მთისა

შინა საჩინოდ სახილუმსა, სიგრძით 6 და სიგანით

6 3 ფუთისა, ხოლო სიღრმით ორ გრანსა, რომელსაცა აწინა მარცხენეჲ დუარე სიტყუსა განჯორციელებულისა, რომლიდამაც ამაღლდა უფალი ჩუშნი იესო სრისტე და კულად, რომელიცა იჩუშნების ესრეთჲ, რამეთუ პირით კერძო მდვარა მაცხოვარი ყოველთა ჩრდილოეთისადმი. ესრეთ იცნობების წმიდისა სახარებისა და ღირსსაჯსოვართა ამით ნიშნებთა ძლით და ვხედავთ

10 ჩუშნცა უკულ, ვითარმედ დაიწყების იგი ბეთლემს, ვანგრძელდების განჩინებითა ბილატესითა, აღვალს გოლგოთას და დასრულდებისცა მთასა ზედა ელეონისასა. კუეუელი ესე არს 15-სულტიანი კედელთა შორის. პირისპირ ანუ სისწერიე ამისა. აღმოსავლეთისა კედელსა თანა ვალაენისასა შინავან დღავან ტრაპეზნი მარმარილოასანი: საშუალ—ბერძენთა, სამკრეთით—ლათინთა და

15 კაცთა, ხოლო ჩრდილოეთით—სომეხთა და სირიანელთა. დროსა მათ მიერ მათ ზედა საღმრთოასა მსახურებისასა, ესე იგი არს წელიწადსა შინა ერთგზის ამაღლებისა დღისა წინა მწუხრსა, დაადგმენ კარავთა, აღასრულებენ მწუხრისა ლოცუასა და შემდგომ დროსა თჳსსა ცისკარსა და ლიტურგიასა. ვარე ვალაენისა ამის, სამკრით კერძო კუთხეას თანა მცირედ დაცილებით არს ქუაბი

20 თჳს ქანაზისა წმინდასა პელაგიასსა წმიდისა პელაგიასი, რომელსაცა შინა მმარხუმსა ულოცეს და რომელიცა დღეს არს დაჰმუელ ურწმუნოთა ოსპანიანთა მიერ. ჩრდილოთ კერძო მთისა ამის არს

232 პატარა გალილეა, სადაცა ეჩუშნა ხრისტე მოციქულთა თჳსთა შემდგომად აღდგომისა და რომლისა გამოცა იხილუმს მათ ამაღლებთა

25 თჳს ციციას ანუ პატარა ვალაენას მისი. მომტეხმან აქა დაქვეუღსა ეკკლესიასა შინა მცირეთა ნაწილთა მარმარილოასა ტრაპეზისა და სამკუთხროსადგან და წარმომტეხმან მათმან თჳსთანა, მოვაქცივენ სლუანი ჩემნი აღრიპა მეფისა დაბად-ყოფილისა ადგილისადმი, სადაცა არს ქუაბი და სადაცა წარუტეხნის მეფესა ამას ბარუქ

30 თჳს აღრიპა მეფისა ნადაბავისა ადგილისა და აბიშელიქ მოტანად ლელეთა სნეულთათჳს. ქუაბსა ამას შინა სძინებთის ბარუქს 72 წელი. წოლვილსა მის მიერ ტახტსა კლდასასა მოვტეხე ესრეთჲ ნაჰერი ერთი და მუდით შემოსლელი შამის-კაფისა ძლით იერუსალიმსა,

35 მოველ სადგომსა ჩემსა. 7-სა. დილით წარსლველმან განვიხილუმ ქუაბი წმიდისა იერემიასი, რომელსაცა შინა დაუწერიეს წმიდასა ამას გოდებანი თჳსნი. აქედამ წარველ სამკრეთისადმი

ქალაქითა ამით და მისლველმან ახლოს წმიდისა სიონისა, გავსინჯე საბანელი ბითუნდა, ჯურღმული ვრცელი და ღრმაჲ, ვარნა უწილთა. შემდგომ აღვევლ მთასა სიონსა, რომლისაცა ნაწილი არს დღეს ვარეშე ზღუდეთა იერუსალიმისთა. ვგონებ, მით რამეთუ სახელი ესე სიონი წარმომყენებლობდეს გონებათა შორის მკითხულთასა დიადითა მიმოგურბობათა და რამეთუ სამქლოველობდეს მათთჳს ცნობად მთისა ამის საღმრთოთა წერილსა შინა ფრიად საიდუმლოასა და ქება-ქებათა შინა სოლომონისთა ფრიად ჩინებულისა მთისა ამის, რომელიცა ყოფილა საგნად კერძო

45 თჳს წმიდისა სიონ მთისა წიხისა წარამტეხულთა. სიონი არს მომცროჲ ბორცჲ, მე-

ქონი მოყვთოლასა და უნაყოფოასა სახისა, საღმრთოასა ბორცუსა ამის თხემსა ზედა არიან სამნი ღირსსახსოვარნი: სახლი კაიაფასი, სახლი საიდუმლოასა სერობისა და საფლავი ანუ სახლი დავითისა. სიმაღლით თხემისა ამის სამკრეთისადმი ჩანს ევლი ბენგინონისა, იმიერ ველისა არს აგარაკი სისხლისა, სყიდველი 30 ვეცხლად იუდეანთა, მთაა ურიათა რჩევისა, საფლავნი მსაჭულთა და მთელი უდაბნოა ქებრონისა და ბეთლემისადმი. ჩრდილოეთისა მიმართ ზღუდე იერუსალიმისა განმლველსა სიმაღლესა ზედა სიონისასა აბრკოლებს ხილუად ქალაქისა, რომელიცა არს აღშენებულ ფერდობსა ზედა იოსაფატისა ველისასა.

სახლი კაიაფასი არს დღეს ეკკლესიად, რომელსაცა შინა სწირვენ სომეხნი. საფლავი დავითისა არს მომკროთ თთაღი კამარაანი, რომელსაცა შინა არიან სამნი საფლავნი მოშავოასა ქკსა. პირველ ყოფილა აქა ეკკლესია და მონასტერი ფლობასა ქუშუ ბერძენთასა, გარნა დღეს არს ჭამად და სასნეულოდ თათართა. უკანასკნელი ეკკლესიაა ესე არს თანასწორედ დიდებულ ძემლსა და ახალსა სჯულთა შინა. დავითსა აღუშენებეს აქა სასახლე და საფლავი თვისი. აქ დაუკრძალავს მას სამ თოთუ კიდობანი აღთქემისა. იესო ხრისტესა უდღესასწავლეობის ამას შინა უკანასკნელი პასხა და განუწესებესცა საიდუმლო ზიარებისა. ამას შინა გარდმოსლველ არს სული წმიდა მოწაფეთა და მოციქულთა ზედა ქორსა სახლისა ზებედესსა. ამას შინა ყოფილ არს სერობაა საიდუმლო და საღმრთოცა ფერტბანაა. ამას შინა შემდგომად აღდგომისა შესლულ არს ხრისტე კართა კშველთა. ამას შინა ყოფილ არს შეგებაა წმიდისა მოციქულისა თომას მიერ. ამას შინა არიან დამარხველ წინასწარმეტყუელი დავით, ძეა მისი სოლომონ და ორნი სხუანი, რომელთაცა სახელნი არს საცნაურ არიან. ამას შინა მჯდარა ყოვლად წმიდა ღმრთისმშობელი დედემდე მიცვალებისა მისისა ცად, რომელიცა უპყრიესთ დღეს თათართა და არავის მორწმუნეთაგანსა უტყვევენ ცხადად მას შინა შესლულად და არმლისაცა გარე ევლსა იმარხვან ხრისტიანეთა. სახლი საიდუმლოასა სერობისა ყოფილ არს ქუშუანასა ზედა პირველს ტაძრად ხრისტიანეთა. მას შინა კურთხულ არს წმიდა იაკობ მცირე პირველს იერარხად იერუსალიმისა და წმიდასაცა პეტრესა მას შინა ჰქონიეს პირველი კრებაა ეკკლესიისა. უკანასკნელ ადგილთა ამით წარვლენილან* მოციქულნი გლახაჲ-შიშუშლად, მით რამეთუ განანათლონ ყოველი ქუშუანაა: „წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი“¹.

თხს წმიდისა ნაწილსა პართენიოს კამრატისა ზიერ ჩემდა მოძუნჯილისა

წმიდა ნაწილი აქ მცხოვრებელსა ერთისა ემირისა,

თხს წმიდისა ახალ-მოწამისა ემირისა

თხს ჰაოსიანთა სიწმინდისა ღისა, მის მიერ აღმოცენებლისა, არამედ მხოლოდ ჰაოსიანნი. და ესრეთ,

დღესა ამას მომიტანა იერომონოზოსმან პართენიოს კამრატისა ძღუნად ერთი ნეკნის ძუალი კაცისა, წმინდასა ბამბასა მდებარე და ქალაღლსა შინა ზუსეული და მთხოველმან მიღებისა მისისა, მრქუა: „ბეგზადა! ესე არს მთხოველმან მიღებისა მისისა, რომელიცა ღირს-ქმნილ არს მოწამეობისა გარისხსა დათხევეთა ხრისტესთჲ. სისხლისა თვისისათა. 1573-სა წელსა, დროსა იერუსალიმის პატრიარხისა იერემეასსა, მრავლისა თეთრისა წარგებითა ჰაოსიანთა მიერ მიუღიეს აქაურსა ფაშას ბრძანება სულთნისა, რათა არავინ ბერძენთაგანნი უტყვეოს შესლულად დიდსა შაბათისა წმიდასა საფლავსა ზედა მიღებად საღმრთოასა ნათლისა, მის მიერ აღმოცენებლისა, არამედ მხოლოდ ჰაოსიანნი. და ესრეთ,

¹ ნათე, თავი 28, მუკლი 19.
* ხელნაწერში: წარველნიან.

უაშასა, აღმასრულებელსა თვისისა ჯელმწიფის ბრძანებისასა, შემშვეცხსა მას შინა ოდენ ჰაოსიანთასა, დაუჭმევეინებთეს კარი ტაძრისა ამის, რომლისა თანაცა მდგარა პატრიარხი იერემეა მრავლითა სამღუდლოებითა და მართლ-მადიდებლებითა მტირალედ და მჭურვალ-მვედრებულად ღმრთისადმი. შე-
 5 მდგომ აღსლუელი პატრიარხი ესე ეკლესიასა წმიდისა ელენასსა, დამდგარა ახლოს ერთისა სუტისა, მთხვეელი ცრემლთა, შემუსრვილ-დამდაბლებულისა გულისაგან წარმონაცენტა, ვედრებასა შინა მოხედვსათჳს მართლმორწმუნეთა ზედა. ჰოი, გამოუწერელსა კაცთმოყუარებასა შენსა ხრისტე! განხეთქილ არს კედლისა მის შორის ქუაჲ ბჳეთა ამით კერძოდ დასავლეთისად და
 10 თჳს საღმრთოჲსა ნათლისა კედელსა შინა გამოცენებულსა
 გამომკდარ არს საღმრთოჲ იგი ნათელი, ჰაოსიანთა მიერ შემუსრვებული. მაშინ პატრიარხსა იერემეას, მიმწრაფებულსა მისდა, აღუწითეს სანთელი თჳსნი და დაუყვიეს ერთა, ვედრებათა შინა მისთჳს მონაწილეთადმი. ხოლო
 15 ჰაოსიანნი, შინაგან ტაძრისა ყოფილნი და ვერ მიმღებნი ძიებულისა ბედნიერებისა, დაჰშთომილან ვაწბილებულ. ყოვლად დიდებულისა საკურსლებისა ამის მხილუშლთა თათართა და ურწმუნთა აღმოუტევებით გოდებაჲ მგიობელი რიცხუსა ზედა ჰაოსიანთასა, რომელთაცა შორის ზემოჯნებულსა ემირსა, შეპყრობილსა განცუფრებითა სასწავულისა ამის გამო, ეამსა მას ჯელსა შინა ვითარმე ლურსმისა მქონებელსა და
 20 თჳს ხასწავულისა ახალ მორწმუნ-მოწამისა ემირის მიერ ქმნილისა
 წარმომდგარსა, ღალად-უყვეს ჳამალად: „მუსულმანრო და ყოველნო სხუანო ნათესაენო! უწყოდეთ, რამეთუ მხოლოდ არს ჳემშარიტი სარწმუნოებაჲ მართლმადიდებელთა ხრისტეანეთა ბერძენთა, რომლისათჳსცა დღეს აღმსაარებელი ხრისტესი და თაყუანის-მცემელი მისი დასაბქიციკებელთა თქუშნდა მისა გიჩუშნებოცა ყოვლისა შემძლებელითა სახელითა მისითა ძალსაცა ახალ-მორწმუნეჲსა მისისასა“. მთქემელსა სიტყუათა
 25 ამით დაუციეს ლურსმანი იგი კედლისა ქუასა ზედა და ვითარცა ცვლსა შინა ჰშთაუსევამს, გამოუსახავს სამგზის ჳუარი და უთხოვიეს მონათლუჲ. არამედ
 34 სხუათა თათართა მუნ დამსწრებთა ცემითა მახვლათათა წამის-ყოფასავე შინა თუალისასა მოუკლავს იგი და მიუციესთა ცეცხლისათჳს, რომელიცა დაცეულ არს
 30 მისგან უწენებულად ძალითა მაცხოვარისა ჩუშნისა იესოსითა. შემდგომ უწმიდესსა სინოდსა, მომსყიდულსა წმიდისა ამის გუამისასა, დაუკრძალავს იგი ეკლესიასა შინა წმიდათა მეფეთა კონსტანტინე და ელენასთა, რომელიცა გუაჳქეს აწცა“. ესრეთუშ მაჩუჳა იერომონოზოსმან ამან ერთი წიგნი
 36 თჳს წიგნისა იერუსალიმის აღწერისა, იერონონოზოსისა პართენოხს კამარასისა მიერ ჩემდა ჩუქებულისა
 სლავიანისა ენასა ზედა ვენას დაბეჭდილი, რომელიცა იპყრობს თჳს შორის აღწერასა იერუსალიმისა და გარე მისა წმიდათა ადგილთასა. ამაჲ რიცხუსა ვიყიდე ერთისა ლათინისაგან სადაფთა ზედა მოჭრილნი წმიდანი ხატნი: ჳუარცემისა, მეორეჲ—ღმრთისმშობლის მიძინებისა, მესამეჲ—ღმრთისმშობლისა და იოსებისა, მეოთხეჲ—ღმრთისმშობლისა,
 40 თჳს ჩემ მიერ სუიფლთა ხატთა
 მთავარანგელოსისა მიხაილისა და წმიდისა ნიკოლაოსისა, მეხუთეჲ—იოანეს მიერ იესოს ნათლისცემისა და მეექუსეჲ—იესოს შობისა.
 46 თჳს მოსლჳსა ჩემდა წმიდისა მითროპოლიტის მისაჯლისა
 ე-სა. შემოვიდა ჩემდა წმიდა მიტროპოლიტი მისა- ელ და მთხოვა დაშთომად 13-ს რიცხულდმდე, ვინაჲთვან სმენიყო შებირებაჲ ჩემგან მოჭირავეთა ცხენ-აქლემთათა, რომლისათჳსცა დავჰშთი კულად დანიშვნულს დროდმდე. ხოლო მწყემსმთავარი

თუ ვშიდისა მიტროპო-
ლიტისა მისაელისა მიერ
ჩემად საჩუქრად გამოგ-
ზავნილთა ნაწილთა

ძულად წარწერილნი.

თუ დროგუმანისა მიტ-
როფანეს მიერ ჩემდა სა-
ჩუქრად გამოგზავნილისა
ბურნუთის კოლოფისა

დაბეჭდილი ხატებითურთ.

თუ მისლჳსა ჩემისა სახლ-
სა შინა დოკტორისა იო-
ანე ლიბერაკისასა

ესე, მიმღები თხოვილსა შინა თჳსსა ჩემ მიერ აღთქმისა,
განვიდა ჩემგან. შემდგომ ერთისა ჟამისა გამოგზავნა მას
ჩემთვის საჩუქრად წმიდისა საფლავისა და წმიდისა გოლ-
გოთას ქუნი ცალ-ცალკე ქაღალდთა შინა ხუტუელნი, უწ-
მინდესისა სინოდისა ბეჭდილთა დაბეჭდილნი და ზე ბერ-
ამისა შემდგომად მივიღე დროგუმანისა მიტროფანეს მიერ
გამოგზავნილი ბურნუთის კოლოფი მოწითლ-მოჭრელოა-
სა მარმარილოვსა, რომლისაცა ქუთა შემკობილ არს კლდეჲ
ცხებისა. მერმე კუალად გამოგზავნა ჩემთვის წმიდასა
მიტროპოლიტსა მისაელსა აღწერაჲ იერუსალიმისა და
გარემოს მისა წმიდათა აღგილთა ბერძულსა ენასა ზედა
დაბეჭდილი ხატებითურთ.

დილით ჟამსა მეთერთმეტესა წარველ ხილუად დოკ-
ტორისა იოანე ლიბერაკისა, რომელმანცა, უეცრად მის-
და მისლჳსათჳს ჩემისა განმზიარულეულმან, გამოიყუ-
ანა მეორეჲსა ოთალით ღრმად მოჭუცებული დედაჲ
თჳსი და მასთანა მეულაჲცა თჳსი, მმეტყუელმან ესრეთ მათდამი: „დედა! აჰა თავადი იგი მოსკოვისა, რომლისაცა გსურდა შენ ხილუად სახლსა შინა შენსა, ვითარ შენცა (მიქცეულმან ცოლისადმი თჳსისა), სასურველო ჩემთვის მეულაო ჩემო! აჰა, ლენერალი იგი მოსკოვისა, რომლისასაცა ნატრობდით პირისპირ ხილვასა და ზრახუასა. აწ ხედავთ, საყუარელნო ჩემნო, სახლსა შინა ჩვენსა მოსლველსა პრენჩიჲესა ამას, ყოველთა აჰაურთა მიერ პატივემულსა და იშუთსა სტუმარსა და მასთანა მოსკოვისავე იერომონოზოსსა პაისიის, ვითარცა ერთქუცენელსაცა ჩუქნსა სპირიდონ სიეინისსა. აწ თქუენ ზედა არს დამოკიდებულ დახუტდრბაჲ მათი, ხოლო მე მიტევეთ პრენჩიჲესა ამისთანა მცირესა დროსა დატკობად საუბრითა“.

მსმენი სიტყუათა ამათ უმოჭუცებულესი დედაჲ ლიბერაკისა დასჯდა შო-
რის ჩემსა და შულისა თჳსისა მთქვემელი: „შვილო! შენვე სწამებ ჩემთვის და მეულაჲსათჳს შენისა თავადისა ამის ხილჳსა და უზნობისასა, რომლისათჳსცა მმადლობელი ღმრთისა ესევითარისა მოულოდებელისა შემთხუცისათჳს, ვუთა-
ვაზებ ცოლსა შენსა და რძალსა ჩემსა მასპინძლობასა პრენჩიჲესა ამის და კეთილთა სტუმართა ამათ, ხოლო მეცა შენებრ ვიმონაწილებ სიტკობებასა შინა ხედუთა მათითა, რომლისათჳსცა არს განხემულ გული შენი“.

დროსა მოჭუცებულაჲსა ამის უზნობისასა, მოგუართუა მეულამან დოკ-
ტორისა ლიბერაკისა მურაბა, წყალი, კავა, ოტჯა, და ჩიბუნხი; შემდგომად შე-
მოერთო ესეცა შეინაჲდ ჩუქნთანა და დამჯდომმან ახლოს მეულლისა თჳსისა,
მრქუა აღერსიანითა სახითა: „პრენჩიჲე! გვესმა ჩუქნ, რამეთუ იყუნეთ თქუენ
ქართულო; თანასწორ ვითარ ქართველთაცა თქუენისა ქუქუანისათა უადრე-
სობაჲ ხრისტიანობასა და ღმრთისმოყუარებასა შინა, ესრეთჲ ცხოვრებაჲ
მათი კეთილშეზავებულსა ჰაერსა შინა, ურთიერთისადმი შეუთრგულეებელითა
სიყუარულითა და სამარადისოთა თჳს შორის მოგებულითა მშუდობითა, რომ-
ლისათჳსცა ვებედავ თხოვად თქუენდა, პრენჩიჲე, რათა მომკეთ რაოდენმე ცნო-
ბაჲ მათთვის და ქვეყანისაცა თქუენისა“.

განგრძობასა შინა სიტყუათა ლიბერაკის მეულაჲსათა, ვბრუნებდი რაჲ-
სამე მონაწილეობასა შესახებელად საქართულოვსა და მის შორის მკვდრთა.

5

10

15

20

25

235

35

40

45

ვინა რაოდენცა აიძულებდა იგი გრძნობათა თვსთა გამოუჩენელობისადმი მისისა, მაშინცა ვერ შემძლებელსა ძლევად მათსა, ამჟღავნებლიან თუალთა შინა მისთა ცხად-ქმნილი ცრემლინი საღმობასა გულისა მისისასა წსენებათა ზედა ქართულთა და საქართველოსასა, რომლისა ძლითცა ვაზნობდებ თვს შორის ბანოვანისა ამის ვითარჲმ ნათესავობასა ქართველთასა, რომელსაცა მივეც ცნობაჲ საგანთა ზედა მის მიერ თხოვილთასა და რომელმანცა მკითხულმან კუალად მრქუა:

— პრენჩიბე, ვგონებ აქედამ მიიქცევით თქუენ სამკვდროსა მამულსა თქუენსა.

10 — ჯერ არა, ვინაჲთვან მსურვს რომელთამე ქუესყანათა ხილუაჲ.
მითხრა მან:—რად აძლევთ თავსა თქუენსა განსაცდელსა ზღუათა შორის სლვთა და შორდებით მამულსა თქუენსა? ნუჲკუჲ ელით თქუენ პოვნად სხუათა სამფლებლოთა უმჯობეს მისა?

ვუპასუხე:—და ერთა!

15 მომიგო:—ვითარდა უსაქებულესთა ერთა, ვითარ ოდენ მათუჲ გიორგინათა.

უბნობათა ამთ შორის აღდგა იოანე ლიბერაკი და მომტანმან სამთა ნიეთთა. მისცნა ერთი დედასა, ერთი ცოლსა და მესამესა თვთ მპყრობელმან მრქუა: „ბეგზადა! უმჯობეს ამისა არარაჲსა შემძლებელ ვარ შორთმევად თქუენდა და ესეცა ამდ, ვინაჲთვან არს წმიდაჲ ნაწილი წმიდისა დიდისა მოწამისა ვესტათი პლაკიდასი გულის ძელისა; და გთხოვთ უმდაბლესად მიღებისათვს მისისა წინდად ჩემისა თქუენდა პატივისცემისა და თანამერდომებისა“.

25 მეუღლამან ლიბერაკისა ამის, მომცემმან ჩემდა წმიდისა მამისა ჩუენისა და საკრველთმომქმედისა ნიკოლაოსის გვამით გამოცენებულისა მიროთა სავესესა მომცროსა მინისა, მითხრა: „პრენჩიბე! მიროჲ ესე წმიდა, მრავალთა სენთა მკურნები, მიიღეთ ჳელთა მიერ თქუენგან წყალობით-დაუგდებელისა იოანე ლიბერაკის მეუღლასათა, რომელიცა საუკუნოდ მოვალეობს სიუჲარულითა ჳსოვნასა თქუენსა“.

30 თვს წმიდასა სპირიდონს ფერტო ზამთის ნაქერისა
ხოლო დედამან დოკტორისა ამის, მკდომმან ჩემთანა, მომცა ნაქერი ფერტისამოსისა წმიდისა მამისა ჩუენისა და საკრველთმომქმედისა სპირიდონ ტრიმიფუდელისა და ერთიცა პაწაწა მინაჲ სავესე იერუსალიმისა ბალსამოთა, მმეტყულმან: „პრენჩიბე! ბედნიერ-ქმნილი სახლსა შინა ჩემსა ხილვთა თქუენითა, ვითარ მიმბამველიცა შვილისა და რძლისა ჩემისა, ვიკადრებ თხოვად თქუენდა, რათა

36 პატივის-მცემლმან სიმტკოვნისა ჩემისა იძლუნათ ესენი და მით ნუგეშ-ცემული დამადგინოთ ღმრთისა მიმართ მლოცუჲლად მშვდობისათვს თქუენისა და კეთილ-შემთხუჲვლუებით სლუად წინამდებარეთა გზათა ზედა თქუენთა“. მიმღები უძკრფასესთა ძლუნთა ამთ და ცხად-ყოფელი მათთა სათანადოჲსა მადლობისა, მოვიქეც სადგომსა ჩემსა.

45 თვს წარსლვსა ჩემისა მონასტერისა ღირსიხსა საბა განწმენდილისა
შემდგომად სადილისა გამოვეუცხადე წმიდასა მიტროპოლიტსა მისაელს სურვილი ჩემი ხილუად ღირსისა მამისა ჩუენისა საბა განწმენდილის მონასტერისა, რომლისათვცა მომცა წერილით ბრძანებაჲ სახელსა ზედა იღუმენისა პანკრატისისსა და მიმღებიცა მასთანე მის მიერისა კურთვევისა,

წარეულ აღმოსავლეთ-სამკრეთ კერძოხსადმი მონასტრისა ამის მიმართ. გლოვისა ელეგსა შორის და კიდეურსა ზედა მისსა სლჯთა ვიარეთ ორჯამ-ნახევარი და მიევაზლოენით გალაფანსა ჳსენებულისა მონასტრისასა. მკმილაგვან მისმან, მალალსა გოდოლსა მკდომმან და მხედველმან ყოველსა კერძოსა მისსა, ღილჯასავე თანა ჩუშნსა იწყო ცემაღ ჳარისა, რომლისა ძლითცა აუწყა კრებულსა მის მონასტრისასა მისლუაჲ მათდა უცხოთა; და მივედითცა კარსა თანა ჳლუ-დისასასა დასავლეთით კერძო ქონებულსა. გარდავაჳდით ცხენებით და დავეურე-კეთ კარი შინაგნით დაჳჳეული. მცუშლმან გოდლით გამო დაჳოზაჳებით გვეითხა ვინაობაჲ და საგანი აჳ მოსლჯსა ჩუშნისა. თუმცა გეცილობდნენ ჩუშნი ილუმენი მონასტრისა ამის და რომელნიჲ სხუანიცა გუამნი კრებულისა მისი-სანი და მასთანაცა უჳმბედისსა სინოდისა მიერ რაოდენისამე წამითა აღრი-თუშ უწყებულნი მოსლჯსათჳს ჩუშნისა მათდამი, არამედ მიუგეთ ჩუშნი ვინაო-ბისათჳს ჩუშნისა და მიზეზისათჳსცა აჳ მომყუანელისა. კუალად გვეითხა:

— გაჳჳუსთა წერილი სინოდისა ანუ წმიდისა პეტრას მიტროპოლიისა მიტროპოლიტისა მისაელისა მიერ?

მიუგეთ:—გაჳჳუს, და დაეანახვეთცა იგი მკითხულსა მას, რომელმან-ცა გჳა-უყო მუენით კარისა მცუშლსა და ამან, კართა შორის შჳრომით შუყოფი-ლისა წერილისა ამის მიმღებმან ჩუშნგან, განგვიღო კარი შემდგომად რაოდენი-სამე წამისა. უესლველთა შინაგან კარისა ამის, ჳშთაველეთ გზაჲ დაჳენებული სიგრძით 35 ნაბიჯი და მოვედით მჳორგესა ჳლუდესა კარსა თანა.

აჳედამ განელეთ 23 ბიჯი და ვიჩინენით მესამესა გალაფანისა კარსა თანა. თუმცა აღწერაჲ ესე იძლეეებისა ცნობად მონასტრისა ამის სამგალავნობასა, გარნა არა!

მხოლოდ დასავლეთით კერძო არს ოდენ სამზღუდნობაჲ ამისი. და ესრეთ, მესამესა ამის კართ წარმდგმელნი დაღმართსა 28 ბიჯთა, მივედით წინასა ოთაღსა დიდისა ხარებობის ეკლესიისასა, რომლისაჲცა მარჳქმნით კერძო არს კიბეჲ 11-ჳარისხიანი. აჳ დაგვხუდა მამაჲ ილუმენი პანკრატოს, რომლისათურთ-ცა ერთად აღვედით კიბესა ამას, შველეთ ოთაღი ერთი და განვედით ეზოსა თეთრთა თლილთა ჳუათა გამო ფენილსა.

საშუვალ ამისა დგას თლილთაჲე ჳუათაგან რვა-კუთხედ შენებული კუეჳუკლი. ესე ჳფარავს საფლავსა ღირსისა საბა განწმედლისასა, გარნა გუამი წმიდისა

ამის არს ვითარმე წარღებულ ძუშლაღვე ფრანგთა მიერ. მხოლოდ ოდენ სასეჲ ღირსისა ამის არს დახასტულ საფლავსა ამას ჳედა და იწჳსცა დაუშრეტელი კანდელი. დამტევებულნი ამისნი შვედლით დასავლეთისა კერძო მარჳენიჲ ეკლესიასა წმი-დისა ნიკოლაოსისსა. ტაძრისა ამის მარცხნიჲ ჩრდილო-ეთისადმი შესასვლელსა შინა, მსგავს ცანკელისა ქმნილ-

სა, დასავლეთისა მიმართ ჳუაბსა შინა აწყვა სახითა ამით წმიდანნი

თავნი რაოდენთამე ათასთა ბერთა, ურწმუნოთა მიერ მოსრვილთანი. ესენი იხილუშბიან რვაღისა ფანჯრისა ძლით, რომელსაცა ჳედა (ესე იგი ფანჯარასა) ძეჳს მომკროჲ ხის კუთი შინაგან ფენილი ლურჯისა ატლასითა და ასუშნიან-ცა მას შინა სამნი თავნი წმიდათა მათთაგანნი, რომელთაცა მთხუშვისა შემდგო-მად უკმოჳტეველთა შველეთ სამკრეთისადმი ტლანი კმად გრძელ-კამაროანი, აღვედით კიბესა 30-ჳარისხიანსა, უსართულოსა და რაობასა გამო თუთიჳემის სრულიად აღსპობილსა, ვინაჲთგან ესე არს გამოკუშთილ ბორცვსა სიმაღლედ

შედევნებულსა კლდესა ზედა. შოვედით ქუაბსა ღირსისა საბა განწმედილისასა ანუ, ვსთქუათ უმჯობეს, ლომისასა. ესრეთ სწამებენ წმიდისა მამისა ამის და ლომისა მის ურთიერთისადმი შემთხუცივისათუკ: ღირსი საბა შევიდა უშიშრად მიმწუხრ

5 ქუაბსა შინა და შემდგომ ლოცვსა დაწუა ძილად. შუვალამესა მოვიდა ლომი და მხილულმან საწოლსა თუსსა მძინარისა კაცისა, გამოსწივა კბილით სამოსელსა მისსა გამოტანად მისა ქუაბით. წმიდამან საბა, განღვიძებულმან, არა შეიშინა, არამედ აღმდგარმან მშუდობით იწყო წარკითხუად შუვალამისა ლოცუათა, ხოლო ლომი, რაოდენმე მოშორებული, რეცა მლოდნელი, ვიდრემდის
10 ღირსი სრულ-ჰყოფდეს კანონსა, ჰსდგა უძრავად. შემდგომ ამისა დაჯდა მოკუცი და ლომმან პირველისამებრვე დაუწყო კალთით წევავ გამოყუანად გარემაშინ წმიდამან, სახითა ღმრთისა მსგავსმან, რქუა მას: „ჰოი, მგეცო! ქუაბით ესე არს ფართო, ჩუშნ ორთავე ძალ-გვიძს ერთად ცხოვრებაჲ, ვინაჲთგან ერთმან შემმოქმედმან დაგვბანდა ჩუშნ ორნივე. ხოლო ოდესცა არა გთნავს შენ
15 ჩემთანა ცხოვრებად, მაშინ შენდა უშესაბამეს არს წარსლუვა აქაჲთ, ვინა მე, გელითა ღმრთისათა შექმნილი და სახითა მისითა განღვიძებული, ვარ უზესთა-ეს შენსა უპატვიოსნეს“. მსმენი ამის შემაძრწუნებელი მგეცი განვიდა ქუაბით და არაა უკუშ ოდესმე მოიქცა მისდამი.

აწცა ცხოვლად ჩანს ქუაბისა ამის შორის კლდესა ქუაბსა შინა ნაწო-
20 ლი ლომისა და თათნი, რეცა განგებ ნელოვნებულნი. არს ესრეთუშ შუდისა ნაბიჯითა შორს ქუაბითა ამით ჰაწაწა სამწირტსლოჲ, რომელიცა, თქველთამებრ მონასტრისა ამის კრებულთა-სა, ყოფილ არს პირველს ეკკლესიად წმიდისა საბასსა.

აქედამ მოვედით დანიშნულსა ხარებობისა ეკკლესიისად. გარეგანი წერილი
25 თუს დიდისა ხარების ეკკლესიისა ამის ბქესა ზედა წარმოხდენს მძმლულსისა სანედელსთა წმიდათა ხატთა: საშოვალ—ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისა, ხოლო კერძოთა მისთა—მთავარანგელოსთა მიხაელ და გაბრიილისთა. შესლევულთა ტაძარსა ამას შინა, ვინილუშთ მარჯუშნით კერძო დამოკიდებული პორტრეთი იოანე-მაზეზა ნათესავით მალთაროსსიელისა. ახლოს ამისა არს სულტი და ძირსა თანა მისსა ჭურღმული უწყლო, დასაკრძალველად წუმისა წყალთა. ეკკლესიაჲ ესე არს სამეუფოს კარით კედლადმდე დასავლეთისა სივრძით 31 და სივრცით 12 ბიჯი. საკურთხეველი—ნახევარფარგლოვანი, კანკელი ხისა შაბაქად მოკრილი, ოქროჲთა დაფერული, ორკარისხიანი. შინაგანნი პირნი კედელთა დახატულ და განათლებულ 67-ითა კანდლითა, ერთისა თითბრისა ჳომლითა, ექვსითა სასანთლითა თითბრისათა და ორისა ქვსა შამდანითა; არს 49-ჲ ლოყაჲ ხისა, სადგომ-სასხდომად მლოცავთა კედელთა ზედა მიდგმით, იატაკი დაფენილ თეთრისა თლილისა ქვთა, თანასწორ ვითარ საკურთხეველიცა, რომელიცა არს განათ-
30 ლებული რვითა კანდლითა. არს ესრეთუშ ტაძარსა ამას შინა ორი მომცროჲ ოთალი ძუსლად წერილთა წიგნთა მიერ საესეჲ პირად-პირადთა ენათა ზედა.

გამოსლევულნი აქაჲთ, მივიქეციით მარჯუშნით კერძო აღმოსავლეთისადმი სიშორით 17-სა ნაბჯსა და ვნახეთ ეკკლესიაჲ 40-თა მოწამეთა, კამაროანისა პლაფონით იატაკადმდე ძუსლითა ბერძულითა მხატვრობითა დაფარველი. იატაკი თუმცა
45 მოზაიკისა კენჭებითა, გარსა უმეტრისა ჳელოვანისა მიერ ნამუშავევი. აქედამ რაოდენსამე ბიჯისა სიშორესა ჳშთასლევულნი 18-სა ბარისხსა კიბისასა, შევე-

დით სატრაპეზოსა ძმათათჳს ოთალსა, რომელსაცა შინა ვპოვენით თეთრთა თლილთა ქუათა გამო ქმნილნი სამნი გრძელნი სტოლნი, თჳს სატრაპეზოსა ოთალი-
სა ძმათასა
თუთ ღირსისა საბას მიერ გაეკეთებულნი, აღმოსავლეთისა, სამკრეთისა და დასავლეთისა კერძოთა ზედა დგმულნი, 5
80-თა გუამთა სასხდომნი. მარცხენით კერძო ამას შინა არს კარი შესასლუმ-
ლი სამზარეულოსა, ხოლო ამიერ კარისა ამის—სარდაფსა და ოთალსა, შესანა-
ხავთა ნათადარიგევთა საქმელ-სასემელთასა, რომელნიცა იპყრობენ თჳს ზედა
სიმძიმესა ხარებისა ეკლესიისასა. ჩრდილო-დასავლეთისაღმე აქუს სატრაპეზო-
სა ამას მომცროჲ კარი, რომლისა ძლითცა კშთამდგმულნი კიბისა, კშთავედით
ლელესა გლოვისასა, თჳს შორის 300-მდე ქუაბთა მქონე-
ბელსა ორსავე მჭარესა ზედა, რომელთაცა შინა უცხოე-
რისთ წმიდათა მამათა ღირსისა საბა განწმედილისა 10
მედროეთა. გავისინჯეთ რომელნიმე ქუაბნი და მათ შორის ღირსისა მამისა ქსე-
ნოფონტესი და შულთაცა მისთა. მრავალნი ქუაბნი, ვითარცა იხილუმბიან
დღესაც სამკუსტროთა და ტრაპეზთა გამო, კქონით სამწირუმლოებად. 15
ლელესა ამას შინა, ძირსა სატრაპეზოსა ოთალისასა არს ხურელი კლდისა
ყოვლითურთ ბნელი და უკუნი, სიგრძით 15-ს და სიმალით 2-ს ადლადმდე.
აღვანთებინეთ ფონარნი და შევედით მას შინა; ვიხილეთ მცირეჲ ჰაუზი, აღმო-
ჭრილი კლდისაგან და კლდისავე კერით ცრემლებად წუმთაჲ წყლისა ჰაუზსა
ამას შინა. წყალი ესე არს ფრიად ცივი, წმიდა, გემიერი და მრთელი, რომ-
ლისაგანცა ჳღავესებინე კაცთა ჩემთა ჳური ერთი თეთრისა თუნუქისა წარმო-
ლებად მამულსა შინა ჩემსა. შემდგომად აღმოსლველთა ზემო პირველისავე
გზითა, შეველეთ ჩრდილოეთისაღმე 100-მდე ბიჯი და შევედით ეკლესიასა იო-
ანე ოქროპირისასა, დატყვენად 8-თა კაცთა. სამწირუმლოასა ამის მარჯენი, 25
ძირსა კლდისასა 11-სა ნაბიჯსა ზედა, დგას ხეჲ ფინიკი-
სა უზომოდ მაღალი, თქვეულთამებრ აქაურთათა, ღირსისა საბას მიერ დარგ-
ვული, რომლისაცა ნაყოფნი არიან უკურკო. ხისა ამის
რტოთა და ხილთათჳს სწამებენ ზოგად პალესტინისა
ხრისტეანენი, მით რამეთუ უშულო მეუღლენი, ოდესცა დაიცუმნ თავთა თჳსთა 30
კრძალულებით ყოველსა შინა 39-სა დღესა, მეორმოცესა დღესა შემდგომად
აღსაარებისა მიმღებნი წმიდისა საიდუმლოასა, ალოცებენ მლუდელსა შულთა-
რებისათჳს განწესებულსა ლოცუასა და ჳელთაგან სამლუდლოოს მის შესწამენ
თუთოსა ფინიკსა ამის ხისასა, იქმნებიან რიცხუთა შინა მშობელთასა. ხოლო
რტოსა ამისსა ჳმარობენ დროსა მშობიერობისასა. უკეთუ ძნიად ჳსნდების მუ-
ცელქმნილი იგი ეინმე ჩჩჳსა ზედა, მაშინ შეიმოსების მლუდელი, წარმკით-
ხულსი სათანადოჲსა ლოცუსა, აღიღებს რტოსა ამის ფინიკის ხისასა და სამ-
გზის მუცელსა ზედა მსალმობელისასა გამოსახავს ჳუარის სახედ, მმეტყუმლი: 239
„სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა, ამინ“. სამგზისუმ
მთქვემელი, შეახებს ესოდენვე მუცელსა ზედა, რომელიცა ანასდად და თჯიერ
ყოვლისა ტკივილისა აწარმოებს წინდსა, შემკურელსა უფროს მეუღლეობი-
თისა სიყუარულისასა.

ფინიკისა ხისა ამის ძირსა თანა არს ექუსი ჰაუზი
თჳს ჰაუზთა და ჳრდ-
მლისა
ქსა* სარეცხთათჳს და ორი ჳურღმული წჳმისა წყალთა
შემნახულსი. აქედამ მოქცეულნი უკუნევე ხარებისა ეკ-
ლესიისაღმე, დაესხედით ბანსა ერთისა კელლისასა, გარდაშუმრილსა თუითქ-

* ხელნაწერში: ჳისისა.

მის ღელესა გლოვისასა, რომლიდამაც ვიხილუშთ ორი მელა მას შინა მომავალნი და სისწუროვ ჩუშნსა შემდგარნი. მყის გამოვიდა ერთი მწირი ბერი კელლით თვისით, გამომტანი ორთა ზურისა ნაპერთა და კმთაუჯარნა მკეცთა ამათ; ხოლო ესენი აღმღებნი მათნი წარვიდნენ ხურელისადმი მათისა მშვდობით.

ნენი აღიღებენ ოდესმე ბჭეთა ამათ ძლით ქალაქსა ამას და სწამებენცა, ვითარ-
მედ ბჭეთა ამათ ძლითუც შემოსლველ იყოს აქა იესო ხრისტე ბაიაობისა კვრა-
სა შინა.

ბაბ ელ-მოჰარარბ—ბჭენი მოჰარარბინელთა, ბარბარელთა ანუ უცხო თესლ-
30 თა. ესენი არიან შორის აღმოსავლეთ-სამჭრეთისად ველსა ზედა ანნონისასა,
თუითქემის კუთხესა შინა სოლომონის ტაძრისა და პირისპირ სილოამ სოფლი-
254 სსა. ამათ უწოდებენ ბაბ ელ-მეჰლარებ, ესე იგი დამპალნი ბჭენი. ამათ ძლით
მიუყუანიესთ იესო ხრისტე პილატესად ურიათა, შემპყრობთა მისთა მტილსა
შინა ელეონისსა.

35 ბაბ ელ-ნაჰბი დაჰუდ—ბჭენი წინასწარმეტყუელისა დავითისა. არიან
კერძოდ სამჭრეთისად, თხემსა ზედა სიონ მთისასა, თუითქემის სისწრივ დავი-
თის საფლავისა და საიდუმლოჲსა სერობისა. ვითენიმე იტყვან ბაბ სილ-დაჰუ-
დისად და ბჭედ სიონისადცა, რომელთა ძლითცა აქუსთ აღკრძალველ სლუჲა
ხრისტიანეთა და სხუათა, მაჰმადიანთა მიერ დასჯასა ქულშე სიკუდილისასა.

40 ბაბ ელ-ხაჰლილ—ბჭენი საყუარელისა. არიან დასავლეთის კერძოდ სასახ-
ლესა ანუ გოდოლსა თანა დავითისასა. ამათ ძლით წარველიან ბეთლემს, ქებ-
რონს და წმიდისა იოანეს უდაბნოსა შინა. უწოდებენ ესრეთუც ბჭედ აბრაჰამი-
სად, იოპესად, პილიგრიმელთა და დამასკოჲსადცა; გარნა დღეს მოსიესთ ამათ
მხოლოდ სახელი დავითისა.

¹ ბჭეთა ამათ ძლით უტარებიათ პირუტყვნი სამოვრად.

თუხ ჭუჩათა წმიდისა ამის ქუჩანი არიან ათნი, რომელთაცა შორის სამნი უპირ-
ქალაქისათა ველესნი დაინიშნიან პირველ სახელითა მათითა, ხოლო
შემდგომ შუდნიცა იგი მომცრონი.

გარარატ ბაბ ელ-ხაჰმონდ—ქუჩია სუმტიანთა ბჭეთა; განაკუშოს ქალაქსა
ჩრდილოეთით სამხრეთისადმი.

5

სუქქ ელ-ქეჰბიცი—ქუჩია დიდისა ბაზრისა; მდებარეა დასავლეთით აღმო-
სავლეთისა მიმართ.

გარარატ ელ-ალლამ—გზაჲ შეჰირუშბისა ანუ საღმრთისა. ქუჩია ესე წარე-
ლის ამბორის საყოფელის ადგილით, ახლოს მდიდრისა და პილატესა სახლთა
და დასრულდების ბჭეთა თანა ბაბ ელ-სიდი მარიაშისათა.

10

გარარატ ელ-ნასსარა—ქუჩია ხრისტეანეთა. ესე განერცნების წმიდისა საფ-
ლავით ლათინთა მონასტრადმდე.

გარარატ ელ-არჰმან — ქუჩია ჰაოსიანთა. აღმოსავლეთით კერპო გალავნი-
სა მათისა.

გარარატ ბაბ გოტტა—ქუჩია ახლოს ტაძრისა.

15

გარარატ ელ-მუსელმინ—ქუჩია მუსელმანთა ანუ თათართა.

გარარატ ელ-იაჰუდ—ქუჩია იუდეანთა. ამას შინა არიან დუჰანნი კასაბთა
ანუ მესაკლავეთა.

გარარატ ელ-ზაჰლარ — ქუჩია, რომელსაცა შინა მდგარან მეშფოთარნი და
აეაზაკნი.

20

გარარატ ელ-მაჰგარბე—ქუჩია მაჰგარბელთა.

თუხ ტაძრისა სოლომონისა ტაძარი სოლომონისა, დაქცეული უწინარეს 600-ისა
წლ-თა შობადმდე ხრისტესა, განახლებულ არს 70-წლობი-
თისა ტყუშობისა შემდგომად იოსედესის ძის იოსუსისა და

25

სალათიელის ძის ზორაბაბელის მიერ. იროდე ასკალონიტელსა სრულებით გამო-
უცელიეს მეორეჲ ტაძარი ესე. 10000000-თა მუშაკთა უშენებიესთ იგი 9-სა
წელსა. ნამუშავეი ყოფილა განმაცუფრებელი და დაუსრულებიათ უკუშ შემდ-
გომად იროდესა ფრიადისა დროსა წარჰკდომასა თანა. იუდეანთა აღმოუე-
სიესთ ჳნარკუ და მომჰრელთა მთის თხემისა, გაუკეთებიესთ უკანასკნელ მეო-
რეჲ ესე ვრცელი, რომელსაცა ზედა ყოფილ არს ტაძარი ესე აღშენებულ ქა-
ლაქითა ამით აღმოსავლეთისადმი ველთა ზედა სილოამისა და იოსაფატისათა.

255

30

იესო ხრისტე შემდგომ შობისა თვისისა განვლასა თანა 40-ისა დღისისა
მიუღანებულ არს მეორესა ტაძარსა ამას შინა. წმიდასა ქალწულსა ამას შინა
მიუღიეს განწმედაჲ სჯულისამებრ, 12-ისა წლისას უსწავებიეს ამას შინა სჯუ-
ლისა მოძღუართათჳს, ამის გამო განუტეაჲს მიმომსყიდულნი, ამას შინა ყო-
ფილ არს განცილლ ეშმაკისა მიერ, ამას შინა მიუტევებიეს მეძავობასა შინა
მხილებულისა დედაკაცისათჳს ცოდუანი. ამას შინა უთქვამს იგავი კეთილისა
მწყემსისა და იგავნი ორთათჳს ძეთა, ვენაჳისა მმოქმედთა და ქორწილისათჳს.
ტაძარსა ამას შინა შესლულ არს იგი ლაღადებათა თანა მიგებებული ბაია-
ებითა და რტოებითა კვრასა ბაიაობისასა. უკანასკნელ ამას შინავე წარმო-
უთქვამს:—„მიეცით კეისრისა კეისარსა და ღმრთისა ღმერთსა“¹. და ამას ში-
ნავე უდიდებიეს წულილი ქვრივისა.

35

40

ტაძარი ესე უწინარეს ოთხისა თთჳსა ჩემისა აქ მოსლჳსათა შეეგრულე-
ბინათ ახლად აღშენებითა საძირკულით თხემადმდე, რომელსაცა ზედა ემუშა-
კათ 9000-სთა კაცთა სასყიდლით დადგინებულთა 7-სა წელსა. გარნა, თუ ეი-

45

¹ მათე, 22, 21.

თარი არს არხიტექტორაჲ ჯამისა ამის—მსგავსი პირველისა მის ტაძრისა, ანუ, სახეა შეწინიერისა მავრთა არხიტექტორობისა, ვგონებ, შეუძლებელ არს დამტკიცებით თქვამა ამისთვის. არაბნი მამულობითისა და გვაჯობითისა კანონთა ძლით-
 5 თვსთა ამკობენ ოდენ გარეგანსა შენობათა თვისთასა და სიყუდილი მიიწვივის ყოველსა ხრისტეანესა ზედა, რომელიცა არათუ ოდენ შევალს ლაჰმეთ ელ-სა-გარსა, არამედ ეზოსაცა შინა მომცუშლსა მისსა.

მე ესწერ აწ გარეგანობასა ამისსა, ვითარცა ვხედავ, და შინაგანისათვის ამისისი ვიტყვ მხოლოდ მას, რაჲცა მესმა წმიდისა საფლავისა ტაძარსა შინა კეთილწესიერების მცუშლისა თათრისა მაჰმადის მიერ.

10 ფანჯრით პილატესა სახლისათ ჩანს დიდი მერეჲ ჯამისა პირველ ეზოდ ტაძრისად ყოფილი.

მერეჲ ესე არს ეზო, რომელიცა ჯერ-არს იყოს 650-ს ნაბიჯადმდე სიგრძით და 520-ს ნაბიჯადმდე სიგანით. ზღუდენი ქალაქისა ჰსცუშნ ეზოსა ამას აღმოსავლეთით და სამკრეთით. დასავლეთით აქუნ ამას შენობანი თათართა, ხო-
 15 ლო ჩრდილოეთით—მოზღუდულ ნაქცევთა მიერ პილატეს სამსჯავროსა და იროდეს სასახლესათა.

12-ნი სუტტიან შესასლუშლნი, ერთნი მეორეთაგან თვნიერ ზომიერების დაცუსა მოშორებულნი და სრულიად უშნონი, არიან შესასლუშლად ეზოსა ამას შინა. უბირუშლესი შესასლუშლთა ამთაგანი არს პირისპირ ძუშლთა შეწინი-
 20 ერთა ბჭეთა, რომელნიცა უწყვიან ხრისტეანეთა სასწავულისა ძლით წმიდისა-პეტრესსა და შესასლუშლენი ესე არიან განათლებულ ლამპარათა მიერ.

საშუვალ ეზოსას ამის არს მეორეჲ უმომცროსი ეზო, მომალლოჲ პირველისა ექუსისა ფუთით, მსგავსი უმოაჯროსა გასასლუშლისა. მეორესა ეზოსა-
 25 256 ამას აქუს, ვითარცა იხილუშმის და იტყვანცა მრავალნი, 240 ნაბიჯნი სიგრძე და 160 სიგანეჲ. ამას ზედა აღიან ოთხისევე კერძოდ მარმარილოსა კიბეთა ძლით და თვთუელსაცა კიბესა ჰქონან რვა-რვანი ჯარისხნი.

შორის ზემოსა ეზოსას ამის მალლოობს ჩინებული ჯამი ლოდისა. ახლოს თვთ ჯამისა ამის არს ჯურღმული, რომელსაცა შემოსდის წყალი ძუშლი-
 30 სსა დაბეჭდილისა წყაროსას, სადაცა თათარნი ჰყოფენ დაბანასა თვისსა უწინა-რეს ლოკუსა. არიან ესრეთუშ აქა-იქ რაოდენნიმე ძუშლნი ხენი ზეთისა ხილთა და კიპაროსთა ორთავე ეზოთა ამათ შინა.

ტაძარი არს რეაკუთხედი, მსგავსი დიდისა ფონარისა რვის კერძოსავე მქონებელისა და თვთუელსა შინა თვთოესა ფანჯარტანებულისა. ფონარი ესე არს დახურულ გუმბათითა, რომელიცა ყოფილა უწინ თითბრითა ოქროთა
 35 დაფერვილითა, გარნა დღეს ტყვიითა. ისარი კმად უცხოასა შნოასა, განწყვედილი ნახევარ მთოვარეთა, ასრულებს მთლად შენობათა ამას, არაბთა კარავისა მსგავსსა უდაბურსა შინა დგმულისა. იტყვან, რამეთუ თვთოსა კუთხესა რვა-თაგანსა აქუნდეს სიგრეჲ 35 ბიჯი; ხოლო თვთ ჯამსა გარეგან სიმგრგულითა ეპყრას 280 ბიჯი და იყოსცა სიმაღლითა 23 საყენი ანუ 69 აღიო.

10 კედელნი არიან გარეგან მოსილ წულთა-ფეროვანთა ქუათა მიერ, შემკულ არაბულითა მხატვრობითა და აღ-კორანისა იგავებითა, რომელნიცა არიან დაწერილ ოქროსა ვარაკითა; ხოლო რვაი ფანჯარანი ფონარისა არიან განშუქნებულ მგრგვალთა სხუადასხუაფერთა მინათა მიერ.

შინაგანისათვის ლოდის ჯამისა არშემძლებელ ვარ თქვამად რაჲსამე, ვინაჲთ-
 15 გან ყოველთა ხრისტეანეთა აქუსთ დაშლილ შესლუად ამას შინა და ესრეთ, მეცა, წილხდომილი ხუშდრისა მათისა, ვუბნობ მას, რაჲცა მესმა ზემოქსენებულისა თათრისა მაჰმადის მიერ:

„დიდი გუმბათი არს დაწყარებულ ორს წრედ დადგინებულთა მარმა-რილოჲსა სუტტა ზედა, რომლისაჲცა საშუევალ არს დიდი ლოდი და რომელსაჲცა ზედა, თქმულთამებრ მისთა, შემდგარა მაჰმად ფეხ-ჰაჰმადი მათი, ოდეს-ცა აღსლულა ცად. ამის გამო აქუსთ თათართა ლოდისა ამისდამი ფრიადი პატივის-ცემაჲ. ხოლო შემძლებელნი და მდიდარნი აძლევენ მკითხულთა თეთრ-სა, რათა შემდგომ სიკუდილთა მათთა ლოდისა ამის თანა უკითხონ მათ აღ-კორანი რაოდენსამე დროსა.

8.

შინაგანი ჯამისა ამის არს თეთრად ვალესილ, გარდა რომელთამე ად-გილთა, რომელთაცა ზედა არს დაწერილ სახელი ღმრთისა მსხვლითა არა-ბულითა ასოებითა ლაჭვარდითა და ოქროს ვარაკით შეზავებულითა.

10.

უკეთუ ვითარმე შევალს ამას შინა ვაჰური (ესრეთ უწოდებენ მაჰმადიანნი ხრისტეანეთა), მაშინ ესრეთ გვრწამს ჩუენ მით რამეთუ, რასაცა ითხოვს იგი ლოდისა ამის თანა, მყისუჲ უსმენს ღმერთი, თუმცა კიდეც სთხოვოს მას და-ბყრობად იერუსალიმისა ხრისტეანეთა მიერ და აჰად აქუსთ მათ აკრძალულ შესლულად ამას შინა.

16

ტაძარსა ჰქონან შესასლულნი კარნი ოთხნი: აღმოსავლეთით, დასავლეთით ჩრდილოთ და სამკრით. თუთელსა კარსა აქუნ ბჰენი თჳსნი, განმაცუფრებულად ნამუშავენი და ექუს-ექუსნი სუტტნი მარმარილოჲსა და პორფირისა, თჳსთა ქუსადგურებ-თხემნახნიანნი. შინაგანი არს მრთლად თეთრისა მარმარილოჲსა; იატაკი დაფენილ პირად-პირადითა დიდრონისა მარმარილოჲსა ფიცრებითა; უმეტესნი ნაწილნი სუტტა არიან მარმარილოჲსა და ტყვეისა, რომელნიცა შე-მოუტანიათ ამას შინა თათართა ბეთლემით, წმიდისა საფლავით და სხუათაცა ეკლესიებითა გამო შემდგომად მათგან დაქცევისა მათისა.

257

20

ჯამსა ამას შინა არიან 32-ნი სუტტნი კომრალისა მარმარილოჲსა ორს წრედ, რომელთაგანცა უდიდესთა 16-თა უპყრეისთ თჳს ზედა პირველი გუმ-ბათი და სხუანიცა კამარანი. თუთელი სუტტი დგას ქუსადგურსა ზედა და აქუსთცა თხემნი ნახნიანნი. ვარემოს სუტტთა არიან სხუაგუარნი შამდლნი რვა-ლისა და თითბრისა გამო ქმნილნი, ოქროსა შინა ცურებულნი, რომელთაცა ზედა არიან დაწყობილ 20-ნი ათასნი კანდელნი. ამათ ანთებენ ხუთშაბათო-ბით, შემდგომ მზის დასლუჳსა და აქრობენყე პარასკევსა, შემდგომად შუვად-ლისა. ესრეთუჲ ანთიან ესენი გაუქრობულად ყოველწლივ ერთსა თთუშსა, დროსა მათისა რაჰმაზანობისა ანუ მარხუასა.

25.

30.

შორის ჯამისა ამის არს მომცროჲ სუტტი მარმარილოჲსა, რომელსაცა ზედა აღინა ვარედამ 18-თა ჳარისხთა ძლით კიბისათა. ამას ზედა აღდის კაღი ყოველსა ოთხშაბათსა 12-ისა ჟამითა მეორეს ჟამადმდე, რომელსაცა დროსა გან-გრძელდების ცერემონიაჲ მათი, ლოკუა და განმარტებაცა რომელთამე უპი-რულმღესთა მუტლთა აღ-კორანისათა.

35

გარდა 32-თა სუტტთა, რომელნიცა იპყრობენ გუმბათსა და კამარათა, არს კუალად ორი მომცროჲ სუტტი, ფრიად ახლოს დასავლეთისა კარსა თანა, რომელთაცა, მჩუენებნი უტბოტუშენლთა თჳსისა სარწმუნოებისათა, არწმუნებენ, მით რამეთუ ოდესცა თავისუფლად განვლიანყე ივინი ორთა ამათ სუტტთა შორის, მაშინ ივინი წინათუჲ არიან დანიშნულ მაჰმადისა სამოთხეასათჳს და იტყვანცა, რომელ უკეთუ ვაჰური ანუ ხრისტეანეჲ მოინდომებს განვლასა სუტტთა ამათ შორის, მაშინ ესენი დაიძრვან ადგილით თჳსით და შესლულსა მას მათ შორის გასჳყლედენ ანასლად.

40

48.

სამსა ნაბიჯსა ზედა ორისა ამის სუშტით ძევს იატაკსა ზედა ლოდი, რომელიცა ჰვავს შავსა მარმარილოსა, სიგრძე-სიგანით სამ-სამფუთიანი. ლოდსა ამას აქუს 23 ნახურეტი, რომელნიცა ჩანან ლურსმანთა ადგილებად და რომელთა შორის არს დღესაც ორი ლურსმანი, გარნა რაჟსათუ სოფილა ესე საჭმარ, არავინ უწყის. თუმცა იტყვან, ვითარმედ ლოდსა ამას ზედა შედგებოდინ წინასწარმეტყუშლნი შესასხდომელად ცხენთა შესლუსათუს ჯამსა შინა და რამეთუ ლოდსა ამას ზედა კშთამოსულიყოს მაჰმად, ოდესცა მოსლულა ბედნიერისა არაბითთა შემდგომ მგზავრობისა მისისა სამოთხესა შინა, სადაცა უსაუბრებთის ღმრთისა თანა*.

10 გეგმი ყოვლად ბრწყინულელესა წმიდისა საფლავისა დიდისა ტაძრისა, მდებარე გუშრდთა შორის 50-ისა და 51-ისთა* (სურ. 15), თუმცა აცნობებს საყუარელთა მკითხუშლთა ჩემთა მის შორის შეცუულთა თაყუანის-საცემელთა ადგილთა, განსაკუთრებულთა და საზოგადოთაცა მართლმადიდებელთა და სხუთთა ხრისტეანეთა შორის, თანასწორ ვითარ სიგრძე-სიგრეცე და სიმაღლესა თუსსა, გარნა საჭიროდ ვპრაცხ საზოგადოთა მათთუს თქემად, თუ ვითარ მოქმედებენ

258 დროსა საღმრთოჟსა მათ მიერ მსახურებისასა, მკირედითა ოდენ განრჩევითა, შესახებელად წმიდათა სამკაულთა ეკკლესიისათა მათ მიერ ადგილთა ამათ შინა შეწირულ-ჰმარებულთა.

ლათინთა და ზოგად ფრანგთაცა უწინარეს ჩუშნსა 11-ისა დლითა მოსდისტ თთუშნიცა და მათ შორის პყრობილი დღესასწაულებანიცა, მაშასადამე წმიდაჟ პასეხიცა, რომლისათუსცა, უპირველეს ჩუშნსა რაჟცა დღე იყოს, უკეთუ სურუსთ მსხუშრპლისა შეწირვაჟ წმიდასა საფლავსა ზედა, შეიტანენ ტრაპეზსა თუსსა ვეცხლისა გამო ჰქნილსა და დამდებნი მისნი გარდმოგორებულსა ლოდსა, იწყებენ წირვად. შემდგომ ამათა შევლენან მას შინავე ბერძენნი, შემტანნი წმიდისა ტრაპეზისა თუსისა ვეცხლისაგან ჰელოვნებულისა და დაოქროვებულისა, განავებენ საღმრთოსა ლიტურგიასა და გამოვლენ რა ესენი აქედამ ტრაპეზითურთ თუსითუშ, იჩინებან სომეხნი წარმართულად წირუსა თუსისა პირველთამებრვე სახითა. მხოლოდ წმიდასა ამას საფლავსა ზედა არს ერთთა და მათუშ დღეთა შინა საღმრთოჟ მსახურებაჟ ჰსენებულთა ამათ ხრისტეანეთა მიერ.

30 ქუშუქო ანუ ტაგრუცი წმიდისა საფლავისა შინათ და გარეთ არს მოფარდავეულ ხასკირმიზისა ხვედითა, ოქროპროზუმენტიმოვლებულითა კიდურთა ზედა და საშუვალთა მათთა ვეცხლისა ძაფითა ნაკერიითა ლერბებითა ფრანციისა და ლიშპანიისა მეფეთათა. აღმწევი გარეშე ფარდათა ამის ტაგრუცისათა, იხილავ წმიდათა ხატთა, რომელთაცა წინაშე დაუშრეტელად ანთიან

35 კანდელნი ორნი სამკრეთით; პირველი არს სომეხთა და მეორე—სირიანელთა; ხოლო დასავლეთით—ბერძენთა, ესრეთუშ ჩრდილოეთით სამნი: აბაშელთა, კივთთა და ლათინთა.

წმიდისა საფლავისა ამის ტაძარსა შინა აღმოსავლეთისადმი თუთ საშუვალი სობოროჟ ეკკლესიაჟ არს საკუთრად ბერძენთა, სადაცა არს ესრეთუშ საშუვალი უბეჟ ქუშყნისა, დანიშვნული მომცროსსა მარმარილოჟსა სუშტითა.

ადგილი წმიდისა გოლგოთისა, სადაცა ჭუარს უცკუსთ უფალი და კუალად ადგილი, სადაცა უპოვნისთ ჭუარი, და კლდეჟ ცხებისა არს საზოგადოჟ.

ადგილი წმიდისა გოლგოთისა, რომელსაცა ზედა ყოფილა დადგინებულ ჭუარი და ადგილი ანუ საპყრობილეჟ, სადაცა დაუქრძალავთ უფალი ჩუშნი მას დროდმდე, ვიდრემდის მოსთხრიდიან ორმოსა დასამაგრებელად ჭუარისა, ყოფილა ქართუშლთი, გარნა დღეს ჰფლობენ მათ ბერძენნი.

* იგულისხმება ხელნაწერის გვერდები.

ადგილი, სადაცა განეცხადა მაცხოვარი ღმრთისმშობელსა შემდგომად აღდგომისა თვისისა, არს ლათინთა.

ადგილი წმიდისა ელენისა და ადგილი, სადაცა უყრიეს წილი და განუყვესთ სამოსელი უფლისა, უზყრიესთ სომეხთა.

სამწირველოა, ახლოს ადგილისა მის, სადაცა ეჩუშნა მარია მაგდალინასა უფალი სახითა მეტილევასათა, წოდებული სამწირველოდ მარია მაგდალინასად, ეკუთვნის სირიანელთა.

ყოველნი იგი, რაცა ითქუნეს აქამდე, იხყრობიან სამწირულოებთა შინა დიდისა გუმბათსახანისა ტაძრისათა, რომლისაცა საშუვალსა მალროას მდიდრად შემკობილი ტაგრუცი, მფარველი მაცხოვრის საფლავისა, ათითა მარმარილოასა სუტებითა. გარდა დიდისა ამის გუმბათიანისა ტაგრუცისა, ადგს კუალად წმიდასა საფლავსა მეორე უმომცროესი ტაგრუცი მარმარილოასა ყოვლით უმეტეს განშუენებული, თხემხურჯლი თეთრითა რკინითა, რომელსაცა უდგნ 12-ნი სუტნი არაღვინის ფერისა მარმარილოასა დაოქროიანებულ-გრეხილებიანი.

მომკსენებელი ყოვლისა ჩემ მიერ ხილულისა, შევე-
 თხ კომლობით რიცხუთა წმიდასა ქალაქსა ამას შინა
 წმიდასა ქალაქსა ამას შინა მცხოვრებთასა

მომკსენებელი ყოვლისა ჩემ მიერ ხილულისა, შევე-
 ხები ესრეთუქ რიცხუთაცა წმიდასა ქალაქსა ამას შინა
 მცხოვრებთასა, რომელთათვისა იტყვან 15000-ს კომლად-
 მდე; ესე იგი ბერძენნი 942, ლათინნი 29, სომეხნი 40,
 კიეთნი 900, სირიელნი 530, მაჰმადიანნი 1723 და ურიანი 10790-ნი კომლ-
 ნი, გარნა, მიხედვასამებრ მცხოვრებთა ამით მიერ პყრობილისა ადგილისა, უკე-
 თუ შედგების ნახევარიცა რიცხუ ზემოდანიშენულთა რიბცეთა, მაშინ ივითა
 ეერ განერების იქვსა. ხოლო ვითარცა იყოს იგი, სქესი მდედრთა არს აქა მრავ-
 ლით უმეტეს მამრთა ზედა, ვინაჲთგან სწამებენ ესრეთ, რომელ დედანი ისრა-
 ელთა, ვერმკუტლნი მეულღობითისა თანამღებობისა, სახეთა ქუტუშე ღმრთის-
 მოყუარებისათა დამტევებლნი მეულღეთა, შვლთა და ნათესავთა, წარმომღებნი
 თვსთანა შეძლებათამებრ მათთა თეთრთა და ნივთთა, მოვლენან აქა საუკუ-
 ნოდ საცხოვრებელად, რათა ნაშთნი დღენი ცხოვრებათა მათთანი განატა-
 რონ ლოკუასა და წმიდასა სინანულსა შინა; არამედ, წინააღმდეგ ყოვლისა
 კეთილისა, იქცევიან აღჯრუსხმელთა და უბრძანებელთა გემოთმოყუარებათა
 და ბილწებათა შინა.

13-სა. მეათესა ეამსა დილისასა, შემდგომად კერძობა-
 თა და ბარგთა ჩემთა იოპეასადმი ვასტუმრებრებისა, გა-
 ევმწოდებ წმიდასა მიტროპოლიტსა მისაელსა, სხუათა
 ყოველთავე იერარხთა, ეპიტროპოსსა პროკოპიოსსა, კამერასთა ანთიმოსსა და
 პართენიოსსა, დროგუმანსა მიტროფანესა და წარგმოველ აქაჲთ იოპეს მიმართ
 რიაზანელისა იერომონოხოისსა პაისიით, სპირიდონ სივინით, მიხაილ დრაკული
 კრიტიკოსით, იასაღჩი მანუელ ბოწნიაკით და მსახურებით ჩემით გრაგორ რუ-
 აძით და პეტრე ბაქელაშვილით. მოსლვეულთა ჴევსა თანა ნალუარვეისასა, ვპო-
 ვენით 7-ნი არაბნი განმძკუტლნი ერთისა სომხისა, ამ-
 ნანაგათგან თვსთა ვითარმე მოშორებულისა. ვნებულმან
 ხრისტინემან ამან, შეშინებისა გამო გონებამიხილმან

და ენისაცა უფლებად მოკლებულმან, მოაქციენა ჩუშნდა დამდაბლებულნი სა-
 ხედულნი თვსნი, რომელთა ძლითცა გვალვიძებდა შემწეობად თვსად, რომლი-
 სათვსცა მიეცივიდით ჩუშნ მსგავს ელვისა ავაზაკთა ამით არაბთა, მთხოვნი
 მიქცევად მათ მიერ წართმეველთა ნივთთა სომხისად, გარნა გარდა უენობისა,

რომელიც არ ვიცოდით ჩუშნ შეგონებისათვის მათისა, ჩნდნენეუ ბარბაროსნი ესე მოუღრეკელად. უკანასკნელ მოგვეწივა უკან დარჩომილი იასალჩი მანუელ ბოშნიაკი, რომლისა ძლითცა ვეტყოდი მტარვალთა ამათ მიცემად ნაძარკეთა სომხისა და რაოდენცა ვურჩევდით მშუდად დანებებასა პატრონისადმი მიტაცებულთასა, ეგოდენ უფროს მეუარებოდიან შიშველნი ესე ტირანნი და არ
 260 ერჩდიან სიტყუათა ჩუშნთა, რომლისათვისცა გაგულსებულმან მივიგდე ცხენი მათდა და დავუშინე მათრალითა სპილოს ტყავისთა ერთსა მათგანსა. შილუშლნი ამისნი ჩემთანა მყოლნი შეუდგენენ ესრეთუშ მაგალითსა ჩემსა და თვთუელმან თვთუელთა მათგანთა ზედა განიგდეს წილი, რომელნიცა შემდგომად კარგად დაბეგვათა მათთა იძულებულ იყუნენ მოქცევად ყოველთა მათ, არაცა მიეღოთ სომხისა მისგან, და ესრეთ, კმაყოფილი სომეხი ესე შევსვთ ჯორსა თვისა და წარმოვიყუანეთ ერთად ჩუშნთანა.

ჰშთამოსლევულთა ჴეცსა ნალვარევისასა და შემდგართა ჴილსა ამას ზედა მღებარესა, ვკითხე ჩუშნ მიერ განჩინებულსა სომეხსა მამეულობისა, სახელისათვის მისისა და მისთვისცა, უკეთუ აკლს რაამე ნივთთა შორის თვისთა, რომელმანცა მომიგო: „აფენდემ, მე ვარ ქალაქით სმირნით, სახელითა კარაპიტ უსუფ-ოღლი და გარდა ორმეოცისა ფარისა, არარაჲ დაშთომიესთ ჩემი არაბთა იმათ, რომლისათვისცა სიკუდიდმდე ჩემსა დამცუტელი ჩემ შორის თქუშნდამი მადლობისა შეწვევისათვის ჩემისა, გთხოვთ ვედრებით არ დამიტევოთ გზასა ამას ზედა მარტოდ, ვინაჲთგან მოვშორდი ამხანაგთა ჩემთა და მერმე, მცდელსა მათისა მოწვევისასა, დამხუნდნენ ავაზაკნი იგი არაბნი, რომელთაგანცა განმარინეთ თქუშნ“.

განსლევულთა ჴილსა, ვიხილუთ რაოდენმე სიშორესა მისსა, ახლოს გზისა, მაღალ ადგილ მწუნანოანსა სამეოცადმდე კაცნი და დედაკაცნი ჰშთამომგდარნი, რომელთათვისცა გვრქუა კარაპიტამ, ვითარმედ ესენი იყუნენ ამხანაგნი და თანამოგზაურნი მისნი და ელოდნენცა მას, რომელი დავუტევეთცა მათთანა ნებისამებრ მისისა.

გამგრძობთა გზისა, გავმოვლეთ ემმასო, რომლისაცა დაღმართისა საშუვალსა, მარჯუენით გზისა განვიხილუთ სრულიად დაქცეველი ეკკლესიაჲ სახელსა ზედა წმიდისა დიდისა მოწამისა და ძლევამოსილისა გიორგისსა და კელლიანისცა ეკკლესიისა ამის სამღუდლოთა და მსახურთა. აქაჲთ შედგომილნი გზისა წინამდებარეჲსა თუალგარდაუთხმელიასა მინდვრისა მწყემსთა და არევთა მიერ ცნოვართათა თუთიქემისი მთლად დაფარვულსა, მოვიწივენით პირველსა ეჲმსა ელეუსა ერთსა, რაოდენთამე დიდროანთა ზეთა და მცირისა წყაროჲსა მიერ მდიდებობელსა, რომელთაცა ქუშუშე, სიცხისა გამო დამაშვარლნი, გარდაგვპდით განსუსნებად და ცხენნიცა ჩუშნნი მიეუშვით ბალახთა ზედა. მომსადილოებელნი წყაროჲსა ამისთანა, შევუდევით კულად გზასა. პირველ ყოველთა ვვიდოდი მე, შემდგომად ჩემსა იერომონოხოსი პაისი, ამასთან სპირიდონ სივინი, პეტრე ბაქელაშვილი და გრიგორ რუაძე. მიხაილ დრაკული კრიტიკოსი და იასალჩი მანუელ ბოშნიაკი დაშთომილიყენენ

40 თქ მწყეშნთა არაბთა ავაზაკოზით მომქცევთა ჩუშნდა კულად წყაროჲსავე თანა. ორნივე კერძონი გზისა იყუნენ მოცეულ ცნოვართა და მწყემსთა მიერ, რომელთაცა, მხილუშლთა ჩუშნთა მცირარიცხუშლდობისა, დაგვიდგინეს ერთი ჴელტორიანი მწყემსი გზასა ზედა შეყენებად ჩუშნდა და, უკეთუ ძალი იდებენ, განძრკუადცა. ოღესცა მივებლოე გზისა შემკვრელსა მწყემსსა ამას არაბსა, ჴმა ვუყავ თათრულად დანებებისათვის ჩუშნდა გზისა განვლად; გარნა,

საუბედუროდ, არ სცოდნეო არაბსა ამას თათრული და სდგა გზასა ზედა უძრავად. შემდგომ ვანიშნე მათრალიანისა ჯელითა მოცემად ჩუქნდა გზისა, არამედ, ვითარცა რეტსა, არა ესმოდა; გარდავსდევ კერძოდ და გარდმოჰსდგა იგიცა წინაშე ჩემსა; მოვიქეცე გზისადმივე და მოიქცა ესეცა მუნვე, შემალღებელი ტორისა დაკრავდ ჩემსა; მე კერძოთ ჩემით შემქუსლველი ცხენისა, მივეუბნე მას და მწადდა მათრალითა დასჭად კაღნიერისა ამის არაბისა, გარნა გარდ-
 მიხლდა გზიდამ და არლა გამკიდებელმან მისმან, გაემოვლე მშვდობით. უკანასკნელ მიმავალსა წუნარად და არღარაასამე წინააღმდეგისა შემთხუციისა მლოდ-
 ნელსა, მომესმა განმაკრთომელი ყურილი, რომლისათჳსა მომაქცევმან უკუნ სახედ-
 უსლთა, ვიხილუე იერომონოზოსი პაისიო და სპირიდონ სივინი ფრჭივე მივერგებად
 ჯელტორიანისა მწყემსისა, რომლისაცა შეწყენად მისდევდნენ პაისიის და სპი-
 რიდონს ოთხნი სხუა მწყემსნი. ოთხნი სხუანი არაბნი, შემომდგომნი პეტრე
 ბაქელაშვილისა, უშენდნენ ტრათა, რომლისათჳსცა ვაეტებათ ჩიბუხი ჩემი; მხო-
 ლოდ ოდენ გრიგორ რუჰაჲ იყო განრინებულ ზედმიწევინობათაგან მათთა, ვი-
 ნაათგან პრამლოწყულილი ექადოდა სიკუდილითა პირველსა მისდამი მიმახლოე-
 ბელსა. ესევითარისა წარმოებისა ხილუამან, რომლისაცა არავისმე ჩუქნგანისა
 მიერ მისცემით მიზეზი სისხლისა მწყურვალთა არაბთა ამთ, შემაწუხა ფრიად
 და უფროს მან, რამეთუ პაისიომ შიშულითა შაავითა და სპირიდონ მახვლი-
 თა მჭურვალებათა შორის თჳსთა არ ავნონ მტერთა თჳსთა მოკლეთა ანუ
 დაკოლდეთა, რომელსაცა შეუდგებოდა უთუოდ დიადი განსაცდელი ჩუქნ ყო-
 ველთათჳს. მიმოვიხედვი მათ შორის პონად იასღჩისა მანუელ ბოშნიაკისა,
 რათა მის ძლით შემემოკლებინა ხილვსამებრ განგრძელებადი ჩხუბი ანუ ბრძო-
 ლაჲ ესე, არამედ არცა იგი და არცა მიხაილ ღრაქელი კრიტიკოსი იპოვნენ
 დროსა ამას ჩუქნთანა; ამასთანაცა ვხედვი, ვითარმედ ოთხთა არაბთა დაეძა-
 ბუნებინათ პეტრე ბაქელაშვილი, რომლისათჳსცა მივატანე ამთ მომმარჯუ-
 ბელმან ორლულიანისა თოფისა და შევსზაჭეცა მათ დატევებად მისა, გარნა
 ამოოდ, ვინა არ უწყოდნენ მცირედცა თათრული, ხოლო მასთანვე ჰგონებდნენ
 სასარგებლოდ თჳსად მიახლოებასა ჩემსა თჳსდამი, მასაოებელნი ნუუჲმე ერთად
 მსახურისა ჩემისა პეტრე ბაქელაშვილისა თანა ჯელთვდებად და განძრუად
 ჩემსაცა. ერთმან ამთ ოთხთა არაბთაგანმან, დამტევებელმან ამხანაგთა თჳსთა
 ზუსდრისა თანა მათისა, მომატანა გულშეისედ, რომელსაცა მოახლოებასავე
 თანა ჩემდა ვკჳარ ტუჩი თოფისა შიშველსა გულსა, მპყრობმან ორისა ჯელითა,
 და წარვაქციე მუნვე; განმგდებმან ამისა მკულდარ, მივემართე სამითა მათ
 მბრკოლთა პირისმპირ პეტრე ბაქელაშვილისა, რომელნიცა, მხილუენი ამხანაგი-
 სა თჳსისა მდებარედ ბლახსა ზედა, განივლტნენ ანასდად, მზაჯელნი კამაღლ-
 ლად რაასაცალა არაბულად, რომლისაცა მსმენთა სხუათა მწყემსთა ვიდრე
 ორმეოცადმდე, შფოთსა ამას შინა არ მონაწილეთა, დაუტევენეს არეენი თჳსნი
 და ლტოლვილნი ადგილით თჳსით ჰყვროდნენ პირველთამებრ, გონებისამებრ
 ჩემისა, შეწყენისათჳს და ვისგან, არა სახილუესლ იყო, ვინაათგან არასადა ჩნდნენ
 შენობანი. უკანასკნელ მოიქცნენ ჩუქნდა პაისიო და სპირიდონ, რომელნიცა გან-
 ბანილიყუნენ თუითქემის სრულიად ოფლთა შინა თჳსთა. პეტრე ბაქელაშვი-
 ლისათჳს, გარდა ჩემისა ჩიბუხისა ვატეხისა, ჩამოხვივთ პერანგის გულსპირი-
 ამისთჳს ვუბრძანე პეტრესა ამას აღყუანად ერთისა შიშავისა ცკოვარისა არ-
 ვეთაგან მათთა და წარმოყუანად ჩუქნთანა. და ესრეთ წარმოვედით ცკოვარი-
 თურთ წინამდებარეასა გზისადმი, რომელსაცა ზედა ვკითხე მამასა პაისიის და

5
261
10
18
20
28
30
38
48

სპირიდონსა მიზეზი შფოთისა და ფრტევ დევნისა მათ მიერ მწყემსისა, რომლისათვისცა მომიგო ესრეთ პაისიომ:

262 „კნიაზო! არაბზან მან, აღმღებმან ტორისა თვისსა თქუენ ზედა, თანადელს! მათარლისა ძლით თქუენისა შეშინებულმან და დამგდებმან გზისა თქუენდა, განვლეთ რა თქუენ, შემომიტივა მე დაკრვად ტორითა თვისითა და გამიტხენდაცა თავსა, უკეთუ არ მომერიდებინა იგი, რომლისა ძლითცა, დამცდენმან ჩემმან, მოახვედრა ცხენსა ჩემსა, ხოლო მეცა საჩქაროდ გარდამჭდარმან, ვიჯადე შაგა ჩემი და მიემართე მას; უშორეს ყოველივე უწყით თქუენ ამისთვს. გარნა სპირიდონ, მიმღვეი მისი ანუ სხვსა ვისმე მწყემსისა, არ ვუწყვი თუ რაჲსათვს იქმნა მონაწილედ შფოთსა ამას შინა, თვთუ სთქუას“. რომლისათვისცა რქუა მას სპირიდონ:

15 „მაჲო პაისი! ოდესცა გაეკიდენით თქუენ მტერსა თქუენსა, მაშინ მოშველებად მისა შეგიდგენ თქუენ ოთხნი ამხანაგნი მისნი. მხილულმან მათმან, ენებად თქუენდა მსრბოლთა, ვიშიშულე მახვლი ჩემი და გამოვუდეგ მათ, რათა ვერშემძლებელ ყოფილიყუნენ იგინი დაბრკოლებად თქუენდა დასჯასა შინა ავაზაქისა მის, რომელმანცა იკადრა დაკრვა თქუენი ტორითა თვისითა. და ვითარცა ოდენ შეჭქმენს ზატილი და ვიხილვეცა თუითქემის ყოველნი მწყემსნი იგი ერთბამად ადგილით თვისით მლტოლუარედ, უკმოვიქვეც მყისულ, უმეცარი აწცა ლტოლვათა მათთა მიზეზისა“.

20 ესევეთარიითა სახითა სიტყუს-მგებელმან სპირიდონ, მხილულმან პეტრე ბაქელაშვილისა პერანგ-გულისპირაშამოხვეულისა და ჩიბუხისა ჩემისა ორს ნაჭრად ჯელთა შინა მპყრობისა, სთხოვა, მით რამეთუ ამანცა გვრქუას რაჲმე შემთხუშვისათვის თვისსა, რომელმანცა იწყო ესრეთ:

25 „ოდესცა თქუენ, სპირიდონ, მიეშველენით მაჲსა პაისიის, მაშინვე გამოგიდგენ თქუენ ოთხნი სხუანი არაბნი საზარელითა გრძელითა ტორებითა; ამის გამო მომიჭნა გონებასა ზედა თქუენთვს ფიქრი იგი შემადრწუნებელი, ვითარცა გქონიათუე თქუენ მაჲსა პაისიისათვს, და ესრეთ, გარდამჭდარსა მე ცხენით მომექენენ შემდგომნი თქუენდა არაბნი და მომიყუანესცა მდგომობასა ამას, რომელსაცა შინა მხედაუთ აწ“.

30 **თხს ჰაბუთა და ქალთა გზასა ზედა ჩუნდა წელით დახუცდრისა** დასრულებასა თანა პეტრე ბაქელაშვილისა მიერ თვისსა მორბედლობისასა, დაგვხუნდენ მწყურნებსა ამას ღინდერისა გზასა ზედა ექუსადმდე ჰასაკით სრულნი ჰაბუენი და ქალნი თეთრთა არაბთა, რომელთაცა ვიეთითა-მე ედუათ თავთა და მჭართა ზედა და ვიეთითამე ეპყრათ ჯელთა კოკანი და ლიტრანი საესენი წყალითა დამვირნეთათვს მგზავრობასა შინა. იგინი, რომელნიცა დაულევენ მათ წყალსა, მისცემენ მისთვს თვითთა ფარათა, ხოლო წინა-აღმდეგსა შემთხუშვასა შინა მეწყლენი ესე დაუშენენ ქუათა, რომელნიცა აქუსთ დაგროებულ ფერჯთა თანა თვისთა და უწყვათცა უბეთა შინა. შემოგუაძლივეს სტუმრისა უყუარულთა ამათ წყალი და მხილულთა მიუღებლობისა მისისა ჩუენ მიერ, დაგვიწყეს ლანძლუაჲ. მიუხედულად ამისა განვავარძეთ ჩუენ გზაჲ, გარნა კუალად მოგვესმა უკანით ყვრილი და ვითარცა მივიხედეთ მუნით, ვიხილუმთ მეწყლენი ესე მდევნელად ქუათა სროლითა მსახურისა ჩემისა გრიგორ რუაძქესა, რომელსაცა დაელივა მათგან წყალი მიუცემელად ფარისა და რომელიცა იგვრებდა მათ ჳრმლითა და განერაცა უვნებელად, არამედ მე, მიქცეულმან მათდამი, დავანახუმ ქისაჲ მიცემად მათდა ფასისა, გარნა ვერა-
263 რაჲ შეგვგონე მათ ქისისა ჩუნებებითა, რომლისათვისცა შევეუდგეთ კუალად

გზასა და გაემოვლეთ ვიდრე ოთხს ვერსტადმდე მშვდობიანად. აქ დაეინახეთ სი-
მრავლეჲ აქლემთა, ცხენთა, ჯორთა და ვირთა პატრონებითურთ მათით, რო-

თუხ მოჭირავეთა არაჲთა
შიერ ჩვენდა მიწეზედ-
ლისა ჩხუბისა

მელთაცა ქირით მიეყუანათ თაყუანის-მცემელნი იათას
და მოიქცევიდინ იერუსალიმად. დაახლოებასათანავე
ურთიერთისადმი, შემოგვჯანეს ოთრა მეწინავეთა არაბ-

5

სხდომთა, არაბულად და გვიქნევდნენცა ზელთა დაგდებად მათდა გზისა, რო-
მელთაცა დაიწოდეს მყისულ ტორები და მაწუტედნენ გარდადგომად გზისაგან;
არამედ მიმტანებულმან ზათდა, აღვიღე თოფი ჴელთა და ვეჟადოდი ავად მო-
პყრობასა, უკეთუ არ დაგვანებებენ გზასა. უკანასკნელ წამოიწივა ერთმან მათ-
განმან საჭდომსა თუსსა და სწაღდა დაკერაჲ ჩემი ტორითა, ვითარცა ანასლად
განიცადეს გულისა ფიცარი მისი ტუჩთა ორლულიანისა თოფისა ჩემისათა და
მსგავს ზეით მოწვენილისა მეწისა მიერ განსყოვილი გარდაფრინდა ამზა-
ნაგოთურთ თუხით მიწას ზედა, რომლისა ძლითცა ტვრითა გამო თუსთა შე-
სუბუქებულმან აქლემმა მათმან, მხილულმან გარდაყრილად დამამძიმებელთა
თუსთა და დამუტლებულმან მაშინვე, ცხად-უყო მით მაღლობად თუხი ცხენსა
ჩემსა. იხილულს რა ესე სხუათა შემდევთა მათთა, გვითავაზეს გზაჲ რაოდენი-
სამე უწესოჲსა ლეჟსთა დართუთურთ.

10

15

ვიარეთ კულად ერთი ჟამი თუნიერ ყოვლისა შემთხულებისა, გარნა საუ-
ბედოსა ამას, ვითარ ესთქუა არ ვუსყი, ჩუშნთუხს ანუ მტარვალთა ამით არაბ-

20

თუხ კულად მეჭირავენ-
თა არაბთაგან ჩვენდამი
წარმოებულისა შფოთისა

მეცა 40-მდე არაბნი პირტუყუსმითურთ თუსით; ერთი
მათგანი სჯდა ჯორსა თობარისა და მოუძლოდა სხუათა
მათ ჳმამალად მღერითა. ამან შორითულ მომცა ნიშანი
დაგდებად გზისა, რომელსაცა წინა დავუღდევ იგივე

25

და რომელიცა განეზბადა იძულებად ჩემად მსხვლითა ტორითა თუსითა
აღსრულებისათუს თხოვილისა მისისა, ხოლო მეცა, ჴელ-ყოფმან თოფისა ჩემი-
სა, განვაგრძე გზაჲ მისდა, ვითარცა მან ჩემდამო. შევიყარენით პირისპირ და
თუმცა ვემსგავსებოდით ჩუშნ მისითურთ გოდლისა მშენებელთა, გარნა გონე-
ბათა შინა თუსთა წარეებატებოდით მათ, ვინაჲთგან ვუწყოდით ჩვენ საგანი ურ-
თიერთისაგან თხოვილთა; და ესრეთ, მან ტორითა თუსითა ჩემდა და მე არაბ-
თა გულთა განცდად ჩვეულისათა თოფითა ჩემითა მივიწივეთ ერთმანერთსა
ზედა, რომელიცა წამის-ყოფასა შინა გარდასვა მწუანესა ზედა თოფმანვე ორ-
ლულიანმან. არაბსა ამას მისცვდნენ საჩქაროდ იერომონოზოსი პაისი და სპი-
რიდონ სივინი და ეგოდენ სცეს მათრადითა თუსითა, ვიდრემდის სხუანი შემ-
დევნი მისნი გარდასდგებოდნენ გზით. აქაჲთ წარმოსლულნი მოვიწივენი
დროსა მწუხრისასა რამლას ანუ არიმათიას, მონასტერსა შინა ლათინთასა.

30

35

თუხ მეორედ მოსლუხა ჩე-
მისა რამლას ანუ არი-
მათიას

წერილი, მოცემული ჩემდა სალვატორ ანტონია დი
მალთას მიერ სახელსა ზედა პატრისა ალექსანდრესსა,
მივეც მას შესლვასავე ჩემსა მისდამი. შემდგომად გან-
სუტნებისა ჩუშნისა პირველისამებრვე სახლსა შინა მო-

40

ნასტრისა ამისსა, მოვიდნენ ესრეთულ უკან დარჩომილნი მიხაილ დრაკული
კრიტიკოსი და იასარჩი მანოელ ბოშნიაცი. უკანასკნელი ესე წარგვჯანვე მყი-
სად ერთად პეტრე ბაქელაშვილითა აქაურისა მუსლიმისადმი შეთვლითა პირ-
ველისა მის ჩხუბისა, მწყემსთა არაბთა მიერ ჩუშნდა მიზეზებულისა და ესთხო-
ვე მოცემად მას შინა ჩემდა კმა-ყოფისა. ამას წარველინა მყისულ ოთხნი ცხენო-

45

სანნი იასალჩინი პოენად მწყემსთა მათ და მოყუანად მისდა და ეთხოვაცა ჩემთვის ჩვენ მიერ წარმოყუანილი ცკოვარი (უფროს აღესებად მით მუცლისა თვისისა, ვიდრედა სასარგებლოდ არაბთა მათ). ვარნა მის მიერ მოვლენილი უკუნ ვაქცივე შემდგომითა სიტყუთა: „უთხარ მუსალიმსა შენსა, მით რამეთუ ცკოვარისა ამის კორცისა გემოს ხილუსა ვერ მიემთხუშვის იგი მუნადმდე, ვიდრემდის პატრონთა მისთა ესეგუარისა ავაზაკურისა ქცევისათს, რომელიცა გვიქმნეს მათ დიდისა როსისისა ქეშშეერდომთა, არ დასჯის, არ მიზღვევინებს ჩიბუხსა და არ მიაცემინებს ფასსა პერანგისასა პეტრე ბაქელაშვილისათს, რომელსაცა ზედ დაახიევს მათ და რომელნიცა შემდგომად ყოველთა ამით მიიღებენ ცკოვარსა თსსა და არა მუსალიმი შენი“.

14-სა გავისტუმრე დილით კაცნი და ბარგნი ჩემნი იათას, ხლო მე, გამშვდობებულნი უცხოდ დამხუშდრისა ჩემისა პატრისა ალექსანდრეს თანა, წარველ ლიდას შემდგომად სადილისა, ჩრდილო-აღმოსავლეთის კერძოა-სადმი, ადგილსა ვაკესა და მშორებსა რამლით ეამისა სამჩარეჟისა სავლსა. ესე არს მცირე კასაბა ქალაქი. არიან ამას შინა დუქანი და ბაზარიცა. ეკკლესია სახელსა ზედა წმიდისა დიდისა მოწამისა და ძლევამოსილისა გიორგისსა არს თუთიქემის სრულიად დარღვევულ დროთა მიერ. საშუვალ ტაძრისა ამისა მღებარებს გუამი დიდისა მოწამისა ამის, ზეღმული მარმარილოთა ვუმბათიანითა ტაგრუტითა, რომელიცა არს ფრიადენებულ თაყუანის-მცემლთა მიერ დღითი-დღე მოტებითა ნაწილთათა მით მარმარილოთაგან და რომელსაცა შინა ანთია მარად ერთი გაუქრობელი კანდელი. ეკკლესია ესე იხილუშბის, ვითარმედ ყოფილა იგი დია დიდ, მტკიცედ შენებულ და ყოვლითურთ მუწნიერ ძულად, რომელთაცა დასამტკიცებლად სწამებენ აწცა დანაშთნი ამას შინა სუტნი გრეხილიანნი იშუთთა მარმარილოთა. გარდა დიდისა ამის მოწამისა პირუშლის ტრაპეზისა, არიან ამას შინა კულაღ სამწირველონი ღმრთისმშობლის მიძინებისა და წმიდისა წინასწარმეტყულისა ილიასა. ხლო დღეს უმეტესი ნაწილი ტაძრისა ამის ადგილისა არს ჯამად. მოვაწოდებინე მლუდელი არაბისა, სახელით ნიკოლაოს, ვახდევინე პარაკლისი, მივეც შვრომისათს მისისა ფასი, ვემთხვევ საფლავსა წმიდისა ამის მოწამისასა. მივმოველე ერთად მლუდელითა ამით ლიდათა ესე, რომელსაცა შინა არიან მართლმადიდებელნი არაბნი და ბერძენნი 200-სს კომლადმდე; ხლო მაჰმადიანნი და მათისავე სარწმუნოებისა არაბნი—700-სს კომლადმდე, მექონნი ერთისა ჯამის მინარაათურთ. და წარველ იათას, სადაცა დავჰსდღე სახლსა ანგლიის კონსულის ანტონის დამიანესასა. ქალაქი ესე არს საამისა ეამისა სასლველი რამლით.

15-სა. მოვიდა ჩემდა როსიელი ჰსკოვის გუბერნიისა მოკუცებული დედაკაცი ნადეჟდა ივანოვნა ჩეხაჩოვა, რომელმანცა შემოაჩვილა ავად მოპურობასა და გამოგდებასა ზედა თსსა იერუსალიმით უწმიდისისა მის სინოდის კრებულისა მიერ და მთხოვაცა შეწვენად მწრაფლ გასტუმრებისათს თსისა კონსტანტინოპოლისადმი. დროსა ამას შემოვიდა ჩემდა მცხეთელი იოსტოს ბერი-დიაკონი, რომელმანცა ესრეთუშ გამომიცხადა ნაკლულევანებათ თსი გზის სახარკოსა შინა და მევედრა წარვლენისათს თსისა წმიდასა მთასა აფონისასა ერთად რიაზანელისა იერომონოხოსისა პაისის თანა, ვინათგან უკანასკნელი ესე განიზრახვდა წარსლულად მუნ. შემდგომად სადილისა მოვიდნენ ხილუად

16-სა. მოვიდა ჩემდა როსიელი ჰსკოვის გუბერნიისა მოკუცებული დედაკაცი ნადეჟდა ივანოვნა ჩეხაჩოვა, რომელმანცა შემოაჩვილა ავად მოპურობასა და გამოგდებასა ზედა თსსა იერუსალიმით უწმიდისისა მის სინოდის კრებულისა მიერ და მთხოვაცა შეწვენად მწრაფლ გასტუმრებისათს თსისა კონსტანტინოპოლისადმი. დროსა ამას შემოვიდა ჩემდა მცხეთელი იოსტოს ბერი-დიაკონი, რომელმანცა ესრეთუშ გამომიცხადა ნაკლულევანებათ თსი გზის სახარკოსა შინა და მევედრა წარვლენისათს თსისა წმიდასა მთასა აფონისასა ერთად რიაზანელისა იერომონოხოსისა პაისის თანა, ვინათგან უკანასკნელი ესე განიზრახვდა წარსლულად მუნ. შემდგომად სადილისა მოვიდნენ ხილუად

ჩემად აგენტი როსისისა ფრანცესკო დამიანე შკლითურთ თვისთა და ამათთანა ილუმენი ზახარია აქაურისა ბერძენთა მონასტრისა. მოვიალურსეთ რა ურთიერთი, წარველ მიმოვლად შორის ქალაქისა ამის ქუჩათა, ბაზართა, გარჯანსარათა და გარეშე ქალაქისა ზღსა პირსა მჭარესა აღმოსავლეთისასა. ვინილნე აქ რაოდენიმე გვაწინ მსურველნი ზღვასა შინა, რომელთაცა მაგალითთა წედგომილმან ვიბანე და მოვიქეც სახიდ ჩემად, სადაცა დამზღვდა ილუმენისა ზახარიას მიერ გამოგზავნილი ჩემდა ერთის დიდის მინით ღვინო და ორის შტოვით არაკი, რომელთაცა მომტანი გავისტუმრე რა მადლობითა, შემოვიღა შკლი სახლის პატრონისა ჩემისა, სახელითა აქაურისა მუსალიმისათა და მომკითხულმან ჩემმან მის მიერ, გამომიცხადა, მით რამეთუ მუსალიმსა რამლასასა მოუწერიეს მისდამი წერილი ვერპოვნისათვს ბარბაროსთა მათ ავაზაკთა არაბთა და უკეთუ მოვიციდი მე რაოდენსამე დღესა, უთუოდ წარგზავნის ესე საგანგებოდ კაცთა თვისთა მოუყანად ბრალეულთა და დასჯად წინაშე ჩემსა. მე, შემთლველმან მისდა მადლობისა, ვაუწყე მას, რომელ წარსლუა და დადგომა ჩემი არს დამოკიდებულ მხოლოდ ოდენ კეთილსა და წინააღმდეგსა ჰავასა ზედა ჰაერისასა და უკეთუ ეპოვნებ აწვე პირველსა მას, წარვალცა დაუყოვნებლივ.

16-სა. წარველ დილით კვალად გასინჯუად ქალაქისა ამის, კიდურსა ზედა ტუროსის ზღვასა და შენებულისა ადგილსა კლდიანსა. თუმცა დუქანნი არიან მრავალ და საესე ყოველთა სავაჭროთა ნივთთა მიერ, გარნა დია ცუდად ნაშენნი, რომელთაცა უსახეობასა ავიწყებენ მხილულთა რაოდენმე ქარვანსარანი აქაურნი კარგთა შორის შესარიცხენი. სიგრძესა ზედა აქუს ერთი ოდენ ქუჩა, რომელიცა მსახურებს ყოველთა კიდურთა ზედა ზღვასა და ბაზართა შორის სასლულსად. სახლნი არ იხილუმბიან არცერინნი, რომელთაცა შესაძლო იყოს ვითარმე მოწონებად; რიცხთა მათ შინა მაჩუწენს ერთი, რომლისათვისცა უბნობენ სახლად სიმონ მეპრატაკისად, რომელსაცა შინა მიულღეს წმიდასა პეტრე მოციქულსა კესსარიით მოსლველნი კაცნი და ამასულ ქალაქსა შინა აღუდგენიეს მას მკუდარი.

იოპესა ამას აღმოსავლეთით, ჩრდილოთ და დასავლეთით სამძღვრავს ზღუაჲ, ხოლო სამჭრეთ-აღმოსავლეთისადმი კუთხესა ზედა მისისა—კედელი ქტორისა ანგლიელთა და ოსმანთა მიერ აღშენებული შემდგომად ნაპოლეონისაგან 1799-სა წელსა შექტურვილითა ჯელითა აღღებისა მისისა. ჯერძოსა მასულ აქუნ ზალნი ნაყოფიერნი და მდიდარნი. არა აქუს უშიში ნავთსაყუდელი; გემნი, მდგომარენი ღუზათა ზედა ვაშლილსა ამის ზღუასა შინა, ექუმდებარებთან მარადის განსაცდელსა. თუმცა სამჭრეთ-დასავლეთით აქუს კლდისა მიერ მოზღუდელი ადგილი კმად ვრცელი და წყლით საესე, რომელსაცა შინა შესაძლო არს დღემად 15-ით 20-მდე ნავთა, გარნა უპატრონობითა არს ადგილი იგი ლამთა ძლით თხელ, მთხოველი ოდენ რაოდენსამე ჯელთა აღმოწმედად მისა.

ამას შინა ცხოვრებენ ბერძენნი 70-თი კომლი; აქუსთ ეკკლესია სახელსა ზედა წმიდისა დიდისა მოწამესა და ძლევა მოსილისა გიორგისსა, ყოვლითურთ ღარიბი; ლათინნი—30-თი კომლი ერთისავე ეკკლესიითა, სომენნი—4 კომლი ერთისა ტაძრითა, მაჰმადიანნი—250 კომლი 7-ისა ჯამითა მინარებიტურთ, ხოლო არაბნი და ურბანი—3 კომლი. ღამესა ამას მალვით გაეტანა ბარგი თვისი კიარით ჩემ მიერ წარმოყუანილსა უსუფ ალთმიწმდორთსა, რომლისა მიერცა მომივიდა შემდგომ მოციქული კიარელივე სომეხი ვინმე განთავისუფლებად უსუ-

ფისა მის და დატევებად აჲ, გარნა მე, მგონებელმან მეორედ გათათრებისათს მისისა, ვაჩუშნე მოციქულსა მას წერილი უსუფას უფროსისა ძმისაგან ჩემდა მოცემული და შემდგომ წარკითხვას მისისა დავარწმუნე იგი, რომელ, უკეთუ არ მოვალს აწუშ ჩემდა ბარგითურთ თვსით, შევეუთვლი მუსალიმსა, რათა შე-
 5 მპყრობმან მისმან გალახოს მძიმედ და კელკრეული მომივლინოს მე, რომლისა ძლითცა შემძრწუნებელი ალთმიშდორთი ესე მოვიდა კულად ჩემდა და მთსო-
 ვა მიტევებად ცდომისა მისისა.

17-სა დილით გემით თვსით გარდმოსლული და ნუშასა შინა ჯდომით მომცურველი კაპიტანი გიორგიაკი ბერძენი ორითა ბერითა და რაოდენითავე
 10 ნიხაბმსმელებითა ქალაქისა ამისდაში მიეცენ განსაცდელსა გარდაბრუნებითა ნავისათა ზღვსა სასტიკად აღტეხილებისა ძლით კიდურით ვიდრე 30-სა სა-
 ენსა მოშორებით. დაინთქმოდნენ ყოველნივე იგი ერთობით, უკეთუ მოწყალე-
 ბასა ღმრთისასა არ აღეძვრა მსწრაფლ ღმობად გულნი ნაპირსა ზღვსასა მყოფ-
 თა მენავეთ-მოდელურათა ბერძენთანი შეწყენად უბედურთა მსხუტრპლთა ამათ
 15 ზღვს რისხვსათა, რომელთაცა განარინნეს ყოველნივე დაშობად მიწურვილნი,
 ვითარ ნუშაიცა მათი. კაპიტანი გიორგიაკი იყო მძიმედ დაკოდვლ ცხვრსა
 ზედა და სდიოდაცა სისხლი წყარობერ, ხოლო ბერნი — უგონებოდ ქმნილ,
 რომელნიცა შემდგომ მცირისა დროსა წარმომთხვენი პირით და ცხვრით
 წყალთა ზღვსათა, მოიმგრძნობელნენყე.

20 თვს მიწუშვისა ჩემისა სა- დღესა ამას ვიჟუშნით სადილად წუშეულ როსსიის
 დღელად ფრანცესკო და- აგენტის ფრანცესკო დამიანეს მიერ, სადაცა იყუნენ სახ-
 შიანეს მიერ ლის პატრონი ჩემი ანტონია დამიანე ძით თვსით, იერო-
 მონოზონი როსსიისა ლუკა სერბიელი და პაისიი რია-
 ზანელი, სპირიდონ სივინი და სამნი კაპიტანნი ბერძენთა როსსიისა ფლავთა
 25 მექონნი. განგრძობასა შინა სადილისასა დაელივეთ თვთ უჩინებულესი ღვინოა
 კამანდორთა დღევრძელობისათს იმპერატორისა ალექსანდრე პირუშლისა და
 სრულიად უაგვისტოესისა სასახლისა მისისა, რომლისა თანაცა ივალობებოდის
 მრავალკამიერობაჲ და იყოცა სროლაჲ ზარბაზანთა სამთა მათ დანიშნულთა
 კაპიტანთა ნავთა მიერ. შემდგომად იყო დალევაჲ კეთილწარმართებისათს სა-
 30 ქურველთა როსსიისა ძლევაშოსილისა მჭედრობისათა, უწმიდესისა როსსიის სი-
 ნოდისა და თავადისა ალექსანდრე ნიკოლაოსისა გალიცინისათს თანართთავე
 მრავალკამიერობისათა გმთა ზედა სამუსიკოთა ორღანოთასა. ამასუშ დღესა
 დავითხოვე კაირით ჩემთან წარმოსლული იასაღჩი მანოელ ბოშნიაკი და მე
 განვეშზადე დატევებად ქალაქისა ამის.

თავი მარჯუ

35 267 თვს წარმოსლვსა ჩემისა 18-სა, მესამესა ჟამსა შემდგომად შუეადლისა, გა-
 იაჟათ კიარ ქალაქისადში მშვდობებელი აჲურთა მცნობთა თანა ჩემთა, შუეელ
 ნავსა ზღუასა მას, რომელსაცა უწოდს საღმრთოა წერილი დიდს ზღუად და
 რომელსაცა შინა სტურკდიან ნავნი მეფე წინასწარმმეტყუშლისანი, წარგზავ-
 40 ნილნი ნაძუთათვს ლიბანიისა და მეწამულთათს სიდონისათა; ზღუასა მას,
 რომელსაცა დაასხნა უფალმან სამძლუარნი და დაადგნა კლიტენი და ბჳენი¹

¹ იობ, თავი 38, მუკლი 10.

და რომელმანცა იხილუა უფალი და ივლტოდა¹. ნავი ესე იყო ერთდირაგაიანი და კმად მომცროა, საესე მოგზაურებითა, ესრეთ რომელ ძლითა გვიშოვეს ჩუშნ ადგილი ბანსა ზედა მისსა. აქ გავემშდობე სულიერსა მამასა ჩემსა იერო-მონოხოხოსსა პაისიის, რომელიცა, დამტევებელი ჩემდა კურთხევისა, წარვიდა ნა-ვისაღმი თვისსა. ხოლო ჩუშნ, მიმწუხრ აღმომღებთა ლუხისათა, განესკურვეთ

კიბრ ქალაქისა მიმართ. ლამე აღვეიდა პირიქით კერძო გრიგალი ქარი. აღვეიძრა ზღუაჲ ესთა სასტიკად, რამეთუ წარაქციენა მყისუშ მსახურნი ჩემნი, სახასო გლეხნი ქართულნი, ჩემ მიერ კაირით და იერუსალიმით

წარმოყუანილნი სომეხი უსუფ აღთმიშდორთი და კურსკის გუბერნიელი ნასალ-დათარი ვასილი ალექსიევი და სხუანიცა მრავალნი, გარდა სპირიდონ სიენინსა. ხოლო მეცა მომეპყრა ესთა ცუდად, ვითარმედ ორთა დღეთა და ლამეთა ვერარაჲსა საზრდოასა შემძლებელ ვიქმენ მიღებად. ნავი ჩუშნი იხილულშოდის გულდასა ზედა წოლით მცურველად, რომლისა ძლითცა შიშისა მიერ განწონ-ვილნი მრავალნი ორთავე სქესთაგანნი აღმოუტევებდინაყე გოდებასა, მგონებელნი წამითი-წამად დანტქმისა. კაპიტანი ნავისა ამის, როსიის ვაკრად დაწერილი ბერძენი ხარალაპი პრიმასი, მშუდი, მხიარული, კეთილშობილურისა ზრდილო-

ბისა მექონი, საამოდ მოუბარი და ნამდვილი ხრისტეანეჲ, დაუტეველად დუმისა ქელთაგან, აძლევდის ყოველთა ნუგეშსა და აიძულებდის მშუდობით მისლესათს ჩუშნისა თქემულისა ქალაქისაღმი. და ესრეთ, განწირველებასა ამას შინა მცურ-ველნი 19-სა და 20-სა რიცხვსა, მოვიწივენით უვნებლად მწუხრსა უქანასანე-

ლისა ამის რიცხვასაა ლიმენასა, სახელით სკალას, ნავე-ბითა საესესა, სადაცა შემდგომად ნახევარკამისა მოვიდა ჩემდა როსიის ვიცე-კონსულის კონსტანტინე პერისტია-ნეს მიერ გამოგზავნილი კანსელერი მისი ბერძენი ნიკოლაი რესეტო აჰამავ-ელი სახელითა პერისტიანესითა მოლოცულად მშუდო-

ბით მოსლესა და თხოვადცა სახლსა შინა მისსა დგომი-სათს ჩემისა. ნიკოლაჲ რესეტო ესე დაეიქირე ვახშ-მად ჩემთანა და შემდგომად მისა განვეუტევე იგი რწმუნებითა მადლობისათა პერისტიანეს მიმართ.

21-სა. განთენებასა თანა ვიხილუთ ლიმენასა ამას შინა 175-ნი ნაენი დიდნი და საშუვალნი. დროსა წირ-ვისასა განსლული კმელსა, მიველ ეკლესიასა ოთისა აღდგინებულისა ლაზარესსა, მის მიერვე აღწენებულსა, რომლისაცა საფლავი არს ტაძარსავე ამას შინა, თნიერ გუამისა. დასრულე-ბასა თანა ლიტურგიისასა შემოვიდნენ ეკლესიასა ამას შინა ვიცე-კონსულისა ჩუშნისა კონსტანტინე პერისტიანეს ძე იერონიმე და კანსელერი ნიკოლაი რე-სეტო. ხოლო ვითარცა შევემთხვეე წმიდათა ხატთა და საფლავსა წმიდისა ლა-ზარესსა, ძემან პერისტიანესა იერონიმე მომიკითხა მომავლინებულისა მამისა მიერ თვისსა და წარმიძლუა სახლისაღმი თვისსა. მიახ-

ლოებასა ჩემსა ბქისაღმი სახლისა მათისათა, დამხუდა კმად მოჭუტებული, თეთროშოსანი, ჰასაკით უმცირეს საშუვალისა, გარნა სახით შუენიერ ჰაერკეთილოვანი

კაცი, რომელმანცა, ანასად მიმცემან ჩიბუხისა თვისსა მისთანა მდგომარეჲსა

თქს შილესა ჩემისა სახლ-სა კონსტანტინე პერისტია-ნესსა

¹ ფსალ., თავი 113, მუკლი 3.

მსახურისად და მოსწრაფემან მოგებებად ჩემდა, მომცა ცნობაჲ, მით რამეთუ იგი არს ვიცე-კონსული როსსიისა და კონსული პრუსიისა. შემძღუა ეზოსა სახლისა თვისისასა; აღმუყანამან ჩემმან კიბესა, შემპრონინა ორი ოთალი და მათით სასტუმროსა, დგმულსა ოქროთ დავარაკებულთა დივან-სავარძელ-სკამებითა, ზარიანისა ნარინჯის ფერის ხავედით გარდაკრეულებითა და დიდორნ ჯომლ-სარკეებითა კიდებულსა, რომლისაჲცა ფანჯარანი ხედვდნენ ლიმენასა სკალას. აქ დაძმულა მეუღლაჲ პერისტიანესი ემელია ასულგებითურთ მათით—ელენეკო და ფეოდორიციათი, რომელთაცა მაჩუშნეს სრული სტუმართმოყუარებითი მიღებაჲ და პატივისცემაჲ. შემდგომად ერთისა ყამისა მოვიდნენ ჩემდა სამლუდლონი წმიდისა ლაზარეს ეკკლესიისანი მოლოცუად მშვდობით მოსლკსათჳს ჩემისა. გარნა ესევეთართა გუამთა მოსლუაჲ ჩემებრთადმი, სადაცა იყოს იგი საბრძანებელსა შინა ოთამანის პორტისასა, მიეწერების უფროს შეწვენასა მათსა თეთრითა, ვიდრელა ნამდვლ მოლოცუასა ანუ გაცნობასა, ვინაჲთგან ყოველთა ეკკლესიათა და მონასტერთა მართლმადიდებელთასა ეთხოვების საწელმწიფოდ წლიით-წლად შეუძლებელი ჯამი თეთრთა მაჰმადიანთაგან. ზე დართუთ შემოვიდნენ ესრეთუშ მორელიელი დასკალი¹ იერომონოხოსი დიონოსიოს, მოვლენილი კონსტანტინოპოლის პატრიარქისა გრიგორის მიერ საქმისა რაჲსათჳსმე აქაურისა არსიესკიკობოსისა კობრიანესადმი და მუსიკოსი² იერომონოხოსი მათეოს აიონოროსელი, რომელთაცა განატარეს ჩუშნთანა საუბარსა შინა დროჲ ეამ-ნახევრისა და წარვიდნენ. დროსა საგმრობისასა მოვიდნენ ხილუად ჩემად სამნი აქაურნი: კეთილშობილნი ბერძენნი: მარკ ანტონიო, ვანგელი ლევ-თერუდი და ჰაქი³ დიმიტრიაკი ლინბერტი ლევკოსელი და მათთანა კუალად დასკალი დიონოსიოს. პურობილმან ამათთანა აღერსთა შორის ნაცუალგებითთა, დავივიწყე თუთიქემის სრულიად კაცთა და ბარგთა ჩემთათჳს ნავსა ზედა დატევებულთა, რომელთათჳსცა, მომწოდებელმან მსახურისა ჩემისა პეტრე ბაქელაშვილისა, უბრძანე მას შოვნად ქირით სახლისა და მას შინა მიყუან-მიტანად კაცთა და ბარგთა ჩემთა. ეტყუოდი რა სიტყუათა ამათ მსახურსა ჩემსა, მრქუა კონსტანტინე პერისტიანე: „ბეგზადა! კაცნი და ბარგი თქუშნი, თქუშნი მიერ წარმოყუანისა არაბულისა ცხოვართურთ, დროსა თქუშნისა ეკკლესიასა შინა ყოფნისასა მოვაყუან-მოვატანინე აქ სახლსა შინა ჩემსა და დავაბინავეყე იგი ყოველნივე, რომლისათჳსცაა გთხოვეთ უზრუნველობასა მათთჳს და შექცევასა ჩუშნ შორის“.

მსმენი თქემულთა ამათ, მივიქეც ჩემდა მოსლველთა სტუმართადმი, რომელთაცა მთხოვეს მცნობობაჲ თჳსი და წარვიდნენ. მწუხრისა მერვესა ეამსა მოვიდა ჩემდა კონსული დანემარკისა კონსტანტინო ტანო აიონავრელი, ღრმად მოვუცებულთა და საამოდ მოუბარი თათრულისა ენითა, ოსმანურად მოსილი და სამკუთხიანითა შლაპითა თავებურვილი, რომელმანცა განატარა სამი ყამი ჩემთანა და წარვიდა სახიდ თჳსა.

¹ დასკალი—მოძღუარი, მასწავლებელი, ოსტატი.

² მუსიკოსი—მგალობელი.

³ ჰაქი—თათრული, წმიდათა ადგილთა მომხილველი.

თქს მოსლქსა ჩემდა კი- 22-სა მოვიდა ხილუად ჩემად ლარნაკ¹ ქალაქით უმო-
 ტის მიტროპოლიტისა ტუცებულესი მიტროპოლიტი კიტისა მელეტიო თქსის
 კრებულით. მლუდელმთავარმან ამან, მომოლოცულმან მშუდობით მოსლქსათქს
 ჩემისა და განმატარებელმან ჩემთანა ერთისა ჟამისა ალერსთა შინა, და-
 მიტევა კურთხევა და წარვიდა. მეათესა ჟამსა მოვიდნენ 5
 თქს მოსლქსა ჩემდა
 პატრთა
 ესრეთელქ ლათინთა სამლუდელთა პატრნი—ფრანცეს-
 კო ანკონიელი და გრიგორი კორა ვენეციელი, რომელ-
 თაჲცა, შემდგომად ურთიერთის მიმოკითხვასა, გამომიცხადეს, მით რამეთუ
 მიუღიესთ მათ წერილი იერუსალიმით სალვატორ ანტონია დი მალთას მიერ
 ყოფად ჩემდა პატივისა, ოდესცა ვიქნებები მე კიპროსსა, რომლისათქსცა, მოსლ- 10
 ვულნი ჩემდა დასამოწმებულად პატივთა თქსთა, წარვიდნენ რა, შემოვიდნენ აქა-
 ურნი კეთილშობილნი: დავით იკონომიდი, ბაპტისტ
 ბენედუცი და პანაგია ანგელატო, გარდამდგარი ლენერალ-
 კონსული იონიის რესპუბლიკისა, რომელთაჲცა განვატა-
 რეთ ერთად ორი ჟამი უბნობათა შორის და გავიმშვიდობენითა მეორედ ნა- 15
 ხუადმდე.

23-სა. დღესა ამას დილით შემოვიდა საწოლსა ჩემსა კონსტანტინე პერის-
 ტიანე და მიმოლოცულმან ჩემდა ჩემისა ანგელოსისა სახელდღეობისა, გამო-
 მიცხადა, მით რამეთუ მონასტერსა წმიდისა დიდისა მოწამესა და ძლევაჲ-
 სილისა გიორგისსა არს მსხვერპლშემწირულად მიტროპოლიტი კიტისა მე- 20
 ლეტიო, სადაცა იქნებოიან უთუოდ ყოველნი ჩინებულნი ქალაქისა ანის და
 მთხოვა წარსლულად მუნ ფორმით ერთად მისთანა მოსმენად საღმრთოასა ლი-
 ტურგისა, ვინაჲთვან სურჯთ ყოველთა აქაურთა ხილუა ჩემი მუნდრითა. და
 ესრეთ, აღმასრულებელი ნებისა მისისა, წარველ ცოლი-

თქს წარსლქსა ჩემისა
 ლარნაკს
 თურთ მისით ოდნოკოლქასა² შინა ჭდომით, ხოლო თუთ 25
 პერისტიანე და სივინი მოგედვდნენ ცხენებით. მსლუმლ-
 ნი ჟამისა ერთის ჩარქვისა, მოვედით ქსენებულსა მონასტერსა, რომელსაცა
 შინა ვპოვენით მიტროპოლიტი მელეტიო ორითა მლუდელთა და ორითა დია-
 კონითა, შემოსილნი ძელსითა და დაქსნილთა შესამოსლებითა. ტაძარი ესე
 არს ჭეითკირისა, კანკელი ურანდოასა ფიცრისა, ხუთ ხატკიდებული და ოდენ 30
 სამეუფოთა კართა მექონი; ნაცულად ტრეკილთა ანუ სამლუდელმთავროთა
 სასანთლეთა—მხოლოდ სანთელნი სამი ერთად და ორი ერთად ძირშეგრეხილ-
 ნი. ეკლესიასა ესე იტევედა თქს შორის, გარდა სამლუდელთა მათ, 48-სა გუ-
 ამსა და სხუანი სდგენენყე გარე ვიდრე 2000-ს სულადმდე. გამოსულწნებასა თა-
 ნა წმიდისა ბარძიმისა მოიჭნენეს იმპერატორი როსისისა ალექსანდრე პირვე- 35
 ლი უმაღლესისა სასახლითურთ მისით და არცა დაგდებულ ჰჳუსს გიორგი
 აველოვი. წირვისა შემდგომად მიგვიპატრეთა ქალაქსა

თქს მიწუციისა ჩვენისა
 ლარნაკს მარკა ანტონი-
 ნოს მიერ
 ლარნაკს კეთილშობილმან მარკა ანტონინო საწლსა თქს-
 სა, საესესა ჩინებულთა გუამთა მიერ ორთავე სქესთათა. 40
 აქ შემამეცნა ემელია გათხოვილთა ასულთა თქსთა ფრან-
 გოსა და ეფეროსინასა, პირველისა ქმრისა მიერ ნაყოლთა. პირველი ცხოვრებს
 სკალას, ხოლო მეორეჲ ლეკკოსისს. ვითარცა მოვიდა მიტროპოლიტი კიტისა 270
 მელეტიო, უბრძანა მარკა ანტონინო მოღებად მურაბისა, წყლისა, კავისა, ჩი-

¹ ლარნაკად ბერძენნი უწოდებენ და ოსმანნი ტულად.
² ოდნოკოლქა ეტლია, ორსა გოგორასა დგმული.

ბუხთა და საუზმესა. მათ შორის მკითხა მასპინძელმან:— „ბეგზადა, ვითარ მოგეწონა თქუენ მლუღელმოქმედება იერარხისა ამის ანუ ეკკლესიაჲ დღეს თქუენ მიერ ხილულუი?“ მიუგევ მე:— „მლუღელმოქმედება დესპოტიკისა ამის, მიხედვამებერ ჩემისა, არ ითხოვს ხანდაზმულებსა ძლით მისისა მას შინა
 5 ეგოდენსა ყურადღებულობასა მქოველთასა, რაოდენსა შესამოსელნი და ანუ სხვანი საჭმარნი ნივთნი უამის მისთჳს; გარნა მეორის კერძოათ, ოდესცა შევეხებით ეკკლესიასა მას, მაშინ უფროს სათანადოებენ მისდა სამკაულნი იგი საეკლესიონი, ვიდრეღა რაოდენმე უმჯობეს მათსა“.

მსმენმან სიტყუათა ამათ მიტროპოლიტმან მელეტიო მიპასუხა ესრეთ:
 10 — „ბეგზადა! 17-ნი წელი იქმნების, რომელ წინამოადგილესა ჩემსა მიტროპოლიტსა ხურისანთოსსა, დახარჯუთა მრავლისა თეთრისათა მიმღებულსა სულთნის ფერმანისასა აღგებად ეკკლესიისა ამის, განემზადებინა თლილნი ქუანი რიცხვთ 200.000,

თანასწორ ვითარ სხუანიცა საჭმარნი მისდა ნივთნი ჳელ-ყოფად მისა. გარნა
 15 რომელსამე მტერსა ჩუშნისა სარწმუნოებისასა განჯარვებად კეთილისა ამის საქმისა წარედგინა სხუებრ სულთნისათჳს, რომელსაცა მოველინა ზაბუთი¹ ფერმანით შეპყრობად მიტროპოლიტისა მის, გვემად და ტანჯუად მუნადმდე, ვიდრემდის გამოულებდეს მას სრულებით თეთრსა მონასტრისა მის და ნივთთა მისთათჳს განმზადებულსა. და ესრეთ, ზაბუთმან მან, აღმასრულებელმან ბრძანებისა, წარულო გარდა ტაძრისა ამის თეთრთა 250-თა ქესათა, მრავალნი სხუანიცა მდიდარნი სამკაულნი. მის დროათ, ბეგზადა! ვერღეინ ვებედათ შეხებად საგანსა ამას ზედა, რომლისაცა მასალა არს ჩერეთცა ჳელმუხებელ და რომლისაცა აღშენებად აწცა მზა არიან ჳალაკისა ამის კეთილმორწმუნენი ხრისტეანენი, გარნა წინამდებარეჲსა მაგალითისა ძლით შეშინებულნი, კვა-

20 ეობთ მცირესა და გლახაკსა ამას მონასტერსა, რომელიცა თქუენ იხილუმთ დღეს“. დამასრულებულსა აქ სიტყუათა თჳსთასა მწყემსთმთავარსა ამას გავესალმენით და მიმბაღლებლნი მასპინძლისა ჩუშნისა, მოვიქეციით სკალახადმი.
 ზალაჲ სახლისა ჩუშნისა იყო სავეგ სკალისა ჩინებულთა, კეთილშობილთა და მოქალაქეთა მიერ, რომელთაცა რიცხვ განამრავლეს ხილვად ჩემდა ანუ მუნდრისა ჩემისა მოსლევულთა ევროპიისა ლენერალ-კონსულთა, კონსულთა, ვიცე-კონსულთა და აგენტთა დანემარკისა, ანგლიისა—ანტონი ვონდიციანო იონიელმან, სარდინიისა—მატიო პოზოვიკომ, ნეაპოლიტანიისა—ანტონიო კა-

25 ლიერის ძემან და სხუათა ეპურობათა, მომლოცველთა ჩემთა მშჳდობით მოსლჯსათჳს ჩემისა.
 შემდგომად წარსლჯსა მათისა შეგვიყუანნა კონსტანტინე პერისტინემ უშინაუანესსა სახლსა თჳსსა მე, სპირიდონ სივინი, დასკალი დიონოსოს და მუსიკოსი მათეოს აიონოროსელი, რომელსაცა შინა იყო სტოლი დაგებულ-
 40 ოდესცა შემოვიდა მეულლაჲ ჩემისა სახლის პატრონისა თჳსისა ერთის ძით და ორის ასულით, დავსხედით სადილად. განგრძობასა შინა სადილისასა მოიღეს შამპანსკი რუნკებითურთ მალღებით, ხოლო აღმუცებთა მათთა მისით, დაგვიდ-

271 გეს კაცად-კაცადსა თუთო. დროსა ამას აღსდგა მუსიკოსი მათეოს აიონოროსელი, აღმოიღო უბით თჳსით წერილი ბერძულსა ენასა ზედა, ლექსად თქემუ-

¹ ზ ა ბ ზ თ ი — იასულთ.

თუხ ნოტასა ზედა გალო-ლი ჳსენებულისა დასკალისა დიონოსიოსისა მიერ და
 ბისა მათოხს აიონორო-ნიყო გალობად ნოტასა ზედა ერთად მოწაფეებითურთ
 ხელისა მიერ თუხით, რომლისადა დასრულებასა თანა მაცნობა პერის-
 ტიანე, მით რამეთუ წერილი იგი გალობებული არს ვედრებაჲ ღმრთისადმი
 იმპერატორისა ალექსანდრე პირუსლისა და ქუსშვიდრომისათუხ მისისა გიორგი
 ავალოვისა, რომლისათუხსა აღესდგეით ყოველნივე და დავლიეით საღვეგრძე-
 ლოდ დიდისა ერთმთავრისა ჩუშნისა და შემდგომ წერილი იგი გამოვართუ მე,
 რომლისადა თარგმანი არს ესე: „ყოველისა უმაღლესო ღმერთო ყოველთაო! შენ,
 თუხ გალობებულისა წე- რომელიცა სუფევე მაღალთა, დაუსრულებელთა ეთერისა
 რილისა სივრცეთა შინა და რომელიცა ჰმართებ ყოველსა. მიეც
 ჰელი შეწევნისა ალექსანდრესა, სარწმუნოსა მეფესა შენსა, რამეთუ მმეფობე-
 ლი იგი ბედნიერად წარემართებოდეს კეთილმსახურებითა განგრძობასა შინა
 მრავალთა წელთასა და რამეთუ ყუანებული კეთილმსახურებითა და სიმჰნითა
 ძლევათა შინა კეთილდღეობდეს და დღესასწაულებდეს. ხოლო მხოლოო წმი-
 დაო ჰეშმარითად და ყოვლად წმიდაო სამებაო! მიჰმადლე მეფესა სიმაართლე.
 მშუდობა და კეთილმსახურებაჲ ჩინებულისა მონითურთ მისით გიორგი ავა-
 ლოვით, რათა იყოს იგი მსახურებასა შინა სარწმუნოდ და შეუორგულეებლად“.
 24-სა. მოვიდა ჩემდა აქაური ზაბუთი ჰაჯი იბრაჰიმ
 თუხ ზოხლჯა ჩემდა ზა- ალა, რომლისათუხსა უბნობენ უფლად უამროასა სიმ-
 ბუთისა ჰაჯი იბრაჰიმ დიდრისა. კაცმან ამან, სიყრმითვე პარიესა შინა ხან-
 ადას აღზრდილ-ზმულმან, უცხოდ მქტეველმან, რაოდენთამე
 ენათა მეცნიერმან, მშუდმან, საამოდ მოუბარმან და შუდათეულთა წელთა მიგე-
30 მღუდღელთა ამათ, რომელთაგანიცა ერთი იყო უსუნებული ნიკოლაოს, ხოლო
მეორეჲ—სხუაჲ მლუდელი, სახელით დიმიტრი და რომელთაცა ვუმაჰსინძღე,
ესრეთ ვითარმედ არაღ შემძღებელ იყუნენ გამოწერად ჩემდამო მადლობათა
თუსთა, ნუუკუქს ღჯნისა ძლით კამანდორიისა. პირველმან, ესე იგი მღუდელმან
ნიკოლაოს გამომიწერა სიღარიბისათუს თუსისა ეკლესიისა და დაამტკიცა თქემუ-

35 ლი თუსი ჩუქუნებითა ჩემდა ბუქლისა ჩითისა ოლარისათა, რომლისათუსცა ვურ-
ჩივე მას, რათა საგანსა ამას ზედა მიიქცეს იგი იერარხისადმი თუსისა; გარნა
მან, არა დია მომწონებელმან წინადადებისა ჩემისა, მრქუა: „ბეგზადა! დესპო-
ტი ჩუქუნი აროდეს ზრუნავს ესევითართათუს და ოდესცა იხილავთ თქუქუნ ეკ-
კლესიასა მისსა, მაშინ განმამართლებთ მე და სცნობთცა კეშმარიტებასა თქე-

40 მულთა ჩემთასა“.

მიმგებმან პასუხისა, ვრქვ მას:—რაჲცა შემეხებოს მე, აწუქს გამართლებ შენ,
მცნობი სიმართლისა სიტყუათა შენთასა, რომელ უკეთუ დესპოტი შენი ზრუნ-
ვიდესმცა წმიდათა ტაძართათუს ღმრთისათა, მისდამი რწმუნებულთა თანამდე-

1 ვინაჲთგან, დიდხანს ვერ აღწლები ქალაქისა ანის, იყო ზიადმი განუწყვედელსა ბრძოლა-
სა შინა.

ბობისამებრ თვისსა, მაშინ აღგ[ი]კრძალვიდა შენ შეუშვებლობად მუნ ვირისა, რომლისათვისცა მესმა მე დღეს მყოფსა, თუ შენგან, ეკლესიასა შინა შენსა.

სიტყუათა ამით განაკვრენეს მლუღელნი ესე და დასცეს მღუმარებაჲ ნიკოლოსისა, რომლისაცა ნაცულად მრქუა დიმიტრი მღუღელმან:—ბეგზადა! ვითარ იქმნების ეგე და ოდეს გესმათ მისთვის მღუღელისა ამის მიერ?

ვკითხე დიმიტრი მღუღელსა ამას:—იყავა შენ დღეს ეკლესიასა შინა? მომიგო:—არა!

— მაშ კვითხე თუ ამხანაგსა ამას შენსა ნიკოლოსს, რომლისა მიერცა სცნობ უმჯობესად.

ამას ზედა კმა-ჰყო ნიკოლოს:—მე არარაჲ ვუწყი მაგისთვის და არცა ოდეს-მე მიხილავს ვირი ეკლესიასა შინა თვისსა.

ამისთვის ვუპასუხე მას:—რად გამოხვედ შენ სამეუფოთა კართა და განრისხებულმან შემოქსნაწე მკითხულსა სამოციქულოასასა: ლაიღარე, ტი ღია ვაზეს.

ესმა რა ესე დიმიტრი მღუღელსა, შეშფოთნა სულითა და უწყო ნიკოლოსსა მალლითა კმითა ბერძულად საუბარი, რეცა რისხუთ, გარნა მსწრადღ და ვამშვდენ იგინი, მიმცემმან მათდა ლეინისა დაღევად ურთიერთისა დღეგრძელობისათვის და თვის შორის დაგებისა.

შემდგომად საღლისა წარვიდნენ რა მღუღელნი ესე, დეაწყობინე ბარგი ჩემი ურმებთა ზედა, მივეც საჩუქრად შვლი ოქროჲ გოლლანდიისა კაბიტანსა ბერნარდეს, ვინაჲთგან ნავი, მომყუანი ჩემი აქა, იყო კიპრიის არხიებისკაპოსისა კიპრიანესი, აქამომდე ჩემდა თხოვებული და დავიღამეთ ადგილობრითჳ.

7-სა. შემსდარნი დილით ცხენთა, წარვედი თარსუთხ წარმოხლვა ჩემსა თარსუხადმი ჭალაქისადმი. განმღველთა თუთქემის ნახევარისა ვზისა თარსუდმდე, ვპოვნეთ ზღვსპირსა საზურგეჲ, რომლისაცა მეზურეთა შეგაყენეს ჩუენ გასინჯუად ბარგთა ჩემთა. ხოლო ოდესცა კაცთა ჩემთა აცნობეს მათ, ვითარმედ ბარგი ესე არს მოსკოვის ბეგზადასი, მაშინ მოვეიგეს მათ:—მაშ სადა არს იასაღი მუსალიმისა ჩუენისა, რომელმანცა, წარმოვლენილმან მის მიერ მოგებებად ბეგზადასა, გამოვლო აქეთ დროსა განთიადისასა მერსინია სოფლისადმი?

რქელს ჩემთა:—ჩვენ არ გვინახავს იგი.

გვიპასუხეს მათ:—მაშ თქუენ არა სართ მოსკოვის ბეგზადასი. კშთამოჯადეთ ბარგი თქუენი აქა; და ვითარცა ვაჩუენეთ მათ ფერმანი, განმტკეველთა მყისულჳ ურმებისა ჩემისა და მცნობთა თუთ ჩემთვცა, მიტანენს ჰელნი ცხენისა სადავეთა და მთხოვეს შესლუჲ საზურგესა მიღებად კაცისა და ჩიბუნისა.

მთქველმან მადლობისა სტუმართმოყუარებისათვის მათისა, ვაჩუქე ერთი ოქროჲ და ამით განრინებული ჰელთაგან მათთა, შეუღდეგ კულსა ურემთა ჩემთასა. მოვეახლოენით რა თარსუს ვიდრე ნახევარ ჟამისა სავალსა,

შემემთხვეა ფრანციის აგენტის ანტონი პერეტეის მიერ გამოგჯანილი მოგებებად ჩემდა კანსელერი მისი ფრანტუზი პეტრე მარონი ორითა მსახურითა ცხენებით მომავალნი. უკანასკნელთა ამით მოჰყუანდათ ერთითა სხუჲა ცხენი, უცხოჲთა იარაღითა შეკაზმული. ხოლო ოდესცა დაუახლოვდით ერთმანერთსა გზასა ზედა ორისულჳ კერძოდ ბალთა მიერ მოცუულსა, მყისულჳ მცნობმან ჩემისა მოსკოვლობისა პეტრე მარონი, გამომაცნადებულმან ჩემდა თავისა თვისსა,

თხ წარმოხლვა ჩემსა თარსუხადმი

თხ მოკვებისა ჩემდა კანსელერისა პეტრე მარონისა

5

10

15 290

20

25

30

35

40

45

- მრქეა: „ბეგზადა! აგენტმან ფრანციისა ანტონი პერეტიე მომავლინა მე მოგებედ თქუწნსა, გამომატანებელმან ცხენისაჲსა საჯღომად თქუწნთვს და გთხოვათა მოსულად სახლსა მისსა, რომელსაჲსა შინა დაგიმზადათ უკუქ ოთაღნი სადგომად თქუწნთვს და რომელმანცა ესრეთუქ მოგაგებათ წუხელ ღამითუქ იასაღნი აქაურისა მუსალიმისა. და ესრეთ, ინებეთ შეჯღომად ცხენსა ამას და წარმოსლად ჩემთანა“. გარნა მე, მიმადლობელმან მისდა ესეგითარისათვს ჩემდა ჩუწნებულისა პატივისა, განეგარძე გზაჲ ცხენითა ჩემითა ერთად მისითურთ და მეათესა ყამსა შემოსლველი ქალაქსა თარსუს, მოველ სახლსა ჳენებულისა აგენტისასა, რომელიცა იყო წარსლველ დროსა ამას ხილუად მუსალიმისა. აღვეიდოდი რა კიბესა, მოვიდა ანტონი პერეტიე და მიმილოცა მსგავს სხუათა კონსულთა აღერსითა და სიყუარულითა; გამაცნო ძეგ თუხი ანტონი და ასული თუხი სოფია, რომელთაჲსა განვატარეთ ერთად ვიდრე სამი ყამი საუბართა შინა ურთიერთისადმი, შემთხუწვისა ამისთვს სიამოვნეჲსა მჩუწნებელთა და მერმე დავესხედით სადილად. შემდგომად სადილისა შემეყუანა ერთსა ოთაღსა თუითქემის ფანჯარებითა ამისითა ქალაქისა ამის უმეტეს ნახეგარისა ნაწილისა მხედუმლსა, მმეტყუწმლმან ჩემდა: „ბეგზადა! საწოლი ესე ასულისა ჩემისა არს თუთ უმჯობესი ყოველთა მათ ოთაღთა, ვითარნიცა მქონან მე სახლსა ჩემსა, ვითარცა გარდამხედუმლობითა ფანჯარათა ამით გამო (მჩუწნებმან მათსა ჩემდა ჳელითა), ესრეთუქ განსაკუთრებითაჲსა მდგომებისა თუხისათა დანიშნული ჩემ მიერ სადგომად თქუწნთვს, და გთხოვეცა, ინებოთ რაოდენმე განსუწნებად“. მთქემელმან ამისა დამიტევა მყის და განვიდა გარე.
- შემდგომ შემოვიდა ასული მისი სოფია, რომელმანცა, მხილუმლმან ჩემმან ღივანსა ზედა ჳღომით ფანჯრისა თანა მხედუმლად ქალაქისა ამის შენობათა და ბალთა, მრქეა: „აფენდემ! რად არ მოისუწნებთ გზისა მიერ დაღალველი“. მიუპეგე: „არ ვდავღალულეარ, ვინაჲთგან სიყრმითვე შეეეჩვეე მწირობასა; ხოლო რაჲცა შეეგების მოსვენებასა ჩემსა, იგი წამითა ამით არღა უკუქ არს ჳელმწიფებასა შინა ჩემსა; გთხოვ დასჯდეთ მცირესა დროსა ჩემთანა“.
- მათ შორის ქალმან ამან, განმღებმან ზანდუქისა თუხისა პოვნად ძიებულისა ნივთისა და თუთ დამწყებმან ჩემდა ლაპარაკისა, თუქცა არ განადიდა თხოვაჲ ჩემი, გარნა განაგრძო ჩემდამო საუბარი თუხი თათრულსა ენასა ზედა, რომელსაჲსა უზნობდა, ვითარცა თუხსა ბუნებითსა, ესთა უტხოოდ, საამოდ, წმინდად და ტკბილად, რომელ საგონებელ იყო მწოთლოუარებმა ძოწებართა ბაგეთაგან მისთა რაჲსაცალა უტკბილეს გოლეულისა. აჰა! უფაღნო მკითხუმლწო! ყამი კუალადცა გმობისა ჩემისა, განსჯისამებრ ვიეთთამე თქუწნთაგანისა საგანსა ამას ზედა, ვინაჲთგან ესრეთ ვაქებ წარმოებულთა სიტყუთა ხაზიდისაჲსა უღბიღესთა ბაგეთა მიერ სოფიასთა. ნუუჲმე იტყუთ, მით რამეთუ ტყუუმ-ქმნილ მომაცთომელ-შესაყუარებელისა სახ-სატრფიალოჲსა და კეკლუტ აღნაქუსისა ზროწელობისა ძლით ამისა დაბრმობილი, ვაგრძებდე მოთხრობასა ამას მისდა შესახებელსა, გარნა ნუ!... წელთა შინა ჩემთა მყოფი, ვითართაჲსა შინა ვარი მე, მსახურებს უფროს ქირდჳსა მიტევებასა და მოთმინებით სძენასა მათსა, რაჲცა იწარმოებთან სიბრძნისა მეძიებელისა და სიბრძნეჲსა შორის, ესე იგი შორის ჩემსა და სოფიასა, რომელმანცა მკითხა თათრულად:
- ბეგზადა! უზნობთა თქუწნ ფრანკუწულად?
 მივეუპეგე:—არა.

ქუალად მრქუა:—უკეთუ უწყოდეთ თქუენ ფრანცუზული, მაშინ... აქ და-
აყენა სიბრძნეან უბნობაა თვისი და მიეცა მღუმარებასა, რომელიცა განუწყვი-
დე მე მყისუღ მთქველმან მისლად:

— სოფია! და რაა მაშინ, უკეთუ ვიცოდე მე იგი! მაშინ, ვგონებ, უთუოდ
უცხოველესად გამომიხატვლით მე ჩემოვს მოულოდებელსა სასიამოვნოსა გუ-
ლისა მიერ თქუენისა საიდუმლოდ გრძნობილსა და მყოფლითცა მეგვაიშენდ
რწმუნებათა თქუენთა; გარნა თქუენ უბნობთ აწ ჩუენ შორის ჳმარებულითა
ენითა ეგოდენ სრულებით, ვითარმედ შეუძლებელ არს-ღა უმჯობეს მისა ცოდ-
ნად ვისგანმე მამეულისა ენისა, და ესრეთ, ადვლ ჳელგეწიფებისცა თქუენ გან-
გრძებად საუბართა შემდგომისა მაშინისათვის ჩემთანა.

მომიგო:—არა! ჳელმწიფეო ჩემო! არ მქონან მე ვითარნიმე საიდუმლონი და
არცა არს კითხუა იგი ჩემი თქუენდა შემცუსლად ვითარისამე საგონებელისა
ჳაზრისა, თანასწორ ვითარ იგიცა მაშინ, ვითარადაც იყოფინ ჳგონებთ თქუენ;
არა! ჳელმწიფეო ჩემო.

სმენამან „არა ჳელმწიფეო ჩემოთა“, აღგიარებ თქუენ, მქლოველნო, ცნო-
ბად შემდგომისა წარმოებულისათვის, განმიუყანა მე გონებით და, უნდოდა რა
ამას განუდელითა აბუერთა თვისითა შეჳარობად ჩემი, განვიჳარ მეცა ჳელ-
ნი მოდავემან თავისუფლებისათვის ჩემისა. მიხუდითა თქუენ, სასურველნო მეგო-
ბარნო ჩემნო, თუ რაასა შეეხნენ ჳელნი ჩემნი მცდელნი ტყუსობით განრიენ-
ბისათვის ჩემისა!—შეეხნენ სიბრძნესა და შემჳარობათა მისთა დააბატირეს იგი
წიაღსა ერთქუსნიერისა თქუენისასა. სიბრძნეა ესე პირველ მდიდებობელი მძლე-
ველობითა თავისა თვისისათა, გარნა აწ მხილულნი ძლეველად თავისა ძლეველ-
მძლეველისა მიერ თვისისა და მოწიწებისა ძლით სახითა არღავეანფერ-ჳმნილი,
იღვწიდა განტოლოვად წილით ჩემით, ვითარცა გვირგი გაბმული ბადესა
შინა, რომლისათვისცა ადუთუჳ ანასლად განთავისუფლებაა, ოდესცა მომცემს
ნებასა, საჳსრისა წილ, შეეხებად რომელთამე ნაწილთა მომხიბლულსისა სახისა
მისისათა. მათ შორის, მჳარობმან მისმან მკერდსა ჳედა ჩემსა, რომელიცა გა-
ნაგრძებად ღუმელსა შინა ცდას განრომად ჳელთაგან ჩემთა, გამოვართვ საჳ-
სარი, დამბეჳდმან ჳაჳურითა ბავითა არემარეთა სახისა მისისათა და განუ-
ტევე. ქალი ესე არს 24-ისა წლისა, შავთულ-წამწამ-წარბ-თმოსანი, წელწუ-
ლილი, მწყაზარი, სანდომიან-სატრფო-ჳელ-მქლავ-მკერდიანი, ჳომიერ მალალ,
პირბადრი, რომელსაცა ჳედა იხილუშბიან ადგილ-ადგილად მოლურჯო ხალნი
შუსნიერნი, ვითარცა ვარსკულაენი ლაჳურდისა ფერსა ცასა ჳედა. წულიონი
ფერწნი მისნი, ნიავებრ შემხებნი ქუსყანისა, იტჯრათუენ იშუთსა ამას ბუნებისა
მიერ თუითქემის ყოვლითა სასურვოთა ნიჳებითა განმდიდრებულსა ქალსა,
აწითგან ჩემოვს დაუვიწყებელსა, რომელი განუტევე რა, განჳდა მაშინვე გარე
ოთალითა ამით. მეექუსესა ჳამსა შემოვიდა ჩემდა ანტონი ჳერეტიე, რომელ-
მანცა მაჩუჳ ანტიკი, ესე იგი თეთრსა ეშმისა ქუასა ჳედა მოჳრლი სახეა მა-
კედონელთა მეფისა ფილიპესა და შემდგომ მთხოვა მიმოსლუჳა რომელსამე
კერძოსა ქალაქისა ამის. თხოვისა ამის კმაყოფით მიმღებელი, ჳშთამოველ მი-
სითურთ ეზოსა შინა, შეესხედით ცხენთა და წარვედით კერძოდ სამჳრეთისად.
მსლუშლნი ნახევარ ჳამისა და მოსლველნი ჳტოკირისა წისჳლოთა თანა წყლი
ბრუნეებულთა, გარდაჳვლით ცხენთაგან, გავჳვლით არხსა იმიერ წისჳლოთა მდუ-
ბარესა და ეიხილუშთ მდინარეა სიდნეა, გარდმომდენი
თვს ხიღნე მდინარეასა გაშლით კლდესა ჳედა მიწისა თანა სწორსა, ჳშთამლურე-
ლი წყლისა თვისისა კმად ღრმა-კლდიანსა ჳნარცესა, კანკლედად ბუნებისა მიერ

ქმნილსა. სიღნეფ ესე არს გარდასაქანელსა თანა ამა კლდისასა, სივრცით 100-ს საუენადმდე, გარდამდენი სიღრმესა შინა ზომითა უფროს 6-ისა საუენისა. მარჯუენით კერძო ტნარცესა ამის ძირსა შინა კლდისასა მდინარეხსა ამის მიერ დაუცხრომელად რწყევულსა არს ბჳეჲ მომცრო, შესასვლელი ოთაღთა და აბანოსა შინა კლდისა ამის შორის გამოკუჲთილთა, ყოვლითურთ უცხოდ ნამუ-
 5 შაკევთა. ვითარცა მრქუჲს მე მათოჲს მჩვენებთა ჩემდა ქსენებულსა ბჳესა ზედა ჰელოვნებულთა. სწამებენ აქაურნი, მით რამეთუ მდინარეხსა ამას შინა ებანოს დიდსა აღუქსანდრე მაკედონელსა, მსმენსა გაუძღებელისა მის სიცივისასა და მსურველსა გაუღებად საზოგადოჲსა ჰაზრისა გაძღებითა ამას შინა რაოდენსამე წამსა, რომელიცა გამოუყუანიით ამისით მყისუჲ განყინებული და მკუდრად მიხილილი და რომლისა ძლითცა დასნეულებული გარდაცულია მოკლესავე დროსა.

გარნა ვითარცა იყოს მიზეზი სიკუდილისა მისისა, ჳერ-არს თჳემად, რომელ მდინარენი, სადაცა იუენენ იგინი, გარდა წყაროთა, ზაფხულ არიან მოთბო
 15 და ზამთრით ცივი, არამედ მდინარეჲ ესე ყოველსა დროსა წლისასა არს შეუცუალებელ სიცივესა შინა თჳსსა. სხუშბრ წყალი ესე არს სასვემელად მრთელი და რწყუჲსცა მის მიერ ვენაჲთა და ბალ-ბოსტანთა. შემდგომად შევედით
 293 ბალთა შინა კიდურსა ამისსა მღებარეთა, რომელთაცა შინა მიმომსვლელმან შევკარ კონაჲ სხუდასხუათა სუნენლთა ყუავილთა გამო და მოსლველმან შინ,
 20 უთავაზე იგი სოფიას, რომელმანცა მომბაღლებელმან ჩემდა მისთჳს, განიმაგრა იგი მყისუჲ მკერდსა ზედა თჳსსა.

თჳს მოსლჳსა ჩემდა ჰაჳი აჰმად ზევისა

მ-სა. მოვიდა ჩემდა დილით ჰაჳი აჰმად ბეგ მოკუცებული, ძმაჲ კარისი ფაშისა ჰაჳი მუსტოფასა, რომელიცა იყო მჳა წარსლულად კარსსა ძმისადმი თჳსისა და
 25 მთხოვა. ვითარმედ გვაქუნდეს ჩუჲს მასთანა ერთად მგზავრობაჲ. ამავე დროსა შემოვიდა ხილულად ჩემად აქაურისა ფაშისა ზარაფბაში ისლამბოლოელი სომეხი გევურქ ალა, შუჲსნიერ მოუბარი და სათნოდ ზრდილი, რომელმანცა მაჩუჲსა გაცნობისათჳს ჩემისა კმად სიამოვნეჲ, ხოლო მსწრაფლ განმგზავრებისათჳს ჩემისავე—მწუ-

თჳს მოსლჳსა ჩემდა ზარაფბაზისა გევურქ ალასა

30 ხარებდა. წარვიდნენ რა ესენი თჳს-თჳსად, შეველ მეცა საწოლსა ჩემსა, სადაცა დამხულა სასურველი სიბრბენეჲ, განმღები კჳკაფისა თჳსისა და მას შინა მეძიებელი რაჲსამე. ოდენცა მორჩა საძიებელსა თჳსსა, დაკეტა კჳკაფი და უნებლა განსლულად, მაშინ ვსთხოვე მას მცირეს დროს დაჯდომად ჩემთანა; ამან, მჩუჲს-ნებელმან ჩემდა უარყოფილისა სახისა, მრქუა:—ბეგზადა! საქმე მაქჳს და არ
 35 შემძლებელ ვარ დაშთომად თქუჲსთანა. გარნა მე, არმიმხედულმან უარსა ზედა მისსა, ვაძიჲლე მას დაჯდომად ახლოს ჩემსა და ვრქჳ:—სოფია! რად ივლტი ჩემგან?

მომიგო:—არა აფენდემ! არ ვივლტი მე, არამედ საქმენი ჩემნი არ მიბრძანებენ აჳა დაყოვნებად.

- 40 — არა! შენ არ გსურჯდა ჩემთანა ყოფად.
- აფენდემ! მერწმუნეთ, საქმე მაქჳს, ჳუსეით ჳერ-მიჩნს ჰშთასლუოა, სადაცა მელიან სხუანი და ამაღ გრქვთ უარი.
- სოფია! საღ ისწავლე თათრული?
- აჳა აფენდემ.
- 40 — მაშასადამე, დიდი ხანი არის აჳ ყოფნაჲ თქუჲსნი?
- დიახ აფენდემ, 14 წელია.

— შენ დიახ უცხოდ ლაპარაკობ თათრულსა. მსურჯს, რათა ვიცოდე მე-
ცა შენებრ.

მიპასუხა:—ჩემებრ? ნუ იტყვთ აფენდემ, თქუენ მრავლით უმჯობეს ჩემსა
უბნობთ თათრულითა ენითა.

— სოფია! გყავსა ქმარი?

— არა აფენდემ!

— აქამომდე რად არ შეგირთავს?

— ვითარ უნდა შემერთო ქმარი აქა, სადაცა ცხოვრებენ ოდენ თათარნი.

— და ესრეთ, არ იპოვნებიან აქ ხრისტეანენი?

— მხოლოდ ბერძენნი, აფენდემ! დია მცირე და ფრიად გლახაკნი.

— სოფია! მითხარ სწორედ, უკეთუ გული შენი არს თავისუფალ და
გსურჯსცა ყოლაჲ ქმრისა?

— დიახ აფენდემ! იგი არ ემდებარების ჭერეთცა ვისსამე მონებასა. გარ-
ნა რაჲცა შეეხების სურჯლსა ყოლად ქმრისა, იქმნების ამო, ვინაჲთჲან მო-
გაჭსენეთ თქუენ უკუჲ, რომელ გარდა ბერძენთა და თათართა, არაინ არიან
აქა.

— ვითარ! უკეთუ გიპოვნი მე!

— თქუენ, რომელიცა მოხვედით გუშინ, ნუჲმე თქუენ უმჯობეს მამისა
ჩემისა უწყით აქაურობაჲ და მიპოვნითცა მე საქმროსა?

— ნამდვლ მე გიპოვნი მას, უკეთუ მომცემ სიტყუასა, რამეთუ შეირთო
იგი.

— მე არ ვირწმუნებ მას და დაღათუ თქემული თქუენი იყოსმცა მარ-
თალ, მაშინცა დამოკიდებულ იქმნების იგი ნებასა ზედა მამისა ჩემისასა; გარნა
მიბრძანეთ მე, ვინ არს იგი, რომლისათჯსცა უბნობთ თქუენ?

— თვთ მე, სოფია! რომელიცა ეუბნობ შენთანა.

— თქვენ მესუმრებით.

— არა! მართალსა ვითხრობ შენ.

— ვითარ იქმნების ეგე! თქუენ ხართ ბეგზადა!

— ნუჲუკუჲ ბეგზადა არშემძლებელ არს შერთუად ცოლისა?

— აქამომდე უცოლოდ ხართ თქუენ

— დიახ!

— და რად?

— მამად, რომელ არდა მექმნებოდა მე დროჲ წინადადებად შენდა ჳელისა
და გულისა ჩემისა.

— ვერ დავიჭერებ, რომ თქუენ იყუნეთ უცოლო!

— დავიჭრეთ ესრეთ, ვითარცა თქუენი, რომელიცა ხართ უქმროდ და
მომეციტცა სიტყუაჲ, უკეთუ ჳკრძნობთ ჩემდამო რაოდენმე მიდრეკილებასა,
რათა შესაბამითა სახითა დაუწყყო მამასა შენსა საუბარი საგანსა ამას ზედა.

ესმა რა ესე ქალსა ამას, წამოწითლდა და მისცა კულადა თავი მოწიწე-
ბითსა მღუმარებასა, რომლისათჯსცა მსურველმან ცნობად მისმიერისა პასუხი-
სა, გამოვართუ ჳელი და მჳყუნველმან მისმან ჩემთა შინა, ესთხოვე წარმოებად
ჳოსა ანუ არასა.

— ეგე არს ნებასა შინა მამისა ჩემისასა.

— მართალ არს და საჭებელ სჯაჲ შენი ნდობასა შინა ყოვლისა ხუცდრი-
სა შენისასა ნებასა ზედა მშობლისა შენისა, არამედ იგიცა უთუოდ დაეკითხე-
ბის გრძნობათა შენთა და მსგავს ნებისა შენისა იგმარებსცა ჳელმწიფებასა
თჯსა და ამისთჯს გთხოვ სოფია! გამომიცხადე, გნებაჲსა გული და ჳელი ჩემი?

5
10
15
20
25
30
294
35
40
45

- მნებავს.
- გინდა ცოლად ჩემად ყოფიამ?
- მინდა.
- მაშ გამოვუცხადებ მაისსა შენსა.

- 8 — გარნა ნუ ეტყუთ, მით რამეთუ ვიცი მე იგი, გთხოვთ არ უთხრათ.
 — სარწმუნო იყავ მას შინა სოფია! არამედ ოდესცა მაჰამა შენი მიიღებს წინადადებას ამას და გაგიჟლავნებს შენ, მაშინ რაჟსა მიუგებ მას?
 — უკეთუ, შემდგომად გამოცხადებისა მის მკითხავს იგი ნებისათჳს ჩემისა და ვიხილავცა, ვითარმედ არ იქმნების იგი წინააღმდეგ მისა, მაშინ თანა-
- 10 — გმა ვიქმნები შეერთებად სჯს ჩემისა თქუშნისა თანა სჯულთაგანთა შეუღლებითა; გარნა ვითარ შემძლებელ ვარ მე დატევიებად მაისსა ჩემისა, ქვრივ-მოჭუტე-ბულისა და კულად ძმისა 18-სა წელსა შინა მყოფისა? ვითარ იქმნების წარმართებად ჰაზრისა ამის, ვინაჲთვან თქუშნ, ვითარცა ვგონებ მე, არ დასდგებით აჲა.
- 15 — სამართლად სჯი, შენ, სასურუშლო ჩემო, რომელ მე, გარდა მამულისა ჩემისა, არასადა მნებავს სხვაგან ცხოვრებად და არცა დავსდგები აჲა; არამედ უკეთუ მაჰამა შენი თანაგმა იქმნების შეერთებასა ზედა ჩუშნსა, მაშინ გამოვართმევ ნებასა შენისა ჩემთანა წარმოსლჯასა და წარგიყუანცა მოსილსა კაცურითა სამოსლითა.
- 20 — მე თუთ მაჲეს ყოველივე იგი მზად.
 — შენ გაქუს კაცური სამოსელი და რაჟსათჳს?
 — მაჰამან ჩემმან, მიმავალმან აჲათ აღევსა, შემიკვრვინა იგინი და შემოსელმან ჩემმან მათ შინა, წარმიყუანა თჳსთანა მუნ. მის ჟამით ვინახავ მათ, ვითარცა კულად ოდესმე სავართა ჩემთჳს ნივთთა.
- 25 და ესრეთ ვიყუენით რა საუბართა ამით შინა, შემოვიდა ჩემდა მსახური ჩემი გრგორ რუჲე, რომელმანცა მომაჲსენა, ვითარმედ მლუდელსა ვისმე, მოსლუელსა ეზოსა შინა სახლისა ჩუშნისასა, უთხოვიეს ხითჳს მლუდელისა შიტროპოლიტისა ანთიმოტისა მხერ ჩემდა მოვლენილსა
- 30 ბით მოსლჯსათჳს ჩემისა და მომიკითხა სახელითა მწყემსთმთავრისა თჳსისა პაიასიოსის შიტროპოლიტისა ანთიმოსისათა და გამომიცხადა კულად, რომელ სწადნოჲს დღეს მოსლუჲა ჩემდა თუთ შიტროპოლიტსა, უკეთუ მექმნების დროჲ მისისა მიღებისა. მლუდელსა ამას ვარწმუნე მადლობაჲ მლუდელმთავრისადმი და დავაბარეცა მოქსენებად მისდა, რომელ თუთ მე მივისწრაფებ ზეალ პატივისცემად დესპოტისა ამის და გავისტუმრე.
- 35 295 შემდგომად ამისა მოვისაუბრე აგენტისა ანტონი პერეტეისთანა შესახებელად ასულისა მისისა სოფიასა და ოდესცა სცნო ჰაზრი ჩემი სრულებით, ძნად დაერწმუნა ესევეთარსა, მიხედვსამებრ მისისა, მოულოდებელსა ბედნიერებასა შინა თჳსისა ასულისასა და უჲანასკნელ, განმდევნელმან ყოელისა იქუნელუებისა და დამჭერებელმან სიმართლესა შინა თქემულთა ჩემთასა, მრქუა:—
 ბეჯად! წინადადებითა ამით მიქმთ თქუშნ ესრეთსა პატივსა, რომელსაცა ვეროდეს მოვიგონებდი მისთჳს, გარნა გეტყუთ თქუშნ, რომელ თუშცა ასულსა ჩემსა არ ჳელეწიფების რაჟსამე შინა უარისა თქემად ჩემდა, არამედ არცა მე მნებავს წინააღმდეგად ნებისა მისისა იძულებაჲ მისი, რაჟსადმიცა იყოს იგი;
- 40 და ესრეთ მეცით მე ნებაჲ, მით რამეთუ ვიფიქრო პირველ რაოდენმე საგნისა

ამისთვის, ხოლო უკეთეს ვიხილავ შესაძლებელად, გამოვუცხაოებ მაშინ ასულსა ჩემსა და შემეტყობი ნებისა მისისა, მოგაჯსენებ თქვენ მისთვის.

თქს წარსლესა ემისა
სოფელსა ალაიბის

9-სა. წარველ დილით გარე ქალქისა ავენტით ან-ტონი პერეტითი და სპირიდონ სივინით სოფელსა ალიბის ანუ გაპურქოხსა¹ ეკკლესიასა შინა წმიდისა მამი-

6

სა ჩუშნისა და საკურუმმომქმედისა ნიკოლასისსა მოსმენად საღმრთოხსა ლიტურგიისა და ხილუადცა აქ მცხოვრებელისა მიტროპოლიტისა ანთიმოსა.

თქს მიტროპოლიტისა ან-თიმოსა

მივედით რა ეკკლესიასა, სდგნენ ცისკრად. მიუფეფ ან-თიმოს მანტიასმული იდგა საყდარსა ოჯსსა, ოთხთა ცულ-გაკობიტებულთა ფიცართაგან შემდგარსა და ჰვალობდა

10

საგალობელთა ცისკრისათა, რომელმანცა დამადგინა მარჯუშნიო კერძო, ასლოს საყდრისა თქსისა კანკელისა თანა. ეკკლესიაჲ ესე, რომელსაცა შინა მოვისმინ-

თქს ეკკლესიისა

ნით წირუაყა, არს ესრეთუშ ფიცრისა, ცულდაშენი, ძუ-სლი და შამბითა დახურული; კანკელსა ამისსა ადგენს

15

მხოლოდ ოდენ ოთხი ძუშლი ხატი განათლებული ოთხითა ფრიად მომცროხ-თა ვეცხლის კანდლითა. შემდგომ ლიტურგიისა მიგვიწვევა იერარხმან ამან

თქს მიღებისა ჩვენისა რე-რარხისა ამის მიერ

სახლსა თქსსა, გარნა, უკეთეს ვიტყვ ჩემმარიტებით, არა სახლსა, არამედ ქოხსა ბალხასა შინა შენებულსა; მიგვი-ლო სახითა სტუმარმოყუარებითითა და დავებულა ჩუშ-

20

ულებრივითა საუზმითა; გვთხოვა ესრეთუშ სადილად დაშთომიჲ მასთან, გარნა მცნობმან ვითარმედ დღეს ჯერ-მიჩნს მე ხუალისად განმზადებჲა წარსლულად, გამართანა სიტყუა, მით რამეთუ ოდესცა ხუალ ვერ ძალ-ვილუა მე განმგზავრე-ბად, მაშინ უთუოდ ვისადილო მისსა. ესევეითართა სახითა გავუთხოვენი ურთიერთსა და დამტევნი მწყემსთმთავრისა ამის, მოვიქეციო ბინისადმი ჩუშ-

25

შემდგომად სადილისა მეოთხესა ჟამსა, ვიყავ რა მხოლოდ საწოლსა ჩემსა, შემოვიდა ჩემდა მამაჲ საყუარლისა ჩემისა სოფიასი, რომელმანცა გამომიცხადა ჰაზრი ასულისა თქსისა და მიწყოცა საუბარი შემდგომთა სიტყუათა შინა:

თქს ანტონი პერეტის
მიერ ჩემდა თქმულთა

„ბეგზადა აფენდემ! მოვისაუბრე მე ჩემისა ასულისა თანა წინადადებისა მისთვის, რომელიცა მიქმენით და რო-მელმანცა თანაგმა-ქმნილმან ნებისა თქუშნისა, დასდლა

30

იგი უქანასკნელ ნებასაცა ზედა ჩემსა. და ესრეთ მოვიათბიროთ აწ, ბეგზადა, და რაჲცა აღმოჩნდეს უმჯობესად, ეპყოთ იგი. თქუშნ უწყით, აფენდემ, ვითარ-მედ ვქვირობ მე და იგიცა განგარძობასა შინა 20-თა წელთასა ვასრულებ მე

296

მხოლოე თანამდებობასა მშობელთასა, განსჯისამებრ, ქალისა ამის, რომელიცა

35

ერწმუნა განგებისა მიერ მზრუნველობასა ჩემსა შობით მისით მეოთხესა წელ-სა შინა მყოფი. ბეგზადა! მას შინა ვგულვობ მე ყოველსა ბედნიერებასა, ნუ-

გეშსა, სიხარულსა და სიცოცხლესა ჩემსა. თუმცა მივიან კულადცა ორნი ძენი, ერთი—თქუშნ მიერ აქ ხილუული და მეორეჲ—მარსელსა შინა სასწავლებე-

40

ლად, გარნა დღედმდე არცა ერთსა მათგანსა ტელეწიფებისთ ზედუად სახლსა ზედა თქსთა და უქანასკნელ მოწუცებულსაცა მამასა მათსა ზედა, რომელიცა

¹ გაპურქოხი, ქოი თათრულია, სოფელსა რქვან და გაპურ ესრეთუშ თათრულია—ურ-მუნოდ ანუ უსაქლოდ ითქმის. თათრები უწოდებენ ლქსითა ამით ყოველთა ხრისტიანთა, ხო-ლო ვინაჲთგან მხოლოდ ოდენ ბერძენნი სახლობენ სოფელსა ამას, ამისთვის ეზავიან ზედშესლუ-ლითა სახელითა გაპურქოხის.

არს მიზეზ მათისა ქუეყანასა ზედა წარმოებისა, ვითარ ოდენ სასურუმოსა ჩემოვს ასულსა ამას, მელელსა სრულითა პატივის-ცემითთა კეთილკრძალულე-ბითა მშობელისა თვისისა, სიყუარულთა მპატრონებელსა მისისა ძმისასა და სა-
 5 ქებულად განმგებელსა თვისისა სახლისასა. ესე უბრძანებს მსახურთა, ესე სცუავს სარგებლობასა თვისისა საკუთარისა საზოგადოებისასა, ეკრძალვის თვთ მცირე-
 საცა წარმგებლობასა, კმაობს მოთჳინებითა მდგომობასა თვისსა, მადლობს
 10 ღმერთსა ყოველსა შინა, არ უწყის წრფელმან გულმან მისმან სსუჲა მწუნხარე-
 ბაჲ და ზრუნუჲა, ვითარ ოდენ შესახებელი სახლისა თვისისა, და ესრეთ, მოკლედ მოგატყნებ, ბეგზადა, ასულისა ჩემისა და ჩემი ნებანი, თანმად ჰაზრისა თქუ-
 15 ნისა, მირწმუნებია თქუშნთვს, მით რამეთუ განხილვსამებრ თქუშნისა ინებოთ სრულებასა შინა მოყუანებაჲ მისი; გარნა მაკვრებს იგი, რომელ თქუშნ საჩ-
 ქაროდ აპირობთ წარსლუასა და საქმისა ამის შესრულებაჲ ითხოვს რაოდენსამე
 დროსა, ვინაჲთგან შემდგომ ქორწინებისა თქუშნისა ჳერ-მიჩნს განმზადებაჲ
 სოფიისი წარმოსლუად მისა თქუშნთანა“.

16 ისიტყუათა ამითანა, ვერა შემძლებელმან დაპყრობად თავისა, მოკუტემან
 ამან დასთხოვნა ცრემლნი და სთქუა:—რაჲსა ვამბობ მე! არა, პირველ თან-
 მამს განმზადებად თავისა ჩემისა შედგომად კუალთა მისთა და ანუ ცოცხლიე
 დაფლვად მიწასა შინა. თანა-მამს დამზადებაჲ ნივთთა, რომელთაცა აძლევს
 20 მას ნახევრად უკუჲ მკუდარი გული მამისა მისისა, ნუჲუმე უკანასკნელგზის. და
 ესრეთ გთხოვ თქუშნ, ბეგზადა! მიბრძანოთ, შეიცდითა აჲ რაოდენთამე დღეთა?

— შევიციდი ვიდრე ერთს თთუძდმდე, უკეთუ მოითხოვს მას საჭიროებაჲ.
 მომიგო:—საკმაო არს, ბეგზადა, ერთი თთუჲ; გარნა მიბრძანეთ ესეცა,
 25 უტევებთა ასულსა ჩემსა სარწმუნოებასა ზედა თვისსა ანუ გსურვსთ, რათა, და-
 მტევებელმან მისმან, მიილოს თქუშნი?

26 — არა მაქუს მე საჭიროებაჲ სარწმუნოებასა შინა მისსა, უკეთუ თვთ
 ეგების მას ზედა მტკიცედ; ხლო ოდესცა ნებსით ინებებს დატევებად თვისისა
 და მიღებად ჩემისასა, მაშინ არ დავაბრკოლებ მას.
 — მიპასუხა:—კმარა, ბეგზადა აფენდგმ! აწ გამოუცხადეთ ამითვს ვისდა-
 მიცა ჳერ-იყოს.

30 — გამოცხადებაჲ საქმისა ამისთვს ეკუთვნის აქაურსა დესპოტსა და ვი-
 ნაჲთგან არა გუჲჲეს ჩუშნ თვს შორის ჳერეთცა ცნობაჲ ურთიერთისა, ამად შე-
 საბამ არს თქუშნდა, რათამცა თვთ თქუშნ აუწყეთ მას, ვითარცა მამამან ასული-
 სა თვისისა და სთხოვოთცა ჩუშნისა დავვირგვინებისათვს.

აგენტმან ანტონი პერეტიე მიილო თვს ზედა მიმცნებად საგნისა ამისთვს
 35 მიტროპოლიტისა ანთიმოსისა პირველსავე ხილვასა თანა მისსა და განვიდა
 ჩემგან.

237 შემდგომად მცირისა უამისა შემოვიდა ჩემდა სოფია და ვითარცა ვაცნო-
 ბე მას ყოველი იგი წარმოებული შორის ჩემსა და მამისა მისისა, მრქუა სასძ
 40 ლომან ჩემმან: „ბეგზადა! დატევებად ჩემისა სარწმუნოებისა არ ძალ-მიძს მე
 დღეს, ვინაჲთგან არათუ ოდენ მომცემს ამას ზედა ნებას მამაჲ ჩემი, არამედ
 განმამორებს მამობრიუსა სიყუარულსა, კურთხევისა და მომაკლებსცა მას უკუჲ;
 რაჲცა აქუს მას დანიშნული ჩემთვს განსაკუთრებით, და ესრეთ, ოდესცა მო-
 შორეებული მისგან მივალთ მამულსა შინა თქუშნსა, მაშინ მერწმუნეთ, მორ-
 45 ჩილი ბრძანებისა თქუშნისა, აღვასრულებ ყოველსა შინა ნებასა თქუ-
 შნსა, არამედ აჲა არავითარმე შეიძლების ჩემგან დატევებად ჩემისა სარწ-
 მუნოებისა და გთხოვთ თქუშნცა მისთვსუჲ, ვითარმედ სრულებით არა-

მგზავრი ყოველსა წამსა ექუშმდებარების პირად-პირადთა შიშთა და განსაცდელთა; გარდა ამისა მოტანაჲ მუნით მოწმობისა, უმციურესისა ზომისამებრ, ითხოვს წელიწადსა და ამისთჳს ძალ-გიძსთ კითხუად აქუშ მისთჳს ქართულთა თანამყოლთა ჩემთა და დარწმუნებულთა სიმართლესა შინა თქვეულთა ჩემთასა.

5 — ბეგზადა აფენდემ! მრწამს თქმული თქუენი და ვსასოებ, მით რამეთუ მცოდნეჲ ჩუენისა მართლმადიდებელისა სარწმუნოებისა, არ იკადრებ წინააღმდეგ მისა მოქცეუად საქმესა ამას შინა; მრწამს, ვამეორებ, და აჲად არცა საჭიროდღა ვსდებ მოწმობისა ხილუასა და კითხუასა ქართულთა თქუენთასა, გარნა მითხარით აწ, მოინათლჳსა სასძლოჲ თქუენი, ასული აგენტისა ანტონისა

10 პერეტეისი, რომლისა თანაცა გეგულევიბით თქუენ შეუღლებად?

— არ ვგონებ.

— და ვითარ იყოფინ ქორწინებაჲ თქუენი მისთანა?

— რად საჭირო არს ეგე, აიას დესპოტი!

15 — ვითარ იტყუთ მაგას, ბეგზადა! და ვითარ შევიძლებ მართლმადიდებელისა ხრისტეანეგასასა დაგვირგვინებად სხჳსა სარწმუნოებისა მქონებელისა თანა? აროდეს მოხდების ეგე უკეთუ არ ნათელს იღებს იგი.

— დესპოტი აფენდემ! უწყით თქუენ, ვითარმედ დიდი იმპერიაჲ როსსიისა არს აღმსარებელი მართლმადიდებელისა სარწმუნოებისა და სუტტი მტკიცეჲ ხრისტეანობისა, რომელიცა თჳს შორის არ აყენებს ჩუენებრთა სხუადან-
20 სხუა სარწმუნოებისა ხრისტეანეთა შეუღლებად.

— ბეგზადა! როსსიასა აქუს სინოდი თჳსი სხუათაგან დამოუკიდებელი და მამსადამე ჳელეწიფებისცა მას მიცემად ნებისა ესევეითართა დროთა შინა, არამედ არ ვგონებ, მით რამეთუ საქართულსოჲსა სამლუდლონი მოგცემდნენ თქუენ ნებასა ესევეითართა თანა ქორწინებად, უკეთუ პირულს, ვინაჲცა
25 იყოს იგი, არ ეშუღების მართლმადიდებელსა აღმოსავლეთისა ეკკლესიასა, მართალსა ვიტყუა?

— ჳეშმარიტსა უბნობთ, აიას დესპოტი, გარნა მიხედეთ როსსიასა, ვითარცა გოდოლსა შეუწყეველსა სარწმუნოებასა შინა და მსგავს მისა შეგავულ-
ლეთ ჩუენცა.

30 — ნუ მეტყუთ, ბეგზადა, ესეგუართა სიტყუათა და არცა შესაძლო არს ვისგანმე ურუმლიასა (საბერძნეთსა) შინა ჳმნად მაგისა. ურჩივეთ ანტონი პერეტეის და ასულსაცა მისსა, უკეთუ თანაჳმა იჳმნებიან იგინი, დღეჲსა მჳუხრისა მოვნათლავ ჳალსა მას, რომელსაცა ჳედა ხუალ შესაძლო იჳმნების, რათა დაგავვირგვინო თქუენ.

35 — დღეს არ ვსდებ სასარგებლოდ გამოცხადებად მისთჳს მათდამი, მეუფეო! და არცა ვესავ, რომელ მოჳუცებულმან მშობელმან სოფიასა ანტონი პერეტეიე მიიღოს წინადადებაჲ ესე; ხოლო ოდესცა შეუღლვილნი ჩვენ დაუღუტე-
ვებთ ჳალაჳსა ამას და ერთად მისთანა აგენტსაცა პერეტეის, მაშინ ვეცდები
299 შემეცნებად მისა ჳალისა მის, რომელიცა უთუოდ შეუღლებების რჩევისა ჩემსა

40 და უჳანასკნელ მოხდების იგი, რაჲსაცა აწ ყოვლითურთ შეუძლო არს ჳმნად.

— არა, არა, ბეგზადა! მომიგო იერარხმან ამან, ანუ აწუშ სათანადო არს ნათლისღებად მისა და ანუ დატევიბად თქუენგან ერთგზის და მარადის ჳაზრისა შეერთებად მისთანა.

მლუდელმთავარსა ამას, აღმომღებმან ჳიბით ჳისისა, წინა დაუღდე მსხვერპ-
45 ლად მისთჳს 50 ოქროჲ გოლლანდიისა და ვსთხოვე დაქორწინებაჲ ჩუენი, რომლისაცა მხილულმან და მოცეულმან განკვრებითა, მრჳუა:

— არ იყოფინ, ბებზადა! არ იყოფინ, და ნუცა ჰკონებთ, ვითარმელ სახეთა ქულშე ნივთთმოყუარებისათა გაბრკოლებდეთ თქულს, არა! არამედ მხოლოდ დამკუპლი სარწმუნოებისა ჩუშნისა სჯულთა, წინააღმდეგობობ უკანონოსა თხოვასა შინა თქულსნა. უწყოდეთ, აფენდემ, მით რამეთუ ვერავითარიმე ნივთი, ვერავითარიმე ღიღებაჲ, ვერავითარიმე სიყუარული და პატივისცემაჲ და ვერავითარიმე შიში მაიძულებენ მე დატანად ჩუშნისა ეკკლესიის სჯულის ღებისა; ხოლო უკეთუ ჰკონებთ თქულს, რომელ ვყოფდემ მე ამას სარგებლობისათჳს ჩემისა, მაშინ დასარწმუნებელად თქულსნა წინააღმდეგსა შინა მისსა, თჳნიერ ყოვლისა თქულს კერძოდ ჩემდამი მადლობისა დაგავვირგვინებთ თქულს სხუასა ქალსა ზედა ჩუშნისა სარწმუნოებისასა, ოდესცა გამოირჩევთ მათგანსა რომელსამე, რომელთაცა, უკეთუ თანაჲმე მეტქმებით, მოვაყუანინებ აწულს, გარნა უმჯობეს ყოველთა არს იგი, რათა შევაგონოთ სოფიას მოსლულად რიცხუთა შინა მართლმადიდებელთა ხრისტეანეთასა; სხეებრ, რაჲცა შეეხების მაშას მისსა, თუთ ვეტყჳ მასულს, რაჲცა გვსმით თქულსნა ჩემგან. და განვიდა.

დაშთომილმან მარტოდ საწოლსა შინა უღმობელი-
 თჳს შიტროპოლიტისა ან-
 თიმოსის სახლ-საწოლისა
 სსამის მწყემსთმთავრისა, ვიქლოველე მიმოხილულად
 ფრიად მცირისა ოთარისა ამის. შემოსასლულსისა კარისა
 თაეის თაღჩასა შინა იღუა ერთი კალათა, ღებული ცხოვარისა ბარკალითა,
 პირსაგოცსა შინა ხულშეულითა, რომლისა თანაცა ეწყუნენ ესრეთულ ერთი პა-
 წაწა შამდანი თითბრისა დაქყლებილი, უელუნოდ, ოთხი ბუტილიკა ტალახითა
 და მტვრითა დაფარული, რაოდენნიმე ბერძულნი საეკკლესიონნი წიგნნი, გარ-
 ნა უმეტესნი ნაწილინი მათნი ფურცლებად, ერთი სამლულდელმთავარი კულმრთხი
 რაოდენსამე ადგილსა შემუსრული და ძაფებითა შეკრული, და ერთიცა შავის
 რქის ბურნუთის კოლოფი, რომელიცა იხილვებოდა თანამედროედ ადამისად.
 ვეძიე აქ ნიშანი მართლმადიდებლობისა, ესე იგი ხატი, რომელიცა ვპოვნე მე-
 ორესა თაღჩასა შინა ცულ-მულთა ნივთთა შორის, ზურგმოქცევით მიყულებულ-
 ლი. აღვიღე იგი, და შემდგომად განხილუსა მისისა ვცან შერომით, რამეთუ
 ოდესმე ყოფილ არს ფიცარი ესე შემკობილ სახითა მიმადლებულისა მარიაში-
 სათა და დავსდევ ადგილსავე თუსსა ვითარცა ჯერ-იყო. მერმე მივაქცივე სახე-
 ღულსნი თუსნი ღესპოტისა ლოგინისადმი, რომლისაცა ლეიბი და ბალიში იყუ-
 ნენ დატენილ თივითა¹ ნატულად ყუისა და ბუმბულისა. ახლოს ლოგინისა ამის
 ეკიად კედელსა ზედა პირსახოცი და ვითარცა ჩნდა, უცნობი წყალ-საპონისა
 და არაბთა ჰშთამომავლობისა. ხოლო შემდგომად იშუთთა ამათ განსინჯუსა, წარ-
 ვულ მეცა ბაღჩასა შინა შეინაჭეთა მიმართ, სადაცა დამხუდა შიტროპოლიტი
 მხოლოდ ორითა მლუდელითა თუსითა, ხოლო სხუანი, განბნეველნი თუს-თუსად,
 მმოთხუშობდიან ბაღსა ამას შინა.

განსატარებლად დროსა ვკითხე ღესპოტსა ამას, თუ ვითარ შემძლებელ
 არს იგი ესთა მცირესა ეკკლესიასა, რომელსაცა შინა მოვისმინეთ წირუაჲ, მსა-
 ხურებლად რაოდენითამე სამლულდელოებითა, რომელთაცა არავითარიმე შესაძ-
 ლოდ არს მას შინა დატევენად.

მომიგო:—ბებზადა! მსხუშრალშემწირველობაჲ არ ითხოვს მრავალთა სა-
 მლულდელთა მიერ ერთად აღსრულებასა მისსა და არცა დაიყენების იგი,
 ოდესცა შეუძლებელ არს პოვნაჲ მათი; მაგალითებრ, ვითარცა დლეს მე, რო-

¹ საბერძნეთსა ანუ თურქეთსა შინა არს ემარებულ ზოგად ღიღთა და მცირეთა მიერ
 თივა, ნატულად ყუისა და ბუმბულისა, ვითარ ეგვიპტისა შინაცა.

მელსაცა არა მყავს სამლუდელო უფროს ორთა ამთ მლუდელთა და არცა მივის დიაკონი, არამედ დროსა ჩემისა მლუდელმოქმედებისასა ერთი ამათგანი იმლუდელებს ჩემთანა, ხოლო მეორეა—ალასრულებს თანამდებობასა მთავარდიაკონისასა.

5 — ვითარ იყოფინ ეგე, აიას ღესპოტი, მით რამეთუ მლუდელი განაგებდეს წესსა მთავარდიაკონისასა?

— ბეგზადა! ნუ ჰკონებთ, ვითარმედ იყოს ესე წინააღმდეგ სჯულისა ანუ მცირედცაა გარდაჯდომად მისი. არა! ოდესცა ითხოვს საჭიროებაა უყოლელობისა ძლით დიაკონისა, მაშინ თვნიერ ყოვლისა წინაგანმსჯელობისა ვყოფთ ესრეთ სრულსა ურუმელსა შინა. ნუუუქუშ როსსიასა და საქართუშლოსა შინა შერაცხილ არს ესე ცოდუად ანუ წინააღმდეგად საეკლესიოხსა სჯულდებულებათა?

10 — მეუფეო! როსსიასა და საქართუშლოსა შინა არ საჭიროებენ ჳმარებად ნაცუალად დიაკონთა მლუდელთა, ვინაჲთგან უძსთ წესი, აღმავსებელი ნაკლუ-
15 ლევენებათა შესახებელად ეკკლესიათა, უწმიდესისა სინოდისა მიერ განწესებული. აქ განგვიწყვიდეს საუბარი მოსლუთა თვისითა მებინაგეთა ჩუშნთა, რომელთაცა მრქუშს თხოვით, რომელ დრო არს მიქტევისა ჩუშნისა სახლად ჩუშნად. და ესრეთ, გამშვდობებულნი მლუდელმთავრისა ანთიმოსის თანა, წარმოვედით შინა.

20 თვ მოსლუჯა ჩემდა მიტროპოლიტისა ანთიმოსისა 11-სა მოვიდა ხილუად ჩემად მიტროპოლიტი ანთიმოს, რომელმანცა მომცა ერთი პაკეთი საიდუმლოდ სახელსა ზუდა ნოვ... და სა... პე... მიტ... მიხ... სასა და, შემდგომად შემოსლველსა ჩუშნდა აგენტსა ანტონი პერეტისა რქუა რჩევით მონათლუსათვს ასულისა მისისა, გარნა პერეტით არცალა თუ ინება სმენად სიტყუათა ამის
25 მლუდელმთავრისათა, რომლისა ძლითცა გარდაწყუდა მტკიცედ, მით რამეთუ ვითარიცა მოველ აქ, ესრეთივე წარვიდეცა უშორეს. და ესრეთ, ღესპოტმან ამან, დამლოცველმან წინამდებარეხსა გზისა ჩემისა, დამიტევა კურთხევა და წარვიდა სახიდ თვსა.

მერმე შემოვიდა სოფია, რომელსაცა ვთხოვე, რათა დასწეროს შუშნიერითა ჳელითა თვისითა რაჲმე ფრანკუზულად და მომცეს მე იგი მიზეზად თქემისა: „ესელა დამრჩა სანაცულოდ მის იმედისა დიდისა“. რომელმანცა, მყის აღმასრულებელმან თხოვისა ჩემისა, დასწერა და მომცა მე იგი და რომლისაცა თარგმანი არს შემდგომი:

30 თვ ხოფიას წერილისა პირისა „უმოწყალესო ჳელმწიფეე! ვინაჲთგან არა კმად საცნაურ არს ჩემდა თათრული ენაჲ, მეცით მე ნებაჲ ხმარებად ფრანკუზულისა, რათა მაქუნდეს პატივი განცხადებად თქუშნისა ბრწყინუალეებისადმი გრძნობათა ჩემისა მადლობისათა კეთილდაწყებისა და მონაწილეობისათვს თქუშნისა, რომლისაცა სათნოი გიჩნსთ თქუშნ მიღებად შესახებელად მშობელისა ჩემისა და სახლულებისა მისისა.
40 ჳერ-იჩინეთ ესრეთუშ მიღებად ამასთანა მადლობისაცა ჩემისა სათნოასა და ჳრდილობიანისა აღთქემისათვს, რომლისა ძლითცა ღირს-მყავით მე და რომელნიცა დაშთებიან ჩემთვს დაუვიწყებელად.

მოლოდებასა შინა აღსრულებათა საწადთა თქუშნისა ბრწყინუალეებისათა
45 და თანად ჩემთაცა სათნო-იჩინეთ მიღებად მათსა, რომელთაცა ვავლენ ცად დაცვსათვს სიცოცხლისა თქუშნისა და ბედნიერისათვს თქუშნდა გზისა.

1820-სა წელსა,
23-სა მაისსა,
თარსისსა შინა.

მაქუს პატივი გებად
თქუშნისა ბრწყინულებისა
უმდაბლესი და უუმორჩი-
ლესი მოსამსახურე
სოფია პერეტიე“.

5

უსაყუარელესნო მკითხუშლნო, ესევეთარმან განგრძობითმან გამოწერამან წარმოებულთა სიბრძნისა და მეძიებელისა მისისა შორის, თუმცა რაოდენმე გან-
მაშორა წინამდებარესაგან საგნისა და ნუუქუშ მის ძლით მომისთვლოცა მე
გიობაჲ თქუშნ მიერი, გარნა ვითხოვ მოტყევებად ესეგუარისა სისუსტისა. უკე-
თუ ოდენ შესაძლო არს ესრეთ წოდებად, ძიებაჲ მენავესაგან ნავთსაყუდელი-
სა დაყენებად ნავისა თვისისა მას შინა, რომლისადა ვერმპოვნელი, მოვიქცევი
კუალად კმა-ყოფად თქუშნდა მოცსენებითა ქალაქისა ამის თარსუესათუჲს, რომე-
ლიცა არს მშობელი მამული წმიდისა მოციქულისა პავლესი.

10*

თჲს თარსუ ქალაქისა თარსუ, რომელიცა დღეს სამართლად შესაძლებელ არს
ირაცხებოდეს რიცხუთა შორის მეორესა ჭარისხისა 15.
კასაბათასა, არს მდიდარ ყოვლითა ნაყოფიერებითა და მოსავალითა. შენობანი
არიან ყოვლითურთ ცუდნი უცუდესთადა ქობთა, გარდა ორთა, რომელნიცა
იხილუშბიან სახლებად: პირველი—აგენტისა პერეტიესი, ხოლო მეორეჲ—აქუ-
რისა მუსალიმისა; ჭარვანსარანი და დუქანნი—დაქვეუდნი თუთიქემის სრულე-
ბით, რომელნიცა არიან აღმოშენებულ ჩალითა ანუ გაკრუულ ნაბდებითა სა-
წარმოებელად ვაჭრობათა. არს იფობაჲ სასემელ-საქმელთა და ნივთთა, ვი-
თარნიცა იპოვნებიან მათ შინა. სიმრავლესა საფლავთასა, მიხედვასამებრ, არ
მოეძიებიან რიცხვნი; ყოველი ქუჩანი ძუშლ-დიდისა ამის ქალაქისანი ორისუშ
კერძით თვისით წარმოუდგენენ სახედუშლთა ნაცულად სახლითა ათასობით საფ-
ლავთა, რომელთათუჲსცა უზნობენ მილიონებად; და ესრეთ, ქალაქი ესე არს
უფროს მკუდართა, ვიდრეღა ცოცხალთა, რომელსადა შინა ცხოვრებენ მაჰმა-
დიანნი 1500-ს და სომეხნი 300-ს კომლადმდე. მრავალთა ადრითუშ დაქვეუდ-
ლთა სახლთა შორის იჩუშნებიან ერთისა სახლისა საძირკუშლსა, რომლისასადა
სწამებენ სახლად მოციქულისა პავლესად. თარსუ მიხედვასამებრ შენობათა, ესე
იგი ძუშლაოდვე ნაქცევთა და აწინდელთადა, არ უთავაზებს სიდიდითა თვისისა
სხუათა საფაშოთა ქალაქთა ოთამანის პორტის საბრძანებულისათა, ყოფილ არს
მოზლუდულ ზღუდითა და ხანდავითა; გარნა დაქცევასა მისსა მიაწერენ დიდსა
აღუქსანდრე მაკედონელსა, რომელსადა გარდუწუავს ქალაქი ესე და მას შინა
მცხოვრებნი მოუსრავს პირითა მახლისათა. სხუშბრ არარაჲ იხილუშბის აჲ
დამმოწმებელი ოდესმე ყუავილოვნებითისა მდგმობისა ამის, ვითარ ოდენ ერთი
ალაკაფის კარი ვალაგნისა აღმოსავლეთით კერძო შენებული, რომლისადა თლილ-
თა ქუთათა გამო ნახჩებად მოჭრილი შედგმულებაჲ და სიდიდეჲ იგლოვს დღე-
საც დამტკოვნ-დაობლებასა თუსსა.

20*

302

20*

25

თჲს ჩემ მიერ ცხენ-ჯორ-
თა კირაობისა დღესა ამას ვიჭირავე ცხენნი და ჯორნი კაისარიელი-
სა ჩარვადარისა ბერძნისა ასლანისაგან კაისარიადმდე. 15
გამოვიართუ წერილი პირობისა და მივიცე რაოდენიმე თეთ-
რი რიცხუთაგან შერვიებულისა ქირის ჯამისათა ცხენ-ჯორთათუჲს, რათა მო-
მავალსა დღესა მოეყუანნა ივინი დილით ადრე და წარსლველვიყავით.

15*

- 12-სა. დილით მეათესა ეამსა მოვიდა ქსენებული ჩარვადარი თხოვად ქირის მომატებისა, ურომოლოთაჲ არღა აპირობდა წარყუანასა ჩუქსნა, რომლისათვისცა აგენტმან ფრანციისა პერეტიე ჰვევმა კუქრთხითა და მით იძულებულჲყო აღსრულებად აღთქემულისა თვისისა და მოყუანად ცხენ-ჯორთა. შემდგომად შუვადლისა მეოთხესა ეამსა მოვიდნენ უჩარვადროდ კაცნი მისნი კაც-ცხენ-ჯორებითა, წარიღეს ბარგი ჩემი თვსთანა წარყუანითა თანამყოლთა ჩემთათა, გარდა სპირიდონ სივინისა და მსახურისა ჩემისა პეტრე ბაქელაშვილისა ჩემთანა დაშთომილთასა. მოიწივა ეამი ჩემისა დაშორებისა სიბრძნეჲსა თანა და ნუუუქს ს-
- 10 უქუნოდცა! ცხენნი იყუნენ დაკაზმულ-მლოდნენნი ზე შემსხდომთა თვისთა, რომლისათვისცა შეველ საწოლსა გამშვიდობებად სოფიასა, რომლისაცა ზეციურთა თულათაგან გარდმოდინარენი ნაკადულნი ცრემლთა რწყვიდიან უშვენიერესთა ლაწვთა მისთა და ალტობდიან მკერდსა დამძიმებულსა ვითარითაჲ ახლითა შემთხუქვითა. მხილველმან ჩემმან თვსდამი მიახლოებულისა, ისწარაფა მო-
- 15 წმედად თულთა და თანადუქ მოგებებად ჩემდა, რომელნიცა დასწრებასა შინა მამისა მისისასა გავესალმენით ურთიერთსა გულითა, უფროს მკუდრად, ვიდრელა ცოცხლად შესარიცხუქლითა და დამტვევებელი მისი, წარმოველ წინამდებარეჲსა გზისადმი, ხლებული აგენტისა პერეტიეთი ძითურთ მი-
- 303 თვს თარსუთ წარმოსლჲსა ჩემისა
- 20 ქითა ამით. მსლუქმლნი ორისა ეამისა სავალის გზისა, მოვედით ველსა უსასელოსა, სადაცა დაედგათ კარავი მსახურთა ჩემთა მახლობლად მომპროთა ბორცუთა ჯაგთა მიერ მოცვეულთა და პირსა ზედა ხენულთა სარწყავად გატანილისა არხისასა. აქ დამხუდა ზემო უქსლ თქემული ჰაჯი აჰმად ბეგ, ძმაჲ კარსის ფაშისა ჰაჯი მუსტოფასა, თანამოგზაურად ჩემდა, რომ-
- 25 თვს გამშვდობებისა ჩემისა ანტონი პერეტიესთანა
- ლისა თანაცა ერთად აგენტიურთ ფრანციისათ დავლივეთ რა კავა, გავიმშვიდობენით მე და უქანასკნელი ესე ურთიერთისა თანა. ხოლო დაშთომილმან მე ადგილსაჲე განტარებად ლამისა, მივიწვევე ვახშმად ჩემთანა ჰაჯი აჰმად ბეგ და მივეცუა ადგილი კარავსა შინა საძილოდ.
- 30 13-სა. განთიადსა თანა აყრილთა ვიარეთ ველად ნახევარ ეამი, შემოვედით მთათა შინა თარსუქისსადა წოდებულთა, ველენით შვდჲამ-ნახევარი და მოვედით წყაროსა თანა უქსოდ ნაშენთა თლილთა მარმარილოთა და თეთრთა ქუათა შორის გაქომდინარესა, მაზარა ოხტილად სახელდებულსა, რომლისაცა სიცივემან და გემიერებამან უქსოველესად გამომიხატა საყუარელი მშობელი ქულ-
- 35 თვს მაზარა ოხტილასა
- ყანაჲ ჩემი საქართუქსლოჲ, და რომლისა თანაცა დავსდევით განტარებად შესადგომელისა ლამისა. ადგილითა ამით იწყების ორსაჲე კერძოსა ზედა ამა მთათასა ხილუაჲ ქუაბთა, ოდესმე დევნულებთაგან წარმართთასა ხრისტეანეთათვს შესაყრდნობელად მსახურებულთა.
- 40 14-სა. დილით აღმდგართა და შედგომილთა გზისა წმიდისა ელენა დედუფლისა მიერ კლდექუსით გაკეთებულისა და ორისუქ მჭრით კლდიანთა მთათა და ტყეთა მიერ მოცვეულისა, ვიარეთ შვდი ეამი, გამოვიარეთ მალალი კლდე ზედ ციხე შენებული ენეველთაგან, გამოვლენით ბოლაზი მთათა, მოვიწივენით ადგილსა თაქირსა და დავსდევით დაღამებად. აქ დავგებულა სულთან

ვინიმ ერთისა კაცითა, განათავისუფლა მოსე თათრისა მისგან და მოიყუანა ჩუშნ ჩამომჰდართა თანა ესკი ენეის. აჲ დადგმულსა თვს ესკი ენეისა ჩემთვს კარავსა შინა განსუტნებულნი რაოდენმე გზის და-
 ლალვისაგან, განველ გარე მიმოხილულად ყოვლითურთ უუშუტნიერესისა ამის აღ-
 გილმდებარებობისა. წინაშე კარვისა ჩემისა, სიშორით სამსა საუენსა ზედა არს
 5 კლდე. მხედელნი დაცემულსა სიღრმესა შინა ფართოხსა ჳევისა, სიგრძით დღის
 სავალისა, კარვისა და მოდიდოხსა მდინარისა თვს შორის მქონებელისა. მისლ-
 ვული კლდისა ამის პირსა და მხილულნი ძუშლისა ბილიკისა ქუშმო დამყუ-
 10 თვს ოთაღთა ქუაბთა შინა ოთალნი კლდეთა შინა გამოკუშთილნი, სამზარეულონი,
 გამოკუშთილთა ფურენნი, ეკლესია, კანკელი და ტრაპეზი. ესე ყოველნი
 იყუნენ გამოჰრილ კლდისაგან ყოვლადისა კამაროანნი, რომელთაცა ხილვად
 მომწოდებელმან ქართელთა ჩემთა, ვაჩუშნ მათ იგინი. ერთმან ბჳემან კლდი-
 15 ღუნა თვსდა მქლოველობა ჩემი, რომლისათვსცა იყარყუენი თვსთანა მსახუ-
 რისა ჩემისა პეტრე ბაქელაშლისა, წარვედით მისდა თოფებითა ჳელჳურვილნი.
 მივედ რა ბჳესა ამასთანა, ვინილუშ თავსა ანუ ზემო
 თვს ბჳესა კლდესა შინა კერძოსა მისსა სახეჲ კაცისა, გამოჰანდაცემული ქვსაგან
 გამოჰრდლისა ლურჯისა მგრგულად მოვლებულისა არშიითა, თანასწორ
 20 ორსავე კერძოთაცა ზედა ბჳესა ამის იხილუშზოდინან სახენი, გარნა უკეთურ-
 თა ჳელთა მიერ ჩამომტერეულნი, რომელნიცა ბჳითურთ ყოფილან ოდესმე
 წამლებით დაფერადებულ. შესლვული ბჳისა ამის ძლით მცირესა ოთაღსა კლდი-
 თვს სამთა საფლავეთა თაცა ზედა ზეწარწერილებანი, კინლა საცნობნი ასო-
 25 ებად, არ მსგავსებენ არცა საუკუნესა შინა ჩუშნსა ჳმარებულთა ასოთა, არცა
 305 იეროგლიფთა და ამად კერძოსა ამის მცხოვრებთაგანმან არავენ უწყის ვინა-
 ობაჲ და სადაურობაჲ მათი. გარნა განსჯისამებრ სამთა მათ სახეთა, იგვრდივ
 ბჳისა ხილულთა, ჳერ-არს საფლავეთა ამათ ყოფაჲ მათი. არიან აჲა სიმრავლეჲ
 30 ქუაბთა, არა ოდენ კლდეთა შორის და მათათა, არამედ მიწისაცა ქუშშე, რო-
 მელთათვსცა უბნობენ ბერძენთა მიერ ჳმნილად დროსა მათ შინა სარაციენტა
 შესლვსასა, გარნა ჳსენებულთა საფლავეთა მრავლისა საუკუნით უადრეესად.
 ამისა შემდგომად მივემოვე თულგარდაუწვდომი ველი, ურიცხვთა ქუაბთა და
 სამალავთა ქუშშე თვსდა მექონი. ერთსა მათგანსა შინა ვპოვევნი ესრეთუშ
 ეკლესია, შემდგარი სამთა სამწირველოთა მიერ.
 35 18-სა. ღამითუშ შედგომილნი გზისა, მსლველნი ცხრა ყამსა და ვერღა-
 სადა მხილულნი უკუშ ქუაბთა, მოვეახლოენით სამარადოდ თეთრკაუხოსან-
 თვს მთასა კეთარიჲ კაბა- კაბადლუკისასა), რომლისაცა გარემო ველნი არიან და-
 დლკიისა ფარველ ვეძითა. გამომღველნი ველისა ამის, მოვიწივე-
 40 ნით ადგილსა სულთანსაზისსა დროსა მზის დასლვსასა, სადაცა ჩამომჰდართა
 თვს სულთანსაზისსა ვისადილ-ვახშმეთ ერთად კარავსა შინა ჩემსა მე, სივი-
 ნიმ და ჰაიე აჰმად ბეგმან. უკანასკნელი ესე დღით თარ-
 სუთ წარმოსლვისა ჩუშნისათ სჩხრეკდის ჳშირად სამგზავროსა სათუალესა
 ჩემსა და ჩნდა, რომელ უნდოდაცა ჳონაჲ მისი, რომლისათვსცა ვაჩუქე მას
 45 ერთი სათუალე ვეცხლისა, მწუხანითა განიტურითა გარმოკრველი, რომელი
 მოეწონა უფროს პირველისა მოჳუცებულსა ბეგსა ამას და მიჳმნაცა მისთვს
 მადლობაჲ.

თუხ ჰაჭი აჰმად ბეის წარ- 10-სა. წარვიდა ლამე ჰაჭი აჰმად ბეგ თუხის კაცე-
 სლუხა კაისარიახ ბით კაისარიას, რომელსაცა გავაყოლე მიხაილ დრაკული
 კრიტიკოსი ფერმანითურთ საშოვრად ჩემთუხ ჰირით სახლისა, ხოლო შემდგო-
 მად მათსა, განელო რა ეამმან, წარვედით ჩუშნცა, ევლეთ გზაჲ ქჷან-კლდე-
 ლოჯიანი ძირთა თანა მათასა ცხრაეამ-ნახევარსა და დაესდევით ადგილსა 5
 თუხ კაისარიისაჲსა მუწუნვილოვანსა კაისარიისაჲსისა. აქ შემსუშნებელნი სამ-
 დალი (გუშლთა მთაჲ), იმიერ და ამიერ ვენაჰოვანი ორლობეთა შორის, ყოვლი-
 თურთ ცუდისა და უქმარისა გზითა და დაეინახეთ ვრცელსა ველსა შორის
 მდებარეჲ, მახლობლად მცირისა კაისარიისა თოვლიანისა მითთ წარმოზიდვე- 10
 ლისა ბორცუსა კაისარია, მოცველი ყოვლით კერძო მთათა და კლდეთა მიერ.
 შემდგომად შუვადლისა მეშვიდესა ეამსა მოვედით კაისარიას. გარე ქალაქისა
 თუხ მოსლუხა ჩემისა კაი- ეშოვნა სახლი ჰირით, მერტუ ენახა ჰაფუზ ალა ჰაია ბეი
 ხარიახ. თუხ ჰაფუზ ალა და ეჩუშნებინა ფერმანი. ამას, წარმღებსა ფერმანისასა 15
 ჰაია ბეისა და ჰასან ფა- ჰასან ფაშისადმი, წარეყუანა თუხთანა კრიტიკოსიცა.
 შისა ფაშას, წარმკითხულსა ფერმანისასა, ებრძანა ჰაია ბე-
 ისათუხ მყისულ დამზადებად ჩემთუხ სახლისა, მოჩენად კაცთა და აღსრულე-
 ბადცა ყოველთა ჩემ მიერ მოთხოვილთა. მიხაილ კრიტიკოსსა, მსმენსა ესევი-
 თარისა ფაშის ბრძანებისასა, მოგესენებინა მისთუხ მადლობაჲ და გამოეცხადე- 20
 ბინა მზად-ყოფაჲ ჩემთუხ სახლისა ჰირით შოენლისა და შემდგომ გამოთხოვი-
 ლი მისგან, გველოდდა გარე ქალაქისა ერთისა მოწყუეითა ჰაია ბეის მიერ გა-
 მოტანებულთა, რომელთაცა შემყუანელთა ჩუშნთა შორის ქალაქისა, მოვი-
 თუხ მოსლუხა ჩემისა სახლ- შემდგომად ნახევარ ეამისა მოვიდა ფაშის კერძოთ ზარა-
 ხა შინა ჭინგიროლლი იბრაჰიმ ალასსა 25
 იბრაჰიმ ალასსა შემდგომად ნახევარ ეამისა მოვიდა ფაშის კერძოთ ზარა-
 ხაში მისი მოკითხუად ჩემად და დროსა წარსლუხა თუხი- 30
 სასა დაუტყუა ჩუშნთანა მოსამსახურედ მსახური ფაშისა
 კარსელი ჰაბიბ კავაზი.

თუხ წარსლუხა ჩემისა 20-სა. წარველ დილით ხილუად აქაურისა ბაზრისა,
 ბაზარსა შინა ქარვანსარათა და რომელთამე სავაჭროთა ადგილთა, წარ- 30
 მყუანი თუხთანა ჰაბიბ კავაზისაცა. ვგანვლეთ რა ერ-
 თი ქუჩა, მოგვესხნენ შემთხუშველნი ერნი გარემოს, რომელთაცა რიცხვ მრავლ-
 დებოდის წამითი-წამად, ვითარცა შევედით ბაზარსა, ესრეთ რომელ არღა შე- 35
 მძღებელ ვიყუშნით განგრძობად სლუხა ჩუშნისა. თუმცა ჰაბიბ კავაზი მიმო-
 ყენებდის მათ, გარნა ვერა სხუშმარ, ვითარ ოდენ თხოვითა თავაზიანითა და ვედ-
 რებითა, რომელთაცა განმაკურუს ფრიად და რომელთათუხსცა ვიტყვ შემდ- 40
 გომად. განრინებად სიმრავლისაგან მათისა თავთა თუხთა ოდესმე შევიდით
 დუქანთა და ოდესმე ქარვანსარათა შინა გასინჯულ ნიეთთა სახესა ქუშმე სყიდ-
 უხვინსა და მომდივენელად, რომელთაგანნიცა ერთნი იტყოდიან ელჩობასა ჩემსა, 40
 მეორენი—ბალიოზობასა და სხუანნი—დოკტორობასა.
 თუხ ჩემ მიერ თოფის სლუხასა ამას შინა ვიხილულ გასასყიდად ტარებულნი
 მყიდვისა თოფი, ვიყიდე იგი ოცდართს რუბლად და მოველ- 45
 ცა შინ სადილად. ეამსა ამას ვერღა უკულ შევნიშნე მო-
 შორებაჲ ჩემგან ჰაბიბ კავაზისა, რომლისათუხსცა არცა სხუთა უწყოდნენ უფ-
 როს ჩემსა მიზეზი მისისა ჩუშნთანა უმყოფობისა. მეორესა ეამსა მსადილობელ-
 მან დაეინახე მომავალი ჩემდა თუთუნჯიბაში ფაშისა, რომელმანცა, შემოსლ-

თუხ მოხლჳა ჩემდა ფა- ეულმან ჩემდა, გამომიცხადა მისთჳს (რაჲსაცა აღესთჳქ
 შიხ თუთუნჳიბაშისა მე აჳა წინაშე თქუშნსა, უფალნო მკითხუშლნო, სათჳქმე-
 ლად შემდგომსა შინა) ესრეთ: „ბეგზადა! აფენდემ ჰასან ფაშამან ჩემმან მი-
 ბრძანა მოსლულად თქუშნდა და მოჳსენებად, რათა იყუნეთ ფრთხილ კერძობი-
 5 თურთ თქუშნით დროსა სლჳსა თქუშნისა ანუ კაცთა თჳქვენთასა ქალაქსა ამას
 შინა, ვინაჲთგან მცხოვრებნი ზოგად აჳაურნი მუსლმანნი, გაჳურნი და სხუანი,
 ვითარნიცა იპოვნებიან აჳა, არიან მიდრეკილ ფრიად შფოთისა და მკლველო-
 ბისადმი; და ესრეთ, ოდესცა თუთ თქუშნ ანუ კაცი თქუშნნი ინებებდეთ სახ-
 10 ლით გამო თქუშნით წარსლულად ქალაქისა ამის შორის, მაშინ იახლებდეთ თჳსთა-
 ნა ჰაბიბ კაჳაზსა; გარნა უმჯობეს არს, რომელ ეამსა თქუშნისა აჳა განხილულად
 რაჲსამე წარსლჳსასა, წინათუჳ აუწყოთ მისთჳს ჰაფუზ ალა ჳაია ბეის, რომე-
 ლიცა ბრძანებისამებრ ფაშისა მოაველენ თქუშნდა რაოდენთამე მოჳკლეთა და
 ცხენსა ფაშის კერძოდ განსარინებელად მოულოდებელთა შემოხუშუათა და
 15 მშვდობიანად გასინჯულად ქალაქისა ამის გარემოებითურთ მისით“.

16 მოწყესეა ესე წარვევლინე შესაბამითა მადლობითა ფაშისადმი, მიმღებმან
 თჳქმულთა მისთა არა სხუშბრ, ვითარ ოდენ მისთჳს, მით რამეთუ დროსა ჩე-
 მისა სადმე წარსლჳსასა ერთად კაცებითურთ ფაშისა ანუ ჳაია ბეისა ვაძღვედღ
 მათ ბაღჩიშსა; გარნა კმა-ჳმნილი მხოლოდ ჰაბიბ კაჳაზისა ჩემთანა ხლებ-
 ითა, ვვიდოდი ქალაქსა ამას შინა ოდესმე მხოლოდ და ოდესმე მისითურთ.
 20 შემდგომად ამისა წარვეზავენე მსახური ჩემი პეტრე ბაჳელაშვილი ჰაბიბ კა-
 307 ვაზითურთ შოენად აბანოჲსა ჩემთჳს. უკანასკნელმან ამან, ანასდად უკმოჳ-
 ცეველმან და მომჳსენებელმან ჩემდა მზად-ყოფისათჳს აბანოჲსა, წარმიყუნა
 მუნ, რომელსაცა შინა ვპოვენ ერთი ჳართუშლი გლეხი მეჲბანოედ, თჳქმულთა-
 მებრ მისთა კუკიელი, სახელით იოსებ, ნახლები სპარსეთსა შინა საჳართუშ-
 25 ლოს მეფის ირაკლის ძის ალექსანდრეჲსა.

მეხუთესა ეჳამსა ეზოსა შინა სახლისა ჩუშნისასა შემოსლვეულთა ვიეთთამე
 კაცთა მომიგზავნეს სახლის ბატრონი ჩუშნი ჳინგიორ-ოლი იბრაჳიმ ალა, რომ-
 ლისა ძლითცა მაუწყეს, მით რამეთუ აჳუსთ მათ თავი კაცისა თეთრისა მარ-
 მარილოჲსაგან ჳმნილი გასასყიდი და ნუჳუჳტ ვიყიდი მე მას მათგან. მოცი-
 30 ჳულსა ამას ეუბრძანე მე მოტანაჲ მისი ჩემდა ჩუშნებად და უკეთუ მსახურებს
 იგი ყურადმღებელობასა, მაშინ იყოფინ ვიყიდოცა იგი. გარნა ამანვე მოციჳულ-
 მან მრჳჳა, რომელ მოტანაჲ თავისა მის ჩემდა შეჳძლებელ არს და ოდესცა
 მაჳჳუს სურჳლი ხილულად ანუ სყიდულად მისა, წარვიდე მე თუთ ერთად კაცთა
 მათთანა მისდამი, რომლისათჳსცა, ძღვენილმან მჳლო-
 35 თჳს წარსლჳსა ჩემისა ხილვად მარმარილოს კა-
 ცის თავისა ველოებითა და გამსყიდულთა მათ მიერ, წარვიყუ-
 ენ სპირიდონ სივინი თჳსთანა და წარველ გასინჯულად
 45 ჳქს თავისა მის, თანასწორ ვითარ მუნადმდე რაო-
 დენისამე შენობისაცა.

უკანასკნელ მიგვიყუანეს კაცთა ამათ სახლსა ერთსა კარდაკეტილსა და
 40 ვითარცა დაურეკეს იგი, მყის განგვიღესცა შიგნით გამო. შესლველმან ერთსა
 ოთარსა საჳამაოდ მორთვეულსა, ფენილსა დიჳან-ძოლოებითა და დახატულსა
 აზიისა შნოჲთა, ვიხილვე ერთი კაცი, მიხედჳსამებრ სნეული, მწოლარე საგე-
 ბელსა შინა, ცეხული ჳურჳტითა სამურისათა და ხურჳლი სამურისავე საბნითა
 საპირ-ფარჩიანითა, სახითა თეთარ-წითური, მსუჳნინი და ორმეოცს წელადმდე
 45 მიწვენილი. კაცმან ამან მომცა რა სალამი ჳელისა თჳსისა შუბლსა და გულსა
 თჳსსა ხებითა, მთხოვა დაჳდომად ახლოს თჳსსა დიჳანსა ზედა, რომელსაცა

რქელს წინამძღუართა ჩემთა სომხურად: „გაზიე კარაცი ხარკატელ პარუნ ბეიშენ კალ არ მეზ, პაიცი აიყემ ცერ ე გორც პატველ ზნა“, ესე იგი: „ძლით დავიყოლიე მე უფალი დოკტორი მოსლულად თქუშნდა, ხოლო აწ თქუშნზედა არს დამოკიდებულ დახუშდრაჲ მისი“.

ავადმყოფმან ამან, მიმღებმან ჩემმან მზიარულებითა სიამოვნერთველითა, მოგვარებუა მურაბა, წყალი, კავა და ჩიბუხნი. მათ შორის ვიწყეთ საუბარი მე და სნეულმან ამან, რომელმანცა გამომიცხა ავადმყოფობისათჳს თვისსა და მთხოვა, მით რამეთუ შევეწიო მას, განსჯისამებრ მისისა, თუთქემის სრულიად სუსტქმნილსა სიმრთელესა შინა მისსა, ვინაჲთგან უწყის მან სარწმუნოდ შემძლებლობაჲ ჩემი მკურნალობასა შინა. ვკითხე მე მდებარესა ამას, ვინ არს იგი და ანუ ვისსა სახლსა შინა ვარ აწ მოყუანილ ხილულ მარმარილოჲსა გამო ქმნილისა კაცის თავისათჳს? რომლისათჳსცა მიპასუხა მან: „აფენდემ! მე ვარ სო-
მხის ოსეფ ჭაია-ოღლი კარაპეტა და იმყოფებითცა სახლ-
ოღლი კარაპეტასა ჩემსა, რომელსაცა შინა იხილაეთ ესრეთჲ მარმარი-
ლოჲსა კაცისა თავსაცა“.

ლაპარაკსა ამას შინა შემოვიღნენ ექვსნი კაცნი და მომცემნი ჩუშნდა მშუდობისა, დასხდნენ პირისპირ ჩემსა დივანსა ზედა, ახლოს სპირიდონ სივინისა და იწყესცა სომხურად ლაპარაკი, რომელნიცა ეტყოდინან ურთიერთსა, არმგონებელნი მცირედცა, რომელ ნუქუჲს მესმოდეს ანუ ვიცოდე რაოდენმე სომხური:—„აჲ აინ პეიშენ, ზორ ტესაკ მეე აისორ“.—„აჲ დოკტორი იგი, რომელიცა ვიხილვეთ ჩუშნ დღეს“; და მყის მიაქცივნეს საუბარი თვის სახლის პატრონისა მიმართ და რქელს: „პარონ კარაპიტ, ხანთრია ზაიე პეიშე, ვერ კებ ტუარ ტა“,—„ბატონო კარაპეტ! სთხოვე დოკტორსა ამას, რათა გიწამლოს შენ“, რომლისათჳსცა უკანასკნელმან ამან მიწყო ვედრებად შეწვევისათჳს და აღმო-
თქუაცა მისთვის მადლობით სამსახური.

იძულებულმან გამოყუანად მათსა ლავირინთოდ ქვეულისა მათთვის მომაცთომელისა გონებისა გამო მათისა, განსჯისამებრ მკურნალობისა ჩემისა, ვრქუნეულსა ამას, ვითარმედ არა ვარ მე პაჭიმი, არამედ მხოლოდ პაჭი, მიმავალი მამეულსა ჩემსა, გარნა ერთმან ექუსთა შემოსლულთაგანმან მომიგო ესრეთ:

— „აფენდემ! ვიცით სარწმუნოდ, მით რამეთუ თქუშნ ხართ პაჭი, ვინაჲთგან უხილვინართ კაცსა ამას (მიმშულრმან ჴელისა თვისსა ერთსა ამხანაგსა ზედა თვისსა) იერუსალიმსა, ანუ ყუთსზაროფსა; არამედ ესე არა მსახურებს განმამართლებელად სიტყუასა თქუშნსა, რომელ არ იყოთ თქუშნ პაჭიმი; ხოლო ჩუშნ ექუსნი ესე აჲ მსხდომარენი ვართ სნეულისა ამის ორნი მჲანი, ერთი სიძე, ორი ბიძაშვილინი და ერთი დისწული, რომელნიცა ცრემლით გთხოვთ და გაფუცებთ მადლსა წმიდისა საფლავისასა, ვითარმედ ავადმყოფსა ამას დასლუათ ჴელი და შეეწივნეთ“.

